ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი 1 | 1999



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პარტიზანი

პარტიზანო, პარტიზანო, – შე შიშველო გულო,
უბით დაგაქვს ნაღმის კონა, – მზის ყვითელი ულო.

მუხის ტყეში მეგულები, ჩემი სახლის უკან,
მუხლზე გიდევს ანდერძივით საქართველოს რუკა,

წყაროსავით ბალახებში მეკარგები სადღაც,
ღამის უკუნ სიბნელეში აქოჩრილო სანთლად.

სადღაც აქვე ახლოს არის მუმლის დიდი ბუდე,
თავთით თეთრი ვარდის ნაცვლად შაშხანები უდევთ.

ტყე-ტყე უცხო კაცი დადის, კაცი უნდო ქამის,
არ შეშინდე, პარტიზანო, ერთი, ორი, სამი!

შე სიკვდილის მწარე კერძო, შე მამულის თვალო,
მარჯვნივ მამის საფლავია, მარცხნივ – პაპის კალო.

მონადირის ნაბიჯებით მთის ბილიკებს მისდევ,
ღრუბელი წევს თარაზულად გველეშაპის სიგრძე.

იქნებ მუხლი დაგეღალა, ვეფხვის სწორი ფუძე,
ო, იმ ღრუბელს არ დაადგა ფეხი ცეცხლის კუდზე.

ვაი, ჩემო თმაქოჩორა, თვალნაღველა ბიჭო,
მტრის სატევარ-ორლესულით მკლავმოჭრილო ფიჭვო.

პარტიზანო, პარტიზანო, – შე მიმინო ურჩო,
სანამ გინდა ეგ სიმართლე მარტოდმარტო ფურცლო!

*ვენო კალანდია*

# ცისკარი

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

1 | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

გალათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი -
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია -
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსულ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აბულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა№1
ტელ: **99-85-81** მთ. რედაქტორი
**98-36-43** მოადგილე

## შინაარსი

### გამოიღვიძე, ქნარო!..

**3**. ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

### პოეზია და პროზა

**6.** გენო კალანდია. ლექსები. ახალი წიგნიდან „რეკვიემი“
**14.** თამაზ ხმალაძე. დროის მკვლელები. რომანი. დასაწყისი
**68.** ზურაბ ნარმანია. მფრინავი ჭიანჭველა. ლექსი
**75.** გურამ ბათიაშვილი. მეათე კაცი. რომანი. დასასრული
**96.** ეთერ თათარაიძე. ლექსები

### ზღაპარ იყო...

**100**. კობა ცხაკაია. ლილიპუტების ქალაქი

### ჩვენი თანამედროვე

**107**. მცნობი და მჭვრინავი... ინტერვიუ

### წერილები

**116.** ალექსი ჭინჭარაული. სადღეისო და საშვილიშვილო საქმე
**121.** გურამ ბედოშვილი. „ის, რაც სამშობლოდ მაკუთვნა ბედმა“
**123.** ცისანა ბაბლოვანი. მე-20 საუკუნის ქართული მხატვრული საბავშვო პროზა
**126.** ამირან ნიკოლეიშვილი. თეატრალური და მუსიკალური ხელოვნება აფხაზეთში
**129.** კონსტანტინე ბრეგაძე. ენობრივი ნიშნის არსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გამოიღვიძე, ქნარო!



იერუსალიმი. ხედი ზეთისხილის მთიდან.

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 107

1. ქება-დიდება შეასხით უფალს:
რადგან ქველია
უფალი ჩვენი
და მარად ჰგიეს
წყალობა მისი.
2. ასე იტყვიან უფლისაგან გამოხსნილები,
რომელნიც იხსნა ხელთაგან მტრისა.
3. და გამოკრიბა დედამიწის ოთხივ კუთხიდან:
დასავლეთის თუ
აღმოსავლეთის
ჩრდილოეთის თუ
სამხრეთის მხრიდან:
4. უგზოდ დაძრწოდნენ უკაცრიელ უდაბნოებში
და ვეღარ ჰპოვეს დაბა-ქალაქი,
სამოსახლო და
სამკვიდრო რამე.
5. დამშეულებს და
მოწყურებულებს
დაელიათ და
დაუბნდათ სული.
6. შეჭირვების ჟამს შესტირეს უფალს,
ისმინა მან და
მწუხარებას გადაარჩინა.
7. და დააყენა ჭეშმარიტ გზაზე,
რომ მიდგომოდნენ დასახლებულ ციხე-ქალაქებს.
8. დე, განადიდონ უფალი ჩვენი
სასწაულთა და
უნაპირო წყალობის გამო,
რაც განუჩინა
ადამის შვილებს.
9. მოწყურებულ სულს
მოაგო წყალი
და დამშეული
აღავსო მადლით, -
10. უკუნეთსა და
წყვდიადში მსხდომნი,
გაჭირვების და
ბორკილის ტყვენი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. რადგან უარყვეს სიტყვები ღმერთის
    და უკუაგდეს სურვილი მისი.
12. მან გული მათი მოდრიკა ჯაფით,
    დაუძლურდნენ და
    შემწეობა მოისაკლისეს.
13. შეჰღაღადეს და
    შესტირეს უფალს,
    ისმინა მან და
    შეიწყნარა მათი მუდარა.
14. გამოარიდა ღამეულ უკუნს
    და დაამსხვრია ბორკილი მათი.
15. დე, განადიდონ უფალი ჩვენი
    სასწაულთა და
    უნაპირო წყალობის გამო,
    რაც განუმზადა
    ადამის შვილებს.
16. რადგან დალეწა სპილენძის ბჭენი,
    რკინა-ფოლადის ურდულები მიმოაბნია.
17. უგუნურნი კი –
    ვიდოდნენ ცოდვით
    და მრწუნდებოდნენ თავიანთი უსჯულოებით.
18. ყოვლი ჭამადი შეიძაგეს მათმა სულებმა
    და ჰპოვეს ბჭენი სიკვდილისანი.
19. შეჭირვების ჟამს
    შესტირეს უფალს,
    ისმინა მან და
    შეიწყნარა მათი ვედრება.
20. მოსცა სიტყვა და
    სნებათაგან განკურნა ხალხი,
    გამოარიდა ქვესკნელის ჯურღმულს.
21. დე, განადიდონ უფალი ჩვენი
    სასწაულთა და
    უნაპირო წყალობის გამო,
    რაც განუჩინა
    ადამის შვილებს.
22. შესწირონ ქების შესაწირავი,
    მის საქმეებზე სიმღერებით ილაპარაკონ; –
23. რომლებიც წყალში ნავებით შთავლენ
    და ზღვათა შიგან სამოქმედოდ შეიყრებიან,
24. უფლის საქმეებს მოიხილავენ,
    მის სასწაულებს დალანდავენ წიაღთა შინა.
25. იტყვის და ქარი აღიძრება ანაზდეულად,
    აღიმართება ტალღაზე ტალღა,
26. აიჭრებიან გუგუნით ცისკენ
    და უფსკრულისკენ დაეშვებიან
    და მათი სული შიშისაგან დაძაბუნდება.
27. იწრიალებენ,
    იბრუნებენ, როგორც მთვრალები
    და მთელი სიბრძნე დაენთქმევათ თანდათანობით...
28. განსაცდელის ჟამს
    შესტირეს უფალს,
    ისმინა მან და
    შეიწყნარა მათი ვედრება.

29. ზღვა დააოკა,
დააცხრო ღელვა
და დაანელა ტალღები მისი.
30. გაიხარეს და შვება იგრძნეს:
ხოლო უფალი
წინ მიუძღოდათ დანატრებულ ნავსაყუდარში.
31. დე, განადიდონ უფალი ჩვენი
სასწაულთა და
უნაპირო წყალობის გამო,
რაც განუჩინა
ადამის შვილებს,
32. ქება შეასხან წარმართებში
ტაძრიდან ტაძრად
და აღამაღლონ უხუცესთა საკრებულოში;
33. ვინც მდინარენი ტრამალებად გადააქცია,
წყლის წყაროები -
თიხად და ნაცრად.
34. უკაცრიელ ველს
დაამხვავსა მწვანე მინდვრები
მისი მდგმურების სიავეთა გამოსასყიდად.
35. უდაბნოები განავრცო ტბებად,
ველი ურწყული -
წყაროთა წყლებად.
36. დასამკვიდრებლად მიანდო მშივრებს
და საცხოვრებლად აღუმართა ციხე-ქალაქი.
37. და დათესავენ მინდვრებს და
ყანებს,
გასაშენებლად ჩაყრიან ვენახს
და გამოიღებს მარცვალი ნაყოფს.
38. მაკურთხებელი აკურთხებს ყველას
და გამრავლდება ნაგრამი მათი
და ცხოვარს მათსას აღარავინ მოისაკლისებს.
39. ხოლო ვიეთნი ჩაქრებიან,
ჩანელდებიან
ცრემლის, ტანჯვის და
წუხილის გამო.
40. წარჩინებულებს დაატეხს სირცხვილს
და უგზო-უკვლოდ ახეტიალებს.
41. მაგრამ უპოვარს გამოიყვანს სიღატაკიდან
და ცხოვარივით მოაშენებს
ნაშიერს მისას.
42. და მათი ხილვით გაიხარებს ყველა წმინდანი
და პირს აიკრავს ყოველგვარი უსჯულოება, -
43. რომ ბრძენკაცებმა დაიმარხონ ესე ყოველი
და ზენაარის მოწყალება
გაიცნაურონ.

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გენო კალანდია

## ახალი წიგნიდან „რეკვიემი“



### კონკვისტადორი

კონკვისტადორო, გაგიცვდა ლანჩა,
ქრომის ძველ ფეხსაცმლებში სისხლი ჩაგდის,
თითქო მუხის საწნახელში იდგე.

იქ, სადაც გძინავს, ბალახი არ ამოდის,
არც ტყე სუნთქავს,
იქ მზე უდაბნოს მორიელივით იკბინება...
ცაა იონჯის და თრიმლისფერი.
ქვის სკამ-ლოგინზე იორკის თავის ქალასავით
რკინის მწვანე მუზარადი გიდევს.

წადი, სახლში წადი, კონკვისტადორო!
წადი ნებისად.

9 მარტი
და
9 აპრილი
ტყუპისცალივით ნიშანზე გიზის,
შენ ვერ დათვრები თვალციმციმა შაშვის გალობით,
ვერც ალუბლების და მინდვრების სველი სურნელით,
შენ და გაზაფხული მგელი და კრავი ხართ!

დიდი ომების თეთრ წიგნში გძინავს,
ჩემი ოჯახის სიზმრებში და ხსოვნაში ცხოვრობ,
ჩემს განთიადში იყურები ურცხვად, ჯიუტად,
ვით წყაროზე დახრილ ქალის საღვთო უბეში.
ბავშვის საცვლებში იქექები,
როგორც ქორი ჩიტის ბუდეში.

წადი, სახლში წადი, ძალად სტუმარო!
წადი ნებისად.

ჩახმახზე, როგორც ძველ კლავიშზე,
გითამაშებს სალოკი თითი.

საღამო ჟამს თმა გაქვს კაქტუსის ეკალივით
და შუბლიც ოფლით გაქვს დაცვარული,
სოსისის სახე, ჩაცვინული ღოქში თვალები,
ტოვებს ელამი მთვარის სინათლეს.
წყევლასავით უკან მოგდევს თვალდათხრილი ქალის კივილი,
აქ არც მგლისფერი არყის ხეა,
არც თეთრი ქოხი, - თოვლის სოკო,
არც მძვინვარე მინდვრის ტრამალი,
აქ მხოლოდ მკვდრები ჩურჩულებენ დაუსრულებლივ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წადი, სახლში წადი, კონკვისტადორო!
წადი ნებისად.

ქვაფენილების რუხი დორბლი, ნაგავი ქუჩის
ღამის სტომაქში იხარშება... მხვიარა ორთქლი
კვამლივით დგება, ქაფმომდგარი ნაპირის ნაპირს
გადადის ხალხი გულისხეთქვით... და ქარის ფრთონა,
სასოწარკვეთა ეხეთქება ქვის ორმაგ ჯებირს.

მე ვარ კურდღელი ქანცგალეული,
ამ შიშველ ომში შიშისაგან ენა, ყურები
კომბოსტოს მწვანე ფოთლებივით შემომეჭამა.

დედაო, დაო, - მოწყალების შვიდფრთიანო ანგელოზო,
ახლოა დილის ხუთი საათი,
მკვდრადშობილი ხუთი საათი,
ახლოა, ახლო ხუთი საათი,
ბართლომეს ღამის დასაწყისი და დასასრული.

ყეფს ავტომატი,
დუმს მეგაფონი...
მეტროპოლია - ძველი რომის მთვრალი ჯამბაზი
ქლოროფორმით დადის ქალაქში.

მოირწყა ქუჩა - ცხელი სისხლის ჭიანჭველებით.

წადი, სახლში წადი, ძალად სტუმარო!
წადი ნებისად.

ფეხთით გიდევს ღამის თბილი ნანადირევი:
ჩემი უფორმო ხერხემალი და ფუძის ძვლები,
ნეკნების გალა, ნიჩბისხელა ბამბუკის ყბები
და გულ-მუცელი.

ფუთფუთებს მატლი... იკუმშება ჭმუნვით ღრუბელი,
თითქო დილიდან მუცლის გვრემა სჭირდეს საბრალოს,
რძენაკლული ირმის ცურივით
დამჭკნარი ძუძუ, ბავშვის ცხედარი
ჩემთვის გოდების და აღდგომის არის კედელი.

წადი, სახლში წადი, კონკვისტადორო!
წადი ნებისად.

საათი რეკავს...
დრო წარსულსა და მომავალში გარბის წყალივით,
თავისუფლებას და რიჟრაჟის ბიბილოს ვხედავ,
მთავარანგელოზს და წმინდანებს თვალდათვალ ვხედავ,
შენ ვერ გხედავ, კონკვისტადორო,
ვეეერ გხეეედააავ...
ვეეეეეე...ააა...
მზის კვადრატული ნაბიჯები,
სისხლის წითელი ორნამენტი,
ნუშის ხეების თეთრი ბაფთა
და ვაზის ჯვარი ანათებს ქალაქს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კომპოზიცია ნაცნობი ქალის პორტრეტისათვის

*ვნახ მისდევს კრავი და კრავაი,*
*კრავს და კრავაის წუთისოფელი.*

გაუცხოების უცხო ჩრდილი დადის ქალაქში,
ჩადის მეტროში,
ადის კიბეზე,
შედის ფრთაგაშლილ სამორინეს სინეტარეში.

როგორც ზღვის ფსკერი ამოაგდებს სუსხში ნაპირზე
თვალებსოველ, ყვითელ ნიჟარას
ან ჩქარი ზვირთი თმაგაწეწილ, წყლისფერ მედუზას,
ისე ცხოვრებამ გამოგაგდო წუხელ ქუჩაში.

როგორც ავადმყოფს ვარდისფერი ძმრიანი ტილო
ან ჯვარფურცელას ფოთოლი ფართე,
ისე გამშვიდებს და გიფარავს ცარცისფერ სახეს
ჭადრის ჩრდილი და თავსაფრის ბოლო.

და იფურცლები ნახევარმთვარედ,
გარს მუმლივით ირევა ხალხი.

დღე ღამედ იქცა,
ღამე - სველი წყვდიადის კუბოდ.

თქვენ სიზმარს ჰგავდით, ოცი წლისამ რომ ვნახე ერთხელ;
თქვენ სტრადივარის ვიოლინო გიყვარდათ ადრე,
თქვენ ვიოლინო იყავით თავად,
ვარდისწყალს სვამდნენ თქვენი პეშვიდან
იადონები და პოეტები.
მაღალი ტანი სონეტივით
მოჭედილი გქონდათ კორსეტით,
გულთა მეუფევ და ნათლიავ და პატრონო
და მფარველო თეთრი კრავების.

თქვენ სიზმარს ჰგავდით, ოცი წლისამ რომ ვნახე ერთხელ;

სად გაქრა ცისკრის მინანქარი ოქროსფრთიანი,
მამის ვექსილი, დედის ქარგა სხივჩაფენილი,
ნიშნობის ალი, ავგაროზი, - სიზმრის აკიდო?!

ო, თქვენი ვნება, -
მეწამული შინდის მორევი,
თქვენივ მკერდიდან ამოფრენას ბევრჯერ ლამობდა.

ო, თქვენი გული, - მოგუგუნე ზამთრის ბაღივით,
ყინვის ბრკიალა სახნისებით არის მოხნული.

ჩემო პატარა ქალბატონო,
წვიმის ცრემლებში მეკარგები ბელურასავით.

ბაღის,
სარდაფის,

სასაფლაოს საწყალო მდგმურო,
გამოხრამულო უხმო ნაღველით,
დგახარ ხალხმრავალ ქუჩის კუთხეში
სანთლის ხესავით ხელგაშვერილი.

მზის ქორალებით დამჭკნარ იებს გიგავს თვალები,
სიკვდილის ხავსი გადევს ბაგეზე.

ჰეი, მოიღეთ მოწყალება საბრალო დისთვის,
სულ ერთი ლარი, - მხატვრის პორტრეტით,
მადლი მოისხით წმინდა ძმისანი,
სულ ერთი წამი იყავით უფლის
კეთილი მნე და აღმსრულებელი.

ჰეი, თქვენ!..

## ანტიგონე

*აფხაზეთის ომში ახალგაზრდა ქალს ერთადერთი ვაჟი თვალწინ მოუკლეს... დედა თმით ხეზე დაკიდეს... და რამდენიმე წუთით ადრე დახვრეტილი უცნობი მამაკაცის ჯერ კიდევ სისხლიანი თვალები ძალით გადააყლაპეს.*

ვისი თვალები გადაყლაპე, დაო ბედკრულო?
ქურდის,
ყაჩაღის,
მამათმავლის, - უკუმსტოვარის?

ვისი თვალებით გეწვის გულ-გვამი,
ვისი შუქი გიდგას საშოში? -
მწყემსის,
წმინდანის,
ფიროსმანის,
ბრამსის,
ვან-გოგის?

ვისი თვალები გადაყლაპე, დაო ცოდვილო?

თავად ჯვარცმულო, თვით ჯვარცმულის ცა გადაყლაპე,
მზე გადაყლაპე უსინათლო, სიკვდილმისჯილი.

ღიაა გარსი, - მთვარის ბადე,
წრეები წრეში.

თმაქოჩორა მკვდარი მამლები,
სახეზე მიწა...
გულზე მიწა...
თითებში მიწა...

ჩემო საბრალო ანტიგონე, დაო ბედკრულო,
ტყვიაჩაკირულ მიწას ფხოჭნი ქორის ბრჭყალებით.

წითელი წიგნის ბინადარო, -
მარადორსულო უნაყოფო ვარსკვლავებით,
ზღვის ჭორფლიანი ნიჟარებით და ნაკვერჩხლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შენი გულსაკლავი ქვითინი მესმის,
გოდება მესმის, - ძვლების დამშლელი.

ჩემო საბრალო ანტიგონე, დაო ბედშავო,
უკან მოგდევს იოდისფერი გვამების სევდა,
ღრუბლის პირფუფქი მედუზები, ცის ვერცხლისფერი დელფინები,
ელვის ელამი კიბორჩხალები, ჭალ-წყალების პოლიფონია,
ელდანაცემი ქარის ფრთები და ზართა ზარი.

იქით, ო, იქით, სევდამწყრალი მდინარის იქით,
საღამო ვეფხვის პერანგივით იწვის ზეგანზე,
იწვის მინდვრების მრავალძარღვა გლეხურ ვარჯებში
და შაშხანების ცეცხლის ყეფაში.

ჩემო საბრალო ანტიგონე, დაო ბეჩავო,
სად მილასლასებ, სად მიდიხარ
ცრემლის მდუღარე ლოკოკინებით?!

. . . . . .

... ციცინათელას ნათლულს ჰგავდი ოქროსფერთმიანს,
მთვრალი ბიჭების სიმღერებით, ხორხოცით დამფრთხალს,
მაისის მზეს და აბრეშუმის დილას ფურცლავდი,
ვით საქორწინო ვარდის კაბას, ცისკრის კრეტსაბმელს.

ქვირითის, სთველის შემოქმედო, სძალო სამოთხის,
ზღვის მარჯვენა თვალში ცხოვრობდი,
აკვანი სარკმელს გაჰყურებდა,
სარკმელთან კიდევ ფორთოხლების მზე ხრაშუნობდა,
რძეს და ღრუბელს სწოვდა ბოკვერი.

. . . . .

...ღამის სიზმრებში ჩამარხულო შავი სუდარით,
თქვი, რა ხდება ზღვის უხავერდო სამეფოში?
ვის სიმართლეში ეძებ სიმართლეს?
სად გარბის მიწა, - ირმის საძვალე?

არ გათენდება შენი ცა უკვე,
არ აფეთქდება სისხლით მორწყულ განთიადებში
შენი ფიქრის იასამანი,
არ შეიკვრება შენი ტანი ფიჭვის კვარივით
ცხელი მზეების ცისარტყელებით.

შენ, როგორც წმიდა მწუხარება, კარიკარ ივლი,
ჩემო საბრალო ანტიგონე, დაო ბედკრულო!

## კომპოზიცია ჯუმბერ ბეთაშვილის პორტრეტისათვის

ქალაქი მოკვდა... გარდაიცვალა
*ს. კვაზიმოდო*

მიტოვებულო მინდვრის ბალახო, ტყეო, მდინარევ,
შენ, - კოინდარო, - მყუდრო ეზოს მწვანე ვარსკვლავო,
შენც, - ბზიფის ბზეო, - მწყემსის ბიჭო თმააქოჩრილო,
გედის ფრთასავით ქათქათა დილავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცხოვრის მტრედო, - კიპარისო,
თეთრი ვალსივით განფენილო
შუადღის ნისლო და ბურუსო,
ფორთოხლის ხეთა სინათლეში გამდნარო სხივო, -
ჩემი თვალების ღამეებში და სიზმრებში
წვეთწვეთობით ჩამოღვენთილო,
ის შადრევანთან შენთვის მოკვდება,
დღეს უსათუოდ შენთვის მოკვდება.

ღრუბლის ნაღველში გახვეულო ორი ძის ზღვაო,
ლურჯთვალა ფიჭვო, - ჩამომდნარო მზისფრად სანთელო,
ქრჟოლადაკრული ქალწულების უმანკოებავ, -
სავსევ რძის და მარწყვის სურნელით.
მეთევზის ნავო ორფრთიანო და ხომალდო სველი ლაჟვარდის,
თეთრხალიანო ევკალიპტო და ბაღის ჰანგო,
ფუნჯგაქცეულო ენკენისთვევ,
ბაგეგახსნილი ბროწეულის და ბანოვანის
სათუთი გულის სიანკარევ; კარო სიამის,
ის უსათუოდ შენთვის მოკვდება.

მხარნაქცევი ხეების ცრემლო,
თვალსისხლიანო ნაკადულო,
ქვემეხის ხმაში და სოფლის ზარში
ხარის გულივით გამსკდარო მიწავ,
ის უსათუოდ შენთვის მოკვდება.

შენ - ქედმაღალო შერვაშიძევ, - ხრესილის ლომო,
შენ - ანჩაბაძევ, - ნატეხო რვალის,
შენც - ემუხვარო თავთავივით თავჩაქინდრულო,
ვინ გიხნავს საფლავს და სალოცავს,
ვინ ჩაჰყურებს წყაროს თვალში, - ხევის პატარძალს,
ვინ მისდევს ოქროს ჯოგს და ქარავანს?

ვიიინ?

რას ჩივის შავი შაოსანი და მარტოსული,
რას ამბობს ვანგა და გრაფოლოგი?!

ის შენთან ერთად ღვინოს სვამდა,
ის ხავერდისფერ მოტივს მღეროდა,
ნიავგადავლილ ბალახივით ის ლოცულობდა.

ღმერთო, სიკვდილზე დასწერე ჯვარი
ისე, ვით შვენის მამრს და მეომარს,
სხვა არა უნდა, უფალო, მეტი.

არ გაქცეულა ის არსად, არა!
ის მარტოდმარტო ქალაქში დარჩა, -
პოეტი, დენდი და ლამანჩელი,
ხომ არ მოგიკრავს, უფალო, თვალი?

როგორც ხე იწვის შემოდგომის ცეცხლის ალყაში
და ზეზეურად ქრება მარადი,
როგორც მზე კვდება საღამოს ზღვაში,
ის შენთვის მოკვდა.

ის ირემივით ბალახში გდია...
ცრემლის ობოლი ზურმუხტებით განათებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის მზეში და აგონიაში
ქალაქი მოკვდა... გარდაიცვალა,
ქალაქი მოკვდა... გარდაიცვალა,
ქალაქი მოკვდა... გარდაიცვალა.

დაკრძალვა - 27 სექტემბერს.

გზაჯვარედინზე დგას სფინქსივით
აბჯარასხმული კონდოტიერი,

ო, ბედისწერავ, - ხვედრო კაცისა,
აღმართს მიჰყვება გრძელი ჩრდილი სიკვდილცხებულთა
და უპოვართა.

ის სამუდამოდ ქალაქში დარჩა.

. . . . .

იქნებ, ო, იქნებ გაბრწყინდეს, იქნებ, -
საფლავი... ჯვარი... უბრალო ქვა...
ღმერთო, მიშველე!

## საფო

გაზაფხულის შადრევანო, ქარიტების თაფლო,
ჰოი, შვიდგზის მარგალიტო, - ღვთაებრივო საფო!

იისფერი საკრავების თვალხილულო ძაფო,
თეთრი ვარდის თაიგულო, - მშვენიერო საფო!

ზღვის მძინარე წამწამებზე მოციმციმე ქაფო,
ჰოი, შვიდგზის მარგალიტო, - დიდებულო საფო!

გულმცხუნვარე აფროდიტეს სიყვარულო მძაფრო,
თეთრი ვარდის თაიგულო, - ცრემლშროშანა საფო!

მარადმნათი ქალღმერთების ცისიერო სატრფოვ,
მბრძანებელთა მბრძანებელო, - ღელოფალო საფო!

სადაც ლამაზ მეჯლისს ვნახავ, - მოშრიალეს ამოდ,
გულს ტკივილით აღმოხდება: საააფოოო!

## პატარა ბიჭისა და ახალგაზრდა დედის ლექსი

*თეას,*
*დაჩის*

ის გოგო იმ ბიჭს ჩუმად რო ხვდება,
დედამ თუ იცის, ნეტა?
მთელი ზაფხული ბაღში რო სხედან,
დედამ თუ იცის, ნეტა?!

მზე რო გადავა... მთვარე ამოვა,
ო, ვარდისპირო, ნეტა!
ის გოგო თაფლით სავსე სკა როა,
ბიჭო, თუ იცი, ნეტა?!

ღამე რო ჩუმად ჩურჩულებ ძილში,
დედამ თუ იცის, ნეტა?
თმა რო სავსე გაქვს ძოწით და ქვიშით,
დედამ თუ იცის, ნეტა?!

გარეთ, ო, გარეთ ვერცხლის დარია,
ქარი დარაბებს კეტავს...
შენ რო ის გოგო გიყვარს ძალიან,
დედამ თუ იცის, ნეტა?!

ბაგიდან ბაგის სველი ღიობით
რო ეძალები ნექტარს,
ბიჭო, შე მართლა, ძეო იობის,
დედამ თუ იცის, ნეტა?!

## სამი მესეფის სონეტი

სამი მესეფი ამოდის ზღვიდან,
სამივეს შავი უხდება ტოგა,
როგორც ღრუბელი ლაკადის გორგალს;
წვიმს... ფოთოლცვენის ყვითელი სევდა

ყვითელი ჯოგის ვერცხლისფერ ხმაში
ლივლივებს, როგორც საღამოს ფერი,
დგას ბერიკაცი, - უსაყდრო ბერი, -
შეშფოთებული მარჯვენა ფლეშით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეწავენ... ჭრიან... ჩეხავენ ნარდად
სადადიანოს საკომლე ხარდანს,
მკერდშელეწილი ხეობის კარით.

წვიმს... შემოდგომის უამურ ამინდს
ახრჩობს ჭაობის მუმლი და შხამი
და მწვაობარი წვიმების ღვარი.

## ოდოია

ოდოია, ოდოია, – შე ფაზისის კვიცო,
მაგ ლაზური ნალვერდალით ღვთისმშობელი გიცნობს.

მთვარე გიზის უნაგირზე, – ჭყონდიდელთა სასძლო,
უამგოგოდ შაბათამდე როგორ უნდა გაძლო?!

თეთრი ვარდის ფურცელს მოჰგავს თეთრი ვარდის
კაბით,
ცისარტყელას ნაჭერივით უთამაშებს წარბი.

დოლში ვილაც გაგიჯავრდა, გადმოგიხტა ხანჯლით,
ისიც შენებრ ჩაუქი და ისიც შენებრ მარჯი.

მიდი, ჩემო თვალისჩინო, მიდი, ე მაგ ისრით,
შენი ჯაჭვის პერანგივით ცა ნაპერწკლებს ისვრის.

სხვა სიმდიდრე რად მინდოდა, მე მიმინოდ გზარდე,
ნეტა, მთელი საქართველო შენს ორლესულს
ჰგავდეს?!

მზე ჩამაჭრდა... ცა აიჭრა ღამის ოქროს ღვარად,
მთით მოცვივა ვარსკვლავები ნაკვერჩხლების
დარად.

. .. . . . . .
მომანათე ეგ თვალები, ეგ ლამაზი სახე,
გუშინ მთელი საქართველო შენს ქორწილში ვნახე.

## ნატვრის ხე

მთისიქეთ ჯოგი ბღაოდა ირმის
და ქარი ჰგავდა ქარბუქით შეშლილს...
მე სიყვარული მაფიქრებს შენი,
თორემ მწირივით კარიკარ ვივლი.

ველს გადაბუგულს თიბათვის ხვატით
აგვისტოს წვიმა უკოცნის უბეს,
მეც გრანელივით მივტირი ღრუბელს,
თორემ ისედაც მიგლოვებს მარტი.

...და ფოთოლცვენის ლული და სევდა
ზუზუნებს მთაში... და ნატვრის ხესთან
გალობს ჭყონდიდის თორმეტი შაშვი.

გალობს ვარდთა და ყვავილთა ენით...
მე მარტოობა მაფიქრებს შენი,
თორემ ისედაც მივდივარ მთაში.

## ობოლი კრავის სონეტი

ტყისპირ პატარა კარავი იდგა,
უცხოდ მორთული, – ოცნების მსგავსი,
იქ ერთხანს ერთი ცხოვრობდა ბავშვი, –
ობოლი... ზამთრის წვიმებს და გრიგალს

შესციცინებდა უმანკო სევდით:
– სად მემალები, მამილო, მამი?
– გთხოვ, გევედრები, მეჩვენო წამით,
რომ დაგიკოცნო თვალები, მკერდი.

გარეთ, ო, გარეთ, ვით ცისკრის მთვარე,
როს ოქროს ეტლი ბრუნავდა გარეთ,
ანგელოზები მოადგნენ კარავს

და წაიყვანეს ჩეჩონას ხევით
ცრემლშეუმშრალი, დაღლილი, სხემი,
ის თმახუჭუჭა, – ობოლი კრავი.

## უცხო ყვავილის სონეტი

იმ უცხო ყვავილს, – გალავანთან მქრქალად რომ
ენთო,
შენ ერთი ჰყავდი მეოხად ...და, სოფლის ბიჭუნას
მთელი დღეები ხმას არ სცემდა თურმე ჯიუტად
და თეთრი ყელი მძევალივით ყორეზე ედო.

წვიმდა... ქარები დასცინოდნენ, ვით სოფლის სულელს,
გამვლელ-გამომვლელს უღიმოდა... რძიანი ბაგით
მზეს სვამდა ქუჩის მოსახვევთან... და ძველი ბაღი
იმშუშნებოდა უხერხულად... ფიჭვების სურნელს

ჭალ-წყალებიდან ამოჰქონდა მაისის შფოთი,
გალმა ღრუბელი შრიალებდა ტირიფის დარად,
ტყე მიძინებულ ღრუბელს ჰგავდა, ღრუბელი – ფარას.

მზის ფართო მკერდზე იძინებდა ალუბლის ტოტი,
ალუბლის ბაღი, – იმ ფურფუტას ჭაღარა ძიძა,
მიწა სამოთხეს მისტიროდა, სამოთხე – მიწას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამაზ ხმალაძე

## დროის მკვლელები

### რომანი

### შესავალი

დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა გამორჩეულობისა და თავისთავადობის ახალგაზრდულად მოწადინე: თუ ღმერთი ინებებს და ჩემი დღევანდელი ყოფის გადამკიდე ოდესმე რამენაირად რომანის დაწერას მოვახერხებ, უეჭველად ასე დავიწყებ და შიგაც ალაგ-ალაგ, აი, ეგეთ ჩემეულ რაღაც-რაღაცებს გამოვურევო.

ჰო, ჩემეულსაო, ეგრე ფიქრობდა.

და რადგან ეს წინათ იყო, წლების წინ, ჭაბუკობის ასაკში, ამიტომ ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ მწერლობაში ასეთი რამერუმეებით ბურჭალ-თამაში საკუთარი თავის დამკვიდრების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

თუმცა, ჰაი-ჰაი, რომ ის დრო სჯობდა - იმედოვნებდა მაინც... ეჰ.

ტყე დიდია და თვალშეუდგამი, დამთრგუნველი და გამაოგნებელი თავისი უნაპირობით. დაბლა ჯაგი და ეკალ-ბარდი გაბმულა ერთმანეთში, მაღლა გაშავებულ, შტოხშირ ტოტებს ჩაუხლართავს ცისწამრთმევი ყომრალი თაღი. გაყინულა, გათოშილა ყველაფერი, თითქოს ბოროტ ჯადოქარს ჯოხის ერთი მოქნევით გაეჩხიბოს, გაექვავებინოს სულიერიცა და უსულოც. არსად სიცოცხლის რამ ნიშატი.

ქამგადასული მუხის ძირას ორი დაზაფრული ლანდი გარინდებულა, როგორც საშველდაკარგული, მარადიული უძრაობის მცირე ნაწილი, წვეთი.

აქედან ვერ გააღწევ, გზას ვერსად ნახავ - ოდესღაც გაკვალული ბილიკებიც თოვლს დაუფარავს. არა, სხვისი იმედიც ნუ გექნება, მხარნაქცევს ხელს არავინ გამოგიწვდის, სწორ კვალზე არავინ დაგაყენებს. მარტო პირველყოფილი ალღო თუ გიშველის გზის გასაგნებად. მხოლოდ გუმანი თუ გაგიყვანს სამშვიდობოზე.

სიჩუმეა, ავისმომასწავებელი სიჩუმე, გაყურსულა არემარე. თეთრად გაკრიჩხულ ტოტებში მაცოცხლებელი წვენის ნაჟურიც არ შერჩენილა. სუდარისფერი ზამთრის თანამდევია ასეთი მდუმარება, თუ ერთხელ მოქმედების უნარი წაგართვა, მერე...

ტყეში უხილავ კიბოსავით ჩამჯდარა ყინვა, ოთხსავკუთხივ გაუფარჩხავს მძლავრი საცეცები და ერთიანად ჩაუბღუჯავს ირგვლივეთი. ჰაერის ყოველი მტკაველი, მიწის ყოველი გოჯი ფათერაკით დაორსულებულა და არავინ იცის, როდის გასკდება ზრდადასრულებული ჭუპრის პარკივით. ხეებს სიცივე დავიწყებიათ და გასუსულან შეუცნობი ხიფათის მოლოდინში.

ქამგადასული მუხის ძირას ორი დაზაფრული ლანდი გარინდებულა, როგორც საშველდაკარგული, მარადიული უძრაობის მცირე ნაწილი, წვეთი.

იდუმალი შრიალი ისმის - შეშინებული მთვარე მისრიალებს გაყინულ ცაზე. ტყის უღრანებშიც ჩამოდგება ჩლუნგი, ბრჯგუ ხმაური - აქამდე სადღაც მიმალული მგლების მრუმე, ძლივსგასარჩევი სილუეტები ინაკვთება სიბნელეში. ჩრდილები ერთმანეთში იხლართება, ირევა. ნადირები დამშეული, ხარბი თვალებით ზვერავენ მნათობს /მნათობს?!/. გოგირდოვანი ცეცხლი უელავთ თვალებში. ეს ცეცხლი აძრწუნებს მთვარეს და უფრო სწრაფად მისრიალებს...

ცეცხლიც ორად განიყოფება: ერთი - ამირანმა რომ მოსტაცა ღმერთებს და დღემდე გულისგულით დაატარებს ადამიანი, ხოლო მეორე - სატანის თვალები რომ აკვესებენ სიბნელეში, ცეცხლი - შემბილწველი იმ პირველი ცეცხლისა /თუმცა ვინ იცის, რომელი იყო პირველი და რომელი მეორე?/.

მგლები დგებიან და ძუნძულით მისდევენ მთვარეს, მერე თანდათან უმატებენ სირბილს და ხეებს სხეულში დამალული კვირტები ასტკივდებათ, რადგან გრძნობენ, რომ ნადირები სადღაც მთებს იქით წაეწევიან დაქანცულ მნათობს, მწიფე ნესვივით გახეთქავენ და იმისი სისხლით გადაიყვითლებენ გაოფლილ



ლაშებს.

ახ, მთვარევ, მთვარევ...

ქამგადასული მუხის ძირას ორი დაზაფრული ლანდი გარინდებულა, როგორც საშველდაკარგული, მარადიული უძრაობის მცირე ნაწილი, წვეთი.

მაგრამ, აი, თითქოს შეირხნენ:

- უნდა ვიაროთ, - სცადა მხნედ ეთქვა და, რაც შეეძლო, წელში გასწორდა კაცი.

- ჰო, მაგრამ საით? - შეაკანკალა ქალს.

- აქეთ, - ხელი უმისამართოდ გაიშვირა კაცმა სიბნელეში, - ალბათ, ცისკარი აქედან ამოვა.

იმედოვნებდა... ეჰ, გაჩერდი, თუ ძმა ხარ, რომანი კი არა, დედასთან წერილის მიწერას ვერ ახერხებდა, აბა ეგ რომანის დამწერი იყო!

# I

თოვდა. ვიწრო სარკმლიდან ეზოს პატარა კუთხე მოჩანდა მხოლოდ, დროგადასული ფოტოსურათივით გამოხუნებული. დემნასთვის სულ ერთი იყო, გამოჩნდებოდა თუ არა იგი მთლიანად ანდა რანაირი იქნებოდა ხედი, იდგა და, რაც მოჩანდა, იმას უყურებდა. გარჩევით კი ვერაფერს არჩევდა - სხვაგან ჰქროდა იმისი გონება. აგონდებოდა: პატარა იყო, ხელში ახლად მოჭრილი რცხილის ტოტი ეჭირა და მინდორში გარბოდა პეპლების დასაჭერად. ველი უშქარი ფერით ღაღანებდა. შორს, მინდვრის შუაგულში ბალახისფერკაბიანი გოგონა იდგა და კაბა იყო მოკლე, ძალიან მოკლე.

თოვდა. წელს როგორღაც უცნაურად თოვდა. ადრე თოვლს სითეთრესთან ერთად თითქოს შვებაც მოჰქონდა, ტკივილებს აყუჩებდა, სალბუნად ედებოდა ბუნებასაც და ადამიანის სულსაც, წელს კი რატომღაც სევდაგარეული წკარუნის მეტი არა მოუყოლებია რა. ყური უძლური იყო უმაქნისი, იდუმალი წკარუნის შესაცნობად, ამ ხმას სხეულში ახლად წარმოქმნილი, ჯერაც სახელმოუქებნელი და ფუნქციადაუდგენელი ორგანო შეიგრძნობდა გაურკვევლად, ძნელად მისახვდომად და სწორედ ეს ამოუცნობლობა იყო აგრერიგად შემაწუხებელი.

თოვდა. ეზო ვიღაც ტყავისპალტოიანმა ბიჭმა გადაიარა. მერე ქალი გამოჩნდა, ატირებულ ბავშვს მოათრევდა ძალისძალად. წამიერად გაელვებული კადრები გაქრა და ვიწროდ შემოსაზღვრულ სივრცეს კვლავ ერთფეროვნება დაეპატრონა. დემნას მობეზრდა ფანჯარაში ცქერა და შემობრუნდა. ანგარიშმიუცემლად მოავლო თვალი ოთახს. ამაზრზენად უცხო მოეჩვენა ყველაფერი - საგნებს დაეკარგათ თუ თვითონვე მოეძულებინათ თავიანთი ოდითგან დადგენილი დანიშნულება, ბუტაფორიად ქცეულიყვნენ და მოყვარულ აქტიორთა მიერ შესრულებული სპექტაკლის ულაზათო დეკორაციას დამგვანებოდნენ.

თოვდა.

„საიდან მოვდივართ? ვინა ვართ? საით მივდივართ?" - ამ ბოლო ხანს, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, თვალი ცნობილი ნახატის ძალზე უხარისხო, ფერდაკარგულმა რეპროდუქციამ მიიტყუა, რომლიც საწოლის თავთან ყრუ კედელზე იყო მიკიდებული. ზედ თითქმის არაფერი გაირჩეოდა, მაგრამ დემნა მაინც ვერ შელეოდა, გადასაგდებად ვერ გაემეტებინა, რადგან მისი სახელწოდებიდან მომდინარე ძალა ვაჟის ნებისყოფას ბევრად აღემატებოდა. მოტანითაც ხომ ამ სახელწოდების გამო მოიტანა და გააკრა.

„საიდან მოვდივართ? ვინა ვართ? საით მივდივართ?"

განა მეტი დაცინვა შეიძლებოდა? შემოქმედის მიერ სადღაც შორს სულ სხვა მიზნითა და დანიშნულებით შექმნილი შედევრის უბადრუკი ასლი ბედისწერასა თუ გარემოებას თითქოს აქაურობის გრძნებით შემკვრელ საგნად ექცია, ჯადოს მაგივრობა დაეკისრებინა. დემნასაც თავში ამ სურათივით გამოხუნებული, სავარაუდოა, უსაქმობისგან ნაშობი ფიქრები უტრიალებდნენ უთავბოლოდ და დაულაგებლად. უშინაარსო, უაზრო აზრი ადგილზე იტკეპნებოდა, ამაოდ ცდილობდა, გაერკვია: სად იყო, რა დროში, რა სივრცეში? რას ნდობოდა, რა ერწმუნა, რას დაყრდნობოდა? სიმყარედაკარგული ნიადაგი ფეხქვეშ სილასავით ერღვეოდა. ამქვეყნად მდგრადი და ხელჩასაჭიდი აღარაფერი ეჩვენებოდა - განსაკუთრებით, ეს სამ არათანაბარ ნაწილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკუწული, სამად დანაწევრებული *დ რ ო*:

აწმყო არ არსებობდა, რადგან დადგომისთანავე წარსულში გადადიოდა - მეყსეულად, დაუხანებლად სხლტებოდა ხელიდან.

წარსული? - უკვე ჩავლილი იყო, გადამქრალი, ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა, და, რასაკვირველია, ოღონ მოგონებებში შემონახულზეც ვერ იტყოდი, არსებობსო.

მყოფადზე ხომ ლაპარაკიც არა ღირდა. რაც ჯერ არ შობილა, არსებულად ვერც იმას ჩათვლი. მით უმეტეს, ხანი იდგა ისეთი, როცა თითქმის არაფერი იყო იმისი თავდები, რომ მომავალი უთუოდ დაიბადებოდა, როცა მთელი მსოფლიოს ყოფნა-არყოფნის ბედი ერთ ვინმე პიროვნებასა და ერთ პატარა ღილაკზე ეკიდა მხოლოდ.

არა, სისულელე იყო, მტკნარი სისულელე, დედამიწურ სამად დანაკუწებულ *დ რ ო ს* დაყრდნობოდი და ნდობოდი, თუნდაც მარტო აქ, დედამიწაზე. რაც შეიძლება, უნდა გეგანნა, გვერდზე გამდგარიყავი, მორიდებოდი. მაგრამ ბუნდოვანსა და შეუცნობელში რაიმე გარკვეულობის შეტანა არც დროის უარყოფით ხერხდებოდა, რადგან თუ ამას ირწმუნებდი, ისიც უნდა გეღიარებინა: ამქვეყნად სულ არაფერი ბოგინობს და ჭაჭანებსო, თვით ეს ქვეყანაც ჩრდილია მხოლოდ. ბურუსის გასაფანტავ სიოდ კი არც ეს გამოდგებოდა, ვერც ამას დაიჯერებდი გადაწყვეტილადა და დაბეჯითებულად, ვინაიდან ამის /ვინ იცის, როდისა და ვის მიერ მიგნებულის/ კანონად დაგდება კიდევ უფრო დიდი სისულელე გამოდიოდა თუნდაც სულ მარტივი, მდაბიური შეკითხვის გამო: მაშ, აბა რა იყო ეს მაგიდა, სკამი, წიგნები, ბოლოს და ბოლოს, თვითონ ღემნა? სხვისი ფანტაზია? ზმანება? ლანდი?

თუმცა...

ამ ნახატზე გამოსახულთა შთამომავალი ვინმე თანამედროვე ტაიტელი ქალისთვის /ვის წარმოდგენასაც თავის ფიქრებში ამაოდ ცდილობდა ღემნა/ მთელი ეს ოთახი იმის პატრონთან ერთად, ეს ძველთაძველი ქალაქიცა და, სულ ადვილი შესაძლებელია, მთელი ჩვენი ქვეყანაც თავის ხუთმილიონიან მოსახლეობიანად ნამდვილად არ არსებობდა.

არ არსებობდა და ნუ არსებობდა, ჯანდაბას! ეგ მაინც რატომ უნდა ენაღვლა?

აჰ, რა გაურჩევლად ალინთულიყო ყველაფერი ერთმანეთში.

თავში.

„საიდან მოვდივართ? ვინა ვართ? საით მივდივართ?“

დიახაც რომ უპასუხო კითხვები იყო, მაგრამ უფრო მწველი და მშანთავი მათი აგრერიგად შემობრუნება გახლდათ:

რისთვის მოვდივართ?

რისთვისა ვართ?

რისთვის მივდივართ?

და თუმცა ეს კითხვები განიადაგებულ საფიქრალ-საწუხარად გადაქცეოდა, მათ ხმამაღლა თქმასა და ყვირილს მაინც არავითარი აზრი არა ჰქონდა, რადგან, სხვა თუ არაფერი, ის მაინც უწყოდა, რომ არც ვინმე შემძლებელიყო პასუხის გაცემისა და არც ვინმე მსურველი და მოწადინე ჩანდა ამისა. თუ სადმე ამ კითხვებზე პასუხის გამცემი სწორ გზაზე დამყენებელი არსებობდა, რაღა თქმა უნდა, აქამდეც გამოჩნდებოდა, მაგრამ ცხოვრებამ თანდათან დაარწმუნა, რომ ყველა, ვისაც ცოტად თუ ბევრად ჭკუა ეკითხებოდა, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა და, როგორც ეტყობოდა, სწორადაც იქცეოდა.

ძნელი არც იმისი მიხვედრა გახლდათ, რომ, რა ოხრად უნდოდა, მაგრამ თუნდაც დაეჩემებინა: ჰარიქა, ეს საკაცობრიო სატკივარი ჩემი მიკვლეული და აღმოჩენილიაო, ტყუილ ტრაბახად და თავის ქებად ჩამოერთმეოდა - კარგად იცოდა, იმ ავადსახსენებელი ვაშლის მირთმევის მერე ადამის მოდგმას მყოვარჟამიერ ეს კითხვები უხრავდა და უჭიანებდა გულს. გუშინდელსა და გუშინწინდელზე რომ არაფერი გვეთქვა, დასტურად განა გილგამეშისა და ძმათა მისთა სამღურავი და გოდება არ იკმარებდა ამ გაუტანელსა და ცოდვით სავსე წუთისოფელზე? განა სამოთხიდან გამოძევების დღიდან არ მოლაშლაშებდნენ და მოსთქვამდნენ ვაშლნაჭამთა ჩამომავალი მთელი თაობები: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო“? და კიდევ უარესი - იმდენ ხანს იძახეს ეს სიტყვები, რომ ხელში ლამის საკუთარი სინდისივით შემოაცვდათ. ოღონდ ჟამიდან ჟამად სადღაც გულისგულში იმედის მსგავსი რაღაცა გაიჭიატებდა და ფეთქავდა ხოლმე ციცინათელასავით - ეწადა დაეჯერებინა, რომ იმათ თავის დროზე რაღაცა წამლისთვის მიეგნოთ, ამ კითხვების პასუხებისთვის მიეკვლიათ და დაყუჩებულიყვნენ, დაემშვიდებინათ აწრიალებული სული. თორემ უამისოდ რა ასულდგმულებდა, რა აძლებინებდა კაცობრიობას.

ჰო, ჰო, ეჭვგარეშეა, თავის დროზე ამ კითხვებს პასუხიც ექნებოდა, მაგრამ ეს ღემნასთვის რა შეღავათი იყო? დღეს უკვე აღარავის ახსოვდა, აღარავინ იცოდა ანდა ვიღაცას, ყველასთვის თუ არა, უმეტესობისთვის მაინც გადაემალა, საგულდაგულოდ მიეფარებინა თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თაგან.

საწოლზე ჩამოჯდა და სახე ხელებშუა მოიქცია. ჭირდა. უაზრობა ობივით მოსდებოდა ოთახს, დემნას აზროვნებასაც შეჰპაროდა და თანდათან იმის მთლიანად დამორჩილებას ლამობდა - თავი, ალბათ, ამისგან დამძიმებოდა. ასეთი უამური განცდა ზოგჯერ სიზმარში თუ შეეიპყრობს ადამიანს, როცა გეჩვენება: ძირგავარდნილ ორმოში მიექანებიო უბოლოოდ და დაუსრულებლად, სხეულის მთელი სიმძიმე კი კეფაში გაწევება და იმის ანგრევას ლამობს.

წამოდგა, კისერზე ხელებშემოჭდობილმა გაიზმორა და ნელა გაიარ-გამოიარა ოთახში. ჯერ ქალაქშიაც ვერ გახვალ, - გაიფიქრა დუნედ, - *დ რ ო ს* ვერსად მოჰკლავ, ადრეა და ბიჭები სახლებში იქნებიან შეყუჟულები.

ისე მორიდებულად, ისე ფრთხილად და ძლივსგასაგონად დააკაკუნეს, კაცი იფიქრებდა, ალბათ, კარს თაგვმა ცხვირი მიუსვ-მოუსვაო. ის კი არა, დემნას პირველად ყურადღება არც მიუქცევია, ეგონა, მომეჩვენაო. მართლაცდა, აბა ვინ უნდა მოსულიყო, ვის ელოდა, ვინ და რისი გულისთვის შემოუყვებოდა ყინულით გადასარკულ აღმართს? მაგრამ, როცა კაკუნი კვლავ განმეორდა და ცოტა უფრო გაბედულადაც, სხვა აღარა დარჩენოდა რა, მივიდა და კარი გამოხსნა: აი, საოცრება! მოსული პირველ სართულზე მცხოვრები დედაბერი გამოდგა. დიდად გააკვირვა და სახტად დატოვა დაუპატიჟებელი სტუმრის მობრძანებამ. ამას მაინც რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან, ეს დაფხავებული კიბე რა იძულებამ და აუცილებლობამ ამოატარაო, გაიფიქრა განცვიფრებულმა და უნებურად მხრები აიჩეჩა. საფუძველიც ჰქონდა ამისა - თუმცა აგერ უკვე რამდენი ხანი იყო, რაც მეზობლები ეთქმოდათ და ერთ ეზოში სახლობდნენ, აქამდე ჯერ სალამიც არ გაეცვალათ და ერთმანეთთანაც არაფერი ჰქონდათ საერთო. მოულოდნელობისგან ისე დაიბნა, რომ ელემენტარული ზრდილობაც კი ვერ გამოიჩინა, შინაც კი ვერ შეიწვია, სკამიც კი ვერ შესთავაზა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მიუხედავად ამ კიბეზე, ალბათ, პირველად ამოსულ სტუმარს. კარში ისე უხერხულად გახირულიყო, გეგონება, ოთახში დიდი რამ საიდუმლო აქვს გადამალული და, ამ დედაბერმა თუ ერთი თვალი შეასწრო, მორჩა, ყველაფერი დაიღუპებაო.

- გამარჯობა, ახალგაზრდავ! მე თქვენი მეზობელი გახლავართ, დინარა დეიდა...

- დიახ, ქალბატონო, გიცნობთ, დღეს პირველად ხომ არა ვხვდებით ერთმანეთს, - უთხრა დემნამ ხმამაღლა, გულში კი თითქოს თვითონ კი არა, სხვამ გაიფიქრა: - თუ წვრილად ვიანგარიშებთ, ვინ იცის, დეიდად კი არა, ბებიადაც კარგად შემეფერებოდე, მაგრამ, ჯანდაბას, რაკი თქვენ ასე გირჩევნიათ, იყავით დეიდა, მაინცადამაინც არც დეიდების სიმრავლით ვარ განებივრებული და, თუ კიდევ ერთი შემემატება, უარს მაგაზეც არ მოგახსენებთ.

წლებს მთლად დაეჭკნო, დაეჩიავებინა ქალი, მაგრამ შინაბერასთვის დამახასიათებელი ცრუამპარტავნული იერი ვერ წაერთმია და ისიც ჩუმი სიამაყით ატარებდა ერთადერთი, მაგრამ ფრიად იშვიათი, მართლაც თავმოსაწონი სამკაულივით.

ვინა თქვა, თითქოს ალხანას ჩალხანა არ დაელევაო. ამის ჩალხანა დალეულიყო კი არა, მგონი, არასოდეს მოვლენოდა ქვეყნიერებას და დღეის მერე რომ აღარ მოევლინებოდა და აღარ, ამას დიდი მიხვედრილობა ან ქადაგმისანი არა სჭირდებოდა.

- იცით, ახალგაზრდავ...

- დემნა მქვია მე, ქალბატონო.

- დიახ, კარგია, კარგი, თუმცა აქამდეც ვიცოდი... მომისმინეთ, დემნა, „კომუნისტმა“ დღეს რატომღაც გამოსვლა დააგვიანა და შეძენა ვერ მოვახერხე. თქვენ, ალბათ, გახვალთ ქალაქში და, თუ ორ ეგზემპლარს მიყიდით, დიდად დამავალებთ.

- ეგზემპლარს? აჰ, ორ ცალს, არა? „კომუნისტს“... კი, ბატონი ბრძანდებით, გიშოვით... - უაზროდ დაჰყურებდა ზევიდან და თავში მორიალე უამრავ უპასუხო კითხვას ესენიც ემატებოდა: რასა სთხოვდნენ? რა უნდოდათ? რა ორ ეგზემპლარზე ელაპარაკებოდნენ? და კიდევ უფრო შემაწუხებელი: ვის აგონებდა ეს დეიდა თუ ბებია დინარა?

- ოღონდ ორივე მე მჭირდება, საკუთრად! /ვისაც აგონებდა, ეტყობა, ის ძალიან ადრე დავიწყებოდა/.

- კი ბატონო, ხომ გითხარით, გიშოვითმეთქი. - დედაბერი ისეთი პატარა და დალეული ჩანდა, დემნას საუბრის დაწყებისას წელში გამართვისა რცხვენოდა, მერე თანდათანობით გაუსწორა თვალი.

სტუმარს სახეზე ასაკისგან დაჩნეული ტალების დასაფარავად ბლომად პუდრი ეხმარა, არც მუქი წითელი ფერის პომადა დაეშურებინა და დამჭკნარი ტუჩები საკერკედ გათუთქული შვინდისთვის დაემსგავსებინა. ამიტომ თუ იყო, რომ დემნას ეჩვენებოდა, ნიღაბაფარებულ პიროვნებას ველაპარაკები და ამ საფარველს მიღმა სულ სხვა ადამიანი იმალებაო. ეს, ვისაც თვალი არჩევდა და ხედავდა, ჩავთვალოთ, რომ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინარა დეიდა იყო, მაგრამ ის ვინ უნდა ყოფილიყო, ის? ამის მიხვედრა უჭირდა და აწუხებდა.

– მე თქვენი მჯერა, მჯერა, რომ არ დაგეზარებათ. – ახალგაზრდულად მოციმციმე თვალები სხვას ამბობდნენ, გვერდულად მოღიმარი ტუჩები სხვას.

– არა, ქალბატონო დინარა, არც ეგეთი მცონარა და ზარმაცი გახლავართ, როგორიც, ალბათ, თქვენს თვალში და ჩვენს სამეზობლოში ვჩანვარ, თორემ აბა რა დასაზარებელი ეგ არის?! გაზეთი, მოგეხსენებათ, არც ძვირია და არც იმის სიმძიმესა და კირთებას შეუშინდება კაცი, აქამდე რომ ამოიტანოს.

ამ უცნაურ სტუმრობას თუმცა გამოეხსნა დემნა ადრინდელი შემაღონებელი ფიქრებისგან, მაგრამ ახლა დედაბრის შავი, ასაკისთვის შეუფერებლად მკვირცხლი და მოძრავი თვალები ნუსხავდა, რაღაც ჯადოთი ჰკრავდა და აიძულებდა, ისეთი სიტყვებით ელაპარაკა, ჩვეულებრივ მეზობლურ საუბრებში სხვა დროს რომ არ გამოურევდა. ამ შეუსაბამობას თვითონვე გრძნობდა და ეს კიდევ უფრო მეტად აბნევდა.

– ეგ ნომრები უსათუოდ მჭირდება... – ცოტა ხანს შეყოვნდა დედაბერი, მერე თავს ძალა დაატანა, რაც შეეძლო გაიმართა, გეგონება, თითისწვერებზეც აიწიაო და დემნას პირდაპირ შეხედა სახეში: – ვატყობ, რომ შეიძლება, თქვენთან გულახდილი იყოს ადამიანი... – წეღანდელივით რაღაც უცნაურად, გვერდულად ჩაიღიმა, თითქოს ვიღაცა უცნობს, აქ არმყოფსა თუ საერთოდ არარსებულს დასცინის და ნიშნს უგებსო. მერე დემნასკენ მინდობილად წაიწია და აჩურჩულდა:

– იცით, დემნა, მე შინ ორი დიდი ყუთი მაქვს – ორი საგანძური... ერთს აწერია: „კარგი ადამიანები", მეორეს – „ცუდი ადამიანები". უკვე რამდენი წელია, ვჭრი გაზეთებიდან შესაბამის მასალებს, კომენტარს ვუკეთებ და სათანადო ყუთებში ვაწყობ. ბევრი დაგროვდა. ვერ წარმოიდგენთ, რა საინტერესოა. საინტერესოც არის და, რა გინდ დაუჯერებელიც უნდა მოგეჩვენოთ, საჭიროც. თუ როდისმე მოიცლით და მობრძანებას ინებებთ, თავად დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში. მობრძანდით, მეწვიეთ, აგიხსნით ყველაფერს, წაგაკითხებთ და მერწმუნეთ, დროს ამაოდ დაკარგულად არ ჩათვლით.

ორი საგანძურიო. როგორც ეტყობა, ორივეს განძად თვლიდა – „კარგ ადმიანებსაც" და „ცუდ ადამიანებსაც".

დემნას აქამდეც ბევრი სმენოდა მავანთა და მავანთა უცნაურ გატაცებაზე, თავის გასართობად თუ დროის მოსაკლავად /ვითომ ორივე ერთი და იგივე არ ყოფილიყოს/ მარკებსა და ღია ბარათებს, ასანთის ეტიკეტებსა და სამკერდე ნიშნებს რომ აგროვებდნენ, მაგრამ ასეთი რამე ჯერ არსად გაეგონა, ეს დედაბერი მათ შორის ყველაზე თავისთავადი გახლდათ. ეგეთებს არ უყვართ სხვებთან გაამხანაგება და გაშინაურება, ეგრე ჰაიჰარად გულის გადაშლა სხვებისთვის – თავიანთი განძის მოზიარედ მხოლოდ სულიერად ახლობელ ადამიანს გაიხდიან ხოლმე. რა მოხდა, რით გამოარჩია ამხელა სამეზობლოში, რატომ მიაგებდა ასეთ დიდ პატივს და წასაკითხად რატომ ანდობდა თითქმის უცნობ კაცს წლების მანძილზე ნაგროვებ საუნჯეს, რატომ შესჯდომოდა გულახდილობის ჭია?

– ...ჩვენ ყველანი რაღაცით ვგავართ ერთმანეთს, ძალიან ვგავართ, ხომ მართალია? – დაასრულა დედაბერმა და გაჩუმდა.

ვერც ახლა მიხვდა დემნა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს „ყველანი", თვითონ რა საერთო ჰქონდა იმათთან, ანდა რა იყო ის „რაღაცა", რითაც ასე ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს.

დედაბერი გამოემშვიდობა და წავიდა.

– დიდება შენდა, ღმერთო! ეს რამდენნაირი ადამიანი გაგიჩენია ქვეყანაზე! – ხმამაღლა წამოსცდა ტუჩზე ღიმილათამაშებულს და ოთახში შემობრუნებული კვლავ საწოლზე ჩამოჯდა. ვაი, როგორ ერთობა ჩვენი ყოფით, როგორ გვაპამპულებს და სასაცილოდ გვიგდებს წუთისოფელი! რას არ ვიგონებთ, რომ როგორმე ბოლომდე მივათრიოთ „ღვთისაგან ბოძებული" სიცოცხლე. მერე თითქოს შეკრთა: ნუთუ სიბერემდე თუ მივაღწევ, რაიმე ამგვარი უცნაურობა მეც შეიძლება შემეყაროს? თუმცა უცნაურობის შეყრას სიბერე რად უნდა, ეგებ უკვე მჭირს კიდეც და ვერ ვამჩნევ? – გაიფიქრა და ოდნავ გამოკეთებული ხასიათი ისევ წაუხდა. დინარა დეიდაც დაენანა და საკუთარი თავიც.

უეცრად ახალგაცნობილ მეზობელზე ფიქრმა სულ სხვა მოხუცები მოაგონა, ამასთან ასაკის მეტი რომ არა ჰქონდათ რა საერთო, სადღაც პროვინციულ ქალაქში სახლობდნენ და წლები იყო, რაც აღარ შეხვედროდა.

დემნას სოფელი გრძელ და ვიწრო ზოლად გაწოლილიყო ციცაბოკალთიან ქედზე. რადგან იმათ უბანში მხოლოდ დაწყებითი სკოლა იყო, მეხუთე კლასიდან სწავლის გაგრძელებამ რაიონში მოუწია. ზედაშიანი ლამის ზედ ეკვროდა ძველისძველ, მაგრამ პატარა ქალაქს და ამიტომ კარგ ამინდში დიდი ჯაფა არ ადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა იქ ჩასარბენ-ამოსარბენად - შინიდან გასული ოც წუთში, ჰა და ჰა, ნახევარ საათში უკვე სკოლაში იყო ხოლმე, ეს კი არც ისე საძნელო საქმედ ჩაითვლებოდა მთა-გორიან სოფელში გაზრდილი ბიჭისთვის.

როცა ეს ამბავი მოხდა, ალბათ, მეექვსე კლასში იქნებოდა, ჰო, მეექვსე კლასში იქნებოდა, რადგან იმ წელიწადს ფიზიკის სწავლა ახალი დაწყებული ჰქონდათ და მომხდარიც სწორედ ამ საგნის გამო დაამახსოვრდა.

აპრილის თბილი, ალერსიანი შუადღე იდგა და მზეს დახარბებული ქალაქი დიდიან-პატარიანად გარეთ გამოკრეფილიყო, გაევსო სკოლისწინა ბაღი და უფრო იქით - სავაჭრო უბანი. დემნას უახლოესი მეგობარი და თანაკლასელი ბესო უკვე ერთი კვირა იყო, სკოლას აცდენდა გვიან შეყრილი და გართულებული ჩუტყვავილას გამო, სხვა ზედაშიანელ მოსწავლეებს კი არ დაელოდა - სანამ ეგენი მაღაზიებს ჩამოივლიან, სასუსნავს შეარჩევენ და იყიდიან, თავზე საღამოც წამოგვადგებაო. ის კი არა, ფიზკულტურის გაკვეთილსაც აღარ დაესწრო და ხუთი გაკვეთილის დამთავრებისთანავე სოფლისკენ აიღო გეზი. სწორედ იმნაირი ამინდი იდგა, ბავშვობისას ნასწავლ ლექსში რომ ამბობდა პოეტი: *სამუშაოდ ეშურება დიდ-პატარა, ფრინველ-მწერიო.* გაზაფხულის ასეთი მშვენიერი დღის დაკარგვა და გაცდენა არ შეიძლებოდა, ამინდს უნდა დაშურებოდა - უამრავი წვრილმანი საქმე მოსძალებოდა სახლში, ისეთი, მისი ასაკის უმამო ბიჭიც იოლად რომ გაართმევდა თავს და ამიტომ მიურბოდა წინ გული, ამიტომ ჩქარობდა შინ დაბრუნებას.

დიმიტრი პაპა შორიდანვე შენიშნა, კულტსაქონლის მაღაზიის წინ იდგა და მასავით ჭაღარა, შლაპიან კაცს ღიმილითა და თავის ქნევით ემუსაიფებოდა. ბიჭმა თვალი მოარიდა, ფეხს აუჩქარა და სასწრაფოდ ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა - ხალხში შევერევი და ეგებ ვერ შემამჩნიოსო, მაგრამ ნავარაუდევმა არ გაუმართლა, დიმიტრი პაპა თითქოს საგანგებოდ ელოდებოდაო, გაუსწორდა თუ არა, დაუძახა და ხელით ანიშნა, აქ მოდიო.

დემნამ უწადინოდ გადაჭრა ქუჩა და წინ გაუჩერდა.

- რაო, ვაჟკაცო, გამარჯობა არ უნდა თქვა? - ჰკითხა ღიმილმოძალებულმა მოხუცმა და თავზე ხელი მოუთათუნა. მერე თავის თანამოსაუბრეს წარუდგინა: - იაკობ, ეს დემნაა, ჩემი ზედაშიანელი მეგობარი. აქა სწავლობს და კარგადაც სწავლობს, მალე შეიტყობთ შენცა და სხვებიც, რომ ამ სკოლას ბევრი არ გაუზრდია ისეთი ვაჟკაცი, ჩვენი დემნა რომ დადგება ათიოდე წელიწადში. ხომ მართალს ვამბობ, შვილო? - კვლავ დემნას მოუტრიალდა დიმიტრი პაპა, - ჰაა, ათიოდე წელი იქნება გებევრება კიდეც?

უცნობი მოხუცი ალერსიანად, კეთილად უღიმოდა დემნას და დოსტის ნათქვამს თავის კანტურით ადასტურებდა:

- ეჭვიც არ მეპარება, ეჭვიც არ მეპარება, დიმიტრი, ამას ისეთი თვალები აქვს...

გაჭარხლებულ ბიჭს თავი ჩაეღუნა და ხმას არ იღებდა, მაგრამ იმას ვერ იტყოდით, უცხო ადამიანის ქება დიდად არ ეჭაშნიკებაო. დიმიტრი პაპასაც სახე სიამოვნებით გაბადროდა:

- აბა წავედით ახლა, იაკობ, და, როგორც ვთქვით, ხვალე დილით რვა საათზე ბაზარში შევხვდეთ ერთმანეთს.

ნელა მიუყვებოდნენ ქუჩას. მოხუცს ხელგადახვეული მიჰყავდა და თან ცერი თითით ყელკისერთან და ნიკაპქვეშ ფრთხილად ეფერებოდა. მერე უცებ დაიხარა, ალერსს მიუჩვეველმა თუ დიდი ხნის წინ გადაჩვეულმა კაცებმა რომ იციან, ისე მოუხერხებლად, მოუქნელად აკოცა თავზე და ცხვირ-ტუჩი კარგა ხანს აღარ მოაშორა თმებიდან. მოულოდნელად ფეხი წაუბორძიკდა, ბავშვს ზედ გადააწყდა და კინაღამ ორთავენი დაეცნენ.

- ვაიმე, ბოდიში, შვილო, მაპატიე, ხომ არაფერი გატკინე მე ღმერთგამწყრალმა?! - სწრაფი მზერა მოავლო ქუჩას, - ფუჰ, რა ოხრობაა, ყველაფერში ასეთი უგერგილო და უნდილი როგორ უნდა ვიყო! - ამოიჩურჩულა გამწარებულმა და ბოლომდე უჩუმრად გააგრძელა გზა.

ახია შენზე, ნეტავი წაქცეულიყავი და ჩემთვისაც რამე მოგეტეხა! რა გინდა, რატომ არ დამანებებ თავს? - ნიშნის მოგებით გაიფიქრა აღრენილმა დემნამ, მაგრამ გასაცოდავებულ ბერიკაცს რომ შეხედა, შეებრალა, გული მოეწურა და ორიოდე გასაქარწყლებელი, მოსაფონებელი სიტყვის თქმაც კი დააპირა. დაპირებით დააპირა, მაგრამ თუ არაფერი თქვა, მხოლოდ იმიტომ, რომ შეშინდა: ჩემი ამბავი რომ ვიცი, ემანდ უადგილო რამე არ წამოვროტო და უფრო მეტად არ ვატკინო გული ნირწამხდარ მოხუცსო.

ამ შემთხვევის მერე იყო, რომ დასჩემდა: გაწბილებულ ადამიანზე მეტად არავინ ეცოდებოდა. ამ დღიდან ირწმუნა, გაწბილებულსა და შერცხვენილს ერთმანეთთან თითქმის არაფერი აქვთ საერთო, შერცხვენილი სხვაა და გაწბილებული - სხვა. სირცხვილნაჭამი საზიზღარია, გაწბილებული - საცოდავი. შერცხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილს თავიდანვე უკეთურობის ჩადენა ჰქონდა ჩაფიქრებული და გამოაშკარავდა. გაწბილებულს მადლიანი საქმის გაკეთება, სიკეთის ქმნა სურდა და ვერ მოახერხა, ხელი მოეცარა, იმედი გაუმტყუნდა, ეგებ პირუკუც გამოუვიდა. აი, სწორედ ამის გამოა საცოდავი.

და კიდევ უფრო მეტად იმით არის შესაბრალისი, რომ გაწბილებული და შერცხვენილი ძალზე ხშირად გვეშლება ხოლმე ერთმანეთში.

ამ სახლში ერთხელ ადრეც იყო ნამყოფი, რამდენიმე წლის წინ. პირველი სტუმრობის შემდეგ აქ თითქმის არაფერი შეცვლილიყო, სუნიც კი იმდროინდელი იდგა - ერთმანეთში არეული, ერთმანეთში შერწყმული სუნი ხანდაზმულობისა და სისუფთავისა, უნებლიე მოკრძალებით რომ მსჭვალავდა მომსვლელს. ერთი ეგ იყო, დიმიტრი პაპას მეუღლე შეუძლოდ დახვდათ და თავისებური მშვიდი და სათნო ღიმილით კართან ველარ შემოეგებათ მაშინდელივით.

- ელენე, ელენე, ნახე, ვინ გვესტუმრა, ქალო! - შორიდანვე შეეძახა დიმიტრი პაპა ყალბი ომახით, - დემნა გვეწვია, დემნა! - მერე ბიჭს თანატოლივით შესჩივლა: - მოსპო, კაცო, ეს საცოდავი, გატანჯა ნაღვლის ბუშტის ანთებამ, უკვე მესამე დღეა, ფეხზე წამოდგომაც კი უჭირს.

ისედაც ფეხი უკან რჩებოდა და ამ ცნობამ კიდევ უფრო წაუხდინა გუნება დემნას: იფ, რა კარგი დრო შეურჩევია სახლში სტუმრის მოსაყვანად, ბიჭო! ბარემ ძმაკაცებიც დაეპატიჟა და ერთი გემრიელად ექეიფა. თუმცა მე დამეხსნას და თვითონ რაც უნდა, ის აკეთოს, რა ჩემი საქმეა, - გაიფიქრა ამრეზილმა და გაქცევა მოუნდა აქედან, მაგრამ თანდაყოლილმა მორიდებულობამ კვლავ შებოჭა და აიძულა არასასურველ ვითარებას შერიგებოდა. - მაინც რა უნდა, რატომ არ დამანებებს თავს. აქ რომ წამომიყვანა და მთელი დღე გამაცდენინა, ვითომ მზვარეში ფიჩხის ლობიოს ჩემს ნაცვლად ეს დათესავს? ან დედაჩემს რა პასუხი გავცე? არ მეტყვის: რა გინდოდა, რას წაეტორღიალე იმ კაცთანო?

- შედი, შედი, მაგ ოთახში წევს ელენე ბებო, - ფიქრებიდან გამოარკვია დიმიტრი პაპას ხმამ.

დიდ, ქათქათა საწოლში ჩაკარგული დედაბერი ადამიანის ნახვას დანატრებულივით მოსციებოდა კარს. სხვათათვის შეუცნობელი, სხვათათვის ამოუხსნელი ცნობისწადილისგან ერთიანად თვალებად ქცეულს თავისი ავადმყოფობა დავიწყებოდა და, ეტყობოდა, რომ ამ ღამის უცნობი და უცხო ყმაწვილის ხილვის მოლოდინისგან სული ელეოდა.

- მოდი, აბა ერთი მოდექი აქეთ, დამენახე! სათვალე სად ჯანდაბაში შეიძლებოდა დაკარგულიყო, დიმიტრი? - ხმაშიაც საკვირველი მოუთმენლობა გამოსჭვიოდა.

დემნამ მორიდებულად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი.

- ახლოს მოდი, შვილო, ნუ გეშინია, გადამდები კი არაფერი მჭირს, - უმწეოდ აახამხამა ფერდაკარგული წამწამები დედაბერმა.

- არა, განა მაგიტომ, რაა... - შერცხვა დემნას და იგრძნო ყურის ბიბილოებზე ცეცხლი როგორ შემოენთო.

დედაბერმა ლოგინიდან კვნესა-კვნესით, წვალებით წამოიწია და სუსტი ხელის კანკალით სახეზე მოეფერა.

- რა კარგი გამხდარხარ, შვილო, შენ გაუმრავლდი შენს პატრონსა და შენს მოიმედეს. დაკაცებულხარ კიდეც. რამდენი წლისა ხარ ახლა, თორმეტისა მეცამეტეში, არა?

დემნამ უხმოდ დაუქნია თავი.

- მოიცა! უნდა ავდგე, დიმიტრი, მომეხმარე.

- აბა, აბა, მეტისმეტს ნუ მოინდომებ ხოლმე. მითხარი ერთი, ვისა სჭირდება ოთახში შენი ფრატუნი, დაიოკე ცოტა თავი.

- ოხ, რატომ ჩემი გაჩენის დღე არ დაიწვა! რაღა მაინცადამაინც ახლა გამომივარდა ეს სატკივარი? ნაღვლის ბუშტი რა გამოსაგონებელი იყო, ღმერთო!

დიდ, ფუმფულა ბალიშებზე მისვენებული ელენე ბებო ხარბად, თვალმოუშორებლად შეჰყურებდა დემნას და უცნაურად მეტყველი თვალებიდან ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. ტირილის შეკავებას ცდილობდა, სურდა ბიჭისთვის /ეგებ დიმიტრი პაპასთვისაც/ თავისი მღელვარება რამენაირად დაემალა, ბაგეებზეც კვლავ უსუსური ღიმილი გადაჰფენოდა და ამის გამო მის შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს თვალებს სახის სხვა ნაკვთებთან საერთო არაფერი აქვთ და მათგან დამოუკიდებლად საკუთარ თავს დასტირიანო.

- ხალიც კი, დიმიტრი, ხალიც კი ისეთივე აქვს მარჯვენა ყურქვეშ! გესმის? აბა ცოტა კიდევ მოტრიალდი, შვილო.

ნეტავი ეგ რაღა გასაკვირი იყო! ხალი კვლავ ისეთივე იქნებოდა, როგორიც ამ ექვსიოდე წლის წინ ჰქონდა, როცა პირველად ნახა ამ დედაბერმა, როდის მომხდარა, რომ დროთა სვლისგან ვინმეს ხალი გაჰქრობოდა ანდა გადასხვაფერებოდა? ან ეს რა არის, რა ბაზარზე გაყვანილი საქონელივით მათვალიერებენ აქეთ-იქიდან? - მათი ყოველი სიტყვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი მოქმედება ბრაზსა ჰგვრიდა დემნას.

– კარგი, ჰო, კარგი, – ამშვიდებდა მეუღლე ელენე ბებოს, – რა დაგემართა, სხვა რამეს ელოდი თუ რაა... – სკამები მოიტანა და საწოლის სიახლოვეს დადგა. მერე დემნას მიმართა: – აბა ერთი დავსხდეთ და ჭკვიანურად ავწონ-დავწონოთ ჩვენი საფიქრალ-საგონებელი. არ გინდა, გაიგო, რისთვის დაგხვდი და რისთვის წამოგიყვანე ჩვენთან? ან ის არ გაინტერესებს, თუ რატომ ტირის და მოთქვამს ეგრე მწარედ ეს ჩემი ქალბატონი?

ბიჭმა უწადინოდ აიჩეჩა მხრები. მან ნამდვილად არ იცოდა და არც დიდი სურვილი ჰქონდა, გაეგო, ეს თითქმის უცნობი დედაბერი რატომ ქვითქვითებდა და იმდუღრებოდა მაინცადამაინც მის გამოჩენაზე. იმდენი ჭკუა კი ჰქონდა, რომ მიმხვდარიყო, ელენე ბებოს ტკივილები მხოლოდ ნაღვლის ბუშტის ანთებით არ შემოიფარგლებოდა და სატირალი სხვაც ბევრი რამე უნდა ჰქონოდა, მაგრამ დემნა რა შუაში იყო, იმისგან რა უნდოდათ, აი, ამის გულისხმაში ვერ ჩავარდნილიყო და მიუხვედრელობისგან საკუთარ თავზე თანდათან კიდევ უფრო მეტად ერეოდა ბრაზი: ეგეთი უნდილი რატომა ვარ, თოკშებმული ბატკანივით ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე რატომ გამოვყევი ამ კაცს და, საერთოდაც, რა მინდა აქ, რა მესაქმება ამ ხალხთანო. განსაკუთრებით ხალზე ჩაციებამ გააღიზიანა, რაც თავისი ბავშვური თვალთახედვით ქალურობის ნიშნად და, აქედან გამომდინარე, საკუთარ თანდაყოლილ ნაკლად მიაჩნდა, იქნება სულაც იმიტომ, რომ შინ, დიდ ოთახში, სარკესთან დედას ნატო ვაჩნაძის ფერადი სურათი ჰქონდა გაკრული და იმის შემხედვარე დემნასაც ხალები მხოლოდ ასეთი ულამაზესი ქალების შემამკობელი და დამამშვენებელი რამ ეგონა.

– ესე იგი, ვერ მიხვდი, რატომ ტირის, არა?

წარბშეჭმუხნილმა ბიჭმა უხალისოდ გააქნია თავი.

– რატომ ტირის, ჩემო დემნა, და გაუგია... მომხედე აქეთ, არ მიგდებ ყურს? გაუგია, ფიზიკა რომ არ გიყვარს და არცა სწავლობ წესიერად. – თავისას განაგრძობდა დიმიტრი პაპა: – ისიც იცის, მასწავლებელი წლის ბოლოს სამიანის გამოყოლებას რომ გპირებს. აბა ეგ რა საკადრისია! შენ თვითონ თუ მოგწონს შენი საქციელი? ან ამხელა გზაზე იმისთვის მიდი-მოდიხარ, რომ სამიანი დაგიწერონ? მითხარი, ამის მერე რა პირით უნდა შეხედო ან დედაშენსა და ან სხვას.

დემნამ გაოცებულმა შეავლო თვალი:

– მერე თქვენ ეგ რა იცით?

– რა ვიცით? როგორ თუ რა ვიცით, მთელი ქალაქი მაგაზე ლაპარაკობს.

– იჰ, კარგი ერთი, ქალაქი არა...

– რატომ არ დაეხსნები, დიმიტრი, სამიანებისთვისა გცხელა ვითომ? ოღონდ კარგად იყოს და რა ნიშნებიც უნდა, ის მიიღოს. – კვნესით ჩააჩუმა ელენე ბებომ მეუღლე.

– მაგას რად იტყვი, ელენე, – გაიოცა დიმიტრი პაპამ, – თუ სამიანებზე ისწავლის, აბა კარგად როგორღა იქნება?

– მაშ, შენს დღევანდელ ლაპარაკს რა მნიშვნელობა აქვს? მოვალეობის მოხდაა და მეტი არაფერი, ალბათ, ეგეც არა... ხუთ-ექვს წელიწადში ერთხელ თუ ნახე, ან რა აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი და ან რა ზემოქმედება უნდა მოახდინო?

– აბა სხვა რა ვქნა, ელენე, რაა?! – უძლურებისგან ლამის იყვირა მოხუცმა.

– ის უნდა გააკეთო, რაც მე გითხარი.

– რა ვქნა, ეგეც რომ არ გამოდის, ელენე? ხომ ვცადე ერთხელ და არ გამოვიდა, ამიტომ...

ტელეფონმა დარეკა. დიმიტრი პაპამ ყურმილი აიღო:

– კარგი რაა, იაკობ, ხომ შევთანხმდით ხვალ რვა საათზე ბაზართან შევხვდევთ ერთმანეთსო, რა მოგივიდა?.. ჰო, ჰო, მაგრამ მაპატიე, ახლა მაგისათვის არა მცალია...

ყურმილი გაღიზიანებულმა დადო და ოთახში გაიარ-გამოიარა.

– არა, არ გამოდის-მეთქი, ელენე, არა... – მერე დემნას მიუბრუნდა, თითქოს იმისგან ელისო შველას: – შენ რატომ არაფერს გვეტყვი, კაცო, რას გაჩუმებულხარ, პატარაობისას ენას არ აჩერებდი ხოლმე, სულ ტიკტიკებდი და ტიკტიკებდი, ახლა რაღა დაგემართა, გვითხარი რამე.

დემნამ უმწეოდ გაიღიმა. რა უნდა ეთქვა, თუნდა სურვილი ჰქონოდა კიდეც, თითქოს სხვა ენაზე მოლაპარაკე ცოლ-ქმრის საუბარში რანაირად ჩარეულიყო. იმათი ნათქვამის თავი და ბოლო ვერ გაეგო, ვერ მიმხვდარიყო, იმის ირგვლივ რა ხდებოდა, რა უნდოდა, რას მოითხოვდა ეს უცნაური ხალხი ან დემნასგან და ან ერთმანეთისგან. ჰო, ის კარგად ახსოვს, რომ რამდენიმე წლის წინ შვილად აყვანას უპირებდნენ, თითქოს ერთი ბოგანო და უპატრონო ბავშვი ყოფილიყოს. დედას ემალებოდნენ და დიდის გულმოდგინებით უმტკიცებდნენ: – ჩვენ წავიყვანთ და ჩვენ გავზრდითო, ნახავ, თუ შენთვისაც უკეთესი არ იქნება და ამისთვისაცო, – მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერ მიართვეს! დედამ საკადრისი პასუხი გასცა, შავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე დააყენა ბებრებს. მართლაც, აბა როგორი მოსათმენია, ვინმე შვილს გეცილებოდეს და მით უმეტეს, ერთადერთ შვილს?! ესენი კი, როგორც ეტყობა, თავისას დღესაც არ იშლიან და ისე ელაპარაკებიან, გეგონება, იმის გაზრდაში რაღაცა ამაგი, რაღაცა წილი თვითონაც ედოთ. აი, ამას კი ვერ მიმხვდარა, ვერ გაუგია, ეგრე დაჟინებულები რის საფუძველზე ეთოთხმეტებიან. გაურკვევლობა კი, რაც თავი ახსოვს, ყველაფერზე მეტად სძულდა და აღიზიანებდა. მუდამ ეჩვენებოდა, რომ გარშემო მყოფი ადამიანები სულ რაღაცას უმალავდნენ, რაღაცა მნიშვნელოვანს უიმისოდ აკეთებდნენ და რაღაცის მონაწილეობის ღირსად არ მიიჩნევდნენ. ეს არაფრად ჩაგდება ძნელი ასატანი კი იყო, მაგრამ, ჯანდაბას, ახლა ამასაც აღარ დაგიდევდათ, ამასაც დაივიწყებდა და სხვასაც აღარაფერს გაიხსენებდა, ოღონდ თავი დაენებებინათ, მოესვენებინათ. მხოლოდ ერთადერთი სურვილი შერჩენოდა: რამენაირად აქედან გაეღწია, დაკარგული თავისუფლება დაებრუნებინა და შინ, სოფლურ წვრილმან საქმეებში ჩაეჩუმქრა ადამიანთაგან მიყენებული წყენა. იქ კი უამრავი გასაკეთებელი და მოსასწრები დაჰგროვებოდა. არადა, აფსუსი არ იყო, ამნაირი დღის დაკარგვა! – ფიქრობდა შეწუხებული, – მარტს კი ჰკილავენ, მაგრამ არც აპრილია ბოლომდე სანდო, ვინ იცის, უცებ წამოვიდეს წვიმები და მერე გამოდარებას საშველი აღარ დაადგეს. მარტო ფიჩხის ლობიორა სათქმელია, განა სხვა საქმე კი ცოტა აქვს გასაკეთებელი?

– აი, ჩემი შვილი, – დემნა ფიქრებიდან გამოერკვა. დიმიტრი პაპა ახალგაზრდა კაცის კედელზე დაკიდებულ პორტრეტზე უთითებდა: – აი, ჩემი შვილი ისტორიკოსი იყო, მაგრამ, შენ წარმოიდგინე, არც ფიზიკა იცოდა არვისზე, თუნდაც იმ შენი ფიზიკის მასწავლებელზე ნაკლებად. იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ფიზიკის ცოდნაც აუცილებლად მიაჩნდა... ისედაც, ფიზიკა არ არის ცუდი საგანი, აბა რით არის ცუდი საგანი?!

დემნას გაახსენდა ფიზიკაში მოსალოდნელი სამიანი და გუნება კიდევ უფრო წაუხდა. მერე ხედვის არეში მოხვედრილ ბებრულ ხელს გააყოლა თვალი და იმ კედელს მიაშტერდა, დიმიტრი პაპა რომ უთითებდა: ოციოდე წლის ახალგაზრდა მინის მიღმიდან ჩაძიებული, ფოტოსთვის შეუსაბამო დაჟინებული მზერით გადმოჰყურებდა და თან ტუჩის კუთხეებში ოდნავშესამჩნევი ღიმილი უკრთოდა. გახედა კედელს და იმ წუთში ისიც გაახსენდა, რომ წინა ოთახშიც ამ ვაჟის ვეება სურათს მოჰკრა თვალი და სწორედ ის პორტრეტი იყო, მოხუცებთან პირველი სტუმრობისას დედამისი რომ შეაცბუნა.

– საკვირველი კია, სხვა საგნებს თუ კარგადა სწავლობ, ვითომ ფიზიკამ რაღა დაგიშავა? – ხელები გაშალა დიმიტრი პაპამ. მერე კვლავ წამოდგა სკამიდან და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. მივიდოდა მეორე ოთახში გასასვლელ კართან, მარცხენა ქუსლზე ჯარისკაცივით შემოტრიალდებოდა და გამობრუნდებოდა მეუღლის საწოლამდე, მივიდოდა და გამობრუნდებოდა, თან დიდი მონდომებით ისრესდა ნიკაპზე დატოვებულ პატარა, თეთრ წვერს.

ჩეფიჩი. ამ კაცზე გაბრაზებულმა დედამ პირველად ნახვისას სწორედ ასეთი უცნაური წვერის გამო ჩაიბუტბუტა ეს უცნაურივე სიტყვა. ნეტავი რას უნდა ნიშნავდეს „ჩეფიჩი"?

დიმიტრი პაპამ ბოლთის ცემა შუა გზაზე შეწყვიტა, დემნასკენ წამოვიდა და იმისი სკამის საზურგეს ცალი ხელით ჩამოეყრდნო:

– სახეზე გეტყობა, ამ წუთში როგორ გეჯავრები და თვალით არ დაგენახვები, გძულვარ... მოსალოდნელიც იყო. რას იზამ, შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, არამკითხე მწურთვნელი და ჭკუის დამრიგებელი ყველაზე მეტად აღიზიანებს ადამიანს. რომ იცოდე, მე არც მაგას მოვერიდები და მაინც ვეცდები, ჩემი სათქმელი გითხრა, ჩემი მოვალეობა მოვიხადო, რადგან შენი მომავალი მაფიქრებს. კარგად დაიმახსოვრე, შვილო, აქედანვე თუ არ შეიგნე, აქედანვე თუ არ შეისისხლხორცე, რომ დროის ფუჭად ფლანგვა დანაშაულიაო, მერე მორჩა, ძნელადღა მოახერხებ იმის დაფასებას. – გაბრუებულ ბიჭს ზედ გადმომხობილი ჩამოსძახოდა, თან სათქმელს დირიჟორივით თითს აყოლებდა და იმას კი აღარ დაგიდევდათ, ყმაწვილის გონებამდე თუ აღწევს ჩემი სიტყვებიო, – სწავლის ჟამი ახლა გიდგას, ახლა არ უნდა იფუქსავატო და იქარაფშუტო, თორემ უკან მოხედვას ვერ მოასწრებ, კეთების ხანა მოგიკაკუნებს კარზე. მაშინ რას იზამ? მაშინ ვინ იქნება შენი მშველელი? არავინ!

ამას უყურეთ, ე! სიტყვით ერთსა ქადაგებს და საქმით მეორეს მიმტკიცებს – მთელი დღე დამაკარგვინა, ამდენ სამუშაოს ჩამომარჩინა და ჭკუას აქეთ მარიგებს: დროის ყადრი უნდა იცოდე, დრო უქმად არ უნდა გაფლანგოო! – დემნას ცეცხლზე ნავთს ასხამდა მოხუცის ნაუბარი.

– მოდი, იცი, რა ვქნათ? – თქვა უცებ დიმიტრი პაპამ, – კაცები ხომ ვართ? ერთმანეთს თითო პირობა მივცეთ და შევასრულოთ კიდეც.

არდადეგებამდე ჯერ თითქმის თვეა დარჩენილი, მეტი თუ არა; მოინდომე და დაუმტკიცე შენს თავსაც და სხვებსაც, რომ ნამდვილი ვაჟკაცი ხარ. ელენე ბებოსი რა მოგახსენო და მე კი მტკიცედ მჯერა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ოთხიანზე ნაკლები ნიშანი არც ფიზიკაში გამოგყვება...

– ვაი, საბრალო ჩემო თავო, თურმე ჩვენი ბედი და მომავალი ფიზიკის ნიშანზე ყოფილა დამოკიდებული, – ოხვრით ჩაილაპარაკა ელენე ბებომ.

მეუღლეს იმის ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, თითქოს არც გაეგონოს, თავისას განაგრძობდა.

– მე ხომ პატარაობიდან გიცნობ და ეჭვიც არ მეპარება, რომ იმედს არ გამიცრუებ, არ გამაწბილებ. ჩემი მხრივ კი გპირდები... აბა თუ იცი, რასა გპირდები? მისმენ?

დემნა გონებაჩლუნგივით უაზროდ შეპყურებდა.

– რასა გპირდები და აი, სიბერისგან ხომ მთლად გადაღანღალებული ვარ და სული კბილით მიჭირავს – სამოცდაექვსს გადავაბიჯე უკვე, მაინც იქამდე არ დავიხოცებით არც მე და არც ბებო, სანამ ნამდვილად ბედნიერი არ იქნები და არ იტყვი, მორჩა, ცხოვრებაში დღეიდან აღარაფერი მიჭირსო. გასაგებია? მოდი, აბა დაარტყი ხელი!

დემნამ დიმიტრი პაპას დაღარულ-დანაოჭებულ მტევანში უნებურად თავისი პატარა ხელი ჩაუდო და იმავდროულად თვალი შეავლო მოხუცს. არა, ტყუილად უჩიოდა ნაადრევ სიბერეს, ტყუილად აცოდებდა თავს – მერე რა, რომ ერთიანად გათეთრებულიყო, სამაგიეროდ, ეგეთ ტანს ბევრი ახალგაზრდა ინატრებდა.

დიდ მჭევრმეტყველებას ვერ დაიკვეხნიდა დიმიტრი პაპა და ფიზიკის ცოდნის აუცილებლობაზე წაკითხულ ლექციასაც დამაჯერებელს ვერ უწოდებდი, მაგრამ დემნამ მაინც შეასრულა დანაპირები, ოღონდ დღესაც არ იცის, ეს ამბავი შეიტყო თუ არა მოხუცმა.

ხოლო რაც შეეხება ბედნიერებას, მანამდეც და მას შემდეგაც, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა იმას უმტკიცებდა, შენზე ბედნიერი კაცი ჯერ არ დაბადებულაო. აი, ეს კი, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ იქნა და ვერ ირწმუნა. ან კი ამ იკლიკანტურად მოწყობილი წუთისოფლის შემხედვარეს რა ბედნიერების იმედი უნდა ჰქონოდა?

თქმა არ უნდა, დიმიტრი პაპამ ქვეყნად სამუდამო არსებობისთვის გაიმეტა თავი.

ჩვენ რაც დასაწყისი გვგონია, სინამდვილეში ნახევარგზა მაინც არის, მეტი თუ არა, რადგან იმ ყველაფერს საფუძველი ხილულს იქით, შესამჩნევს იქით, ბევრად უფრო შორს და ღრმადა აქვს ხოლმე ჩაყრილი. დღეს უკვე კარგად შელერებულებსა და დაკაცებულებს, რაც გაგვაჩნია სულიერი თუ მატერიალური, რაც ამ ხნის მანძილზე გვიშოვია თუ მოგვინაგრებია – კარგიცა და ავიც – მხოლოდ ჩვენად ვერ ჩაითვლება, სანახევროდ მაინც მშობლების კუთვნილებაა, წინაპრების ხელიდან არის გამოსული. ჩვენს მიერ მოსათხრობი ამბავიც აღრე, ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ღიმილად ქცეული შინაურები თითოეულ ჩვენთაგანს და მათ შორის, რაღა თქმა უნდა, დემნასაც, ყველას დასანახად სწევდნენ მაღლა:

– შეხედეთ, ღმერთმა ეს რა გვიწყალობა! – თავიდან, პირველ ხანებში საკუთარსავე ემოკარში.

– რა ნიჭიერი ბავშვია! – ამბობდნენ სკოლაში.

– ეჰა, რა ფრიად იმედისმომცემია! – უნივერსიტეტში.

ერთი სიტყვით, უფლისწულს სამეფოდ ამზადებდნენ, მაგრამ სხვებმაც იცოდნენ და მერე თვითონაც მიხვდა, ტახტს ვერასოდეს ეღირსებოდა, საიმისო გვირგვინი არ გამოჭედილიყო და არც არასოდეს გამოიჭედებოდა. ეს თამაში იყო მხოლოდ, ბურჭალი. ირგვლივ დიდ-პატარა თამაშს მისცემოდა. დემნას უფლისწულის როლი ერგო სამუდამოდ, დაუსრულებლად. სხვა რამის ღირსად არ გახადეს – არ მიიკარეს, არ ჩარიეს სადიდო საქმეში. ქამიდან ქამად ბზრდებოდა ეგეთი ყოფა, აიყალყებოდა, აიტორებოდა, ეშვებსაც გამოაჩენდა: ნახეთ, ჩემს ბავშვობას ყავლი კარგა ხანია გაუვიდაო, მაგრამ უცებ ამოუვსებდნენ, ამოუგლესავდნენ პირს ტკბილეულით, ფაფარზედაც ალერსიანად გადაუსვამდნენ ხელს და ისიც ადვილად ყუჩდებოდა, ოკდებოდა. ან რას დაობდა, მე შენ გეტყვი და გამონაკლისად ჩათვლიდა ვინმე! ბოლოს და ბოლოს, ეგრე არ იყო ყველა? თითქმის ყველა? მარტო იმას ხომ არ აკლდა *დ რ ო ი ს* ყადრი – ნიჭთა შორის ყველაზე დიდი ნიჭი – სულიერსაცა და უსულოსაც იმ ხანებში ლამის ესა ჰქცეოდა ცხოვრების წესად. ამას განა თვითონ ვერა ხვდებოდა? ხვდებოდა და მერე როგორ! ეჰ, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ისიც ეჩვენებოდა, ეჩვენებოდა კი არა, სჯეროდა კიდეც, რომ სივრცეებში გაფრენილი დედამიწა ეგრე თავგამოდებით სწორედ ერთი წამის წინ თავისი უგერგილობისა თუ სიზარმაცის გამო ხელიდან გამსხლტარ *დ რ ო ს* მისდევდა ფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდაფეხ.

მისდევდა და ვერკი ეწეოდა!

ჰო, არც დემნამ იცოდა დროის ყადრი. დაბადებიდან არ დაჰყოლოდა და არც კაცი ჩანდა, რომ ესწავლებინა /ერთი-ორჯერ ვალის მოსახდელი ჩაძახილი რა სათვალავში ჩასაგდებია?/. ვინ დამოძღვრავდა? იმ ხანებში მასწავლებელთა კასტა უკვე გადაშენების პირას იყო მისული, თითქმის აღარ იპოვებოდა /რა თქმა უნდა, ამჯერად „აი იასა“ და „ორჯერ ორის“ სწავლებაზე არ მოგახსენებთ/. ეს ხელობა უსარგებლოდ და არარენტაბელურად მიიჩნიეს მავანთა და მავანთ - გაწეული შრომის საფასურს სანახევროდაც რომ ვერ ანაზღაურებდა. ჰოდა, აბა აუტკივარ თავს ვინ და რატომ აიტკიებდა, როცა ლაქარდიანი ენით ხოტბის შესხმა და „რა კარგი ხარ, რა კარგის“ ძახილი სწავლებაზე ბევრად უფრო იოლი გახლდათ. ის კი არადა, ზოგ-ზოგებმა ამ საქმიდანაც მოახერხეს მშვენიერი სარგებლის ნახვა.

სხვა რაღა ჩარა ჰქონდა და გვარიანად დაკაცებულმა დემნამაც თავის მოტყუების საყოველთაოდ მიღებული ხერხი იფარა - უდარდელობის ნიღაბი მოირგო და ვიღაცა უცნობებს ან იქნება მაღლა და დაბლა მთელ ქვეყნიერებას მუშტის ქნევით დაექადნა:

- მაცალეთ, ჯერ მაცალეთ!!!

და იმაზე ოცნებას მიეცა, თუ როგორ გააოცებდა მომავალში თავისი ნიჭითა და ნამოქმედარით შინაურსა და გარეშეს. რა ძალიან ჰგავდა ეს ჭიანი იმედი ქილა ერბოს პატრონის ოცნებას. თუმცა არა, იმ კაცის იმედს ცოტაოდენი ერბო მაინც ჰქონდა ლიბოდ, საძირკვლად, დემნას კი კოჭიდან გაშვებული საპნის ბუშტების მეტი არა გააჩნდა რა.

ოცნება ოცნებაა, მაგრამ იქ შექმნილ ედემსაცა აქვს კიდე და განი, დასაწყისი და დასასრული. მირაჟი კი იმისი მირაჟია, რომ ბოლოს და ბოლოს აუცილებლად განქარდება თვალთაგან. როცა დემნა ზმანებიდან გამოერკვა, როცა თვალი გაახილა, ძალზე უწადინოდ და უნდომლად იგრძნო, რომ უფლისწულობის ასაკი კარგა ხნის წინ ჩაბარებოდა წარსულს და თამაშ-ბურჭალსაც ყავლი გასვლოდა. სამოთხიდან გამოეძევებინათ, თანაც ეულად, ევას გარეშე. მხოლოდ იმის მკრთალი სილუეტი ინაკვთებოდა შორს, დროის უნაპირობაში. ხსოვნას კი ვაშლის გემოზე ძლიერად ქალის ხატება შემორჩენოდა.

ირგვლივ მხოლოდ ხრიოკი ტრამალი იყო, აქლემის უამრავი ნაფეხურით წაღმა-უკუღმა დაქსელილი ტრამალი.

საით ევლო?

საით წასულიყო?

ვის ან რას მინდობოდა?

ვთქვათ და ეყვირა კიდეც, რას გააწყობდა. ძახილი ჯოჯოხეთშიც ისმის, მაგრამ გამგები არავინ არის.

იმისი შორეული წინაპარიც აქეთ თუ ამის მსგავს ადგილას მიდიოდა. ერთგან გზაგასაყარს მიაგანა. ქვაზე ეწერა: პირდაპირ წახვიდე - ადვილად მოხვიდე, მარჯვნივ წახვიდე - ძნელად მოხვიდე, მარცხნივ წახვიდე - ვეღარ მოხვიდე...

ო-ჰო-ჰო- ჰო, დიდი ამბავი! აბა, ბიჭო, ვეღარ მოხვიდე!

ისე დაბრუნდებოდა, რომ მზე მაღლა იქნებოდა. ან რაღა უნდოდა, მეტის რისი მთხოვნელი იყო? არჩევანის საშუალება ხომ მისცეს? მისცეს! საითაც უნდოდა იქით აიღებდა გეზს, თავისი ნება გახლდათ. მეორეც, მოუსავლეთის გზასაც რომ დასდგომოდა და მართლაც ვერ დაბრუნებულიყო, ის მაინც ეცოდინებოდა, სად მიდიოდა და რისთვის მიდიოდა. ეს კი პატარა საქმე ნურავის ეგონება. აქ, ამ ხრიოკზე დგომასა და ადგილის ტკეპნას სატანასთან შესახვედრად სიარული სჯობდა.

სანამ ნამდვილად ბედნიერი არ იქნები, არ დაგიხოცებითო, - პირობას უდებდა დიმიტრი პაპა. სხვები კი, მანამდეც და მას შემდეგაც, ყველა იმას უმტკიცებდა: აქ რომ გაჩნდი, შენ უკვე ბედნიერი ხარ, შენზე ბედნიერი კაცი ჯერ არ დაბადებულაო.

ნაიას ბიძა, ხელმძღვანელი ამხანაგი, ახალგაზრდების სადღეგრძელოს ამბობდა: - თქვენგან მოველით სამომავლოდ უდიდეს მიღწევებსა და წარმატებებს. ახალ-ახალ წინსვლაგამარჯვებებს გისურვებთ იმ დიადი მიზნისკენ მიმავალ გზაზე, რისთვისაც ჩვენ და ჩვენმა წინა თაობამ უამრავი სისხლი გავიღეთ. მალე თქვენ უნდა ჩაიბაროთ ის ცეცხლისა და ტყვიის წვიმაში გამოვლილი დროშა - თქვენ - დიდი სამამულო ომის შემდგომ შობილმა ბედნიერმა თაობამ, ვისთვისაც მოვიპოვეთ ეს ყველაფერი.

ჩუმად ისხდნენ ყმაწვილები. ხმას ვინ ამოიღებდა - ზოგს ნაიასი ეხათრებოდა, ზოგს იმ ხელმძღვანელი ამხანაგისა.

ისე კი, მართლაც ბედნიერნი იყვნენ ომის შემდგომ დაბადებულნი, სამდურავი ნამდვილად არ ეთქმოდათ - ომი ხომ არ უნახავთ და არ უნახავთ, არც ომის შემდგომი შიმშილიანი წლები ახსოვდათ, საჭმელი ბევრი ჰქონდათ და ჩასაცმელ-დასახური თავზე საყრელი. მათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ყველაზე უფროსებმა გამარჯვებიდან ოციოდე წლის მერე დაამთავრეს საშუალო სკოლა, ცხოვრებაში გამოვიდნენ, თვალი აეხილათ.

დიახ, თვალი აეხილათ!

ზღაპარი, ცხოვრებისგან დაღლილმა ადამიანმა მცირე ხნით თავის მოსატყუებლად, ხორციელი ყოფის გასალამაზებლად, წუთისოფლის ამაოებისგან სულის მოსათქმელად გამოიგონა. განა რომანი სხვა რა არის, თუ არა ცხოვრება. ჰოდა, მიჰყე მიხედულებასაო - ჩვენც შიგადაშიგ ამოვისუნთქოთ და თითო-ოროლა ზღაპარი გავურიოთ თხრობას.

ოღონდ არ შეგვეშალოთ, ეს ჩვენებური არ გახლავთ, ეგრე მახსოვს, აფრიკული ზღაპარი უნდა იყოს და ამიტომ „შავი მგალობელი" და „ღმერთი მწყალობელი" არანაირად არ მიესადაგება:

დაბადებიდან უსინათლო იყო კაცი. ერთხელ მყუდროზე მჯდარს წამიერად თვალი აეხილა, მხოლოდ იქვე მდგარი ვირის დანახვა მოასწრო და ისევ დაკარგა სინათლე. ეს პატიოსანი ცხოველი, რაღა თქმა უნდა, სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში და აბა რა გასაკვირი იყო, რომ ამის მერე რაზეც უნდა ყოფილიყო საუბარი, ვირი ახსენდებოდა, ყველაფერს ვირს უდარებდა, ვირის მიხედვით ზომავდა და წონიდა არსებულსაც და არარსებულსაც.

I ვინმე: - უყურეთ, უყურეთ ჩემს შვილიშვილს, რა ლამაზი თაიგული მოუტანია მინდვრიდან!

უსინათლო: - დავიჯერო ვირზე ლამაზია?

II ვინმე: - რა გულადია ჩვენი ბელადი!

უსინათლო: - ვირივით გულადი, არა?

III ვინმე: - წელს ძალზე ბევრი იყო ანანასი.

უსინათლო: - ვირით უნდა მოგეზიდათ, უტვინოებო, ვირით! - ყვიროდა პირზე ნაქაშურებმომდგარი.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ჩვენ როცა თვალი ავახილეთ, ვირი არ დაგვინახავს, ჩვენ ფული დავინახეთ.

## II

ღემნა ისევ საწოლზე იჯდა და ფანჯარას უყურებდა. ფანჯარა ვიწრო იყო, ძველმოდური და ამით ძალზე წააგავდა ეკლესიის სარკმელს, მაგრამ ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულ იერსახისად შეიძლება ჩაგვეთვალა, რადგან ღემნას ფანჯარა მონასტრის ლანძვისგან განსხვავებით მისი შემქმნელის მიერ მინდობილ ძირეულ დანიშნულებას ვერ ამართლებდა - იმდენ შუქს ვერ უშვებდა შიგნით, რომ ტაძრის სარკმელივით საკმარისი სინათლით აევსო ოთახი. მისი შეხედვა მაინც ხშირად მონასტერს ახსენებდა და ბერების ყოფაზე ჩააფიქრებდა ხოლმე. ის ხანა კი ისეთი შორეული და უცხო ეჩვენებოდა, რომ ლამის ეჭვი შეჰპაროდა: ნეტავი მართლა თუ არსებობდა ოდესმეო. ისიც კი ძლივს დააჯერა საკუთარ თავს, რომ ბერები მარტო ბებრები არ იყვნენ და მორჩილი ყმაწვილებითა და ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცებითაც სავსე იყო ღვთის სახლები. ხოლო იმისი წარმოდგენა დღესაც უჭირდა, რომ შეიძლებოდა, ვიღაცა უმტკივნეულოდ და დაუნანებლად შელეოდა ამ ტკბილ-მწარე ცოდვებით მოკეკლუცებულ წუთისოფელს, მიეტოვებინა შინაურები, ნაცნობ-მეგობრები, საყვარელი საქმე და სენაკის ცივ კედლებში თავისი ნებით გამოკეტილიყო. ვერც იმას მიმხვდარიყო, რა უნდა ეკეთებინათ იქ მთელი სიცოცხლის მანძილზე, რანაირად უნდა მოეკლათ *დ რ ო*. ვთქვათ: გაზაფხულობით და ზაფხულობით ბაღ-ბოსტნებში, მინდვრებსა და ზვრებში ფუსფუსებდნენ - ხნავდნენ, თესავდნენ, სხლავდნენ, ხანდახან სოფლებშიაც ჩამოდიოდნენ. მაგრამ ზამთარში? ზამთრობით რაღას საქმიანობდნენ, რა ათენებინებდათ გრძელ-გრძელ ღამეებს? ისეთი რა მიზანი ჰქონდათ, რომ ეგეთი მძიმე ყოფა თავს არ აკვლევინებდათ?

ალბათ, კარგია, როცა კაცს შენი ღმერთი გყავს და საკუთარი სურვილით ემსახურები კიდეც, მაგრამ არა მგონია, ვინმეს შეეძლოს ოცდაოთხი საათის განუწყვეტელ ლოცვა-ვედრებაში გატარება. რაღაცა ისეთიც ხომ გჭირდება, ყოველდღიური ერთფეროვნებიდან თუნდაც წამიერად რომ დაგასვენებს, ღვთის სამსახურიდანაც ცოტა ხნით რომ ამოგასუნთქებს და სულს მოგათქმევინებს... აუჰ, როგორ დავშორებივართ, ღემნა, იმ ხანას, რა შორს წავსულვართ! მაგრამ შორს წასვლა ყოველთვის წინსვლას კი არ ნიშნავს, ჩემო ძმაო, ეგ იმაზეა დამოკიდებული, გეზი საითა გვქონდა აღებული ან ჩვენ თვითონ, ანდა ჩვენი მეგზური გზას საით გვიკვალავდა /თან შიკრიკს გამოგაყოლებ, ბიჭია ღალატიანი/. დაშორებიხარ, გამოსწირვიხარ იმდროინდელ ყოფას, ღემნა, და ამიტომ ეგებ სჯობდეს კიდევაც, რომ სულ სხვა რამეზე იფიქრო და, რაც არ იცი ან ნაკლებად იცი, იმაზე თავი არ იმტვრიო, მოერიდო და გვერდი აუარო. ჰო, მოერიდე, მოერიდე! მაგრამ გონება არ იშლის, უკან გაბრუნებს და გაიძულებს, კვლავაც გარდასულზე, წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულზე იფიქრო, რადგან სიცოცხლის აზრი იქ, ჩანასახში, საფუძველში გეგულება. ჰოდა, შენც ფიქრობ, ბჭობ, მსჯელობ საკუთარ თავთან: – როგორ შეიძლება, ღმერთს სახად და ხატად თვისად გაეჩინა ადამიანი და ეგეთი მარტივი დავალება დაეკისრებინა მისთვის, რომ ოდენ ღვთის სამსახურში დაელია ღვთისგანვე ბოძებული დღენი. რადგან ღმერთი შემოქმედია, ადამიანმაც მსგავსად მისა ხომ უნდა შექმნას და დატოვოს თავისი ამქვეყნიური არსებობის მანძილზე თუნდაც მცირე რამე? სხვა თუ არაფერი, თუდნაც ლოკოკინის ნავალივით ყალბად მბზინავი ზოლი მაინც ხომ უნდა დარჩეს იმის მიერ განვლილ გზაზე? ტოვებდნენ ბერები რამეს ამის მსგავს?

არ იცი.

თუმცა რა ბერების დარდი გაწუხებს, თვითონ შენ რას შექმნი და შენგან რა დარჩება, დემნა?

მოერიდე, მოერიდე-მეთქი ასეთ რამეებზე დაფიქრებას! თანაც არ იცი, ეგებ სცოდავ და ეგებ მკრეხელობ.

იჯდა საწოლზე და მუხლებზე იდაყვდაყრდნობილ ხელებში სახეჩარგული ფანჯარას მიშტერებოდა. ეტყობა, თავიდანვე უპასუხო კითხვების კორიანტელისთვის იყო განწირული, თორემ რატომ არ უნდა გახსენებოდა ერთ დროს ძალზე ძნელად ხელმისაწვდომ წიგნში ამოკითხული სტრიქონები: *„მოიღე კარი სიმტკიცისა, ჰოი ძმაო, საყვარელო, ესე იგი არს, წმინდანი ლოცვანი და მით შეზღუდვილ იქმენ! აღსდეგ ძილისაგან და იხადე მახვილი ესე ლოცვისა და დასდევ მტკიცედ ძალისაებრ შენისა და ევედრე ღმერთსა სურვილით, ყოვლითა სულითა შენითა და შეგეწიოს შენი ღმერთი მოსწრაფედ, და მოგცეს შენ ძალი და ძლიერება ძლევად უხილავისა მტრისა შენ ზედა კადნიერისა! რამეთუ არა მისთვის არს, ძმანო, ღამე ქმნული, რათა მარადის გვეძინოს და უქმად ვიყვენეთ, არამედ ჯერ არს განყოფად ღამე: რომელნიმე უკვე საქმედ, ხოლო რომელნიმე განსვენებად“.*

თუმცა, რომ გახსენებოდა, უშველიდა?

ის წიგნი პაპუნამ წააკითხა. ოღონდ წაკითხვა არც ეთქმოდა – გადაიკითხა მხოლოდ – იმ ხანებში ასეთ წიგნებს საიმისოდ ვინ ვის ათხოვებდა, რომ ჩაჯდომისა და გულმოდგინედ წაკითხვის საშუალება ჰქონოდა, ხოლო წინასწარი საფუძველი იმისა, რომ გამოწვლილვით შესწავლის გარეშე ასეთი წიგნებიდან სამყოფი საზრდო გამოეტანა, თითო-ოროლა ბედნიერს თუ გააჩნდა.

გაზაფხული იწურებოდა, ილეოდა, უწადინოდ გვეთხოვებოდა. გამომშვიდობებისას, ეტყობა იმიტომ, რომ მისი წასვლით უფრო მეტად დაგვწყვეტოდა, უფრო მეტად მოგვწყლოდა გული, კიდევ ერთი თავბრუდამხვევი ილეთი ჩაატარა – აკაციები გადაპენტა. მამადავითის კალთაზე შეკიდებულ წყნარ ქუჩაზე, სადაც დემნას თავისი ახალი ბუდე მოეწყო, ისეთი დამათრობელი სუნი ტრიალებდა, რომ ჭაბუკს ოთახში გული აღარ უჩერდებოდა და იმ ვიწრო ფანჯრიდან გადმოფრენას ლამობდა, მაგრამ რად გინდა, საგამოცდო სესიები წიგნებიდან თავის აწევის საშუალებას არ იძლეოდა. მგონი, მესამე კურსს ამთავრებდა მაშინ, ჰო, მესამე კურსს... შუადღისას შინ მიაკითხა პაპუნამ. თუმცა სახელმძღვანელოებში ჩაფლულს დრო არავისთვის ეთმობოდა, მაინც გაუხარდა იმისი მოსვლა. ბავშვობიდან მოსდევდა ეს თვისება – ადამიანებთან ურთიერთობა უჭირდა – თითო-ოროლა კაცთან თუ ახერხებდა საერთო ენის გამონახვას. აი, პაპუნა სხვა იყო, პირველივე შეხვედრისას დამეგობრდნენ. იგი ერთადერთი კაცი გახლდათ თავისი კუთხისა, თავისი მხრისა, ვისთანაც მისვლა-მოსვლა ჰქონდა თბილისში და ვისთან მეგობრობასაც აფასებდა და ეამაყებოდა. ისიც სულ შემთხვევით გაიცნო და დაუახლოვდა აქ, დედაქალაქში. არა, ცნობით ადრევე იცნობდა – ერთი სკოლა ჰქონდათ დამთავრებული, მაგრამ პაპუნა რამდენიმე წლით უფროსი იყო და სწავლის პერიოდში ერთმანეთს არც კი გამოლაპარაკებიან. ამჟამად კი აღარც ასაკობრივი სხვაობა და აღარც ის, რომ იმათი ინტერესების სფეროები საკმაოდ გახლდათ ურთიერთისგან დაშორებული, ხელს არ უშლიდა, ემეგობრათ.

– დღეს ბიძაჩემს უნდა ვესტუმრო და შენი წამოსვლაა აუცილებელი, – მოსვლისთანავე ყოველგვარი სალამ-ქალამის გარეშე უთხრა პაპუნამ.

დემნამ გაკვირვებულმა შეხედა:

– გაგიჟდი, ჩემი რა მიყოლა გჭირდება ბიძასთან? ანდა რაში გამოგადგები, არ მიცნობს და არ ვიცნობ.

– წავიდეთ, წავიდეთ და მაგას იქ მიხვდები, გამომადგები თუ არა... ფუჰ, რა არის, დემნა, რა მხუთრი დაგიყენებია? აქ შეიძლება შენც ამოიხრჩო და შენი სტუმარიც. თუ ვერ ახერხებ, რომ სულ დაანებო თავი ამ ოხერ სიგარეტს, იმას მაინც წინ რაღა უდგას, ოთახში არ მოსწიო ხოლმე? აყროლებულია აქაურობა! –

ცხვირს უსიამოვნოდ ჭმუხნიდა პაპუნა, – შენი თავი თუ არ გენანება, მე თუ არ გენანები, ნაიას რას ერჩი, იმასაც აქ უპირებ ამოხრჩობას?

თვითონ პაპუნას ცოტა ხნის წინ მიეტოვებინა თამბაქოს წევა და ამ მიღწევით უზომოდ კმაყოფილი ჩანდა, ეამაყებოდა.

– ეჰ, ჩემო ძმაო, შენ შეიძლება კარგი მასწავლებელი ხარ, მაგრამ მე შეგირდად არ გამოგადგები, – ხელი ჩაიქნია დემნამ.

პაპუნას ბიძას, საქვეყნოდ განთქმულ უროლოგს, მშობლიური რაიონი დიდიან-პატარიანად ლოცვით იხსენიებდა. გაჭირვებულ ხალხში მართლაც საარაკო მადლი ჰქონდა დათესილი – თავისი კუთხის შვილს ზედ გადაჰყვებოდა ხოლმე – იმათგან მკურნალობის საფასურს ხომ არ იღებდა და არ იღებდა, ხშირად ძნელად საშოვარ წამალსაც თავად ყიდულობდა ხელმოკლეთათვის. დემნამაც კარგად იცოდა, ვინ იყო ალექსი გომელაური, მაგრამ, ღვთით, მისი დახმარება არც თვითონ დასჭირებია არასოდეს და არც ვინმეს იმისიანს. ამიტომაც უთხრა პაპუნას: არ ვიცნობო.

– შენს ცნობა-არცნობას რას ვაქნევ, საქმის ჩასაწყობად კი არ მიმყავხარ, რომ სამკურნალოდ ურიგოდ მიმიღოს, მარტო მისვლა და დიდხანს დარჩენა არ მინდა. მივიდეთ, მოვიკითხავ, ორიოდ სიტყვას ვეტყვი და გამოვბრუნდებით. წამომყევი, ცოტა ხანს ჩვენთან ერთად დაჯექი და, თუ არ გინდა, ხმასაც ნუ ამოიღებ.

– ოჰ, შენცა ხარ, რაა! გამონახავ ხოლმე დროს ნათესავებთან სტუმრობისა! შენ არც რა გიჭირს და არც რა გენაღვლება, დაამთავრე უმაღლესი, ცნობილი მსახიობის სახელი გაინაღდე და აღარაფერი გაწუხებს, აღარაფერი გაფორიაქებს. აბა ზოგი მეცა მკითხე! ზეგ გამოცდა მაქვს და ჯერ სანახევროდაც არ მომიმზადებია, – უკმაყოფილება ვერ დამალა დემნამ.

– გეყოფა, გეყოფა, ნუ ამავსე უმიზეზო საყვედურებით! ამდენ ლაპარაკს ისა სჯობდა, ჩაგეცვა და წავსულიყავით, აქამდე უკვე მოსულებიც ვიქნებოდით.

– აბა, ბიჭო, მოსულები...

– კარგი, ჰო, ტყუილუბრალოდ ან შენ რად ჰკარგავ დროს და ან მე რად მაკარგვინებ, მართლა აუცილებელი რომ არ იყოს შენი წამოსვლა, ეგრე ხომ არ ჩაგაცივდებოდი?

წავიდნენ.

პროფესორი ალექსი გომელაური პაპუნას დედის ძმა იყო. მათ ოჯახზე გადაუხდელ ამაგდაყრილმა ჯერ თავისზე ბევრად უმცროს დას უპატრონა, გამოზარდა და დააბინავა, მერე თბილისში სასწავლებლად ჩამოსულ დისწულზე მზრუნველობა დაივალდებულა და დააძალა: ჩემს სახლში დაბინავდიო. მაგრამ სხვა შემთხვევაში ბიძის ნათქვამის უსიტყვოდ შემსრულებელმა ბიჭმა ამჯერად მოულოდნელი გაქირი ქნა და ვერაფრით დაიყოლია. მაშინ უარით განაწყენებულმა ალექსიმ ესლა მოახერხა, რომ ერთი წესი ძეგლისდებასავით დაუკანონა: სხვა დროს თუნდაც ყოველდღე ერთად ყოფილიყვნენ, შაბათობით ყმაწვილს მაინც ბიძასთან უნდა ესადილა და მთელი კვირის საქმიანობის ანგარიში ჩაებარებინა. კაცმა რომ თქვას, ასეთი წინადადების საწინააღმდეგო პაპუნასაც რა უნდა ჰქონოდა? მით უმეტეს, რომ ვინმესთან პირშერცხვენილი და სახელშელახული არც თვითონ იყო, პირიქით, კვირიდან კვირამდე საამაყო და თავმოსაწონებელი საკმაოზე მეტიც უგროვდებოდა და რა სჯობდა, თუ ამას თავისიანებსაც გაუზიარებდა. ამიტომაც იყო, რომ ყოველ შაბათს იქით მიუხაროდა, იმათთან მისვლას არაფერი ერჩია. მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე გამოდგა, მალე გაუცვდა და გაუხუნდა. მოულოდნელად ისეთი მეხი დაეცა, ისეთი უბედურება დატრიალდა გომელაურების ოჯახში, რომ იმათი ცოდვით ქვაც დაიფერფლებოდა – პროფესორის თერთმეტი წლის შვილიშვილს სისხლის გათეთრება აღმოაჩნდა. რაც ალექსი გომელაურს ამქვეყნად მადლი დაეთესა და გაჭირვებაში ჩავარდნილისთვის ხელი გაემართა, სიბერის ჟამს ასეთი ურვა და წამება რატომ უნდა მირგებოდა იმის სახლობას, მაგრამ წუთისოფლის სამართლიანობისა რა მცოდნია! ეს არც პირველი შემთხვევა იყო და არც ბოლო მზისქვეშეთში მადლის მაგლად გადაქცევისა. ავადმყოფის პატრონებმა ეს მერე წაიწუწუნეს, თორემ იმხანად ვიშვიშისა და სოფლის სამდურავის აღსავლენად არ ეცალათ, თავქაჯშეყრილნი დღედაღამ უკვდავების წყაროსკენ მიმავალ ბილიკებს დაეძებდნენ. რა არ იღონეს, შეძრეს და შეაწრიალეს მთელი დუნია, სამამულო თუ საზღვარგარეთული წამლებიც სცადეს, გაუჩინარი გააჩინეს, მაგრამ ამაო გამოდგა ყოველივე – წელიწადნახევარში გათავდა, ხელიდან გამოეცალათ ბავშვი და ამ ერთ დროს სვებედნიერ კომლში გაუსაძლისმა მწუხარებამ დაისადგურა. ახლა უკვე აქ სტუმრობას ჯოჯოხეთში ჩასვლა ერჩია პაპუნას. თუმცა იმას მიხვედრილიყო, რომ მართლად და სინდისიერად არ იქცეოდა – გაუბედურებულ ნათესავებს ახლა სჭირდებოდათ ნუგეშისცემა და გვერდში დგომა, მწუხარების ოდნავ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაქარვება, მაგრამ საკუთარ თავს ვერ მორეოდა და ათასნაირი ხერხით ცდილობდა იმათთან მისვლისგან თავის დაღწევას.

ბავშვის გარდაცვალებიდან თითქმის ორი წელი გასულიყო, მისიანები კი ჯერაც ვერ მოსულიყვნენ გონს. მხოლოდ მოხუცი გომელაური არა ტყდებოდა, ძველებურს არ იშლიდა და, თავისი ჭკუით, ვითომდა არ ეპუებოდა ბედისწერას - ყოველ შაბათს შეჰყრიდა ხოლმე ახლობლებს სადილად და, თუ პაპუნა რომელიმე ასეთ შეკრებილობას გამოაკლდებოდა, ერთ ამბავს აწევდა. ახლაც ამიტომ მოიყოლა ღემნა, იმედოვნებდა, მეგობართან ერთად რომ მივალ, სადილად დარჩენა აღარ მომიწევს და უკან მალე გამოვბრუნდებიო.

პროფესორს ძალზე სადად ჰქონდა კაბინეტი მოწყობილი - მუშაობითაც აქ მუშაობდა და ავადმყოფებსაც აქვე იღებდა. თვალმოჭუტულმა იჭნეულად შეათვალიერა ღემნა, იფიქრებდი, იმის გამოცნობა უნდა, დასვენების დღეს დისშვილმა პაციენტი ხომ არ მომაყენა კარზეო - ეს იყო, რაც ყველაზე მეტად აღიზიანებდა ალექსი გომელაურს.

- ჩვენებური ბიჭია, ალექსი ძია, აქედან რაღაცა საქმეზე უნდა გავყვე და დრო რომ არ დაგვეკარგა, ერთად წამოვედით, - მოიბოდიშასავით უცხო კაცის სტუმრად მიყვანა პაპუნამ.

- ჩვენებურია? ჩვენი მხრისა? - გამოცოცხლდა გომელაური, - სიღნაღელი ხარ, ვაჟკაცო?

- არა, ზედაშიანელი.

- ზედაშიანელი? ოოო, ყოჩაღ, ყოჩაღ! - თავი დაუქნია პროფესორმა მოწონების ნიშნად, თითქოს ზედაშიანში დაბადებას დიდ დამსახურებად უთვლისო ღემნას და დაამატა: - დასხედით, ფეხზე რატომ დგახართ?

ალექსი დაბალ სავარძელში იჯდა, პაპუნა საწერ მაგიდასთან მიდგმულ სკამზე დაეშვა და ღემნას სხვა აღარაფერი დარჩენოდა, ავადმყოფებისთვის განკუთვნილ ტახტზე უნდა ჩამომჯდარიყო.

- ზედაშიანი... ზედაშიანი... - ჩაილაპარაკა თავისთვის გომელაურმა, - კარგი სოფელია ზედაშიანი, დიდი, ღონიერი, თითქმის გადაბმულია სიღნაღზე. ჩემხნობას იქაურები ჩვენთან აგრძელებდნენ სწავლას. შენც სკოლა, ალბათ, სიღნაღში დაამთავრე, არა?

საკვირველი იყო, აქედან, დედაქალაქიდან მართლაც ახლოს ჩანდა ერთმანეთთან ღემნას სოფელი და რაიონის ცენტრი - თითქმის არ იყო არავითარი განსხვავება, ერთნაირად მშობლიური ეჩვენებოდა ორივე. მაშინ კი, სკოლიდან მომავალი ოფლში გაღვარული რომ შემოუდგებოდა ზედაშიანის აღმართს, ანდა იმ დროს, როცა სიცივისგან ბაბანი ჰქონდა ატეხილი ირგვლივ ყველაფერს და ჩექმებზე ყაირებდარტყმული ფეხს ძლივს იკიდებდა ფერდას შეკიდებულ მოყინულ ბილიკზე, ახლოს არის ერთმანეთთანო, ნამდვილად ვერ იტყოდი.

- ახლა ზედაშიანში ორი საშუალო სკოლაა, მაგრამ ჩვენუბნელებისთვის სიღნაღი უფრო მარჯვედ არის და მეც იქ მომიწია სიარულმა.

- ერთად სწავლობდით? - თვალით პაპუნაზე ანიშნა ალექსიმ.

- არა, - დაასწრო პაპუნამ, - მე ოთხი წლით ადრე დავამთავრე, ჩემთან შედარებით ეგ ბავშვია.

- ცოლი არც შენა გყავს? - კითხვები არ ელეოდა პროფესორს.

ღემნამ უხმოდ გაშალა ხელები, რაც იმას ნიშნავდა: აბა ეგ როგორ და რანაირადო.

- საშუალო სკოლის დამთავრების მერე წამოხვედი და აქ მარტო ცხოვრობ, არა?

ბიჭმა ცერად გახედა, პასუხი აღარ გასცა. რა იყო ეს? კაი მოკირკიტე გამომძიებელი არ მიაყრიდა ერთბაშად ამდენ კითხვას, რამდენიც ამ მოხუცმა დაუხვავა. თითქოსდა შიგნით, გონებაში, ფიქრებში საკუთარი თავისადმი დასმული უპასუხო კითხვების კორიანტელი არ ეყოფოდა, ამას რომ არ შეეღონებინა გული!

ალექსი ვერ შეაკრთო ღემნას დუმილმა და ძველებურად უბოდიშოდ ახალი შეკითხვა მიაჯახა:

- აქ რას აკეთებ? სწავლობ? მუშაობ?

ღემნა უცებ წამოენთო:

- უნივერსიტეტში ვსწავლობ ისტორიულზე, მესამე კურსს ვხურავ, ორი დღის მერე გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი ისტმატში. საერთოდ კი ეთნოგრაფობას ვაპირებ, რამდენიმე სამეცნიერო წერილი მაქვს მომზადებული ამ საკითხზე, თუ მოვახერხებ, დავბეჭდავ კიდეც. მიუხედავად ამისა, როცა უმაღლესს დავამთავრებ, სოფელში დავბრუნდები და მასწავლებლად ვიმუშავებ. სამწუხაროდ, აქტიურ სპორტს არ მივდევ, მაგრამ დილის გამამხნევებელი ვარჯიში არასოდეს გამომრჩება ხოლმე... - შეეტყო, რომ ამ მოურიდებელი და უბოდიშო დაკითხვისგან ბრაზი მოეძალა და მეგობარსაც იმნაირად გულმოსულმა გახედა, რომ იმისთვისაც ეგრძნობინებინა: ეს რა ჩაიდინე, ვისთან მომიყვანე, ჩემი რა ჯავრი გჭირდაო!

თავის მხრივ პაპუნაც მწყრალად უმზერდა და გამაფრთხილებლად აკაკუნებდა თითს მინაზე, საწერი მაგიდის თითქმის ნახევარს რომ ფარავდა. ალექსი, ეტყობა, ვერაფერს ხვდებოდა, ანდა ხვდებოდა კიდეც, მაგრამ ყურადღებას

არ აქცევდა ბიჭის უკმაყოფილო ტონს და თავისას განაგრძობდა:

– აჰააა, ისტორიულზე სწავლობ, მესამე კურსზე... შენ რა კარგი ბიჭი ყოფილხარ, კაცო, თანაც ზედაშიანელი. ვისი ხარ? უეჭველად მეცნობება მამაშენი.

– არა, მამა არა მყავს. – ისევ მკვახედ გამოუვიდა ნათქვამი დემნას. გარდა იმისა, რომ ასეთმა დაკითხვამ შეაღონა, ისიც აღიზიანებდა, როცა მის წარმომავლობას ჩაეძიებოდნენ ხოლმე.

– სიღნაღში ნათესავები არავინა გყავს? – ბებრული სიჯიუტით არ ეშვებოდა გომელაური.

არა, არც იქა ჰყავდა ნათესავები დემნას, მაგრამ მოერიდა ამის გამხელა, მთლად ამოწყვეტილი არ ვეგონო ამ კაცსაო და პირველი ვინც წამოუტივტივდა გონებაში, ის დაუსახელა.

– დიმიტრი ჯვარიძე.

– რაო? დიმიტრი? შე კაი კაცო, დიმიტრის ნათესავი თუ იყავი, ადრევე ვერ მითხარი? იმას ვინ არ იცნობს! – გამოცოცხლდა ალექსი და ისე გაეხარდა, თითქოს ეს ბიჭი მარტო დიმიტრი ჯვარიძისა კი არა, იმისი ახლობელიც გამომდგარიყოს, – დიმიტრი სანთელივით ანთია ჩვენს რაიონში... ეჰ, ის ჩემზე უბედური ისა... – უეცრად შეეცვალა გუნება პროფესორს და ამოიოხრა, მაგრამ მალევე მოერია თავს და კიდევ ერთი კითხვა გამოუკვერა სტუმარს:

– რა ნათესავია შენი?

– არაფერი... ისე, ნათესავია... – აირია ბიჭი, დაიბნა. რა ექნა, ხომ ვერ ეტყოდა: რა ნათესავია და ბავშვობაში შვილად აყვანას მიპირებდაო.

ბედად კაბინეტში ალექსის რძლის შემოსვლამ დაიფარა დემნა ამ გაურკვეველი პასუხის შემდგომი ჩაძიებისგან.

– მამა, თქვენ გკითხულობენ, – მიმართა მოხუცს.

– მერე? იმათ თუ არ იციან, თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ შაბათობით ავადმყოფებს არა ვღებულობ, ვისვენებ ან შინაურებისთვისა მაქვს განკუთვნილი. თანაც ხედავ, რომ სტუმარი მყავს მშობლიური რაიონიდან, – უკმაყოფილება ვერ დამალა პროფესორმა.

– არა, მამა, ის კაცი მარტოა და ნახავთ, რომ ავადმყოფობისაც არაფერი ეტყობა, – თავი იმართლა რძალმა.

– არაფერი ეტყობა! ამ ოხერ დაავადებას უცებ არ შეატყო თვალით! კარგი, ჰო, მობრძანდეს, მობრძანდეს!

კარში ოცდაათიოდე წლის შავგვრემანი მამაკაცი შემოცურდა გვერდულად და დამხვდურებს მიესალმა. ცქვიტი, ცოცხალი თვალები სწრაფად მოავლო დემნასა და პაპუნას, მაგრამ მზერა ვერც ერთზე შეაჩერა და პირდაპირ პროფესორს მიმართა:

– მე ხომ გახსოვართ, ბატონო ალექსი?

გომელაურმა თვალები მოჭუტა, თითქოს შორს, მეხსიერების სიღრმეში ჩაიჭვრიტაო და გაურკვევლად, ოდნავ შესამჩნევად გადააქნია თავი:

– დაბრძანდით, ეგერ ტახტზე ჩამოჯექით.

მოსული დემნას გვერდით დაეშვა და აქეთ-იქით მიმოიხედა.

– ბრძანეთ, ბრძანეთ, რა გნებავთ? – დააჩქარა პროფესორმა.

– ახლავე, ბატონო ალექსი, ახლავე მოგახსენებთ, – წამოდგომა დააპირა უცნობმა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა, – ისააა... თქვენ ამ ოთხი წლის წინ ოპერაცია გაუკეთეთ სიკვდილის პირას მისულ მამაჩემს, სიმსივნე ამოკვეთეთ და სიცოცხლე აჩუქეთ. მას მერე შესამჩნევად მოიკეთა, თითქმის გამოჯანმრთელდა.

– აჰა, ოთხი წლის წინ, არა? ჰო, ოთხი წლის წინ... – პროფესორი უკვე თანხმობის ნიშნად აქნევდა თავს, ღიმილის მსგავსმა რაღაცამაც კი გადაურბინა ბებრულად ფერდაკარგულ ბაგეზე.

– ახლა ისევ გაუუარესდა მდგომარეობა, ბატონო ალექსი, ტკივილებიც განუახლდა და რენტგენმაც კვლავ სიმსივნე აჩვენა.

– იცი, რა გითხრა, ჩემო კარგო? – ნერვებმა უმტყუნა გომელაურს, – ამქვეყნად ყველანი დროებითა ვართ მოსულნი, ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ მამათქვენისთვის ეს ოთხი წელი სამზეოზე ყოფნისა დამატებით უჩუქებია. ჩემგან რაღას მოითხოვთ? როგორც თვითონვე ამბობთ, რაც ჩემს ხელთ იყო, ხომ არაფერი დამიშურებია? ხოლო სასწაულის მოხდენა რომ შემძლებოდა, ნუ გაგიკვირდებათ და, უპირველესად ჩემიანებზე ვცდიდი.

– რაღა თქმა უნდა, ბატონო ალექსი, რაღა თქმა უნდა, – ფეხზე წამოხტა ავადმყოფი მამის პატრონი, – ეტყობა, ვერ გამიგეთ, უფრო სწორად, მე ვერა ვთქვი გასაგებად. მე ვინმეს კი არ ვემდური ან საყვედურის სათქმელად კი არ მოვსულვარ, ერთი სათხოვარი მაქვს მხოლოდ, მამაჩემს მართლაც ღმერთივით სწამს თქვენი, აიჩემა: გინდა თუ არა, იმასთან მიმიყვანეთ ისევ და აუცილებლად მიშველისო. რა ვქნა, როგორ ვუთხრა უარი მომაკვდავ მშობელს? ვიცი, რომ დაკავებული ბრძანდებით, ავადმყოფთა დიდი რიგიც გიდგათ, მაგრამ იქნებ გამონახოთ დრო და რამენაირად ურიგოდ მიგვიღოთ. მხოლოდ იმიტომ, რომ დამშვიდდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ აწი იმას რომ აღარაფერი ეშველება, მეც ვიცი.

- ჰოოო, ეგ სხვა ამბავია, - ჩაიბუზღუნა პროფესორმა, - ეგ სხვა ამბავია. თუ ასეა, მაშინ სამშაბათს მოიყვანეთ, თუკი შესძლებს მოსვლას, რაღა თქმა უნდა. არადა, მისამართი დამიტოვეთ და მე თვითონ შემოგივლით, როცა მოვიცლი.

- გმადლობთ, ბატონო ალექსი, თქვენ როგორ შეგაწუხებთ, ჩვენ გეწვევით სამშაბათ საღამოს. - თქვა და კარში უკან-უკან გავიდა მოწიწების ნიშნად.

ჩამოღრუბლული, მოქურუხებული იჯდა ალექსი გომელაური, თავის ფიქრებში ჩაძირული იყო და სტუმრები აღარ ახსენდებოდა. მერე თითქოს გამოერკვაო, თავი გააქნია და ჩუმად ამოთქვა:

- უაზრობაა, ბატონებო, ყველაფერი უაზრობაა.

ამოიჩურჩულა, თავისთვის ამოთქვა მოხუცმა, მაგრამ რომ ეყვირა კიდეც, განა ვინმეს რამეს გააგონებდა? თავის ნამდვილ სათქმელს ვინმეს მიახვედრებდა? - ძახილი ჯოჯოხეთშიც ისმის, პასუხის გამცემი კი არავინ არის.

პროფესორის ნათქვამი მართლაც სხვანაირად აღიქვა, სხვანაირად მისწვდა დემნას გონებას - ისიც საკუთარი საჭრეტიდან უმზერდა მოვლენებს. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, რახანია, უკვე უშნო ჩვევად გადაქცეოდა, რომ თუკი ვინმეს მისი თანდასწრებით წუთისოფელზე საყვედური წამოსცდებოდა, ერთიანად აიტაცებდა ხოლმე სიბრაზე, ცუდად აიფოფრებოდა და აიშვებდა ჯაგარს. იმიტომ კი არა, რომ რაღაცა განსაკუთრებული ფილოსოფია გააჩნდა და ამ ცხოვრებაზე აუგის თქმას ვერ იტანდა, არა, პირიქით, ბავშვობიდან აჩემებული და აკვიატებული ჰქონდა, რომ ამქვეყნად იმაზე უფრო დაჩაგრული არავინ იყო და საწუთროს გინების უფლებაც მხოლოდ მას, ერთადერთსა ჰქონდა. ჰო, დიდი ფიცი და მტკიცი არა სჭირდებოდა, რომ ნამდვილად უაზრობა იყო ყველაფერი, მაგრამ ამას არ უნდა დასცდენოდა სამდურავი, ამას, პროფესორს, სახელგანთქმულს, მშვენიერი სახლ-კარისა და ქონების პატრონს. გაოცდებოდა კაცი - სხვა რაღა უნდოდა, რასა სთხოვდა, რას ემდუროდა წუთისოფელს?

ეჰ, ჯერ ადრე იყო - ოციოდე წლის დემნამ კი არა, მასზე ბევრად უფროსებმაც არ იცოდნენ, რომ ვისაც ამქვეყნად დაბადება მიესჯებოდა, თავის წილ ტვირთს ყველა წვალებით მიათრევდა, თუმცა ზოგი მეტსა და ზოგი ნაკლებს, მაგრამ - მაინც ტვირთსა და მაინც წვალებით.

არ იცოდა დემნამ და აკი ამიტომაც ვერ მოითმინა, გაცხარებული მიეტევა და რაც თვითონვე არა სწამდა, სწორედ იმისი მტკიცება დაუწყო პირველად შეხვედრილ ადამიანს:

- არა, ბატონო ალექსი, მაპატიეთ, მაგრამ სცდებით. თურმე შეიძლება, თქვენნაირ გამოცდილ ადამიანსაც შეეშალოს ზოგჯერ რაღაცა. აქამდე დაუსწრებლად გიცნობდით და გულახდილად გითხრათ, არ მოველოდი, ასეთი შეხედულება თუ გექნებოდათ ცხოვრებაზე. ადამიანს იმედი მისცე, ტკივილები შეუმსუბუქო, შვება მოჰგვარო - ასეთ რამეზე, უაზრობააო, ნამდვილად არ ითქმის.

პაპუნა მოულოდნელობისგან ლამის პირდაღებული შეჰყურებდა. ეს იყო კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ებრძვის კაცი იმ რწმენას, რაც მისთვის უკამათოდ და უდავოდ მისაღებია.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. პროფესორს ქვედა ტუჩი კბილებში მოემწყვდია, ფეხი ფეხზე გადაედო და ოდნავ აქანავებული საშინაო ფლოსტის შეცვეთილ ჭვინტს დაჰყურებდა დაფიქრებული. შემდეგ ნელა ასწია თავი და დემნა დაკვირვებით შეათვალიერა, თითქოს იმის გაგება სურს, ღირს თუ არა, ამ ღლაპთან შეკამათებაო.

- შენ არ იცი, შვილო, ჩემი ამბავი, - ამოთქვა კარგა ხნის მერე ჩუმად, თითქმის ჩურჩულით, - მე საკუთარი შვილიშვილი, თერთმეტი წლის ბიჭი, წელიწადნახევარი ვაწამე და ამ წვალების საფასურად, ჰა და ჰა, ერთი წლით გავუხანგრძლივე სიცოცხლე. თუმცა განა თერთმეტი წლის ბიჭისთვის ასეთ ყოფას სიცოცხლე ეთქმის? სიმართლე თუ გინდა, სიცოცხლე კი არა, ტანჯვა გავუხანგრძლივე. მას მერე შემძულდა ჩემი თავიც და ჩემი პროფესიაც. და მიუხედავად ამისა, ძალა არ მეყო, ხელი მეკრა, მიმეტოვებინა ექიმობა, მაინც ვაგრძელებ ავადმყოფების მკურნალობას და ვაწვალებ ხალხს. - მერე დისწულს მიუბრუნდა: - მაპატიე, პაპუნა, შვილო, შენი თანდასწრებით არ მინდოდა ამაზე ლაპარაკი.

შეძრწუნებული შეჰყურებდა დემნა პროფესორის ანაზდეულ სახეცვლილებას. ახლა უკვე სხვა კაცი იჯდა მის წინაშე - მომჩვარული, განადგურებული, გასაწყლებული. აბა ასეთ მკურნალს რანაირად უნდა ნდობოდა და დაყრდნობოდა ავადმყოფი, სნეულისთვის რა იმედი უნდა გაეტანებინა თავადაც სასოების მძებნელს? დემნას ამჯერად უკვე სხვა მიზანი გასჩენოდა, სულ სხვა სურვილი ამოძრავებდა

- უნდოდა, მართლა დაერწმუნებინა ეს ტანჯული ბერიკაცი, რომ ქვეყანა მთლად წყალსგასატანებელი, მთლად ნაცარტუტად საქცევი არ იყო.

- წეღან იმ კაცთან საუბრისას თვითონვე თქვით, სააქაოში ყველანი დროებითა ვართ მოსულებიო და მართალიც ბრძანდებოდით, ბატონო ალექსი, ჰოდა, თუკი ვინმე მადლიანი, ექიმი იქნება ისა თუ სხვა ვინმე, ამას არა აქვს მნიშვნელობა, წყალობას მოიღებს, ხელს წაგვაშველებს და ჩვენთვის ნარგუნებ აქაურ ჟამს შედარებით უმტკივნეულოდ და მოსვენებით გაგვატარებინებს, ამაზე დიდი სიკეთე რა უნდა იყოს?!

- შედარებით უმტკივნეულოდ? რას ნიშნავს შედარებით უმტკივნეულოდ? კარგი, ჰო, ეგ ვითომ გასაგებია, მაგრამ ექიმს იმისი უფლება ვინ მისცა, ღვთის განაჩენს წინ აღუდგეს და ადამიანს მისგან ბოძებული დრო გაუხანგრძლივოს.

- განა ექიმიცა და იმისი ხელობაც ზენაარსმა არ გააჩინა, ბატონო ალექსი? და რაკი გააჩინა, თავისი მოვალეობაც ხომ დაუწესა? არც ხომ ამის უარყოფა შეიძლება?

- იქნება, რასაც ამბობ, მართალიც არის, მაგრამ ღმერთმა მე ნიშანი მომცა ჩემი შვილიშვილის სახით. - ჯიუტობდა პროფესორი.

შინაურ მღვდელს, მართლაც, შენდობა არა აქვს, თორემ პაპუნას ასეთი ბიძით თავი უნდა მოეწონებინა, ეამაყა, დღენიადაგ გვერდით ჰყოლოდა - უკეთეს მოძღვარს ვის ინატრებდა. ის კი თურმე გაურბოდა და თავს არიდებდა. რამხელა სულიერი ძალის პატრონი უნდა ყოფილიყო ალექსი გომელაური, რომ სიცოცხლის მიწურულს თავის პროფესიაზე ასე რწმენაშერყეულს მაინც გაეგრძელებინა საქმიანობა, პირადი გრძნობები ჩაეკლა, დაეთრგუნა და ცდილიყო, მცირეოდენი შვება მოეგვარა ამ ხელშეუქცევი ავადმყოფობისგან გაწამებული ადამიანებისთვის. ღემნას სიბრალული და მოწიწება ერთბაშად დაუფლებოდა ამ კაცის მიმართ. სწორედ ამიტომ არა ტყდებოდა, არ უთმობდა, თუმცა შინაგანად მთლიანად ეთანხმებოდა. მაგრამ ეს გაჯიქება იქნება მხოლოდ სიბრალულისა და მოწიწების მიზეზი არც იყო - უამისოდაც, დამარცხების აღიარება თავის სიმტყუნეში დარწმუნებულ კაცთა უმეტესობას არ ეპიტნავება და ბოლომდე ცდილობს, თუნდაც მცდარ, მაგრამ საკუთარ იდეას გაამარჯვებინოს, თავისი გაიტანოს. ისიც შესაძლებელი იყო, რომ ეს ორივე მიზეზი ერთმანეთს ავსებდა და უფრო მეტად აქეზებდა ღემნას მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. მიზნის მისაღწევად კი საკუთარი იარაღი უნდა მოეშველებინა - რასაც უფრო კარგად ხმარობდა, იოლად აჭრევინებდა, ხელთ მარჯვედ მოსდევდა. მაშ, ამაზე საჭირო დროს როდისღა გამოეყენებინა თავისი ეთნოგრაფია?

- უნდა მაპატიოთ, ბატონო ალექსი, ჩემი ასეთი ახირება. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ცოდნისაცა მწამს და გამოცდილებისაც, ვერც ამ შემთხვევაში დაგეთანხმებით. მჯერა, ჩემზე უკეთ იცით, მაგრამ კიდევ ერთხელ გაგახსენებთ, რომ ძველ ინდიელებს, კერძოდ კი ინკებს, რომლებსაც მაინცადამაინც უკულტურობას ვერ დავწამებთ, ჩვენგან განსხვავებით, ავადმყოფობა არც აშინებდათ და არც აღარდებდათ, პირიქით, ყოველგვარი სენი თავიანთი ზეციური მამის - მზის მოციქულად, მისგან გამოგზავნილად მიაჩნდათ. მზე რჩეულ შვილებს ავადმყოფობის მეშვეობით ამ უკუღმართი ცხოვრებიდან თავდასახსნელად და ცაში გასასვენებლად უხმობდა. ინკა, მოხუცი იქნებოდა თუ ახალგაზრდა, თავის მოახლოებულ სიკვდილზე შინაურებს სიხარულით ატყობინებდა: მეშველა, მამაჩემი მოსასვენებლად თავისთან მიხმობსო და მისიანებიც თითს თითზე არ აკარებდნენ, არაფერს ცდილობდნენ, რომ წინ აღდგომოდნენ მზის უზენაეს სურვილს და ავადმყოფს გამოჯანმრთელებაში მიხმარებოდნენ. იმას უკვე აღარ შეგახსენებთ, რომ ეს რწმენა თუ ჩვევა ვერაფერში წაადგა იმ ხალხს და ვერც რამე სარგებელი ნახა მიწიერსა თუ ზეციურ ცხოვრებაში.

- არ გინდა, ზეციურზე ნურაფერს ვიტყვით, ზეციურისა ჩვენ არაფერი ვუწყით, - ხელი შემართა პაპუნამ.

გულისყურით, დაკვირვებით უსმენდა პროფესორი, ამიტომ ღემნას იმისი დისწულის სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია და თავისი სათქმელი გააგრძელა:

- აი, ბუდისტები კი თვლიან, რომ სხეული სულის მხოლოდ დროებითი სამოსელია. მაინც ყოველნაირად ცდილობენ, ნაადრევად არ დატოვონ სააქაო, რადგან სჯერათ, რომ მათი ამქვეყნიური მისია ჯერ არ ამოწურულა და შემთხვევითი სიკვდილის მერე კვლავ მოუწევთ დედამიწაზე დაბრუნება, რაც, გასაგები მიზეზების გამო, არ ეხალისებათ.

- შენ, გეტყობა, მორწმუნე ხარ, - თქვა მოულოდნელად პროფესორმა.

- რასა ბრძანებთ, რანაირად დაასკვენით?! - გაიკვირვა ღემნამ, რადგან ვერ მიხვდა, რა საერთო შეიძლება ეპოვათ სხვადასხვა ხალხთა ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების ცოდნასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რელიგიურობას შორის.

- რა იყო, რა შეიცხადე, მორწმუნეობა სამარცხვინო კი არ არის! - ცხარედ ჩაერია საუბარში პაპუნა.

- ან ეგ ვინა თქვა, შენ რაღა დაგემართა? აღარავის არაფერი გვესმის ერთმანეთისა? - კიდევ უფრო გაოცდა დემნა.

- რა ვიცი, რა გითხრა, შვილო, შენ ღმერთმა სიკეთე მოგცეს და მე თუ რამეღა მომაბრუნებს ცხოვრებისკენ, აღარა მგონია. - სულ სხვა საფიქრალს ჩაღრმავებული პროფესორი კვლავ ფლოსტის გაცვეთილ ჭვინტს აკვირდებოდა.

პაპუნა წამოდგა - რა ხანია, წასვლის ჟამი რეკდა.

მაშინ იყო, ბიძის ბინიდან წამოსულმა პაპუნამ მხოლოდ ორი დღით ათხოვა ის სადვთო წიგნი. რა ექნა, თვითონაც მცირე ხნით ჰქონდა წამოღებული, როგორც ახლა ახსენდება, მგონი, სასულიერო პირისგან. ვერ ეცრუებოდა, დროულად უნდა მიეტანა - სიტყვის გატეხვას ჩვეული არ იყო. დემნას კი ღამეების გათენება მოუხდა, რომ რამენაირად ისტმატის გამოცდაც მოემზადებინა და თან იმ წიგნის გადაკითხვაც მოესწრო. მხოლოდ გადაკითხვა.

მერე? უშველა რამე? არაფერი.

გარეთ ზამთრის ცივი, ნაცრისფერი დღე უწადინოდ ეთხოვებოდა ქალაქს. მარტო იყო. საწოლზე იჯდა. დაგმანული ფანჯრის მიღმა გაშავებულ აგურის კედელს გაჰყურებდა და ფიქრობდა, ფიქრობდა...

მცირე სხივიც არსაიდან ჩანდა. ან სხივის დასანახი თვალი დაჰბრმავებოდა.

რა ეღონა?

სად წასულიყო?

საით წასულიყო?

ხილული წინააღმდეგობები არ ითვლებოდა, ხილულზე საჩივრის სიტყვა როგორ დასცდებოდა - სამოქმედო არე უხილავი დაბრკოლებებით, უხილავი ხლართებით იყო გავსებული. ეხლებოდა, წვალობდა, წრიალებდა, გზა ვერსაით გაეგნო. ისე აწყდებოდა აქეთ-იქით, როგორც ფუტკარი აწყდება ფანჯრის მინას და შეწუხებული, გაოგნებული ბზუის: - ჰო, აი, ეს ჩარჩოა, ფიცრისაა და გაუმჭვირვალეა. არც უნდა ეცადო მის დაძლევას, გვერდი უნდა აუარო. მაგრამ აქეთ რაღა ხდება? ეს ხომ ნათელია და მჭვირვალი, აქედან ხომ შუქი იღვრება? მაშ, რა ჯანდაბაა, რომ გეღობება და არ გიშვებს! ეს რა უხილავი ზღუდე გბორკავს, თუმცა იმის გადაღმა ხედავ თავისუფალ გასაქანს, ხედავ სივრცეს, საითაც მიილტვი, საითაც მიისწრაფვი.

ვერა, ვერ გააღწევ!

ამაოდ ებრძვი, ამაოდ უხათქუნებ თავს შუშის კედელს. *ი ქ ი თ* არ გაგიშვებს, *ი ქ ი თ* გასვლა არ გიწერია. ნუღარ წვალობ, ამოიგდე ფიქრი თავიდან *ი ქ ი თ* გაღწევაზე და ჩაიკეტე, ჩაიკეტე მკვიდრად შენს თავში. შენივ თავში! ამაზე უკეთესად შენთვის ნარგუნები დროის მოკვლა არსად შეიძლება. შიგნიდან შემოუწექი საკუთარ თავს რკალად, მრგვალად. ფრთხილად აულოკე სულის წყლული და ჟამიდან ჟამად ორი ობოლი ძმის ზღაპარიც უამბე. ზღაპარიც უამბე... მჭვრეტელმა თუნდაც უხსენებელს მიგამგვანოს, შენ იმას ანგარიშს ნუ გაუწევ, ნუ მიაქცევ ყურადღებას - შენივე კუდი ჩაიდე პირში, ჩაცხრი, ჩაყუჩდი. შიგნიდან უარე შენს თავს გარემურგვალ, შიგნიდან დასტკბი საკუთარი უზადოებით. სანატრელად სრულყოფილი ფიგურაა წრეხაზი. გჯეროდეს, რომ ბოლომდე ვერავინ ამოხსნის წრეხაზის საიდუმლოს, ვერავინ შეიჭვრიტება იმის იდუმალებაში. სიმრგვალესა თვისსა გარემოიქცევს სული...

ჰოდა, ჩაიკეტე, ჩაიკეტე მკვიდრად შენს თავში...

როცა ეშმაკი გაუმაღლდებოდა და მორევნას დაუპირებდა, როცა მაცდურად დაუქნევდა ხელს თავისკენ, მაშინ არაფრის კეთებისგან გადაქანცულ ტვინში ასეთი ფიქრიც უფეთქავდა ხოლმე, მაგრამ, მადლობა უფალს, ჯერ-ჯერობით უკუაგდებდა.

პაპუნა მაინც არ გამქრალიყო ასე ანაზდად მისი ცხოვრების თვალსაწიერიდან. ან იმისი პოვნა რა იყო და ან დაკარგვა. რა იქნებოდა, ბოლომდე შეერჩინა ღმერთს მეგობარი. თანასკოლელის შემწყნარებლური, მშვიდი ღიმილი, დამაჯერებელი საუბარი ზოგჯერ შველოდა, ცოტად თუ ბევრად უამებდა აწეწილი სულის ტკივილებს. მაგრამ გაქრა უცებ, გაუჩინარდა, დაიკარგა ნაჯოგიანად.

სულ შემთხვევით კი გაიცნეს ერთმანეთი.

სექტემბერი იდგა. სულისშემხუთავი ზაფხულის შემდეგ თბილისის ქუჩები გამოცოცხლებულიყო, ახალგაზრდებით გავსილიყო, სასწავლებლების ახლომახლო ერთი ჟრიამული და გნიასი იდგა. მეორე კურსზე მოსულ ბიჭებს ჯერ ვერ მოესწროთ ერთმანეთის მოსურვილება - დღე და ღამე ერთად უნდოდათ ყოფნა, ერთად ჭამა და ერთად სმა, ერთად ძილი და ერთად ღვიძილი. იმ დღეს ლევან გელაშვილმა აიჩემა: ისეთ ხასიათზე ვარ, ღუდუკებზე მინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქეიფო და რაღა ბიჭი ვიქნები, ეს წადილი თუ ვერ ავისრულეო. დაძალება სხვებსაც არ დასჭირებიათ მაინცადამაინც. გეზი „სალხინოსკენ“ აიღეს - ცნობილი დასტა უკრავდა და პურ-მარილიც არა ჯდებოდა ძალიან ძვირი. რა ხანია, რაც „არტოს ბაღში“ ისხდნენ და უცდიდნენ - ფულის საშოვნელად წასული ლევანიც აქ მოვიდოდა, აქ დათქვეს შეხვედრა. მზე გადასულიყო, უკვე ბინდდებოდა, მოლოდინისგან გაბეზრებული ბიჭები ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ, თვალი ერთთავად შემოსასვლელისკენ ეჭირათ.

ბაღში ორნი შემოვიდნენ. დემნამ ერთ-ერთი, შედარებით დაბალი, შორიდან ლევანს მიამსგავსა და ფეხზე წამოდგა, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა, სხვა გამოდგა და გამწარებულმა შეიკურთხა:

- ფუი, თქვენი... ეს რა ოხრობაა, ვინ წამხდარმა დაგვთარსა ეგრე, რომ ყველა ძაღლი-მამაძაღლი აქ დაეთრევა, იმის გამოჩენას კი არ დაადგა საშველი!

- გაგიჟდი, რეებს ბოდავ! - კაპუეტივით ეძგერა ოთარი, - გუგა, აქეთ მოდით, რააა, გუგა! - შეეხმიანა უცნობებს.

ბიჭები მათკენ გამოემართნენ.

- გაიცანით, ჩემი დეიდაშვილია, - ოთარმა იმ მომცრო ტანისაზე ანიშნათ, - ორივენი კი, თქვენც მოგეხსენებათ, ჩვენი სცენის ამომავალი ვარსკვლავები არიან, თუ უკვე ამოსულები არა.

- ახ-ახ-ახ-ახ, კაი, ჰო, კაი, - უზღვავი ხოტბით თავგაბეზრებულივით შეწუხდა გუგა, ოთარი გადაკოცნა და სხვებსაც ხელი ჩამოართვა, - ეგეთ ადგილას თუ გადაგეყრება კაცი, თორემ შინ შენი დაჭერა ხომ ზღაპარია. საწყალი დეიდაჩემი შენი სურათით დადის ოთახიდან ოთახში დღის სინათლეზე შვილის ნახვის ნატრული. ხოლო მაგ ლამაზ-ლამაზ სიტყვებს რაც შეეხება, ჩვენი მისამართით რომ დახარჯე, აჯობებს, სხვაგან გამოიყენო, სხვა გარემოში, ამ პატიოსან ხალხში რა საჭიროა.

- ეგ თქვენთვის კი არა, ჩემთვის არის საჭირო, ჩემო ძმაო, ამათთან ახლა რეპეტიციას გავდივარ, რომ მერე სხვებთან უფრო ტურფად მოვიქარგო ენა, რეპეტიციის მნიშვნელობა კი თქვენზე უკეთ ვის მოეხსენება. მართალს არ ვამბობ?

- სწორია, სწორი, რა მეთქმის, ხანდახან შენც წამოგცდება ხოლმე სიმართლე შენდა უნებურად, - გაიცინა გუგამ და ბიჭების გვერდით გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

- რაო, ბატონო დეიდაშვილო, რას გვეტყვი ახალს, კარგი რა იცი?- ჰკითხა ოთარმა, თან თვალი ბაღის შემოსასვლელისკენ გაურბოდა.

- ეგ რა მითხარი, ბიჭო? როგორ თუ კარგი რა ვიცი?! - ისეთი გულწრფელი გაკვირვება გამოესახა გუგას სახეზე, ხელად მიხვდებოდით, მსახიობთან რომ გქონდათ საქმე, - ჩემო ოთარ, არა მგონია, შენ იმის მტკიცება გჭირდებოდეს, რომ მე რაც ვიცი, ყველაფერი კარგი ვიცი - კაი სიმღერა და კაი ცეკვა, კაი სადღეგრძელო და... ამათთან ერთად, კაი სმა-ჭამაც. მაგრამ რად გინდა, ერთი მთავარი რამე არ ვიცი მხოლოდ, სად გამოვიყენო ეს ყველაფერი ამ მოკლე ხანში.

- ვაი, მაშინ მოგიკვდეს ჩემი თავი, თუ ამ საღამოსვე არ მივცე შენს ნიჭს გასაქანი, - მკერდზე მუშტი დაირტყა ოთარმა.

- მოდი, პაპუნა, მოდი, ჩამოჯექი შენც, აქ რაღაცა საიმედო სუნი ტრიალებს, - სკამის ფიცრებს ხელი დაჰკრა გუგამ, - აკი გეუბნებოდი, მწოლიარე ლომს მაწანწალა მელამ აჯობა-მეთქი.

დემნა ამ მეორეს იცნობდა - პაპუნას - სიღნაღელი იყო და ოთხი-ხუთი წლით უფროსს მისი სკოლა ჰქონდა დამთავრებული. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა მთელ რაიონში შესანიშნავი გარეგნობით. ეტყობა, სწორედ თავისი შესახედაობით წათამამებულმა სკოლის დამთავრებისთანავე თეატრალურ ინსტიტუტს მიაშურა და არამარტო იოლად მოეწყო, სტუდენტობის წლებშივე ორი ისეთი როლი ითამაშა კინოფილმებში, იმისი ხნისებს მხოლოდ ოცნება რომ შეეძლოთ. იმხანად და ყოველთვისაც, ალბათ, იშვიათი იქნებოდა ახალგაზრდა, რომ ასეთი წარმატება თავში არ ავარდნოდა, არ გაფუჟულიყო და არ გაამპარტავნებულიყო, მაგრამ მუდამ ზომიერსა და თავშეკავებულ პაპუნას ყოყლოჩინობისა და ცხვირის აწევისა არაფერი ეტყობოდა. აი, ახლაც, როცა მისი სიახლოვით გაამაყებული დემნა მედიდურად გადახედავდა ხოლმე მეზობელ მაგიდებთან მსხდომ მონადიმეებს /რაც ოციოდე წლის ბიჭისგან იქნება არც იყო გასაკვირი/, თვითონ ამ სიამაყის მიზეზი იჯდა თავისთვის წყნარად - აუმღვრეველი, მშვიდი, ყველასთვის სასურველი - უსმენდა ძველთბილისურ მუსიკას და სახიდან სათნო ღიმილი არა შორდებოდა.

იმ ქეიფის მერე დამეგობრდნენ, ძმებივით შეიყვარეს ერთმანეთი და, მიუხედავად ასეთი სიყვარულისა, დემნას ზოგჯერ მაინც ეთანაღრებოდა გული, შურის მინაგვარი ფიქრი გაუკრთებოდა ხოლმე თავში: განა უსამართლობა არ არის, ღმერთმა ერთ კაცს დააბერტყოს ამდენი სიკეთეო - იშვიათი გარეგნობა, კიდევ უფრო უკეთესი დეკლამაცია... თურმე სიმღერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ებსაც თხზავდა თავისივე ლექსებზე... და ზედ დამატებული ასეთი ხასიათი. მართლაც მეტისმეტი იყო, ღმერთმანი.

იმ საღამოსაც დემნა ჩუმი აღტაცებით შესტრფოდა პაპუნას ნიჭის ელვარებას. ის რომ ლექსს იტყოდა ან სიმღერას დაიწყებდა, დამკვრელები ვიღას ახსოვდა - მოდიოდა და მოდიოდა, მაგიდაზე აღარ ეტეოდა მეზობელი სუფრებიდან მის პატივსაცემად გამოგზავნილი მწვადი და ღვინო. მთელი დარბაზი იმას შეჰფოფინებდა, იმას შეჰყურებდა თვალებში.

პაპუნა უფროსი იყო და დედაქალაქში ღვთისანაბარად მყოფ თანასკოლელზე ზრუნვა თავის მოვალეობად მიიჩნია - როგორც შეეძლო, პატრონობდა, მოძღვრავდა, არიგებდა, მაგრამ თავადაც უგზოდ მავალს სხვა რანაირად უნდა დაეყენებინა სწორ გზაზე.

ერთხელაც მოულოდნელად... თუმცა ეს უკვე რამდენიმე წლის მერე მოხდა, ერთხელაც ნაია ესტუმრა და ყოველგვარი შესავლის გარეშე უთხრა:

- გაიგე? გოგოები ამბობენ, თურმე პაპუნას თეატრისთვის თავი დაუნებებია და რომელიღაცა ახლად ჩამოთესლებული რელიგიური სექტის მიმდევრებთან ერთად დაეხეტებაო.

დემნას სიბრაზისგან ცეცხლი შემოენთო:

- რასაც ყურს მოჰკრავ, ყველაფერი კი არ უნდა დაიჯერო და გაიმეორო, რას დადიხარ და დაჭორიკანობ, რას აჰყოლიხარ სხვების მითქმა-მოთქმას ამხელა ქალი!- უყვირა გაალმასებულმა.

- ჩემგან რა გინდა? - შეწუხდა ნაია, - ქვეყანა ლაპარაკობს და მე ვიტყვი თუ არა, ამით შეიცვლება რამე?

- არა, შენ არ უნდა გაიმეორო ეგ სისულელე!

მაგრამ რას იზამდა, სიმართლეს სად დაემალებოდა - ერთი თვის თავზე ვიღაცა ჭოკივით აწოწილ გოგოსთან ერთად მიმავალმა თმაწვერმოშვებულმა და გაზინძლულტანსაცმლიანმა პაპუნამ მეგობარს თვალი მოარიდა და გვერდით უბრად ჩაუარა.

შეცბა დემნა, ვეღარაფერი იწამა, გული ისე ეტკინა, თითქოს ახლობელს უმიზეზოდ შეეგინებინოს.

ეგეც ჩემი ბედის ბრალიაო, - ფიქრობდა გამწარებული, - კეთროვანივით ვისაც მივეკარე, ვერ იქნა და სიკეთე ვერავინა ნახაო.

ჰოდა, თუნდაც ამიტომ აღონებდა ფიქრი ნაიას მომავალზე.

საწოლიდან წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. გარეთ ისევ ის ფერდაკარგული სურათი მოჩანდა, ერთი ეგ იყო, მოახლოებულ ბინდს კიდევ უფრო გამოეხუნებინა.

ზამთრის გასვლასაც რომ აღარ დაადგა საშველი! - გაიფიქრა და სიგარეტი გაბრაზებით ჩაასრისა ქილის თავსახურში, გატეხილი საფერფლის მაგივრობას რომ უწევდა ბოლო ხანებში.

- კაროლინა, კაროლინა, მაიონეზის ყიდვა არ დაგავიწყდეს, იცოდე! - ქალის კივილამდე მისული ხმა ისმოდა ეზოდან.

ფანჯრის გარედან, რაფაზე, ცალფეხა ბეღურა იჯდა და სველ ფრთებს ყავარჯნებივით დაჰყრდნობოდა.

## III

მარტო მიუყვებოდა ქუჩას. ციოდა. ახლად ნაყიდი, შიგნიდან დაბამბული, დაბალყელიანი ჩექმები ეცვა. რაღაცა ჯანდაბად, ჩექმები ერთი ნომრით პატარები გამოდგა, უჭერდა და ამის გამო ტერფები ისე აზრებოდა, თითქოს ფეხსამოსში ყინულის ნაჭრები უწყვიაო. ნუ გეშინია, თანდათანობით გაიწევს და ფეხზე მოჯდებაო, - ამშვიდებდნენ ოთარი და ლევანი. მოჯდება კი არა, დოზანა! ამათ გაწევისა არაფერი ეტყობოდა, გამოუქნელი კამეჩის ტყავივით გამაგრებულიყვნენ. გამწარებული აგინებდა მათი შეძენის დღესა და საათს. მიაბიჯებდა და ერთიმეორის მიყოლებით ცდილობდა გათოშილი ფეხის თითების გატოკებას, მერე ათივეს ერთად კუმშავდა და შლიდა, კუმშავდა და შლიდა - ეგებ შებოჭილი სისხლი ამიმოძრავდეს, ოდნავ მაინც გამითბეს და ცოტა შვება მომგვაროსო.

არა შველოდა.

შემდეგ შემაწუხებელმა ფიქრმა განზე გადაიჩოჩა და სხვა სადინარში მოექცა: რაკი ადამიანებმა თავის დროზე ხელის თითებს სახელები მოუძებნეს, იმათ მსგავსად ფეხისებსაც ხომ დაარქმევდნენ რაღაცასო, - სერიოზულად დაიწყო მსჯელობა არასერიოზულზე: - შეიძლება, ზოგიერთმა გულუბრყვილომ თქვას: ტვინს რატომ იჭყლეტ, რაც ხელისებსა ჰქვია, ფეხისებსაც ის დაუძახე, ეგრევე პირდაპირ გადაიტანეო, მაგრამ არ იქნება სწორი, არ უშველის ეგ საქმეს. კარგი, ვთქვათ, ნეკი და არათითი გასაგებია, ადვილად გადაიტან, ჰო, ცერიც... მაგრამ, აი, ცერის მომდევნოს რას უპირებ, რა უნდა უწოდო, მშობლიური „სალოკი“ თუ კალკირებული „საჩვენებელი“? ჰა, რას იტყვი? შეეფერება? ბატონი ბრძანდები, აგერა ვართ და ვცადოთ: „საჩვენებელი ფეხის თითი“,

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ფეხის საჩვენებელი თითი“, „ფეხის სალოკი თითი“, „სალოკი ფეხის თითი“... არა, არ გამოდის, აშკარაა, რომ არც ერთი ვარგა და არც მეორე...

ფუჰ, კიდევ ერთი უაზროდ შემაღონებელი კითხვა შეცოცებულიყო აზროვნების ქვაბში. სავალალო კი ის გახლდათ, რომ ასეთი არაფრის მაქნისი ფიქრი საქმიანობად ჰქცეოდა ღემნას და ნამდვილი ფიქრისგან განსხვავებით გონების ფხის ასალესი ბორბლის მაგივრობას კი არა სწევდა, მღიერივით, ქარაგოზივით ნელნელა ეპარებოდა ტვინს და ფარავდა, იპყრობდა.

მზეს თოვლი შეედნო და ოღროჩოღრო ტროტუარზე ზოგან ისეთი ჭყაპი იდგა, გავლა გაგიჭირდებოდა, ამიტომ ბორდიურზე სიარული ამჯობინა /თუმცა ჩექმები უჭერდა და ამის გამო შესძულებოდა კიდეც, მაგრამ წასახდენად მაინც არ ემეტებოდა/. ბორდიურიც ვერ ბორდიურობდა, მიბრეცილ-მობრეცილიყო, აქა-იქა ქვებიც აკლდა და, რამენაირად წონასწორობა რომ დაეცვა, მუშაითის ოსტატობის გამოჩენა უწევდა.

ლამის ასკინკილით მიმავალს ფეხის თითები თანდათან გადაავიწყდა და ახლა სულ სხვა, შიშნარევი ფიქრი მოეძალა, არცთუ უსაფუძვლოდ შემაშფოთებელი ფიქრი - ბოლო დროს შეატყო, თითქოს მეხსიერება ღალატობდა და გონებაც ძველებურად აღარ უჭრიდა. თუნდაც ასეთი რამე ავიღოთ: ვთქვათ, მოხდებოდა, გაიცნობდა სუფრასთან ვინმეს, ნასვამებს მოეწონებოდათ ერთმანეთი, ძმობა-მეგობრობას შეჰფიცავდნენ და თავიანთი მომავალი ერთმანეთის გარეშე აღარ ესახებოდათ /ეგებ ალუმინის ჩანგლებიც ჩაეფხიკათ „საეროთი“ სავსე ჭიქაში/. მაგრამ გაივლიდა რამდენიმე კვირა ან თვე და ის კაცი თუ კიდევ გადაეყრებოდა სადმე, შეიძლება ვეღარც კი ეცნო. ანდა თუ ბუნდოვნად გაიხსენებდა: მგონი ეს ადამიანი სადღაც მინახავსო, სულ ერთია, აღარც ის ვითარება აგონდებოდა, სადაც გაიცნო და აღარც იმისი ვინაობა და ავანჩავანი.

მეხსიერების დაკარგვაზე შემაშფოთებელი სხვა რაღა უნდა ყოფილიყო!

ადამიანი მეხსიერებაა, ის არის, რაც არსებობის მანძილზე გონებას დაეჭდევა! - აქამდეც ასე სწამდა და ახლაც ასე სჯეროდა ღემნას, - ადამიანი ის *დ რ ო ა*, რაც ამქვეყნად ყოფნისას გაუვლია, რაც თავს გადახდენია, რაც უნახავს და ხსოვნაში ჩარჩენილა. შენთვის ბოძებული *დ რ ო ი ს ვ ა ნ* რაც დაგამახსოვრდება *ი ს ა ხ ა რ* /და აქედან იოლად მისახვედრია: როცა *დ რ ო ს ა* ჰკლავ, საკუთარი თავისთვისაც წვეთწვეთობით გამოგყავს წირვა/.

ერთადერთი, რაც აიმედებდა და ცოტად თუ ბევრად ამშვიდებდა, ის იყო, რომ ადრინდელი, ბავშვობაში მომხდარი და თავსგადახდენილი თითქმის ზედმიწევნით ახსოვდა და ჯერჯერობით არაფერი ავიწყდებოდა. ის კი არა, კაცი იფიქრებდა, რაც ხანი გადის, უფრო და უფრო მეტ სიმკვეთრესა და ფერადოვნებას იძენსო. თუმცა მყარ ნუგეშად ესეც არ გამოდგებოდა - ვინ დაუდგებოდა იმის თავდებად, რომ მართლაც არაფერი დავიწყებოდა, დავიწყების უბედურება ხომ სწორედ ის გახლავთ, რომ აღარ გახსენდება, დაგავიწყდა თუ არა რამე.

არა, მიუხედავად ამისა, ჯერ მაინც საგანგაშო არაფერი იყო. მთავარია, ფესვი არ გახმობოდა, ბავშვობას არ მომწყდარიყო, იქიდან მომავალი შუქის ნაკადი არ დაწრეტილიყო და დანარჩენს, ალბათ, ეშველებოდა.

ჰოდა, ეგრე ნაადრევად გულის გატეხა ნამდვილად არა ღირდა. თუ საქმე ასე სერიოზულად იყო, მაშ, რატომ იმ უბედური კაცის სახე არ იშლებოდა მეხსიერებიდან, იმათი სახლის ჩასწვრივ ფათერაკიან მოსახვევში მომხდარი ავარიის დროს სასიკვდილოდ რომ დაშავდა.

იმხანად ძალზე ვიწრო და უხეირო, თანამედროვე ავტომობილებისთვის მეტად სახიფათო და მოუხერხებელი გზა ჩამოუდიოდა ზედაშიანს. ხშირად ხდებოდა ავარიები და არც მსხვერპლი იყო იშვიათი. ერთხელ ამ გზისთვის მართლაც შეუფერებელი, უშველებელი სატვირთო მანქანა გადავარდა ნაძრახ მოსახვევში, თავად მძღოლი და კაბინაში ჩაჭუჭკული ქალი და კაცი შედარებით იოლად გადარჩნენ, ძარაზე მჯდომი დაშავდა მძიმედ. გარს შემოხვეული სოფლელები ცდილობდნენ, ვისაც როგორ შეეძლო, დახმარებოდნენ უბედურს, ამშვიდებდნენ: ნუ გეშინიან, სადაც არის ექიმები მოვლენ და გიშველიან, ისეთი არაფერი გჭირსო.

დღესაც ყურში ედგა იმ კაცის განწირული კვნესა:

- ვაიმე, ვიღა რას მიშველის, ხალხნო, ნაშენი აღარა მაქვს!

გვერდზე მიწოლილს ლაჯებშუა ჰქონდა ხელები ამოდებული...

სამი-ოთხი წლის ღემნა გაოცებული შეჰყურებდა უეცრად გაუმწეოებულ უფროსებს და უკვირდა, რომ თურმე შეიძლება, ისინიც უძლურნი და უილაჯონი ყოფილიყვნენ ზოგჯერ.

მერე მოვიდა ის მაღალი, ერთიანად გათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თრებული, მაგრამ ახალგაზრდულად წელგამართული და ტანადი მოხუცი. თუმცა იმ დროს მოხუცსაც ვერ უწოდებდი, სამოცსაც არ იქნებოდა მიტანებული. პირველად მაშინ ნახა, სურათში კი არა, ცოცხალ კაცს რომ ჰქონდა მხოლოდ ნიკაპზე დარჩენილი პატარა წვერი.

მალე გზის გაფართოება დაიწყეს. სამუშაოს ის მოხუცი უფროსობდა და პატარა დემნას სულ თან დაატარებდა - ეფერებოდა, უამრავ თავშესაქცევ ამბავს უყვებოდა, მისთვის მანამდე უცნობ სხვადასხვაგვარ ნუგბარეულს უმიდავდა და ბიჭსაც დიმიტრი პაპასთან ყოფნას აღარაფერი ერჩია, ნიადაგ იმისკენ მიუწევდა გული. გზის მუშებიც რომ კარგები იყვნენ! ახალგაზრდები, ჯან-ღონით სავსენი, მხიარულები...

- მოდი აქ, დემნა, ცოტა ხანს გრილოში დაჯექი ჩვენთან! - ეძახდნენ შუადღისას ვეებერთელა ნეკერჩხლის ჩრდილში დასასვენებლად მსხდარნი, - რა დაგარბენინებს მაგ სიცხეში, კაცო?

დემნას ახლად მოჭრილი რცხილის ტოტი მოემარჯვებინა და პეპლებს დასდევდა დასაჭერად.

- გეყოფა, გეყოფა, მოდი, - მოუხმობდა დიმიტრი პაპაც და ნეკერჩხალ-ქვეშ მცირე სუფრას აწყობდნენ.

- ლოთიანად, დემნა, აბა ერთხელ კიდევ გვითხარი, ახლა გულით რას ინატრებდი? - ვინ იცის, უკვე მერამდენედ ეკითხებოდა სიღნაღელი გეურქა, სომხისა სახელის მეტი რომ აღარაფერი შემორჩენოდა.

- რასა და... აუჰ! ერთი იმ ადგილისთვის მიმაგნებინა, სადაც პეპლები კვერცხებსა სდებენ და მერე მე ვიცოდე!

- ვაჰ, ეს რა ჭკვიანი ვინმეა, კაცო! თორემ რატომ ჩვენ არ მოგვდის ეგეთი აზრები, ჰა? ჩვენც ხომ გვადგას თავები მხრებზე! - კიდევ და კიდევ კვირობდა გეურქა, - მერედა, რად გინდა, ბიჭო-ჯან, პეპლის კვერცხები?

- ეჰ, ინკუბატორს მოვაწყობდი და... - ოცნებისგან თვალები ენისლებოდა დემნას.

- კარგი და რად გინდა მაგდენი პეპლები, რას გააკეთებინებ?

- მეტი რა უნდა გავაკეთებინო, ვერა ხედავ, როგორი ლამაზები არიან?

- ვააარ, მარტო სილამაზის გამო?

- ესენი ვინ არიან, ე, თქვე კაი ხალხო, მაშ, მეტი რაღა გინდათ, უღელში ხომ ვერ შევაბამ წინა ხარების მაგივრადა?! - გაოცებული ძგიბავდა წარბებს ბიჭი.

და სიცხისგან დაოსებული ნეკერჩხლის ფოთლებს ათრთოლებდა გზის მუშების გულიანი ხარხარი.

- ჰო, გასაგებია, გასაგებია ყველაფერი, - საუბარში ერეოდა დიმიტრი პაპა, - ესე იგი, რომ გაიზრდები, იმ ინკუბატორის დირექტორობასა თუ გამგეობას აპირებ, არა?

- არა, რას ამბობ, - ხელებს ასავსავებდა დემნა, - ეგ ახლა მინდა, რომ გავიზრდები, მერე აღარა!

- აბა, მაშ, დიდობაში რა უნდა გამოხვიდე?

- სტალინი!

და ისევ ხარხარი და სიცილისგან დაოსება.

კაცმა რომ თქვას, რა აცინებდათ? ბიჭის ნათქვამში შეუძლებელი და დაუჯერებელი არაფერი უნდა მოსჩვენებოდათ, რადგან ეს სახელო თუ თანამდებობა მის მფლობელს უკვე გაეთავისუფლებინა და იმ ადგილის დაკავების პრეტენზიას მომავალში ისეთი ხალხი განაცხადებდა, რომ... დემნა ვითოთ ვისზე ნაკლები იყო?

- თქვენ ეგრე იცინეთ და, თუ თავმოყვარეობამ ხელი არ შეუშალა, იგამს კიდეც - ლამის უკვე სერიოზულად ამბობდა დიმიტრი პაპა.

მაგრამ ბედისწერა? ხვედრი მარადიული უფლისწულისა?..

უცებ მორჩა, უცებ დამთავრდა ყველაფერი. გამწყრალ-გაალმასებულმა დედამ ლამის თავზე ცეცხლი დაანთო დემნას, კინაღამ გაფესკა და გაანაძოძა:

- იცოდე, გზის ოსტატია თუ ვიღაცა ოხერია, იმისკენ თვალგაპარებულიც აღარ დაგინახო, თორემ ჩემი ხელით გამოგჭრი ყელს! - ემუქრებოდა და, მიუხედავად მთელი დღის მანძილზე ცრემლების ღვრისა და წრიალ-წკმუტუნისა, ეზოს გარეთ ცხვირი აღარ გააყოფინა.

- ხმა! ხმა ნუ მესმის შენი! - უყვიროდა გაანჩხლებული, - შენი ზლუქუნით გულს ვერავის აუჩუყებ! ეგ ტირილი არ არის და, თუ მაინცადამაინც ტირილი გწადია, აი, ამ ჯოხით გასწავლი, რანაირად უნდა! - მატყლის საპენტ ჯოხს უჩვენებდა შორიდან.

- მაგასთან რა გინდა, გოგო, მაგან რა დაგიშავა? - შვილის დამშვიდებას ცდილობდა ბებო.

- ესა მყავს მოსაკლავი, ეს! ამ თითის სიგრძე ბალღს იმსიშორეზე რა დაატანტალებდა და რას ეტმასნებოდა უცხო კაცს? ვინ ოხერია? რატო ან შენ და ან მე არ ვიცით რამე იმის ასავალ-დასავალისა?

- ბავშვისგან რა გიკვირს, ბავშვი ეგრეა, ვინც ცოტაოდენ გულს უჩვენებს, ყველას მიენდობა.

- კარგი რაა, დედაჩემო, შენ მაინც მომეშვი, ისედაც თავი გახეთქვაზე მაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ჰოდა, მაგას არ გეუბნები? ან მაგ ბავშვისგან რა გინდა და ან შენ რად იშლი ნერვებს?

– ჭიაყელა რომ ჭიაყელაა, სუსტი, უძლური, უძვლო, ფეხს თუ დაადგამენ, ისიც კი დაიკლაკნება, რაღაცას იზამს, მე ხომ ადამიანი ვარ? რა ვქნა, მაშ, გავჩუმდე და ხმა არ ამოვიღო? სუყველა თავზე გადავიტარო?

– ჰო, მაგრამ მაგ საქმის ეგრე გაასკეცება ნამდვილად არა ღირდა, ჩიტის სკლინტზე კი ნუ ააგებ სანეხვესა.

– ელისო, რასაც ამბობენ მართალია ვითომ? – ღობის იქიდან ჩაერია დედა-შვილის საუბარში მეზობლის ქალი.

– აბა რა გითხრა, გენაცვალე, გენახეს უპატრონოები და ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენს დაჩაგვრასა და დაბრიყვებას ცდილობს.

– ვერ უყურებ შენა! – კვირობდა მეზობელი, – ეგ რანაირად გკადრა, ეგ რანაირად შემოგბედა, ქა!

– ხალხის ამბავი არ იცი? რახან ღარიბები ვართ, ჰგონიათ, ყველაფრის ყიდვას მოახერხებენ ჩვენგან, ჰგონიათ, თავიანთ დაკრულზე, როგორც უნდათ, ისე გვაცეკვებენ, – თან მატყლს პენტავდა, თან მეზობელს ეხმიანებოდა დედა. ვერ იქნა და ვერ დამშვიდდა: – გესმის, ქალო, რა მოინდომა?! დროც არის პაპიჩემისა! თუ შვილი და მიმხედავი უნდოდა, სად იყო ამდენ ხანს, ან მეტი ვერავინა ნახა, რაღა ჩვენ მოგვაყუდა ჯოხი?! ჰაიიი, განა თავიდანვე არა ვეჭვობდი, აქ რაღაცა სხვა ამბავია, თორემ ეს უცხო კაცი ნაირ-ნაირი ნამცხვრებითა და ტკბილეულობით სხვის ყმაწვილს რისთვის უსუყებს-მეთქი გულსა... ჰაიიი, ერთი ამის პაპაბიძა ცოცხლები უნდა იყვნენ, რომ დაეცათ ყბა და ჯღანმანიანად გადაეყლაპნათ ის უსვინდისო, ისა!

– მაშ, ქაა, მაშ, ისე გთხოვს ამ ბავშვს, თითქოს შენ ათი კიდევ სხვა გრჩებოდეს. რა ნამუსით გიპირებს უმაგისოდ დატოვებას, რაო, ვითომ შენი შვილი მე უფრო მინდა, ვიდრე შენაო? გაგონილა ეგეთი რამე? – ცეცხლზე ნავთს უსხამდა მეზობელი ელისოს.

– მაგ გადამღრძვალ ბებერს, რა თქმა უნდა, მზამზარეულად გაზრდილი ენდომება, მა რა!

– სწორი გითხრა, ბებერიაო, ვერ იტყვი, მაგრამ, რა ხნისაც გინდა იყოს, ამასთან რა ხელი აქვს? – დემნასკენ გადაიქნია თავი მეზობელმა, – ან დედას შვილი რა სვინდისით უნდა წაართვას?!

– ნეტავი შენა, უშვილძირო ადამიანმა შვილის ფასი რა იცის!

– არა, ქაა, რათა უშვილძირო? შვილი როგორ არა ჰყოლია, მაგრამ ამ ხუთი-ექვსი წლის წინ, – დედაკაცმა ხმას დაუწია და აქეთ-იქით მიმოიხედა, – ამ ხუთი-ექვსი წლის წინ გადაუსახლებიათ და იქ მოჰკვდომია, ჯერ საფლავიც არ იციანო.

– ეგ ჩემი საქმე არ არის, ეგ ჩემი საქმე არ არის! კეთილი ინებოს და ყველამ თავისი მკვდარი თვითონ იტიროს! – ისე მკვახედ, ისე უკმეხად მიახალა დედამ, თითქოს ეს უბირი მეზობლის ქალიც დიმიტრი პაპას ბანაკში ეგულებაო.

– რად იშლი, გოგო ნერვებს, რაღა? იმ კაცმა იქნება იხუმრა რაღაცა, იქნება არც არაფრად სჭირდება შენი შარახვეტია ბიჭი, ყველაფერი იმწუთას გულთან კი არ უნდა მიიტანო? – შვილის ბრაზის ჩაცხრობას ცდილობდა ბებო.

– რას ჰქვია, იხუმრა, როგორ თუ იხუმრა, ეგ რანაირი ხუმრობაა! მოდი, დამანებე თავი, დედაჩემო, არ მინდა შენი ჭკუის სწავლება, ჩემი საქმისა მე ვიცი!

– იცი და იცოდე, რა ვქნა, შენ ჩემი ლაპარაკი არც ადრე გესმოდა და არც ახლა გეყურება.

დემნა კი იქვე, კიბის ბოლო საფეხურზე იჯდა, უკვე ანგარიშმიუცემლად ფშლუკუნებდა და გაოცებული ფიქრობდა: მართლაც უცნაური ხალხია ეს უფროსები, ვერ გამიგია, ამ უბრალო ამბავზე ასეთი აურზაურის ატეხვა და ათასნაირი კუდის გამობმა რა საჭირო იყო. თუ დიმიტრი პაპას ეგეთი რამე მართლა შეეშალა და ნამდვილად მოიწადინა დემნას შვილება, მთლად კარგი საქმე ვერ მოსვლია და ვარაუდშიც მოტყუებულა, მაგრამ ძალით მიჰყავდა? ძალითართმევდა დედამისსა? უარი უთხრეს, მაინც თავისაზე იდგა და მოტაცებით იმუქრებოდა? არაო, ეთქვათ და ამით მორჩებოდა ყველაფერი. ალბათ, მორჩა კიდეც. ისე, დემნას თუ ვინმე ჰკითხავდა, დიმიტრი პაპასნაირი ტკბილი კაცის მომდურება ეგეთი წვრილმანის გამო ნამდვილად არა ღირდა. მაგრამ ეს უფროსები ყველაფერს აზვიარებდნენ... აზვავრზვავრებდნენ და ერთ ჩვეულებრივ ამბავს ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, გადაირეოდა კაცი.

არა, დემნას ამათი არაფერი ესმოდა და იმის იმედიც არა ჰქონდა, რომ მომავალში მაინც გაიგებდა.

ასე დასრულდა გზის ოსტატისა და დემნას მეგობრობა. ამასობაში გზის გაფართოებაც შეჩერდა და კარგა ხნით დაკარგეს ერთმანეთი.

ორიოდე წლის მერე, მკათათვის ბოლოს, როცა დემნა პირველ კლასში მისასვლელად ემზადებოდა, დედამ სკოლისთვის აუცილებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც-რაღაცების შესაძენად რაიონში წაიყვანა. ეს იშვიათზე იშვიათი მოვლენა გახლდათ, რადგან დედამისი წლების მანძილზე ზედაშიანს არ გასცილებოდა და თავის სოფელშიც ათასში ერთხელ თუ ვინმეს ესტუმრებოდა.

სიღნაღში სრულიად შემთხვევით გადაეყარნენ დიმიტრი პაპას /განა შემდგომშიც მუდამ ეგრე შემთხვევით არა ხვდებოდათ?/. აუჰ, რაც ის დემნას ეფერა! ლამის სულში ჩაიძვრინა. მერე კინაღამ დაუჩოქა დედას და დიღხანს ემუდარა: სულ რამდენიმე წუთით დამდეთ პატივი და შინ მესტუმრეთო.

მას შემდეგ ეგეთ ბინაში აღარ მოხვედრილა, სადაც არც ერთი ნივთი ზედმეტად არა გრძნობდა თავს. ახლაც ახსოვს იმ კოპწიად მორთული ოთახების სიგრილის სუნი და დედაბერი - ამ სახლ-კარის განუყოფელი, მაგრამ ცოცხალი ნაწილი - დროდადრო რუსულად რომ შეეძრახებოდა ხოლმე მეუღლეს.

- ქალბატონო ელისო, - ეხვეწებოდა დიმიტრი პაპა დედამისს, - თქვენ ახალგაზრდა ბრძანდებით, თვალადი, ტანადი, მარტო არავინ დაგტოვებთ... ნურც ეცდებით, ნურც გაიმრუდებთ ცხოვრებას... ასეთი ცოცხალი გონების ბავშვს კი სხვა გარემოში აღზრდა სჭირდება, სხვაგვარი მიხედვა და პატრონობა. ის მიწამ იმსგავსოს და ამას როცა ვუყურებ, სულ ჩემი ირაკლი მიდგას თვალწინ, იმას მოუკვდეს მამა... - ეტყობა, მეტი დამაჯერებლობისთვის გლეხურად მოუქცია მოხუცმა.

- ეგ ეგრეა, ყველა ბავშვი ერთმანეთსა ჰგავს და ყველა საყვარელია. მერეა, რომ გაიზრდებიან და...

- არა, მე მხოლოდ ხასიათზე არ მოგახსენებთ, გარეგნული მსგავსება მაქვს მხედველობაში. ამ სურათს არ მიაქციეთ ყურადღება? - და ორ ფანჯარას შორის კედელზე დაკიდებულ ახალგაზრდის ვეება პორტრეტზე მიუთითა.

აქამდე თავდახრით მჯდომმა ელისომ აიხედა და უეცრად ელდანაკრავივით გაშეშდა, ყელი გაუშრა, ნერწყვი წვალებით გადაყლაპა და შეცბუნებულმა ძლივძლიობით დაძრა ხმა, მაგრამ თანდათან მოიცა ძალი:

- ეს... ეს სურათი თქვენთან რანაირად მოხვდა? აქ რატომ ჰკიდია? ირაკლის სურათს თქვენთან რა უნდა?! - თითქოს ეკლესიის განძის მცველმა ამ განძსა და იმის დიდი ხნის წინ გამტაცებლებს ერთად წაასწრო და ახლა მორჩა, ცოცხალი თავით იმათი ხელიდან გამშვები აღარ არისო.

აუჰ, ეს რამხელა თვალები გაუხდა დედას! სკამიდან წამოდგა და ფეხარეული ანგარიშმიუცემლად იმ კედლისკენ წავიდა, სადაც ახალგაზრდის ფოტო ეკიდა, იფიქრებდი: ხელით უნდა მოსინჯოს, ნამდვილი არის თუ არაო, მაგრამ გზაშივე მოერია თავს, სწრაფად მობრუნდა და იმავე სკამზე ჩამოჯდა, სადაც ცოტა ხნის წინ იჯდა. სცადა და მოახერხა კიდეც, ძველებურად შეუვალი სახე დაებრუნებინა.

მოხუცები, გეგონება, ვერც კი შეამჩნიეს ელისოს მოძრაობაო, უხმოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს თვალებში - ამდენი ხნის თანაცხოვრების მანძილზე ესწავლათ, რომ სათქმელი უსიტყვოდ გაეგებინებინათ ერთიმეორისთვის.

როდის-როდის ისევ ელისო ალაპარაკდა, დაყოვნებებით, მძიმედ, სვენებ-სვენებით:

- ახლა ყველაფერი გასაგებია. მივხვდი, რასაც შეუცდენიხართ. მაგრამ თუ თქვენ დაუჯერებლის დაჯერება გსურთ, კეთილი და პატიოსანი, მე რა დამშლელი ვარ? - გაჩერდა, მაგრად მოკუმული ტუჩები წამიერმა ღიმილმა გადაუსერა და მერე კვლავ გააგრძელა სათქმელი: - ჰო, ვიცნობდი ირაკლის, პირველ კურსზე მისვლისთანავე გავიცანი. თუმცა მცირე ხნით, მაგრამ ძალიან კარგად ვიცნობდი... ისიც ვიცოდი, სიღნაღელი რომ იყო, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი, თქვენი შვილი თუ იქნებოდა...

- ჩვენც ვიცით, რომ იცნობდი, შვილო, ყველაფერთან ერთად იმიტომაც გცემთ ასეთ დიდ პატივს. ირაკლის მეგობრის არჩევა არ შეეშლებოდა! ვინ იცის, ეგებ არც სხვა რამე ეშლებოდა... მაგრამ რაც იყო, იყო, ახლა იმ დიდი და ჭკვიანი კაცის რჩევას მივყვეთ, დავივიწყოთ წარსული და მომავალზე ვიფიქროთ, იმაზე ვიფიქროთ, რანაირად მოვახერხოთ, რომ დემნა საამაყო ვაჟკაცი დადგეს.

- ეჰ, ბატონო დიმიტრი, თქვენ რა სიკეთე ნახეთ, ირაკლი რომ ასეთნირად აღზარდეთ? დამიჯერეთ, სხვაზე გონიერი და სხვაზე თვალტანადი რომ არა ყოფილიყო, იქნება ამ თემაზე არაფერი გქონოდათ ჩემთან სალაპარაკო, - ელისო ცრემლმოძალებული თვალებით შეჰყურებდა ახალგაზრდის პორტრეტს, - არა, ბატონო დიმიტრი, არა, ჩვენ გლეხები ვართ, პატარა ხალხი, რაც უფრო ნაკლებად მოეხვდებით ვინმეს თვალში, უკეთესია. გვეყო, ჩვენი სისულელით რაც დავკარგეთ, გვეყო! ვისწავლეთ თუ გვასწავლეს უკვე ჭკუა.

- დანაკარგზე თუ მიდგება საქმე, არავისზე ნაკლები ჩვენც არ დაგვიკარგავს, მაგრამ სულ ეგრე ხომ არ იქნება, შვილო, სულ ეგრე არ შეიძლება იყოს. ხვალეზე არ უნდა ვიფიქროთ? თანდათან იცვლება ქვეყანა, სხვაფერდება.

- არა, არა, ჩვენთვის დიდი ხანია გადასხვაფერდა, არც არაფერი გვინდა, არც არაფრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთვის ვემზადებით.

- ეს რასა ჰგავს, გენაცვალე, - ხელები გაშალა დიმიტრი პაპამ, - ჩვენ, ამხნის ხალხი იმედიანად ვუყურებთ მომავალს და თქვენ ეგრე რამ ჩაგიკლათ სასოება?

- იქნება იმიტომ, ბატონო ჩემო, რომ თქვენ სხვა დროს დაიბადეთ და სხვა დროის მადლი გადმოგყვათ. ჩვენ კი მეტი არ შეგვიძლია, ჩრდილში გვაცალონ ყოფნა, დაგვაყენონ.

- რაო, ელისო, ეგებ არც უმაღლესში გაგზავნას უპირებთ, სკოლას როცა დაამთავრებს? - ხრინწი გაერია მოხუცს ხმაში.

- ალბათ, არა, ენახოთ, იქამდე ვიცოცხლოთ.

- ბავშვს მაინც ნუ ჩაუნერგავთ ეგეთ შიშს, ბავშვს მაინც ნურაფერს აგრძნობინებთ, თორემ გაუჭირდება დიდობაში ცხოვრება. - აშკარად დაეტყო უკმაყოფილება დიმიტრი პაპას.

- ერთი წუთით მეც მომისმინეთ, თუ შეიძლება, - საუბარში ჩაერია დედაბერი, - იქნება იმას ფიქრობთ, თითქოს შვილს გეცილებოდეთ, მართლა შვილის წართმევას გიპირებდეთ. თუ ისურვებთ, თქვენც ჩვენთან გადმოდით, რაც შეგვეძლება და რაშიაც გამოგადგებით, გვიმსახურეთ. ყმად დაგიდგებით, ოღონდ ამ ბავშვის ცოდოს ნუ დაიდებთ. დიმიტრის თქმით, ჩინებული ყმაწვილი ყოფილა, ბრალია, რომ სოფელში იზრდებოდეს.

- ბავშვი ცოდო არ შეიძლება იყოს, თუ ის თავის დედასთან იზრდება, სოფლად იქნება თუ ქალაქად. - დედაბერს კი არა, დიმიტრის მიმართავდა, დიმიტრის უყურებდა თვალებში ელისო, - ბევრს ვერაფერს დაგპირდებით, მაგრამ ჩემი შვილი პატიოსანი კაცი რომ დადგება, ამაში დანამდვილებით შეგიძლიათ მენდოთ. თანაც ზედაშიანი და სიღნაღი რამ გაყო, რა დიდი განსხვავებაა, აქ იცხოვრებს თუ იქა.

- ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იქნება თვითონაც გეცადათ სწავლის გაგრძელება, სამი წელი აღარც კი გქონდათ დარჩენილი...

- როგორ კარგად შეგისწავლიათ ჩემი ბიოგრაფია, - უკვე მკვახედ, უკმეხად შეაწყვეტინა ელისომ, - არა, ბატონო დიმიტრი, არ გამოვა ეგ საქმე, სხვა რომ არაფერი, ერთობ დაგვიანებულია.

- მაინც მოიფიქრეთ, ეგრე გადაწყვეტით ნუ გვეტყვით უარს, - კვლავ ამოიღო ხმა დედაბერმა, - დიმიტრი კიდევ ერთხელ მოგინახულებთ.

- რამდენჯერაც გენებოთ, იმდენჯერ მობრძანდით, გინდა თქვენ და გინდა ბატონი დიმიტრი. ამ ერთადერთ შვილს ვფიცავ, ყოველთვის სიამოვნებით მიგიღებთ, მაგრამ პასუხი ერთი და იგივე გვექნება მუდამ.

მოხუცები დადარდიანებულნი, იმედგადაწურულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს.

სიღნაღიდან სოფლისკენ მიმავლებმა როცა აღმართი აათავეს და დიდ თელასთან ქარის ამოსაღებად ჩამოსხდნენ, დედა დემნას მიუბრუნდა და რატომღაც ტოლივით გაესაუბრა:

- მართლაც ქვაზე მაგარი ყოფილა ადამიანი, შვილო, ეს რა გაძლება ჰქონია, ეს რამდენი რამის ატანა შესძლებია! ის მთელი ჩვენი კუთხის სამაგალითო ვაჟკაცი, აქაურობის შნო და მშვენება, თურმე მაგას გადაუსახლეს, გაუუბედურეს და წუთისოფელს გამოუსალმეს, ეს კი, იმის ნაცვლად რომ ირაკლისთვის გაჭრილ სამარეში პირველი თვითონ ჩაწოლილიყო, ახლა დამდგარა და სხვისი შვილის აღზრდაზე ფიქრობს. შენგან რა უნდა, შენ რას გეთოთხმეტება?!

დემნას სულ სხვა რამე აინტერესებდა:

- მართლა იცნობდი, დედა, იმ კაცს?

- ვისზე მეკითხები?

- აი, სურათზე რომ იყო, დიდთვალება.

- ვიცნობდი, ჰო, ოთხიოდე წლით ჩემზე უფროსი იყო და ერთ პერიოდში მოგვიწია სწავლამ თბილისში... კაციო? რა კაცი, შვილო, დაკაცება ვინ დააცალა, ოცდახუთ წელსაც ვერ გადააბიჯა საცოდავმა...

უცებ ცრემლი მოერია, დემნა გულში ჩაიკრა და ათრთოლებული ხმით უთხრა:

- თუ მოახერხებ, მომავალშიც ნუ დაივიწყებ მაგ მოხუცებს, შვილო!

ეჰ, ვერა, ვერ მოახერხა.

ტროტუარზე ისეც არ გაივლებოდა და დემნაც კვლავ ბორდიურს მიუყვებოდა. ბავშვობისდროინდელ მოგონებებში გართულს ქვის კიდეზე ფეხი დაუცდა და კინაღამ გუბეში მოადინა ზღართანი.

- ვაიმე, ბიძია, ფრთხილად, არ დაეცეთ! - ლამაზად წამოკივლება მოესმა ყურთან.

თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგონები იყვნენ, ალბათ, ბოლო, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები - ატკარცალებულები, ანთებულები, განათებულები - ზამთრის მზეშიაც რომ იოლად ყვავილობენ.

მაგრამ *ბ ი ძ ი ა ო*?!

დემნა ლამის მართლა წაიქცა. შემცბარმა ვერაფრის თქმა მოახერხა, თავი დაღუნა და ჩუმად გაუყვა გზას. დამთავრდა, - ფიქრობდა გულდამძიმებული, - ესეც ასე, მორჩა, გაიპარა თვალსა და ხელს შუა. დაილია, ამოიხაპა ამოსახაპი, წაიღო უკვე თქვენი ჭირი. დამთავრდებოდა, აბა რა გეგონა, ჩემო ძმაო, მუდმივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის მზისქვეშეთში. ხვალ, ალბათ, ავტობუსში ადგილს დაგითმობენ, *ბ ი ძ ი ა*, ხვალზევით... ფუჰ, დამანებე თავი... ეგრევე ჭყაპში მიტოპავდა, აღარაფერს ერიდებოდა - აღარც ჩექმები ენაღვლებოდა და აღარც ფეხის თითები. უცებ გუნდა მოხვდა, ერთი, მეორე... შემობრუნდა. ის გოგონები ესროდნენ, უცინოდნენ, ჩანთებს უქნევდნენ. მკერდი სიხარულით აევსო, ეგონა, მეც დავდნები და ამ აჭყავაპებულ თოვლს შევერევიო. ასე გულხალვათად დიდი ხანია აღარ ყოფილა. ნელ-ნელა ასწია ხელი და თვითონაც დაუქნია.

ამ ბოლოკეთილმა ამბავმა გულში ისეთი სითბო ჩაუღვარა, ერთი გაზაფხულის მოსვლას ეყოფოდა კი არა, თავზეც გადაუვიდოდა. თუმცა, მერე და მერე, სიამოვნება თანდათან გაიცრიცა, გაფერმკრთალდა, გაქრა და მკაფიოდ მხოლოდ ის ერთი შეხედვით თითქოს ხუმრობით ნათქვამი, მაგრამ ფიცარში გაჩენილი რკილივით განუწყვეტლივ შემაწუხებელი წინადადებაღა დარჩა:

- ფრთხილად, *ბ ი ძ ი ა*, არ დაეცეთ!

ეს მერე იყო, რკილად მერე იქცა. ჯერ კი დიდებულ გუნებაზე მყოფს იმ გოგონებისგან გადადებული ხალისი სულს სიცოცხლით უვსებდა, დიდი საქმეების საკეთებლად მოუწოდებდა, სამოქმედოდ აქეზებდა, სამოქმედოდ უშლიდა საღერღელს. თავისიანებთან ყოფნა მოუნდა, ახლობლების გარემოში სუნთქვა, თავისი გულისთქმის მათთვის გაზიარება. გადაწყვიტა: ოთართან ავალო. მით უმეტეს, ლამის ერთი კვირა ხდებოდა, რაც ერთმანეთი აღარ ენახათ.

კარი პაატამ გაუღო. ცისფრად მოკამკამე თვალები სიხარულისგან გაუბრწყინდა. კოცნიდა, ცელქი ლეკვივით ცქმუტავდა და ურბენდა გარშემო - ამხელა ოტროველას ჯერ კიდევ არ ეთმობოდა ბავშვობა.

- კარგი, ბიჭო, გეყოფა, - ყასიდად გაუწყრა დემნა, - ცოტა ხომ უნდა დასერიოზულდე, ცოტა ასაკი ხომ უნდა დაგეწყოს? - ვეება თავზე ხელი მოუთათუნა და სინანულით გაიფიქრა: ნეტავი, ხუჭუჭი თმა მაინც არ ჰქონდეს, ჯერ ისე რა არის და ეს თმა კიდევ უფრო დიდ თავს უჩენსო.

- რა მოხდა, დემნა, რატომ დაგვიძვირე სტუმრობა, დედასაც და მამასაც, იცი, როგორ მოენატრე? სტუდენტობისას უფრო ხშირად ახერხებდი შემორბენას, ახლა კი ლამის ორი თვეა, თვალით აღარ დაგვენახებიხარ. შენს ძმაკაცს, ვიცით, რომ სხვაგანაც ხვდები, მაგრამ ჩვენ რაღად მოგვიძულე, გაწყენინეთ რამე?

- აბა რას სულელობ ამხელა კაცი, რა უნდა გეწყენინებინათ? ზამთრობით გარეთ გამოსვლა და ქუჩაში სიარული მძაგს და ვერიდები, ეგ არისდა ეგ, წყენა რა შუაშია. ისე, არც იმითი დაშავდება რამე, შენ თვითონ თუ მოიფიქრებდი და შემომივლიდი. არ მითხრა ახლა: არა მცალია, გაკვეთილების მომზადებას ვერ ავუდივარო. ჰო, მართლა, გახსენებაზე, სწავლის საქმე როგორ მიდის, ხომ არ ზარმაცობ?

- შენღა გაკლდა, რაა! მეცხრე კლასში რომ იყავი, ხუთიანების მეტი არც არაფერი გადარდებდა და არც არაფერი გქონდა საფიქრალ-საწუხარი, არა? - უკმაყოფილოდ გაიჭყანა ბიჭი.

- აბა, აბა, ნუ აურიე. აუცილებელი არ არის, ყველაფერში ოთარს გამოემგვანო. გოგოების დევნა ხელს არ მოგცემს, ჯერ ადრეა შენთვის.

- ეგრე გეგონოს!

- ერთი ამას უყურეთ! - დაუტატანა დემნამ და გაიფიქრა: ძმა ჰყავს კერპად და საფიცრად, ყველაფერში იმასა ბაძავს და ცხოვრების წესსაც თუ იმისგან გადაიღებს, რა გასაკვირი იქნებაო. მერე ოთარის ოთახზე ანიშნა თვალით: - შინ არის?

- ჰო, ლევანია კიდევ, გელაშვილი.

- შენ აქ მარტო რას აკეთებ, რატომ არ შეხვალ იმათთან?

- ვისთან, ბიჭო, მაგ ბებრებთან? ჩამორჩენილებთან? დახავსებულებთან? არა; გენაცვალე, ძალიან მოსაწყენი ხალხია.

- მაშ, ჩვენ უკვე ბებრები ვართ, არა? ჩემზეც ეგრე ფიქრობ, რა თქმა უნდა, - გაეცინა დემნას.

- შენზე? რა ვიცი... - ტუჩები გამობურცა და თავი გაურკვევლად გადაიქნ-გადმოიქნია ბიჭმა.

- მოდი, მოდი, გეყოფა მანდ მენტორობა, დავილიენით შენს მოლოდინში, ვეჟო, - კარს იქიდან გამოსძახა ოთარმა.

- ესა ნახეთ, მართლა შინა ყოფილა, ე! - ვითომ გაიოცა დემნამ და პაატას თვალი ჩაუკრა.

- ჰო, ჯერჯერობით აქა ვზივარ და სხვანაირად არ ძალმიძს, ერთ-ორ საათს კიდევ არ ვაპირებ არსად წასვლას.

- კეთილი და პატიოსანი, ნება თქვენია, დამშლელი და მბრძანებელი ვინა გყავთ! - ბიჭებს ხელი ჩამოართვა და სავარძელში ჩაეშვა დემნა.

გამხდარ, მომცრო ტანის ლევანს დიდ შინნაქსოვ ჯემპრში შეემალა ნაწრთობ-ნავარჯიშევი, ჯუჯა ვარსკვლავის ნატეხივით მკვრივი სხეული.

- რას შვრები, მუშაობა ხომ არ დაგიწყია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჰკითხა დემნას, ისე, გულსგარეთ, სასხვათაშორისოდ, რადგან წინასწარვე იცოდა, დაახლოებით რა პასუხსაც მიიღებდა.

- არა, ჯერ არა. რა ვიცი, მპირდებიან და ვნახოთ... შენკენ რა არის ახალი?

- ახალი? - წყნარად ჩაიცინა ლევანმა, - ახალი არაფერი, რა უნდა იყოს.

- ჩემს ირგვლივაც ყველაფერი ძველებურად არის, ძველ კალაპოტში მივედინები. - შეკითხვა არ დააცადა ოთარმა.

- პაემანი და პაემანი, სულ ბორჯალის ქამი გიდგას, არა?

- ნამდვილად, გენაცვალე, - გულღია, გადამდები სიცილი იცოდა ოთარმა, - მერწმუნეთ, წუთისოფლის ამაოების წინააღმდეგ ქალი ყველაზე უებარი საშუალებაა.

- ქალი? თავად ქალი რაღას ამბობს? - ოთარს ეკითხებოდა და დემნას უმზერდა ლევანი.

- ბატონო? ვინ ქალი? აბა ქალი?

- წუთისოფლის ამაოებას შებრძოლებული ქალი.

- აჰ, ქალი, ქალი... მთლად კარგადა ვარმეთქი გარკვეული ამ საკითხში, ვერ მოგახსენებთ, რადგან სხვის ტყავში შეძრომა მიჭირს, მაგრამ ვვარაუდობ, რომ ის კაცს უნდა სთვლიდეს უბადლო წამლად. მე ნამდვილ ქალზე მოგახსენებთ, რაღა თქმა უნდა, ბატონებო.

მომხიბლავი მეტყველება, დახვეწილი მოძრაობები, შესანიშნავი მიმიკა - აღტაცებული შეჰყურებდა დემნა მეგობარს. პაპუნას მსახიობობა ბედისწერის ხუმრობა გახლდათ, მისსავე გარეგნობას რომ შეეცდინა ისიც და სხვებიც. აი ვინ იყო ჭეშმარიტი მსახიობი - სცენა ამას დაშვენდებოდა და სცენას იგი დაამშვენებდა.

- რა საოცარია, არა? - წამოდგა ლევანი. ეტყობა, დემნასგან განსხვავებით, მეგობრის ნათქვამის აზრს უფრო მიაქცია ყურადღება, ვიდრე დეკლამაციას, - ჰო, ახლა ეხუმრობთ, გასაგებია, მაგრამ, როცა ძალზე სრიოზულები ვართ, მაშინაც თითოეული ჩვენთაგანი საკუთარ კოდექსს ვადგენთ, საკუთარ მარტივ ფილოსოფიას ვქსოვთ ჩვენი ცხოვრების გამრუდებული წესის გასამართლებლად.

- ეეე, დაიცა, დაიცა, ნუ გაუტიე! აღარ მინდა ეგეთი თამაში, მაინცდამაინც უნდა გამაბრაზოთ? - წყენა დაეტყო ოთარს ხმაში, მაგრამ სცადა, მეგობრის სიტყვები ხუმრობაში გაეტარებინა: - რად იცით ხოლმე, კაცო, ნათქვამისთვის გაუკუღმართებული აზრის მინიჭება, ეს ნამდვილად სერიოზულად თქმული, გინდათ, მართლა სერიოზულად მიიღოთ?

- არაფერი გასაკვირი ეგ არ არის, ლევან, - ოთარის ნათქვამი თითქოს არც გაეგონოს, ყურადღება არ მიუქცევია დემნას, - ამქვეყნად გაჩენილ ჰომო საპიენსზე საცოდავი არავინ შეიძლება იყოს, რადგან მიხვედრილია თავის უაზრობასა და უფუნქციობას;

- რისთის მოვედით?

- რისთვისა ვართ?

- რისთვის მივდივართ?

ყვირის ხან ჩუმად და ხან ხმამაღლა, მაგრამ რად გინდა? მარტო კითხვების დასმა ბევრს ვერაფერს წყვეტს, თუ იქვე პასუხი არ მოუნახე. პასუხის გაცემა კი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, უამრავმა სცადა, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. ამ უპასუხო კითხვების გამსრესი კირთი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე სიმძიმე სულ უფრო და უფრო ემატება, როგორმე რომ დაძლიოს და მისჯილი სიცოცხლის ბოლომდე მიატანოს - ამ უაზრობამ თავი რომ არ მოაკვლევინოს - იგონებს რაღაცა მიზანს და მერე იმისკენ მიილტვის აჩემებულად, იმის აღსასრულებლად აღარაფერს ერიდება, ეგეთი გამოგონებებია, მაგალითად /რიგის მიხედვით არ ჩამოგითვლით/: სიკეთის სამსახურში დგომა, ჭეშმარიტების ძიება, მოყვასისთვის თავდადება, პატრიოტიზმი, ტრფობა, შთამომავლობისთვის ზრუნვა, შემოქმედება, ქონების დაგროვება და ათასი სხვა... მათ შორის, რელიგიაც, მე თუ მკითხავთ...

- აუჰ, აუჰ, აუჰ! ძალიან შორს შეტოპე, ეგ უკვე მეტისმეტია, ეგ უკვე მეტისმეტია, - ხელები აასავსავა ლევანმა, - თანაც როგორ იოლად აპირებ იმის ახსნას, რასაც კაცობრიობის საუკეთესო შვილებმა სიცოცხლე ამაოდ შეალიეს. არა მგონია, ეგრე მარტივად იყოს ყველაფერი.

- ჰო, გამომრჩა, სულ დამავიწყდა, ჩამოთვლილთა საპირისპირო კატეგორიების დასახელება დამავიწყდა, რადგან ბოროტებასაც ისევე შეიძლება გადააყოლოს კაცმა გული, როგორც სიკეთეს. ისეთ წვრილმანებზე კი, როგორიც ძველი ფულების, მარკების ან ასანთის ეტიკეტების შეგროვებაა, აღარაფერს ვამბობ.

- მაშ, შენი თქმით, სულ ტყუილად ვედებით ლობე-ყორეს, სულ ერთია, გავჩნდებოდით თუ არა. ამქვეყნად არაფერსა ჰქონია აზრი?

- რა ვიცი აბა, ნამდვილად არა აქვს-მეთქი, რომ გითხრა, ალბათ, მაინც არ დამიჯერებ და ამიტომ გაჩუმებას ვამჯობინებ.

ჰიჰ, ერთი დამიხედეთ ლევანს! რა აზრი აქვს წუთისოფელსო, ერთბაშად იმისი გაგება არ მოინდომა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად ეწერა ეს სტრიქონები, მხოლოდ დემნას კი არა, ახლა უკვე მეც ვეღარ გამიხსენებია. იქნება ვინმე მომიყვა, ფილმი ან სპექტაკლი ვნახე, ანდა სულაც დამესიზმრა. ის კი ნამდვილად მახსოვს, რომ ჩემი გონების ნაყოფი არ უნდა იყოს. რა ვუყოთ მერე, რაც არის, არის, წარმომავლობას ნუ გამოვეკიდებით, მთავარია, რომ ამჯერად ერთი ზღაპრის მაგიერობას ესეც გაგვიწევს:

თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და დედამიწა. დახედა მათ თავისი უკიდეგანო და უსაზღვრო მარტოობიდან, ნახა, რომ კარგი იყო და თავისი ნახელავი თვითონვე მოეწონა.

მხოლოდ თავისთვის არავინ /თვით ღმერთიც კი/ არაფერსა ქმნის, დამფასებელი, მომწონებელი, მაქებარი სჭირდება ყველას.

და თქვა ღმერთმა: - მოდი, შევქმნი თიხისაგან ცოცხალ არსებებს, დაე, თიხამაც ნახოს, რისი შემძლე ვარ და რა გავაკეთე.

და შექმნა ღმერთმა ყველა სულიერი, რაც კი დღემდე არსებობს /ანდა აღარ არსებობს/ დედამიწაზე. ამათგან კი მხოლოდ ადამიანად ნაქცევმა თიხის გუნდამ შეძლო ამეტყველება. როცა თიხისგან შექმნილი კაცი წამოდგა, ირგვლივ ყველაფერს თვალი მიმოავლო და ალაპარაკდა, ღმერთი იმისკენ დაიხარა და დაკვირვებით შეათვალიერა /იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ესეც მოეწონა/. კაცმაც შეხედა და თავაზიანად ჰკითხა, ისე, რომ ნანახით გაოცება არ გამოუხატავს:

- მერედა, ყველაფერ ამას რა აზრი აქვს?

- უცნაურია, - გაიკვირვა შემოქმედმა, - განა აუცილებელია, ყველაფერს აზრი ჰქონდეს?

- რაღა თქმა უნდა! - უპასუხა კაცმა.

- რაკი ასეა, მაგ აზრის პოვნა შენთვის მომინდვია, ეძებე? - თქვა უფალმა და განეშორა.

ჰოდა, ვეძებთ.

- ერიჰაა! საით მიერეკები, დემნა, ვითომ ის გინდა დამაჯერო, რომ შენს მიერ ჩამოთვლილ უაზრობებში ქალიც შედის? აი, მაგ უაზრობებიდან ტრფობა ამოიღე და სიტყვის უთქმელად გაგიამხანაგდები, ისე არა. - გაიხუმრა და საუბრის კვლავ ძველ კალაპოტში გადაგდება სცადა ოთარმა: - ხალხო, ერთი გამაგებინეთ, საიდან მოგდით ეგეთი აზრები? რასა წვალობთ, რას ფილოსოფოსობთ, რატომ არა ცდილობთ, რაცა გაქვთ და რაც გაბადიათ, რაც გამჩენს თქვენთვის გამოუმეტებია, ჭკვიანურად მოიხმაროთ: ასაკი, ჯანმრთელობა, გარეგნობა...

- უჰ, შენც კაი ვინმე ხარ, რაა, აბა მაგას ჩემს ნათქვამთან რა საერთო აქვს? - ხელი ისე ჩაიქნია დემნამ, რომ აგრძნობინა: შენგან მაგის მეტს არც არაფერს ველოდიო. - ეგ სულ სხვა ლაპარაკია, მაგრამ, კი ბატონო, თუ სურვილი გაქვს, მაგაზედაც ვიმსჯელოთ. რაც შენ ჩამოთვალე, ეგ ყველაფერი: ასაკიც, ჯანმრთელობაც, გარეგნობაც დღესა გაქვს და ხვალე აღარ გექნება. ვერ ატყობ, რომ დრო ისე გაგვყავს, თითქოს ერთი კი არა, სამი-ოთხი ცხოვრება მაინც გვქონდეს მარაგად. გადის სიყრმე, ილევა...

- მაგის დედაც ვატირე, ილევა და გზაც იქით ჰქონია! - გააწყვეტინა ოთარმა, - რადგანაც ილევა, სწორედ მაგიტომ უნდა მოასწრო და შენს გემოზე გამოიყენო.

- ფიქრით რომ ეგრე არა ფიქრობ? - მიმტევებლურად გაუღიმა დემნამ, - ჩემი არ იყოს, შენც რომ სულ სხვა ჭია გიჭამს გულს? ერთმანეთთან მაინც ვიყოთ გულახდილები.

- არა, ძვირფასებო, ამ შემთხვევაში მე განზე დამტოვეთ, თქვენს ასაბიაში ნუ გამრევთ. - ამ თემაზე საუბრის გაგრძელება დიდად რომ არ ეპიტნავებოდა ოთარს, გარეგნულადაც შეეტყო, მაგრამ მაინც მოახერხა, მშვიდად ეთქვა თავისი სათქმელი.

- შენთან კამათი ხომ არ შეიძლება! თუ ერთხელ აიჩემე რამე, მერე მორჩა, მიაბჯენ ფეხს და ვეღარავინ დაგძრავს ადგილიდან, - კვლავ ხელის ჩაქნევის მეტი ვეღარა მოახერხა დემნამ.

- დედას ვფიცავარ, გადასარევი ხალხი ხართ, ბიჭო, თქვენი ვერაფერი გამიგია, იქით გასაწყრომები აქეთ მიწყრებით?

- რატომ ვითომ?

- არ იცით, არა, რატომ? ოჰ-ოჰ, საწყლებმა არ იციან და ჩემგან უნდა გაიგონ! ერთი სული აქვთ, როდის ვეტყვი... იმიტომ, რომ დარიგება და ჭკუის სწავლება, ჩემო ძმებო, ძალიან იოლია და არა მგონია, ცხოვრებაში ვინმემ დაგამადლოს, რა დიდი საქმე ეგ არის! თანაც სხვების თვალში კარგ კაცობად ჩაეთვლება თქვენსავით... - აპილპილებულმა ოთარმა თავი ვეღარ მოთოკა და გაღიზიანებული მიუტრიალდა მეგობარს, - აი, მაგალითად: ახლა შენ მაძლევ ძვირფასსა და უნიკალურ რჩევას, მე და დედ-მამა პაატას ჩავჩიჩინებთ ყოველ წუთს: ასე და ასე მოიქეციო. პაატაც, დარწმუნებული ვარ, თავის მხრივ, ვიღაცის გზაზე დაყენებას ცდილობს სიტყვით, მაგრამ, ვაი რომ, ყველანი ამაოდ ვირჯებით...

- და იცი მერე, ეს რატომ ხდება?

- მაცალე, თუ ძმა ხარ, მათქმევინე, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის საჭირო ამდენი შეკითხვა. შენ წარმოიდგინე, ვიცი და თან მშვენივრადაც! რატომ ხდება და იმიტომ, ჩემო კარგებო, რომ ეგრე ჰაერზე ჭკუის სწავლება ძალზე ადვილია. ენას, გაგიხარიათ, ყველა მარჯვედ ხმარობს, აი, ჭეშმარიტი გზის ჩვენებისა კი რა მოგახსენოთ, უჭირთ, ცოტა არ იყოს! რაო, რა უკმაყოფილოდ იმშუშნები, ეგრე არ არის?

- არაფერია, არაფერი, თქვი.

- თქვენ გსურთ, ჩემი ცხოვრების ნამდვილ მიზანზე და დანიშნულებაზე მხოლოდ სიტყვით გადამიკრათ, საქმით კი მინიშნებითაც არ მიმანიშნოთ და ჩემ მიერ გამოგონილიც, ვთქვათ, ყალბიც იყოს, წამართვათ, წამლიტოთ. არა, ნურას უკაცრავად, მაგრამ არ გამოგივათ, ეგრე იოლად ვერ დაგითმობთ! - ისეთი გაცხარებით უტევდა, უცხო კაცი იფიქრებდა, ეს დღევანდელი საუბარი მხოლოდ და მხოლოდ საბაბია, ძაღლის თავი სულ სხვაგან არის დამარხული და ახლა კი საშუალება მიეცა, დრო იხელთა და სწორედ იმ ძველი ქიშპობის გამო არ ინდობსო დემნას: - კარგი, ვთქვათ და შევასრულე თქვენი სურვილი, დაგიჯერეთ და დავანებე გოგოებთან სიარულს თავი, რის გამოც მემდურით ახლობლების უმეტესობა, თითქოსდა ქვეყნის დამქცევი ვიყო, მერე? ამით რამე გვეშველება ან მე, ან იმ გოგოებს, ან თუნდაც თქვენ? არა მგონია. ვთქვათ და გავიარე თქვენს ჭკუაზე, ვნახე ჩემი შესაფერისი „პატიოსანი და ოჯახის ერთგული ქალი“, როგორც დედაჩემი ამბობს, ვაჯობე ჩემს თავს, დავქორწინდი და ისიც მამაჩემს დავასვი კისერზე, ეგ იქნება საქმე? მე ხომ ჩემი ხელფასით ცოლ-შვილის შემნახველი არ გახლავართ და ალბათ, კარგა ხნის მანძილზე არც არავითარი იმედი გამოჭიატდება...

- შენ მთვრალი ხომ არა ხარ, კაცო? - უკვე უბოდიშოდ შეაწყვეტინა მონოლოგი ლევანმა, - რას გვერჩი, რას გვიყვირი; ან სტუმარი არ იცი, ან მასპინძელი? კაცმა ორიოდე სიტყვა გითხრა, მაგის გამო ხომ არ ამოგვწყვეტამ? ვაჰ!

- არადა, აღარ ჩავიდა ყელში, ე! ჯერ ამ დილით მამაჩემმა მიკითხა ლექცია, სტუდენტების წინაშე წარდგომამდე ჩემთან წაივარჯიშა და ამიფუტკნა ნერვები, ახლა შუადღისას ეს დამადგა თავს... - ცერი დემნასკენ გაიქნია, - რა გინდათ, რასა მთხოვთ? სულ ერთია, ჩემგან წმინდანს ვერ ჩამოქნით. რა ვქნა, მე ისე ვერ მოვიქცევი, როგორც მამაჩემის ინსტიტუტის ერთი თანამშრომელი იქცეოდა. იმ კაცისთვის არც ქალი არსებობდა, არც რესტორანი, არც გართობა ახსოვდა და არც დასვენება, არ უწევდა ანგარიშს არც შინაურსა და არც გარეშეს, არც იმდროინდელსა და არც დღევანდელ ვითარებას და მთელი სიცოცხლე თურმე დამოუკიდებელი საქართველოს სამწლიან ისტორიას წერდა, თავისი ჭკუით, პირუთვნელად. მაგრამ თუ არავის სჭირდება შენი პირუთვნელობა?! ძალით რატომ გვჩრი ცხვირში, ძმაო? მოიძულა ცოლმა და შვილმა, მეზობელმა და ნათესავმა, ყელში ამოუვიდა თანამშრომლებს. ის კი, ვითომც არაფერიო, თავისაზე იდგა.

- მერე?

- რა მერე? მერე მოკვდა.

- შრომა? შრომა თუ დაამთავრა?

- შრომა კი, კაი ხანია, მაგრამ ვის უნდა.

- ბედი არ გინდა! რა იქნებოდა, ერთი ეგეთი ადამიანი მეც შემხვედროდა ცხოვრებაში. - გულში ნანატრი ისე გულუბრყვილოდ წამოსცდა დემნას, რომ ლამის გაწითლდა.

- თუ შენი სპეციალობისა და სავარაუდო ბედის მიხედვით ვიმარჩიელებთ, ალბათ, შეგხვდებოდა კიდეც და ეგ ოცნებაც აგიხდებოდა, ცოტა ჭკუით რომ მოქცეულიყავი, - ნიშნის მოგებით უთხრა ოთარმა, - რა გინდოდა, რას ერქაგრეხილებოდი შენსავე ხელმძღვანელს? დღეს ვილასთვის რა მნიშვნელობა აქვს, როდის გამოიგონეს გუთანი საქართველოში, ორი საუკუნით ადრე თუ ორი საუკუნით გვიან, ანდა სწორედ საქართველოდან რომ გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში. ოჰოჰოჰო, დიდი საქმე! გუთანია, რაა, რაკეტა ხომ არ არის?! შენ კი სულ მცირეოდენი პრაქტიკულობა რომ გამოგეჩინა, აქამდე ასპირანტურასაც დაამთავრებდი და სამსახურიც არ გექნებოდა სამათხოვროდ გამხდარი. ვინ იცის, აღარც ცხოვრებაზე ყოფილიყავი ეგრე აღრენილი. - ენად გაკრეფილს, ლაპარაკის იშტაზე მოსულს, არ იქნა და სათქმელი აღარ გამოელია: - სხვაფრივ, ხომ არა გგონია, რომ ვინმეს რამეში ვჭირდებით ან გამოვადგებით? არა, არ დაიჯერო! აი, ამდენი ხანია უმაღლესი დავამთავრეთ, ვითომ ქვეყანაზე უნდა გამოვსულიყავით, ჩვენი ადგილი გვენახა... ნეტავი შენ! არის კი სადმე ასეთი ადგილი? გამოვადგებით ვინმეს რამეში? ჯერ ასეთი ადგილი მიჩვენეთ და მერე დავეხსნები ჩემს ამჟამინდელ „ხელობას“. თორემ დღესდღეობით ხავსს მაინც ვეჭიდები, რაღაცისა თუ ვიღაცის გამო მაინც ვდგები საწოლიდან, მაშინ კი, სულ უმიზნოდ დარჩენილისთვის, დემნა, შენი რჩევები და შეგონებები ვერაფერი შეღავათი იქნება. მაგრამ შენ რომ დაგეჯერებინა ჩემთვის და საკუთარ ხელმძღვანელს, საკუთარ მასწავლებელს არ შებმოდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ყველანი მოგებულები ვიქნებოდით. შენცა მყავხარ, რაა, ნათლიასთან შეჭიდებული ამირანი!

ისეთი ჯიბრით ელაპარაკებოდა, თითქოს თავადაც სანახევროდ მაინც დემნას სათქმელს არ ამბობდა.

მასწავლებელიო?! საკუთარ მასწავლებელს არ შებმოდიო?! ჰო, მაგრამ სად იყო, ვინ იყო მასწავლებელი?!

სიტყვით, გაგიხარია, ყველა მათგანი მასწავლებელთა გუნდს აკუთვნებდა თავს, მაგრამ რამხელა მანძილი იდო იმათ სიტყვასა და საქმეს შორის. წინამძღვრობას ბევრი იჩემებდა, ნამდვილ გზაზე დამყენებელი კი არავინა ჩანდა - არც შინა და არც გარეთ.

ეჰ, წუთისოფლის ოკრობოკრო და ხაფანგებით სავსე გზაზე კი როგორი ძნელი იყო საცთურზე უარის თქმა!

მაშინ სად იყავი, მამაჩემო, როცა ასეთ ცხოვრებას მთავაზობდნენ - ადვილად მისატყუარს, სხვანაირს, უჩვეულოს - და მეც იქითკენ მივილტვოდი, ვეწაფებოდი, ღრმად ვეფლობოდი. ჩემნაირი კი ბევრი იყო, ძალიან ბევრი, თითქმის ყველანი. ერთმანეთს ტაშს ვუკრავდით, ვაქეზებდით, თავის მოტყუებაში ვეხმარებოდით. მაშინ სად იყავი, მამავ, - ჩემო ან სხვისავ, სად იყავი, დედავ, - ჩემო ან სხვისავ? სად იყავი, მასწავლებელო...

თქვენ კი დახმარებისა და ხელის შეწყობის ნაცვლად აღთქმული ბედნიერების წუნწუხისკენ გვიბიძგებდით - მსუყე, თბილი წუნწუხისკენ...

არა, გათავდა, დღეიდან თვითონ ვიქნები მოსწავლეცა და მასწავლებელიც, საკუთარი თავის შემქმნელი...

*„... აკურთხენ ჩვენი მთავარნი, მშობელნი და მასწავლებელნი, მომყვანელნი ჩვენდა ცნობად კეთილისა, და მოჰმეც ჩვენ ძალი და სიმხნე, რათა ახლად შევუდგეთ სწავლასა ამას, ამინ“.*

## IV

კვირაცხოვლის პატარა და კოპწია ეკლესია, რომლის შემოგარენსაც არქეოლოგები თხრიდნენ, ჩრდილოეთის მხარეს, სოფლიდან ორიოდე კილომეტრით დაშორებული ბუჩქნარიანი ფერდობის უბეში იდგა. მის ირგვლივ გამეფებულ უშფოთველობას სულ პაწაწინა ბზარსაც ვერსად უპოვიდით: გალავნის შიგნით ჩარიგებული ხუთი თუ ექვსი წარღვნისდროინდელი ცაცხვის ფოთლებში მფრთხალი ნიავი დაფათურობდა, ჩიტები მხიარულად ქრიკქრიკებდნენ, არცა თესავდნენ, არცა მკიდნენ და მაინც უზრუნველად ატარებდნენ სიცოცხლეს. მაღლა ცა იყო სუფთა და უსპეტაკესი, მზე - მცხუნვარე და ალერსიანი, დაბლა კი არქეოლოგების შემყურე კვირაცხოველი, ხვალინდელი დღის მოლოდინით ჩაფიქრებული.

ექსპედიციის ხელმძღვანელი ირწმუნებოდა: სოფლის მოსახლეობასაც ადრე ამ ტაძრის გალავნის სიახლოვეს უნდა ეცხოვრა და შემდეგ ჩაენაცვლებინა ქვევით, გზისპირისკენ. მხცემოძალებული, ორმოცდაათ წელს მიტანებული პროფესორი მზით გახურებული გალავნის კედელთან ჩაცუცქულიყო და ყურადღებად ქცეული მსმენელებისკენ არც კი იყურებოდა:

- აი, ნახავთ, თუ სულ მალე აქ ახლომახლო ძველი ნამოსახლარიც არ გამოვავლინოთ და ამით სამომავლოდ სათავე არ დავუდოთ ფართომასშტაბიან არქეოლოგიურ სამუშაოებს, - ამბობდა იმედიანად და პაწაწინა წერაქვს მიწას ისე უკაკუნებდა, თითქოს საიდუმლო კარის გაღებასა სთხოვსო. - დამიჯერეთ, ამისთვის ყველა მონაცემი არსებობს და, როგორც არასოდეს გავუწბილებივარ ადრე ჩემს ალღოს, არც ამჯერად მიმტყუნებს.

თვალებდაფართოებული სტუდენტები მდუმარედ, სიტყვის უთქმელად შესცქეროდნენ ექსპედიციის ხელმძღვანელს. ხმისუფლებაწართმეულებივით არც რას უდასტურებდნენ და არც რას ეკამათებოდნენ - თავიანთ სათქმელს ჯერჯერობით გულისგულში ინახავდნენ.

თუკი ბატონ გერონტის ვარაუდი გამართლდა, - ქვედა ტუჩის კვნეტით ფიქრობდა დემნა, - თუკი დადასტურდა, რომ ეს ხალხი ნამდვილად ამ წალკოტიდან გადასახლდა ქვევით, მაშინ კიდევ ერთხელ დამტკიცდება ადამიანთა სიბრიყვე და უთაურობა, თორემ ცოტაოდნად გონიერი კაცი ამნაირ სამოსახლოს, ასეთ მშვენიერ მიდამოსა და ჰავას თავისი ნებით რანაირად მიატოვებდა, წინაპართა საფლავებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ბატონ გერონტის ეს მოსაზრება და აქედან გამომდინარე თავისი დასკვნები როცა კოლა ძიას გაუზიარა, მოხუცმა იწყინა, მაგრამ რა იწყინა! ქოში სულ უკუღმა ჰყარა:

- ვინა ხართ, მაინც რა ხალხი ხართ ეს წიგნის კაცები, ძმისწულო, გაგონილა ესა?! - საჩეხქვეშ მოკლე ბოლთასა სცემდა გამწყრალი, - აბა ეგ რა სულწასულობაა, ჯერ ხომ ეხლა მოხვედით, წესიერად არც კი მიმდგარმომდგარხართ, არ მიგიხედ-მოგიხედიათ და

რით ასკვნით, უწინ სად რა იყო და რა არ იყო? - თითქოს ბოლთა კი არ ამშვიდებდა, უფრო და უფრო უმატებდა ბრაზს მოხუცს.

- რას ჰქვია, რითი ვასკვნით? აი, სწორედ ეგ არის მეცნიერება, აბა შენ რა გეგონა? თვალით დანახულსა და ცხვირწინ დაგდებულს ხომ ყველა შეამჩნევს და დაინახავს.

- რა არის, კაცო, მეცნიერება? - პირში ეცა გაფხუკიანებული ბერიკაცი, - თქვენ რა ძაან დაუკრეფავში გადადიხართ! მეცნიერებას მაგას ეძახით, რომ მიხვიდეთ და ყოვლად უსაფუძვლოდ მთელ სოფელს შეურაცხყოფა მიაყენოთ? ეჰ, ეგრე ერთი ხელის მოსმით ნეტავი სხვა რამეების დადგენა-გამოცნობა შეგეძლოთ. საკვირველი არ არის, ხალხო, ვითომ განათლებულ ადამიანებად მოაქვთ თავი და ეგეთ აზრებს კი ჰფანტავენ აქეთ-იქით! - უხილავ აუდიტორიას მიმართავდა როლში შესული.

- რაო, კოლა ძია, მე არ მეთანხმები თუ ბატონ გერონტის? - ღიმილის დამალვას ცდილობდა დემნა.

- არც შენა და არც იმას, არც შენა და არც იმას! - წინაპრების ნაცვლად ცხარობდა კოლა ძია, - კარგი, ვთქვათ და, იპოვნეთ კიდეც, რასაც ეძებთ, ნამოსახლარია, ნასოფლარია, თუ რაც არის, რას იზამთ, მაგით რანაირად დაამტკიცებთ ჩვენს უჭკუობას? ვითომ რატომ არ შეიძლება, კაცო, იქაცა ყოფილიყო სოფელი და აქაცა? დავიჯერო, სხვაგან არსად შეგხვედრიათ ორი კილომეტრით ერთმანეთს დაშორებული სხვადასხვა სოფელი და პირველად აქა ნახავთ თუ რაა?

- შეხვედრით რატომაც არ შეგვხვედრია, ორიცა და მეტიც, მაგრამ ყველა ისევ არსებობდა, ეგ კი აღარ არსებობს...

- ერთი ამას დამიხედეთ, ის სოფელი აღარ არსებობსო, რა უტყუარი საბუთი მოიტანა, შენ გენაცვალე! ბიჭო, არ არსებობს და ნუ არსებობს, რა ჩვენი საქმეა! დროთა განმავლობაში ისინი, შეიძლება, მტერმა ამოწყვიტა, ან სახადით გადაშენდნენ, ან კიდევ... რა ვიცი, რამდენი რამე ხდება დედამიწის ზურგზე. ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენგან რა გინდათ, სირეგვენეს რას გვემართლებით? თანაც ჯერ ხომ არ მიგიგნიათ, ჯერ ხომ არ მიგიკვლევიათ იმისთვის, რასაც თქვენ ეძებთ? ნახავთ რო? იპოვნით რო? მაგრამ მე ხომ ვიცი, რა მუცლის გვრემაცა გაქვთ და რაც გაწუხებთ!

- მაინც, მაინც? რა არის მაგისთანა, რატომ არ გვეტყვი? რატომა გვზოგავ? - ეცინებოდა ბიჭს მოხუცის ქოთქოთზე.

- მართლა გითხრა? მართლა გინდა, რომ გითხრა? თუ გეწყინება, მერე ჩემი ბრალი ნუ იქნება, იცოდე!

- თქვი, კოლა ძია, თქვი ბარემ, რომ იტყვი, გულზე მოგეშვება, - და ვერ მიმხვდარიყო, ვერ გაეგო, ამისთანა წვრილმანი ეგრე ძალიან რატომ აღიზიანებდა ბერიკაცს.

- რაა და თავიდათავი თქვენი მცონარობაა, დილა-საღამო ნიჩაბ-წერაქვით ორ-ორი კილომეტრის გავლა გემკვლელებათ და ფიქრობთ: ეს სოფელი რომ ზედ კვირაცხოველთან ყოფილიყო, ყოველდღიურად აქეთ-იქით სიარულს ხომ ავცდებოდითო! გაჯავრებულმა კაცმა კიდევ თავისი შეწუხების მიზეზი აუცილებლად ვიღაცას უნდა დააბრალოს, უეჭველად ვიღაცაზე ხომ უნდა იყაროს ჯავრი. ჰოდა, თქვენც მიიხედ-მოიხედეთ და, სხვა რომ ვერავინა ნახეთ, ჯოხის ჩვენზე გადამტვრევა მოინდომეთ. არა ვარ სწორი?

ვინ იცის, ეგებ არცა ტყუოდა? ყოველ შემთხვევაში, თავის დასაცავად დემნაზე უარესი საბუთი არ მოჰქონდა.

თუმცა დემნას ეგრე ძალიან მოსწონდა კვირაცხოველის მიდამო და შემოგარენი, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არც სოფლის სანახებსა და ჰავას ეთქმოდა რამე აუგი, წუნი არც აქაურობას დაედებოდა... და არს ადგილი, ზაფხულს გრილი, ზამთარი თბილი, გარემოს მთა ტყიანი... არა, გარემოს მთას ტყიანს უკვე ვეღარ უწოდებდი, ახლომახლო სერებს მხოლოდ ბარდები და ბუჩქნარი მოსდებოდა და ისიც ალაგ-ალაგ, მაგრამ თავისებური მშვენება მაინც შერჩენოდა, ოღონდ ეგ არ იყო მთავარი, დღესდღეობით აქაურობის უპირველესი მადლი ის გახლდათ, რომ, მიუხედავად დედაქალაქთან სიახლოვისა, მეოცე საუკუნის რკინის კლანჭები ჯერ თითქმის არ მისწვდომოდა, იმის აბრეშუმივით წმინდა ჰაერს ცივილიზაციის ჭუჭყი და ყაპყი არ მოჰკიდებოდა, არ შებილწა, ხოლო საგურამო-იალნოს ქედიდან წამოსული განიადაგებული გრილი ნიავი აგვისტოს სიცხესაც იოლად ასატანს ხდიდა. ამიტომაც იქაურობის ნახვისთანავე არცთუ უსაფუძვლოდ იეჭვიანა დემნამ: კვირაცხოვლის გაუქმებულ ეკლესიაზე მეტად ამ სოფლის კლიმატითა და სიმყუდროვით უნდა ჩანდნენ დაინტერესებულები აქ შინაურებიანად ჩამობრძანებული არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებიო.

ექსპედიცია მცირერიცხოვანი იყო, მართლაც პრივილეგირებული, ექსპერიმენტული - რომელიღაცა დიდი საწარმო შეფობდა. მეცნიერები არა ჩქარობდნენ /და არც ზემოდან აჩქარებდნენ/, დინჯად, შესაშური გულმოდგინებით, აწონ-დაწონვით იკვლევდნენ, ზომავდნენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა



აგემარებდნენ კვირაცხოველს, იმისი გალავნის შიგნით-გარეთ სადაზვერვო კვადრატებს თხრიდნენ და სამომავლო მეცნიერულ წარმატებებს ერთმანეთს წინასწარ ულოცავდნენ. კვადრატებს თხრიდნენო, ვთქვით, მაგრამ აბა თვითონ რასა თხრიდნენ? წერაქვი და ნიჩაბი ოთხკაციანი სტუდენტური რაზმის წევრებისა და რამდენიმე სოფლელი მოხუცისთვის დაეთმოთ და თავად საბურჭალო წერაყინებითა და ფუნჯებით ირჯებოდნენ.

აღარც ეწადა და აღარც შეეძლო ძველებური ყოფა - სხვათა ცხოვრების ორომტრიალში სურდა გარევა.

მესამე კურსზე გადადიოდა, ერთი გამოცდადა ჰქონდა ჩასაბარებელი, ბატონმა გერონტიმ არქეოლოგიურ ექსპედიციაში წასვლა რომ შესთავაზა. ლექტორისთვის მოულოდნელად დემნა არც კი დაფიქრებულა, ისეთი ხალისითა და ნიაზით დათანხმდა შავმუშად ხლებოდა ორთვენახევრის მანძილზე. წინ მთელი ზაფხული ედო. თუმცა საკეთებელი ბევრი ჰქონდა, აბა უკაცო კომლს სოფლად საქმეს რა გამოულევდა, მაგრამ შინისკენ გახედვა არ უნდოდა. განა იმიტომ, რომ მშობლიური კერა მოსძულებოდა და იქით გული აღარ მიუწევდა, არა, სხვა რამ გახლდათ ამის მიზეზი, ძაღლის თავი სხვაგან ემარხა - როცა შემოდგომაზე უნივერსიტეტის ბაღში ან კინოთეატრების წინ, ანდა საღამოობით ერთმანეთთან წვეულებებზე თავშეყრილი ახალგაზრდები გულხალვათად, დარდიმანდულად მოჰყვებოდნენ ფერად-ფერად თავგადასავლებს: აქა და აქ, ასე და ასე გავატარეთ არდადეგებიო, აღარც ის იქნებოდა პირში წყალჩაგუბებულივით. ორიოდე სიტყვა იმასაც ექნებოდა სათქმელი. ვინ აიძულებდა, უსათუოდ და უეჭველად ყველასთვის აეხსნა: მართალია, დიდებულ სააგარაკო ადგილას კი ვიყავი, მაგრამ მთელ ზაფხულს შავმუშად ვმუშაობდი, მიწას ვებრძოდი და დიდის გულმოდგინებით ვიქნევდი წერაქვსა და ნიჩაბსაო. აგარაკზე იყო? იყო. ცნობილმა პიროვნებებმა გაატარეს მასთან ერთად ზაფხული? გაატარეს. მოსაგონარი ჰქონდა? ჰქონდა. გათავდა, სხვა რაღა იყო საჭირო? ბოლოს და ბოლოს, უწყინარი სიცრუის მოგონებაც კი არ გახდებოდა აუცილებელი - ამ შემთხვევაში ნახევარი სიმართლის თქმაც საკმარისი იქნებოდა. რა ექნა? უკვე ეთაკილებოდა, უკვე ესირცხვილებოდა თავისი სიღარიბის გამხელა - ვეღარავის ეტყოდა მიუკიბ-მოუკიბავად: უსახსრობის გამო დასასვენებლად ვერსად წავედი, ჩემს სოფელში მომიწია ზაფხულის გატარებამო. ეტყობა, უბოროტო ტყუილების თქმასა და ქმნას უნდა მიჩვეულიყო და ცოტ-ცოტას უკვე ცდილობდა კიდეც. სხვა რად გინდა, გამგზავრების წინ მცირე ხნით შინ ჩასულმა დედასაც კი ვერ გაუმხელავნა ექსპედიციაში წასვლის ნამდვილი მიზეზი და მის ნაცვლად სულ სხვა სიკეთეები ჩამოუთვალა:

- წავალ, დედა, რაც იქნება, იქნება. მეც ვნახავ რაღაცას, ქვეყანაში გავერევი, საჭირო ხალხს გავიცნობ და ორიოდე კაპიკსაც გავაკეთებ. თანაც იქნება მეც გავიგო ცოტაოდენი რამე ამ ცხოვრებისა.

დედა კარგა ხანს დუმდა, მერე ამოიოხრა და:

- წადი, თუ გინდა, შვილო, მე შენი ჭირის სანაცვლო ვიყო, მე ხომ ჩემი თავი აღარ მახსოვს... ჯერჯერობით რამდენიმე წელს კიდევ შევძლებ ქალის საქმეც ვაკეთო და კაცისაც.

- შენ რაღაცა სხვანაირად ლაპარაკობ, რაა, არ წავიდე? - გაოცებულმა შეხედა დემნამ.

- როგორც შენ გინდა, შვილო, როგორც შენ მიგაჩნია უკეთესად, მე მაგდენი აღარაფერი ვიცი, - უთხრა ნაღვლიანად, - პატარა აღარა ხარ და, რასაც შენ ჩათვლი საჭიროდ და აუცილებლად, ის გააკეთე.

დემნას ეწყინასავით, დედა მოწონებით რომ არ შეხვდა იმის მოსაზრებას და თავისი გადაწყვეტილების შესამაგრებლად კიდევ ერთი, ვითომ წყალი რომ არ გაუვიდოდა, ისეთი არგუმენტი მოიტანა:

- ჰო, რაც მთავარია, იმისი თქმა დამავიწყდა, რომ ჩემს საქმესაც მივხედავ: მართალია, ეთნოგრაფობას ვაპირებ, მაგრამ არქეოლოგია და ეთნოგრაფობა შორს კი არა დგას ერთმანეთისგან?

- ვიცი, შვილო, ვიცი, უსწავლელი კი ვარ, მაგრამ არც ისეთი, რომ ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის რაობის ახსნა მჭირდებოდეს.

დემნას ხმა აღარ ამოუღია, მაგრამ ორთავე მიხვდა, რომ დედასა და შვილს შორის ცხოვრების წესად ნაქცევ წლობით ნაშენებ გულახდილობას ბზარი შეჰპარვოდა.

შეწუხდა, სინდისის ქენჯნა იგრძნო დემნამ. მერეც კარგა ხანს, თითქმის მთელი ზაფხულის მანძილზე ვეღარ დაივიწყა მშობლის წყენაჩამდგარი, დანამული თვალები.

ყამირელებად წოდებულ სტუდენტთა რაზმში სულ ოთხნი იყვნენ. ორი მეხუთეკურსელი ბიჭი ბატონ გერონტის ხელმძღვანელობით აპირებდა სადიპლომო შრომაზე მუშაობას და აქაც იმისი ხათრით უბაგუნებდნენ წერაქვებს. ბაკური კი დემნას ჯგუფელი იყო. მამამისს კაი

თანამდებობა ეჭირა კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურ საზოგადოებაში და ახლოს იცნობდა თავისი დარგის მუშაკებს, მაგრამ არ უნდოდა, ვინმეს ეთქვა: შვილისთვის იოლი გზით აპირებს ცხოვრების მოწყობასო. სურდა, რომ ბაკურს მომავალში სხვათაგან დაუყვედრებელი დისერტაცია დაეცვა და საამისოდ საფუძველი აქედანვე მოემზადებინა.

ოთხივე სტუდენტი ერთად დაბინავდა ერთი დაღლარა მოხუცის სახლში, რომელსაც მთელი სიცოცხლე აქეთ-იქით წანწალში გაეტარებინა. ეს კაცი პირველი მსოფლიო ომის დროს რომ მოსწყვეტოდა კერას, მერე ვინ იცის, სადღა არ ეთრია ცხოვრებას, რა ქვეყნები არ მოევლო და რა ხალხს არ გადაჰყროდა. ბევრი რამე ენახა, ბევრი ფათერაკი გადახდომოდა, ათასი ყულფიდან გამომძვრალიყო და ბოლოს იმდენი სარჩო-საბადებელი დაეგროვებინა, რომ სიბერეში სხვათა ხელის შემყურე არა ყოფილიყო. ის კი არა, წასვლებსა და მოსვლებს შორის ემარჯვა, ცოლი ეთხოვა და სამი შვილის გაკეთებაც მოეხერხებინა. მაგრამ ახლა, როცა სამუდამოდ დაჰბრუნებოდა თავის კომლობას, უკვე შვილები აყრილიყვნენ სოფლიდან, კოლა ძია მოხუცი ცოლის სინაბარა დაეგდოთ და თვითონ დედაქალაქში გადასახლებულიყვნენ. ზაფხულობითაც კი ერიდებოდნენ აქეთ გამოხედვას - ალბათ, ბევრად ამაზე უარეს ადგილებში მიდიოდნენ სააგარაკოდ, ნაქირავებ სივიწროვეში ვაგლახობდნენ და თანაც კაიძალ ფულსაც მიაფშენეტდნენ ხოლმე. იმ წელსაც ექვსი თუ შვიდი შვილიშვილიდან მხოლოდ ერთი ახტაჯანა, თერთმეტი წლის გოგონა გვანცა სწვეოდა პაპა-ბებიას და, როცა სოფსაბჭოს თავმჯდომარე ესტუმრა და სთხოვა: კოლა ძია, რადგან ამათი უფროსობა შენს მეზობლად არის დაბინავებული, იქნება სტუდენტები რამენაირად თქვენთან დააყენო, ერთმანეთთან გვერდიგვერდ იქნებიან და მუშაობა გაუადვილდებათო, ფრიად გაიხარა, ბიჭებს სიმბოლური თანხის ფასად მეორე სართულზე ერთი ოთახი დაუთმო და დამატებით ხარაჯად ის დააკისრა, რომ მთელი დღის განმავლობაში ბარ-ნიჩბის ქნევით მოღლილ-მოქანცულ ახალგაზრდებს საღამოობით იმისი მუსაიფი უნდა ესმინათ - მსმენელმონატრებული იმათთან იფხანდა ხოლმე ენას.

ღვინო არ უყვარგოდა, თვითონაც უჩიოდა: შარშანდელმა მოსავალმა არ ივარგაო. ბიჭებსაც რა ექნათ, ასარჩევი არა ჰქონდათ რა და რასაც მიუტანდა, იმაზეც მადლობლები იყვნენ. შაბათ საღამოობით ჩამოდგამდა კოლა ძია ლეღვქვეშ გამართულ მაგიდაზე ორიოდე ხელადას, სკამზე კარგად მოეწყობოდა, და დაიწყებდა ამ მთისას და იმ ბარისას. თუმცა სიცოცხლის უმეტესი დრო ციმბირსა და შუა აზიაში გაეტარებინა, იქაურს თითქმის არაფერსა ჰყვებოდა, უპირატესად ბავშვობისა და ახალგაზრდობის დროინდელ ამბებს იხსენებდა, იმდროინდელი მოგონებებით ტკბებოდა ხოლმე.

- უცხო ადგილას ცხოვრება, ჩემო ძმისწულებო, ცხოვრებად არ ითვლება, მოგეხსენებათ, აგორებული ქვა ხავსს ვერ მოიკიდებს, მაგრამ რახან შენს კედელ-ყურეს მოსწყდები და საშოვარზე წახვალ, უნდა გიღირდეს კიდეც და იმათსავით არ უნდა დაგემართოს, ხა-ხა-ხა-ხა...

- ვისავით? ვინ იმათსავით, კოლა ძია?

- ჰაი-გიდი! გითხრათ, არა? გაინტერესებთ, არა?

დაინტერესებას არავინ ამჟღავნებდა, ყელს არავინ უწევდა: შენი ჭირიმე, მოგვიყევიო, მაგრამ არც კოლა ძიას სჭირდებოდა მაინცადამაინც დიდი ხვეწნა-შეხალისება:

- ერთ სოფელში ორნი ძმანი ყოფილან ძალიან ღარიბები, სულს იქით არაფერი ებადათ თურმე. ერთი აყრილა და სხვა სოფელში გადასახლებულა, უთქვამს: იქ ეგების ვიცხოვროო. როდესაც ხანი გასულა, აქაურ ძმას გადასახლებულისთვის წერილი მიუწერია: რასა შვრები, ძმაო, როგორ ცხოვრობო? იმას უპასუხია: აბა რა გითხრა, რაც მანდ დავითა ვიყავი, აქაც ის დავითა ვარო. ხა-ხა-ხა-ხა...

ბიჭები შუბლს იჭმუხნიდნენ, მოხუცის მონაყოლში სასაცილოს ვერაფერს ხედავდნენ და სუფრის სადავეს თავიანთკენ ექაჩებოდნენ.

- დაიცა, კოლა ძია, კარგია, მაგრამ მაცალე ცოტა ხანს! - მაღლა აწეულ ხელისგულს აჩვენებდა შეღვინიანებული ბაკური, - მოდი, ახლა ერთ სადღეგრძელოს მე ვიტყვი. იცით, რაა, ბიჭებო? ამ ჭიქით იმ უბედურ კაცს გაუმარჯოს, ჩვენს შორის ყველაზე დიდხანს რომ იცოცხლებს და ბოლო მოკვდება. ვაი იმის მარტოობას, ვაი იმის ყოფას. იმაზე საცოდავი ხომ არავინ იქნება ქვეყანაზე.

- იიიიჰ, საცოდავი არა, ისა... - დამცინავად ქირქილებდა სიტყვის წართმევის გამო განაწყენებული მოხუცი და ბალახებში ჯოხით რაღაცას ეძებდა, ცდილობდა, გაწბილება არ დამჩნეოდა, - ეგ არის, რაა, სიცოცხლის ბოლომდე სულ ერთმანეთზე იქნებით ჩამოკიდებულები, ერთიმეორის მეტი არავინ გეხსომებათ და აღარც აღარასოდეს დაშორდებით. ჯერ სადა ხართ, ძმისწულო, სანამ დაბერდებით, ვინ იცის, რამდენ თქვენნაირს გაიცნობთ და რამდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენნაირს დაივიწყებთ. ღმერთმა გრძელი დღე მოგცეთ და იქნება სიბერეში ერთმანეთი აღარც კი გახსოვდეთ! - ისეთი სერიოზულობით ეკამათებოდა, თითქოს ხანმოთეულ ცხოვრებანანახ ადამიანებს უმტკიცებს თავის სიმართლესო.

ეგებ მართლაც ასე იყო, ეგებ ახალგაზრდებს კი არ ედავებოდა, საკუთარი ბებერი თავის გამართლებას, თავისი შეუცდომლობის დამტკიცებას ცდილობდა თავისივე თავის წინაშე? კოლა ძიას ხომ გულში ყველაზე მწარე ღარღლად ის ჩარჩენოდა, რომ მეგობრები სიკვდილს კი არ წაერთმია, წუთისოფლის უკუღმართობას კი არ ჩამოეშორებინა მისთვის, არა, თვითონ არ მოფრთხილებოდა, თვითონ არ დანანებოდა და ცხოვრების გზაზე აქეთიქით დაუდევრად მიმოეფანტა. დღეს კი ისეთი აღარავინ შერჩენოდა, ისეთი აღარავინ ეგულებოდა, ვისთან ერთადაც დაჯდებოდა, ჩავლილ დღეებს სიამტკბილობით /ანდა პირიქით/ გაიხსენებდა: ეს თავისას მოჰყვებოდა, ის დაამატებდა, შეავსებდა, დავიწყებულს შეახსენებდა. ეგებ იმისი აღიარება არ უნდოდა, რომ ამქვეყნად ყველაზე გამჭრიახსა და ჭკუადამჯდარ კაცსაც რაღაცა გამორჩება, რაღაცა მთავარს ვერ გაითვალისწინებს და თავის უთავგზობაზე მხოლოდ მაშინ დაფიქრდება, როცა უკვე აღარაფრის გამოსწორება და შველა აღარ შეიძლება.

ახლა ძალიანაც ცდილიყო და მოენდომებინა, სულაც ნემსის ყუნწში გამძვრალიყო, მეგობარს რანაირად დაიბრუნებდა?

მისთვისაც მოულოდნელად ნაწილობრივ გამართლდა ყურით მოთრეული სიტყვები, სოფელში ბოლო ჩასვლისას რომ უთხრა დედას: წავალ ექსპედიციაში, ქვეყანაში გავერევი, იქნება მეც გავიგო ცოტა რამე ამ ცხოვრებისაო. სინდისი მაინც ქენჯნიდა, მაინც ხშირად ახსენდებოდა მშობლის წყენაჩამდგარი, დანამული თვალები.

თითქოს უკვე შევეგუეთ, შევეჩვიეთ და აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ ერთ კაცს მეორე კაცის საწუხარი ნაკლებად აშფოთებს, ნაკლებად აღელვებს და აინტერესებს. სხვისი ჭირი - ღობეს ჩხირიო, ეს დაწურული ფრაზა ლამის ყოველდღე გვიხედნის ყურს, მაგრამ დედა ხომ სხვა არ იყო? ნუთუ დედაშვილური ურთიერთობაც რაკურსის შეცვლას საჭიროებდა, რომ დემნას რამენაირად თვალი ახელოდა და თანდათან იმის გონებაშიც დამკვიდრებულიყო აზრი: ის ადამიანი, რომელსაც მე ჩასახვიდან ვიცნობ, გარდა იმისა, რომ დედაა ჩემი, ჩვეულებრივი ხორციელი ქალიც არის და იმასაც შეიძლება ჰქონდეს ისეთი ჩვეულებრივი სურვილები, რაც ჩემს გარშემო მყოფ ყველა ადამიანს აქვსო.

აქამდე არც იმისი ასაკი გახსენებია, არც გარეგნობა, არც ხასიათი, დედა იყო და ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო.

მიუხედავად იმისა, რომ იცოდა: თურმე ოდესღაც, დემნასთვის ათაპაპის დროს, ისიც სწავლობდა დედაქალაქში, ცდილობდა, დროის ზვირთებს თამამად და გაბედულად მოჰქცეოდა ქეჩოზე, მაგრამ როცა ვითარებამ აიძულა სოფელს დაბრუნებოდა, იმისი სამყაროც თანდათან დავიწროვდა, დაპატარავდა და საკუთარი ეზო-კარით შემოისაზღვრა. დაივიწყა ყველაფერი ძველი, რისკენაც ისწრაფვოდა, რისკენაც ილტოდა, დაუფრთიანებელ ოცნებებს სამუდამო თალხი ფარდა ჩამოაფარა და სხვათა თვალში უცნაურ ადამიანად იქცა. ერთადერთი სხივი, რაც ყოველდღიურობასთან აკავშირებდა, შვილი იყო - ის ასულდგმულებდა, იმის მომავალი ავსებდა იმედით. არასოდეს გაუმჟღავნებია, თუ რამე სხვა საწადელიც უფეთქავდა გულში. თითქოს საკუთარი აღარც არაფერი შერჩა და აღარც არაფერი აბადიაო შვილის მეტი, სხვა რამე სურვილი არასოდეს მოუხვევია ვინმესთვის თავზე. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ორმოც წელს ახლახან გადაცილებული ქალი დემნას უკვე ცხოვრებამოთავებულ ადამიანად ესახებოდა.

ჰაუ, რამდენი რამე იყო ამქვეყნად ისეთი, რომელთა გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოიდგინებოდა! მეგობარზე არაფერს ვამბობ, კაცზე არაფერს ვამბობ, ტრადიციულ ქართულ სოფელში გაზრდილი ქართველი ქალი იყო და უკაცობას, ალბათ, როგორღაც უმკლავდებოდა, მაგრამ, აი, ვთქვათ, ფერ-უმარილი? გუნდალახუსტაკი? ერთი სიტყვით, ინანთეული? /პარფიუმერიას არ ვახსენებ/. შვილს ხომ იაფფასიანი პუდრის გარდა არაფერი დამახსოვრებია, ყუთის სახურავზე ფისო რომ ჰქონდა მიხატული. ნუთუ ისეთი სუნამო მაინც არ ენატრებოდა, იმისი სურნელით ვინმეს თავბრუს რომ დაახვევდა...

აქ კი ექსპედიციას გამოყოლილი არქიტექტორი ქალი, ცნობილი საესტრადო მომღერლის დაიკო, სისხლსავსე, სტუდენტებისთვისაც შესაშური მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობდა - ბატონ გერონტის ღამისმტეხელად შესჩენოდა და ამის დამალვას მაინცდამაინც არცა ცდილობდა. ეს ამბავი ბიჭების მუდმივი ხუმრობისა და ქილიკის საგნად ქცეულიყო, თუმცა დიდ უცნაურობად არავის ეჩვენებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თითქოს არაფერიო, მაგრამ ერთხელაც მეგობრებთან ერთად ახარხარებულ დემნას უცებ ხვედასავით დაჰკრა თავში ფიქრმა, რომ ეს ქალი დედამისზე ხუთიოდე წლით უფროსი იყო.

ვიყოთ გულახდილები: სამწუხაროდ, ეგრე ყოფილა ადამიანი, ძნელად ეჩვევა სხვისი სადარდელის გულთან მიტანას /და ესეც კიდევ ერთხელ გავიმეოროთ: განა დედა სხვა იყო?!/.

ხათრიანობის გამო დემნა სხვებივით ისეთ ილეთიანობას ვერ იჩენდა, რომ კოლა ძიას მასლაათისთვის იოლად დაეღწია თავი და პირისპირ ეულად შერჩენილი შებეზრებული შეჰყურებდა ხოლმე მასპინძელს გაწყალებულ თვალებში. მაგრამ ეს პირველ ხანებში იყო, მერე და მერე მოხუცის საუბრებით თავადაც დაინტერესდა, მიხვდა, იღბლად ისეთ კაცს გადაჰყროდა, ისეთი ამბების მოსმენის შესაძლებლობა მისცემოდა, რომელთა შემსწრეს სხვაგან უკვე ვერსად შეხვდებოდა და იმის მეტი ვეღარც ვინმე მოუყვებოდა.

ადრე, ახალგაზრდობისას კოლა ძიას ამბავი სოფელში თურმე ლეგენდასავით დადიოდა. შემდეგ ხანდახან თვითონაც გამოჩნდებოდა, რაღაცა სიახლეს შემოიტანდა, ხალხს გამოაცოცხლებდა, აქეთ-იქით თავის წილ სიკეთეს დათესავდა და ისევ კარგახნით გაუჩინარდებოდა თავისიანების თვალთაგან. ხოლო როცა სამუდამოდ დაბრუნდა, როცა, როგორც იქნა, სამუდამოდ დამკვიდრდა საკუთარ კერაზე, კიდევ უფრო მეტი პატივისცემა მოიპოვა ყველას თვალში - სოფელი ერთიანად ძიაობით იხსენიებდა, კოლა ძიას ეძახდა ბავშვიცა და თავისი კბილაც ნიშნად მოწიწებისა.

იშვიათად შეგხვდებოდათ ადამიანი, რომელსაც თავისი ნათლობის სახელი ისე ჰყვარებოდეს, როგორც იმას:

- დემნა! დემ-ნა, დე-მნა... - ამ ხუთიოდე ბგერას ისე იგემოვნებდა პირში, თითქოს ღვინოს აჭაშნიკებსო, - ნწ-უ, არა, არ გამოდის! ნუ გეწყინება, ძმისწულო და დემნა ვერ არის კარგი სახელი, - აგდებულად, გამომწვევ კილოზე ეუბნებოდა მერე.

- რაო, ვითომ რას ერჩი, რას უწუნებ? - არ ასვენებდა დემნა.

- სუსტია, ძალადაკარგული.

- როგორი, როგორი?

- ვერ არის ძლიერი, უძვლოა, უძალო.

- ეგეთი რამე კი მართლა აღარ გამიგია!

- არა უშავს რა, რა ვუყოთ თუ არ გაგიგია, ჯერ სადა ხარ, მაგისთანებს გაიგებ... სახელი, ჩემო ძმისწულო, აი, მე მქონდა და მაქვს მაგარი აქაც, ახლომახლო სოფლებშიცა და მცხეთაშიცა... მერე იქაც მაგარი მქონდა, - თავს იმნაირად გადაიქნევდა, უნდა მიმხვდარიყავი, რომ ძალიან შორ ქვეყანას გულისხმობდა, მაგრამ მაინც ახსნიდა, დააკონკრეტებდა, ვაითუ მსმენელი ვერ მიმიხვდესო: - იმაზე გეუბნები, სადაც სხვებს ძალით აგზავნიდნენ, მე კი ჩემი ნებითა და წადილით წავედი, - და თითქოს იმდროინდელი თავგადასავლები ახსენდებაო, მცირე ხნით დაყუჩდებოდა და თვალებს სიამოვნებით წკურავდა, ინაბებოდა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი ისევ ადრე დაწყებული საუბრის გორგალს ახვევდა: - ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ძმისწულო, სახელს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცისათვის. აი, მაგალითად ჩემი სახელი აიღე - ნიკოლოზი - მარტო ეგეთი ძლიერი სახელისაგან შეიძლება გაჩნდეს ასეთი პატარ-პატარა, ერთმანეთისაგან განსხვავებული სახელები: კოლა და ნიკო, კოკი და ნიკოლა, ნიკუშა და რამდენი კიდევ სხვა. როგორა, ჰა?! ეს ჩვენში და ახლა სხვაგან, სხვა ქვეყნებში? მაგრამ მარტო ეგეც არა კმარა, თან კაციც უნდა იყო. აკი ამბობენ: სახელი კაცს ამშვენებს და კაცი სახელსაო. ზოგიერთ ეხლანდელს კი საქონელივით სახელი მარტო იმიტომ ჰქვია, რომ დაუძახონ და აქეთ-იქით მიახედ-მოახედონ, მიატრიალ-მოატრიალონ. მე კი ამხანაგებიც ჩემსავით სახელიანები მყავდნენ. ჯერ მარტო სანდრო რადა ღირდა, იმის სულს ვენაცვალე! ეგ ერთი წლით უმცროსი იყო ჩემზე...

- აბა სანდრო, სანდრო ვინ იყო? - სასხვათაშორისოდ, მხოლოდ შესახმიანებლად იკითხა დემნამ.

- სანდრო, კაცო, კანდელაკი! ჩემგან პირველად გესმის? - გაოცებისგან ისე უცებ შემოტრიალდა, რომ ლამის სკამიდან გადმოვარდა კოლა ძია, - არ იცი? სანდრო არ იცი?

- აჰ, როგორ არა, როგორ არა, კანდელაკი ვინ არ იცის. მართლა შენზე ერთი წლით უმცროსი იყო? - სწრაფად თქვა ბიჭმა, შექმნილი უხერხულობა რამენაირად რომ გაექარწყლებინა.

- ნიჩბელი იყო ეგა, - დამშვიდდა ბერიკაცი, - მცხეთაში რომ გავეჩვიე, იქ გავიცანი. ახალგაზრდობაში სიღარიბით იყო დახორავიჭებული, ტიტველა და ფეხშიშველა დადიოდა ხოლმე, ფეხები სულ დახეთქილი ჰქონდა. მერე ჭიდაობა დაიწყო და ფულიც გაუჩნდა. პირველ ომში ეგ იყო მეთოთხმეტე დივიზიაში, ოცდამეხუთმეტე ბრიგადაში, მერე ჩვენთან მოიყვანეს არტილერიაში და იქ უფრო დავძმაკაცდით, შევეთვისეთ ერთმანეთსა. უჭირდა, იჩივლა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პური არა მყოფნისო. გენერლის ყურამდე მივიდა ეს ამბავი და იმანაცა თქვა: თუ ჩემს მეეტლეს ჭიდაობაში აჯობებს, მოვუმატებო. გამოუყვანეს ერთი ვეება რუსი, ამან აიღო და დადო. შეიყვანეს ჩვენი სანდრო სამზარეულოში და ჩააბარეს, უთხრეს: აქ იმუშავე და რამდენიც გინდა, ჭამეო. მერე თავის სამზარეულო-ტაჭკიანად ტყვედ ჩავარდა, ომი კარგა ხნის დამთავრებული იყო, გვიან დაბრუნდა შინა.

– მტერსაც დაენანებოდა მაგისთანა კაცის გამოშვება და ალბათ, იმიტომ შეუფერხდა დაბრუნება, არა?

– ეგ აღარ ვიცი, მაგდენი აღარ ვიცი, – დაეჭვება არ დაიმჩნია ბერიკაცმა და განაგრძო: – ჰო... აბა შენ რანაირად გეცოდინება, მენშევიკების დროს დეზერტირის ბაზარში დუქნები იყო ჩარიგებული. იქ ვისხედით ერთხელ მე და სანდრო და პურსა ვჭამდით. მეორე ოთახში ორი ქალაქელი ჯიბგირი სვამდა. ეტყობა, გაიგეს, რომ ჩვენ ვიყავით აქეთ, როცა შეთვრნენ, უწმაწურ ლანძღვას მოჰყვნენ და აიხირეს: კანდელაკი ვინ ჩემი ფეხებია, უნდა ვცემოთო; ვერ მოვითმინე და გავიწიე. სანდრო იღიმებოდა, დამამშვიდა: გაუშვი, ბიჭო, რამდენიც უნდათ, იგინონ, დაიღლებიან და დადგებიან, მაგათი ლაპარაკით რა დაგვაკლდებაო. დაჯექი, ჩვენ ჩვენთვის ვიჭუკჭუკოთო. რომ აღარ მოისვენეს და აღარ გაჩერდნენ, მაშინ კი მოუვიდა გული და თქვა: ვატყობ, ეგენი პურის ჭამას არ დაგვაცლიანო. გავიდა, ასწია ორივენი, თავებით შეაჯახა ერთმანეთსა და გადაყარა აქეთ-იქით. მობრუნდა და დაჯდა. ეგრე არა სჯობსო, მეუბნება, შენ რომ გასულიყავი, ჩხუბი უნდა გექნა და სუფრა აგვეშლებოდაო.

– აი, ეგეთ კაცთან კი ღირს პურის ჭამა...

– მართალი ხარ, ჰო, დაიცა... ერთხელ, აი, ხატობაზე ვიყავით მე, კიდევ ერთი კაცი და ეგ სანდრო კანდელაკი ცოლ-შვილითა. თიბათვის ოთხს იცის დღეობა, ლომისობას ეტყვიან. ფასანაურს ზევით ხატია ლომისისა და იმისი ნიშია გორაზე, კლდეში. ჰოდა, მივდივართ ტაჭკითა და ვნახოთ, ბერსა ერთი ბრმა ცხენი ჩაჰვარდნია ღრმა ორმოში, წიწილებივით დაჰსევიან ამოდენა ხალხი და ვერა მოუხერხებიათ კი. რომ დაინახეს, შეჰქმნეს ძახილი:

– სანდრო მოვიდა, სანდრო მოვიდა!

– რა არი, ბიჭო, მანდა? – ხმა დაიბოხა კოლამ, ვითომ სანდროს მიჰბაძა, – აბა მემეცათ!

დასტაცა ხელი და მარტოკამ ამოათრია ის ცხენი. გმირი იყო ეგ კაცი, გმირი! იმისი მომრევი არავინ იყო ამქვეყანაზე თავისი თავის მეტი. აკი მოერია კიდეც. ბოლოს გატყდა, გულის სიგანივრე დასჩემდა, ვეღარ გაუძლო ამდენი ღვინის სმასა. წუთისოფლის სიავეზე მეტად ღვინის სმამ გატეხა საწყალი... შენ, ალბათ, ისიც არ გეცოდინება, მაუზერიანი სიმონ ხმალაძე რომ გადაუხტა სანდროს ცირკის ხალიჩაზე. ოოო, ისიც მაღალი კაცი იყო, შავგვრემანი...

საუბარი შვილიშვილის გამოჩენამ შეაწყვეტინა.

– ვაი, წავედი, თორემ დღისით მაგისი გაძლება არ შემიძლიან. რომ შებინდდება, როგორც კრავი, როგორც ანგელოზი, იგეთია. დღისით კი, აგე შენ თვითონ ხედავ!

ასეთი ანცი და დაუდეგარი ბავშვი იშვიათად თუ სადმე შეგხვედრებოდათ, თანაც გოგო. აბა კაი ვაჟკაცი იყავი და, როცა ის ახლომახლო სადმე იყო, ყურადღება სხვა რამეზე გადაგეტანა, სხვა რამეზე გესაუბრა, სხვისკენ გაგეპარებინა მზერა, როგორ თუ ჩემზე მეტად ვინმემ დაგაინტერესათ და მოვლენათა შუაგულში მე აღარა ვტრიალებო, ისეთ აურზაურსა და ალიაქოთს ასტეხდა, მთელი უბნის ხალხს შეიხედიებდა. მეტ-ნაკლებად ეს ყველა ბავშვის თვისებაა, სამყაროს ჭიპი ჰგონია თავი /და ეგრეც არის/, მაგრამ ზოგს მეტისმეტი ემართება.

ეგეთ დროს კოლა ზედმეტი იყო – გაქცევით უშველიდა ხოლმე თავს. ახლაც ოთახში შეასწრო და მიიმალა.

ლამაზი, თვალის გასახარი სანახაობა იშლებოდა კოლა ძიას ეზოდან. დაბალი, სახნავსათესად ვარგისი მოგრძო გორების იქით მტკვარი მოედინებოდა /აქედან არა ჩანდა, იგულისხმებოდა/, კიდევ უფრო იქით, შორს, დიდგორის ქედს მეწამულად ღებავდა ჩამავალი მზის სხივები. იმისი ცქერა უჭირდა დემნას, ასევდიანებდა, გულზე კაეშნად აწვებოდა – ზედაშიანის ნახვის სურვილს უმძაფრებდა. პირველი ზაფხული იყო, შინ რომ არ ატარებდა და ამხელა კაცს ბავშვივით მოენატრებოდა ხოლმე დედა, თვალწინ სულ თავისი სოფელი და ეზო-კარი უტრიალებდა.

... აგერ, ბაღჩის ბოლოში ღორქლიავები დგას – ორი ბებერი, ტოტებჩამომპალი, ძირებჩაყურუტებული, ოთხი კი შედარებით ახალგაზრდა /ეს რა ამბავია, კაცო, ამდენ ქლიავს რას უშრებით! – გაკვირვებით შლის ხელებს ბესო, რატო არ დასჭრი და წესიერ რასმე არ დარგავ?/. ღორქლიავებსაც რომ ჩასცდები, ფერდობი იწყება. ფერდობი ძალზე დამრეცია, დაქანებული და ამიტომ ირიბად, გვერდულად

ჩასდევს შვინდანწლასა და თუთუბოს ბუჩქებში ჩაკარგული ბილიკი. ქვევით, ხევში კი წყარო ამოჩუხჩუხებს, ცივი, ცივციველა. წყაროს სიახლოვეს ბებრისბებერი კაკლები დგას, იმათ გამო წყალს ოდნავ კაკლის ფესვების მომწარო გემო დაჰკრავს - მიუჩვეველ კაცს შეიძლება არც მოეწონოს და ონკანებში მოჩხრიალე წყალი ამჯობინოს. რას იზამ, კაცია და გუნება.

როცა წამოიზარდა, აქ ბილიკი არ დახვედრია. ეტყობა, არავის სჭირდებოდა, არავინ დადიოდა აქეთ ისე ხშირად, რომ გაებილიკებინათ /ანდა, იქნება იმდენი ხნის მიტოვებული იყო, რომ ძველ ნაკვალევს ბუჩქნარმა და ბარდმა გადაუარა/, დემნამ გაქნა ეს ბილიკი და ჩაიყვანა წყარომდე. იგი იყო აქაურობის ერთადერთი უფალი და მეპატრონე - ვინ რას შეეცილებოდა? უყვარდა იქ ყოფნა, განსაკუთრებით ზაფხულობით. სექტემბერშიაც. ზოგჯერ, როცა ძალიან ცხელოდა, გაკვეთილებსაც იმ წყაროსთან ამზადებდა... მაგრამ ბილიკი, სადაც შენს მეტი არავინ დადის, დიდხანს ვერ იბოგინებს, ვერა! და როცა შენც მიატოვებ, შენც უგანებ და იმ დიდ გზას გაუყვები, რომლის ბოლო აუცილებლად რომში მიდის, ზედ შამბი და ეკალ-ბარდი გადაუვლის, იმისი სახსენებელიც წაიშლება და გაქრება.

აბა რა აზრი აქვს ეგეთი ბილიკების გაქნას!

## V

თიბათვის მთვარე მკათათვის მეორე ნახევარში ჩავარდა. ზედდატანებით ცასაც თხელი ღრუბელი გადაეკრა. ჩახუთული და ლუსკუმი ღამე ჩამოგუბდა. ბნელოდა გარეთ. ოთახში ხომ მთლად უკუნეთი შედედებულიყო. შედედებულიყვნენ, შეტბორებულიყვნენ წუთებიც - ზაფხულის მოკლე ღამის გათენებასაც არ ადგებოდა საშველი.

შეღონებული ტრიალებდა დემნა საწოლში - ბალიში ქვად ქცეულიყო, ნაალს ცეცხლი ეკიდებოდა - წვალობდა, წრიალებდა, გული უწყალდებოდა. უძილობას აღარა ჩიოდა, ჯანდაბას! ძველი გამოცდილებით იცოდა, რომ ერთხელ გატეხილ ძილს უკვე ვეღარ გაიხშირებდა, მაგრამ დროულად მაინც შეცისკრებულიყო, დროულად მაინც ენათა და დასრულებულიყო ეს საზარელ ფიქრთა ამშლელი ღამე.

ეჩვენებოდა თუ მართლა ეგრე იყო: უკვე მეხუთედ თუ მეექვსედ გადაუარა სოფელს ბეჯითმა, მონდომებულმა ყივილმა. ყელს იფხრეწდა, თავს არ იზოგავდა საქათმის ქანდარაზე მჯდომი კოლა ძიას ჭროღა მამალიც.

ამაოდ.

აკი აქამდე ეგრე იყო, ეგრე იცოდა, მამლების მესამე ყივილი გათენების მაუწყებელიაო. მესამე ყივილზე უნდა ამოერიჟრაჟებინა, ამოეწითლებინა მზეს აღმოსავლეთი. მაგრამ, ეტყობა, *დ რ ო* აღარც მამლებს უწევდა ანგარიშს, აღარც მამლებს უგდებდა ყურს - როგორც სწადდა, ისე აპამპულებდა და აცუცურაკებდა იმათაც.

რას იზამდი? *დ რ ო ს* დასდგომოდა ჟამი, *დ რ ო* მეფობდა და არა მამლები /აღარავინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლადა/.

სად უჩივლებდი? ვისთან უჩივლებდი? აღარსად იყო განმკითხველი, ბრჭე და მსაჯული /რუსთაველი მომკვდარიყო ასედაც და ისედაც და არც იმისი საფლავის ასავალ-დასავალი იცოდა ვინმემ დანამდვილებით./ მეფობდა *დ რ ო* და რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა, რანაირადაც თავად სურდა, ისე ირჯებოდა. ხან, გეგონება დიდროაო, გაზაფხულის ალანქერებულ მდინარესავით მოვარდებოდა, მოდგანდგარებდა, ადიდებული მოტბორავდა ყველაფერს, ხანაც სარკესავით კამკამა და შეუმღვრეველი თითქოს უძრავად იდგა ადგილზე - ვერაფერი შეუთრთოლებდა, ვერაფერი შეურხევდა შუშის ზედაპირს.

მის ნაპირზე გამოფენილიყო ანდა მის წყლებში შეეცურა ყველას. ყველას ერთიანად. ზოგნი ნებიერი ჭყუმპალაობით მისდევდნენ *დ რ ო ი ს* დინებას - კმაყოფილები, გულსავსენი, მოლხენილები. თითო-ოროლა საწინააღმდეგო მიმართულებითაც სცდიდა ბედს. ზოგი კი...

... და ვისხედით პირსა მდინარისა...

იჯდა.

იჯდა ოთახში და თავის ჩანაწერებს ათვალიერებდა: ... ეკლესია თარიღდება მეცხრემეათე საუკუნეებით. დარბაზულია. ნაგებია რიყის ქვით. სვეტებზე, თაღებზე, სამხრეთის კარის წირთხლზე და აღმოსავლეთის ფასადის სარკმელზე გამოყენებულია თლილი მოწითალო ქვა. ეკლესიას შესასვლელები სამხრეთით, ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით აქვს. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელი და სამი ნიშია. ნიშებს ქვის თაღები აქვს. სამხრეთის კედელში ორი სარკმელია, დასავლეთისაში ერთი...

- დემნა, სადა ხარ, დემნა? - მასპინძლის ხმაში მოუთმენლობა გამოსჭვიოდა, - დაბლა ჩამოდი, კაცო, ჩამოდი დაბლა.

- რა მოხდა, კოლა ძია, რა ამბავია? - დემნა აივანზე გამოვარდა.

- რა ამბავი უნდა იყოს, ჩამოდი, ბიჭო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბლა, ოთახში რას უზიხარ წვეთდაცემულივითა! ამ მშვენიერ შაბათ საღამოს ოთხ კედელში გამოკეტვა შეიძლება? დროის მოკვლას სხვანაირად თუ ვერ მოვახერხებთ, სხვანაირად თუ ვერ ვუტირებთ დედას, თითო ჭიქა ეს წყალწყალა ღვინო მაინც დავლიოთ. ჩამოდი შენს გახარებას, ამ კვირაძალზე ჩემი მშობლების შესანდობარს მარტო ნუ მათქმევინებ... - სიტყვები თანდათან აღარ გაირჩეოდა, მერე კარიც გაჯახუნდა, ეტყობა, მარანში შევიდა და დემნასთან სათქმელს ახლა ქვევრებს უებნებოდა.

ეზოს განაპირას, ლეღვქვეშ, სუფთად გარანდული ფიჭვის ფიცრებით შეკრულ მაგიდასთან ისხდნენ. ერთი ლაპარაკობდა, მეორე ყურს უგდებდა, სმით კი ორივენი სვამდნენ და შორს, ჰორიზონტთან, ქედს მიახლოებულ ჩამავალ მზეს ერთად გასცქეროდნენ მოწყენილები. *დროთან* ბრძოლა არც ეგეთი იოლი იყო, თანაც თუ ღვინოც არ გიწყობდა მაინცდამაინც ხელს.

კოლა ძიამ: ვისაც ამ გზაზე აუვლია და აღარ ჩამოუვლია, იმათი შესანდობარი იყოსო, თქვა და სანამ სვამდა, სასაფლაოსკენ მიმავალი შარისთვის თვალი არ მოუშორებია. მერე ჭიქა განზე მისწია და ადრე დაწყებული საუბარი განაგრძო:

- აგე, იმ დიდ ქედსა ხედავ?

- ვხედავ, მეტი რა გზა მაქვს...

- მოისვენე! - თითი დაუქნია, - მოისვენე და მისმინე. მანდ, მაგ ქედზე მცხეთიდანაც ადის გზა და დილმიდანაც. შენ იქით ნატარი არა ხარ. ერთხელ, როდისმე, თუ მაისის ბოლოს აქეთ მოგიხდება ყოფნა, წავიდეთ, იქ, ზევით, ძველისძველი სალოცავია და მაგ დროს ძალიან განთქმული დღეობა იმართება ხოლმე, ვინ იცის, საიდან აღარ, შორეული სოფლებიდანაც მოდის ხალხი სალოცავად... - ძველმა მოსოლბოითლემ უცებ იგრძნო, რომ აღარ უსმენდნენ და წყრომით შესძახა: - რა იყო, რა დაგემართა, ბიჭო, საით იყურები? მე თუ არ მიგდებ ყურს, ე ღვინო მაინც დალიე, ჭიქას ნუ დაულპობ ძირსა, - და თვითონაც იქით გაიხედა, საითაც დემნას მიეშტერებინა მზერა.

მეზობლის აივანზე გოგონა იდგა - მორჩად ასხლეტილი, აკოკრილი, ქალიშვილობაში ახლად ფეხშედგმული, ცქრიალა... ზაფხულის მზე ღონიერია, ჩამავალსაც კი იმდენი ძალა შერჩენოდა, რომ მისი სხივებისგან ათამაშებული მუქწაბლისფერი თმის სპილენძისმიერი მბზინვარება დემნას აქ, ლეღვქვეშაც სჭრიდა თვალს.

კოლა ძიას კარგა ხანს ხმა არ ამოუღია, ბიჭს გონს მოსვლა აცალა და მერე შეეხმიანა:

- რა დაგემართა, ძმისწულო, რაღაცა დამორცხვებული ჩანხარ. მოუხედე აქეთ, რისა გეხათრება? ეგ გოგო არც აქაურია და არც ჩემი ახლობელი, რომ ვინმესი რამე გერიდებოდეს...

- ჰა?

- რა ჰა, ვენერას ძმისშვილია.

- ვისი? ვენერასი? ეს გოგოა ვენერას ძმისშვილი?! - მძიმედ შემობრუნდა დემნა, - აუჰ, ეგ რა მითხარი! - ამოიოხრა და ისეთი თვალით შეხედა მასპინძელს, თითქოს მოხუცს მძიმე რამ დანაშაული ჰქონოდეს ჩადენილი მის წინაშე.

- რა მოგივიდა, ვენერა ნათესავია შენი?

- არა, კაცო, რას ამბობ, აქ ენახე პირველად.

- მაშ, რამ აგაფორიაქა? მე მეგონა... ხათაბალაა, რაა, თუ ღრმად ჩავყვებით, მთელი საქართველო ერთმანეთის ნათესავები გამოვდივართ, შიშით ცოლი ვეღარ გითხოვნია კაცსა, - ჩაიხითხითა მუჭაში.

დემნას არ გაუცინია, სასაცილოდ არა ჰქონდა საქმე.

ქალბატონი ვენერა აქ ზღვიდან ჩამოვიდა, ერთი თვის დაგვიანებით შეუერთდა ექსპედიციას, მაგრამ ძალზე დიდი თანამდებობის მქონე ქმრის გავლენით უკვე ის განაგებდა აქაურ საქმეებს - ექსპედიციის უფროსიცა და უმცროსიც, დიდიცა და პატარაც იმის დაკრულზე ცეკვავდა, იმის ნებას ემორჩილებოდა. ერთმანეთის ზურგსუკან იმასაც ჩურჩულებდნენ /საკვირველია, ან დასამალი რა ჰქონდათ?/: ამ ექსპედიციის მოწყობა სულაც ვენერას დამსახურებაა, ძალიან ზევითაც საქმე იმისმა მეუღლემ მოაგვარა და საშეფო ორგანიზაციაც იმან გამოუნახათო /და კიდევ უფრო საკვირველი: თუნდაც ასეთი რამე რატომ უნდა ყოფილიყო საჩურჩულო, დასაგმობი და საძრახისი?!/.

სტუდენტებიც, სხვებთან შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ანგარიშს უწევდნენ ამ ყოვლის შემძლე არქეოლოგს, ვისაც მეცნიერებაზე მეტად, შეიძლება, აქაური მშვენიერი ჰავა უფრო იზიდავდა და ის უფრო მეტი აქტიურობით უთრთოლებდა გულს, ვიდრე მიწის ქვეშ მოქცეული საიდუმლოებანი მშობელი ერის წარსულისა. მაგრამ ვითომ ამით არქეოლოგიას რა უფუჭდებოდა? კაცს თუკი ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა მოუხერხდება, რატომ არ უნდა დაიჭიროს? /არ ეშვებით, ძმაო, ამ ძველი ანდაზებისა და შეგონებების გზით სიარულს და რა ბეწვიან მელასაც გამოჰკრავთ ხელს, წილს მე ნუ ჩამიდებთ!/,

მაგრამ ამ ფუჭსიტყვაობას თავი დავანებოთ, რადგან ჩვენი მზერა და ყურადღება ამჯერად სხვა მხარეს არის მიმართული - ქალბატონმა ვენერამ გუშინ ძმისშვილი ჩამოიყვანა. ისიც ზღვაზე ნამყოფი, გარუჯული, ახლად ტანაყრილი, წამახულ ისარმომარჯვებული ამურებით გარშემორტყმული.

კვირაზე მეტი გასულიყო, რაც დემნა და ნაია შორიახლოდან უთვალთვალებდნენ, შორიახლოდან უდარიელებდნენ ერთმანეთს - ხან კვირაცხოვლის ეკლესიის გალავნის შიგნით ან გარეთ - იმის მიხედვით, თუ სად უწევდა დემნას მიწის თხრა, ხან კი, საღამოობით, სამეზობლო ღობის აქეთ-იქიდან უმზერდნენ ურთიერთს თვალმიცეცებულები: გოგო უფრო გაბედულად, თამამად, თან ბავშვურად გულუბრყვილოდ. ბიჭი მორიდებულად - თავის თავთან შეჭიდებული, თავისი თავის დამაოკებელი.

მეორე კვირა იყო, ძილშიაც მისი ხილვის პირველი წამი ელანდებოდა, როცა აივანზე მდგარს წაბლისფერი კულულები მხრებზე ჩამოშლოდა და ჩამავალი მზის შუქისგან სპილენძისფერ-მოწითანოდ აბზინებული მზერას ანდამატისებრ იზიდავდა, მჭვრეტელს თვალსა სჭრიდა.

აჰ... და გარდმოტყდების მისგან მბრწყინვალება ნაკუერცხლის სახედ... არა, მთლად ნაკვერცხლის სახედ არა, უფრო მუქად, სიმწიფეში ახლად შესული შავი თუთისფრად, როცა მუქი სიწითლე სიშავეშია გადასული.

მაშინ ბებო ცოცხალი იყო...

ხანდახან, იშვიათად, მაგრამ უთენდებოდა ისეთი დღეებიც, როცა ბიჭი იმგვარი ხალისით აივსებოდა, იმგვარი იმედი მოეძალებოდა, რომ დარწმუნებული გახლდათ: ჰა და ჰა, სადაც არის, მიუწვდომელს მივწვდებიო და იმ ბედნიერი წუთისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდა - გაკვეთილებს განსაკუთრებული სიბეჯითით სწავლობდა, ლექსებს ხმამაღლა კითხულობდა, დილაადრიანად დგებოდა და დარბოდა, ვარჯიში ღამით, ძილის წინაც არ ავიწყდებოდა. შემდეგ ძველ, გაბაცებულ სარკეში იყურებოდა და ახლად ჩასახულ კუნთებს გულდასმით ისინჯავდა.

- გამოდი, ბიჭო, აქეთ, მზის ჩასვლის მერე მიჭვრიტინაში ნუღარ იყურები, არ შეიძლება! - შეუწყრებოდა ბებო, - როცა გაიზრდები, ქალის ჯარში დაგიწუნებენ!

- ქალის ჯარი არა, ისა... - აიმრიზებოდა მამლაყინწურად. მერე ნათქვამის აზრი გონებამდე მიაღწევდა და დაინტერესდებოდა: - ეგ ქალის ჯარი რაღაა, ქალის ჯარი ვინ გაიგონა, ბებო?

- ერთად შეყრილ ბევრ ქალსა ჰქვია ქალის ჯარი, მოეშვი-მეთქი მაგ მიჭვრიტინას, თორემ სწორედ იქა და სწორედ ისინი დაგიწუნებენ...

ნეტავი მართლაც ყველას ერთბაშად და ერთიანად დაეწუნებინა, მხოლოდ ამისი ღიმილის შუქი არ მოჰკლებოდა არასოდეს. რაც თავი ახსოვდა, ეგონა, რომ სულ ვიღაცა უყვარდა, თავის ოცნებაში სულ ვიღაცას შესტრფოდა და ვიღაცის გაუმხელელი მიჯნურობის ალი წვავდა. თურმე ჯერ სად იყო, რა იცოდა, რა არის ნამდვილი სიყვარული.

ოი, როგორ უფართქალებდა გული!

მესამე დღე იყო, გალავნის ძირში საძირკვლის ჩასწვრივ თხრიდა. საუკუნეების განმავლობაში ნაყარი მიწა ამოეთავებინა და ახლა ყადიმს ეჭიდებოდა. გალავანი, მთლიანად თუ არა მისი ნაწილი მაინც, ბევრად უფრო ძველი ჩანდა, ვიდრე თვითონ ეკლესია. ქვევით და ქვევით კედელს აშკარად ეტყობოდა ადრინდელი ნაშენების კვალი. ხანიერი იოლად განირჩეოდა გვიანდელისგან - ოთხკუთხა თლილი ქვითა და დუღაბით იყო ნაგები და უფრო მეტი სიმკვიდრის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

თავდაუზოგავად მუშაობდა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ვიღაცა ძვირფასი და ახლობელი ადამიანის მიერ სწორედ მისთვის გადანახული საიდუმლოებისთვის უნდა მიეკვლია.

ვინ იყო, ვისი გონი და ძალისხმევა აშენებდა ამ ეკლესიას? ვისი ხელშენავლებია, ვისი მარჯვენით არის ნათალი და ერთმანეთზე მორგებული გალავნის ლოდები? ვისი ოფლი და სისხლი ჩაჰკირია დუღაბად? - მცირე ხნით ნაიას ხატებაც კი მიეფარებინა თვალთაგან მიწის სიღრმიდან წამოსული იდუმალების სიოს. - ნეტავი რა უნდოდა უცნობ წინაპარს? რისთვის წვალობდა და ცოდვილობდა, რისთვის დავიდარაბობდა ცხოვრებასთან? ღირდა კი იმად წუთისოფელი, რომ ამქვეყნად თუნდაც ერთი კენჭისთვის ადგილი შეენაცვლებინა, რაიმეზე თავი შეეწუხებინა, აქეთ-იქით წყვეტებულიყო, ევაგლახა და მერე ეგრე უსახელოდ, ცუდუბრალოდ გადამქრალიყო?

პასუხი არსად ჩანდა. აზრს გზა ვერ გაეკვლია აბდაუბდად ალინთული კითხვების დამთრგუნველად დაბურულ უსიერ ტევრში. თალხი ჯანღი ფარავდა ყველაფერს...

იდუმალება იუდმალებათა და ყოველივე იდუმალი...

უკვე მკერდამდე იყო ორმოში ჩასული. თან თხრიდა, თან ფიქრობდა. მოიქნევდა წერაქვს,

ჩაიმალებოდა თხრილში, მიწის წიაღში და უმალვე ამოყვინთავდა სამზეოზე, ჩაიმალებოდა და კვლავ გამოჩნდებოდა. წერაქვს ზრიალი გაუდიოდა ტინზე.

- რას შვრები, პასპორტისთვის სურათის გადაღებას აპირებ? - ჩამოსცინა მაღლიდან და იმხანებში გავრცელებული ანეკდოტი სიტუაციას რეალურად მიუსადაგა.

მოქნეული წერაქვი ჰაერში გაუშეშდა. თუმცა აქამდე მასზე ოცნებას ჰყავდა შეპყრობილი, ყოველ წუთს იმისი მოლოდინით სულდგმულობდა, მაინც შეკრთა, ერთიანმა თრთოლამ აიტანა, აკანკალებულ მუხლებს სხეულის შემაგრება გაუჭირდათ - რაღა მაინცდამაინც თავს იმ დროს წაადგა, როცა ყოველდღიურობას მოსწყვეტოდა და სხვა საფიქრალში ჩაძირულიყო? ისე შეცბუნდა, გეგონება, ღალატზე წაასწრესო.

ნაია ახლად ამოყრილი მიწის ბორცვზე იდგა, მზეს უჩრდილავდა. დემნას ჯერ შიშველ ტერფებზე მორგებული ლურჯი მაშიები მოხვდა თვალში, მერე იმავე ფერის ჯინსის შარვალი.

მთლად დაკარგა ჭკუა? ამ სიცხეში ლამის მე გავიხადო შარვალი და მაგას რამ ჩააცმევინა? თანაც ანეკდოტიც რომ მაგარი სცოდნია! - ამრეზით გაიფიქრა წარსულიდან მობრუნებულმა და წერაქვს კვლავ ძანგაძუნგი აუყენა. - ან რას დადის ამსიშორეზე, რა მიაქვს და რა მოაქვს, მეტი საქმე ვერაფერი ნახა? - მაგრამ გონზე მოსული უმალ მიხვდა, რომ ეს ფიქრი კარსმომდგარი საფრთხისგან ინსტინქტური თავდაცვა იყო და სხვა არაფერი და საკუთარ თავს გაუჯავრდა: - ფუჰ, რა ღმერთი გიწყრება, ბაიყუში, სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს, ჯერ ხომ ბავშვია, თექვსმეტისაც არ შესრულებულა...

- გეყოფა, დაისვენე, ამოიხედე ზევით!

დემნა შეჩერდა, ცოტა უფრო მაღლა ააპარა თვალი. სახეში შეხედვა ვერ შეძლო, ვერ გაბედა. მერე თავს მოერია და, როგორც იქნა, ერთიანად შეათვალიერა: ამჯერადაც ზურგიდან მომდგარი მზე ჯადოქრობდა, ისედაც მწყაზარ სახეს ვარდისფერში ხვევდა, ვარდის კოკორს ამსგავსებდა. მზერა კვლავ ქვევით ჩამოუცურდა, ჯინსისკენ: კარგია, - თითქოს გულზე მოეშვა, - ეგეთ ადგილებში ქალები ზამთარ-ზაფხულ შარვლით უნდა დადიოდნენ. ხმამაღლა კი, ცოტა არ იყოს, უკმეხად უთხრა, თავმობეზრებული კაცის კილოზე:

- გაიწიე, რაა, იქით წადი, მიწა უნდა ამოვყარო.

ორიოდე ნიჩაბი ნათხარი ამოისროლა და ორმოს ძირში ჩაჯდა.

ეს რა ჰქენი, უგერგილოვ, ბოთევ! - ჩასწყდა გული, - აჰა, წავიდა, ეწყინა და წავიდა! წავიდოდა, მაშ რას იზამდა, ის უნდა გაგკვირვებოდა, რომ არ წასულიყო... მაინც ასეთი რა უბედურება გჭირს, ბიჭო? შენივე საქმის წახდენის დიდოსტატო...

შიშველი, ოფლიანი ბეჭებით ნესტიან მიწას მიყრდნობოდა, უსწორმასწოროდ ჩამოთხრილსა და ხორკლიანს, მშობლიურსა და საიმედოს. სიამოვნებდა მკვრივი ნიადაგიდან წამოსული სიგრილე. ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა, მაგრამ გრძნობდა, თუ ვინმე მოვიდოდა და თავისივე მოთხრილ მიწას უკანვე დააყრიდა, წინააღმდეგობის გამწევი არ იყო, ეგებ მადლობელიც დარჩენილიყო.

ორმოს ნაპირს ვიღაცა მოადგა.

- რაო, დემნა, ხომ არ დაიღალე? - ჰკითხა ბატონმა გერონტიმ.

- ჰო, დავიღალე, უკვე ძალიან დავიღალე. ჯერ სად იყო!

სავარდე...

სანამ ბებია გარდაიცვლებოდა, ეზოს გარეთ გასული დედა დემნას იშვიათად ახსოვს. ცხოვრების მდინარებისგან გარიყულსა თუ განზე გამდგარ ელისოს, შინაგანად, ვინ იცის, რის მდომელსა და მონიაზეს, ხოლო თანასოფლელთა თვალისათვის კი ყოველგვარი მაცთუნებელი სურვილებისაგან განტვირთულს, ერთი სისუსტე დასჩემებოდა, ერთი სისუსტე ვერ დაეძლია - სავარდე.

ოოო, ასეთი იშვიათი გემოვნებით გაშენებული ბაღი, მართლაც, ძნელად თუ სადმე შეგხვდებოდათ, მაგრამ ვის სჭირდებოდა? მშვენიერებას, სიტურფეს შემოქმედი სხვისი თვალისთვის ქმნის, სხვათა მოსახიბლად და თავბრუდასახვევად, აქ კი ვინ მოვიდოდა, ფეხი ვის შემოუცდებოდა, ვისი მოლოდინი ჰქონდა ელისოს? კარგი, ვთქვათ და, მოსულიყვნენ კიდევაც, ვინ იყო ამ ედემის შემფასებელი - ვინ გაცისკროვნდებოდა აღტაცებისგან ან შურისგან ვინ განიხერხებოდა?

გზიდან მოშორებულ სავარდეში სხვადასხვა ჯიშის, სხვადასხვა ფერისა და სურნელის, სხვადასხვა თვისების ვარდის ბუჩქები მნახველთა /სად იყვნენ?/ თვალისთვის შეუმჩნეველი წესრიგით ხარობდნენ - თავიანთ მოვალეობას მშვიდად და ბუნებრივად ასრულებდნენ, თითქმის მთელი წელი ეკეკლუცებოდნენ საკუთარ თავს და ზოგჯერ თოვლის სისპეტაკიდანაც კი ალაღლადებდნენ ჭიაფრად მღუარ კოკრებს.

მუდამ საქმემოძალებული ელისო იმათთვის უეჭველად გამონახავდა ხოლმე დროს - დაჰ-

გურგურებდა, დაჰფრუნავდა, თავს ევლებოდა. ნეტავი რისთვის? სანაცვლოდ რა სარფა და სარგებელი ჰქონდა, რა გამორჩენას ელოდა, რის დანაკლისს ინაზღაურებდა? ეგ ღვთისა და ელისოს მეტმა არავინ იცოდა.

– ორიოდე მტკაველი მიწა გვაქვს და ისიც თუ ეგრე მოვაცდინეთ, რა გამოვა! – დუღდუღებდა ხან ჩუმად და ხანაც შვილის გასაგონად დემნას ბებია, – ამ ეკლიან ბუჩქებში ისეთი რა ნახე, რომ ვერ იქნა და ვეღარ მოისურვილე? გეყოფა, მოდი, ამოვძირკვოთ და მაგათ ადგილას რამდენიმე ძირი პამიდორი ან, კიდევ უკეთესი, კართოფილი დავრგოთ, არა სჯობია?

მაგრამ ელისო ვერანაირად დაიყოლია.

როცა დემნა ნაიაზე იწყებდა ფიქრს, თავის განვლილსა თუ დღევანდელ ცხოვრებაში ერთადერთ სიფრიფანა იმედად, ერთადერთ თვალსა და ხელჩასაჭიდ ხავსად ის სავარდე ახსენდებოდა.

სხვა არაფერი.

განსაკუთრებით შაბათ-კვირებმა გააწვალეს – დროის მოკვლა ყველაზე მეტად მაშინ უჭირდა, როცა ბიჭები შინ მიდიოდნენ, თბილისში და თვითონ აქ მარტო უწევდა დარჩენა. ან რისთვის უნდა გაჰყოლოდა იმათ, ვისი ნახვა მოენატრებოდა, ვისთან შეხვედრის სურვილი და წადილი არ მოასვენებდა? ანდა, მე შენ გეტყვი, იმისი შიში გაუტეხავდა ძილს: ვაიმე, ბინა არავინ გამიქურდოს და ამხელა სიმდიდრის პატრონი ცარიელზე არ დამსვასო! ვთქვათ და ჩასულიყო კიდეც ქალაქში, რა ეკეთებინა, ვისა სტუმრებოდა, ვისთვის მიეკითხებინა? ერთადერთი კომლი, მისი მისვლა რომ გაეხარდებოდა, ოთარის ოჯახი იყო და ისინიც, ალბათ, თბილისში არ იყვნენ – ოთარი ლენინგრადში აპირებდა წასვლას და წავიდოდა კიდეც, სხვებიც სადმე აგარაკზე დაემალებოდნენ ზაფხულის პაპანებას.

ეს კომლი, სადაც ნამდვილად მიუხაროდა მისვლა და დამხვდურებიც ყოველთვის სიხარულით მოელოდნენ მის სტუმრობას, მაშველ რგოლად მოვლენოდა დემნას. ახლობლების სითბოს დანატრებულ ბიჭს აქაურობა დაუმსახურებელ წყალობად ეჩვენებოდა და მოკრძალება ბოჭავდა, შარტავდა, ხელ-ფეხს უბორკავდა. მათთვის კი პირიქით – გაცნობისთანავე საყვარელ პიროვნებად ქცეულიყო, მუდამ ესურვილებოდათ, ენატრებოდათ, ხოლო ბოლო ხანებში მთლად შინაურად, ლამის ოჯახის წევრად თვლიდნენ უკვე.

– ქალბატონო ლალი! – წამოსცდებოდა ზოგჯერ დემნას ძველი ჩვეულების ძალით, რის გამოც ოთარის დედას ისეთი უსაზღვრო წყენა აღბეჭდებოდა ხოლმე სახეზე, თითქოს ვინმეს უმართებულო შეურაცხყოფა მიეყენებინოს, ანდა იმისი თანდასწრებით უგვანი სიტყვა წამოეყრანტალებინოს.

– ოთარ, – მიმართავდა შვილს დემნას გასაგონად, – უთხარი შენს მეგობარს, რომ მე მისთვის ქალბატონი ლალი კი არა, ლალი დეიდა ვარ, რამდენჯერ უნდა შევახსენო? განა ვერ ატყობთ ორივენი, რომ მე შვილებში არ გამომერჩევა და მაგან უცხოსავით ქალბატონი რატომ უნდა დამიძახოს?! ჰკითხე ერთი, თუ არ შეწუხდებით ან შენ და ან ეგ.

ოთარი გულიანად ხარხარებდა და, რა თქმა უნდა, არაფერს ეკითხებოდა ყურებამდე გაწითლებულ დემნას.

ახლა პაატა? იმის საყვედურებს რა გადაურჩებოდა, თუ მოხდებოდა და ორი-სამი დღით შეუგვიანდებოდა მათთან სტუმრობა.

მამამისიც – მიშა ბიძია – პროფესორი, ათასი საქმით დამძიმებული კაცი, მოცალეობის ჟამს ყამწვილებთან ურთიერთობისას იმათი ჭკუისა ხდებოდა და თავად ახალგაზრდებს რომ არ შეეკავებინათ თავი და არ მორიდებოდნენ, ეგებ მათთან ერთად ჭიდაობა და მკლავის გადაწევაც არ ეთაკილებინა. კამათს ხომ ნუღარ იკითხავთ, საათობით დაობდნენ ხოლმე ტოლებივით.

არა, მადლობა უფალს, სხვებთან ერთად კარგა ბლომად კეთილი ხალხითაც დაესახლებინა დედამიწა.

ჰო, სიტყვა განზე გაგვექცა, მე კი იმას მოგახსენებდით, რომ განსაკუთრებით შაბათ-კვირებმა გააწვალა დემნა, როცა ბიჭები შინ მიდიოდნენ, თბილისში, ხოლო თვითონ აქ უწევდა დარჩენა-მეთქი. ასეთ დროს იჯდა ოთახში და განიადაგებულად ნაიაზე ფიქრობდა. თუმცა კოლა ძია გვერდით არა ჰყავდა? მშველელად ის მოევლინებოდა ხოლმე – ეზოში უხმობდა და ერთი ბოთლი ღვინის საფასურად ათასგვარ ერთმანეთთან დაუკავშირებელ ათაპაპის დროინდელ ამბავს ასმენინებდა.

– ... მუხრანსკების მკვდარი კარგი იყო...

– ეე, რას ამბობ, კოლა ძია, მკვდრის სიკარგე ვინ გაიგონა, მტრისას იყოს, – აწყვეტინებდა დემნა.

– დამიგდე ყური, – თავისას არ იშლიდა ბერიკაცი, – ყური კარგად დამიგდე, ჯერ წესიერად მომისმინე და ნათქვამის სიავკარგე მერე აწონ-დაწონე... მცხეთელებს ძაან უხაროდათ მუხრანსკების მკვდარი, მით უფრო, თუ დროული იქნებოდა. ისინი სვეტიცხოველში

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმარხებოდნენ და საქელეხოდ დიდი სამზადისი იცოდნენ, ბლომად საქონელს ჩამორეკავდნენ ხოლმე. ღვინოც ურმებით მოჰქონდათ, მცხეთელები სუ კოკებით ეზიდებოდნენ შინა. მერე რა ღვინო იყო, რამდენიმე წლისაც რომ ყოფილიყო, მაინც მაჭარივით ჩინჩხლებს ისროდა სულა!

- მთლად შენს ღვინოს ჰგვანებია!

- მაცალე-მეთქი, ბიჭო, ნუ მაწყვეტინებ, შე ყურუმსაღო! ამ ბოლო დროს რა გემართება, რა ღმერთი გიწყრება შენა? - ხმას უწევდა კოლა ძია, - რაო, ეჭვი გეპარება, გგონია, რომ უკეთესი ღვინო მაქვს და სხვას ვუნახავ?.. ჰო, კარგი რას ვამბობდი? მუხარნსკების ღვინო სანაქებო იყო-მეთქი, წუნდაუდებელი. მუხრანსკებს ისიც ესახელებოდათ, რომ მთელი სოფლობით გამოდიოდა ხალხი იმათ სამკალში. იმდენ სარგებელს ვერას ნახულობდნენ, რაც პატივისცემა იცოდნენ მომკელებისა - ჯამებით ღვინოს ასმევდნენ დიდ-პატარასა. ყანის თავში კაი ძროხის თავი ედოთ და სამი მანეთი ფული. ყველა ეშურებოდა, რომ პირველი მისულიყო მკითა და იმისი იყო...

- რაო, სამი მანეთი კომლს აუშენებდა? - ჩაიცინა ღემნამ.

- რომ იცოდე, აუშენებდა, მაშინ სამ მანეთად ყევარ ხარ-კამეჩს იყიდიდი. და რაც მთავარია: სახელი? სახელი კიდევ სხვა. სახელზე შენთანაც რამდენი მილაპარაკია.

ღემნა აღარ შეპასუხებია, კამეჩები ნაკლებად აინტერესებდა და მკით მოპოვებული სახელისაც ძალიან ცოტა თუ გაეგებოდა რამე.

- ხომ ამდენი მამულები ჰქონდათ, მაინც მიწით ვერა ძღებოდნენ, მიწის შემომატებაზე ფიქრობდნენ ნიადაგ. ივანე მუხრანსკის გაეგო, რომ იქით, თრიალეთში ერთი წყაროა, მუხრანბატონის წყაროს ეძახიანო. ეთქვა: ის ველი თუ ხელში არ ჩავიგდე, მაშ, რაღა ბიჭი ვყოფილვარო! თურმე წინდაწინ ქვაზე დააწერინა, ეს მინდვრები მავანისა არისო და სამანად ჩაადებინა მიწაში. მერე ადგა და საჩივარი შეიტანა სასამართლოში. იქ რომ მიდიოდა, გამგზავრებამდე ჩექმებში მიწა ჩაიყარა და წყალი ჩაისხა თავისი ეზოსი, აეგრე მომზადებული წავიდა. როცა ადგილობრივ დააფიცეს, დაიფიცა: დიდებული ღმერთია მოწმე, ჩემს საკუთარ მიწა-წყალზე ვდგევარო და შერჩა კიდევაცა, გაუვიდა ფიცი.

- შერჩა, თორემ სულ იმისი შვილიშვილები ეპატრონებიან ახლაც იმ მიწებს, - არ ისვენებდა ღემნა.

- მაცადე-მეთქი, ბიჭო, პირი ნუ აიქაფე! თუ რამის თქმა გინდა, ეგე ჭიქა და ეგე შენ, აიღე და სადღეგრძელო დალიე, უცებ მოვითაოთ და დანარჩენი მე მაცალე! - ცერად გახედა კოლა ძიამ.

- კარგი, ჰო, თქვი.

- ილიამა, ჭავჭავაძემა რაა, ილიაობას დიდი პატიჟობა იცოდა ხოლმე. მუხრანსკისაც იწვევდა ყოველთვის, ძაან ცნობილი კაცი იყო ისიცა. ერთხელ უთხრა თურმე ამ ივანემ ილიას: - ამოდენას რომ იხარჯები, ამ არაგვგამოღმა ერთი ნაბადი რომ გაიშალოს, იმდენი მიწა დამითმეო! - ეტყობა, კახეთშიაც მოუნდა მამულები ბიჭსა.

- ეგ რანაირად, რაა, საგურამო კახეთია? - დამცინავად გადახედა ღემნამ ბერიკაცს.

- საგურამოცა და, რაც არაგვს გამოღმაა, ყველაფერი. ეგ ეხლაა მცხეთის რაიონი, თორემ წინათ ქართლისა და კახეთის საზღვარი არაგვზე ჩამოდიოდა. მდინარის მარცხნივ რაც არის, სულ კახეთია.

- კაი, აცო!

- რაო, რა ძალიან გაიოცე, მართლა არ იცოდი?

- არა.

- იფ-იფ, შენი ჭირიმე! რა ისტორიკოსებს გვიზრდიან ეს უმაღლესები, ბიჭო! ნახეთ, როგორ ამაყად და თამამად ამბობს: არ ვიცოდიო. შეიძლება, თავიც მოიწონოს არცოდნითა.

ღემნა უხერხულად შეიშმუშნა. არა, ღვთის მადლით, ქართლსა და კახეთს შორის საზღვრის დადგენა აღარავის აღარასოდეს დასჭირდებოდა და არც აღარავინ მიჯნის ჩაგდებას მოინდომებდა, მაგრამ მომავალი ისტორიკოსისთვის ამ სამანის არცოდნა მაინც როგორღაც შეურაცხმყოფელი იყო და, როცა კოლა ძია უმტკივნეულოდ დაუბრუნდა ძველ სათქმელს, ბიჭმა შვებით ამოისუნთქა.

- ჰოდა, სთხოვა იმ მუხრანსკიმ ილიას მიწა, რადგან არაგვგამოღმა ერთი ფეხი არსად დაედგმებოდა თურმე. - რად გინდა, კაცო, ვთქვათ და მოგეცი, რა უნდა გააკეთო მაგ ერთიბეწო მიწაზეო? - უკითხავს ილიასა. - ეჰ, შენ მიწის ყადრი არა გცოდნიაო, ძმაო, - უპასუხია მუხრანსკის, - ზედ ცოტას გავგორდგამოვგორდები და მეტი გახდებაო.

- რა კარგია, თქვენც გენაცვალეთ! ილიამ არ იცოდა მიწის ყადრი, არა? - დამცინავად შეხედა ბიჭმა.

- მე ხომ არ ვამბობ, კაცო, მე რა დამნაშავე ვარ? იმას ეთქვა, იმ ოჯახქორსა...

დაბალ მესერში დატანებულმა სამეზობლო კარმა გაიჭრიალა და ეზოში ნაია შემოვიდა. გაუბედავად, ფეხარეულმა გამოსწია მეინახეებისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მოდი, შვილო, მოდი, - შეაგულიანა კოლა ძიამ, - რასა მორცხვობ, განა უშენოდ კი არ ვიცი, რომ მოწყენილობაა ჩვენს სოფელში და ქალაქის მხიარულებას ნაჩვევს მარტოობა გაგიჭირდებოდა.

- არა, კოლა ძია, პირიქით, ძალიან მომწონს აქაურობა, სიწყნარეა და მყუდროება. დამქანცა ზღვამ, სამი კვირაც ვერ გავძელი. დავიღალე, აღარ მინდა ხმაური და აურზაური.

- რათა, გოგო, აბა რას ამბობ, რა დროს შენი სიწყნარისა და მყუდროების სიყვარულია?

- მეც არ ვიცი, ვერ გავუძელი, ავადაც კი გავხდი... აქაც იმიტომ წამომიყვანა მამამ.

კოლა ძია შეჰყურებდა გოგონას დრო-ჟამისგან გამოხუნებული, ფერდაკარგული თვალებით და ეტყობოდა, ყურს აღარ უგდებდა, სხვა სადინარში მოქცეულიყო, სულ სხვა საფიქრალს დაეპყრო იმისი გონება.

- ნეტავი შენს მშობლებს, შენს პატრონს, შვილო, ეგეთი კარგი რომ ჰყავხარ. და ნეტავი იმასაც, ვინც მომავალშიც გიპატრონებს... ეჰ, თუმცა ჯერ სულ ბავშვი ხარ, ვინ იცის, რა გელის, რა ბედი გექნება, ვინ გახდება შენი პატრონი...

მოულოდნელად ლექსი დაიწყო:

*ვაითუ, ქართლში გასთხოვდე,*
*შავად შაღებოს კვრის ბოლმა,*
*წადი, ილოცე ხატები,*
*ეგებ ვიშველოს დიდგორმა,*
*გუნება გადავიწმინდოს*
*იმისმა მწვანე მინდორმა.*

- კვრის ბოლი რა არის, კოლა ძია?

- ხა-ხა-ხა-ხა-ხა, მაშ კვარი რა არის, არ იცი, შე მართლა ქართლში გასათხოვებელო, შენა? - გულიანად ხარხარებდა მოხუცი.

- კვარი ჰო, კვარი როგორ არა, ვიცი...

- ჰოდა, კარგია, კარგი, თუ რამე იცი, უეჭველად გამოგადგება ცხოვრებაში... დაიცათ, დამაცათ! - ჰაერში თითშემართული გაირინდა, თვალების აქეთ-იქით ცეცებით რაღაცას დააყურადა, მერე ახალგაზრდები უბოდიშოდ მიატოვა და გაჩქარებული შევიდა შინ.

ეზოში გვანცა შემოიჭრა და თითქოს ქარბორბალა დატრიალდაო, აქაურობა ერთიანად გადასხვაფერდა.

არა, ასეთი აურზაურის ატეხვა ერთი სულიერის შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატებოდა - ყიჟინით დასდევდა ბურთს, ყირაზე გადადიოდა, ტარაბუასავით ბზრიალებდა...

- საწყალი ბავშვი, - ნაიას ღიმილში კდემასთან ერთად დამორცხვებულ სევდასაც დაიჭერდა მახვილი თვალი, - შეხედე, რას არა ცდილობს, ლამის კანიდან გამოხტეს, რომ რამენაირად შენი ყურადღება მიიპყროს, შენი მოწყალე მზერა დაიმსახუროს.

- ჩემი ყურადღება? მე რაა? რისთვის სჭირდება? აბა მე რა შუაში ვარ? - გაკვირვებით აახამხამა ვაჟმა თვალები.

- რაო, ვითომ ვერა ხვდები, რომ მოსწონხარ და თავისი ბავშვური ჭკუით ყველაფერს აკეთებს, რომ შენც მოგეწონოს?

- აჰ, კარგი ერთი, კარგი, რას ამბობ! ამის თქმა რანაირად შეიძლება! - შეწუხდა, თავი გვერდზე მიიბრუნა და ადგილზე ტოკვა დაიწყო დემნამ, - აბა ჯერ რა დროს მაგისი მოწონება-არმოწონებაა.

- რატომაც არა, სიმართლე თუ გინდა, სიყვარული ყველაზე წრფელი და უმანკო მაგ ასაკშია, - ისე ბრძნულად, ისეთი მრავლისმნახველი და გამოცდილი ადამიანის კილოზე თქვა ნაიამ, თითქოს თვითონ სულ ხუთიოდე წლით არ ყოფილიყოს გვანცაზე უფროსი. ნეტავი როდის დაანება თოჯინებთან თამაშს თავი ანდა უკვე დაანება კი?

- ნუ სულელობ, გოგო, აგერ ორი თვე ხდება, რაც აქა ვარ და თითქმის ვერც მამჩნევს, წესიერად არც კი დამლაპარაკებია, - აღარ იცოდა, სად წასულიყო დემნა.

- მით უმეტეს, ეგეც მაგის დასტურია. ვაიმე, რა ხართ ეს ბიჭები, თვალები სულ ტყუილადა გაქვთ! ნუთუ მართლა ვერაფერს ამჩნევ? დავიჯერო, მართლა ვერაფერს ხვდები? მეც ხომ მაგიტომ ამითვალწუნა და მომიძულა, მეტოქედ რომ მთვლის...

იმწამსვე მიხვდა, რაღაცა ზედმეტი წამომცდაო, შერცხვა, მზემოკიდებულ სახეზეც შეეტყო, როგორ წამოენთო და შეეფაკლა ლაწვები. ანაზდეულად შეაქცია ზურგი დემნას და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა. ლამაზად, ნამდვილქალურად მიჰქონდა ჯერ კიდევ ჩამოუსწორებელი კნაჭა ფეხები.

თქვენ გინდა შემთხვევითობა დაარქვით და გინდა ბედისწერა, მაგრამ იმათ შეხვედრაში ნამდვილად ერია რაღაცა განგებისმიერი...

ჯერ იყო და იმ წელიწადს, ადრე გაზაფხულიდან უცნაური სენი შეეყარა ნაიას - პატარა, მაგრამ გამუდმებულმა სიცხემ დაასუსტა, არაქათი გამოაცალა ბავშვს. სინჯეს, იკვლიეს, იმარჩიელეს - მიზეზი ვერაფერი დაუდგინეს ექიმებმა. ამის გამო კარგა ხანს უცდებოდა სკოლა. მერე, სწავლის დანაკლისი რომ შეევსო და თანაკლასელებს დასწეოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლებმა კერძო მასწავლებლები დაუქირავეს და დამატებითმა მეცადინეობამ მოუწია. დაიქანცა, გამოიფიტა, არაქათი გამოელია. ივნისის ბოლოს დედამ და მამიდამ ზღვაზე წაიყვანეს, ვითომდა დაისვენებს და გადაღლილ ნერვებს დაიწყნარებსო, მაგრამ რისი დაწყნარება, რა დაწყნარება, იქ უარესი დაემართა. სანაპიროზე გამეფებული რიტმი, იქაური ალიაქოთი და ორომტრიალი აუტანელი შეიქმნა გოგონასთვის - არავის დანახვა არ უნდოდა, თვალდახუჭულს ერთთავად სიბნელეში სურდა ყოფნა, სული უწუხდა, სული მოითხოვდა რაღაცა სხვას.

თითქმის სამი კვირა გაატარა ეგეთ ყოფაში - ბინდბუნდში დაბორიალობდა უაზროდ, თავის თავს ვერა გრძნობდა და სხვათა დასანახი თვალიც დაბრმავებოდა, თითქოს იმის ნაცვლად სხვა მიფრატუნობდა ბინიდან პლაჟამდე და პლაჟიდან ბინამდე. ბოლოს ეშველა, როგორც იქნა, უფროსებმაც იმყოფინეს ზღვა და აქეთ გამოემგზავრნენ.

ღვთის მადლით იყო სავსე ეს სოფელი - სიმშვიდე, მყუდროება, სიწყნარე... ჭრიჭინების ხმიანობაც გალობად ჩაესმოდა...

არა, თქვენ გინდა შემთხვევითობა დაარქვით და გინდა - ბედისწერა, მაგრამ იმათ შეხვედრაში ნამდვილად ერია რაღაცა განგებისმიერი... მაშ, ამ სოფელში რაღა მაშინ მოუწია ჩამოსვლამ, როცა სხვა ბიჭები თბილისში იყვნენ წასულები და დემნა მარტოდმარტო მისჯდომოდა გვერდით მოხუც მასპინძელს. ვერავინ გაეჯიბრებოდა, ვერავინ დაჩრდილავდა, არც არავისში აერეოდა და არც სხვებისგან გამორჩევა გაუჭირდებოდა გოგონას. მხოლოდ ის იყო და მხოლოდ ის დაინახა.

და მერეც, წლების მერეც აღარ დაუნახავს აღარავინ.

ვენერასი რა მოგახსენოთ და დემნამ და ნაიამ კი უკვე დანამდვილებით იცოდნენ, რომ ურთმანეთოდ სიცოცხლეს სიცოცხლე არ დაერქმეოდა. გოგოს სამომავლო ურთიერთობები ეიოლებოდა და მათი ხვალინდელი დაშორიშორების ერთადერთ ხელისშემშლელ მიზეზად მარტოოდენ ის მიაჩნდა, რომ კიდევ წელიწადი უნდა გაეძლო სკოლაში. ჯანდაბას! ამ ერთ წელს, ხანგრძლივსა და ძნელად გადასატანს, რამენაირად მოითმენდა, გაიჭირვებდა, მერე კი... მერე კი მერმისი ვარდისფრად ესახებოდა, სრულ ბედნიერებას წინ აღარაფერი ეღობებოდა. ჯერ ბავშვი იყო და მეტი არც რა მოეთხოვებოდა - რაცა სურდა, ფიქრადაც იმას ფიქრობდა.

ეგრე ეგონა: დილდილაობით ეს მზე რომ ამოდის ცაზე, ეს გრილი ნიავი რომ დაფათურობს ცაცხვების ფოთლებში და იმავე ცაცხვების ფოთლებში აღტაცებულნი რომ ჭიკჭიკებენ ჩიტები, სულ ჩემი და დემნას სიყვარულის დამსახურებააო. საერთოდაც, ღმერთმა ეს ქვეყანა იმიტომ შექმნა, რომ ჩვენს სიყვარულს ემსახუროს და გზად და ხიდად გაედოსო /არადა, უფალო, შენ დამიფარე, ჩვენ გვეჩვენება უცნაურად, თორემ ის სწორადა სჯიდა - ბუნების უპირველესი მიზანი ხომ თავიდან მართლაც ეგ იქნებოდა! მაგრამ ადამიანთა მოდგმა? ადამიანთა მოდგმა მისცემდა ამის საშუალებას? წინ არ აღუდგებოდა?/.

ნაიას გულში ჩიტი უფრინავდა, ჯერგანუცდელი ბედნიერებისგან ღამეც ნათლითმოსილად ეჩვენებოდა, ვერავინ დააჯერებდა, რომ საგანს, თუნდაც ერთ მხარეს, ზოგჯერ ჩრდილიცა აქვს ხოლმე. დემნას კი გენში თუ ხასიათში ჩაბუდებული შიში კარგს არაფერს უწინასწარმეტყველებდა - გული ცუდს უგრძნობდა, მოსალოდნელი ხვედრის მწარე სუნი წინდაწინ სცემდა მომავლიდან და ჯერჯერობით /ეს „ჯერჯერობით“ მთლად ყურით მოთრეულს ჰგავდა/ გამოსავალსაც ვერაფერს ხედავდა. ცხოვრება, ბევრი თუ არა, ცოტა მაინც ხომ ენახა უკვე? თავისი თუ არა, სხვებისა მაინც ხომ იცოდა მეტ-ნაკლებად? თუ არ იცოდა, ბოლოს და ბოლოს, ხომ გაეგო, ხომ წაეკითხა? განა ეს საკმარისი არ გახლდათ, რომ მიმხვდარიყო: აბა სად თავისი საწყალი კომლიდან ამოზრდილი დემნა და სად ნაია! ვინ ეს და ვინ ის! განსაკუთრებით კი იმისი მამიდა-ბიძის ოჯახი - სადღაც საზოგადოების კენწეროზე რომ გაპაპაჯვარებულიყვნენ და აქედან თვალის შეწვდენაც კი ჭირდა. იქ *ა ხ ე თ ს* ვინ მიუშვებდა, კარს ვინ გაუღებდა *ა ხ ე თ ს*...

ჰოდა, ეგებ არცა ტყუოდა, როცა თავის თავს არწმუნებდა: ორი, თუნდაც გაგიჟებამდე ერთმანეთის მოყვარული გულის შეერთება, თუ ისინი სხვადასხვა წრისანი იყვნენ, ორი ახალგაზრდის მიერ ერთი პატარა კომლის შექმნას კი არ გულისხმობდა, არამედ მათ უკან მდგომი ორი სხვადასხვა თაბაუთის, ჩვენს ყოფაში ლამის სხვადასხვა კასტად ქცეული ორი საზოგადოებრივი კლასის ურთიერთ შეჯახებად იქცეოდა ხოლმე შეუყვარებულთა ცნობიერებაში, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ერთ-ერთი ახალგაზრდის შინაგანი მოსპობით, წაშლით, გადასხვაფერებით მთავრდებოდა /მეც კარგი ვინმე ვარ! ჩვენს ყოფაში-მეთქი, ისე ვთქვი, თითქოს რომელიმე სხვა ყოფაში ოდესმე სხვანაირად ყოფილიყოს, არის ან იქნება.../.

აი, ამისი ეშინოდა, აი, საამისოდ არ ეთმობოდა, საამისოდ არ ემეტებოდა საკუთარი თავი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც ნაიას შეელეოდა გარდასაქმნელად, შესაცვლელად, სხვად საქცევად. თვითონ ხომ არ სურდა და არ სურდა ფერისცვალება, ვთქვათ, ნაიას მოენდომებინა კიდეც, შესძლებდა? გაუძლებდა? აიტანდა?

კოლა ძიას არაფერი ანაღვლებდა, ჰყვებოდა და ჰყვებოდა ძველისძველ, ლამის ისტორიამდელ ამბებს:

– ...ბულაჩაურელ ნიკო ხიმშიაშვილს დიდი წვეულება ჰქონდა, თურმე ოჩხარი მოეწვია...

– კოლა ძია, ისიც უნდა აგვიხსნა, ოჩხარი რა არის, თორემ უმაგისოდ არაფერი გამოვა, – შეჰღიმა ნაიამ.

– ოჩხარი რა არის? ლხინია ოჩხარი. აი, სიტყვაზე, დაზარალებული მწყემსი სხვა მწყემსებს დაჰპატიჟებს და რომ შექეიფიანდებიან, ვისაც რამდენი უნდა, იმდენ ცხვარს აჩუქებს მასპინძელს...

– ჰო, აი, ახლა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

– ჰოდა, ერთი გალავნელი მეცხვარე ყოფილა იმ ოჩხარზე და იმას გაშაირებოდა ხიმშიაშვილის ცოლი, ზანდუკელის ქალი. გალავნელს პასუხი ვერ შეუკადრებია და ქალს გაუბერია შაირებით. ბოლოს თვითონ ნიკოს მიუცია ნება: გაეშაირე, ნუ გერიდებაო და იმასაც უთქვამს. შენ დახუჭე, გოგო, თვალები, არ არის აუცილებელი, გაიგონო:

*ქალაქში ჩამოვიარე,*
*ქუდი ვიყიდე ბაქური,*
*დამეხსენი, ქალბატონო,*
*მე შენი თავი არა მაქვს,*
*ბევრი გდომნია ქლაქუნიო.*

როგორია, ჰა?! შენ ხომ არაფერი გაგიგია, გოგო?

– რატომაც არ გავიგე. შაირი უთქვამს, მაგრამ ერთი პწკარი მეტია მაგ ლექსში.

– მეტია თუ ნაკლებია, აი ეგრე გაშაირებია ის კაცი. შენ რას იტყვი, დემნა?

– რა ვიცი აბა, რაც არის, ეგ არის.

– ეეჰ, ძმისწულებო, თქვენ ჩემი მოყოლილი აღარაფერი გაინტერესებთ, სულ სხვაგან დაფრინავენ თქვენი ფიქრები. ეს ზაფხულიც მიილია უკვე, წახვალთ, გაფრინდებით და ისე დაგავიწყდებით, როგორც შარშანდელი თოვლი, ვითომ არცა ყოფილაო. რომ გაგახსენდეთ კიდევაც და მოინდომოთ ჩემი ნახვა, ვთქვათ, თქვენი ქორწილის შემდეგ – ეგრეცა ხდება ხოლმე, მოენატრებათ ის ადგილები, სადაც პირველად გაიცნეს ერთმანეთი – აღარაფერი გამოვა, მე აღარ დაგხვდებით აქა. ეგეთი ყოფილა ოხერი წუთისოფელი. მაინც მადლობელი ვარ, სიბერეში ეს ერთი ლამაზი ზაფხული რომ მაჩუქეთ.

დემნას უნდოდა ეკოცნა, მაგრამ შერცხვა და თავი შეიკავა.

ეჰ, ნეტავ ეკოცნა, სამი დღის შემდეგ ხომ წავა და ვეღარასოდეს, ვეღარასოდეს შეხვდება ამ დიდი გზების მტვერნასუნთქ მოხუცს.

## VI

აკვირდებოდა და ეჩვენებოდა, თუმცა რას ჰქვია ეჩვენებოდა? აკვირდებოდა და უკვე მტკიცედ სჯეროდა, რომ ყველაზე უფრო გასაოცარი, ყველაზე უფრო საკვირველი არსებულსა თუ არარსებულს შორის *დ რ ო* იყო, *დ რ ო*. მის წინაშე ყველაფერი ხუნდებოდა, ყველაფერი ძალას ჰკარგავდა.

გაჩენის დღიდან *დ რ ო ი ს* ამოცნობას ცდილობდა კაცობრიობის გონი, იმას ებრძოდა, იმისი დამორჩილება სურდა, მაგრამ ამაოდ, აქამდე ვერაფერი დაეკლო, ვერაფერი მოეხერხებინა. დემნამდე დიდი ხნით ადრე ხომ დაეყოთ იგი წარსულად, აწმყოდ და მომავლად, ხომ დაენაკუწებინათ ათასწლეულებად, საუკუნეებად, ძველ და ახალ წელთაღრიცხვად, ვითომ ჩაემწყვდიათ საათებში, წუთებში, წამებში...

ვერა, ფუჭი იყო ყოველივე – იმისი ასავალ-დასავლისა არა გაიგებოდა რა – ალღოს ვერ აართმევდი, ვერაფერს მიუხვდებოდი, თლილად ნაგებ კოშკს შიგნით შესასვლელ კარს ვერ მოუნახავდი.

ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა და ფილოსოფოსთა ნააზრევის ჩხრეკა-თვალიერება და გადაქექვა რად გინდოდა, განა რაც თვალწინა გქონდა, იმაზე დაკვირვება არ იკმარებდა? აგერ, ბატონო, ჯერ იყო და ყოვლადღიურად იმის გასვლას საშველი არ ადგებოდა – მიიზლაზნებოდა, მიიწელებოდა, ძლივძლივობით მიითრევდა წელს – დღის დაღამებას გეგონა, ვერ ეღირსებოდი და თუ რამენაირად დაღამდებოდა, მერე მორჩა, გათენება გახდებოდა სანატრელი, გათენების მოლოდინი გაგიწყალებდა თვალებს... და უცებ! მოიხედავდი და გული გადაგიქანდებოდა: უკვე დამთავრებულიყო, ჩამარცვლულიყო, ჩაცლილიყო წელიწადი, თვალსა და ხელს შუა გაგსხლტომოდა, გაუჩინარებულიყო ეს მოუხელთებელი, შეუც-

ნობელი და შეუღწეველი *დ რ ო*, რომელსაც ველარასოდეს დაიბრუნებდი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, თავის ჭკუაზე გვაბზრიალებდა, რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა - თვალთმაქცობდა, მზაკვრობდა და გველაძუობდა, დამალაობას გვებურჭალებოდა - ხან სრულებით ვერა გრძნობდი, ვერ განიცდიდი, თითქოს სულაც არ არსებობსო, ხან კი ლოდივით დაგაწვებოდა და გსრესდა, განადგურებდა. ვერ გაიგებდი, როდის რას იზამდა, როდის როგორ მოგექცეოდა.

ჩვენ კი - იმასთან შედარებით სრულიად მიმნდობნი და უზაკველნი - უმეტესწილად თვალდახუჭულნი ვფიქრობდით: *დ რ ო ს ა* ვკლავთო, *დ რ ო* გაგვყავსო, *დ რ ო ს* ვატარებთო...

/მაშ, მოდი, ისევ ღვინითაააა, *დ რ ო* გავატაროთ ლხინითაააა.../

ჰა-ჰა-ჰა-ჰა, *დ რ ო* გაგვყავსო, *დ რ ო ს* ვატარებთო, *დ რ ო ს ა* ვკლავთო...

ჰოი, გულუბრყვილობავ! *დ რ ო ს* რომელი ამბრი და ამირანი მოერეოდა, ვინ დაამარცხებდა, ვინ იყო ამქვეყნად *დ რ ო ი ს* მომკვლელი და ხელის შემბრუნებელი?!

ოთარი და ლევან გელაშვილი ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ფეხის ადგმიდან ერთ ეზოში იზრდებოდნენ /ეზო ერქვა სამი მაღალი შენობით შემოსაზღვრულ და მანქანების სადგომებით გადაჭედილ მიწის ნაჭერს/ და მომდევნო ათი წელიც ერთ კლასში ჰქონდათ გატარებული. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მათი გზები თითქოს გაიყარა - ლევანმა ისტორიის ფაკულტეტი ირჩია, ოთარმა კი ჟურნალისტობა გადაწყვიტა - მაინც ბოლომდე განუშორებელ მეგობრებად დარჩნენ და ურთმანეთოდ ლუკმას არც ახლა ტეხდნენ. მერე გასამდნენ, უკვე სიყრმის ჟამს დემნა შეუერთდათ - ისა და ლევანი ერთ კურსზე, ერთ ჯგუფში სწავლობდნენ. თუმცა ირგვლივ სხვაც ბევრი ეხვია და ბევრთანაც ამხანაგობდნენ, მაგრამ ამ სამთა ძმობა სხვა იყო - განუყრელი და შეუმღვრეველი.

ჰოდა, თუ ასე გააგრძელებდნენ, ამათი ყოფა იმ სამთა გმირთა მნათობთა ამქვეყნიურ კიდევ ერთ გამოვლინებად თუ არა, იმათი ცხოვრების ღირსეულ პაროდიად მაინც ეგებ გამომდგარიყო.

- კაცი როგორ არ გაოცდება, - ირონიულად იცინოდა ოთარის მამა, - ჩემი შვილის მეგობარი ჩემს კვალს გაჰყვა, თავად სიყრმის შვილმა კი მიგანა და ჟურნალისტობა ამჯობინა.

- ხომ არ გეწყინა, მიშა ბიძია? - მიამიტურად ჰკითხა ლევანმა.

- მართალი გითხრა, შენგან გამეხარდა, მაგისგან კი არა მწყენია, რადგან დღეს ერთი ფასი აქვს ჟურნალისტობასა და ისტორიკოსობას, ერთმანეთს არსად წაუვლენ. ის ხანა უკვე დამთავრდა და ისტორიას ჩაბარდა, როცა ისტორიის ფაკულტეტი რაიკომის მდივნებს ჩეკავდა და მის კურსდამთავრებულს სამომავლო კეთილდღეობა გარანტირებული ჰქონდა.

- ისე, კაცმა რომ თქვას, შენ რომელ ხანას აძლევ უპირატესობას, მამა, - საუბარში ჩაერია ოთარი, - რომელი რომელს სჯობს, ძველი თუ ახალი? თუ ორივე ერთი ნაგავია, გუშინდელიცა და დღევანდელიც?

- იცი, რას გეტყვი? გირჩევნია, ცოტა ჭკუას მოუხმო და სისულელეების ლაპარაკს მოეშვა, - აღელვებისგან ლაწვი უხტოდა მიხეილს. ერთი ეგ იყო, ლაწვს ვერ იმორჩილებდა, თორემ სხვა მხრივ გაღიზიანებას არ იმჩნევდა ხოლმე, კამათის დროს ყოველნაირად ცდილობდა, წყენა არ დატყობოდა, სიბრაზე მოეთოკა, სიბრაზეს არ ეჯობნა, - კიდევ გიმეორებ, შენთვისვე სჯობს, სისულელეების ლაპარაკს მოეშვა. სამწუხაროდ, ეგეთი რამე დღეს პირველად არ გემართება.

- ნამდვილად, მამა, ნამდვილად, - სწრაფად დაეთანხმა შვილი. ვერ მიხვდებოდი, იმაზე ემოწმებოდა, რომ ეგეთი რამე დღეს პირველად არ ემართებოდა თუ იმაზე, რომ სჯობდა, სისულელეების ლაპარაკს მოშვებოდა და ცოტა ჭკუისთვის მოეხმო.

მამა-შვილი ხშირად ველარ რიგდებოდა ერთმანეთში - საკმაოდ ანგარიშგასაწევმა კონფლიქტებმა იჩინა თავი - ძველი შეხედულებები გაიყო და ცხოვრებამ ახალიც ბევრი რამ მოიტანა სადავო. კამათი უფრო მწვავდებოდა, თუ სხვებიც შეესწრებოდნენ მათ პაექრობას, მაშინ ორნივ თავგამოდებით ცდილობდა თავიანთი წილი სიმართლის დაცვას. ეს განსაკუთრებით უმცროს ჭკუასელზე ითქმოდა: ისეთი გზნებით, ისეთი აღტკინებით შეებმებოდა ხოლმე მოწინააღმდეგეს, თითქოს იგი მამა კი არა, ასტრაბეთელი თათარი ყოფილიყოს და ყოვლად უსაფუძვლოდ ღორის თავს შეცილებოდეს. მისი აზარტი, მისი ჟინი გამარჯვებისა დამსწრეთაც ისე გადაედებოდა, ისე აიტაცებდა, რომ ხშირად ვერც ისინი იკავებდნენ თავს, არ ჩაბმულიყვნენ მათ დავაში და ზოგჯერ ლამის მამა-შვილზე მეტად შეჯახებოდნენ ერთმანეთს. ორთაბრძოლაში კი უმეტესწილად უფროსი ჭკუასელი იწვევდა, ხელთათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


მანს პირველი ის ისროდა ხოლმე:

– ...რას ვიზამთ, გვინდა თუ არ გვინდა, მაინც უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ოდესმე ქართულად აღარავინ ილაპარაკებს, საჭირო აღარ იქნება და იმიტომ. არა, ეს იძულებით და ძალდატანებით კი არ მოხდება, ასეთი რამე ჩვენს სინამდვილეში გამორიცხულია, ცხოვრებისეული აუცილებლობა თვითონ თანდათანობით მოიტანს ამას.

– რას ამბობ, მიშა ბიძია, მაშინ ხომ აღარც ქართველები ვიქნებით და აღარც საქართველო იარსებებს? სხვებისა რა გითხრათ და ჩვენი, ქართველების მეობის უმთავრეს ნიშანს ხომ ენა წარმოადგენს. – თითქოს სხვის მაგივრად რცხვენიაო, თვალები განზე გაექცა ლევანს.

– რაც უნდა სამწუხარო იყოს, ეგეც გარდაუვალია.

– აჰა, ესეც თქვენ! რომ მომდგებით და მამტყუნებთ ხოლმე: დაუთმეო, მამაათ, უფროსია და ეგეთი ტონით ნუ ელაპარაკებიო, ახლა რაღას მეტყვით? მე ვყოფილვარ მართალი თუ თქვენ? – ნიშნის მოგებით გადახედა მეგობრებს ოთარმა, – ხომ დარწმუნდით, რა ვითარებაში მიხდება ყოფნა? დაუთმეო, ადვილი სათქმელია, რა დავუთმო, რანაირად დავუთმო, ეგ ხომ სამშობლოს დათმობა გამოდის?!

– სიქადულად და თავმოსაწონებლად მარტო ის მეყოფა, ასეთი ერთგული და თავდადებული შვილი რომ აღვუზარდე საქართველოს! – ხელებსაც კი ირონიულად იქნევდა, ხელების მოძრაობაშიც კი დაცინვა გამოსჭვიოდა.

– მართლა გჯერა ეგ, მიშა ბიძია? – ლევანი გაოცებული შეჰყურებდა მასპინძელს.

– რა მჯერა, ბიჭო, რასა ბავშვობ, სასიქადულო შვილს რომ ვუზრდი სამშობლოს, ისა?

– არა, ეგ არა. აი, ის თუ მართლა გჯერა, რომ აღარ იქნება ქართული ენა, აღარ ვიქნებით ქართველები, საქართველო და ამის მერე მაინც გინდა სიცოცხლე?

– ეგეთი ემოციური კითხვები, ჩემო ლევან, შეიძლება ჟურნალისტს ეპატიოს, შენ კი, ისტორიკოსს, არ გეკადრება.

– დემაგოგიააა! – იყვირა ოთარმა, – აქ ისტორიკოსობა და ჟურნალისტობა რა შუაშია? კაცი ადამიანურად გეკითხება და შენც პირდაპირ გაეცი პასუხი: მაინც გინდა თუ არა სიცოცხლე?

შვილის აღშფოთებაზე კვლავ ირონიულად ჩაეცინა მიხეილს, სხვა მხრივ იმის მიმართ ყურადღება არ გამოუხატავს, ისევ ლევანს მიმართავდა:

– თქვენი ხნისა რომ ვიყავი, ლევან, იქნება მეც თქვენსავით ვფიქრობდი, იქნება არა. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხზე უფროსებს თქვენსავით ხმამაღლა არასოდეს შევდავებივარ, არც ისინი ჩამიყენებია უხერხულ მდგომარეობაში და არც მე ჩავმდგარვარ. ჰო, ვფიქრობდი, როგორ არა ვფიქრობდი, მაგრამ მერე გავიდა წლები... ერთი სიტყვით, რაც თქვენა გჭირთ, ახალგაზრდული დაავადებაა, საყმაწვილოა, მოიხდით და გაგივლით.

– უფროსებზე რაღას იტყვით, უფროსებიც ხომ არიან ჩვენი მოაზრენი?

– არიან, სწორი ხარ, ეგეთებიც არიან, ვისაც სიბერეშიც ბავშვის ჭკუა შერჩა, უფრო სწორად, ჭკუისა არაფერი ეტყობა, ცხოვრებისგან ვერაფერი ისწავლა. თუ კაცი ხარ, ეგეთ გონებაჩლუნგებს ნუ დამისახავ მაგალითად. იმათზე სწორება რა ხელს მოგვცემს?

უცებ ჩაყუჩდა ყველა. ოთახში თითქოს სუეროსებრი ელვა შემოსრიალდაო, ისე დაიმუხტა იქაურობა. ჩამოწოლილ სიჩუმეში შეცბუნებულმა ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. მეგობრის მამა იყო და ხანდახან აბუჩადაც თუ აიგდებდა, გაატრიზავებდა, აიტანდნენ კიდევაც, მაგრამ იმ სხვებისთვის, ვისაც არც კი იცნობდა, ვისიც არც ავი იცოდა და არც კარგი, რატომ უნდა მიეყენებინა შეურაცხყოფა?

დემნა კამათში იშვიათად ჩაერეოდა ხოლმე. ჩვევად არა ჰქონდა, მრავალთა თანდასწრებით აზრი გამოეთქვა სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე. წარსულზე ჰო, ბატონი ბრძანდები, მაგრამ არა აწმყოსა და მომავალზე. დედამისმა ბავშვობიდანვე რა არ იღონა, რა არ გააკეთა – დაშინება იქნებოდა ეს, აკრძალვა თუ შთაგონება – რომ მის შვილს ყველანაირი სურვილი დაჰკარგოდა პოლიტიკისადმი /ყოველგვარი პოლიტიკა მისთვის დღესაც სამშობლოს კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლასთან იყო გაიგივებული და ამიტომაც ეშინოდა, ამიტომაც უფრთხოდა ეგრე ძალიან/. თუკი სამშობლოს სიყვარული მაინცდამაინც აუცილებელი გახლდათ, და არ მოასვენებდა, კი ბატონო, ჰყვარებოდა თავისთვის ჩუმად, უხმაუროდ. რა საჭირო იყო ყველას დასანახად გულში მუშტების ბრაგუნი და ბრტყელ-ბრტყელი ლოზუნგების გადაძახილი. ასეთმა ქმედებამ, თუნდაც უახლოეს წარსულში, რა სარგებლობა მოუტანა გინდა საქართველოსა და გინდა თვითონ მაბრაგუნებლებს? ან მომავალში რისი იმედი უნდა გვქონოდა? სხვებმა თუ არ იცოდნენ, თვითონ დემნას დედას ხომ კარგად ახსოვდა თავისი წარსული, ახალგაზრდობის დროინდელი დღეები ხომ სულ თვალწინ უტრიალებდა? აბა იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითი რა მოიგო, რა იხეირა, რა სიკეთე ნახა?

არა, მორჩა, გვეყო!

წინაპრები ირწმუნებოდნენ: ვაჟკაცი ხმლით ხელში უნდა დაიღუპოს, ვაჟკაცები სასთუმალზე არა კვდებიანო.

ვაჟკაცი მამა...

ვაჟკაცი ძმა...

ვაჟკაცი მეტრუე...

ერთი ქალისთვის, თუნდაც ნამდვილი ქართველი ქალისთვის, განა საკმარისი არ იყო?

ყოველი მათგანის სიკვდილმა იმის გულზე გადაიარა, ყოველ მათგანზე დარდმა იმის გულზე აილესა პირი და ისიც გაცვდა, დაილია ქასური სალესავივით. არა, მორჩა, არა სურდა ვაჟკაცი შვილი. რისი ხმალი და რისი შიშმერი! ლემნა ისეთ ადამიანად უნდა გაზრდილიყო, ასი წლის მერე შთამომავლობით დახუნძლული საკუთარ ლოგინში მწოლი რომ მიაბარებდა მამალმერთს სულს.

თვითონ ეგრე ბჭობდა და...

- თუკი ხვალ ან ზეგ ნებაყოფლობით უნდა ვთქვათ უარი საკუთარ არსებობაზე, ნებაყოფლობით უნდა შევეგუოთ გადაშენებას, გულზე ხელი დავიკრიფოთ და ველოდოთ, როდის შეათრთოლებს ჰაერს უკანასკნელი ქართული სიტყვა, გამოდის, რომ სიძულვილის მეტი აღარა დამრჩენია რა იმ საამაყო და საფიცარი წინაპრების მიმართ, ვინც მამულის სიყვარულისა და პატრიოტიზმის სახელით ათასობით ქართველი შეაწყვიტა მომხვდურებს. რისთვის ებრძოდნენ შემოსეულ მტრებს? რისთვის დაღვარეს ამდენი სისხლი? რა მნიშვნელობა აქვს, ხუთი ათასი, ორი ათასი ან ათასი წლის წინ ავითქვიფებოდით უცხო თესლში თუ ოცდამეერთე საუკუნეში დავკარგავდით თვითმყოფადობას, აღარ გვექნებოდა მამული, ენა, სარწმუნოება... თავდადებულ შვილებს იმ მტარვალთაგან, მაშ, იმიტომ გადაურჩენიათ სამშობლო, რომ სულ სხვა მტარვალის ნუგბარ ლუკმად შემოენახათ... - მუდამ უთქმელი და სიტყვაძვირი ლევანი, ალბათ, თავადაც გაკვირვებული იყო, ეს რამდენი ვილაპარაკეო.

- ჰო, მართალი ხარ, მართალი ხარ ნამდვილად, - მხარს უბამდა ოთარი, - მაშ, აბა რაღა ყოფილა იმათი დამსახურება?

- სერიოზული ხალხი ეგრე არ კამათობს, ლევან, - მშვიდი ტონი ჰქონდა მიხეილს, იშვიათად თუ აღელდებოდა, იშვიათად თუ აუწევდა ხმას. კამათის ეს აუცილებელი წესი ახალგაზრდებს ჯერჯერობით ვერ ესწავლათ მოპაექრისგან, მაგრამ იმედი იყო, სამომავლოდ მაინც შეითვისებდნენ.

- გვინდა თუ არა, - განაგრძობდა მიხეილი, - ყველაფერსა აქვს დასაწყისი და დასასრული. უნდა ფაქტების ერთობლიობას დაუკვირდეთ, შეაჯამოთ და დასკვნა ისე გამოიტანოთ. რომ აგიკვიატებიათ: აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენიაო, ვერ ატყობთ, მომავალს აწმყოდ ქცევა არ უწერია? მომავალი ყოველთვის მომავალშია, აწმყო კი ყოველთვის - აწმყოში. თქვენივე თქმით, აწმყო არასოდეს იქნება ჩვენი მწყალობელი, მომავალი კი გინდა გვწყალობდეს და გინდა არა, თუ გათენება არ უწერია.

ამას კი წარსულში ყოფნა ენატრებოდა, წარსულისკენ ილტვოდა. წარსულს თვლიდა მომავლად. იქ მარტოობა აგრერიგად არ აწუხებდა, ერთეულად არა გრძნობდა თავს - ცდილობდა, შემადგენელი ნაწილი ყოფილიყო დანარჩენისა. წარსულში უკვე ერთად იყო მთელი ერი შენივთებული - თავდადებულიცა და მოღალატეც, ძლიერიცა და სუსტიც, სახელიანიცა და უსახელოც - სამშობლოს ბედნიერებისა თუ უბედურების მჭედელნი თითქოს ერთ დიდ წიგნში შესახლებულიყვნენ და თავიანთ საქმეს გულმოდგინედ და ბეჯითად ემსახურებოდნენ. აკეთებდნენ არსთაგამრიგისგან მათთვის ნარგუნებ საქმეს და დარწმუნებით იცოდნენ, რომ ყველანი აუცილებელნი იყვნენ იმ წიგნისთვის. თქვენ წარმოიდგინეთ, იქ ძალა ეკარგებოდა ლემნას ყველაზე დაუძინებელ მტერს - ბავშვობიდანვე ჯერ ჩამოუყალიბებლად, გაურკვევლად შემორჩენილ, შემდგომში კი სიმკვეთრე და სიმძიმე შეძენილ კითხვებს:

რისთვის მოვედით?

რისთვისა ვართ?

რისთვის მივდივართ?

არა, მთლიანად ქრებოდაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ თვალშისაცემად რომ ფერმკრთალდებოდა, სუსტდებოდა, უძლურდებოდა, ესეც ხომ შეღავათი იყო.

არ წამოვიდოდა, სულაც სამუდამოდ დარჩებოდა იქ, მაგრამ წიგნის შემოქმედს იმისთვის სხვაგან განესაზღვრა ადგილი. იმ გარემოში მხოლოდ სტუმრობისა, არა, სტუმრობისაც არა, მხოლოდ შორიდან ჭვრეტის უფლება დაეტოვებინა, ლემნა კი მაინც თავისას არ იშლიდა - მაინც იქით მიილტვოდა, იქით მიიწევდა, იქით ეტანებოდა.

მერე და მერე ხელის ფათურიც კი მოიწადინა.

- ვერა, ვერანაირი ვეშაპი ვერ ჩაყლაპავს საქართველოს, ღვთისმშობლის წილხვდომილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეს! - პათეტიკურად ყვიროდა ოთარი.

- დარწმუნებული რომ ვიყო, რასაც შენ ამბობ, მართლა ეგრე იქნება მომავალში, მეც ხმას არ ამოვიღებდი, უსიტყვოდ დაგეთანხმებოდით და ეგრე ხელებაწეული გამოგყვებოდით უკან, მაგრამ უსაფუძვლო და ამაო რომ არის ეგ თქვენი იმედები?

- ოჰ, ღმერთო ჩემო, რატომ გგონია, რომ ამაოა? - უმწეობისგან სკამზე ვერ ჩერდებოდა ოთარი, - რატომ, კაცო, რატომ, ხომ უნდა დაამტკიცო?

- აბა ამდენ ხანს რას ვაკეთებდი? ამდენ ხანს რას ვცდილობდი? - გაკვირვებისგან სახე უყეყეჩდებოდა მიხეილს, - მაგრამ, ეტყობა, სულ ტყუილად ვწვალობ, შენს თავში მაინც არაფერი შედის. თუმცა, ჯანდაბას, აჰა, ვიქნები გულმოწყალე და კიდევ ერთხელ გაგიმეორებ: იმიტომ, ჩემო კარგო, რომ ადრე თუ გვიან დიდი აუცილებლად შთანთქავს და მოინელებს პატარას. ამაზე მეტი რაღა საბუთი გინდა?

- ვერ ეღირსებიან! ისტორია ხომ სხვას გვეუბნება? ისტორიკოსი მაინც არ იყო, ჰიჰ, დოქტორი, პროფესორი... ჩვენს გვერდით რამდენი იმპერია გაქრა, გადაშენდა, გადაიჩეხა არყოფნის ჯურღმულებში, საქართველო კი მტრების თვალთა დასათხრელად გადარჩა და აქამდე მოიტანა უკვდავი სული. - თვალები უელვარებდა ოთარს. ახლა სულ სხვა კაცი იყო, აღარაფერი უგავდა ნამდვილს - მუსუსსა და ქალების გულთამპყრობელს /თუმცა ვინ იცის, რომელი იყო ნამდვილი?/.

- მოეშვი, თუ კაცი ხარ, ამ ჭრელაჭრულა სიტყვების თამაშს: არყოფნის ჯურღმულები... უკვდავი სული... ნართანიანი მრავლობითი... ეჰ, რომ იცოდე, თითოეულმა გადაშენებულმა იმპერიამ გადაშენებამდე რამდენი მცირერიცხოვანი ხალხი მოინელა და ჩაიყოლა თან, ეგრე აღარ ილაპარაკებდი, მაგრამ იმპერია დიდი იყო და შეამჩნიეს, რომ გაქრა, მოისპო, პატარა კი აღარავის ახსოვს. მოვა დრო და საქართველოს ჯერიც დადგება, ეგ არის დიალექტიკის კანონი.

- მიმიფურთხებია დიალექტიკისთვის! ეგ კანონები შენთვისა და შენისთანებისთვის არის გარდაუვალი, თორემ საქართველოსთვის სულაც არაფერს წარმოადგენს.

- აუცილებლად! რაღა თქმა უნდა, რადგან ოთარსა და საქართველოს ასე სურსო: დიალექტიკას უარყოფენ და თქვენთვის გამორჩეულსა და განსაკუთრებულ კანონებს შეიმუშავებენ სამყაროში. - დასცინოდა შვილს მიხეილი: - ბიჭო, რატომ ცდილობ, ხალხს უფრო სულელად მოაჩვენო თავი, განა რაცა ხარ, ეგ არა კმარა?

ასეთ დროს ღემნას გაორებული გრძნობა იპყრობდა: ლამის შეზიზღებოდა, შესძულებოდა ეს გადაგვარებული შვილი საქართველოსი და, ამასთან ერთად, ახსოვდა, რომ მის წინ ბიძია მიხეილი იჯდა - საყვარელი, კეთილშობილი და უპატიოსნესი ადამიანი, ღემნას აზრით, გარდა პოლიტიკისა, სხვა დანარჩენში სულიერადაც და ფიზიკურადაც ახალგაზრდად დარჩენილი, ლამის მათი კბილა კაცი.

ამ საკითხში კი არ იქნა და არ მოხერხდა საერთოს პოვნა, ორივე მხარე ჯიუტად იდგა სათავისოზე.

პაექრობა ოთარის დედის გამოჩენამ შეაწყვეტინათ, შემოვიდა და პატარა ლანგრით ორთქლადენილი ყავის ფინჯნები შემოიტანა.

- ოოო, დროული იყო, ნამდვილად დროული იყო, - ხელები მოიფშვნიტა მიხეილმა.

მეუღლემ მწყრალად შეხედა და ოდნავშესამჩნევად გადაიქნია თავი:

- რა გინდა, მიშა, ბავშვები თავიანთვის რაღაცას კამათობენ, მსჯელობენ, შენ რატომღა უშლი ხელს, რატომ ერევი მაგათ საქმეში? მიუშვი თავიანთ ნებაზე.

- ჩემო ლალი, ამათი თავიანთ ნებაზე მიშვება რომ კმაროდეს, მაშინ ამდენ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებს კი არ დააარსებდნენ? აბა მასწავლებლები საჭირო აღარა ყოფილან და ეგ არის.

- საჭირო კი არა, აუცილებელია, - წამოიძახა ოთარმა, - მაშ, უიმათოდ ახალგაზრდებს ტვინს ვინღა დაუსაჭურისებდა?!

- ხომ იცი, როგორ კარგ ყავას ხარშავს დედაშენი? დალიე და გაჩუმდი, შეირგე, შე კაი კაცო.

ასეთი „გამანადგურებელი" მზერის გაძლება, ალბათ, მხოლოდ შვილს თუ შეუძლიაო, - გაიფიქრა ღემნამ.

წეღანაცა ვთქვი: ღემნა იშვიათად ებმებოდა კამათში. განსაკუთრებით პირველ ხანებში ერიდებოდა საკუთარი აზრის საჯაროდ გამოთქმას - ჩვეული არ იყო და დუმილს ამჯობინებდა. თუმცა მამულის ბედისადმი გულგრილობას ვერც იმას უკიჟინებდით და ვერც იმას იტყოდით: თავის გამოსაჩენი ადგილი და ასპარეზი აკლიაო - თქვენ მაშინ უნდა გენახათ /მაგრამ რანაირად ეღირსებოდით?/, როცა ღამით, ძილის წინ, მარტოდ დარჩენილი და კედლისკენ გადაბრუნებული დროს შეეთამაშებოდა და აწმყოდან წარსულში გადაინაცვლებდა, აი, მაშინ იბრძოდა შმაგად და აზავთებულად, მაშინ ღვრიდა სისხლს სამშობლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა



საკეთილდღეოდ, აი, მაშინ უთენდებოდა შავი დღე ყველა ორგულსა და ქვეგამხედვარს. ვახტანგ გორგასალს ვეღარ უგმირავდა მოშიშვლებულ იღლიას მოღალატე მონის მოწამლული ისარი, დემნას მეშვეობით იცვლებოდა სულზე ძვირფასი მამულის ბედისწერა - ამის მერე მეფე კიდევ დიდხანს იცოცხლებდა და იბერიასაც სულ სხვა დიდება და მადლი გააბრწყინებდა. ვერა, ვეღარც ოროზ-მოროზის ძენი დაღვრიდნენ აშოტ დიდის სისხლს საკუთრხეველზე და ესეც დემნას დამსახურება გახლდათ. გარნისის ომში ვეღარც ივანე ათაბაგმა დაიპყრა ფერხი და აქაც დემნას ჩარევით იძულებული გახდა, ჯარი მიეშველებინა შალვა ახალციხელისთვის. ვეღარ იზეიმებდა შური, ყოველთა დასაბამი და ძვირად მომწყუდელი ნათესავთა კაცთასა და ყოველთა ნათესავთა მწყვლელი... და, აი, ასე: როცა დროს შეეთამაშებოდა და აწმყოდან წარსულში გადაინაცვლებდა, მაშინ ეძლეოდა იმის ნიჭსა და ძალისხმევას უსაზღვრო გასაქანი - უხვედრ ადგილებში არსდებოდა ახალი ქალაქები, იკვალებოდა გზები, შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, ხანაგები, ქარვასლები... რამდენი ღამე გაატარა სამშობლოს განაპირა საერისთავოში და შემოუერთა საქართველოს დაკარგული მიწები. დაიბრუნა თავისი და არ შეხებია სხვისას - სხვისაზე არც თვალი ეხარბებოდა და არც ხელი გაურბოდა.

ვერაფრით რომ ვერ ისწალეს ვერც წინაპრებმა და ვერც თანამედროვეებმა გალმა შედავება, თუნდაც ბუხრის პირას მჯდომებმა და ჩხირით ნაცრის მქექავებმა, ეგებ ამიტომაც დაკარგეს გამოლმა მხარენიც. ეგრე რომ არა, ვინ იცის, მაშინ რა პირობები შექმნოდა საქართველოს.

- ვერა, რა პირობებიც უნდა გვქონოდა, ამაზე მეტად ვერ გავმრავლდებოდით ქართველები! - შეუვალი იყო პროფესორი მამა.

- რატომ? ვითომ რა საფუძველი გაქვს ამისთვის? - კონკრეტულ პასუხს ითხოვდა სტუდენტი შვილი.

- გინდა? მე გეტყვი, - მშვიდად, შუაკაცის კილოზე ამბობდა ლევანი, - ვარაუდობენ, საქართველოს არსებობის მანძილზე სულ სამასი მილიონი ქართველი ცხოვრობდაო. ცოტაა, არა? ეს იმიტომ, რომ უმეტესობას არ დააცალეს, შთამომავლობა დაეტოვებინა.

ოთარი მეგობრის სიტყვებს ყურს იქით ატარებდა და კვლავ მამას ჩასციებოდა:

- შენ გეკითხები, რა საფუძველი გაქვსმეთქი ამისთვის?

- მაგის გასაგებად ცოტა მეტი სპეციალური ლიტერატურის გაცნობაა საჭირო, ცოტა მეტი ცოდნა უნდა მიიღო და მეტად გაანძრიო ტვინი. - მკვახედ სჭრიდა ისტორიკოსი მამა.

- შენ ხომ გაქვს ეგ ლიტერატურა წაკითხული? ეგ ცოდნაც ხომ გაქვს შეძენილი? მაშ, რატომ არ გინდა, გაგვიმხილო? რატომ ჩვენც არ გვაზიარებ მაგ ცოდნას? - კითხვას კითხვაზე სვამდა ჟურნალისტი შვილი.

- გეტყვით, როგორ არ გეტყვით, მაგის თქმას როგორ დაგამალლებთ, თუ ჩემს ნათქვამს ცოტათი მაინც ყურად იღებთ და დაიმახსოვრებთ. მთავარი კი ის გახლავთ, ჩემო კარგებო, რომ ერის გამრავლებისთვის საარსებო სივრცეა აუცილებელი. - მერე შვილს მიუტრიალდა და დამცინავად შეხედა სახეში: - შენ თუ იცოდი ეს?

- თქვი, კაცო, თქვი, თუ რამეს ამბობ საინტერესოს, აქ გამოცდას კი ნუ გვიმართავ! - აიმრიზა ოთარი.

- სულ გოგოებისკენ რომ გიჭირავს თვალი და მთელ დროს იმათ კუდში დევნას ანდომებ, ეგ იმისი ბრალია. ვინც ახალგაზრდობას ქარაფშუტულად ატარებს, ამას ვერასოდეს შეიგნებს. საკმარისი იყო, დაინტერესებულიყავი და ხანდახან წიგნებშიაც ჩაგეკრა თვალი, რომ ყველაფერს იოლად გაარკვევდი. გუმილიოვი გაგიგია? აი, გუმილიოვი მშვენივრად ამტკიცებს: ერის გამრავლება საარსებო სივრცეზეა დამოკიდებულიო. მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში რუსები და ქართველები რიცხობრივად დაახლოებით თანაბარნი იყვნენო, მაგრამ მერე ქართველები დაცოტავდნენ, შემცირდნენ, რადგან საარსებო სივრცე თანდათან შეეზღუდათ, რუსები კი გამრავლდნენ, მათი საარსებო სივრცე ლამის უსაზღვრო იყოო.

- ვინა? რა თქვი, ვინ ამტკიცებსო? ვინ ამტკიცებსო? - უცნაურად აღფრთოვანებული ოთარი ფეხზე წამოვარდა.

- დაჯექი, დაჯექი, სულ ტყუილად ახუნტრუცდი, სულ ტყუილად აცეტდი. შენ ვინც გგონია, ეს ის გუმილიოვი არ გახლავს, ეს შვილია იმისი, ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსი. მე პოეტის ნათქვამს და, მით უმეტეს, თეთრგვარდიელისას, არგუმენტად არასოდეს მოვიტან.

- კარგი, ჰო, ვერ შეგედავები, ეგ შენი ნებაა, ვის დაიმოწმებ და ვის არა, - ჩაცხრა, ნირი წაუხდა ოთარს, - აი, ის მითხარი, ის ამიხსენი, შენ და ეგ შენი გუმილიოვი თუ მართლები ხართ, იმავე საქართველოში, იმავე შეზღუდულ საარსებო სივრცეში სხვებს რომ არ უჭირთ გამრავლება, ჩვენ რაღა ღმერთი გვიწყრება?

მიხეილი შეყოვნდა, პასუხის მიგება შეუგვი-

ანდა, ალბათ, რაღაცის თქმას თვითონაც მოახერხებდა, მაგრამ ღემნამ დაასწრო, ღემნა ჩაერია საუბარში:

- ყოველთვის კი არ შეიძლება, ასე ჯიუტად ფეხის მიბჯენა და ყალყზე შედგომა, ამ შემთხვევაში, მართლაც, არაფერია საკამათო, ოთარ.

- შენ ხომ არ შეიშალე, რა არ არის საკამათო? - შეუღრინა ოთარმა.

- ტყუილად ცხარობ-მეთქი, სწორია ამჯერად ბატონი მიხეილი და საკმარისია, ცოტა ჩაუკვირდე, რომ შენც იოლად დაეთანხმები, - ხმას აუწია ღემნამაც: - საარსებო სივრცე შენ მარტო გეოგრაფიული ცნება კი ნუ გგონია, სოციალურიც არის. ქართველებმა კი ამას, ვერ იქნა და, ალღო ვერ ავუღეთ. თავად ჩვენზე, აი, აქ მყოფებზე, თითოეულ ჩვენთაგანზე უკეთესი მაგალითი რად გვინდა, ჩვენ თვითონ ეგრე არა ვართ? - სული მოითქვა და სანამ ვინმე შეეპასუხებოდა ან აზრის გამოთქმას მოინდომებდა, ისევ თვითონ განაგრძო: - ქართველებს გვგონია, დროის მსვლელობას ავუწყეთ ფეხიო, მსოფლიოს მოწინავე ხალხთა რიგებში ჩავდექითო და ვკარგავთ ყოველგვარ ეროვნულს, რაც ჩვენი არსებობის მანძილზე შეგვიქმნია: გამოვიცვალეთ, ხასიათი ერთიანად გადაგვისხვაფერდა, ცრუამპარტავანნი შევიქენით. ჩვენიანი, თუ მთლად წყალწაღებული არ არის, მტვირთაობას არ იკადრებს, ცოცხს ხელს არ მიაკარებს და ნაგავს არ გაიტანს, ხელოსნობა რომ ხელოსნობაა, უკვე იმასაც ვთაკილობთ - ნახე: ავტოპროფილაქტორიუმები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ატელიეები, სანტექნიკოსები... გლეხობამ ხომ მთლიანად ქალაქში მოინდომა გადმოსახლება, მიაგდო მარჩენალი მიწა, მოარღვია ქვეყნის საზღვრები /ზღვას არ ვგულისხმობ/.

რა ხდება?

მიწის მუშამ სოფელი მოიძულა, ქალაქელი - ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის - სამეცნიერო დაწესებულებისკენ, თანამდებობებისკენ, იოლად ფულის საშოვარი ადგილებისკენ მიიწევს... იქ კი სივიწროვეა, ძმაო, ამდენი ხალხი არ არის საჭირო. ამრიგად, ჩვენს პატარა მამულში კიდევ უფრო მეტად შევიმცირეთ საარსებო სივრცე, რაც სხვამ ვერ წაგვართვა, ჩვენი უთაურობითა და ბედოვლათობით თვითოვე დავთმეთ..

- ოჰ, კარგი, რაა, კაცო, ხან რას აიჩემებთ ხოლმე და ხან რას, სივრცე კი არა, ისა... სივრცე და არე რა შუაშია? ისიც მაგის ბრალია, უცხოელები რომ დაგვცინიან: ქართველ ქალს რომ შეეძლოს, ნახევარ შვილს გააჩენდა და გაზრდიდაო? - ახლა მეგობარს ჩასდგომოდა ოთარი კრიჭაში.

- ჰო, მართალია, ეგრე ამბობენ და ეგრეც არის, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი მიზეზი აქვს? რა გგონია, რამ ჩაჰკლა ქართველ ქალში დედობის სურვილი?

- ძალიან უშნო ჩვევაა, როცა რამეს ჰყვები და თან მსმენელებს კითხვებს უსვამ, - გაღიზიანებას ვერ მალავდა ოთარი.

- ჯერ ერთი, არაფერი უშნო ჩვევა ეგ არ არის და მეორც, ცოტა ხანს მაცალე, რომ ჩემი სათქმელი დავამთავრო. მეცნიერულად არის დადასტურებული, რომ მგლებსაც კი აქვთ იმდენი ჭკუა, იმდენი აზრი, როცა შეიტყობენ, სამომავლოდ ცხოვრების სახარბიელო პირობები არ გვექნება და ერთმანეთს კონკურენციას გავუწევთო, აღარ მძუანობენ და ლეკვებს აღარა ჰყრიან. ასაკსმიტანებული დედალი მგელი აღარა წყვილდება და დედური ინსტინქტი რომ დაიკმაყოფილოს, დედობის წყურვილი რომ მოიკლას, დისშვილებს ზრდის. მით უმეტეს, ადამიანებისგან რატომ უნდა გაგვიკვირდეს ასეთი რამე? ჰოდა, აღარც ვმრავლდებით, რადგან იმ გარემოში, სადაც ჩვენ გვიხდება ყოფნა, ჩვენზე მოთხოვნილება მინიმუმამდეა შემცირებული - ამდენი არა ვართ საჭირო. წეღანაცა ვთქვი: ჩვენ თვითონვე შემოვიზღუდეთ საარსებო სივრცე და ახლა გვიკვირს, რატომ გამრავლების სურვილი არა გვაქვსო.

- ჩვენს წინაპრებს, თქვენი არ იყოს, მეც ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერში ვერ დავეთანხმები, - კმაყოფილებისგან ხელებს იფშვნეტდა მიხეილი, ღაწვი ჩასწყნარებოდა, ჩამშვიდებოდა, - აი, მაგალითად, რომ ამბობენ: ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო, ტყუილი ყოფილა. ზოგჯერ ანდაზებიც არ ამართლებენ, ასე არ არის, ღემნა? თორემ აქენ ხანს ერთადა ხართ, მეგობრობთ და ჩემს შვილსაც ხომ უნდა გადასდებოდა შენგან რამე, რაღაცა მაგასაც ხომ უნდა ესწავლა ცოტა?

- ამქრულად შეჰკარით პირი ისტორიკოსებმა, რაღა გიჭირთ! ეს ოსტატი, შენ კი შეგირდი ან ქარგალი, არა? მაგრამ არ გეგონოთ, რომ დამამარცხოთ, ნურას უკაცრავად! - არა თმობდა პოზიციებს ოთარი: - მერედა, ღემნა, თუ ნამდვილად ასეა, რასაც შენ ამბობ, მაშინ სად არის, რას აკეთებს ამხელა ქვეყანა? შე დალოცვილო, მგლები შეიყვანეს წითელ წიგნში და ჩვენს მოსპობას რატომ ეგუებიან ეგრე გულგრილად? სად არის სახელმწიფო პოლიტიკა, ასეთ შემთხვევაში რა იდეოლოგიურ საფუძველს გვთავაზობენ? რას აკეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს ის ორგანო, ამ ვითარებას რომ უნდა აწესრიგებდეს?

- ჰმ, თუ ატყობთ, რომ მაინც არ იშლის თავისას!- უკმაყოფილოდ ჩაიფრუტუნა მიხეილმა.

- აი, ეგ სხვა საკითხია, ოთარ, აქედან უნდა დაგვეწყო. რას აკეთებს და ხელს უწყობს ჩვენს ხალხს იმ საარსებო სივრცის თანდათან შევიწროებაში, შემცირებაში, დამცრობაში და, თქვენც კარგად ატყობთ, არა მხოლოდ პასიურად.

- ეგრე, შე კაი კაცო, ცოტაც და გამისკდებოდა გული! - ამჯერად მოულოდნელმა სიხარულმაააყვირა ოთარი.

- ეჰ, ღემნა, ღემნა, - ღრმა სინანულით ამოიოხრა მიხეილმა და ღაწვი შეუხტა, - ეს რა ჰქენი, რა უცებ გადამასხი ცივი წყალი.

სკამის კიდეზე წელგამართული იჯდა ლევანი და მუხლებზე დაწყობილ ხელებს ოდნავ მოღიმარი სახით დასცქეროდა.

ბიჭები იწრთობოდნენ, კაჟდებოდნენ მიხეილთან კამათში, სწავლობდნენ სიტყვიერი პაექრობის ხერხებსა და ილეთებს. ეს დაპირისპირება, აზრთა ჭიდილი კიდევ უფრო მეტად აიძულებდა ახალგაზრდებს მამულის დღევანდელ ვითარებაზე დაფიქრებულიყვნენ, მოწინააღმდეგესთან /და ერთმანეთთანაც/ სამშობლოს ბედსა და მომავალზე ედავიდარაბათ და ემსჯელათ. ასეთ შეხლა-შემოხლას რანაირი პროკლამაცია, მოწოდება ან აკრძალული ლიტერატურის კითხვა შეედრებოდა.

მერე, წლების მერე გაუჩნდა ეჭვი ღემნას: ნეტავი ეს ყველაფერი წინასწარ განზრახვით ხომ არ კეთდებოდაო.

უჰ, არა, ეს უკვე მეტისმეტი იყო, გენაცვა! ამდენი, ხან აზრიანი და ხან უაზრო, კამათისგან ლამის თავი გამოლაყებოდა. არც სხვათა სმენა იყო აგრე რიგად იოლი, მაგრამ ბოლო დროს ისიც მიიმხრეს, წაათამამეს, იმასაც ხშირად აიყოლიებდნენ ხოლმე, წამოანთებდნენ და ააბობოქრებდნენ. ამ ხნის მანძილზე ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩხუბისა და დავიდარაბის მერე ოდესმე ერთ აზრზე დამდგარიყვნენ ან რამეზე შეთანხმებულიყვნენ, მაინც საკვირველად ენიაზებოდათ ერთმანეთი, მაინც კვლავ და კვლავ ერთმანეთისკენ მიუწევდათ გული.

და იდგა ოთარის ოთახში ყურისწამღები გნიასი და ბასტიბუბუ, დარეტიანებულები გაიყრებოდნენ ხოლმე მოპაექრეები.

საღამოვდებოდა. უნივერსიტეტთან ამ დროს ვინღა იქნებოდა, მაგრამ გულმა მაინც იქით გაუწია - ოთარისგან მომავალი ტროლეიბუსიდან გმირთა მოედანზე ჩამოვიდა და გაბრუებულ-გაბურბუსალებული შეუყვა ვარაზის ხევს. ეტყობა, დროის მოკვლასაც გულისხმობდა ეს ფეხით სიარული, თორემ ჭკვიანი კაცი ამსიშორიდან რატომ მოუვლიდა შინ მისასვლელად. სანამ ღემნა ჭკუასელების ბინაში ჭეშმარიტების დასადგენად იბრძოდა, გარეთ ცოტა წამოეწვიმა და მალევე გადაეღო, მტვერს წესიერად ვერც კი მოეხერხებინა პირის შეკვრა. ქუჩაში გამვლელები ცოტანი იყვნენ და ისინიც ისე მიდი-მოდიოდნენ, თითქოს მიდიან და არც მიდიან, თითქოს არიან და არც არიანო.

აღმართი აათავა და ის იყო, მარცხნივ უნდა გაეხვია, რომ ჩვეულებისამებრ თვალი უნივერსიტეტისკენ გაექცა. ჯერ არ დაიჯერა, მაგრამ, სანამ გაოცებას მოასწრებდა, დარწმუნდა, რომ ბაღის შესასვლელსა და ჭადრებს შორის პაპუნა დაბორიალობდა. ნამდვილად ის იყო. ერთი თალია ისიც კი დააპირა: მოდი, ჩემ გზაზე წავალ, იქნება კაცს რა საქმე აქვს, ვის ელოდება და სულაც არ გაეხარდეს ჩემი დანახვაო, მაგრამ /მოსალოდნელი მარტოობით დამფრთხალმა/ მისვლა გადაწყვიტა. პაპუნამაც შენიშნა თუ არა, ამისკენ გამოქანდა.

- აქ რას აკეთებ, კაცო? - შეჰღიმა ღემნამ.

- ღმერთო, შენ მიშველე! რა კარგია, რომ გამოჩნდი... გიორგი ჯორჯაძეს თავი ჩამოუხრჩვია და რა ვიცი, აბა სად წავსულიყავი? - აჯახა მოულოდნელად.

რა სისულელეს ამბობდა! გიორგი ჯორჯაძეს თავს რა ჩამოახრჩობინებდა?! შეიძლება მანქანა დასჯახებოდა, გაწყვეტილი ელექტროდენის მავთულს შეხებოდა ან ვინმე დამთხვეულს მეცხრე სართულიდან ტელევიზორი გადმოეგდო და ის დასცემოდა, ან... ბოლოს და ბოლოს, იაგუარი შემოვარდნილიყო დღი-სითმზისით ამ ქალაქში და იმას დაეგლიჯა. ყველაფერს დაიჯერებდა, ყველაფერს, თავის მოკვლას - ვერა. პაპუნას? ან თვითონ პაპუნას რა უნდოდა ამ საღამოს უნივერსიტეტთან? აქ ხომ ღემნასა და იმისი მეგობრების მეტს არავის იცნობდა და გიორგისაც ღემნასგან ემმაკაცებოდა. ეჭვი შეეპარა, ამისი საქმე მთლად კარგად არ უნდა იყოსო.

- პაპუნა, თუ ხუმრობ, ეგ რანაირი ხუმრობაა? თუ არადა, რა მისახარებელ ამბავს შენ მეუბნები, შე კაი კაცო!

- რას ჰქვია, ვხუმრობ, ღემნა, შუადღისას გავიგე და იმის მერეა, ლამის გავგიჟდე... კიდევ კარგი, გამოჩნდი.

- ხუმრობ, კაცო?

- ნეტავი ვხუმრობდე. მაშინვე შენთან ამოვედი. გელოდე. გელოდე. რომ არ მოხვედი, არ ვიცოდი, სად წავსულიყავი და აქ ჩამოვედი. აი, შენც მოხვედი...

რა სისულელე იყო ყველაფერი. რანაირად შეიძლება, დაგეჯერებინა. თანაც: აი, შენც მოხვედიო! თითქოს დაბარებული ჰყოლოდეს.

- ხუმრობ, პაპუნა?

- ნუ აიჩემე, კაცო, ეს ხუმრობ და ხუმრობ, ლაზღანდარობის ხასიათზე დამდგარ ადამიანს რა მიგავს?

მართალი იყო. დემნას მომხდარის დაჯერება არ უნდოდა და ხავსს ეჭიდებოდა, ძალით იბრმავებდა თვალებს, თორემ პაპუნას შემხედვარე ვინ ვერ მიხვდებოდა, რომ ამჯერად სიტყვა ხუმრობა უადგილოზე უადგილოდ ჟღერდა.

გულის კოვზს ქვემოთ მოეწვა, მოეწვა, მოეკრუნჩხა რაღაცა და წელში მორკალა დემნა. ასე მოკაკული მივიდა და ბაღის შესასვლელთან ქვის ბორდიურზე ჩამოჯდა.

- რატომ, კაცო, რატომ? სამართალი სულ აღარ არის ამქვეყნად?

- ამქვეყნადო? ეგ არაფერი, ამქვეყნიური იმდენი რა საფიქრალ-სადარდებელია? შენ ისა თქვი, რომ მაგ საცოდავმა სამუდამოდ, საუკუნოდ წაიწყმიდა სული.

დემნამ თავი ასწია და გამოცარიელებული თვალებით შეხედა: რას ამბობო?

- თვითმკვლელობა ხომ საშინელი ცოდვაა, დემნა, ღვთის მიერ უპატიებელი ცოდვა...

- გაჩუმდი! - იყვირა გამეხებულმა. ხელში მოჰყვა კაცი, ვისზეც შეიძლებოდა უეცარი ელდისგან მომდგარი უმისამართო ბოღმის გადმონთხევა, - გაჩუმდი! შენ რა იცი, რა არის უპატიებელი და რა არა? შენ ვინ დაგავალა, ღვთის მაგივრად ილაპარაკეო? ან მაშინ სად იყო ღმერთი, როცა ის კრავივით ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს და ასეთ ცოდვაში ჩაადგმევინეს ფეხი?

- ღმერთი ყოველთვის ჩვენთან არის, ჩვენ...

- მით უმეტეს!.. ფუჰ, როგორ გიტრიალდება ენა, რომ ასეთ ვითარებაში შენი აკვიატებები გვჩარო ცხვირში. დამანებე თავი, არც შენი რელიგია მინდა, არც შენი ღმერთი და არც შენ!

წამოხტა და გაიქცა.

- მოიცა, - მიაძახა პაპუნამ, - მოიცა, მომისმინე...

- ფუჰ, არ გამომყვე, მომშორდი, არ დამენახო, იცოდე!

გიორგი ჯორჯაძე.

გარეგნულად - დახვეწილი, უფაქიზესი...

შინაგანად - სული, თითქოს გამუდმებულად ჩახმახზე შეყენებული...

და აღარ არსებობდა, ველარასოდეს შეხვდებოდა, ველარ გაიხარებდნენ ერთმანეთის ნახვით... ველარც იმას შეიტყობდა ველარასოდეს, რა ძალამ ჩამოაბმევინა თოკი...

ასეთი საგვარეულოს კაცს სიჭაბუკის გაფურჩქვნის ჟამს თუ ეწერა აღსასრული, თუ ბედისწერამ თავგანწირვა მიუსაჯა და საკუთარ სარეცელზე არც იმას უნდა დაელია სული, ისე რატომ უნდა მომკვდარიყო, რომ სამშობლოსთვის წვეთი სისხლიც არ დაეღვარა!

დემნასაც თავისი წილი აკვიატება /თუ აკვიატებები/ სჭირდა.

დასასრული შემდეგ ნომერში



# ზურაბ ნარმანია

## მფრინავი ჭიანჭველა

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად,
რას უძღვნის ხელფასადაო?
ვით რემა ხნარცვს არ ჩავარდეს
ულაგმო და უსადაო.

*დავით გურამიშვილი*

პროლოგი

ერთარსება სამებაო, მომიტევე, შემინდე,
მე რომ ვბედავ შენზე ფიქრს და საუბარს და წერას,
რომ მსურს, ცეცხლთან მოთამაშე სამოთხეში შევიდე
და უღირსი დავუბრუნდე სათნოების კერას.
მამა ღმერთო, ძეო ქრისტე, სულიწმინდავ, შემინდე
კაცს, ჭაობში ჩაძირულს, ოცნებას რომ ვბედავ,
უმძიმესი ცოდვებისთვის ცეცხლით უნდა მდევნიდე,
შენ კი მითმენ, ღვთისმშობელო და დედათა დედავ, -
ქერუბიმზე სპეტაკო და სერაბიმზე მაღალო,
ღირსი მყავი სიყვარულის სიტყვითა და საქმით,
წმინდა წიგნის კითხვით თვალი, სმენით ყური დავღალო,
მოვკლა ჩემში ძველი კაცი ღვთის ახალი აღთქმით.
ერთარსება სამებაო, დიდებათა დიდებავ,
როგორ მიტან აუტანელს, სხვაზე მეტად ცოდვილს,
უფრო მეტიც, ნებას მაძლევ, გიძღვნა ხოტბა-დიდება,
დავინახო, აღსასრული რა ჯიუტად მოდის!

I.

ბაბილონის მშენებლებმა აღამაღლეს ბაალი,
აქებდნენ და ადიდებდნენ წარმართს ძოწისრქებიანს,
სირინოზის ხმამ მოხიბლა მართალთაგან მრავალი
მლოცველი და მემარხულე ბაბუა და ბებია.

ავთა თვალთა მოითოკა ცისიერთა თვალთვალი,
ღრმად შეირყა საფუძველი, ენა იქცა ენებად,
აერია კაცს დავთარი, როგორც უფალს ენება,
შეწყდა ცაზე მისადგმელი დიდი კიბის შენება.

დაივიწყეს ერთი ღმერთი, ვით მწყემსს, მიჰყვნენ სტიქიონს,
ჩაქრა გულში ჭეშმარიტი მიჯნურობის ლამპარი,
გაეხვია ნისლის თმებში უწმინდესი გონება,
დაიჯერა ცისქვეშეთმა ბელზებელის ზღაპარი:

ეროვნული ბიბლიოთეკა



„მზე დედაა, მთვარე მამა“, ღამე მაჭანკალია,
დასამალს რომ მალვა უნდა, ეს რა დასამალია,
ვარსკვლავები მერვე ცაზე... ცანი ბევრნი არიან, -
მათი რიცხვით მკითხაობა რომ გიყვარდა ძალიან...

ხარხარებენ ჭინკები და ცეკვავს ჭიაკოკონა,
ბავშვს ჰგონია, თამაშია ეშმაკების შაბაში,
დღეს მეძავის ტვირთს მიათრევს გუშინ ციდა გოგონა,
გზას აცდენილ მამა-პაპას უძღვის ბრალი ამაში.

- დაისაჯოს დამნაშავე?! - არავინ თქვა უარი,
აწ თვითონვე მწარედ, თანაც უიმედოდ ტირიან
ყამარი თუ ასპიროზი, მარიხი თუ მუალი,
მუშთარი თუ ოტარიდი... სიკვდილს დიდი პირი აქვს...

ეგვიპტეში გვალვამ პური მოსპო, დაასამარა,
ხვალინდელი დღის იმედსაც საფუძველი ეცლება;
ღვთის წინაშე თუ დავრჩებით ხრწნადი ხორცის ამარა,
თვალს დახუჭავს მზე და ზეცა წამში შეკრავს კამარას.

აღარ მოვა ის დღე, როცა არსად აღარ ვიქნებით,
მწუხარების მზე, ვინც იცნობს, მწველზე ბევრად მწველია,
დაცემული ანგელოზის კაცისმკვლელი ფიქრები
ცად ღრუბლების ცრემლით სავსე ცურებს ცეცხლით წველიან.

...დრო გადის და არ ისვენებს ჭირვეული წარსული,
მახსოვრობა თვით ადამის შეცდომაზე ძველია.
ვითომ მართლა შუქს ჩაუქრობს ენუქსა და ელიას,
მეცხრე ტალღას ელოდება დაცემული გენია.

* * *

ზოგის ლოცვა წუხილია, ზოგის - ტკბილი გალობა,
გარესკნელში ხანძარია, „კენესის მთელი ქმნილება“,
- დამერწმუნეთ, რომ ორივე არის უფლის წყალობა,
თორემ აღარ დაიფიცებს ჩვენს მზეს შთამომავლობა.

უდიდესი უმცირედში თავისუფლად ეტევა,
კამარა და კამარეტი ერთმანეთში ერთია,
სადაც არის მართლა არსი, ყველგანმყოფი ღმერთია,
გულდედალთა თავდაცვაა თავდასხმა და შეტევა...

ხილულს მიღმა რწმენის ენით და უენო ნუგეშით,
სწამს თუ არა, ცარგვალს ვერვინ შემოხაზავს ფარგალით,
ჭიანჭველამ სოლომონი პაწაწინა ბუდეში
მიიღო და უმასპინძლა კუტკალიის ბარკალით.

„ხომ ვამბობდი, გაფრინდება“, ანია თუ იანი,
მიწაა და ღრუბლებია - გემი იალქნიანი;
კიდობანი?!. შეშლილაო ნოე მუდამ ჭკვიანი,
ნუთუ მართლა შლეგმა იხსნა თესლი ადამიანის?

...მოვარდა და გადარეცხა წარღვნამ წუთისოფელი,
წყალს მიეცა ქალაქები ღმერთის უარმყოფელი.
აწი როგორ... ბედს და იღბალს ცრუს მიანდობს რომელი,
თუ არ შევცვლით ცხოვრების წესს, კარგს არაფერს მოველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დაემსგავსა დედამიწა ჯოჯოხეთის მუგუზალს,
ცოდვის ფარცხით ღმერთის კვალი წაშალეს და დამალეს,
თუკი ხორბალს არ აკერპებთ, სულიერად მშივრებო,
ნუ ტირიხართ, მოვა ლედა, ყვავილების შვილებო.

2.

კვლავ შეწუხდა შემოქმედი ტანჯვით კაცთა სულების,
- ახლა თავის შვილი ანდო ამქვეყნიურ სიგიჟეს,
თუმც იცოდა, უგულობას არაფერი შველოდა
და მაცხოვარს კაცის ხელით ჯვარზე გაკვრა ელოდა.

* * *

ბარაბაში რომ გაცვალეს ჩემი ქრისტე მართალი,
იმ ხალხების სინანულით, ღმერთო, მეც გამახარე,
თუ არადა - არც ყაყაჩო... კვლავ სვან მყრალი არაყი,
რაც სურთ, ის ქმნან, თუნდაც ნეხვის მთები მოავარაყონ...

მიწა ცასთან, გული ქვასთან ვითომ შეაკოწიწეს,
ჭამს მსოფლიოს სულს და სხეულს მოჩვენება - ქიმია.
საქართველო? - ლაზარე ხომ კლდის გამჭრელი სხივია,
დღეისთვის კი მისი დედაეკლესია ქერივია.

შეიძლება იყო ბრძენი, ხალხის მასწავლებელი,
თუ არ იცი, რა ასწავლო, სხვათა შორის მთავარი,
რაა ჩოხა-ახალუხი, გარკაბა თუ ქამარი?
თითქოს მარტო სახელია დავითი და თამარი.

თუ რამ შეგვრჩა, მატყუარა მღვდლებმა გააცამტვერეს,
ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ქვეყანას მართავს მართლა ყარსაღი.
ბასკაიებს აბჟუები ისე გადაამტერეს,
აღარ ფარავს ღვთისმშობელის კაბის კალთა აფხაზეთს.

გაუპია უცხო ნებას ივერიის გულმკერდი,
თურმე ჩვენთა წინაპართა ძვალიც ღირებულია, -
დაფქვავენ და მერე ამით ქალბატონი ევროპა
კიდევ უფრო ნოყიერს ხდის კატების წილ ბულიონს.

ხრწნადი გვამის სამსახურში გაშმაგებულ მსოფლიოს
ეშმაკები ტარტაროზის ცეცხლის ენით ლოკავენ,
უკვე მოჩანს მკაცრი ხელი დიდი არმაგედონის,
სადაც ბოლო გველეშაპსაც დასცემენ და მოკლავენ.

* * *

რაც არსებობს, მეტყველია, ხმა, ფერი თუ ხამია,
დრო გვერდს უვლის ცოდვათაგან განწმენდილს და განბანილს,
საიდუმლოს ფარდას ახდის განა მართლა ამია,
ინგლისური მაკიაჟი ან ქართული ანბანი, -

სინდისი ხომ თვალთა, თვალთა, თვალთა - თვალისჩინია,
უმანკობას ღმერთის გარდა არაფრის ეშინია,
სძლიე ვნებებს? - შენი ენა მგალობელი სტვირია,
ხვალ ძალიან ბევრს იცინებ, გუშინ თუ გიტირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლესთან ვთამაშობდით, ვაგებდით თუ ვიგებდით.
როცა შენ ხარ, ცათა ცასაც აღარ ეთქმის ზვიადი.
ტანჯვისა და მოთმინების, რწმენისა და იმედის
მოგვეც, ღმერთო, კელაპტარი, - გულში დავჭრათ წყვდიადი.

ცრუსთან მართალს რა ხელი აქვს - ანგელოზთან სატანას,
გალახული სინდისი ხომ არ დამალავს არაფერს,
კანიბალთა გულში მყოფმა კიდევ დიდხანს გასტანა,
აწ საკუთარ სიავეზე თვითონ გველაპარაკებს.

დააჭირე ენას კბილი, მის ქვეშ ბუდობს გველეთი,
სხვისი განსჯით თავს წააგებ, ღვთისთვის ასე ძვირფასო,
კარგი იყავ მაშინ, ცრემლით ღაწვებს რომ ისველებდი
და მოყვასის მძიმე ტვირთქვეშ მშვიდად რომ ისვენებდი.

არ მსურს, ვინმეს გულში აღვძრა ბრაზი, დავიდარაბა,
მაგრამ, რა ვქნა, როგორ არ ვთქვა, ჰორიზონტის მდევველთა
საშინელი საზღაური, ოქრო-ვერცხლის მქებელთა
არ ასცდება სულს წარწყმედა, როგორც მანიქეველთა.

ვთქვათ, არ სცოდავ, მაგრამ ცდები, ეს რა შეღავათია,
თუ ბედს უშლი გოლგოთაზე ჩვენი ჯვარის ატანას
და თუ რაღაც მანქანებით სულს წარგვტაცებს სატანა,
ჰოდა, აღარ შეგვეძლება ერთმანეთის გატანა...

ვინც ეშმაკის მახეებში საბოლოოდ გაება, -
ღვთის სახლს გარეთ უძირო და ბნელი გარესკნელია,
სადაც კბილთა ღრჭიალით და ტირილით და ვაებით
განუწყვეტლივ კვდებიან და ხსნას არსაით ელიან.

ასე გავა დღე-ღამეთა ძველი მატარებელი,
გატყდება და გაწყდება და ჟანგი შეჭამს იმედებს,
შემოდგომის სურნელებას თან მოჰყვება ავდარი
და მკვდართათვის დაიწყება მოცახცახე ზამთარი.

3.

ვალპურგიის ღამეს ათევს ჯოჯო ჯოჯოხეთური,
სათვალავი აღარა აქვს - ჯაყოა თუ სეთური,
რას გაიგებს კაცთაგანი ღმერთის ავანჩავანის,
ამიტომაც დუმილს არჩევს ხელნაწერი მცხეთური.

ფერფლში ჩხრეკენ ცხადს და სიზმარს გიდელი და გიდარა...
რჯულით ამხელს იაფეტი ხალხებს ცოდვა-ბრალიანს,
ხელმოცარულს ამას ვეტყვი: სხვისგან არა გინდა-რა,
ყველამ თავის ნებით შექმნა საკუთარი გალია.

ზოგი მახსოვს, ზოგი არა - სიკეთე თუ სიავე, -
ხრწნილებიდან მიღებული საზარელი სიამე.
უფლის მიერ ბოძებული მადლი გავანიავე,
ნუთუ მაინც შემოქმედის მსგავსი ხატი მქვია მე...

სინამდვილე არც სიღრმე და არც სიგრძე და განია,
სოფელს, ყალბი საქმით გართულს, ღვთისთვის აღარ სცალია,
უსულგულო სამშვინველი სიცრუისგან მთვრალია,
ჰოდა, ვისაც უნდა, ძერწოს გალიაში გალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძენთა ბრძენი მგლოვიარე სახლის ბინადარია,
უგუნურნი დღეთა დღემდე მხიარულნი არიან.
რაც კი ცოდვა აწევს სოფელს და აღრმავებს იარებს,
სამსჯავროზე პასუხს აგებს, ვინც არ გაიზიარებს.

- გავაღვიძოთ გარდასული, წინ სხვა არაფერია,
წაიღებენ ყურთასმენას ნავთობების რელსები,
შუშანიკის ცრემლები კი ყველა დროში მღერიან,
გადაგვარჩენს ხანძთელის და კონსტანტინეს წესები.

სხვაგვარად ხომ მირაჟია „ჟირაფი“ და „გვირაბი“,
ყველა ბრძენი ერთად წუხდა, მორჩა, დავიკარგეთო, -
გეტყვით მწარე სიმართლეს და სხვას ვერაფერს გარგებთო.
- მაინც ყველა უფლისა ხართ, ჩემო ცუდო-კარგებო!

* * *

ვაზის ნაცვლად ჭიგოს მკვდარი გველი შემოეხვია,
გაერია სიტყვას წყალი, ცრემლი სისხლმა შეღება,
თუკი სხვისი ჭირ-ვარამი, როგორც ჩვენი, გვეხება,
ქრისტეს რჯული ჩვეულებამ ვერ წაგვართვას ეგება.

როს შევეხე მოსაწყვეტად ვარდს, ეკალი გამიწყრა,
ტკივილში და სისხლის წვეთში უფლის სიტყვა აინთო...
შენ თუ იცი, მეც გამანდე, მწუხარების რაინდო,
შვილის ჯვარზე მწვალებელი მამამ როგორ დაინდოს.

* * *

ქრისტეს რჯული და სიქიზმი აურ-დაურიეთო, -
ლუციფერი ცხრა ენაზე ევაჭრება გენიოსს,
თუმცა სხვაზე კარგად იცის, დრო რომ აღარ დარჩა და
აუკრავენ გუდა-ნაბადს გულისთქმათა ლეგიონს.

4.

მაპატიეთ სითამამე – „ალისა და ულისა“...
არ მსურს, თუნდაც ოქრო ვიყო, დაწყევლილის, კრულისა;
ოდეს მკვდრეთით აღსდგებიან, ყველა ნახავს ყველაფერს,
უძლურია ძალის ძალა კოშკების და ფულისა.

მსმენელი რომ ყოფილიყო, სათქმელზე მეტს იტყოდა,
ახლაც მისი ჯვარზე დიდი ტანჯვის შუქი ანთია...
მთელი ჩვენი არსებობა თვითმკვლელობა იყო და
აქა-იქ თუ ელის ვინმე მარადიულ განთიადს.

* * *

ბავშვობიდან შევეჩვიე აზრს, სნეული რომა ვარ, -
არ წამართვა საოცრებით გაოცების უნარი,
თორემ ვინ ვარ ჩემი ტვირთით, ვისი ტიკი-ტომარა,
ღმერთო ჩემო, შენ და შენი სიყვარული რომ არა.

გამტეხეს და მერე წელში ვერა, ვერ გავიმართე
უფლის შიში და ლოცვებში ღამეების მთეველი...
დაცემული და ცოდვილი გამჭრას შენმა სინათლემ,
ოღონდ მყავი კაღნიერი: გთხოვო სასუფეველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.
მერე რა, თუ ვინმეს სხვაზე უკეთესი ვგონივარ,
არ უნახავს ზურგის უკან აზრი გადამალული,
უკვდავებას თუ უარვყოფთ, სიკეთეც კი მტერია,
ნივთიერი სინამდვილე - მტვერი? აღარც მტვერია.

კაცი, ყველა კაცთაგანზე ბევრის ბევრჯერ ცოდვილი,
ცაზე ვფიქრობ, სიმაღლეებს ოცნებაში მოვიარ,
თიხისაგან გამოძერწილს წვიმა ცეცხლი მგონია,
იცით! - სულზე უკეთესი არაფერი გვქონია.

უმადური, უსამართლო, უგულო და უწესო,
მიკვირს, როგორ ვბედავ, მაგრამ გევედრები, უფალო,
გეენაში არ ჩამაგდო, მეორეჯერ არ მომკლა,
ვერ გავდივარ ამქვეყნიდან მართალი და უვალო.

ოქროს, თანაც ბაჯაღლოს დავეძებდი წუმპეში,
ვითომ კარგს და ვითომ სულგრძელს გველი მყავდა უბეში,
მაცხოვარო, უფრო სუსტზე და საწყალზე დაგეშილს
არ მაჩვენო ჩემი თავი შენი რჯულის სარკეში.

* * *

შოლტი, ჯვარი, უარყოფა, დამცირება, დაცინვა,
არც სიცივე-სიმხურვალე - არ გვცხელა და არ გვცივა...
რომ როგორმე გამთბარიყო გული, რას არ ეცადა, -
ქრისტეს ეკლის გვირგვინიდან წმინდა სისხლი წვეთავდა.

6.
რაც ვიხილე, უფრო კარგი ანდა ცუდი რა ვნახო,
ვიცი, ჩემზე სუფთა რომ ხარ, ტალახო და ბალახო,
ყველამ თავის სინდისივით მათრიოს და გამლახოს,
ოღონდ სულში ჩაძირული ზღვების ზღვა გადავლახო.

ვეცადე და ვერ გავეცი ის, რაც მარტო ჩემია,
ზოგჯერ სივრცე საცდურია, ზოგჯერ ციხე გემია,
ოკეანე წყლის ერთ წვეთში რისხვას გადარჩენია,
დღეც და ღამეც, შენაც, ქვენაც ღმერთის განაჩენია.

ჭკუა ბრმაა - გულახდილი სინანულის გარეშე
ვერ აანთებ თვალს, რომელიც ქარიშხალსაც აშეშებს,
დაადნე და ვერცხლის წყალი ერს ასვი და გალეშე,
მერე, მტერო, სიწმინდენი არბიე-ითარეშე.

სულით, გულით და გონებით გზა-სავალს თუ სახავენ,
ჩემს წუხილში ქვიშის ობოლ მარცვალს მაინც ნახავენ,
ძმებს ძინავთ და დემონები რომ ფხიზლობენ, ამიტომ -
სიხარულზე არას ვამბობ, - ცრემლსაც დამიძრახავენ.

* * *

ქილილა და დამანა და დალილა და მედეა...
არაფერი არ შეცვლილა, შხამში შხამი დღემდეა,
ფარული და მოთვალთვალე და სიცოცხლის მოძულე,
რომ საკუთარ ქოხმახებშიც ვიყოთ უცხო მედგური.

მოერია მოძღვარს რული და შეგირდიც გაერთო,
იწყევლება კურმუხეთი: მიწამც დაგაყარეთო -
სოფლები და ქალაქები, ოჯახები, ცოლები,
რელიგია, ეროვნება, სახელმწიფო საერთო!..

შუქმა, ვიდრე მეც გადმომწვდა, ცხრა მთა გადაიარა,
მახსენებენ ამინდები ჩემს ძველისძველ იარას,
უფლისაკენ ერთადერთი გზაა, გზები კი არა,
ვერ დამალავს სულს მდაბიოს დიდებულის ტიარა.

ამერიკავ და ევროპავ, ნგრევად რომ აგორდებით,
წმინდა აბოს კვნესად არ ღირს თქვენი დიდი პორტები,
ტყეებს, ბაღებს და ქალაქებს ეპარება ბნელეთი
და ნელ-ნელა ცხრება სოფლის ჭრელი ჭიანჭველეთი.

* * *

არ დამტოვო მოწამლული ისრების წინ შიშველი,
ცოტა ვნახე, არ ცდილობდეს, სხვების სულში აფურთხოს,
სამსჯავროზე ვერავინ და ვერაფერი მიშველის,
ერთადერთო, შენ ერთს ძალგიძს, დამიხსნა და მაკურთხო.

მამა, ძე და სულიწმინდა, ღვთისმშობელი მაღალი, -
მინდა სული და სხეული, გული ახალთახალი...
შენი არ ვარ, ლეთეს წყალო, საზვერევ და ჰადესო,
მაპატიე, რომ დავეცი, ღმერთო, უდიადესო.

* * *

მიწა, ჩემი დედამიწა წყლებითა და ხმელეთით,
არც თოკი და არც საყრდენი - ცაში ისე კიდია,
სად მიფრინავს გონიერი კაცთა ჭიანჭველეთი,
სიხარული და ტკივილი დიდზე უფრო დიდია.

თვალს ჭრის ყალბი ბრწყინვალება ბროლის... ნავსადგურების,
ყური მიგდეთ, არა ჩემსას, სიმართლეს გეუბნებით:
სინათლეთა წრიდან გავლენ ბნელი გარეუბნები,
ვერ ნახავენ სასუფეველს ბილწად მოსაუბრენი.

აღარ დარჩა ხალხთა შორის ხალხი საზეპურონი,
ჰიპოპოტამს ამაკებენ სულ სხვა ჯიშის კურონი.
ისრაელო, თვლემ მანამდე, სანამ კვლავ არ დაგსჯიან
შენ შენივე ხელით ქმნილი ნამგალით და უროთი.

ქალაქების ნანგრევებქვეშ მოყოლილი ბავშვები
არ ტირიან, არ კვნესიან, არ იციან, რა სტკივათ,
არ უფრთხიან ამ ცხოვრებას, როგორც ზამთარს შაშვები,
და ეძლევა თითქმის ყველას საგიჟეთის საშვები.

ცა ვარსკვლავთა მოდარაჯე თვალებით და ყურებით
ისმენს სიტყვას, ხედავს საქმეს; ჩვენ საით ვიყურებით...
თუ ბოინგს არ ვამჯობინეთ ხარები და ურემი,
იმუქრება ამ ცხოვრების წესი განადგურებით.

ზეცად - მამის სავანეთა ლურჯი იაგუნდები,
ქვეშ - ქვესკნელი, ტარტაროზის ანგელოზთა გუნდები...
ვერ ვმოძრაობ, მადევს ცოდვის უმძიმესი ხუნდები,
მაინც... ჩემს თავს სიკვდილის გზით უკან დავუბრუნდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურამ ბათიაშვილი



## მეათე კაცი

რომანი

### ვის ძალუძს ქარის შეჩერება?

*კართან დევს ცოდვა*
*დაბადება 4,7.*

თბილისის რაბინებს ახალი რაბინი არ სჭიროდათ - აბესალომს თბილისში ჩამოსვლის პირველსავე დღეებში უთხრეს:

- აბა, აქ რა უნდა აკეთო, ის სჯობია, ისევ შენს ჯამაათს დაუბრუნდე, უპატრონოდ ნუ დატოვებ. ეს ერთი. მეორეც - შენ აშქენაზურად* ისწავლე, აშქენაზურად ლოცვა ჩვენს ხალხს არ სჩვევია. ჩვენ-ჩვენი წესი, მინაგი გვაქვს. ჩვენ ხო აშქენაზები არა ვართ!

ულონო იყო - რა ექნა, უკმაყოფილებას გულში იკლავდა და ფიქრობდა, ჩემს დროს უნდა დაველოდო, სხვა რა გზა მაქვსო. ჩვეულებისამებრ დადიოდა ბეით-ქნესეთში, ლოცულობდა, ქალაქს ეცნობოდა. უფროსი ბიჭი - იოსები - უკვე წამოიზარდა, ყმაწვილი კაცი ჯამაათის სრულუფლებიანი წევრი გახდა. თითქმის ნახევარ დღეს მასთან ატარებდა, თორას ასწავლიდა, წინასწარმეტყველთა წიგნებზე ესაუბრებოდა, ებრაელობისათვის მეათე კაცის ფუნქციას ჩააგონებდა, ყოველთვის ეცადე, იჩქარე, მეათე კაცი იყოო.

ხშირად უფიქრია: ხომ არ სჯობდა დაბაში დავრჩენილიყავი, დამიჭერდნენ? იქნებ, არც დავეჭირეთ? ეს ფიქრი განსაკუთრებით მას შემდეგ გაუძლიერდა, როცა ერთმა რაბიმ - დავითმა - საუბრისას უსაყვედურა:

- ჯამაათი ასე უპატრონოდ როგორ დაყარე, ცხოვრება ხომ უნდა იმ ხალხს!

უჭირდა, ძლიერ უჭირდა აბესალომს - უსაქმოდ იყო, თითქოს მიზანიც აღარა ჰქონდა და, ალბათ, ამის გამოც ვერ იგრძნო როგორ შეიცვალა: ოჯახში ხშირად ლაპარაკობდა თბილისის რაბებზე. ხახამ დავით ბაზაზაშვილი ისე დადის, ეტყობა, თავი დიდ წინასწარმეტყველად მიაჩნიაო, ხახამ იოსებზეც არაერთხელ უთქვამს, ეგ ჯამაათს კი არა, საკუთარ ჯიბეს ემსახურება, თუ ფულს არ ელოდება, ისრაელისშვილს შეკითხვაზე პასუხსაც კი არ აძლევსო. თბილისის ჯამაათის წევრები რაბი იოსებს არ უმადლოდნენ. უქონელსა და უპოვარს არც ესაუბრებოდა: არა მცალია, სხვა დროს მნახეო, შესძახებდა. ამიტომ „სხვა დროს მნახე" შეარქვეს. რაბი იონათანიც არაერთხელ გაუმათრახებია აბესალომს: ეგ რანაირი ხახამია, სუფრაზე ნახევარ საათს მაინც ლაპარაკობსო.

ერთი სიტყვით, ყოველ რაბის ისეთი ნაკლი აღმოუჩინა, ისე დასცინოდა, ადამიანს სალოცავში მისვლის ხალისს დაუკარგავდა.

ერთ დღეს ესთერმა უთხრა, ჩვენი პირმშო, იოსები ასე რატომ დასცინის ხახმებსა და ლოცვასაო. იმიტომ რომ სკოლაში, კომსომოლაში სულ მაგას აგონებენო, მიუგო აბესალომმა. ესთერმა კი ეჭვით გაიქნია თავი და თქვა:

- არა ვგონებ, სულ კომსომოლას ამბავი იყოს ეს.

- არ ეკუთვნით აუგად ხსენება?! არ იქნა და არ გაძღნენ! - ბრაზით სთქვა აბესალომმა.

- აბესალომ! - ხმადაბლა, მაგრამ საყვედურით წამოიძახა ესთერმა.

ეს იყო და ეს! ამ თემაზე მეტად აღარ უსაუბრიათ. არც ეცალა ამ საკითხზე სასაუბროდ. თავისი მდგომარეობა, თბილისის რაბების უყურადღებობა, ცხადია, აწუხებდა, მაგრამ სხვა, ათგზის უფრო მნიშვნელოვანი საწუხარი ჰქონდა: ებრაელთა ყოფა.

ძლიერ უჭირდა საქართველოს ებრაელობას. უჭირდა მატერიალურად და სულიერად. მიწუ-

- - - -

დასაწყისი „ცისკარი" № 12, 1998წ.

* აშქენაზები - რუსეთის, ევროპის ებრაელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებშიც კი ცხოვრობდნენ, ცხელი კერძი ენატრებოდათ. ექვსი-შვიდი წლისანი სარჩოს ძიებას იწყებდნენ. დილიდან საღამომდე ქუჩაშუკებში დარბოდნენ, იმას ჰყიდდნენ, რაც ხელთ მოხვდებოდათ. ამიტომ აღარც ღმერთს ეკუთვნოდნენ და აღარც საკუთარ თავს. მხოლოდ ერთი ფიქრი სდევდათ თან: როგორ გამოეკვებათ ოჯახი, აბესალომმა იცოდა, რომ უწიგნურების დედა სიღარიბეა. ღარიბი და უწიგნური კი ყამა ჰაარეცი. სულიერება იკარგებოდა წიგნის ხალხში. დილა-საღამოს ლოცვანს თუ შეისწავლიდნენ, სრულფასოვან ებრაელად მიაჩნდათ თავი და წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმაზე, რომ ებრაელობა იმ სულიერი მემკვიდრეობის დაუფლებასაც ნიშნავდა, რაც მათს წინაპრებს შეექმნათ.

აბესალომი ხშირად ფიქრობდა:

- ხალხის სულიერ სიღარიბეს რაფერ უნდა შეურიგდეს კაცი, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, სულიერი სიღარიბის გამო სხვებს, ყველას სხვანაირად რომ ვენახვებით? - ჩვენს მეზობლებს, ნაცნობებს, ყველას ჰგონია ებრაელობა მხოლოდ აღებ-მიცემობის ხალხია და მეტი არაფერი შეუქმნია ქვეყნად. იმას კი ვერავინ ხედავს, აღებ-მიცემობა ებრაელობის თავშესაფარი როა - თავის გატანის, გაძლების, გადარჩენის საშუალება. რამდენ ხანს შეუძლია ეს ბრძოლა? რამდენს გაუძლებს? თუ გინდა ჩვენს ხალხში ებრაელობა ჩაკლა, მხოლოდ აღებმიცემობას უნდა მიაჯაჭვო, მხოლოდ გადარჩენაზე ფიქრით უნდა აცოცხლო. იქნება გადარჩეს კიდეც, მაგრამ ისინი ხომ ებრაელები აღარ იქნებიან?

აწეწილ-დაწეწილი ცხოვრება მეტის საშუალებას არც აძლევდა ებრაელობას. ლოცვანი კი დაეზეპირებინათ, მაგრამ ბევრმა ისიც კი არ იცოდა, თუ რა ეწერა ლოცვანში, რას კითხულობდნენ. ტექსტი ისე გადადიოდა მათში - მამიდან შვილში, როგორც რძე ბიდონიდან ბიდონში.

ახლა ისეთი დრო დადგა, ლოცვანთა დაზუთხვის საშუალებაც არ ჰქონდათ. თითოოროლაღა თუ ახერხებდა ამას. დილიდან საღამომდე, მტვერში, ტალახში ამოგანგლულნი ქუჩებში დარბოდნენ. არა მხოლოდ თორას, ვერარას სწავლობდნენ. თბილისისა თუ ქუთაისის, ახალციხისა თუ საჩხერის ქუჩები, მოედნები სავსე იყო ებრაელი ბავშვებით, რას არ აკეთებდნენ, რა ღონეს არ მიმართავდნენ, ოღონდ კი ოჯახში ლუკმა-პური შეეტანათ.

სწორედ ეს უკლავდა გულს აბესალომს.

- ეს იმას ნიშნავს, რომ არ იციან რა არის ნამდვილი ბედნიერება. თუ ამათ ახლავე არ ეშველათ, ხვალ უფრო უბედურნი იქნებიან. სულით ღარიბნი, უცოდინარნი. თუ ახლა არ ისწავლეს, ხვალ მათი ებრაელობაც საეჭვო გახდება, შვილები ხომ სულაც აღარ ეყოლებათ ებრაელნი - თავისი გულისტკივილი ხახმებს გაუზიარა, მაგრამ ყური არავინ გაიბარტყუნა. ხახამ იოსებმა ჩაილაპარაკა:

- ისრაელისშვილის პატრონი გამჩენი ღმერთია!

- კი მაგრამ, რატომ უნდა გაიზარდნონ ასე უცოდინარნი, უვიცნი, რისთვის?

ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა.

რა ექნა? თავად დაიწყო ზრუნვა - ვისთან არ მივიდა, ვის არ თხოვა, ეხვეწა, ემუდარა, დაემუქრა კიდეც: მოსკოვში, კრემლში, ამხანაგ სტალინთან გიჩივლებთ, თუ ებრაულ სკოლებს არ აღგვიდგენთ, ებრაელი ბავშვების განათლებაზე ზრუნვის საშუალებას არ მოგვცემთო. ამაო იყო აბესალომის მეცადინეობა - უსმენდნენ, თავსაც უქნევდნენ, რაიმეს მოვიფიქრებთ, საბჭოთა ხელისუფლება ეროვნულ უმცირესობას ზრუნვას არ აკლებსო, მაგრამ...

ქართველ ბოლშევიკ ჩინოვნიკებზე, რასაკვირველია, ბრაზობდა, რასაკვირველია, მათი უკმაყოფილო იყო, მაგრამ თავისი თანამოძმენი, ებრაელები, სწორედ ისინი, ვისაც შვილების ხვალინდელ დღეზე უნდა ეფიქრათ, სულს უშფოთებდნენ: თავს უქნევდნენ, მართალი ხარო, ამბობდნენ, რაღაც უნდა მოვიფიქროთო, ხელს კი არავინ ანძრევდა. თუ რომელიმე მათგანს შეუტევდა, ხელებს გაშლიდნენ და ეუბნებოდნენ: რა ვქნათ, ხომ ხედავ, რა დრო დადგა, ამგვარი მოთხოვნა, ვაითუ, ებრაულ ნაციონალიზმში ჩამოგვართვან, ხიფათს არ გადავეყაროთო, პასუხობდნენ. და თუ აბესალომი აღშფოთებული შესძახებდა, ასე დავთმოთ ჩვენი რჯული, ეროვნება?! მხრებს იჩეჩდნენ და გაცლას ლამობდნენ. აბესალომი გრძნობდა, რომ თანამოძმენი ერიდებოდნენ. მასთან საუბარს გაურბოდნენ.

ვერ იქნა და ვერ მოახერხა - ერთი ებრაელიც ვერ ამოიყენა გვერდით, რომ მარტოკაცს არ ებრძოლა, ქართველ ბოლშევიკ ჩინოვნიკებს ერთი კაცი - აბესალომი კი არ ხლებოდა, ორი-სამი ებრაელი მაინც. ამ ორ-სამ კაცს ებრაელთა დელეგაცია, დეპუტაცია დაერქმეოდა, აბესალომი კი... აბესალომი მარტოკაცი იყო...

ერთ დროს შიმყონის იმედი ჰქონდა. შიმყონს აბრეშუმის ჭიის გამოყვანის ახალი მეთოდი შეუქმნია თურმე. ეს მეთოდი მთელ საქართველოში სტახანოვურად ინერგებოდა. შიმყონიც სტახანოველად გამოაცხადეს, კვირაში ორჯერ მაინც წერდნენ გაზეთებში. „შ. ჯანაშვილის სტახანოვური მეთოდის“ ღირსებაზე. ამის მერე შიმყონმა სახელი იუხერხულა და ლევანი დაირქვა. გალევანებულ შიმყონს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობაში იცნობდნენ და დიდ პატივს სცემდნენ. ერთ დღეს აბესალომი შეხვდა, ესაუბრა. იქნებ, რაიმე სიკეთეს ვწიოთ ჩვენი ხალხი, ხელობა შევასწავლოთ, სახელმწიფო სამსახურში ჩავაყენოთ. განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე გვმართებს ზრუნვა, ბავშვები უწიგნოდ, თორის უცოდინრად იზრდებიანო. გალევანებულმა შიმყონმა აბესალომს უთუო მხარდაჭერა აღუთქვა. ისიც დასძინა: თქვენ, ალბათ, გეცოდინებათ, როგორ პატივს მცემს პარტია და ხელისუფლება, მე ხომ აბრეშუმის ჭიის გამოყვანის ახალი მეთოდი დავნერგე. მე პარტია არაფერზე მეტყვის უარსო.

აბესალომი დაიმედებული დაემშვიდობა შიმყონ-ლევანს. ბედნიერი იყო იმით, რომ იპოვა კაცი, რომელიც საზოგადო საქმისთვის გაირჯებოდა. რაოდენი სიხარულიც დაეუფლა იმ საღამოს, ათასგზის მეტი გულისტკენა იგრძნო მოგვიანებით - რამდენჯერ აცნობა შიმყონ-ლევანს ხვალ ამხანაგ კანდელაკთან უნდა მივიდეთ, ან ზეგ ამხანაგი სევისკვერაძე გველოდებაო, შიმყონი ვერა და ვერ მოიყვანა. გვიან მიხვდა აბესალომი: ეს კაცი საქვეყნო საქმისთვის არავისთან მივიდოდა, არავის დაივალებდა.

დღეები აუჩქარებლად მიიზლაზნებოდა, ებრაელობის ხვალინდელ დღეს კი სასიკეთო პირი არ უჩანდა. აბესალომი თანამოძმეებზე ბრაზობდა, განსჯიდა. და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, გაღიზიანება უფრო და უფრო უძლიერდებოდა. ერთ დღეს ესთერმა უთხრა:

„აბესალომ, მართალი ხარ, ხალხისთვის მეცადინობ, მაგრამ...“ წინადადება არ დაასრულა ესთერმა. აბესალომი მიხვდა და ვერც მიხვდა, რას გულისხმობდა ესთერი, ბოლომდე ვერ გაარკვია ცოლი საყვედურობდა თუ აფრთხილებდა.

რისი თქმა ეწადა ესთერს?

- ხალხისთვის მეცადინობ, მაგრამ მაგ მეცადინობამ ზიანს არ გწიოს?

- ხალხისთვის მეცადინობ, მაგრამ ხალხზე გაბრაზების უფლებას თავს ნუ მისცემ?

- ხალხისთვის მეცადინობ, მაგრამ სჭირდება ჩვენს ხალხს შენი მეცადინობა?

- სჭირდება, ცხადია, სჭირდება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თავად არ იცის რა სჭირდება და რა - არა! - ფიქრობდა აბესალომი, ვაითუ, ესთერის უთქმელ სიტყვებში სწორედ ის იგულისხმება, რაზე ფიქრიც ასე თრგუნავს აბესალომს? „ხალხისთვის მეცადინობ, მაგრამ ხომ გახსოვს ერთ დროს შენმა მეცადინობამ ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა?“ - თუ ასეა, თუ ესთერის მიერ წარმოთქმული სიტყვები ამას გულისხმობდა?

იმ დღიდან კარგა დრო გავიდა. ამ ხნის განმავლობაში აბესალომისთვის არავის უთქვამს ამგვარი რამ, მინიშნებითაც კი არავის მიუნიშნებია, მაგრამ თამარის სიცოცხლის ასეთი დასასრული აწუხებდა, თრგუნავდა. ზოგჯერ აღელვებოდა ფიქრი: „იქნებ, ის სჯობდა გავჩუმებულიყავი, დაენგრიათ ის ბეით-ქნესეთი, რამდენი ასეთი ბეით-ქნესეთი დაუნგრევიათ ებრაელობისათვის, თამარი დღეს ცოცხალი იქნებოდა.“ ზოგჯერ კი ამ აბეზარ ფიქრს სულ სხვა ფიქრი უკუაგდებდა: „ეგრე რომ გარჯილიყვნენ, ეგრე რომ მინებებოდნენ მოძალადეთ, ჩვენი ხალხი დღემდე ვერ მოვიდოდა. ცოტანი იმიტომ ვართ, რომ მტერს ჯიუტად არ ვეპუებოდით, არა, დაღვრილი სისხლის ყოველი წვეთი გვმატებს ძალას, სიცოცხლის უნარს, გვარწმუნებს, რომ ჩვენ ადონაის გზით მივდივართ. სამაგიეროდ, დღეს ჩვენი დაბის ჯამაათი თავის ბეით-ქნესეთში ადიდებს გამჩენს“.

- ჩვენი ხალხის არსებობა ადონაის ხელთ არის, ღმერთი მფარველობს მას, ამიტომ შენ იყუჩე, არავის სჭირდება ეგ ფაფხური! - შესძახებდა ფიქრში ვიღაც.

- და არ დავიცვათ ღვთის სახლი, არ ვიმეცადინოთ ჩვენი რჯულის შენარჩუნებისათვის, ხალხს არ მივცეთ ცოდნა? ვაითუ, ჩვენი გულგრილობის, არხეინობის გამო ღმერთმა საერთოდ გვაქციოს ზურგი. ისრაელის ისტორიის მეფეთა, მსაჯულთა ეპოქებში ღმერთი ხომ მონაწილეობდა ჩვენს ისტორიაში, მერეც რამდენჯერ დაუდასტურებია ჩვენს გვერდით ყოფნა. იმიტომ, რომ მის მცნებებს ვასრულებდით. დღეს?

ასეთი ფიქრები აბესალომს ხშირად დასტრიალებდა თავს და როგორი დასკვნაც არ უნდა გამოეტანა, იმ დღეს მაინც გუნებაწამხდარი იყო.

აბესალომი ვერ მოისვენებდა, ვიდრე ერი ხვალინდელ დღეზე არ იზრუნებდა. დღეს კი, დროის მდინარებას ვნებასმინებებული ქალივით მორჩილებდა, არა-რა საზოგადო საქმის კეთება არ ეწადა. მხოლოდ ლუკმა-პურის შოვნა იყო მისი საზრუნავი.

ერთ მთვარიან საღამოს აივანზე ისხდნენ. მთვარე ისე ანათებდა გარემოს, აბესალომი მის შუქზე კითხულობდა თანახის იმ ნაწილს, რომელშიც ებრაელები მოსეს აუმხედრდნენ, რატომ, რისთვის გამოგვიყვანე ეგვიპტიდან, იქ ქოთანში ლუკმა-პური მაინც გვქონდა, აქ უდაბნოში შიმშილით ვიხოცებით, ეს აღთქმული ქვეყანაც არ ჩანსო.

ესთერმა თქვა:

- კომუნისტები ამბობენ, მშრომელ ხალხზე ვზრუნავთო. ჩვენზე მეტი მშრომელი ვინ არის? ყველაზე დიდ კომუნისტთან - მთავრობის მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაურ ჩაფიძესთან უნდა მიხვიდე. მიდი, გაუმიარე შენი გულისტკივილი. თუ ასე გაგრძელდა, ათ-ოც წელიწადში ებრაელები აღარ ვიქნებით-თქო. არ შეიძლება არ გაგიგონოს. ებრაელობის გადაშენება მაგათ რისთვის უნდა აძლევდეთ ხელს, ტროცკი ხოა მაგათი უფროსი.

აბესალომმა ნარიყალას ციხეს ახედა - ნარიყალა ლამის მის აივანს წამოდგომოდა თავს. მთვარის შუქით გაბრწყინებული ციხე ისე ძლიერი - შეკრულ მუშტს ჰგავდა - ჩანდა, უიმედოს იმედს ჩაუსახავდა, ღონეს შემატებდა. ესთერის ნათქვამი გონივრულ რჩევად მიიჩნია. მყისვე წამოდგა, ცოლს უთხრა, მალე მოვბრუნდებიო და სახლიდან გავიდა. შიმყონლევანი ათიოდ წუთის სავალზე ცხოვრობდა, ქუჩა-შუკები ცქვიტად გაიარა და ქოროღლის ჩიხში მივიდა. შიმყონს მტკიცედ, გადაწყვეტილად უთხრა, ხვალ დილას ორივენი მთავრობის მეთაურთან უნდა მივიდეთ, დახურული სკოლების აღდგენა უნდა ვთხოვოთ, არ იქნება ჩვენი თხოვნა ყურად არ იღოს და ამით ებრაელობის საქმემ წინ არ წაიწიოსო.

- რომელ საათზე მივიდეთ?

- ცხრაზე იქ ვიყოთ, ჩვენი გასაჭირი ავუხსნათ.

- კი, ბატონო, მხოლოდ ცხრაზე არ მცალია, მაგ დროს მთავრობის მეთაურის მოადგილესთან უნდა ვიყო, ათ საათზე შენი მონამორჩილი ვარ.

- თუ მოადგილესთან უნდა იყო, იქნებ ჯერ მაგასთან...

- არა, არა! მაგ საკითხს მთავრობის მეთაურის მეტი ვერავინ გადაწყვეტს. თქვენ მიბრძანდით, მდივანი გააფრთხილეთ, ათისთვის მეც გეახლებით.

შიმყონმა ცოლს ჩაის სუფრა გააშლევინა, აბესალომს კარგა ხანს ესაუბრა, თუ როგორ პატივს სცემს ხელისუფლება, რაოდენ უყვართ პარტიის ხელმძღვანელებს. აბესალომი დაიმედებული წამოვიდა შიმყონის სახლიდან.

მეორე დილას, ლოცვის შემდეგ, აბესალომი სასტუმროდ გამოეწყო და მთავრობის მეთაურთან წავიდა. ჯერ კიდევ ის დრო იდგა, როცა მთავრობის წევრებს, მეთაურსაც, კაბინეტების კარი ღია ჰქონდათ და ყოველ მომსვლელს ღიმილით ეგებებოდნენ.

შიმყონი ათ საათზე არ მოვიდა.

თერთმეტზეც რომ არ გამოჩნდა და მდივანმაც მეორედ იხმო აბესალომი, მთავრობის მეთაური თავისუფალია და შებრძანდითო, მარტოკამ შეაღო კაბინეტის კარი.

ამხანაგი ჩაფიძე აბესალომს ფეხზე წამოუდგა. სახეგაბრწყინებულმა თხოვა: მობრძანდით, დაბრძანდით, ებრაელები ჩვენი მეგობრები არიან და დიდ პატივსაც ვცემთო. მერე ისევ მაგიდას მიუჯდა და ჰკითხა, რისთვის შეწუხებულხართო.

და თქვა აბესალომმა:

- ჩვენ, ებრაელები ღმერთმა იმისთვის ამოგვირჩია, რომ...

- როგორ, თქვენ არ იცით, რომ ღმერთი არ არსებობს? - ღიმილით შეაწყვეტინა მთავრობის მეთაურმა.

აბესალომი ჩაფიქრდა. იმაზე ფიქრობდა, თუ რა უნდა მიეგო ამ მყრალი აზრისათვის. „არა, ამგვარი რამ არ გამიგია?“ არა, ეს არ იქნება საკადრისი პასუხი. „ცდებით, ბატონო მეთაურო, ღმერთი არსებობს!“ არც ეს. ამიტომ მშვიდად თქვა:

- მე ვილოცებ იმისთვის, რომ ღმერთმა გაპატიოთ ეს სიტყვები.

მთავრობის მეთაურს სახე მოეღრუბლა. აბესალომს თვალი თვალში გაუყარა და თქვა:

- ნუ შეწუხდებით. ჩვენ ღმერთს არაფერს ვთხოვთ, ჩვენ თვითონ შევქმნით ახალ ცხოვრებას. ეს ერთი. მეორე: მშრომელი ებრაელობა თქვენსავით არ ფიქრობს. მშრომელ ებრაელობას მიაჩნია, რომ...

- ყოველი ებრაელი მშრომელია, ბატონო მეთაურო. ებრაელი კი არა, ყოველი ადამიანი მშრომელია.

მთავრობის მეთაურს გაეცინა და აბესალომს დაწვრილებით აუხსნა არამშრომელი, მამაძაღლი ადამიანები როგორ ყვლეფდნენ მშრომელ ხალხს, როგორ უნდა იბრძოლოს ბოლშევიკურმა პარტიამ მათი, იმ მამაძაღლი ადამიანების დასათრგუნავად. აბესალომი უხმოდ იჯდა. ფიქრობდა, ეთქვა თუ არა ის, რისთვისაც მოვიდა, ჰქონდა თუ არა რაიმე აზრი იმის გამხელას, რაც ასე აწუხებდა, რასაც ხელისუფლებისაგან მოითხოვდა. სწორედ ამ დროს თქვა მთავრობის მეთაურმა:

- მერე? გისმენთ. რა სწადიათ ებრაელებს?

თქმა არჩია აბესალომმა და თქვა:

- ჩვენ, ებრაელობა, ღმერთმა იმისთვის გამოგვარჩია, რომ მისი მცნებებით გავაბრწყინოთ ქვეყნიერება. სწორედ ეს არის სამყაროს სრულქმნის გზა. მცნებათა ასრულება კი მცნებათა მსწავლელს შეუძლია. ჩვენი ახალგაზრდები ვერ სწავლობენ, თუ რამ ებრაული სკოლები იყო, დაგვიხურეს. ამით დაგვიგმანეს მცნებათა შესწავლის - სამყაროს სრულქმნის გზა. თქვენ, ბოლშევიკები აცხადებთ, რომ ყოველ ერს აძლევთ თვითგამორკვევის საშუალებას. ჩვენი თვითგამორკვევა და ავტონომია ის იქნება, კვლავ მოგვცეთ ღვთის მცნებათა შესწავლის, ღვთისმსახურების უფლება, გავვიხსნათ ებრაული სკოლები, სასწავლებლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა


სინაგოგები...

ბეწვაბურძგნილ კატასავით თვალებმოწკურულმა მთავრობის მეთაურმა აბესალომს სიტყვა პირიდან გამოსტაცა.

– ესე იგი, თქვენ არ მოგწონთ სკოლები, რომლებიც ჩვენ გავხსენით, რომლებშიც – შეჩერდა, აბესალომს დაჟინებით მიაცქერდა და ხაზგასმით თქვა – რომლებშიც ახალგაზრდობა კომუნისტურ იდეალებს ეწაფება? – გულში კი გაიელო – „ეს ის ჩიტი არ ჩანს, ასე იოლად რომ დაფრთხება. ამას სხვა რამ უნდა მოვუხერხო".

აბესალომს სახეზე თბილი ღიმილი მოედო:

– თქვენ ვერ გამიგეთ, ბატონო მეთაურო. მე ებრაული სკოლების აღდგენას გთხოვთ. ამ სკოლებში ებრაული ენა, ისტორია, ლიტერატურა უნდა ვასწავლოთ. ჩვენი შვილები ებრაელებად უნდა აღვზარდოთ. თუ ეს დღეს არ გავაკეთეთ...

„კონტრაა, ნამდვილი კონტრა, სად იყო, აქამდე როგორ მოვიდა!" – გაიფიქრა მეთაურმა, და ხმადაბლა, მშვიდად თქვა:

– არა, ამხანაგო, ნუ გეწყინებათ და მაგის უფლებას ვერ მოგცემთ, – გაიღიმა კიდეც. – მე არც გირჩევთ, რად გინდათ! ებრაელებად კი არ უნდა გაზარდოთ თქვენი შვილები, საბჭოელებად, საბჭოთა მოქალაქეებად. რა დროს ებრაელობაა, რა დროს ქართველობაა! თქვენ ნიჭიერი ხალხი ხართ და მიხვდებით, რომ მსოფლიოს პროლეტარიატი ერთიანობისკენ მიდის. მე ძალიან მიყვარხართ თქვენ, ებრაელები, მაგრამ ხომ უნდა გამიგოთ – ამის უფლება რომ მოგცეთ, როგორ ჩავხედო თვალებში ამხანაგ ტროცკის, ამხანაგ ზინოვიევს – ისინი ურყევი ინტერნაციონალისტები არიან.

აბესალომი უხმოდ იჯდა. სულაც არ გაუჭირდა იმის მიხვედრა, რომ მეთაური ატყუებდა. სიბრაზე დაიოკა, პირზე ღიმილიც კი მოიდო და უფრო ხმადაბლა, განდობილი კაცის ინტონაციით უთხრა:

– რა გონიერი კაცი ბრძანდებით. მე მესმის თქვენი, მაგრამ... მაგრამ ღირდა რევოლუცია იმად, რომ აღარ იყოს ქართველობა, აღარ იყოს ებრაელობა, მე სასულიერო პირი ვარ და ამდენი არ მესმის, მაგრამ... ჰა, რას იტყვით, რად გვინდა რევოლუცია, თუ ქართველი არ იქნება, ან ებრაელი, ან სომეხი... ხომ არ ვცდები? რასაკვირველია, შინაურულად გეკითხებით, ერთი კუთხიდან ვართ და...

– ეს რა მამაძაღლი ვინმე ყოფილა! – გაიფიქრა თავმჯდომარემ. აბესალომს კი უთხრა, – იქნება, ეს შეკითხვა ტროცკისთვის დაგესვათ, ან ზინოვიევისთვის? ისინი ძალიან ძლიერი თეორეტიკოსები არიან და უკეთ გიპასუხებენ.

აბესალომი ფეხზე წამოდგა:

– კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო მეთაურო. არასოდეს დამავიწყდება თქვენთან შეხვედრა.

– მეც – უთხრა მთავრობის მეთაურმა და აბესალომს ხელი გაუწოდა.

აბესალომმა ხელი ჩამოართვა და ის იყო უნდა გასულიყო, რომ:

– ერთი წუთით! – კართან დაეწია აბესალომს ჩაფიძის ხმა. აბესალომი მიბრუნდა. – თუ შეიძლება, ცოტა ხანს მოსაცდელში დამელოდეთ.

– კი, ბატონო, – თქვა აბესალომმა და მოსაცდელში გავიდა.

თმადატკეპნილი, ჭაღარაშერეული, ენერგიული მდივანი ქალი, ჩაფიძის ოთახიდან გამოვიდა, აბესალომს თავს დაადგა და დაჟინებით დააცქერდა. დუმილი რომ გაუგრძელდა, აბესალომმა ჰკითხა:

– მოხდა რამე?

მდივან ქალს არც ამჯერად უთქვამს რაიმე. კიტელზე ხელი ჩამოისვა, თმა შეისწორა:

– აქეთ მობრძანდით, მომყევით.

ხაკისფერკიტელიანმა, თმადატკეპნილმა მდივანმა ქალმა აბესალომი პატარა ოთახში შეიყვანა. აქ დაბრძანდითო, უთხრა და კარი გაიხურა. აბესალომს ისიც კი მოეჩვენა, რომ ქალმა კარი ჩაკეტა. არ წამომდგარა, არ შეუმოწმებია. უფანჯრო ოთახში მიმოიხედა. პატარა მაგიდა და სავარძელი კუთხეში მიედგათ. ლენინისა და სტალინის პორტრეტები სწორედ მაგიდისა და სავარძლის თავზე ეკიდა.

– რას უნდა ნიშნავდეს ეს, რატომ დამტოვა? დიდი ფიქრი არ სჭირდება იმას, რომ ამათგან სიკეთე არ იქნება. აბა, რა უნდა? – ფიქრობდა აბესალომი. გული კარგს არაფერს უთქვამდა, მაგრამ... – არა, ამათგან ყოველთვის ცუდს უნდა ელოდე, ამიტომ, არ უნდა მოვსულიყავი. ხომ ვიცოდი, რომ ესენი არარა სიკეთეს არ გაიმეტებენ, მაგრამ საქმე? ჩვენი მომავალი? სხვა რა გზა გვაქვს?

დავითის ფსალმუნთა წიგნი მუდამ ჯიბეში ედო. ამოიღო, კითხვას შეუდგა. კარგა ხანს კითხულობდა.

მდივანმა ქალმა კარი რომ შემოაღო, რული მორეოდა:

– მობრძანდით.

აბესალომმა ღმერთს შეწევნა თხოვა და ქალს გაჰყვა. თავმჯდომარის მისაღებში გული სიხარულით აუფრიალდა – შიმყონი აქ იჯდა.

– მოხვედი? დაგაგვიანდა? – ჰკითხა.

შიმყონი ერთობ დაბნეული ჩანდა – აბესალომს უაზროდ მისჩერებოდა.

– მობრძანდით, რას ელოდებით! – საყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღურნარევი კილოთი შესძახა მდივანმა ქალმა და მთავრობის მეთაურის კაბინეტის კარი შეაღო.

ჩაფიძე კვლავ ფეხზე წამოდგა. შიმყონს ხელი ჩამოართვა.

- როგორ ხართ, ამხანაგო ლევან?

შიმყონმა პირმოთნე ღიმილით თქვა:

- დიდად გმადლობთ, ამხანაგო მთავრობის მეთაურო. პარტიის ზრუნვითა და შემწეობით ყველაფერი რიგზეა. ვეწევით აქტიურ მუშაობას, რომ კიდევ უფრო გავზარდოთ აბრეშუმის ჭიის წარმოება, ხოლო რაც შეეხება საკითხს, რომელიც თქვენ ამას წინათ დასვით აქტივის კრებაზე...

- ახლა აბრეშუმის ჭიას დავანებოთ თავი. მე უფრო სერიოზულ საკითხთან დაკავშირებით მოგიწვიეთ. აი, მოვიდა აქ ამხანაგი სასულიერო პირი - ჩაფიძე აბესალომს მიუბრუნდა. აბესალომმა მშვიდად დაუკრა თავი, - და ებრაული სკოლების გახსნა მოითხოვა. ხომ იცნობთ ამხანაგ სასულიერო პირს?

- არა, არა! - წამოიძახა შიმყონმა. - თუმცა, კი, შორი-ახლო, ძალიან შორი-ახლო, რომელიც არ შეიძლება საბჭოთა მოქალაქეების სერიოზულ ნაცნობობად ჩაითვალოს.

აბესალომმა თავი ასწია. შიმყონს ყურადღებით მიაცქერდა.

- ამხანაგო ლევან, იცნობთ, თუ არ იცნობთ ამ კაცს? - ჩაფიძის ხმაში საყვედური იგრძნობოდა.

- არა, რასაკვირველია, არა! - თქვა შიმყონმა და ოფლი ხელისგულით მოიწმინდა სახიდან.

„იკურთხოს გამჩენო სახელი შენი!" - გულში გაივლო აბესალომმა.

- კარგით, ამას არა აქვს მნიშვნელობა. რას იტყვით, როგორია მშრომელ ებრაელთა პოზიცია ებრაულ სკოლასთან დაკავშირებით? ჩვენ სწორედ მშრომელთა მოთხოვნილებებს ვაქცევთ მთავარ ყურადღებას.

- მშრომელი ებრაელობა ერთხმად უჭერს მხარს ბოლშევიკურ ხელისუფლებას, - წამოიძახა შიმყონმა.

- ებრაულ სკოლას?

- სკოლა ძალიან კარგია, ამხანაგო მეთაურო, ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს კომუნისტური იდეალების საფუძვლებს. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ახალი მრწამსის...

- ამხანაგო ლევან, ლაპარაკია ებრაულ სკოლაზე, სადაც შეისწავლიან ებრაულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, - ხაზგასმით, აუჩქარებლად თქვა მეთაურმა და აბესალომს მიუბრუნდა, - ხომ ასეა?

აბესალომმა თავი დაუკრა.

- რას იტყვით, როგორია მშრომელი ებრაელობის პოზიცია?

- ჰოო... ეს... აბა, რა გითხრათ... სკოლა... - შიმყონმა ოფლი კვლავ ხელისგულით მოიწმინდა.

- ამხანაგო ლევან, პოზიცია გასაგებად გამოკვეთეთ! - კვლავ ხაზგასმით, მრავალმნიშვნელოვნად თქვა ჩაფიძემ.

- აბა, რა ვიცი, ვერაფერს გეტყვით... მე აბრეშუმის ჭია, კი ბატონო, აბრეშუმის ჭია ვიცი... მაგრამ...

- აბრეშუმის ჭია სხვებსაც გამოჰყავთ, ხვალ შეიძლება ისინი გახდნენ სტახანოველები.

- რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ! - ფეხზე წამოიჭრა შიმყონი. - დღეს მთავარია ახალგაზრდობის კომუნისტური იდეალებით აღზრდა... ჩვენ ხომ ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას ვაშენებთ... ვიღას ჭირდება დღეს ებრაული წიგნების სიბრძნე... ჩვენ გვაქვს კომუნისტური მორალი, - შიმყონმა სახეზე ჩამოღვენილი ოფლი კვლავ ხელისგულით მოიწმინდა და სული მოითქვა.

- ესე იგი... ვერ გავიგე. გინდათ, თუ არ გინდათ თქვენ ეს ებრაული სკოლა, - მშვიდად იკითხა ჩაფიძემ, როცა ყველაფერი კარგად გაიგო.

შიმყონმა უმალ აუღო ალღო ჩაფიძის მშვიდ ინტონაციას. დაჯდა და თქვა:

- არა, რასაკვირველია, არა, ამხანაგო თავმჯდომარევ. მე რომ მჯეროდეს, ებრაული განათლება კომუნიზმის მშენებლობაში გამოგვადგება, მხარს დავუჭერდი, მაგრამ... მაგრამ არის ერთი გარემოება - მშრომელ ებრაელობას არაფრად სჭირდება ამგვარი სკოლები.

მთავრობის მეთაური აბესალომს მიუბრუნდა. ყურადღებით მიაჩერდა.

- გისმენთ, - მშრალად თქვა აბესალომმა.

- არა, მე გისმენთ თქვენ. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით? - აბესალომი უხმოდ იჯდა. მის მზერაში ირონია იკითხებოდა. - თქვენ არ მიგაჩნიათ, რომ ებრაელობამ უნდა იამაყოს ისეთი შვილებით, როგორიც ურყევი კომუნისტი ამხანაგი ლევან ჯანაშვილია?

აბესალომმა გაიღიმა და თქვა:

- თუ კომუნისტობაზე მიდგება საქმე, მაგაზე უკეთესიც მოიძებნება, მაგრამ ეს არ არის მთავარი - ჩვენ უარესიც გვყოლია.

ჩაფიძემ თავი დახარა, თითქოს მაგიდის ქვეშ რაიმეს დაეძებდა. ამით აბესალომის სიტყვებს წაუყრუა, თითქოს არც არაფერი თქმულა.

- თქვენ ალბათ, დარწმუნდით, რომ არავითარი ებრაული სკოლა საჭირო არ არის.

- კიდევ უფრო ძლიერ დავრწმუნდი, რომ აუცილებელია, აუცილებელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- წაბრძანდით შინ, ბატონო ჩემო, - ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა ჩაფიძემ. - თუ თქვენ ასე გინდათ, ილოცეთ, წარმავალი კლასი სხვაგვარად ვერ მოიქცევა. - ამათ თავი დაანებეთ, თქვენ ესენი არაფრად გამოგადგებათ.

აბესალომი წამოდგა, კარისაკენ გაემართა, გამოაღო და მოტრიალდა:

- როცა ადამიანმა ღვთის სახე დაკარგა, ღმერთმა აღარ ინება ადამიანთა არსებობის გაგრძელება და უნდა გახსოვდეთ, რა წარღვნაც მოუვლინა ქვეყნიერებას. ელოდეთ წარღვნას, ბატონო თავმჯდომარევ. - შეტრიალდა და გავიდა.

კიბე უილაჯოდ, ღონეწართმეულმა ჩაიარა. ბოლო საფეხურიც რომ ჩაათავა და ტრამვაის გაჩერებისაკენ გაემართა, შიმყონი წამოეწია, გზა მოუჭრა:

- რას იტყვი, აბესალომ ბატონო, ხომ სწორად მოვიქეცი, სიმართლე რომ არ ვუთხარი? - შიმყონი იღიმებოდა. სახეზე პირმოთნე ღიმილი დასთამაშებდა.

აბესალომი გააოგნა შიმყონის ყეყეჩურმა ღიმილმა და სიტყვებმა.

- მე მაგას ჩემს აზრს გავაგებინებდი? - დასძინა შიმყონმა.

აბესალომმა ნელა, აუჩქარებლად ასწია ხელი. შიმყონის ყური ორ თითში მოიქცია და მოჰქაჩა. შიმყონმა შეჰყვირა. აბესალომმა ხელი ჩაუშვა და აჩქარებული ნაბიჯით გაეცალა.

ტრამვაიში რომ ავიდა, ფანჯრის მიღმა შიმყონი დაინახა - ტროტუარზე თავჩაქინდრული იჯდა, მოზრდილი ჩანთა ფეხებს შუა ჩაედგა. აბესალომს გულისცემა აუჩქარდა. თითებზე, რომლებშიც ორიოდე წუთის წინ შიმყონის ყური მოეგდო, სიმხურვალე იგრძნო. სხეულშიც.

სავარძელი, რომელშიც იოხანან ბენ ზაქაია იჯდა, ოქროსფერი ხავერდით იყო მოფენილი. საკნის სივრცეში მღვარი სავარძელი იერუსალიმურ სქელ ნისლში გახვეულიყო. აბესალომი პირაღმა იწვა. თავი ბალიშში ჩაერგო. ცხადად ხედავდა საკნის სივრცეში სავარძელში მჯდარ იოხანან ბენ ზაქაიას. ნისლი მდუმარედ ირხეოდა, დროდადრო იფანტებოდა და აბესალომი უფრო ცხადად ხედავდა სავარძელში მჯდარ იოხანან ბენ ზაქაიას. უზარმაზარი, ოქროსფერად მოვარაყებული თორა გადაეშალა და აუჩქარებლად კითხულობდა. აბესალომს ფეხზე წამოდგომა ეწადა - არ შეეძლო ნარზე მწოლს ეცქირა დიდი მოძღვრისათვის.

ერთი კითხვა ეკერა პირზე, ერთი კითხვა უტრიალებდა თავში:

- მითხარი, მოძღვარო, ის მაინც მითხარი - ღვთის მსჯავრია ეს ყველაფერი, თუ კაცისა, ღვთისა, თუ კაცისა?

ადგომა ეწადა, მაგრამ ვერ დგებოდა, ისე, როგორც თქმა ეწადა და ვერ ამბობდა. იოხანან ბენ ზაქაიამ, თითქოს აბესალომის გულისთქმას მიხვდაო, თორა დახურა, აბესალომს გადმოხედა, დააკვირდა და თქვა:

- ეძებე და კიდევ იპოვი!

იოხანან ბენ ზაქაიამ კვლავ თორა გადაშალა. კითხვა განაგრძო.

მალე იგი სქელ, იერუსალიმურ ნისლში გაეხვია.

## ჩვენ ტყეში ვართ

ბაღს ფანჯრიდან გასცქეროდა. საღამოვდებოდა. უამრიდ მობორიალე თოვლის ფანტელები ზანტად ეცემოდა შიშველი ხეებს.

მეზობელი ოთახიდან გოგონების კისკისი ისმოდა. დროდადრო ბიჭები სიმღერას წამოიწყებდნენ. უნდილად მღეროდნენ - დაწყებას ახერხებდნენ, დამთავრებას - ვერა. მათი ხმა მიმქრალი მუგუზალივით ინავლებოდა. უკვე ორ საათზე მეტი იყო სუფრას უსხდნენ და ხმაში, შეძახილებში სიმთვრალეც ეტყობოდათ. კინკლაობაც წამოიწყეს. დათოს თეფშების მსხვრევის ხმა, გინება მოესმა. მერე ქალებმა შეჰკივლეს. ხმაური მალე მიწყდა. ვიღაც მგზნებარედ ალაპარაკდა.

- ალბათ, სადღეგრძელოს ამბობს, - გაიფიქრა დათომ. - ახლა წასვლას აზრი არა აქვს, ადრეა ჯერ, მაგრამ სად არის თბილისი, სად ვარ მე, საით უნდა ვიარო? გზაზე გასვლაც არ შეიძლება, თუ დამედევნენ, მიპოვნიან... ტყე-ტყე სიარული? მე ტყე არ ვიცი, ტყეს ცოდნა უნდა... მთავარია, ქვემოთ დავეშვა... სადაც უნდა ვიყო, ქვემოთ უნდა დავეშვა... ალბათ, მალე ამ გოგოებთან დაწვებიან... მერე დაიძინებენ... ამათი დაძინებიდან გათენებამდე ჩემი დროა... რვა, ცხრა, იქნებ, ათი საათიც... ამ ხნის განმავლობაში თავს უნდა ვუშველო... ეს საკმარისი დროა, თუ ვინმემ არ მომძებნა, უნდა მოვასწრო სამშვიდობოს გასვლა... მაგრამ სად არის ეს სამშვიდობო? ქვემოთ... სულ ქვემოთ უნდა ვიარო... იქნებ, პირიქით, ის სჯობდეს, ზემოთ ავიდე? იქ ვინმეს დავუკაკუნო, შველა ვთხოვო? მაგრამ არის კი ზემოთ რაიმე სოფელი? თუ არის, ხუთი-ექვსი მოსახლე იქნება სულ, ყოველ ოჯახს დაივლიან, არა, არ ივარგებს. ამათ ეს კუთხე კარგად იციან, მე - არა, არ ივარგებს... ისევ ქვემოთ... ქვემოთ უნდა ვიარო და ტყე-ტყე... თუმცა, თუ დაიძინეს, გზით სიარული ჯობია, უფრო ჩქარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი... ესენი ცხრა-ათ საათამდე ვერ გაიღვიძებენ.

კარი გაიღო.

– შემოდი ჩვენთან! – თქვა ბუშლატიანმა.

დათო ოთახში შევიდა.

– დაჯექი! – ბუშლატიანმა დათოს ჭიქა დაუდგა, – დალიე, ოღონდ მერე ქალი არ მოგვთხოვო.

გოგონებმა გადაიკისკისეს. ჩალისფერთმიანმა დათო შეათვალიერა, გაიღიმა და თქვა:

– Это интересно! – პირველსავე ფრაზაზე შეეტყო რუსული არ იცოდა.

– სოფლელია, ნამდვილი სოფლელი, ესე იგი, ესენიც ახლო-მახლო სოფლელები არიან, – გაიფიქრა დათომ და ღვინით სავსე ჭიქა დაცალა. – ამაღამ ეს საჭიროა, ამაღამ ღვინო გამომადგება.

– ერთი გოგო მაინც ზედმეტი გვყავს, – ღიმილით თქვა გიგიმ. – რომელი უნდა დაიჩაგროს უკაცობით?!

– ჰო, – ბუშლატიანმა გოგოებს თვალი მოავლო. – ჰო, ერთი ზედმეტია. ჩვენ ოთხნი ვართ – დათოს მოუბრუნდა – რომელს ინებებ?

დათომ პასუხი არ გასცა.

– ჰა? რომელი გინდა? დარდი ნუ გაქვს, ამაში ფულს არ მოგთხოვთ, ეგ ერთი გოგო ფეშქაში იქნება, იმ ორმოცდაათ ათასში შედის.

გოგოებმა ისევ გადაიკისკისეს.

– მე გითხარით, ფული არა მაქვს.

ბუშლატიანმა მაგიდას ხელი დაჰკრა და დაიღრიალა:

– მაინც შენსას ახურებ?

დათოს ბუშლატიანისკენ არც გაუხედია, ჭიქა ღვინით შეავსო, დალია, ხაჭაპური პირში ჩაიდო და თქვა:

– მე მაგ ყვირილით ფული გამიჩნდება?

ბუშლატიანმა ფრაზაც არ დაამთავრებინა, ხელი ძლიერ მოუქნია, რომ სახეში მოერტყა. დათომ თავი გადასწია, ბუშლატიანის დარტყმა აიცდინა. ჩალისფერთმიანმა შეჰკივლა:

– ნუგო!

– მე მაგით ფული გამიჩნდება? – ირონიული ღიმილით გაიმეორა დათომ.

ჩალისფერთმიანი დათოს მოუახლოვდა. მუხლი მუხლზე მიადო და ალერსიანი ხმით უთხრა:

– იშოვე, რა ფული, თავს ხო არ მოაკვლევინებ? – ქალმა დათოს თმაზე გადაუსვა ხელი. – მერე ბუშლატიანს მიუბრუნდა, – ნუგო, აცალე, რა, დილამდე აცალე, მოიფიქროს.

– დილამდე არა! ერთი საათი, ერთი საათი მომიცია, ერთ საათში ისე დაგაუთოო, კაცად აღარ ვარგოდე, – ახლა იქ გადი და კარგად მოიფიქრე ყველაფერი!

– ხო რა, მოიფიქრე რა, ბიჭები ცოდვა არ არიან? ამათაც ხომ უნდათ ცხოვრება!

– გადი! – ბუშლატიანმა დათოს მხარზე გაჰკრა ხელი. – მიდი და იფიქრე როგორ გადარჩე.

დათო წამოდგა. მან უკვე იცოდა, რომ დაყოვნება არ იქნებოდა. ჭიქა ღვინით შეავსო, ჩვენ შეხვედრას გაუმარჯოსო, უთხრა ჩალისფერთმიანს და დალია.

ოთახიდან რომ გამოვიდა, კარს რომ ხურავდა, ბუშლატიანის ხმა მოესმა:

– „ფირმამ" გვაჭამა? „ფირმას" დედას ვუტირებ, „ფირმას" დავაუთავებ!

დათო გახევდა.

* * *

გზა დაღმა მიდიოდა. თოვდა. არ ციოდა. დათო ჩქარობდა და გაოფლიანდა კიდეც.

ცოტა ხნის შემდეგ იგრძნო, რომ ოფლი პერანგსაც მოედო.

ცხადი იყო, გზაზე მანქანას გაევლო, მანქანებსაც, ეს სიარულს უადვილებდა.

– რამდენი ხანია გამოვედი? ორმოცი წუთი? ჯერ არ მომძებნიან, შესაძლოა, ერთი საათის მერეც არ მომძებნონ. ეს იმას ნიშნავს, რომ მე ნახევარ საათს კიდევ შემიძლია გზაზე ვიარო. სადა ვარ? რომ ვიცოდე, სადა ვარ, უფრო გამიადვილდებოდა – ქვაზე ფეხი დაუცდა, ლამის წაიქცა, თავი შეიკავა, წელში გაიმართა, ცას ახედა, თუმცა, სად იყო ცა – ამ წკვარამ სიბნელეში არაფერი ჩანდა. თოვასაც იმით გრძნობდა, რომ ფანტელები სახეზე ეცემოდა.

– თუ დაიძინეს, დილამდე შემიძლია თავისუფლად ვიარო. თუ არა?.. მალე უნდა მომძებნონ. იქნებ, ნახევარ საათშიც. თუ ერთ საათშიც არ მომიძიეს, ეს იმას ნიშნავს, დაწვნენ... დაიძინეს... არა... უჩემოდ არ დაიძინებენ. ის ნუგო არ დაიძინებს... ნუგო, ესე იგი, ნუგზარი ჰქვია... ნუგზარი... ნუგო... გოგოებთან იმ საქმეს რომ მოითავებენ, უსათუოდ დამიწყებენ ძებნას, თუნდაც იმიტომ, რომ გოგოებთან ხელახლა მისვლამდე დრო მოკლან. რაიმეთი ხომ უნდა გაერთონ... დამედევნებიან. ერთ საათში შეიძლება წამომეწიონ კიდეც... თუ მიპოვეს, მორჩა... ოთხივე ერთად არ იქნება, დაიშლებიან, ცალ-ცალკე დამიწყებენ ძებნას... ცალ-ცალკე... მაგრამ იმათ ხომ იარაღი აქვთ... თუნდაც კეტი უნდა დავიჭირო ხელში...

ტყის პირს გადავიდა, ხეთა შორის გაიარა, ისევ დაუცდა ფეხი ყინულზე, ხეს მიეხალა, ტოტებზე ზანტად გაწოლილი თოვლი მხრებზე ჩამოაცვივდა. მიდამო მოათვალიერა, ისეთი ვერაფერი დაინახა, ხელში დაეჭირა – ყველაფერი თოვლქვეშ მოქცეულიყო, თოვლს დაეფარა ყველაფერი, რომელიღაც ხეს ტოტი ჩამოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეხა და ისევ გზას მიაშურა - იცოდა, ახლა უნდა მოეგო დრო, ახლა უნდა ეარა ჩქარა. ტყე-ტყე გზას კი მოჭრიდა, მაგრამ ტყე-ტყე სიარულით შესაძლოა, ორმოში ჩავარდნილიყო. ან... არა, ტყე-ტყე სიარული საშიში იყო.

გზაზე გავიდა, ისევ მხნედ განაგრძო სიარული, იმდენად მხნედ, დაუბრკოლებლად, რამდენადაც ამის საშუალებას გზა აძლევდა.

მალე თოვა შეწყდა, მთვარეს ღრუბლები შემოეცალნენ და სითეთრეში გარინდული ტყე, გზა გამოჩნდა. დათომ კარგად დაინახა, თუ როგორ მიიკლაკნებოდა გზა ქვევით. ხელმარჯვნივ დიდი ეზო იყო, ეზოში ქოხი იდგა, მეორე ქოხიც შენიშნა, რამდენიმე დათოვლილი, თოვლში ჩაფლული მდუმარე ქოხი და დათო მიხვდა, სადაც იმყოფებოდა:

- ეს ხომ რესტორანია! - არაერთგზის ყოფილა ამ რესტორანში. ახლა გზა ერთხანს არსაით არ გაუხვევს, პირდაპირ მიდის, მერე კი მარცხნივ მოუხვევს, თუმცა... თუმცა, აქ შეიძლება კიდეც გზის მოჭრა, აი, მარცხნივ ტყეში შესვლა და ქვევით, დაღმა მიდის გზა... აქ არარა ხევი არ უნდა იყოს...

დათო გზიდან გადავიდა, ფერდობზე მოფენილ მეჩხერ ტყეში იოლად გაიკვლია გზა. მარცხენა ფეხი თხრილში კი ჩაუვარდა, მაგრამ თავი იოლად დააღწია, - ამოვიდა, თოვლი დაიფერთხა და გზა განაგრძო. ათიოდ წუთში ისევ გზაზე გავიდა. კმაყოფილი იყო, ნახევარი საათის გზა მაინც მოჭრა. აქ თოვლი არც ისე დიდი იყო. მანქანის მოტორის ხმა მოესმა. მანქანა ფრთხილად ეშვებოდა დაღმართში. მოიხედა. მანქანის ფარები მიდამოს ანათებდა. ორიოდ წამი და შუქი მასაც მოსწვდებოდა. ტყისკენ გაქანდა. ვიდრე ტყეში შეაღწევდა, შუქის არეში მოხვდა.

- დამინახეს, - გაიფიქრა და ავტომატის ჯერიც გაისმა. თოვლში ჩაწვა, მანქანის ძრავა აღრიალდა. მანქანა საშინელი სისწრაფით მოდიოდა მისკენ. დათო ტყისკენ გახოხდა.

- მომწვდება და მომკლავს, მომკლავს, - შიში, ფიქრი ლოცვად ისე გადაექცა, თავადაც ვერ გაეცნობიერებინა. - ღმერთო, მომეშველე, ღმერთო, დამიხსენ განსაცდელისაგან, დამიხსენ ფათერაკისაგან...

მანქანის ძრავა დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა, სულ რაღაც რამდენიმე მეტრიც და...

დათო მიხოხავს, მიხოხავს, იცის, რომ ბუშლატიანი სადაცაა თავს წაადგება. წაადგება და თავსაც გაუჩეჩქავს, მაგრამ...

გარემო ძლიერი დაჯახების ხმამ გააყრუა. ძრავის ღრიალიც შეწყდა. დათო შეჩერდა, მიბრუნდა, დაღმართში მოცურებული და ხეს დაჯახებული მანქანა ორთქლმავალივით ბოლავდა. ხიდან თოვლი კვლავ ცვიოდა. ხის ტოტებზე მოკალათებულ თოვლს თითქოს ღრმა ძილი დაუფრთხესო, ზანტად ეფინებოდა მანქანას.

- არ ისვრის. ეს რას ნიშნავს? არც ყვირის... არა, იქნებ, ცოცხალია. უგონოდ არი? - ფიქრობდა და ვერ გადაეწყვიტა მანქანასთან მისვლა. უნდოდა, მაგრამ ფრთხილობდა: ვაითუ!.. მაინც გახოხდა მანქანისკენ. ორიოდე მეტრზე გახოხდა, შეჩერდა. მიაყურადა.

- არა, კარგად რომ იყოს, რაღაცას იზამდა, - წამოდგა. ხუთიოდე ნაბიჯიც კი არ გადაედგა მანქანისაკენ, რომ ზემოდან კვლავ ძრავის ხმა მოესმა - მეორე მანქანა ფრთხილად ჩამოდიოდა დაღმართში.

დათომ გზა გადაჭრა და კვლავ ტყეს მისცა თავი. ხეებს შორის გარბოდა, იცოდა, წუთებილა ჰქონდა დარჩენილი - ისინი დაედევნებოდნენ.

თუმცა...

- იმათ, იმ მანქანაში რა იციან, ბუშლატიანმა რომ დამინახა?

შეჩერდა, სული მოითქვა.

მანქანა გაჩერდა, ბიჭები ხმაურით, გინებით გადმოცვივდნენ მანქანიდან, ბუშლატიანის მანქანას მიადგნენ. მალე ბუშლატიანი მანქანიდან გადმოიყვანეს.

- ფეხი, ფეხი, მაგის დედა! - ყვიროდა ბუშლატიანი.

- გადარჩა! ეგენი, თუ მიპოვეს, არ დამინდობენ, - დათო კვლავ დაღმართს დაუყვა, ტყეტყე მიდიოდა. უჭირდა სიარული, მაგრამ მაინც მიდიოდა.

- გამოდი, გამოდი შენი დედა! - მოესმა ბუშლატიანის ხმა.

ბუშლატიანის შეძახილს ავტომატის ჯერი მოჰყვა.

არა, ცხადია, დათო არ გაჩერებულა, კვლავ ქვევით ეშვებოდა, დროდადრო ჩერდებოდა, ტყეს აყურადებდა. მანქანა დაიძრა - მანქანის ძრავის ხმამ გარემო გააყრუა. მიწას განერთხო. „არ შეიძლება, არ შეიძლება, რომ მიპოვონ, ტყეში შემოვლენ?“ არა, მანქანა ქვევით დაეშვა, „ალბათ, საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ყველა წაყვა?“

მანქანის ძრავის ხმა მინელდა. დათოს „ფირმა“ ღიმილით შესცქეროდა.

- როგორა ხარ? ხომ არაფერი გინდა? - ეკითხებოდა „ფირმა“.

## ღვთისა თუ კაცისა?

აბესალომს სასჯელი ისე აღარ აწუხებდა /სად გაექცეოდა, გარდაუვალი იყო/, როგორც იმის გარკვევის აუცილებლობა, თუ ვისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოდიოდა იგი - ღვთისგან, თუ კაცისგან. ღვთის მსჯავრს უსიტყვოდ მიიღებდა, მშად იყო უხმოდ აეტანა ტანჯვა.

მაგრამ თუ მსჯავრი ადამიანისაა და არა ღვთისა?

რა შეიცვლებოდა იმით, თუ მსჯავრი ადამის ძისაა და არა ღვთისა? რას შეცვლის, რა შეუძლია აბესალომს? არაფერი, ცხადია, არაფერი! ეგ არის, რომ თუ მსჯავრი ღვთისაგან მოდიოდა, დამშვიდდებოდა, სულის ფორიაქს მოეღებოდა ბოლო, ეცოდინებოდა: - ეს ის მსჯავრია, რომლის შეცვლა ადამიანს არ ძალუძს, მას ყველა უდრტვინველად მორჩილებს.

კი, ამის ცოდნა სიმშვიდეს მოჰგვრიდა აბესალომს.

ხოლო თუ მსჯავრი ადამის მოდგმისა იყო, ღვთის იმედით ისულდგმულებდა. ღვთის იმედი - ეს დიდი სიკეთე - მოლოდინით აღავსებდა.

გადაწყვეტილება ისე უბრალოდ მიიღო, თავადაც გაუკვირდა: აქამდე როგორ არ მოვიფიქრეო.

- ორი დღე ვიმარხულებ, ვილოცებ, ღმერთს შევევედრები მომცეს ძალა და გონი ამგვარი ყოფის მიზეზის ამოცნობისა, - გადაწყვიტა და მარხულობისთვის შეემზადა.

დილას, ლოცვა რომ დაიწყო, გაოცებულმა სერგომ შესძახა:

- რას შობი, ამხანაგო შენ, რა არის ეს, - ლოცულობ?

აბესალომს ლოცვა არ შეუწყვეტია. სერგო გაოცებული, შეურაცხყოფილიც კი შესცქეროდა აბესალომს.

ლოცვის შემდეგ პირში ლუკმა რომ არ ჩაიდო, ნარზე უხმოდ რომ დაწვა, სერგოს შეებრალა აბესალომი და გვერდით მიუჯდა.

- რა არი ახლა, იმას აკონტროლებს ღმერთი, აბესალომი ჭამს თუ არაო? შეჭამე რამე! აბესალომს გაეღიმა.

- მითხარი ერთი, მითხარი თუ კაცი ხარ, - მართლა არის ღმერთი?

აბესალომმა სერგოს ისევ გაუღიმა და თქვა:

- კაი ერთი, თუ კაცი ხარ!

ებრაელები ცდილობენ სხვა რწმენის მატარებელ ადამიანებთან არ იკამათონ რწმენაზე, რელიგიაზე. ისინი არ ცნობენ მისიონერობას. ამიტომ კამათს უაზროდ მიიჩნევენ. „მე მწამს და ჩემი რწმენით ვარ ბედნიერი". აბესალომს არ ეწადა სერგოს კითხვაზე პასუხის გაცემა.

- მითხარი, ამხანაგო აბესალომ, რა არი, შენი ღმერთი ციხეშიც რო არ გავიწყდება, რითი სჯობია ჩემს ღმერთს! - არ მოეშვა სერგო.

- ჯერ ის გვითხარი, რომელია შენი ღმერთი - ქრისტე თუ ულვაშიანი? - იკითხა დიმიტრიმ.

- მაცალე თუ კაცი ხარ, აქ სერიოზული იდეოლოგიური კამათი იწყება, - წარბები შეკრა სერგომ.

- უთხარი, აბესალომ, უთხარი, რით განსხვავდება შენი ღმერთი ჩვენი ღმერთისაგან, - გაიცინა დიმიტრიმ.

- ტყუილად გგონია, ჩემო დიმიტრი, რომ ამდენი ღმერთი არსებობს. ღმერთი ერთია!

- რაფერ, კაცო, მე ქრისტიანად დავიბადე, შენ - ურ... შენ ებრაელი ხარ, - შესძახა სერგომ, - მე ჩემი ღმერთი მყავს, ქრისტიანი, შენ - შენი - ებრაელი!

- შენ რომ ღმერთი გყოლოდა, ჩემო სერგო, ლენინს და სტალინს არ გააღმერთებდი, - ღიმილი მოერია დიმიტრის.

- რავა, ეს თუ ებრაელია, მე ქრისტიანი არა ვარ?! ამას თუ ჰყავს ღმერთი, მე არა მყავს? - თავი დაჩაგრულ კაცად იგრძნო სერგომ.

- ხარ, ქრისტიანად დაიბადე, მაგრამ დღეს კომუნისტი ხარ!

- კი, მაგი მართალია, მარა... მაგის გამო ქრისტიანი არა ვარ?! ვინ არის, მაგალითად, ამხანაგი ტროცკი - ებრაელი, თუ კომუნისტი?

- თქვენი ამხანაგი ტროცკი კომუნისტია და მშვიდობაში მოგახმაროთ ღმერთმა! - ხმადაბლა, მშვიდად თქვა აბესალომმა.

- თუ მასეა, რატომ მიჭერენ მე ტროცკობიზა! - გაბრაზებით შესძახა სერგომ. - ტროცკისტი ხარ და რაიკომის მდივნის მოკვლა გინდოდაო, რატომ მეუბნებიან?!

დიმიტრიმ გაიცინა. ღიმილით თქვა:

- ეგ თქვენ, კომუნისტებმა უნდა ჰკითხოთ ერთმანეთს.

- კაი ახლა, სერგო, დაწყნარდი, რა აზრი აქვს?!

- აჰა, მითხარი, რითი სჯობია შენი ღმერთი ჩემსას, რატო არ მეუბნები!

- თქვი, აბესალომ, თუ ღმერთი გწამს, ის მაინც უთხარი ამ კაცს რატომ, რისთვის უარყავით ჩვენი ღმერთი, რატომ არ მიიღეთ.

აბესალომმა დიმიტრის შეხედა, არა, არ ეწადა ამ თემაზე საუბარი. ამიტომ შემრიგებლური ღიმილი შეაგება დიმიტრის.

- ხო, თქვი, აბესალომ!

მაინც თქვა, - მაინც მიუგო აბესალომმა. - შინაურებში, ერთი ბედის, ყოფის თანაზიარ ადამიანებს შორის იყო და, ალბათ, ამიტომ თქვა:

- მე სინაის მთის ძირში, ჯერ კიდევ როდის შევფიცე ერთგულება ჩემს ღმერთს, პირობა მივეცი არ ვიწამო სხვა, გარდა ერთი ღმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თისა.

სერგომ დიმიტრის ბრაზიანი მზერა ესროლა:

- რა გინდა ამ კაცთან, რას ერჩი! პირობა ქონია მიცემული. ყოჩაღ, ძმაო, სიტყვა არ გაუტეხია!

დიმიტრიმ სერგოს ხელი აუქნია, გაჩუმდიო და კვლავ აბესალომს მიუბრუნდა:

- ამიტომ არ სცანით ღმერთად?

აბესალომმა ერთხანს იყუჩა. მერე თქვა:

- ხო დამაფიცე ღმერთი, უპასუხეო, ახლა მე გაფიცებ: ამ საკითხზე ნუღარ ვისაუბრებთ.

- კი ბატონო, თუ ასე გსურს... არც მე დაგატან ძალას, ოღონდ... ოღონდ ერთ კითხვაზე გამეცი პასუხი, მხოლოდ ერთ კითხვაზე.

- მიბრძანე, - უხალისოდ მიუგო აბესალომმა.

- იმის მოძღვრებას რას უწუნებ? - რა იქადაგა ისეთი, ზურგი რომ აქციე?

- აბა, მე რომელი მომწონებელი ვარ, ან - დამწუნებელი.

- ხომ ხარ ებრაელი, აბესალომ, თანაც სასულიერო პირი.

- კი, ხო...

- მერე? ხომ გაქვს შენი აზრი?

- აბა, რა გითხრათ. რამდენიმეჯერ გავეცანი მაგ მოძღვრებას, სხვადასხვა ასაკში და... არაებრაული მე მასში ვერაფერი ვნახე... თხემით-ტერფამდე... ვერც საქციელში, ვერც ნათქვამში... ერთ რამეს კი... ერთ საკითხს ვერ მოვუწონებდი...

- რა იყო ასეთი! - ყველაფრის უცებ გაგება ეწადა სერგოს.

აბესალომი კარგა ხანს სდუმდა. არა, არ უნდოდა ამ თემაზე საუბარი.

- გისმენთ, აბესალომ ბატონო! - შეეხმიანა დიმიტრი.

- იმას არ მოვუწონებდი, რომ... ღვთის მიერ მოსეს ხელით გადმოცემული ყველა მცნება გაიზიარა, იცავდა ყველა მცნებას, როგორც ჭეშმარიტი ებრაელი... თქვენც გადმოგცათ... აი, შაბათის მცნება კი არ მიიღო... შაბათი კი, ბატონო დიმიტრი, იცით, რა არის? შაბათი ის არის, ღვთის მიერ სამყაროს შექმნას რომ ადასტურებს. ეს ერთი. მეორეც - ის რაც ამ აფორიაქებულ, დაფიქრებისთვის მოუცლელ სამყაროს სჭირდება - სიმშვიდე, სულის სიმშვიდე, სხვა რა გითხრათ...

- მერედა, მაგის გამო გაუბრაზდით? ამიტომ არ მიიღეთ? რა მოხდა, რა არი ამისთანა ერთი ვიხოდნოი დღე! ასე როგორ შეიძლება! - გაბრაზდა სერგო.

დიმიტრის კვლავ ღიმილი მოერია:

- ჩემო სერგო, შენ ისე უბრაზდები აბესალომს, თითქოს უფალი აგერ შენს მეზობელ სახლში დაიბადა და ებრაელი კი არა, შენი გვარისა იყოს.

- რაო?! - შეძრწუნდა სერგო.

- არ იცოდი?!

- რა უნდა მცოდნოდა, ამხანაგო დიმიტრი, რაში მაინტერესებდა მე ვინაა მაგ თქვენი უფალი.

- ტროცკი ვინაა ხომ იცი?!

- ვიცი.

- ლენინი?

- ვიცი, აბა რა! - დაბეჯითებით თქვა სერგომ.

- სტალინი? მარქსი? ენგელსი?

- ვიცი. ეგენი პროლეტარიატის შვილები არიან!

- ბიჭო, რა მრავალშვილიანი ყოფილა ეგ შენი პროლეტარიატი, - სიცილი მოერია აბესალომს.

- და უფლის ცოდნას საჭიროდ არ სცნობდი, ხომ? - დიმიტრიმ ნარზე ვერ მოისვენა, წამოჯდა.

- პროლეტარიატის ნათელ საქმეს რაში სჭიროდა მაგის ცოდნა? - იკითხა სერგომ.

- აბა, რა გიკვირს, კი უნდა იჯდე აქ!

და თქვა აბესალომმა:

- გითხარით უკვე: ვერაფერი არაებრაული მე მასში ვერ შევამჩნიე-მეთქი, მაგრამ აი, მისმა მოწაფეებმა კი... - აბესალომი გაჩუმდა, იატაკს დასცქეროდა, სერგომ კვლავ ვერ მოითმინა ხანგრძლივი დუმილი და შესძახა:

- რა, რა ჰქნეს მისმა მოწაფეებმა ასეთი!

- გაგვყვეს, ებრაელსა და ებრაელობას შორის სისხლის საზღვარი გაავლეს და ამით დაგვაცალკევეს, სხვადასხვა კუნძულზე დაგვაყენეს, ამან დაღვარა სისხლი, რამდენი სისხლი... სისხლის ზღვა... მტრობა, უნდობლობა...

დიმიტრი უხმოდ, თანაგრძნობით შესცქეროდა აბესალომს. სერგო კი ადგილიდან წამოხტა და ხელი ბრაზით აიქნია:

- მართალია ეს კაცი! მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს მოწაფეებმა გადაუხვიეს და იმიტომ ვართ აქ! მოწაფეები ყოველთვის აყალბებენ იდეოლოგიას, თავის თავზე ირგებენ ყველაფერს, ბელადებს კი ეფარებიან!

დიმიტრი ყურადღებით დააცქერდა სერგოს და ჩაილაპარაკა:

- რა ბედნიერი ხარ, სერგო, რომ იცოდე, რა ბედნიერი ხარ!

- არა თუ?! მე ყველაფერი ვიცი!

- მეც მაგას არ გეუბნები?! - ღიმილი მოერია დიმიტრის.

- ბედნიერი იმით ხარ, რაც შენი თავი გგონია, - ფიქრობდა აბესალომი.

ნარზე დაწვა. თავქვეშ ბალიში გაისწორა.

თვალები მოხუჭა და ოჯახს მიუბრუნდა.

წვერში ჭაღარა გაერია აბესალომს, მაგრამ კვლავაც მხნედ გრძნობდა თავს. შვილები მუყაითად სწავლობდნენ. უფროსი ვაჟის - იოსების ნიჭიერება განსაკუთრებით ახარებდა. მომდევნონიც გონიერნი და წინდახედულნი იყვნენ. თბილისის ხახმების უყურადღებობა, ცხადია, წყინდა. ცდილობდა არ შეემჩნია, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა - გულისტკივილი თუნდაც იმ თითო-ოროლა ფრაზაშიც ჩანდა, ოჯახში რომ ამბობდა: „აბა, ხახმები ეგენი არიან?!" „აბა, ვინ იტყვის, რომ ეგენი ჯამაათის წინამძღოლები არიან", „ჯამაათს სხვანაირი გაძღოლა უნდა". ესთერს ის არ სიამოვნებდა, რომ ამ ფრაზებს ბავშვები ისმენდნენ, განსაკუთრებით იოსები. იოსები უკვე მოზრდილი, ყმაწვილი კაცი იყო, წვერ-ულვაშიც აშლოდა და მამის სიტყვებს განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა.

თბილისის ხახმები კი აბესალომს ისეთსავე ყურადღებას აქცევდნენ, როგორც თემის სხვა წევრებს. ეგ იყო, რომ ზოგჯერ თხოვდნენ: „ამ საღამოს ბეით-ქნესეთში არ ვიქნები, მოდი, ჯამაათს ლოცვისას შენ გაუძეხი, ჩემს მაგიერ შენ ილოცე!" თუ აბესალომი იტყოდა ამ და ამ საკითხზე თქვენთან საუბარი მსურსო, ისეთ მიზეზს მოიღებდნენ, საუბარი არ შედგებოდა, არაერთხელ უთქვამთ: „მოუსვენარი კაცია, პირველობა სწადია, ამიტომ ყველაფრის ერთად გაკეთება უნდა, ამ სოფელს კი მოიცადე, მომთმენის დედა არ ტირისო, ჰქვია. მოვა დრო და გამჩენი ყველა სატკივარს დააშუშებს".

ამ ტკივილს სხვა სიხარული უქარწყლებდა აბესალომს - იოსები სასახელო კაცი იზრდებოდა - მის მიერ თარგმნილი „ქოჰელეთი"* რომ წაიკითხა, გული სიხარულით აევსო. მწერლები, მსახიობები, მეცნიერები იოსების თარგმანს გატაცებით კითხულობდნენ.

- თვითონ გაზარდონ ასეთი შვილები, თვითონ მისცენ ასეთი ცოდნა შვილებს და მერე გადმომხედონ ზემოდან, - თბილისის ხახმებს ჰკენწლავდა აბესალომი. ბრაზიც ერეოდა მათზე - მთელი თბილისი იოსების თარგმანზე ლაპარაკობდა, ბეით-ქნესეთში კი ერთი თბილი სიტყვაც არავის უთქვამს. თითქოს არც არაფერი მომხდარაო.

ცხადია, შვილის ნიჭიერება ძლიერ ახარებდა, მაგრამ არანაკლები სიხარულისმომგვრელი სულ სხვა რამ იყო.

- მთელმა ქვეყანამ კიდევ ერთხელ გაიგო, რა განძის მფლობელნი ვართ ისრაელის შვილები, რა სიმდიდრეა ჩვენს წიგნებში.

- - - -

* ეკლესიასტე

აბესალომის სიხარულს ერთი კომუნისტი კრიტიკოსის სტატიამაც კი ვერაფერი დააკლო. ის კრიტიკოსი - მაღალ-მაღალი, შავთვალწარბა, ქოჩორა კაცი - მთელ საქართველოში გახლდათ ცნობილი - შეეძლო დიდხანს ელაპარაკა და არაფერი ეთქვა. სულ სოციალისტურ რეალიზმზე, საბჭოთა იდეალებისადმი ერთგულებაზე ლაპარაკობდა. ამის გამო მთავრობის წევრებიც კი ერიდებოდნენ: „ჩვენზე ძლიერი კომუნისტია, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში ისეა მომზადებული, ჩვენ მაგასთან სად მოვალთო". ამიტომ ამხანაგ იპოლიტე სეფისკვერაძის აზრი, სიტყვა, უმაღლესი მსაჯულის სიტყვასა და აზრს უტოლდებოდა. აი, ამ კაცმა, ამხანაგმა იპოლიტე სეფისკვერაძემ, გაზეთ „კომუნისტში" გამოაქვეყნა სტატია „წარსულთან ლაციცი", რომელშიც წერდა: „მშრომელ ებრაელთა წიაღიდან გამოსულმა ახალგაზრდა კაცმა დიდებულად თარგმნა ბიბლიური ეპოქის მეფე-პოეტის ნაწარმოები „ეკლესიასტე". კლასიკური ქართული პოეზიის მონაპოვარი და გამოცდილებაც გაითვალისწინა, მაგრამ მე მინდა ვიკითხო: რისთვის სჭირდება სოციალიზმის მშენებელ ქართველ საბჭოთა ხალხს იუდეის მეფეთა ამაოების იდეოლოგია, ესე იგი, წარმავალი კლასის იდეოლოგია. ჩვენ ცხოვრების ამაოებას კი არა, აღმშენებლობას უნდა ვესწრაფოდეთ, მეფეთა კვნესას კი არა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებს უნდა ვკითხულობდეთ, მათს მიერ გაჩირაღდნებულ გზაზე ნამდვილი ბოლშევიკური რწმენით უნდა დავდიოდეთ".

იმავე საღამოს, ბეით-ქნესეთში რომ მიდიოდა, პურის მოედანზე, აბესალომს ერთი საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მწიგნობარი - მიხეილ არსენიშვილი - შემოხვდა.

- თქვენ ხომ აბესალომი ბრძანდებით?

- დიახ, ბატონო.

- იოსების მამა!

- კი, ბატონო!

- მე მიხეილ არსენიშვილი გახლავართ, - მიხეილმა მიმოიხედა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით, თქვა, - ყოჩაღ, აბესალომ ბატონო, კარგი შვილი გაგიზრდიათ ქვეყნისთვის. რა ნიჭიერია! ამათ მხოლოდ კოლხოზზე დაწერილი ლექსები უნდათ, ამით კლავენ პოეზიას. დიდი მადლობა, დიდი მადლობა! - აბესალომს ხელი ჩამოართვა და გზა განაგრძო, მერე მობრუნდა, კიდევ ერთხელ მიმოიხედა და ისევ აჩურჩულდა, - ფრთხილად უნდა იყოთ. ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია.

აბესალომი სეფისკვერაძის სტატიამ და მიხეილ არსენიშვილის სიტყვებმა ჩააფიქრა:

- ესე იგი, რა გამოდის ახლა ეს... მთავრობას ებრძვის ჩემი შვილი? მთავრობის საწინაალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდეგო საქმეს აკეთებს? არ არი ეს კარგი ამბავი. ეს იმას ნიშნავს, რომ ტოლები დასჯაბნიან, ნიჭიერია, მაგრამ სხვები გაუსწრებენ. ეს ერთი, მეორე, - აქვს კი გალუთის* ისრაელიშვილს უფლება მთავრობას აუმხედრდეს?

ერთ საღამოს, ჩაის სმისას, იოსებს სხვათა შორის უთხრა:

- ჰო, შვილო, კარგია ეს ყველაფერი, მაგრამ... ახალი ქვეყანა შენდება, ახალი დროა, ამ დროზეც ხო უნდა იფიქრო?

იოსები გაოცებული მიაჩერდა მამას. ჩაი მოსვა. პურის დიდი ლუკმა პირში ჩაიდო და თქვა:

- იეჰუდა ჰალევი დაგავიწყდა?

- ეგ რა შუაშია?

- ეგ არ ამბობს, დროის მონა ათასჯერ მონა არისო? მგონი, დიდი პოეტი იყო.

აბესალომი კარგად მიხვდა, რას გულისხმობდა იოსები.

- კი, მართალი ხარ, მაგრამ თალმუდში ისიც გვიწერია, სჯობს შაბათი სამუშაო დღედ აქციო, ვიდრე სხვაზე იყო დამოკიდებულიო. ვინც დროს აუქცევს გვერდს, იმას დრო არ დაინდობს. ისეთი დრო დადგა, ხელისუფლებას ანგარიში უნდა გაუწიო.

იოსების დიდ, ცისფერ თვალებში გაოცება იკითხებოდა. უხმოდ განაგრძო ჩაის სმა. ორიოდ კვირის შემდეგ კი, ისევ ჩაის სმისას, თითქოს სხვათა შორის, ჩაილაპარაკა, - კომკავშირში შემოდიო, მეუბნებიან.

აბესალომმა არაფერი უპასუხა.

- რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

- მაინც გაგაკომკავშირელებენ. ხომ უყურებ, საით მიდის ცხოვრება...

ამის შემდეგ იოსები ხშირად ლაპარაკობდა კომკავშირზე, პარტიაზე, სხდომებზე ყოველ კვირაში იწვევდნენ. ლამის ყოველ სხდომაზე, ყრილობასა, თუ კონფერენციაზე სიტყვას წარმოთქვამდა, ახალგაზრდობას პარტიასთან ერთიანობას, სოციალისტური იდეების ერთგულებას მოუწოდებდა. გაფაციცებული იყო - სულ მუშაობდა, წერდა, კითხულობდა. ერთ წელიწადში პოემა დაწერა - „მოდის გაზაფხული". უმალ ჟურნალში დაიბეჭდა. მწერალთა კავშირში განხილვა მოეწყო. აი, იქ უნდა გენახათ მწერალთა აღფრთოვანება, მაგრამ ესენი სულ სხვა მწერლები იყვნენ - ახალნი, ახალგაზრდები. ისინი არა, „ქოჰელეთს" რომ აქებდნენ. ისინი არსად ჩანდნენ. აბესალომი ამათ არ იცნობდა, არც სახელი გაეგო ამათი. ხმამაღლა და დაჯერებულად ლაპარაკობდნენ. აბესალომი კი უხმოდ დადიოდა, იხტიბარგატეხილი. რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ამბობდა, ვერც დაეკონკრეტებინა, რისი თქმა ეწადა, რა აწუხებდა ასე. იპოლიტე სეფისკვერაძის აღტაცების გამომხატველმა სტატიამ დაუკონკრეტა სათქმელი: „საბჭოთა სინამდვილე ახალ-ახალ ტალანტებს შობს. საბჭოთა სინამდვილემ არნახული შესაძლებლობები მისცა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს. ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ გავაკრიტიკეთ ახალგაზრდა მწერლის იოსებ ი...შვილის პოზიცია - თანამედროვეობისადმი უგულისყურო დამოკიდებულება. მან ყურად იღო ბოლშევიკური კრიტიკა, გაითვალისწინა ჯანსაღი კომუნისტური კრიტიკა და შექმნა ფართო ეპიკური ტილო საბჭოთა ებრაელობის ყოფაზე, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ბურჟუაზიულ სამყაროში, სიონისტურ-რეაქციული იდეოლოგიის გავლენის სფეროში მოხვედრილი ებრაელობის ყოფისაგან. დააკვირდით, რაოდენ ოსტატურად ამათრახებს იგი ებრაული კლერიკალური წრეების წარმომადგენლებს - ხახმებსა და მელამედებს, ცრუმორწმუნეთა ხროვას, რომლებმაც ზურგი აქციეს საბჭოთა სინამდვილეს და ჩვენი, პროგრესული ცხოვრების დამამუხრუჭებელ ელემენტებად გვევლინებიან".

გამოხდა ხანი და პოემის „მოდის გაზაფხულის" გამოსვლასთან დაკავშირებით, იოსები ორდენით დააჯილდოვეს. მთავრობის ბრძანებულება პრესაში რომ გამოქვეყნდა, იმ საღამოს ბეით-ქნესეთში მისულ აბესალომს რაბი დავითი ფეხზე წამოუდგა, მიეგება და უთხრა:

- რაბი ავშალომ, მე იმედი მაქვს, ჩვენზე არაფერი წყენა არ გიდევს გულში. ჩვენ ერთად უნდა ვემსახუროთ ჯამაათს. უნდა გქონდეს შენ შენი ადგილი ჯამაათში, ხვალ დილიდან შენც ჩვენნაირი რაბი იქნები, - ხელი გაუწოდა.

აბესალომმა ხელი ჩამოართვა და უთხრა:

- ხვალ საღამოს ვახშამს ვმართავთ ორდენის მიღებასთან დაკავშირებით, უნდა გვეწვიოთ.

რაბი დავითმა ხაზგასმული მორჩილებით დაუკრა თავი.

მომდევნო დღეს, ხუთშაბათ საღამოს, აბესალომის ოჯახში სანაქებო ვახშამი გაიმართა. სტუმარი ბევრი მოვიდა, აბესალომი თითქმის არავის იცნობდა. ესენი ახლებური ქართველები იყვნენ. იოსები ყველას გულითადად ესალმებოდა. გვერდით კი ერთობ მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი ედგა. ესთერს სულ იმ ქალისაკენ ეჭირა თვალი. როცა სუფრის თამადამ, ამხანაგმა იპოლიტე სეფისკვერაძემ „საბჭოთა რეალობის ოსტატურად ამსახველ ახალგაზრდა მწერალს მთავრობის მაღალი ჯილდო" მიულოცა და იგი „ცხოვრების მომავალ თანამგზავრთან, იდეურად ერთობ გამოწრთობილ,

- - - -

* გალუთი - უცხოობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვიდან ახლადჩამოსულ ამხანაგ როზალია მიხაილოვნა გოლდბერგთან“ ერთად ადღეგრძელა, ესთერს მღელვარებით აევსო გული.

აი, მაშინ წამოდგა რაბი დავითი და მომხიბლავი ღიმილით იკითხა, თუ შეიძლება კლერიკალური წრეების წარმომადგენლებმაც შესვან ახალგაზრდა საბჭოთა მწერლის სადღეგრძელოო. სუფრის წევრებმა სიცილით უპასუხეს: რასაკვირველია, შეიძლებაო. რაბი დავითმა ახალგაზრდა წყვილს მხნეობა, წარმატება უსურვა და კვლავ დამატყვევებელი ღიმილით ისაუბრა რაბი აკივაზე, ადამიანზე, რომელსაც რომაელმა დამპყრობლებმა ტყავი გააძრეს, იუდაიზმს რატომ მსახურებ, ხალხს რისთვის რყვნიო. აი, ასეთი იყვნენ ჩვენი რაბები, ამით ჩააგონებდნენ ებრაელობას რჯულის ერთგულებას, რამაც შეინახა ჩვენი ხალხიო.

რაბი დავითს ამხანაგი იპოლიტეც კი ყურადღებით უსმენდა. ბოლოს დასძინა:

- აი, ეს არის იდეისადმი ერთგულება, ყოველ იდეას თავდადებული ადამიანები უქმნიან სახელს - ამით დაადასტურა, რომ რაბი დავითის ნათქვამი ვერ გაიგო.

იოსებმა ჯილდოსა და სადღეგრძელოსათვის პარტიას, ხელისუფლებას, მისი „ხაზის გამტარებელს“ ამხანაგ იპოლიტეს მადლობა რომ გადაუხადა და ხელისუფლებას ურყევი ერთგულება აღუთქვა, ჭიქა როზალია მიხაილოვნამ აიღო ხელში. ისე მკაფიოდ, მტკიცედ, თავის თავში ძლიერ დარწმუნებული ადამიანის ინტონაციით ლაპარაკობდა პარტიისა და მთავრობის ეროვნულ პოლიტიკაზე, ეროვნულ უმცირესობათა ნათელ მომავალზე, ხელისუფლებას ისეთი ურყევი ერთგულება აღუთქვა, ამხანაგი იპოლიტე სეფისკვერაძე ფეხზე წამოიჭრა და ტაში დაუკრა, ესთერს კი უმწეობის გრძნობა დაეუფლა. უმწეობის გრძნობა გაუცნობიერებელმა შიშმა მაშინ შეცვალა, როცა როზალია მიხაილოვნამ მარჯვენა მტკიცედ შემართა, სუფრის წევრთაგან ყურადღება მოითხოვა რაბი დავითს გადახედა და თქვა:

- მე არავის მივცემ უფლებას ჩემი მეუღლე წარმავალი კლასის იდეოლოგიას დაუბრუნოს, მკითხველს ბურჟუაზიულ-სიონისტურ ლიდერებს უსახავდეს სამაგალითოდ. ჩვენი მიბაძვის ღირსი მარქსიზმ-ლენინიზმის ბელადები არიან.

რაბი დავითს გაეღიმა, ესთერს გული აუფრიალდა, აბესალომს გადახედა - აესალომს ნიკაპი მარჯვენაზე ჩამოედო, როზალია მიხაილოვნას ყურადღებით შესცქეროდა, უხმოდ წამოდგა, ახალგაზრდა ქალს გაუღიმა და თქვა:

- ბედნიერი იყოს შენი ფეხი ჩემს ოჯახში, შვილო! მოგეტანოს მშვიდობა, სიხარული, ჯანმრთელობა. ადამიანი მუდამ ეძებდა გმირს. უჭირდა და გმირი ის ეგონა, ვინც მტერს განგმირავდა. იყო რაბი ნათანი, ღმერთმა გაანათლოს მისი სული, რაბი ნათანმა ბრძანა: გმირი ის არის, ვინც მტერს მოყვრად მოიქცევსო. გაუმარჯოს მტრის მოყვრად მოქცევას!

ბევრმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა აბესალომი. რაბი დავითი სიბრალულით, თანაგრძნობით შესცქეროდა აბესალომს, რაბი იოსებმა თავისთვის ჩაილაპარაკა.

- მშვიდობა, ღმერთო, მშვიდობა დაასადგურე ამ ჭერქვეშ!

იოსებისა და როზალია მიხაილოვნას ქორწილი მალე გადაიხადეს. იოსებმა ბინა დაიქირავა და მამისეული სახლი დატოვა. ერთობ ნაყოფიერად მუშაობდა. როზალია მიხაილოვნა ყოველნაირად ხელს უწყობდა, დრო არ დაკარგოსო. იოსები ლამის საწერ მაგიდას მიეჯაჭვა - აბესალომთან და ესთერთან იშვიათად მიდიოდნენ. ამიტომ როშ ჰა შანის, - ებრაული ახალი წლის ღამეს მშობლები თავად ეწვივნენ. კარი რომ შეაღეს, აბესალომმა მხნედ შესძახა:

- მომილოცავს ახალი წელი, მრავალს დაგასწროთ ღმერთმა, - გამარჯვებით, სიხარულით!

როზალია მიხაილოვნამ თითი ტუჩებზე მიიდო:

- ძალიან გთხოვთ, ნუ ხმაურობთ, იოსიფ აბესალომოვიჩი მუშაობს, ხელი არ შევუშალოთ!

ესთერი და აბესალომი ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ სკამებს და ზედ ჩიტებივით ჩამოსხდნენ. სულ კარისაკენ ჰქონდათ მზერა. აი, ახლა გამოვა იოსები, როშ ჰა შანას მოგვილოცავსო, ესთერს კი ძლიერ ეწადა რძლისთვის ეკითხნა, ბავშვს როდის უნდა ველოდოთო, მაგრამ ვერ შეჰბედა, ვერ კითხა:

- თუ იცის, რომ მოვედით? - ერთი საათის შემდეგ იკითხა აბესალომმა.

- აჰ, არა, არა! იოსიფ აბესალომოვიჩის გაცდენა არ შეიძლება. პოემას ამთავრებს რევოლუციაზე, მოსკოვიდან ხშირად ურეკავენ.

უხმოდ ისხდნენ ესთერი და აბესალომი. ხელები მუხლებზე დაეწყოთ, ხან კედლის საათს შესცქეროდნენ, ხანაც - იმ კარს, რომლის მიღმაც იოსები პოემას ამთავრებდა. ლენინის დიდ პორტრეტს, კედელზე რომ ჩამოეკიდათ, თვალს არიდებდნენ. მერე აბესალომმა თქვა წავიდეთო და წამოდგა. როზალია მიხაილოვნამ კარამელე მიაცილა ორივე. იქ, კართან თქვა:

- საბჭოთა ხელისუფლებამ თანამედროვე, კეთილმოწყობილი ბინა მოგვცა, ხვალ გადავდივართ.

- ხვალ როგორ იქნება, დღესასწაულია. ორი დღის მერე! - უთხრა აბესალომმა.

- მომილოცავს, შვილო, გიბედნიეროთ ღმერთმა! - თვალები გაუბრწყინდა ესთერს.

როზალია მიხაილოვნამ წარბები შეჰკრა:

- ჩვენ ასეთი რამ არ გვაინტერესებს, ხვალ გადავალთ, ავეჯს დავალაგებთ და მისამართს შეგატყობინებთ.

- არა, შვილო, როგორ შეიძლება, ხვალ რომ ჰა შანაა! გამჩენმა ხვალინდელ დღეს შეჰქმნა პირველი ადამიანი.

- ჩვენ ცრუმორწმუნენი არა ვართ! - თქვა როზალია მიხაილოვნამ და კარი მოხურა.

ესთერი და აბესალომი ჩაჩანაკი სახედრებივით დაუყვნენ სახლისკენ მიმავალ გზას - თავდახრილნი, გაწბილებულნი მიფრუტუნებდნენ. აბესალომს ესთერისა რცხვენოდა, ქუჩისა რცხვენოდა, სახლებისაც, ქვეყნად არსებობისა რცხვენოდა. ესთერი კი იმას შიშობდა, აბესალომს არაფერი მოუვიდესო, მალულად შეავლებდა თვალს, ეწადა ეკითხა, თავს როგორ გრძნობო, მაგრამ ვერ ჰკითხა, ხმა ვერ ამოიღო. ვერც მის მზერას ჰკიდა თვალი - აბესალომი თავდახრილი მოდიოდა.

სახლში რომ მივიდნენ, ხის მორყეული კიბის სამი-ოთხი საფეხური რომ აიარეს, აბესალომმა თქვა:

- აბეშაიმ მთხოვა რომ ჰა შანის სუფრა დამილოცეო. არც ისე გვიანია ჯერ, ადი სახლში, მეც მალე მოვბრუნდები.

თქვა და გაბრუნდა. ესთერის პასუხს არც დაელოდა. არ აინტერესებდა ესთერი რას იტყოდა. იოსების სახლისაკენ გაემართა. ენერგიული, ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, ლამის გარბოდა. აღმართზე ჩქარი სიარული უჭირდა, მაგრამ თავს არ ეპუებოდა.

- რატომ მობრუნდით? რა მოხდა? - იკითხა გაოცებულმა როზალია მიხაილოვნამ.

აბესალომმა პასუხი არ გასცა, იმ ოთახისაკენ გაემართა, სადაც „ქოჰელეთის" ესოდენ ჩინებულად მთარგმნელი, პირველი, სიხარულისმიმნიჭებელი შვილი ეგულებოდა. კარი ჯიქურ შეაღო.

- მამა? - ფეხზე წამოდგა იოსები.

- ჩვენ ებრაელები ვართ, შვილო, ებრაელები! - შესძახა და ტახტზე დაეშვა.

- რა მოხდა, მამა! - იკითხა იოსებმა.

- რა ხდება აქ! - როზალია ფეხდაფეხ მოყვა მამამთილს, - რა ხმაურია!

აბესალომმა სული მოითქვა, წამოდგა. როზალია მიხაილოვნას თვალი გაუსწორა და აუჩქარებლად თქვა!

- იოსებ, შვილო, მე, მამაშენი, რაბი აბესალომი, ხვალ, რომ ჰა შანის დღესასწაულისას არ მოგცემ ახალსახლობის უფლებას. შენ იყავი და უნდა დარჩე ებრაელად, - კარისაკენ გაემართა, გამოაღო, მობრუნდა: - როცა მტერი გაცხადებულია, ბრძოლა იოლია, - ხვალ დილიდან ამ კართან დავდგები.

ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას შინისაკენ. მსუბუქად მიდიოდა. ჩინებული ნიავი ჰქროდა. ესიამოვნა. ამ ქუჩაზე მეტწილად ებრაელები ცხოვრობდნენ. ღია ფანჯრებში ხმაური ისმოდა. ერთმანეთს ლოცავდნენ ადამიანები.

- ნეტავი, ვინ ცხოვრობს აქ?

არ იცოდა, მაინც კარისაკენ გაეშურა, შეაღო და თქვა:

- მრავალ ახალ წელს დაგასწროთ ღმერთმა!

ადამიანები ფეხზე წამოიჭრნენ. სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა. მოგვიანებით, ხმადაბლა, უხალისოდ თქვა ვიღაცამ:

- მობრძანდი, რაბი!

მალე ყველა გაზეთმა აუწყა საქართველოს, რომ იოსებ ი...შვილმა რევოლუციური სულისკვეთების ამსახველი ახალი პოემა გაასრულა. გაზეთები პოემის ცალკეულ თავებს ბეჭდავდნენ, რადიოში კი ყოველ კვირას კითხულობდნენ პოემის ამა თუ იმ თავს. ამიტომ, საქართველოს დაბა-ქალაქებში ხშირად ისმოდა ებრაული კილოკავით წარმოთქმული ფრაზები. ამ ფრაზების ამოცანა ებრაელ რაბინთა, სასულიერო პირთა გაბრიაბრუება იყო და აღწევდა კიდეც მიზანს - მსმენელი გულიანად იცინოდა.

იუმორის, დაცინვის დიდი გრძნობა აღმოაჩნდა იოსებს, ძეს აბესალომისას!

- აი, შვილი! რაფერ იყარა ჯავრი რაბებზე მამის არაღჩაგდების გამო, - უთქვამს ისაკ კაცობაშვილს.

- არ ამოვიდა მაგათ ოხტში? - ეს შათულიას უთქვამს. ბინიკოს კი პოემა რომ წაუკითხავს, ცოლისთვის გადაულაპარაკნია:

- ღმერთმა მშვიდობა ქნას ჩვენს ჯამაათში... რა ვიცი, რა ვიცი... რა არის ეს.

აბესალომს კი უკვე რიდით ხვდებოდნენ, განსაკუთრებით ებრაელთაგან გრძნობდა მორიდებას. ზოგჯერ შიშსაც კი. ბეით-ქნესეთში თავად რაბი დავითმა წამოაყენა წინადადება რაბი აბესალომი ჩვენს ხელმძღვანელად - მთავარ რაბინად ავირჩიოთო. უარი არავის უთქვამს. აირჩიეს კიდეც.

ამ დღიდან მოყოლებული აბესალომი ცდილობდა ჯამაათთან ყოფილიყო, ყველგან წესრიგს ამყარებდა, ჯამაათის გასაჭირი თავის გასაჭირად მიაჩნდა. რემონტი წამოიწყო, ორიოდ თვეში სალოცავი ისე გაამშვენიერა, შემსვლელის გულს ეამებოდა, მაგრამ ჯამაათს აბესალომისგან მაინც შორს ეჭირა თავი - ეგ მთავრობის რაბია, ჩვენთან მთავრობიდან მოვიდაო. ალბათ, ამავე მიზეზის გამო აბეს-

ალომისა შიში უფრო ჰქონდათ, ვიდრე პატივისცემა.

ფურიმის წინა საღამოს უცნაური რამ მოხდა: აბესალომს ერთი მოწაფე ჰყავდა. აბრამი ერქვა ამ ზრდილ და გონიერ ყმაწვილს. აბესალომი აბრამს ხახმად ამზადებდა. დიდი იმედიც ჰქონდა მისი. ისეთი ხახამი დადგება, ჯამაათს რომ გამოადგებაო. ფურიმის წინა საღამოს აბრამმა, მისმა საყვარელმა მოწაფე - აბრიკომ, აბესალომს თხოვა თუ შეიძლება ორიოდ წუთი მომისმინოო. ბეით-ქნესეთში ხდებოდა ეს ამბავი. აბესალომი დაღლილი იყო. სკამზე ჩამოჯდა და გისმენო, უთხრა - თქვენ ჩემი საყვარელი მასწავლებელი ხართ, - თქვა აბრამმა.

აბესალომმა გაიღიმა. არაფერი თქვა, რადგან იგრძნო აბრამი ნერვიულობდა - ხელი არ შეუშალა.

აბრამი კარგა ხანს დუმდა. აბესალომი შეეშველა:

- სთქვი, შვილო, გისმენ.

- რაბი, აბესალომ, ხო არ სჯობია უბრალო, ჩვეულებრივი მასწავლებელი და რაბი იყო, ვიდრე მთავარი...

აბრამს ლაპარაკი უჭირდა, სიტყვებს პაუზებით წარმოთქვამდა.

აბესალომი ყველაფერს მიხვდა და გახევდა. გაოგნებული მიაჩერდა აბრამს. დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა.

- ეს იმიტომ, რომ მინდა დიდ მასწავლებლად დარჩეთ და არა უფროსად, - თქვა აბრამმა და წავიდა.

ნელა მიდიოდა, მხრებჩამოყრილი, ნირწამხდარი.

იოსები? იოსებს იშვიათად ახსენებდა ჯამაათი.

- აბა, სად ჩვენ და სად - ეგა!

იოსები უკვე სხვად, უცხოდ იქცა. თავად გაიხადა თავი ამნაირ ადამიანად - მისი გამოჩენისას ბევრს შიშით ელეოდა გული: ვაითუ, რაიმე ისეთი წამოგვცდეს, შავ დღეს გვწიონ, ეგ კაცი მთავრობას უდგას გვერდში, ვინც ჭკუით არ იქნება, ვინც ენას კბილს არ დააჭერს, ვაი, მისი ბრალიო. თუ იოსებს სადმე გადაეყრებოდნენ /რუსთაველის პროსპექტზე უყვარდა სიარული/, რიდით უკრავდნენ თავს, თვალებში შესციცინებდნენ. მის ნაწარმოებებზე კი სიტყვას არ სძრავდნენ. დუმდნენ და ამ დუმილით მორჩილებას გამოხატავდნენ.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ამ დუმილსაც მოეღო ბოლო.

ეს ამბავი ქუთაისში მოხდა, სწორედ ამ ქალაქში ცხოვრობდა ექიმი მეირ რიჟინაშვილი - კაცი მორჭმული, ხალხისგან ფრიად დაფასებული. მეირს სამედიცინო განათლება ამ ორმოცი წლის წინათ გერმანიაში მიუღია. ქუთაისში ჩამოსული, ისე ემსახურებოდა ყველას - სახელოვანსა თუ უჩინოს, არამქონესა თუ ქონებაში ყელამდე ჩამჯდარს, რომ ქუთაისელთა სათაყვანებელი ადამიანი გამხდარა. ამ თვისებათა გარდა, ლიტერატურის დიდი სიყვარული და დაფასება ჰქონია. იოსების თარგმანი რომ წაუკითხავს, დიდად გაუხარია: „ყოჩაღ, აი, ასეთი ადამიანები გვიმრავლოს ღმერთმა", უთქვამს. მოგვიანებით, იოსებმა პოემები რომ გამოაქვეყნა, ყველა მეირის აზრს ელოდა.

- გულსატკენია, ქართველ ებრაელთა შორის კიდევ არ დაბადებულა ნამდვილი მწერალი, - ასეთი იყო მეირ რიჟინაშვილის დასკვნა.

გამოხდა ხანი, იოსების ორდენით დაჯილდოების ამბავი, ცხადია, ქუთაისშიც შეიტყვეს. ქუთაისშიც მოდიოდა ის გაზეთები, იოსების პოემის ცალკეულ თავებს რომ ბეჭდავდნენ. მალე ალისფერ გარეკანში ჩასმული წიგნიც გამოვიდა. ერთი სიტყვით, ქუთაისში ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ პოემაზე არაფერს ამბობდნენ. ვიდრე მეირ რიჟინაშვილი არ წაიკითხავდა და მოსაზრებას არ გამოთქვამდა, არავის ეწადა ხმის ამოღება. შეუჩნდნენ მეირს: ებრაელთა ცხოვრებაზე ამოდენა პოემა გამოვიდა, უნდა წაიკითხო, უნდა თქვა როგორ არის საქმეო.

მეირს უკითხავს, ვინ დაწერა ეგ პოემაო.

- იოსებმა, აბესალომის ძმაო.

მეირს თვალებში ნაღველი ჩადგომია და უთქვამს:

- სამოცდაათ წელს მივაღწიე უკვე, ბევრი კარგი წიგნი წავიკითხე, მაგრამ რომ გამახსენდება რამდენი დიდებული ნაწარმოები მრჩება წაუკითხავი, გული სევდით მევსება.

გინდა თუ არა, უნდა წაიკითხო, შენი აზრი უნდა გვითხრა ამ ებრაულ პოემაზეო, შეუჩნდნენ მეირს ქუთაისლები, რაზეც ვალიკო ხვედელიანი ძალიან გაბრაზებულა: დაანებეთ თავი მაგ კაცს, შარს არ გადაჰკიდოთ, რატომ გინდათ ახალგაზრდა პროლეტარი მწერალი ალანძღვინოთო.

ქუთაისლებმა მაინც თავისი გაიტანეს, მეირმა ერთ დღეს თქვა, კარგით, წავიკითხავ მაგ წიგნსაო. ოთხშაბათს მთელმა ქუთაისმა იცოდა, დღეს, ნასადილევს მეირ რიჟინაშვილი ებრაულ პოემას წაიკითხავსო.

საღამო ხანს, ლოცვის დაწყების წინ ბეით-ქნესეთში დიდძალი ხალხი მივიდა. ისინიც კი, ვინც იშვიათად დადიოდა სალოცავად და ისინიც, ვისაც პოემა არასოდეს წაუკითხავს - არც კი იცოდნენ რა არის პოემა. - მეირს ელოდნენ, - ყველას აინტერესებდა მისი აზრი, მაგრამ ქუთაისლები გულდაწყვეტილნი დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალნენ, - მეირი არ მოვიდა.

მომდევნო დილას, რასაკვირველია, ყველამ თავ-თავის საქმეს მიჰყო ხელი, ზოგი საით წავიდა და ზოგიც - საით, მაგრამ ამბობენ, ბეით-ქნესეთში დილის ლოცვაზე ხუთგზის მეტი ხალხი მოვიდა, ვიდრე, ყოველ ცისმარე დღეს მოდისო. ყველამ იცოდა: - სამსახურში, საავადმყოფოში მიმავალი მეირი ბეით-ქნესეთთან აივლიდა. ეს ხალხიც გარეთ იდგა, მოედანზე, - აქაოდა, ეს-ესაა ბეით-ქნესეთიდან გამოვედით და მუსაიფს შევყევითო.

ცხრის ნახევარზე მეირიც გამოჩნდა. ხალხს მიესალმა, იმათაც მოიკითხეს, ორიოდ ანეგდოტიც უთხრეს და გაჩუმდნენ, - ახლა შენი ჯერია, წიგნზე რას იტყვიო, აგრძნობინეს მეირს. მეირმა რომ არაფერი თქვა, წასვლაც რომ დააპირა /აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, ხალხნოო/, ვიღაცამ შესძახა:

- ასე რავა იქნება, მეირ ბატონო, გვითხარი რამე...

მეირმა შეკრებილთ საყვედურით გადახედა /ყველა უმალ მიხვდა ამ საყვედურის მიზეზს: ეს რა წამაკითხეთო/ და თქვა:

- გაოცებასა ვარ, მე ამნაირი არაფერი წამიკითხავს, - ეს იყო და ეს. ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა.

მეირის მეუღლეს - მაროს, კი ასეთი რამ უამბნია მეზობლებისათვის: - „ორმოცი წელიწადია ცოლ-ქმარი ვართ, ჩემი მეირი, დიდხანს მიმყოფოს გამჩენმა, ამნაირი მე არ მინახავს, - წიგნს რომ კითხულობდა, უცებ წამოხტა ტახტიდან, ეზოში ჩავიდა, მიდი-მოდიოდა და იძახდა, - ეს რა წამაკითხეს ამ ღდინძაღლებმაო. ასეთი რა მოხდა, ამნაირი რა წერია შიგ-მეთქი, რომ ვკითხე, შენ მაინც დამანებე თავი, შემეშვი, ყველა კომუნისტზე დიდი კომუნისტი ჩვენ რატო უნდა ვიყოთ, ეს კაცი ჩემს დახვრეტას ისე მოაწერს ხელს, არც დაფიქრდებაო“.

ეს ამბავი, ცხადია, ჯამაათმაც გაიგო.

აბესალომის ყურამდე კი არაფერი მისულა. ამ ბედნიერების მიზეზი ის გახლდათ, რომ აბესალომი უკვე საპყრობილეში იჯდა. ეს ამბავი გამთენიის ხანს მოხდა:

თბილისში ხვავრიელად თოვდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ძლიერაც ციოდა. აბესალომის სახლის კარს სამი კაცი მოადგა. დააკაკუნეს. კარი ესთერმა გააღო. აბესალომს უთხრეს, ზოგიერთი საკითხი გვაქვს გასარკვევი, ჩვენთან უნდა წამობრძანდეთო.

აბესალომმა სამხრეებიანს მზერა გაუსწორა და თქვა: - საკითხის გარკვევა აქაც შეიძლება, თუ დასაჭერად მოხვედით, პირდაპირ მითხარით.

- თბილად ჩაიცვით!

ვიდრე აბესალომი იცვამდა, იმ კაცების ფარაჯებიდან ჩამოწუწულმა წყალმა იატაკზე გუბე დააყენა. კაცი იფიქრებდა, სამივემ ერთდროულად ჩაისველაო, მაგრამ იმათ ჩასველებისა არაფერი ეტყობდათ - ესთერისა და აბესალომის მოძრაობას დაძაბული, ყურადღებით ადევნებდნენ თვალს. მერე აბესალომი შუაში ჩაიყენეს და წავიდნენ.

- ჩვენს მოსვლას ელოდა. ეს კაცი ისე მშვიდად იქცევა, ჩვენს მოსვლას ნაღდად ელოდა, - ფიქრობდა წინ მიმავალი სამხრეებიანი.

ესთერი დიდხანს იდგა წყლის გუბეში. გახევებულს, ცრემლი გაშრობოდა. ვერაფერი მოეფიქრებინა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა, რა მოემოქმედა.

- იოსები, ჩემი იოსები! - გაუელვა უცებ. მართლაცდა, სხვა ვინ უშველიდა აბესალომს, თუ არა ორდენოსანი შვილი, - უკვე სახელგანთქმული, მთავრობის მიერ ესოდენ დაფასებული.

პირველი ნაბიჯი ულონოდ გადადგა. კიბეზე რომ ჩადიოდა, რომელიღაც შვილმა ჯუბა მოახურა. „ეს ჯუბა რატომ არ გავატანე, იქ ხომ სიცივე და სინესტეა“. ქუჩაში გავიდა. ტელეფონი მეზობელ ჩიხში კედელზე იყო მიმაგრებული. ქარი უბერავდა. ფანტელები ხედვას უბორკავდა, თოვლზე ფეხი უსრიალებდა, ჯიხურს რომ მიადგა, ყურმილი ხელში რომ აიღო, ზედ მოდებული ყინვა ვერც კი იგრძნო. შვილის ტელეფონის ნომერი ვერ გაიხსენა, ამის გამოც თუ დაეუფლა უმწეობის გრძნობა.

ცრემლი უმწეობამ მოჰგვარა - იდგა, თავზე ათოვდა, ხელში ყინვამოდებული ყურმილი ეჭირა და ნომერი ვერ გაეხსენებინა. სიჩუმედაუფლებული თეთრი გარემო ვერაფრით ეწეოდა, არც არაფერს ეუბნებოდა. თვალები დახუჭა, ცრემლი მაინც ვერ შეიკავა. ტელეფონის ნაცნობი ნომერი აკრიფა. მექანიკურად. არა, არ გახსენებია, - თითებმა თავისთავად იპოვეს ციფრები. იქ, იოსების ბინაში, ზარი რომ დაირეკა, ესთერმა ცრემლებს მიღმა ლოგინში როზალია მიხაილოვნა და იოსები დაინახა. მათ ბინაში თბილოდა.

- ალო! - ყურმილი, ცხადია, როზალიამ აიღო.

- შვილო, შვილო, მამა წაიყვანეს, სამი კაცი მოვიდა და მამა წაიყვანეს. გვიშველეთ რამე!

ესთერის ხმა თოვლის ფანტელებში ჩაიკარგა.

- შვილო, გვიშველეთ რამე!

როზალია მიხაილოვნამ მოგვიანებით მშვიდად თქვა:

- ნუ ინერვიულებთ, უცნაური არაფერია. საბჭოთა მართლმსაჯულება შეუმცდარი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰუმანურია. იგი არ შელახავს საბჭოთა მოქალაქის ღირსებას, - უდანაშაულო ადამიანს არაფერს ავნებს.

ცხადია, ესთერს როზალიას ნათქვამი ესმოდა, მაგრამ არ უნდოდა გაეგონა. მას ახლა სიტყვები კი არა, შველა სჭიროდა.

- იოსები, იოსები მალაპარაკე, შვილო, იოსები უშველის მამას.

- არა, არა, არა! - მყისვე ხმადაბლა, ჩურჩულით შესძახა როზალიამ. - იოსები არაფერ შუაშია. არ შეიძლება იოსების გარევა ბურჟუაზიის საქმეებში.

წყვეტილი ზუმერი ყურს ისე ეცემოდა, როგორც გაშანთული ლურსმნები.

რა აუტანელი სისწრაფით ეცემიან ესთერის ყურებს ეს გავარვარებული ლურსმნები.

- აჰ, არა, არა! - სული ვერ მოითქვა ესთერმა. ამოსუნთქვა სწადია და ვერ ახერხებს, ყელში რაღაც გაეხიდა. დიდია, ძალიან დიდი, ბურთივით იბერება, იზრდება! რა არის ეს - სითხე თუ სითხით სავსე სივრცე? ასე რატომ აწვება ყელში? არა, არა... ღმერთო, არ იქნება, აბესალომი... ბავშვები... ბავშვებს ხომ უნდათ მიხედვა...

გავარვარებულმა ლურსმნებმა ქვევით ჩაინაცვლა, გულს ხიშტებიანი ჯარისკაცებივით შემოეჯარნენ და ცელქი, ონავარი ბიჭებივით ხტიან... გულს ისე ერჭობიან, თითქოს გული კი არა, ცომი იყოს.

- ბავშვები? არა, ისინი ბავშვები აღარ არიან, წამოიზარდნენ, მაგრამ აბესალომიც რომ არ არის... აბეს...

ესთერი ჩაიკეცა, არა, გონწართმეული არ დაცემულა, ჩაიკეცა, ხელიც კი შეაშველა თავს, მოყინულ მიწაზე არ დავეცეო, ჩაიკეცა, მერე დაწვა.

- ნელა, ნელა... ფრთხილად... აჰა! - როგორც კი გაწვა, შვება იგრძნო, თავისუფლად ამოისუნთქა... უკანასკნელად.

- ნელა, ნელა, შვილო, ფრთხილად! - დედამ დაადებინა თავი მსუბუქ, ქათქათა ბალიშზე. დედა - სიფორა შეეგება, სახენათელი, პირგაბადრული.

მამაც აქვე იყო. მოღიმარი, ისიც პირბადრი მიეგება შვილს. მსუბუქად ჩაავლო ხელი და სადღაც შორს, ერთად ავიდნენ მაღლა.

თუმცა, რა უნდა ტკენოდა ესთერს - სხეულს ვერ გრძნობდა, სხეული იქ, სადღაც რომელიღაც ჩიხში ტელეფონის ჯიხურთან დარჩა, ზედ ათოვს. ესთერი კი აგერ აქ არის, დედასა და მამას შუა, უზარმაზარ, უკიდეგანო სივრცეში...

საკნის სივრცეში ჯერ ხავერდგადაფარებული სავარძელი გამოჩნდა, მერე იოხანან ბენ ზაქაია. მოძღვარს კვლავ თორა გაეშალა. კითხულობდა. თითქოს აბესალომის დაჟინებული მზერა იგრძნოო, თორას თვალი მოსწყვიტა, აბესალომს დააცქერდა. დიდხანს, ძალიან დიდხანს და ყურადღებით დასცქეროდა მოძღვარი აბესალომს. იერუსალიმის სქელი ნისლი გარს ევლებოდა მოძღვრის სახეს და ხან ფარავდა, ხანაც - გაეცლებოდა.

აბესალომს მოეჩვენა, რომ იოხანან ბენ ზაქაიამ მხრები აიწურა. თავიც დაუკრა აბესალომს.

მოძღვარი კვლავ იერუსალიმის სქელ ნისლში გაეხვია.

## მასწავლებელი

მანქანა დაღმართში, ტყისპირას გაჩერდა. მანქანიდან ვიღაც გადმოვიდა, ფარანი აანთო და ტყეში ფრთხილად შემოვიდა.

- ესე იგი, ნუგო საავადმყოფოში არ წაუყვანიათ, ტყის გაჩხრეკას აპირებენ, - გაიფიქრა დათომ და მიწას გაეკრო, - რა დიდი ტყე ეს არის, სად დავემალები!

ფარნის შუქი მიწაზე დაბორიალებს. ხეთა ძირებს ანათებს.

- მიწაზე მეძებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ...

ფარანი დათოს ზურგს უკანაც აანთეს.

- ორივე მხრიდან მოდიან. უკან ორი ფარანი ანთია, წინ - ერთი. ესე იგი, ნუგო დაღმართში მდგარ მანქანაში ზის. ამათ თუ მიპოვეს... - დათომ იგრძნო როგორ მოედო მთელ სხეულზე ოფლი - ქვევით, მიწაზე მეძებენ, იქნებ, ხეზე ავძვრე? ხეზე... ხეზე... მაგრამ... იქ თუ დამინახეს... მორჩა, მიწაზე შეიძლება რაღაც მოვახერხო, იქ...

წინა მხრიდან მომავალი ფარნიანი დათოს უახლოვდება. ფარნის შუქი ტენისის ბურთივით ხტის, მყის იცვლის ადგილს.

- საით წავიდე? - არა, ვერსაით ვერ წავალ, უკვე საშიშია, ყურადღებას მივიქცევ. ჯობია, ისევ აქ ვიყო.

ფარნიანი უახლოვდება. ფარნის შუქი კი ხელმარცხნივ, სულ სხვა მხარეს, ანათებს.

- აქეთ რომ წამოვიდეს?

- გიგი, გიგი, რას შვრები? - იძახიან დათოს ზურგს უკან მდგომნი.

- აქა ვარ, - ოდნავ დაყოვნებით უპასუხა გიგიმ.

- გიგი ყოფილა, გიგი მიახლოვდება. მესვრის?

გიგი სწორედ აქეთ წამოვიდა, დათოსკენ.

- შუქი! მთავარი ფარნის შუქია. მთავარია, ფარნის შუქში არ მოვხვდე!

აჰა, მოვიდა კიდეც გიგი! რამდენი ნაბიჯი იქნება? ხუთი? შვიდი? ხუთი, ხუთი ნაბიჯი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ხევებს მიანათა, თავად კი დათოსკენ გადმოდგა ნაბიჯი. დათოს კარგად ესმის როგორ ხრაშუნებს თოვლი მისი ჩექმის ქვეშ. ერთი... ერთი ნაბიჯი... ოო-ოორი... ოორი ნაბიჯი...

– გავიქცე? – არა, არა, ახლა გაქცევა ნაღდი დაღუპვაა... – სუნთქვაშეკრული წევს... სუნთქვა არ შეიძლება, ახლა სუნთქვა სასიკვდილოა. აჰა, მეს... მესამე ნაბიჯიც... გადმოდგა... მოვიდა, მოახლოვდა...

გიგიმ ფარნის შუქი ისევ მიმოატარა. იქეთა მხარეს ათვალიერებს. – მესვრის? თუ პირდაპირ წამოვიდა, შესაძლოა, თავზეც დამადგას ფეხი.

და დათომ ინანა. აგერ, ხელმარჯვნივ, სულ რაღაც ხუთ ნაბიჯზე დიდი ლოდი აგდია.

– იმ ლოდს მაინც ამოვეფარებოდი... თუმცა, არა!

გიგი ლოდისკენ გაემართა, მოათვალიერა. ისევ დათოსკენ მიბრუნდა, წამოვიდა... ზედ დათოს თავთან შეჩერდა. აი, მისი მოკლეყელიანი ჩექმაც. დათო ლამის ჩექმას ყნოსავს...

– არა, ახლა განძრევა არ იქნება... იქნება მხედავს კიდეც? შეუძლებელია არ მხედავდეს... მხედავს, მაგრამ არ მამჩნევს, ასე უნდა, ახლა წავა, გაივლის.

ფარნის შუქი დაიძრა. აქეთ მოდის, დათოსკენ... კიდევ ცოტაც და... შუქი სწორედ მას დაეცა, დათოს!

– ოხ შენი, ხომ გიპოვე! – შესძახა გიგიმ და მარჯვენა ფეხი სახეში ამოარტყა, ფარანი, მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა, მაგრამ ვიდრე ავტომატს მარჯვენა ხელში მოიქცევდა, ვიდრე ავტომატს შემართავდა, დათომ ორივე ფეხში სტაცა ხელი. მაღლა აზიდა, გიგი ამოტრიალდა, მიწაზე მოადინა ზღართანი. დათო გიგის მკერდზე დაახტა, ხელებში სწვდა, იგინებოდა, სისხლს აფურთხებდა, ბრაზი ახრჩობდა, გიგის ხელების შეკვრას ლამობდა, გიგიმ კი ერთი ამოიკვნესა და შეეკვრევინა, არ გაუძალიანდა. ავტომატი გვერდზე ეგდო, ხელმარცხნივ, ფარანი აქეთ, თოვლში ჩავარდნილიყო, ფარნის სხივში თოვლი ბზინვარებდა.

– გამიშვი, რა, გამიშვი, ვითომ არ გინახივარ, წადი, წადი, იარე, მეძებე! – დათო ამაოდ ცდილობდა გიგის ხელების შეკვრას. – რით უნდა შეეკრა, მაგრამ გიგი ხმას არ იღებდა, არც უძალიანდებოდა და დათოს სიჩუმემ დაუხშო სმენა – ტყეში გამეფებულმა ცივმა სიჩუმემ... ეს მაშინ მოხდა, როცა ფარნის შუქის არეში ჯერ ლოდზე, მერე თოვლზე გადაღვრილ სითხეს ჰკიდა თვალი. შავი, მოწითალო სითხე, ან იქნებ, წითელი, მოშავო სისხლი – ამდენი ვერ გაარჩია.

გიგის ლოდზე დაურტყამს თავი.

და დათომ იგრძნო სხეულზე კვლავ როგორ მოედო ოფლი. თითქოს ახლა, ამ წამში იგრძნო სიცივე, ყინვა. გახევებული დასცქეროდა გიგის და ვერ მოეფიქრებინა, რა გაეკეთებინა, როგორ მოქცეულიყო. მაინც ფარანს დაავლო ხელი, ჩააქრო და გაიქცა. რამდენიმე ნაბიჯი სირბილით გაიარა. მერედა მოაფიქრდა, რომ ახლა სირბილი არ იქნებოდა, ახლა სირბილი გამცემი იყო. კვლავ მიწას განერთხო, ხოხვით გავიდა ქუჩის პირამდე, მანქანას უკნიდან შემოუარა. ქუჩა გადაირბინა.

მთვარე აღარსად ჩანდა. კვლავ თოვდა, მცირე ქარიც ქროდა, თოვლის ფანტელები გახურებულ შუბლს უგრილებდა.

არასოდეს, თოვლი არასოდეს ყოფილა ესოდენ სასიამოვნო.

აბრამი ლოგინიდან წამოდგა თუ არა, სიცივე ავი მეზობელივით ეძგერა. ფანჯარაში გადაიხედა. კვლავ თოვდა. ასეთ ამინდში ბეითქნესეთში წასვლა საშიშია – შესაძლოა, ყინულზე ფეხი ისე მოგიცურდეს, შინ სხვებმა მოგიყვანონ. არა, ასეთი დიდთოვლობისას, დილაადრიან – ეს-ესაა ირიჟრაჟა – გარეთ გასვლა არ იქნება, მაგრამ...

– მე შეიძლება უჰუროდ გავძლო, იმის სულს კი ვერაფერს მოვაკლებ.

აბრამი, ცხადია, დილა-საღამოს ლოცვას არ აკლდებოდა, მაგრამ ასეთ ამინდში სინაგოგაში წასვლას უთუოდ მოერიდებოდა ბერიკაცი, რომ არა ერთი გარემოება – 19 ადარი* მისი მასწავლებლის – აბესალომის გარდაცვალების დღეა. მიცვალებულს კი ყოველ წლისთავზე, თითქმის მთელი კვირის განმავლობაში სულის მოსახსენიებელ ლოცვას – კადიშს – აღუვლენენ შვილები, ეს ლოცვა წაადგებაო მიცვალებულის სულს.

აბესალომის შვილთაგან მხოლოდ ერთი – იოსებიღაა ცოცხალი, მაგრამ რა ხანია სინაგოგას არ გაჰკარებია! წვერი მკერდამდე მოუშვია. გრძელ, ლამის მკერდამდე ჩაშვებულ წვერში საჭმლის ნამცეცები ეყრება და ყროლის სუნი ასდის. ხალხში თითქმის არ გამოდის. დროდადრო თავისი მაღალჭერიანი სახლის სიახლოვეს თუ დაინახავენ – ჯოხის ბაკუნით ჩაივლის ხოლმე. თან რაღაცას ბუტბუტებს. ზოგი ამბობს, იგინებაო, ზოგი – იწყევლებაო. შვილი არ ჰყავს. ვიდრე ახალგაზრდა იყო, ვიდრე ძალა მოსდევდა, თავის წიგნებს ალერსით გადაუსვამდა ხელს და იტყოდა: „აი, ჩემი შვილები!“ მეუღლე – როზალია მიხაილოვნა კი დასძენდა: „ვითომ რით არიან ცუდი შვილები?!“

ეს აღრე იყო, 30-40 წლის წინათ. ახლა კი

- - - - -

* ებრაული კალენდრის ერთ-ერთი თვე. დაახლოებით თებერვალ-მარტს ემთხვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როზალია გაიძახის: ქართველებმა კომუნიზმს უღალატეს და ღმერთი სჯისო. ქმარს კი ჩასძახის: ჩვენ ისევ დავბრუნდებით, შეუძლებელია კომუნიზმმა არ გაიმარჯვოს, პოემები ისევ დაგვჭირდება, დღეც უნდა შრომობდე და დამეცაო.

ერთ დროს „ეკლესიასტეს“ დიდებული მთარგმნელი კი სულით და გულით აგინებს ცოლს. ქართულად ერთხელაც არ შეუკურთხებია, ვაითუ, ვერ გაიგოსო, - სულ რუსულად აგინებს. მეზობლები ამბობენ, არც როზალია მიხაილოვნა რჩება ვალში, ქმარს ისე გულიანად უკურთხებს, უბნის ბიჭები ხარხარებენ და იმახსოვრებენო.

აბრამმა იცის რაგვარი ცხოვრება აქვს იოსებს, ისიც იცის, რომ იგი მამის სულის შემწე არ არის. ამიტომ მასწავლებლის იმქვეყნიურ ყოფაზე ზრუნვა თავად იდო თავს.

აბრამმა ფანჯარაში კიდევ ერთხელ გადაიხედა. კვლავ ხვავრიელად თოვს.

- რაც უნდა მომივიდეს, უნდა წავიდე! - თქვა და ჩაცმას შეუდგა.

აბესალომის გახსენება სინანულს ჰგვრიდა აბრამს: როცა აგონდებოდა ფურიმის წინა საღამოს როგორ მივიდა მთავარ რაბინად ქცეულ აღმზრდელთან და მომისმინეო, სთხოვა, სიწითლე ერეოდა.

- რამ მათქმევინა, ისა სჯობია უბრალო, ჩვეულებრივი მასწავლებელი იყო, ვიდრე მთავარი რაბინი-მეთქი!

ამის მოგონებაზე შუბლზე ოფლის წვეთები ასხდებოდა. ეწადა საკუთარ თავს გაქცეოდა, მაგრამ აბრამი როგორ მოახერხებდა იმას, რაც ვერავის მოუხერხებია?!

- რა მექნა... ვხედავდი როგორ ვერ ხდებოდა მეათე კაცი, თუმცა, მეც მეათე კაცის სულისკვეთებით მზრდიდა, - თავს იმართლებდა.

მას შემდეგ ლამის ორმოცდაათი წელი გავიდა - სადაც უნდა ყოფილიყო აბრამი, როგორც უნდა ყოფილიყო, აბესალომის გარდაცვალების წლისთავის დღეებში დილა-საღამოს სინაგოგაში მიდიოდა და მასწავლებლის სულის მოსახსენიებელ ლოცვას აღავლენდა.

ჩაიცვა, პალტოს რომ დასწვდა, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. აბრამი გაოცდა: ამ დილაადრიან ვინ უნდა სტუმრებოდა?! გაირინდა. დრო ისეთი იდგა, როცა ადამიანი სტუმარზე მეტად ყაჩაღს ელოდა.

ისევ დააკაკუნეს, უფრო ძლიერად.

- ძია აბრამ, ძია აბრამ!- ჩურჩულით ამბობდა ვიღაც.

იცნო. დათოს ხმა იყო.

კარი სწრაფად გააღო.

- რა ამბავია, ხო მშვიდობით ხარ! - შესძახა და დათოს შეავლო თუ არა თვალი, მიხვდა რაოდენ უადგილო იყო ეს შეკითხვა - მოდი, შემოდი, შვილო, აქეთ! - სავარძელთან მიიყვანა დათო, შიგ ჩასვა - მაგრამ სანამ შენ იტყოდე რამეს, გეტყვი: ყველაფერი კარგად არი: ცოცხალი ხარ, სული გიდგას, სიარულიც შეგიძლია და მეტყველებაც. დანარჩენს, ღვთის შეწევნით, ყველაფერს მოეძლება.

როგორც იქნა, მოვიდა, როგორც იქნა, მოაღწია აბრამის სახლამდე. ახლა აბრამი მის წინ, ნაცნობ, გაცრეცილ სავარძელში თავდახრილი ზის. კარგა ხანია ფიქრს გაუტაცნია. დათოს კი მწარე ფიქრი დასტრიალებს თავს. რა იღონოს, როგორ იცხოვროს, რა გზა აირჩიოს, საით წავიდეს. აბრამის რჩევას მისდიოს - დატოვოს საქართველო?

- ასე იქნება, მუდამ, ასე იქნება! თქვა აბრამმა.

დათომ ვერაფერი გაიგო. აბრამს მიაჩერდა. ეკითხებოდა, რა მითხარიო. - სწორად არ ცხოვრობთ, შვილო და ამიტომ სულ ასე იქნება! არსებობს ორი გზა ცხოვრებისა - გზა ღვთისა და გზა... - აბრამმა ფრაზა აღარ დაამთავრა, ხელი ჩაიქნია.

- ვიცი მე ეგ გზა, ათასჯერ გითქვამს, მაგრამ...

- რატომ, რისთვის არის ჩვენში მეათე კაცი ღირსეული? განა მხოლოდ იმიტომ, რომ მის მომლოდინე ცხრა მლოცველს მდგომარეობას უმსუბუქებს. ბოლოს და ბოლოს, ეს მეათეც გამოჩნდება, შემოეხეტება ვიღაც სალოცავში და ლოცვაც დაიწყება - ეგ არ არის მთავარი. მთავარია, მეათე კაცის ფიქრით ცხოვრება - როცა კაცი მეათეს მომლოდინე ცხრა კაცზე ფიქრობს, იგი ფიქრობს ხალხზე, ქვეყანაზე, ესე იგი, ღვთის გზით დადის. თქვენ კი არც ლოცვა გინდათ, არც ხალხზე და ქვეყანაზე ფიქრი, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობთ, საკუთარი თავი გაიხადეთ ღმერთად. ამიტომ ხართ მარტონი და სულ ცარიელნი, დღევანდელი გახარებთ, ხვალე არა გაქვთ, - აბრამმა ბოლო ფრაზა თითქმის ბრაზით წარმოთქვა და გაჩუმდა.

ოთახში კვლავ სიჩუმე გამეფდა.

დათო შეაწუხა ამ დუმილმა, სხეულში სიმხურვალე იგრძნო.

„დღევანდელი გახარებთ, ხვალე არა გაქვთ!“

რა საშინელი დუმილია! დათოს ყურში უწივის ეს დუმილი. ვერ გაუძლო, წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა. სივრცე ეწადა, სივრცე ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა. არ იყო სივრცე, - ირგვლივ ნისლი ჩამოწოლილიყო - უძრავი, სქელი ნისლი. მოეჩვენა, რომ თავადაც ნისლში იყო გახვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღელვის ხის ძირში მამალი დაინახა. საიდანღაც გადმოხტა. ფრთები გაშალა, გაიფხორა და იყივლა. თითქოს ამ ყივილს ელოდაო, მეორე მამალიც გაეხმიანა.

ჯერ ერთი დაიყივლებდა, მერე - მეორე. სამყაროს ამცნობდნენ, რომ ისევ განცალკევდა დღე და ღამე, ისევ მოვიდა დღე.

მამლებს ძაღლი შეეხმიანა.

უკვე დღე იდგა, მქრქალი დღე... თოვდა.

- მამლები... ძაღლი... ისევე ყივიან, ისევე ყეფენ, როგორც ადრე, ისევ ისე თოვს, როგორც ძალიან დიდი ხნის წინათ, ადრე, სულ ადრე! ისევე მოვიდა დღე, ისევ წავიდა ღამე... მაშ, რა არის ახალი?

დათო მიხვდა, რაც იყო ახალი და გააჟრჟოლა. ლამის კანკალმა აიტანა:

- ურწმუნოება, უსიყვარულობა გტანჯავთ თქვენ და ამიტომ სულ ასეთი ცხოვრება გექნებათ - დაულაგებელი, აწეწილ-დაწეწილი! აბა, სცადეთ და იცხოვრეთ რწმენით! მალე, სულ მალე იგრძნობთ, რა მთლიანია ადამიანი და ქვეყნიერება... - აბრამს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია.

- კი მაგრამ, რა, ეგ მეათე კაცები არ ასცდენიან ღვთის გზას? - იკითხა, მაგრამ ახლაღა შეამჩნია, - აბრამი ლოცვად დამდგარიყო, ცისკრის ლოცვა დაეწყო. აბრამს, ცხადია, ლოცვა არ შეუწყვეტია, კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო: ვერ გავიგე, რას მეკითხებიო.

- ეგ მეათე კაცები არ ასცდენიან-მეთქი ღვთის გზას?

აბრამი ყურადღებით დააცქერდა დათოს, გაიღიმა, ჯერ თავი დაუქნია, მერე მხრები აიწურა.

დათომ მის ჟესტში კარგად ამოიკითხა:

- კი, ეგრეც ხდება, ადამიანები ვართ, შვილო, ჩვენ!

აბრამმა ლოცვა განაგრძო.

დათომ კარგად იცოდა, სად ალაგებდა აბრამი ლოცვანთა წიგნებს. მივიდა, აიღო, გადაშალა და დილის ლოცვანის პირველი მუხლი წაიკითხა:

- კურთხეული ხარ, უფალო, ღმერთო ჩვენო, სამყაროს მეუფევ, რამეთუ განსახე ადამიანი.

ღმერთო, სუფთაა სული, რომელიც შთამბერე მე. შენ წარმოქმენ, შენ განსახე, შენ შთაბერე იგი ჩემში. შენ იცავ მას. ჩემგანვე მიიღებ მომავალში... სანამ სული ჩემშია, მე ვარ მადლიერი შენი, უფალო ღმერთო, ჩემი მამების ღმერთო... ქმნილებათა მბრძანებელი ხარ, სულთა უფალო, არსებათა გამგებელო, უკვდავო და მარად არსებულო...

დათომ ფანჯარას მიაპყრო მზერა:

კვლავ თოვდა.

კვლავ ყიოდა მამალი.

კვლავ ყეფდა ძაღლი.

დასასრული



# ეთერ თათარაიძე



საყუნწურა'ებ დასცვეთი კარებს,
სიბერემოყრილს ტან შლად შეზდგომი,
მწვანედ მოსინულ რვალის ვაშრაპა'
ფეჭდუ'დგმელ ბალახ კიბეს შეშჭკნობი,
ჩირჩილს ჩუ'კაფავ სკლატის ჩოჭაი-დ
ჭიას ჩუ'ფქვავის კიდობნის ფიცრებ,
ცის ჭეხას გულმკერდ დუ'ბზარავ კედლიზდ,
ხანჯარნ უქმობენ, წინავ პირფიცხებ,
სიდა'მ ერქვან ლგდი ნათოვი-დ ნაწვიმ,
ცხვაგან მაყოი, ღერ-ღერად გაშლილ,
ლანგობით ხყუდავ ჩიკა კუთხეში,
ი'ქავ საჩეჩელ, ბერკმილებჩაშლილ,
ჩალიან ტახტ დგას, თაგვის ნაფუტკვა',
გძელ კედლის მეჭი, წელში გატეხილ,
ბოხრისთავ ხყუდავ მჭვარტლშემრჩალ ლამფაჲ,
ბოხარში – კუნძი, მეხის გაჭეჩილ,
ხოკერში აწყვი ტარ-სახრულ მდუმარ,
აკა'ხმებს უქსლოდ ლაზათ დახკარგვი,
ჩიხრიხ ზის მუჭლებწაჩოქილ უბრად,
ნაგრ-ნუგრეხ თოკისკ ჭელებ გაზძაბვი,
პირმშრალ აპირქვავ საერბოე დურკ,
ჩხუტიც ბებერა'თ ქსელს აქვ მოსარკულ,
შავ ყავრეებში ნასამკაულებ
ბებოსი-დ პაპის ჯვარ ჩინს მობანტულ,
საჩოხმახეში არა-არ ირჩევ
მტვერმინაშალა', პირებმოჯანგულ,
ჩი'ბჟირებისა-დ გაგუვდებ კარებ
ერთდროს მომღერალ მოფანდ-მოჩანგურ,
გაშარავნდების ზღვიან კართანაჲ
წმიდად ნაშენებ ყორემოსარკულ,
წავ-გადავალის, მიწას ჩე'ხვევის
უპატრონობით გამცვდარ-მოქანცულ.

დაზერი, დიდკალტეო?
ჭირხლ გხვიავა ჭაგირო?
ვინალ დაგეპატრონათ
პლატოი ან ადიროჲ?
გახჭეტდი, ქაჩუს თავო?
გამი'შალე, ნადირო?
ლიბუ ხო არა დაგეძრ,
ბაქანეო, ნაკირო?
ან შენ რა'ს გუნებას ხარ
ნაპირისცრის ნაპირო,
ბერიკა'თი-დ გულუხა'თ
ნაკვალა'ებ ნაწირო?
ან შენ, აშტო-კარატევ,
ილბლიანთად ნაწილო?
შენა, მთვარევ, დაშვერი,
მრეშ ღურბლებში ნაძირო?

მზეო, შენ სიალ დი'კარგ,
ნადიდგულარ-ნაძვირო...

იგრ ვარ, რაგვერც ცალად მრჩალ
ცას მინაბამ წეროჲ,
იმედნაწრეტ, ულონოჲ,
მჭრებით დარ-ქართ მჭრელოჲ...

რა გადამწკლიტ, სოფელო,
უსიგძ-განოდ ჭრელო.

ემაგ ეკლესიითაჲ ,
ერთ მთის გადაბრუნებით,
ჩემ მამიდა ღმარხავ...

გაზაფ-გაზაფხულობით
იმის მდუმარ სამარეს
ენძალა'ებ ხქარგავ.

დედო, ნეტა ჲამ ცა-ღურბლის ხასიეთსა-დ ატანას,
დედო, ნეტა ჲამ ჭევ-ჭალა'თ ძალ-ღონესა-დ წატანას,
დედო, ნეტა ჲამ ველ-მინდვრის ბარაქასა-დ სიმდიდრეს,
დედო, ნეტა ჲამ მთა-წვერის სიმაღლესა-დ სიდიდეს...

---ნეტა მაგათ იციანა, ჰა, ჩემ დედო,
დედის ნატვრაჲ ან შორს ყოფნის სიმძიმეჲ...

– თვალ თვალში არ გამიყრი,
ვერ ვუბედიდ რადამ...
სიტყვა არ შემიქციავ,
დავმუნჯდიდიდ რადამ...
გზაში რო მყრი, ვბრუნილვარ,
ავთირთოვდიდ რადამ...
– გყვარები, ქა, გყვარები,
რა'ილ რადამ, რადამ!

დეკის ფურცლის ფერა' იყვ,
ბაგით ლალის მფენ,
ანგელოზების სწორ,
იმათთანავ მფრენ...

მიწამ შეჭამ ისიცა-დ
გაჭად ფეჭის მტვერ.

სულთპეპელა'ს ნუ მოხკლავთავ, იციან,
თვარამ სულეთს წაგიყვანსავ, იციან,
თავაც ცოტა' ხნის სიცოცხლე ნარგენივ,
წამის წართმას არ გარჩენსთავ, იციან.

"მთებ რა'გვერ არიანავ?"–
გუშინას ეხკითხ ყუდია'ს,
დაფეთებულმ შემომხედ:
„ჰა? ჰო... ხყუდიანავ...
ყველა'თ გაწირულებივ,
ლოდნას თვალებდამშრალნივ,
ბალახნამყავერ ბილიკნივ
კაცის კვალს ნატრულებივ
ხყუდიანავ"... მითხრ
დაფეთებულ თვალებით,
გაკვირებულ ყუდია'მ.

მაშუქა' გვენთის შუას,
მეჯზე ხალიჩ-ფარდაგებ...
– ვარდისფრად ვინათიით,
არა, ქა, რა' ჯანდაგებ!
კოდებ ქერით სამსვია',
ჩავით ამსულ ჭანგა'ებ...
– არა, ქა, რა' მარცხვინა,ნ
თავის სწორთზე ჭარბა'ებ!
ტახტებ მშრალ ჩალით ამსულ,
ზედ ჟღალისფერ ნაბდა'ებ...
– არა, ქა, რა' უსაქმონ,
ჭრელნაზდიან აბგა'ებ!

იაგთა' ყოფა გავლილნ ვართ,
იაგთა ცხორებ-ამბა'ებ...

ამოხვედი-დ ჩახვედი, ჩემ თვალმუ'წვდენელა'ად,
ნაწიდარში ღოლოო?
ჩაგტეხესა-დ დანამბალ გემრიელად გჭამესაჲ,
დანატრებულ ყოლოო?
მელოდინე-დ განამწყრალმ თავ გი'გიჟე-დ გაღვეშდი,
ჩანაჩუმარ ფონოო?
ჩაგფუთესა კერა'სთან, აჟჯეჯილდი-დ გასფუვდი,
გაფქვიესა, ფოროო?
ხავს-ჯანგა' მიიფინე, აღბალახდი-დ აჟჯინჭრდი,
დანაბერალ ჰოლოო?
მელოდინე-დ ჩი'ლღვიე, მიწის გულის გალბობად,
ბექ-ბუქებში ჭროლოო?

ბებერ ციხის კედელზე ეკიდე, გვირილაო,
ნიავ-ქარის მყოლოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივ,
ოთხივ,
ექვსივ,
ვითვლიდ შლილ ფთებს მერცხლის,
ჭიკ-ჭიკ,
ჭიკ-ჭიკ,
ჭიკავ,
წყლად გადი'ქცნეს ვერცხლის.
ერთივ,
ორივ,
სამივ,
მარცვლებს ვუბნევ ცვერცის,
ფრია,
ფრია,
ფრია,
ცას შე'ნარცხნეს ცეცხლის...

ჩიტ რო იძახს წიავ,
რო მი-მოდის ნიავ,
რო ამოდის იაჲ...
სრულ წუ'სვლელა' წინავ –
ჲახლ სიდ გამიქრ, სიდ?

აღარსი გძელ აივან,
ცივ-ცივ მარნის ღვინით,
აღარც წელში გადრეკილ
ოსე პაპის ღიმილ...

თავწილა' ჩიტ მიძახის
დილ-დილაობის თავა':
გამოდივ, გამომყევივ,
მზე ამოიდავ, ჩავავ,
ცას ღილად ვერ შევემბით,
ჩვენ წილ დღეებიც წავავ...

თავწილა' ჩიტ მამთხილებს:
მზე ამოიდავ, ჩავავ.

ამოვიდოდ, ჩავიდოდ,
პირმზიანში ზიანა',
აჩქამდებოდ, ჩაცხრებოდ
ჰაგირის წყალ ჭკვიანა',
ცას შა'სქდებოდ, დაშერებოდ
ცასწავალა', თბიანა',
იჩახჩახებდ, ჩაჰქრებოდ
კენტ მასკვლავ, თვალმზიანა',
ამოჰქრებოდ, ჩაჰქრებოდ
მთვარე მქრქალი-დ მცივანა'.

ბებო მესიზმრ თავს კუჭურა'დადგმულ,
მოდიოდა-დ მოხქსოვედ რუჟღფერ წინდა'ს,
ჰელ გამე'ყარ სანაზდია' ჩანთიზდ,
პატარზლობას რო მე'წიკწიკ წმიდა'დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კობა ცხაკაია

## ლილიპუტების ქალაქი

ომი ჩრდილოეთიდან მიუახლოვდა ქალაქს. ქალაქელებს ეგონათ, როგორც ადრე ხდებოდა, ახლაც ისევე აუვლიდა გვერდს ათასწლოვანი ციხესიმაგრის ნანგრევებს და მდინარის ჩქარ დინებას გაჰყვებოდა, შემდეგ კი ხანგადასული ხომალდივით მკვდარი ზღვის ტალღებში ჩაიძირებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა...

ახალი წელი ახლოვდებოდა, ამიტომ საჩუქრების შეძენაში გართულმა ქალაქელებმა, ვერც კი შეამჩნიეს, როგორ გაიქლინთა, ჯერ ჰაერი, შემდეგ კი ყოველი ადამიანის ფილტვები საშინელი ავადმყოფობით, რომელსაც ომი ერქვა.

ქალაქის მთავარი კარი მამლის დაყივლებისას იღებოდა. ეს ის დრო იყო, როცა ჰორიზონტზე ცისკარი ოქროსფერი ძაფივით აინთებოდა და ნახევარ ქალაქს ბებერი მთების ჩრდილს გადააფარებდა. სწორედ ამ დროს დაიფურთხებდა ხელებზე ქალაქის უხუცესი შვეიცარი და ფოლადის სახელურს ჩაავლებდა ხელს.

- აქა მშვიდობა! კიდევ ერთი დღით დავბერდით, კიდევ ერთი დღით გავიზარდენით! - ჩაიჩურჩულებდა და კარიც აჭრიალ-აკრახკრახდებოდა, ამუელდებოდა, ახრიგინდებოდა და გამოაჩენდა ენასავით გრძელ და იმედებივით სადღაც მთებს იქით გადარკალულ საქარავნე გზას.

იმ დღეს ომი ისე შემოვიდა ქალაქში, რომ ქალაქის მთავარი კარი არც კი გაღებულა. მან სქელ ფენად გამოჟონა გალავნის სათოფურებიდან და ათასნაირი ჭუჭრუტანა-ღრიჭოდან, მერე იქვე ქვაფენილზე დაგროვდა და შრაშუნ-შრიალით, ჩიფჩიფით გაცოცდა ქალაქის ყოველი კუთხისკენ, შენობისკენ, ეზოსკენ, ბინისკენ და ყოველი მოქალაქისკენ. დილის შვიდი საათისთვის ყველაფერი ომით იყო გაჟღენთილი, ჰაერში მოფარფატე პეპლებიც კი.

მისი მოსვლა ყველამ გაღვიძებისთანავე იგრძნო. აივნებზე და სახურავებზე გამოფენილი ქალაქელები, შიშატანილი ღიმილით შეჰყურებდნენ ქუჩებზე, მოედნებზე, ბაღებზე და სახლებზე დაფენილ, ომის მოლურჯომოყვითალო ტალახივით სქელ ბინდს და არ იცოდნენ, რა ექნათ, რადგან ყველას ეგონა, ომი სროლითა და ყვირილით მოვარდებოდა, ის კი უხმოდ, ფრთხილად, თავის მსხვერპლზე მოთვალთვალე მშიერი ძლოკვივით შემოცოცდა მათ სულებში... მხოლოდ მაშინ, როცა დიდი საათის კურანტებმა ქალაქის ჰიმნი ჩამოჰკრეს და მოქალაქეებს ამცნეს ახალი სამუშაო დღის დაწყება, ადამიანები თავიანთ ბინებს დაუბრუნდნენ. ქუჩები კი, სიცარიელემ და მტვერმა გაავსო.

იმ დღიდან ომზე პირდაპირ არავინ ლაპარაკობდა, ომზე მათივე ლაპარაკი ლაპარაკობდა.

- აი, ბოლოს და ბოლოს დაიწყო! - შუაღამისას დაიყვირა ვიღაცამ; მისი ხმა დაცარიელებულ ქუჩებში შეშინებული გველივით გასრიალდა და მთელ ქალაქს მოედო. ქალაქელები ფანჯრებს მიაწყდნენ, მაგრამ ფარდების გადაწევა ვერავინ გაბედა იმის შიშით - ვინმემ არ მესროლოს და არ მომკლასო. ისინი თვალდახუჭულები იდგნენ დახურულ ფანჯრებთან და სუნთქვაშეკრული ელოდებოდნენ... ომის დაწყებას! მათ ესმოდათ ერთმანეთის სუნთქვა, მაჯისცემა, გულის გაუთავებელი ბაგა-ბუგი, ესმოდათ თუ როგორ ჭრიალებდა იატაკი ფეხისგულებქვეშ. ყველა გრძნობდა, როგორ ფეთქავდა მათ ძარღვებში ბლანტი, მოლურჯო-მოყვითალო სითხე - ომი...

„ომისათვის ქალაქელები ორ კატეგორიად იყოფიან - მკვდრებად და მოსაკლავებად! გთხოვთ, ჩაეწერეთ სიაში" - ასე ეწერა ყველა იმ ბარათში, რომლებიც შეშინებულმა მოქალაქეებმა მიიღეს ახალი წლის პირველ დღეს. - „მე მუდამ თქვენთან ვიქნები ყველანაირი სურვილებით; ომი!" - ცეცხლოვანი ასოებით იყო ამოტვიფრული წარწერის ქვეშ, მაგრამ ეს ამბავი არავის

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაკვირვებია; გაკვირვება ომიანობის დროს ზედმეტი ფუფუნებაა, ამიტომ ქალაქელებს უფრო გარდაუვალი აღსასრულის შეგრძნება დაეუფლათ, ვიდრე სხვა რაიმე...

– რა ვქნათ? – იკითხა ქალაქის მთავარმა აფთიაქარმა მერიაში გამართულ საახალწლო ვახშამზე, რომელსაც ქალაქის თავი ყოველწლიურად მართავდა და რომელიც განთქმული იყო ეგზოტიკური კერძებით – შებრაწული ნიანგის ნეკნებით, მანგოს წვენში ჩაწყობილი კენგურუს მოხარშული გულღვიძლითა და იხვნისკარტას საცივით, – მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, რადგან ყველას მხოლოდ თავისი ყბების ტკაცუნი და ტუჩების წკლაპუნის ხმა ესმოდა.

– რა გვეშველება? – ისევ იკითხა აფთიაქარმა, როცა ქალაქის თავთან ერთად საახალწლო აფიშისათვის იღებდა სურათს, რომელიც შემდგომ უპატრონო ბავშვთა სახლებსა და უფასო სასადილოებს უნდა დარიგებოდათ ათ კილო კამფეტ „კიბოს კისერთან“ და ათას ცალ შებოლილ თევზთან ერთად.

– მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ომია, ხალხს წამლები სჭირდება, წამლების საყიდელი ფულით კი, თქვენო აღმატებულებავ, ნადიმისათვის კერძები შეგიძენიათ?!

მერმა უსიამოვნოდ გახედა აფთიაქარს, თეთრი ქათქათა თმები კეფაზე გადაივარცხნა და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა: – წამლების შოვნის უამრავი საშუალება არსებობს, ჩემო მეგობარო!

– ადამიანები, მართალია, მაინც დაიხოცებიან, მაგრამ ცოცხლებს სიცოცხლე უნდათ! – არ მოეშვა აფთიაქარი.

– ნამდვილად ღირსეული კაცი ხარ! სწორი არჩევანი გამიკეთებია, ჩემმა მზემ, ამ ადგილას რომ დაგნიშნე! რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ უაღრესად სწორ საკადრო პოლიტიკას ვატარებ! უახლოეს დღეებში დამსახურებულ ჯილდოს ელოდე! – მხარზე ნაზად გადაუსვა ხელი მერმა და წასვლა დააპირა.

– კი, მაგრამ?!

– რაც შეეხება ცოცხლებს, სიცოცხლის უამრავი საშუალება არსებობს! არსებობს სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც კი!

– ბევრი საინტერესო იდეა გქონიათ, მეტრრ! – გაიღიმა აფთიაქარმა.

– ჩემი სკამის სიმაგრე იდეების სიმრავლით განისაზღვრება! – ქუსლი-ქუსლს შემოჰკრა მერმა, ოქროს აქსელბანდებმა მის მუნდირზე უსიამოვნოდ გაიჟღარუნეს.

– იდეების სიმრავლე უიმედობის პირველი საფეხურია! – გაიფიქრა აფთიაქარმა და ფინჯნიდან გაციებული ყავა მოხვრიპა...

– დავაჯილდოებ პატიოსნებისთვის... და, თუ ერთ წელიწადში არ ჩაძაღლდა, დავიჭერ – ზედმეტი კრიტიკისთვის! – გაიფიქრა აფთიაქარზე ქალაქის მერმა, როცა ძილის წინ აივანზე გამოსული ჩაბნელებულ ქალაქს უყურებდა, – რატომღაც ეს ინტელიგენცია ყოველთვის ოპოზიციაში მიდგას... სამწუხაროდ, ალბათ, ეს მისი აუცილებელი მდგომარეობაა!

ქალაქის მთავარი კარი მამლის დაყივლებისას იღებოდა საშინელი ხმაურით, ღრჭიალით და გორავ-გორავით და მთელ მოსახლეობას აღვიძებდა. ყოველი მერი, რომელთა რაოდენობა ქალაქის დასაბამიდან დღემდე უთვალავი იყო და ხალხი მათ უბრალოდ „ლეგიონს“ ეძახდა, თავისი საარჩევნო კომპანიის დროს ყოველთვის პირობას დებდა, რომ აუცილებლად გაპოხავდა კარის გორგოლაჭებს, კბილანებს, ზამბარასა და შემაერთებელ ჯაჭვს, მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება, თავები ივიწყებენ იმ დაპირებებს, რასაც სხვა თავებს აძლევენ... ამიტომ კარი ისევ ისე ჭრიალებდა და ხრიგინებდა. თუმცა იყო მერებს შორის ერთი, – მაღალი, თხელი წაბლისფერი წვერით, ქალაქში თავისი თორმეტი თანამოაზრით რომ მოვიდა და იმწუთსავე დაიპყრო ქალაქელთა გულები; მისი ღარიბული ჩაცმულობა, სახედარი, რომელზე ამხედრებულიც ნახეს ამომრჩევლებმა და განუმეორებელი, გულშიჩამწვდომი ხმა ყველას სასიკეთოდ და მოწიწებით განაწყობდა, ხალხიც, თავდაჯერებული ავსებდა მის სასარგებლოდ საარჩევნო ბიულეტენებს. მან თავისი ხელით დაზეთა გორგოლაჭები და შემაერთებელი ჯაჭვი, ვეშაპის მუცლის ქონით გაპოხა ათასწლოვანი ჭანჭიკები და, რაც მთავარია, შეღება კარი, ზეციური, ენითაუწერელი სამოთხის ფერად... მაგრამ ეს იყო ლამაზი ოცნება, რომელიც დაახლოებით ხუთ თვეს გაგრძელდა. უხმაურობამ შეაწუხა მოქალაქეები, ვერ აიტანეს სიწყნარე, რომლითაც ქალაქი ხვდებოდა ცისკარს; ვერ შეეგუენ იმ სიმშვიდეს, რომელიც საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი გულისხმას ასმენინებდა; ვერ გაუძლეს სამოთხისფრად შეღებილ კარს და... ქალაქის თავი ჯერ თანამდებობიდან მოხსნეს, შემდეგ კი საერთოდ გადაასახლეს ქალაქიდან.

სახედარზე ამხედრებულმა მერადყოფილმა დაიბერტყა გაცვეთილი სანდლებიდან ქალაქის მტვერი, ღიმილით გადმოხედა იქვე შეკრებილ ხალხს და გულისტკივილით წარმოთქვა:

– მინდოდა, ახალი ცხოვრება წარმომედგინა თქვენთვის, მაგრამ არ მაცალეთ და... მეც წავაგე! რა ვქნა, ცხოვრება იყო და არის ჩვევების მარადიულობა!.. ვისაც უყვარს ოცნება ნათელ მომავალზე, ის დიდხანს არ ცოცხლობს! ამაში არავინ არის დამნაშავე... თუმცა ამაში ყველა დამნაშავე ვართ!

როცა მისი ზვიადი სილუეტი მთებს მიეფარა, ქალაქელებს თითქოს გულიც კი დასწყდათ, მაგრამ ამოოხვრის მეტი არაფერი გაუკეთებიათ... ამბობენ, ის განკვეთილი მერი, როცა უცხო ქვეყნის ქალაქში გარდაიცვალა, იქაურებს ისე ყვარებიათ, დიდი პატივით დაუსაფლავებიათო. საფლავის ქვაზე კი, მისი მშობლიური ქალაქის ენით დაუწერიათ ეს სიტყვები: – „თქვენ მიდიოდით მასთან, რათა დაგევიწყებინათ თქვენი გისოსები და გალიები, მაგრამ ვერ აპატიეთ მას ოცნება ნათელ მომავალზე..."

...ქალაქის ახალმა მერმა თავისი საარჩევნო კომპანიის დროს სრულიად ახალი პირობა წამოაყენა ქალაქის მთავარ კართან დაკავშირებით: – მოდით კაცურად ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე! მხოლოდ სიმართლე და სხვა არაფერი სიმართლის მეტი! – მტკიცე, ფოლადნარევი ხმით ლაპარაკობდა ის სახელდახელოდ მომზადებული ტრიბუნიდან, – მე ვთვლი, რომ ის, რაც ისტორიას ეკუთვნის, მას უნდა ეკუთვნოდეს!.. ყველა ქალაქს აქვს თავისი სახე, ისევე, როგორც ყველა ადამიანს! ამასთანავე, ყველას თავისი მცირე განმასხვავებელი ნიშანიც გააჩნია: ზოგს ხალი, ზოგს მეჭეჭი, ზოგს ლაქა აქვს... ჩვენი ქალაქის ნამდვილი სახე გალავნის კოშკებზე შემომჯდარი ანგელოსები იყო, მაგრამ, რა ექნათ, არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, გადამეტებულმა ექსპერიმენტატორობამ დაგვიფრთხეს ანგელოსები! დაგვიფრთხეს და რა ექნათ ახლა, გადავყვეთ ამ ამბავს? რამდენი ქალაქი ცხოვრობს ანგელოსების გარეშე, მერე ცუდად ცხოვრობენ? არ ცხოვრობენ! ჩვენ გვაქვს, ძვირფასო ხალხო, ის, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ. ეს არის უძველესი, მოჭრიალე კარი! ქალბატონებო და ბატონებო! ძმებო და დებო! შვილებო და შვილიშვილებო! ბოლოს და ბოლოს ამხანაგებო!!! ვინმეს თუ გახსოვთ ის დრო, როცა აქ, ამ უძველეს და ულამაზეს ქალაქში ეს კარი არ ჭრიალებდა?

– არა, არ გვახსოვს! – დაიგუგუნეს ამომრჩევლებმა.

– დიახ! – აგრძელებდა აზარტში შესული კანდიდატი, – კარის ჭრიალით იღვიძებს ქალაქი! კარის ჭრიალით ვიღვიძებთ ჩვენ, სიცოცხლითა და იმედებით სავსენი! ჭრიალი სიძველის ნიშანია! კარის ჭრიალი ჩვენი ქალაქის, მისი მოქალაქეების და, რაც მთავარია, მერიის ადმინისტრაციული სტრუქტურების უძველესობას ადასტურებს, რომელთა ისტორია ქვეყნის დასაბამიდან იწყება და დღესაც ჭრიალით გრძელდება! მადლობა ამ ქალაქს! მადლობა მოქალაქეებს! მადლობა ადმინისტრაციულ სტრუქტურებს! მადლობა კარს და მის ჭრიალს!.. და თუ საჭირო იქნება, მეგობრებო! თუ ეს თქვენ და ქალაქს დაგჭირდებათ, მეც დავიწყებ ჭრიალს!

– ვაშა! – დაიგუგუნეს ქალაქელებმა და ოთხმოცდაცხრამეტმა პროცენტმა ხმა მისცა ქალაქის ახალ თავს.

– ღმერთო ჩემო, ფიქრობდა გაოგნებული აფთიაქარი, როცა მიტინგიდან თავის პატარა აფთიაქში ბრუნდებოდა – ადამიანის საბოლოო მისამართია სასაფლაო, ქალაქისა კი, მაპატიონ ამ გამოთქმისათვის, ტუალეტი. ქალაქის ადამიანებისთვის კი სასაფლაოს ტუალეტი!..

ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ომი ღამით დაიწყებოდა ან განთიადისას მაინც, როცა ომის დამწყებთა სახეები არ გამოჩნდებოდა – „რადგან თუ შენი სახე არ გიჩანს, რასაც გინდა, იმას მოიმოქმედებ" – ფიქრობდნენ ქალაქელები, მაგრამ ის დღისით დაიწყო, როცა ბავშვები სკოლებიდან სამხრის სურნელით გაჟღენთილ სახლებში ბრუნდებოდნენ. არავის არაფრის შერცხვენია. სროლა ქალაქის მთავარ მოედანზე ატყდა. ომს ყოველთვის უყვარდა პომპეზურობა, რომელიც ერთბაშად დათესავდა პანიკას მთელ ქალაქში; არც ახლა უღალატია თავისი პროფესიული ჩვევისათვის, როცა ამბობდა – შიში ჩემი სილამაზეაო.

მოედანზე ძველი სკოლა, კინოთეატრი და ეკლესია იყო განლაგებული. დღის ამ მონაკვეთში მოქალაქეების ყველაზე დიდი რაოდენობა აქ იყრიდა თავს. ამ დღეს ატეხილ სროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მხოლოდ რამდენიმე კაცი დაიჭრა ორივე მხრიდან; ყველა ცენტრალურ საავადმყოფოში მოათავსეს. ქალაქი ნოკდაუნში ჩავარდნილ მოკრივეს ჰგავდა.

– როგორ არ გრცხვენიათ! როგორ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრცხვენიათ! – ბრაზობდა მთავარი მეფუნთუშე, როცა საავადმყოფოს სასადილოში ქიშმიშიანი ფუნთუშების ახალი პარტია მოიტანა, – ამას ვსწავლობდით? ამისთვის ვშრომობდით?!

– სირცხვილი მხოლოდ მშვიდობისას იღვიძებს მოკვდავებში! უკვდავებს კი ის სულაც არ სჭირდებათ! – მრავალმნიშვნელოვნად წარმოსთქვა სასადილოს მთავარმა მზარეულმა.

– კარგი ბატონო ჩემო, ეგ გასაგებია! მაგრამ ახლა, როცა ვგრძნობთ, რომ ყოველ წუთში შეიძლება ჩავიდინოთ ის, რაც... რაც გვინდა! – მთელი ძალით დაარტყა მუშტი მანქანას და მწარედ შეიგინა, – რა საშინელებაა, როცა შეგიძლია გააკეთო ყველაფერი ის, რაც გინდა?!

– ვისთვის როგორ, კოლეგავ! ვისთვის როგორ! – წარბები მაღლა ასწია მზარეულმა, – დღეს ერთ დაჭრილს ვკითხე, რატომ ომობმეთქი და იცით, რა მითხრა?

– რა გითხრათ, კოლეგავ? – დაინტერესდა მეფუნთუშე.

– ჩვენ კეთილი საქმის გაკეთება გვინდაო!.. მერე სიკეთე თოფით როდის გაკეთებულა-მეთქი?... უბრალო სიკეთეზე უკეთესი თოფიანი კაცის გაკეთებული კეთილი საქმეაო! ასე მითხრა, აბა!

რაც დრო გადიოდა, ადამიანები მით უფრო რწმუნდებოდნენ, რომ ომი მათ ქალაქში სამუდამოდ დასახლდა. სროლები დიდი ხანია შეწყვეტილიყო უბრალო მიზეზის გამო – ტყვია-წამალი აღარ იშოვებოდა, ამიტომ მოწინააღმდეგეები იძულებულები იყვნენ, ერთმანეთისათვის ცარიელი თოფები დაეშინათ. დილაობით გაიტენიდნენ მოედნიდან აკრეფილი ჰილზებით ჯიბეებს, შემდეგ კი ნაგვით სავსე ქუჩებში ომახიანი ყიჟინით დასდევდნენ ერთმანეთს, როცა ქანცგაწყვეტილ მოწინააღმდეგეს არც გაქცევის და აღარც ფეხზე დგომის თავი აღარ ჰქონდა, მას გამარჯვებული მხარე შურდულებით დაუშენდა ქანგმოდებულ ჰილზებს, რის შემდეგაც „დახვრეტილი" ოფიციალურად ცხადდებოდა გარდაცვლილად და მას, წესისა და კანონის მიხედვით, ძმათა სასაფლაოზე დაკრძალავდნენ, „გმირულად დაღუპულებიც" უდრტვინველად, სახეზე ნაზი ღიმილით და მკერდზე ორდენით ამარხვინებდნენ თავს, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა „მიცვალებულს" არავითარი სურვილი არ ჰქონდა კუბოში ჩაწოლისა, ასეთებისთვის დამკრძალავმა კომისიამ უებარი საშუალება გამოიგონა: „მიცვალებულს" მკვდარივით გამოათრობდნენ და მერე მშვიდად ასაფლავებდნენ. თუმცა ერთხელ ასეთი შემთხვევაც მომხდარა, „დასამარხავმა" თვითონ გამოათრო ზემოხსენებული კომისიის წევრები და ბოლოს იძულებული გახდა, თავისი ხელით წაეხოხიალებინა სასახლე სასაფლაოზე, სადაც, დიდი ჩხუბისა და გინების მიუხედავად, კუბოში ჩაჰყოლია კომისიის ერთ-ერთი წევრის ცოლი და მასთან ერთად, ასე ვთქვათ, დასამარებულა.

ბევრი უკვე შეჩვეოდა ომს და უიმისოდ ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა; იგი მოქალაქეების არსებობის საინტერესო ფურცლადაც კი იქცა.

– ჩვენს თვალწინ იწერება ისტორია! ირგვლივ ცხოვრების ტრაგედია თამაშდება და ჩვენ მისი კარგი მაყურებელი უნდა ვიყოთ! – კმაყოფილებით უჩურჩულებდნენ ერთმანეთს, რადგან არ უნდოდათ ხმამაღლა ლაპარაკით ახლად ჩათვლემილი ომის მყუდროება დაერღვიათ, – რვაასწლიანმა მშვიდობამ შვეიცარიას მხოლოდ გუგულიანი საათი გამოაგონებინა, ხოლო ორმოცდაათწლიანმა ომმა იტალიაში აღორძინების ეპოქა შექმნა! იქნება აქ იწერება ამ ათასწლეულის აღორძინების პირველი ფურცლები!

სხვები ამბობდნენ – ადამიანების ისტორია არის მუდმივი ბრძოლა ეგოისტებსა და ალტრუისტებს შორისო და რა მოხდა მერე, თუ მისი ეპიცენტრი ახლა ჩვენს ქალაქზე გადისო!

– კი, ყველაფრის გამართლება და განდიდება შეიძლებაო! – ამბობდნენ მესამენი, – მაგრამ ცხოვრება მარტო გონებით არ უნდა გაზომო. გრძნობებსაც უნდა ენდო! გრძნობები კი მხოლოდ ერთს ამბობენ, ჩვენ ვკარგავთ ადამიანობას! თუმცა, უნდა ითქვას, ომის გარეშე მშვიდობას ფასი არ ექნებოდაო!

– ქალაქელებო! ნუთუ ვეღარ ხედავთ, როგორ დაგვაპატარავა ომმა! – ეუბნებოდა აფთიაქარი წამლების საყიდლად შემოსულ ავადმყოფებს, – ჩვენ ყველანი ლილიპუტებს დავესმგავსეთ!

– ლილიპუტები არ არიან ყველაზე პატარები, რადგან ერთ დროს ისინიც ბავშვები იყვნენ! დამცინავად უპასუხა გულისმანკიანმა ავადმყოფმა და ყურში ჩასჩურჩულა აფთიაქარს, – მთავარია, რომ არწივებმა არ იყროყინონ, და ვირებმა არ იფრინონ!

აფთიაქარი ამ ხნის მანძილზე პირველად მიხვდა, რომ მარტო არ იყო.

ბევრმა ქალაქელმა ვერ გაუძლო გონებისა და გულის ასეთ დუღილს და გაიქცა. ამ დროს რომ გეკითხათ, რა იყო მათთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქელობა ან ქალაქი, ისინი გამწარებულები მოგაძახებდნენ:

- შიმშილი! ნაგავი! ხალხის თანმიმდევრული გამოთაყვანება და უიმედობა.

სწორედ უიმედობის იდეას ჩაეჭიდა ქალაქის თავი და ბიძამისისგან, „თხაწვერად“ წოდებული ლეგენდარული ბელადისგან „პოლიტიკასა და მასობრივ ინფორმაციაში“ მიღებული პირველი გაკვეთილი გაიხსენა. ქალაქის თავი მაშინ ერთი რაიონული გაზეთის რედაქტორი იყო და ბიძას მხოლოდ მაშინ ხვდებოდა, როცა „იშიასი“ აწუხებდა; ახალგაზრდობისას ახლანდელი ქალაქის მერი პოლიტიკურ წრეებში ძალიან კარგ მასაჟისტად ითვლებოდა, ამიტომ ხშირად უწევდა არა მარტო ბიძამისის, არამედ მისი ცოლისა და ცოლის დის დაზელვაც.

- რაა, ტყუილები უნდა ვილაპარაკო, ბიძია? - თავჩაღუნული სლუკუნებდა რედაქტორი, - კარგი! შენ თუ გინდა, მაგასაც ვიზამ!

- არა, შე სულელო! - გულიანად გადაიხარხარა „თხაწვერამ“, - დემაგოგია ტყუილს კი არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ იმ სიმართლის ლაპარაკს, რომელიც გვინდა, რომ მასებმა იცოდნენ!

- ეგ როგორ! - გაუკვირდა რედაქტორს.

- აი, როგორ! - წვერი მოიფხანა ბიძამისმა, ვთქვათ, მე მოვკალი კაცი!

- შენ მოკალი კაცი?!

- რა მნიშვნელობა აქვს მაგას. ვთქვათ, მე მოვკალი კაცი, აგური ჩავარტყი თავში და ისიც ჩაძაღლდა! აცხონოს ღმერთმა! როგორ გააშუქებ შე ამ ამბავს გაზეთში?

რედაქტორი დიდხანს ბურღავდა თვალებით ბიძამისის შუბლს.

- მეე დავწერ... ასეე! - ამოღერღა მან, - ბიძაჩემმა... აგურით... მოკლა კაცი! მაგრამ შენ თუ გინდა, ასე არ დავწერ!

მომისმინე, შვილო! აი, როგორ დაწერდა ამას ჭკვიანი და პერსპექტიული კაცი! ქუჩაში იპოვეს მკვდარი. გამოძიება ამტკიცებს, რომ ის გარდაიცვალა თავში აგურის ჩარტყმით, რადგან ზემოთ ხსენებული აგური ეგდო კაცის თავთან. ინტერფაქსისა და რეიტერის ცნობებით, ამ ამბის თვითმხილველი აღმოჩნდა თვით ჩვენი ქალაქის თავი, რომელმაც დაუდასტურა გამოძიებას თავში აგურის მოხვედრის ვერსია. მერმა ასევე აღიარა, რომ ეს აგური დამზადებული იყო ქალაქის აგურის ქარხანაში და ის ფატალური შედეგი, რაც ადამიანის თავისა და აგურის შეხებამ გამოიწვია, მეტყველებს იმაზე, რომ ქალაქის აგურის ქარხანა საამაყოა და მისი პროდუქცია თავისუფლად გაუწევს კონკურენციას ყველა იმ აგურს, რომელიც წარმოდგენილი იქნება არა მარტო ევრო, არამედ მსოფლიო ბაზარზეც! აბა, მითხარი, რაიმე ტყუილი თუ იყო ჩემს ნათქვამში!

- დედას გეფიცები, ბიძია, არაფერი! - აღფრთოვანებით წარმოთქვა რედაქტორმა.

- ჰოდა სწორედ ესაა ის ინფორმაცია, რომელიც უნდა იცოდეს ხალხმა! მერე შეხედე, რა ოსტატურად გამოვიყენე იმ კაცის სიკვდილი! რამხელა ოპტიმიზმია ქარხნის პროდუქციაში! - მოიფშვნიტა ხელები, - პერსპექტივები! ევრო და მსოფლიო ბაზარი! დაჯაბნილი კონკურენტები! და, რაც მთავარია, ხალხს ჰგონია, რომ ის აგურის ქარხანა ქალაქისაა, მაგრამ ის ხომ მარტო ჩვენია, ჩემი და შენი, თუმცა ამაზე სსს! - თითი მიიდო ბაგეებზე, - ეს ვიცით მარტო მე, შენ და აგურმა!

- კი მაგრამ?! - უცებ გაახსენდა რედაქტორს, - იმ ინფორმაციას რა ვუყო, რომლითაც ვიცი, რომ შენ მოკალი ის კაცი? ეს ხომ კომპრომატია! მე შემიძლია, დაგიჭირო.

- მაინც ჩემი სისხლი და ხორცი ხარ! - გულიანად გადაიხარხარა „თხაწვერამ“ სწორედ მაგ შემოწმებული და დაზუსტებული კომპრომატებით შეგიძლია მართო ყველა - ქვეშევრდომებიცა და უფროსებიც! გაქვს კომპრომატი კაცზე, იგი ძაღლივით ერთგულია! არა გაქვს? მიეცი საშუალება, იშოვნოს და ისიც შენია! დაიმახსოვრე! - ყურში ჩასჩურჩულა რედაქტორს, მართალი კაცი შენი ერთგული არასოდეს იქნება! ეს ის კაცია, რომელიც მარტო რაღაცას გაგიკეთებს! კარიერა და პოლიტიკა მხოლოდ ყველაფრის გამკეთებელი კაცებით შენდება!

რედაქტორი ცრემლნარევი თვალებით ეზიარებოდა დიდი ბიძის პოლიტიკურ სიბრძნეს... და ახლა ბიძამისის ოქროს ბიუსტთან მდგარი, მისი ტრადიციების ერთგული გამგრძელებელი, ამაყად შეჰყურებდა „თხაწვერას“ გაციებულ მზერას და კიდევ ერთ გაკვეთილს იხსენებდა, ასეთი ღრმა კვალი რომ დააჩნია მის გონებას, გულს და, რაც მთავარია, კარიერას:

- ხალხი რომ მართო, თავისი თავის რწმენა უნდა წაართვა და მხოლოდ შენი იმედი დაუტოვო!.. დამიჯერე, ხალხი დაგიჩოქებს! თუ ვინმემ არ დაგიჩოქა, მიიზიდე, გვერდით დაიყენე! მიეცი საშუალება იშოვნოს! მერე წაავლე კისერში ხელი და მართე! ფეხსაცმლის ლანჩებს აგილოკავენ და მადლიერები დაგრჩებიან!... ვინც არ აგილოკავს? დაივიწყე, დაავიწყე მისი არსებობა ყველას! მხოლოდ მაშინ გაიხსენე, როცა მოკვდება! გახსოვდეს, დასაწყისი არავის არ ახსოვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა დასასრულს იხსენებს, შენც მიაგე პატივი მის დასასრულს!...

– ჩემი იმედი მივცე? – გაიფიქრა სარკის წინ საცვლების ამარა მდგარმა მერმა, – მამაჩემს არ ჰქონდა ჩემი იმედი და მე ვის რა უნდა მივცე!..

ეს იყო ოთხშაბათს, ოცდაერთ სექტემბერს.

სამშაბათს, ოცდაშვიდ სექტემბერს კი ქალაქი აჭრელებული იყო უზარმაზარი პლაკატებით, რომელზეც მეწამულ მინდორში გამოწყობილი ქალაქის თავი – ოქროს აქსელბანდებით, ფირუზის, საფირისა და ამეთვისტოს თვლებით მოჭედილი ქამრით, ლურჯ, ჭიისფერ და ძოწეულის ქსოვილისაგან დამზადებული ქუდით – კეკლუცად იღიმებოდა ბებერი მთების ფონზე, მარჯვენა ხელში ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული ატმის აყვავებული ტოტი ეჭირა და ოქროთი მოვარაყებულ ლურჯ და ქარვისფერ ბროწეულებით ნაქარგ მარცხენა ხელთათმანიან ხელს პლაკატის ქვედა ნაწილისკენ იშვერდა, სადაც ცისარტყელას ფერებით შესრულებული წარწერა კეკლუცობდა:

„ჩვენ წარმატებით წავაგებთ ომს. მე ამის გარანტიას ვაძლევ ჩემს საყვარელ ქალაქს! ჩემს საყვარელ ხალხს! მოვკვდები, მაგრამ ჩემს სიტყვას არ გადავალ! გქონდეთ ჩემი ᲘᲛᲔᲓᲘ!!!“

ქალაქელები ინტერესით კითხულობდნენ ამ სიტყვებს და არ იცოდნენ, რა ეფიქრათ, რადგან საუკუნე გაწელილ ომს დაევიწყებინა მათთვის წაგების ან მოგების მნიშვნელობა.

– წაგება და მოგება ერთი და იგივე ხილია, როგორც კომში და ბია! – ფიქრობდნენ ისინი, – მთავარია, ზოგიერთებივით მახრჩობელა არ გამოდგესო.

ხალხისთვის მთავარი იყო ის, რომ ომი, როგორც ასეთი, დამთავრდებოდა! დამთავრ-დე-ბო-და!.. ყველას მიეცა იმედი. თუმცა იმედი მწუხარების საშუალება უფრო იყო, ვიდრე სხვა რამე.

ამ აპათიას აძლიერებდა ის, რომ, მიუხედავად შიმშილისა, სიღატაკისა, უშუქობისა და უწყლობისა, ქალაქის ადმინისტრაცია სულ უფრო და უფრო სუქდებოდა და კურატდებოდა. არა, ქალაქელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ქალაქის მმართველი აპარატიც შიმშილობდა, იტანჯებოდა უფულობით, უდენობითა და უწყლობით, მაგრამ მაინც ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ მატულობდნენ მმართველი წრეების წარმომადგენლები წონაში. ან რანაირად ენთო მათ სახლებში ავადსახსენებელი შუქი, როცა ელსადგურები გამორთული იყო ხშირი ავარიების გამო, ან რანაირად აჭაჭანდნენ ისინი ხმელთაშუა ზღვის კურორტებზე დასასვენებლად არა მარტო ცოლ-შვილს, არამედ საყვარლებს და, თქვენ წარმოიდგინეთ – საყვარლების საყვარლებსაც კი. ეს გაუგებრობა უფრო აბრიყვებდა ხალხს, ვიდრე შიში და სიღატაკე...

– სამწუხაროდ, დადგა ის დრო, როცა ვირები დაფრინავენ და არწივები ყროყინებენ! – ძლივს წარმოთქვა გულმანკიანმა ავადმყოფმა და აფთიაქარს ძალაგამოცლილი მარჯვენა გაუწოდა, აფთიაქარმა ფრთხილად ჩამოართვა ხელი და საწოლთან დადგმულ ტაბურეტზე ჩამოჯდა.

– მე მივდივარ! ეეჰ, ჩემო მეგობარო, დარჩი მარტო! – გააგრძელა დაღლილი ხმით ავადმყოფმა.

– დარჩე მარტო, არ ნიშნავს დარჩე მარტოდმარტო! – ამოიოხრა აფთიაქარმა და აცრემლებული თვალებით შეხედა მეგობარს...

გადიოდა დრო. ომი ქალაქში ფრთხილი და უხმაურო გახდა. თავისი სიჩუმითა და სიმყუდროვით ომი მშვიდობას უფრო ჰგავდა, ვიდრე თავის თავს. ახალი წლის წინა დღეებში ქალაქელებმა მიიღეს ისეთივე ბარათები, როგორც მაშინ, ომის პატარაობის, მისი პირველი შემოსვლის ხანაში, შიგ ცეცხლისფერი ასოებით ეწერა: – „ხვალ განიბანეთ ყველამ! არ მიეკაროს ქალი კაცს და კაცი ქალს! ჩაიცვით ახალი სამოსი! ამოდით ქალაქის გალავანზე! მიხმეთ მე და მე გამოგეცხადებით თქვენ! რადგან მე ვარ თქვენი ღმერთი და თქვენ ჩემი რჩეული ქალაქი! ყველანაირი სურვილებით, ᲝᲛᲘ!“

ამ ბარათით მიხვდნენ ქალაქელები, რაღაც დიდებული, გამოცხადებასავით გარდაუვალი და გამაოგნებელი უნდა მომხდარიყო მათ ცხოვრებაში. ყოველმა მათგანმა გამოაღო კარადის რომელიღაც კუნჭულში მიგდებული სადღესასწაულო კოსტიუმი, გაიწმინდა, ჩაიცვა და მტკიცე ნაბიჯით გასწია გალავნისკენ.

ქალაქის მერი კი, ელეგანტურ ტვიდის პიჯაკში გამოწყობილი, ადმინისტრაციულ აპარატთან ერთად იდგა ხავსმოდებულ მთავარ კართან და ცდილობდა, ბებერ მთებს იქით ჭოგრიტით რაიმე დაენახა, მაგრამ, როცა ვერაფერი შეამჩნია, იმედგაცრუებულმა შესძახა თავის ამომრჩევლებს:

– იქნებ დაგვეძახა და მაშინ გამოჩნდებოდა! მორცხვია, ალბათ, და პატარა შეგულიანება სჭირდება!

იმას ვენაცვალე! – სიყვარულით წარმოთქვა მისმა ცოლმა და ლაბაბიდან ოფლი მოიწმინდა, – რა საყვარელია, რა გემოვნება აქვს!.. რა მშვენიერ წერილებს გვიგზავნის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თავისი ქმრის აწითლებული სახის დანახვაზე დადუმდა.

– მოდით, აბა, ერთად დავუძახოთ! მაინც როგორ დავუძახოთ? – იკითხა მერმა.

– იქნება „ბატონობით“ ან „ამხანაგობით!“ სულაც „იჩობით“, მე მგონი, რაკი ჩრდილოეთიდან მოვიდა, „იჩები“ ეყვარება, – აჟღურტულდა მეორე მოადგილე – მაგრამ რომ არ ვიცით, ვისი „იჩია!“

– რა სისულელეებს ლაპარაკობ! – გაბრაზდა ქალაქის მერი, – მოდით, უბრალოდ დავუძახოთ!.. ეი! ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, გამოდი, დაგვენახე!

– მშვენიერია! – აღფრთოვანდნენ I, II და III მოადგილეები.

– მოდით, მაშინ ერთად დავუძახოთ! – გახალისდა ქალაქის თავი, – ჩვენ დიდი ხანია გიცნობთ, გამოდი, დაგვენახე!

– ჩვენ დიდი ხანია გიცნობთ, გამოდი, დაგვენახე! – აყვნენ ქალაქელები. მათი ხმა ერთ გაუთავებელ ჩურჩულს ჰგავდა, რომელიც აგორებულ ქვასავით მიქროდა ბებერი მთებისკენ და იქიდან ექოდ ბრუნდებოდა.

– რას შვრებით, ხალხო! ხომ არ გაგიჟდით! – ყვიროდა და დარბოდა ცარიელ ქუჩებში თმაგაწეწილი აფთიაქარი, – რას სჩადიხართ, ხალხო!

მაგრამ მისი არავის ესმოდა, ყველას მზერა ბებერი მთებისკენ იყო მიმართული.

– ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, გამოდი, დაგვენახე! – ქალაქელები აზარტში შედიოდნენ... და იხილეს მათ ჭაღარა მთებზე გადმოსული ღრუბელი. ღრუბელს ჰქონდა თმა, როგორც ქალს, გრძელი და ტალღოვანი. თვალები ენთო მეწამულითა და გოგირდის ფერით. კბილები, როგორც ეშვები ვეფხვისა. ტანთ ეცვა გველებით შეკრული პერანგი, რომელიც გამუდმებით სისინებდა და შხამს აფრქვევდა ირგვლივ. მას ჰქონდა კუდი მსგავსი მორიელისა, კუდზე ნესტარი – ადამიანთა სულების სასრუტი. ხელები ტორების მსგავსი, ბანჯგვლითა და ისრისმაგვარი ეკლებით დაფარული. ტორებზე თითები ხვლიკის ტყავით შემოსილი, თითებზე ფრჩხილები კვამლის ფერისა. ფრჩხილებით ეკავა ჯამი, ტყვიისგან დამზადებული, ოთხივე კიდით რქიანი ანგელოსებით მოპირკეთებული; ჯამში ესხა მოლურჯო სითხე, რომელიც ფეთქავდა და ასხამდა იისფერ შხეფებს; მასზე იყო ოთხი ასო ამოტვიფრული: „ს.ჩ.ა.უ.“

ქალაქელებმა ერთხმად ამოიკითხეს ამ ასოთა მნიშვნელობა:

– საზრდო ჩემი – ადამიანთა უსუსურობა!

– საზრდო ჩემი – ადამიანთა უსუსურობა! გაიმეორა ღრუბელმა.

– საზრდო ჩემი – ადამიანთა უსუსურობა! მოიტაცა მთებზე ასხლეტილმა ექომ ქალაქელთა ხმა.

ღრუბელმა შთანთქა სითხე თავის ჯამიანად, მერე მთელი ძალით დაიღრიალა, დაიგრგვინა და ქალაქს დაემხო თავზე.

და იყო გოდება ქალაქში და კბილთა ღრჭენა...

მრავალი წლის შემდეგ ცოცხლადდარჩენილმა აფთიაქარმა და რამდენიმე მოქალაქემ დანგრეული ქალაქის ადგილას მაღალი სამრეკლო ააშენეს; ქალაქში ომის დამხობის მერე ყველაფერი დამწვარი და გადარუჯული იყო. მდინარეც კი პირწმინდად ამოშრა. მაგრამ გადარჩენილები არსად წასულან, მთებიდან ჩამოსულ ირმებს მათთვის რძე მოჰქონდათ, ზღვიდან მოფრენილ თოლიებს – თევზი და წყალში დამბალი პური, პეპლები კი ფრთებით დილის ცვარს უგროვებდნენ, რათა წყურვილით არ დამხრჩვალიყვნენ, ისინიც, თავის მხრივ, ყველას ეხმარებოდნენ: თუ პეპელას ფრთა მოტყდებოდა, სანთლით უწებებდნენ; თუ ირემს ფეხი ეღრძობოდა, თაბაშირში ჩაუსვამდნენ. აკეთებდნენ და არ ეზარებოდათ, რადგან იცოდნენ: იყო კეთილი – კარგია, მაგრამ აკეთო კეთილი საქმე – უფრო უკეთესია.

დიდი ხნის მერე, როცა ხალხმა დაიბრუნა დაკარგული რწმენა, ამ ადგილს გარეჯი ეწოდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცნობი და მჭვრინავი,
## ანუ
## როგორ ხატავენ ეთერ თათარაიძე და თენგიზ მირზაშვილი ერთმანეთის პორტრეტს თუშეთის ფონზე

მე ვნახე, როგორ მუშაობს თენგიზ მირზაშვილი - ნახატის შექმნას ფონიდან
იწყებს, ჯერ გარემოს არჩევს და მერეღა ხატავს წინა პლანს...
ამ ერთი შეხედვით, უცნაური ინტერვიუს ფონიც
მან შემირჩია და ჩემი მწირი შესაძლებლობის
კვალობაზე ვცადე დამეხატა ამ დილოგიის პერსონაჟები,
უფრო სწორად, იმათთვისვე დამეხატებინა ერთმანეთი,
მე კი მხოლოდ გეზი მიმეცა მათი ნაუბრისთვის.

*მიხო მოსულიშვილი*

### მცნობი

მ.მ. - შენ ხომ თუში არა ხარ, მაშ, ამ თუშეთს რას გადაეკიდე?

თ.მ. - სოფელში, გორის შინდისში, სულ პატარაობაში, ერთი გოგოს ნამღერი მომისმენია: „*ტირიან თუშის ქალები: არ მოგვივიდნენ ქმარები. ვაითუ დაუხვდნენ ქისტები, დააყრევინეს თავები*". ბევრ რამეს პირდაპირ ვიგებდი. და ეს სურათი რომ წარმომიდგებოდა, მეშინოდა კიდეც. მერე მოვისმინე სიმღერა, ეს უკვე რადიოთი: „*აუტირალი თვალები ვნახე მე თუში ქალისა...*" ეს კიდევ უფრო მაკვირვებდა, როგორღა ტიროდნენ თვალები, თუ აუტირლები იყვნენ... აი, წიგნიც გამახსენდა, „თუშეთი", რომლის ყდაზე მამაჩემის დახატული კოშკი, მწყემსი და ცხვრები ჩანდა. თავგადასავლებს მიყვებოდა ხოლმე, თუშეთსა და ხევსურეთში გადახდენილს. აი, მიამბობდა, როგორ გადაეყარნენ მამაჩემი და მეცნიერი გიორგი ნიორაძე „ყაჩაღ" თომა ბალიაურს, არხოტის ტყეში და გათენებამდე როგორ უმასპინძლა თომამ ნანადირევით...

ერთხელ კიდევ, მაშინ ხუთი-ექვსი წლისა ვიქნებოდი, „დეზერტირების" ბაზარში ყველი გაგვასინჯა მე და მამაჩემს გამყიდველმა. შავი ფოლადის როა, ხომ იცი, დიდი, ხანჯალივით დანით აათალა... ხომ გინახავს, როგორ თლიან?

ცვრიანი ნაჭერი იყო და მამაჩემმა მითხრა, თუშური ყველისნაირი არ არსებობს მსოფლიოშიო. იმისი გემო დღემდე ჩამრჩა. ის დახლიც კი მახსოვს... კიდევ რა იყო? 11-12 წლისა ვიყავი, „ბახტრიონი" რომ წავიკითხე. იქ ერთი სურათია - სანათა მარტოა ხატში და გამოჩნდა „კაცი ფშაურის ერითა..."

მ.მ. - იერზეა ლაპარაკი.

თ.მ. - აქაც იერზეა და „გოგჩაშიც" ხომ გახსოვს, - „საგლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ *ეროვანთა*" გალაკტიონთანაც - „*შენი სულმნათისად ასვლა ეროვანი*", ესე იგი, იეროვანი... ჰოდა, ჰყვება, ობოლი კვირია რომ არის, სადღაც თუშეთში გადახვეწილი, ფშავიდან გადმომავალს მარტო მთვარეს ხედავს... და რაღაც ისეთნაირი, ნისლიანი და განმარტოებული ქვეყანა წარმოვიდგინე, მთლად განყენებული... თუშური ყველის გემო, ჩემი ნათესავი გოგოს ნამღერი, თუშეთში „სხვის შვილად" გადახვეწილი კვირია; ახლა კიდევ ფიროსმანის სურათი - ყაჩაღმა რო მთვარიან ღამით ცხენი მოიპარა. და ყველაფერი ერთად ქმნიდა სადღაც, შავ მთებს იქით გადაკარგული ქვეყნის ხატს.

მ.მ. - პირველად როდის ნახე თუშები?

თ.მ. - პიონერთა სასახლის ტურიზმის კაბინეტიდან წაგვიყვანა მეტად გამორჩეულმა პიროვნებამ, მზია ერისთავმა. ეს იყო 1949 წელი, თხუთმეტი წლისა ვიყავი და წარმოიდგინე, რა გულით მივდიოდი თუშეთში. ყველაფრის „შემსწავლელი" ჯგუფი იყო: ზოგი ყვავილებს აგროვებდა, ზოგი მწერებს, ზოგიც მინერალებს. თამრიკო და მე... ხომ იცი, თამარ ერისთავი ვინ არის?

მ.მ. - რობერტ ბერნსი რომ გაგვიშინაურა: „*კაცი ვარ და ქუდი მხურავს...*"

თ.მ. - ჰო, ეგ. ჩვენ გვევალებოდა ხალხური ლექსების შეგროვება. მთაში კობე ხაპრიძე დაგვხვდა, თუში მოლექსე... ერთი ლექსი ჩვენც მოგვიძღვნა, მაშინდელ „მოლაშქრეებს":

*მწყემსმა ყინულის ქარაფზე ხმა გავიგონე წკრიალა,*
*თუშეთის ყინულოვანი ქედები შეაზრიალა.*
*არ იყო დილის ბინჯამზე შურთხების შემოძახილი,*
*არც მწყემსის სალამურის ხმა, არც არწივების*
*ძახილი...*

მერე მახსოვს პირველი საღამო ხისოში.

მ.მ. – პირველი სოფელია, თუშეთში რომ გადავდივართ.

თ.მ. – პირველია, მაგრამ მანამდე გაღმა მთაზე შეფენილი ჭანჭახოვანის სოფლები დაგვანახა გამყოლმა: შტროლთა, ქვლურთა, ნაციხარი... რომ ავედით, შესაღამოვდა კიდეც... ჩვენს ჯგუფში იყო მანანა ლორთქიფანიძე; დაინახა ერთმა ხნიერმა თუშის ქალმა ეს პატარა გოგონა დიდი ზურგჩანთით და გაოცდა: „ჯეს რა ცუტუნა ქალა ამოგიყვანავთავ!“ და ამის შემდეგ „ცუტუნა“ შეერქვა მთელი ცხოვრება... თვლით დანახულმა თუშეთმა მანამდე წარმოდგენილს გადააჭარბა. მაშინდელი თუშეთი სულ სხვა იყო – მისასვლელი ბილიკებით დაწყებული და ჩაცმულობითა და ხასიათით დამთავრებული. როგორ ქსოვდნენ, როგორ ღებავდნენ, რა ფერები ეცვათ... ვერ წარმოიდგენ, იმ გარემოს წითელი როგორ უხდებოდა – კაბები, თავსაფრები, ფერმკრთალი ყაყაჩოები...

მ.მ. – შენ რომ ყაყაჩოებს ხატავ, ისეთი?

თ.მ. – *წუხრ გნახ, ფერვაცრეცილ ყაყაჩოო,*
*სადღეღ დარახტულ ცხენო...*

სამანქანო გზა ლეჩურიდან მხოლოდ თორმეტ კილომეტრზე იყო გაჭრილი. მერე საცხენე ბილიკი მიდიოდა უღელტეხილამდე და იქიდან სოფლებამდე. ყველაფერი ჯერ კიდევ პირველყოფილი და ხელუხლებელი იყო. ან როგორი ფარდაგები, წინდები, ჩითები – მშვიდი და მდიდარი ფერებით შეხამებული. როგორი დგამ-ჭურჭელი და სახმარი იარაღი, ყანა – „საკორთო-ბლია´ებ“ და სათიბები ფერად-ფერადი ყვავილებით... ამის შემდეგ თუშეთს ველარც მოვშორდი, თითქმის ყოველ წელიწადს ავდიოდი... იმითაც მიზიდავდა, რომ ცივილიზაციისგან მასვენებდა.

მ.მ. – რას გულისხმობ?

თ.მ. – „ნათელი მომავლის შენების“ აჟიოტაჟს ვწყდებოდი, უფრო ადამიანად ვგრძნობდი თავს...
ის პირველი დაბინდება მაინც სულ სხვა იყო, ხისოში.

მ.მ. – საკვირველი ფერები რომ ედება...

თ.მ. – ჰო, აცივდა უჩვეულოდ. კამკამა ჰაერი იყო, რაღაც წარმოუდგენელი, ვარსკვლავიანი ცა. სამკურნალოდ ასული ფშაველი დაგვიხვდა იქ, ლევან ბურდული, იმან გვიმღერა ფანდურზე...

მ.მ. – გარმონზე, არა?

თ.მ. – არა, ფანდურზე მღეროდა: „*ახადს, გოდერძის ციხეო, მოვადგნენ თენებაზედა*“. სულ მახსოვს, რაც იმღერა.

მ.მ. – იოლად გამახსოვრდება, ხომ, თენგიზ?

თ.მ. – ჰო, ერთი მოსმენით ვიმახსოვრებდი.

მ.მ. – ახლა?

თ.მ. – ახლა უკვე ძალიან მიჭირს რაიმეს დამახსოვრება... მაშინდელი ნამღერი კი სამუდამოდ ჩამრჩა. იცი, როგორ მთავრდება ეგ ლექსი?

მ.მ. – არა.

თ.მ. – *შეიღ ქისტი, ერთი ფშაველი,*
*გავიდნენ ბიჭობაზედა.*
*შეიღთავ თავ დასჭრა ფშაველმა,*
*მკვდარი დააწყო მკვდარზედა.*

მ.მ. – საგმირო ბალადა ყოფილა.

თ.მ. – მერე გავიგე, რომ ეს ფშაველი რეალური



პიროვნება ყოფილა. ამ ტექსტს ის ბიჭი თუშურ მელოდიაზე მღეროდა...

მ.მ. – შენს ნახატებზე ამბობენ „თუშური ციკლიო“, არა?

თ.მ. – ასე ამბობენ.

მ.მ. – ვახუშტი კოტეტიშვილი ჰყვება, ჩუბჩიკა უკვე „თუში“ იყო, ექსპედიციაში რომ წაგვიყვანაო. ოთარ ჯიშკარიანი, რეზო ინანიშვილი, დავით დუნდუა და ვახუშტი რომ წამოგყვნენ.

თ.მ. – ჰო...

მ.მ. – ესე იგი, ამ წლებში ნელ-ნელა თუშდებოდი... თუშური კილოს აღქმა არ გაგიჭირდა?

თ.მ. – თავიდან რო გავიგონე, ჩავუკვირდი და მივხვდი, რომ ჩავწვდებოდი...

მ.მ. – როგორ ხატავდი, ნატურიდან რომ არ ხატავ?

თ.მ. – თავისით იბეჭდება რაღაც თავში – განცდილი, გაგონილი და დანახული... აკადემიაში სწავლისას კი ვხატავდი ნატურიდან, სავალდებულო იყო...

მ.მ. – ახლა იმაზე მიამბე, ფოლკლორის საღამოების გამართვა რომ დააპირეთ...

თ.მ. – მაშინ ვიფიქრე, თუშური სიმღერა ჩავრთოთ-მეთქი, ძალიან თავისებურია და მელოდიური... ხომ მოგიყევი, თუშეთში რომ ვიყავით და ფერმაში ვნახეთ ის გოგო, ლელა ოსორაული.

მ.მ. – „თუშ მეცხვარეში“ რომ პლატო ოსორაულია, იმისი შვილი?

თ.მ. – ჰო, მაგრამ მაშინ პლატოს არ ვიცნობდი, მერე გამაცნო სოსო ჩხაიძემ.

მ.მ. – სოსოს ფილმზე მუშაობდი?

თ.მ. – არა.

მ.მ. – ლელა ოსორაულზე ამბობდი...

თ.მ. – ეს ლელა ისე მღეროდა, ყველას ცრემლით გვისველდებოდა გულისპირები. რაღაც წარმოუდგენლად. მე ეგეთი რამ არც მომისმენია. სულ სხვა იყო. მერე რეზომ დაწერა ის თავისი „ფერმა მთაში“.

მ.მ. – ვიცი ეგ მოთხრობა, – „თეთრი მწვერვალები ანთია ცაში კელაპტრებივით“, ლელა გარმონზე მღერის და „კაცებიც და საზრუნავისგან შემხმარი, შეკანკლული ქალიც აშკარად ხედავენ, რაღაც ჯადოქრობას რომ ეწევა თექვსმეტი წლის გოგო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცას იწყებს სიმღერასთან ერთად, რაღაცას ამთავრებს, ისევ იწყებს. ხან თითქოს ჩამოაბნელებს მიდამოს, ხან გაანთებს კაშკაშით. ვეღარ ისვენებენ ერთ ადგილზე, ადგომა უნდათ, ვერ დგებიან, გაბორკილი აქვთ ფეხები. მოხუცი ივანეც კი შეფიქრიანებული აკანტურებს თავს".

ე.მ. - მერე ამ მოთხრობის მიხედვით ლიანა ელიავამ გადაიღო ფილმი; აი, იქ კი ვეხმარებოდი.

მ.მ. - რჩევებს აძლევდი?

ე.მ. - ადგილს, ტიპაჟს და კომპოზიციას ერთად ვარჩევდით რეჟისორი, ოპერატორი და მხატვარი. ფილმებზე სხვა დროსაც მიმუშავია, მაგრამ ამ ფილმის გადაღებისას უფრო აქტიური ვიყავი.

მ.მ. - კარგი გამოვიდა?

ე.მ. - მე მომწონს, რა ვიცი... ის გოგო ქისტებში ვიპოვეთ, პანკისის ხეობაში, გაურგაშვილი, ვინც მთავარ როლს ასრულებს. მერე გიორგი შენგელაიამ გადაიღო თავის ფილმში - „ქვიშანი დარჩებიან"... ნაზო, ნაზო გაურგაშვილი. რომ ვეტყოდით ხოლმე - „ნაზო, რა ლამაზი ხარ!" „მააშ, ლამაზი!" - შემოგვიტევდა...

მ.მ. - და ლელა ოსორაულს ფოლკლორის საღამოსთვის დაუწყე ძებნა...

ე.მ. - არ წამოვიდა თბილისში, უარი გვითხრა... ჰოდა, ჩემმა ახლო მეგობარმა, გიორგი ცოცანიძემ მიგვასწავლა, ლელა თათარაიძე ნახეთ, ნაკლები არც ის არისო... მე და გიგლა ფირცხალავა მივადექით ალვანში თათარაიძეების სახლს. მახსოვს, წვიმდა და გიგლამ მანქანიდან არ გადმომიშვა. მერე მივუხვდი - ალბათ, შეეშინდა, მანქანაში ტალახი არ შემომეტანა. მეზობლებმა გვითხრეს, ლელა თბილისშია წასული თავის უმცროს დასთანო... მერე უკვე ფილარმონიაში ლელამ მითხრა, ჩემი და რაღაცეებს ჯღაბნის, თუ შეიძლება, გაჩვენოთო... მოვიდა ლელა თათარაიძე და მოიყვანა სახეალეწილი გოგო - ძალიან ღელავდა. ორი რვეული ეჭირა, ორივე საკმაოდ ნაწვალები, მგონი, საერთო რვეულები. რომ გადავშალე და დავიწყე კითხვა, ვიგრძენი, ნამდვილ პოეზიასთან გვქონდა საქმე, პირველივე სტრიქონებიდან.

მ.მ. - მე დრო დამჭირდა ჩასაწვდომად...

ე.მ. - მე შეჩვეული ვიყავი თუშურ დიალექტს და მერე კიდევ, ხელად ვატყობ ხოლმე.

მ.მ. - მე სანამ ენის სიღრმეში არ ვცადე შესვლა, - ჩემზე იმიტომ ვამბობ, რომ ასე ბევრს მოსდის, - სანამ საბა არ ვისწავლე, სახარება, „სიბრძნე ბალაჰვარისა" თუ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" არ ვიკითხე...

ე.მ. - „ფარდაგი" წავიკითხე. კიდევ ორი ლექსი იყო. მერე წავაკითხე ვახუშტის, ლექსოს ვაჩვენე, ერთად ვიკითხეთ. ისინიც აღტაცებული დარჩნენ... მერე ის ლექსები დარბაზმა მოისმინა.

მ.მ. - ეს არის 1979 წლის 14 აპრილი, ერთი წელია გასული ენაზე გამართული გამოსვლებიდან, ფილარმონიაში ტარდება ფოლკლორის საღამო და შემდეგ მთელი თბილისი, მთელი ქვეყანა ალაპარაკდება...

ე.მ. - ჰო, ესე იყო. უნდა გამოვტყდე, ძალიან ვღელავდი. შეიძლება ეთერის ღელვაც გადამედო... თითქოს მორცხვია, მორიდებული, მაგრამ კითხვისას თამამია. როცა არ უნდა სთხოვო, უცბად წაგიკითხავს. ეს ძალიან კარგი თვისებაა... ალბათ, შინაგანი რწმენაც თავიდანვე ჰქონდა...

მ.მ. - მე შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩიტივით გალობდა...

ე.მ. - დარბაზი დაიმუხტა მისი ლექსით, ამხელა დარბაზი... იგრძნობოდა, რომ განუმეორებელ მოვლენასთან გვქონდა საქმე.

მ.მ. - ბევრმაც ვერ გაიგო და გაღიზიანდა კიდეც.

ე.მ. - ეს ბუნებრივიც არის, ყველას რატომ უნდა გაეგო!

მ.მ. - მახსოვს, თუშური სიმღერებიც შესრულდა...

ე.მ. - ჰო, დარბაზზეც ძალიან იმოქმედა. ამ საღამოსთვის მუსიკალურ ნომრებს ღორიან კიტია არჩევდა. ლელა თათარაიძის გარდა თუშურად იმღერეს ნანული და ციური აზიკურებმა. მეგარმონე რებკო ბექურაიძე იყო...

მ.მ. - მერე წიგნები გამოვიდა, ეთერის კრებულები და ამ საქმეში შენ დიდი წვლილი მიგიძღვის!

ე.მ. - პირველი წიგნის შესავალი ვახუშტი კოტეტიშვილს ეკუთვნის, მეორესი - ზურაბ კიკნაძეს; სულ ახლახანს დაბეჭდილ მესამე კრებულს - „ჩამომიარ საწუთრომ" - როსტომ ჩხეიძემ წაუმძღვარა წინათქმა.

მ.მ. - ეთერის სუსტი ლექსი თუ შეგხვედრია? რომელზეც გითქვამს, - მოდი, ეთერ, ეს არ გინდა?

ე.მ. - მითქვამს... ზოგ ლექსს ვამოკლებთ. ისეთ რაღაცას ჰყვება დასაწყისში ან ბოლოში, რაც ლექსში ისედაც ჩანს.

მ.მ. - არ გეწინააღმდეგება?

ე.მ. - ვმსჯელობთ ხოლმე, ხანდახან კი ამირანის გუმანს ვანდობთ.

მ.მ. - ეთერის მეუღლეს?

ე.მ. - ჰო, ამირან არაბულს... სასვენი ნიშნების დასმისას კი ამირანი მთლად შეუცვლელია... მეც, გიორგი ცოცანიძეც და ამირანიც რჩევებს ვაძლევთ ხოლმე. მაგრამ მის ლექსს ისეთი ძლიერი ორგანიზმი აქვს, რომ არსებითი რჩება და ღირებულება არ იცვლება. აი, ახლა რომ ვბეჭდავთ „ცისკარში", იქიდან პირველი ლექსი ფილარმონიაში გამოსვლამდეა დაწერილი... ეს არის სრულიად ჩამოყალიბებული თვალთახედვის, აზრის, მრწამსის... პოეტი.

მ.მ. - ძლიერი ენა აქვს.

ე.მ. - ყველაფერი - დამოკიდებულება, აზროვნება და, მე არა მგონია... იცი, საერთოდ, ეს უნიკალური მოვლენაა. საიდან მოდის, ვინა ჰყავს წინამორბედი, „უძვირფასესი პაპა" - ვერ იტყვი. არავის ჰგავს, არავისაგან არაფერს სესხულობს. ლექსის ენაც და სახეც მხოლოდ მისია, მისეულია. იქნებ ამიტომაც უჭირს ტრადიციულ აზროვნებას მის ლექსში შეღწევა. ეგ არის ისეთი რამ... აი, როგორც... როგორც ფიროსმანი. განა ასევე არ გაუჭირდა ტრადიციულ აზროვნებას მისი აღქმა? მაგალითად, ალბათ, მაშინდელი მხატვრობის აღიარებული მეტრი - გიგო გაბაშვილი იკმარებდა, ყურადღების მიქცევის ღირსადაც რომ არ ჩათვალა ფიროსმანის მხატვრობა.

მ.მ. - კიდევ რით ჰგვანან ერთმანეთს ან რითი განსხვავდებიან?

ე.მ. - აი, თუნდაც იმით, რომ ძალიან კონკრეტული რეალიები აქვთ ფიროსმანსაც და ეთერსაც, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან განზოგადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერის ლექსი არის მუსიკა და ზოგადი სახე. ამ დროს წერს ღედაზე, იმ მაგიდაზე, იმ სკამზე. ხანდახან წაიკითხავ, ვთქვათ – *„ყორეში მოსრულ ძაღლთქოლა´ის ბუჩქ, წითლად მღივარეჯ“* და, მართლაც, ეს ძაღლთქოლაის ბუჩქი სწორედ იმ ყორესთან დგას. ძალიან ზუსტია. არაფერს არ იგონებს, არ ტყუის. არც ტოპონიმიკაში, არც განლაგებაში, სახელებშიც ზედმიწევნით ზუსტია და, იმავდროულად, დიდად განზოგადებული. ფიროსმანიც ეგეთია – აბა, ვის აინტერესებს, მათე გვიმრაძეს ან სიტატაშვილს თუ შავ ვანოს სუფრაზე რა და რა უწყვია, მაგრამ მერე ეს ბოლოკი, ცოცხალი თუ შოთი მარადიულ განზომილებაში გადადის.

მ.მ. – ჩემი აზრით, კულტურისათვის იმხელა მოვლენაა ფიროსმანი, რომ, ალბათ, საგანგებო საუბრის თემაა. თუ წინააღმდეგი არ იქნები, ამ გენიალურ მხატვარზე ცალკე ხომ არ გველაპარაკა?

თ.მ. – მე, საერთოდ, ძნელად ვიხსნები, თანდათან ვიხსენებ რაღაცას, ნელ-ნელა ვუახლოვდები სათქმელსა თუ ნახატს, შენც ხომ ხედავ, ამ ინტერვიუსთვის დრო არ მეყო და თუ დრო გვექნება, ვილაპარაკოთ, რატომ ვიქნები წინააღმდეგი.

მ.მ. – ეთერ თათარაიძის პოეზიას რომ შევხედოთ, როგორც პოეტური ენის განახლებას, მის მოდერნიზაციას...

თ.მ. – შენი თქმისა არ იყოს, ჩიტივით ლაღად გალობს და არა მგონია, ლიტერატურული დინებები ანაღვლებდეს.

მ.მ. – და კიდევ, რამ გამაკვირვა, თენგიზ – გურიაში ერთი იქაური ქალი რომ აწყობს თათარაიძის პოეზიის საღამოებს! ესე იგი, რა გამოდის, თუშურ დიალექტზე შექმნილი ღირსეული ლექსი არღვევს კუთხურ ჩარჩოებს და სხვა მხარეებშიც შედის.

თ.მ. – ვისაც „ყური“ აქვს, ნამდვილი ლექსის გაგება არ გაუჭირდება... ეთერს, სხვათა შორის, თვითონაც კარგად შეუძლია ნებისმიერი კილოკავის ათვისება – გურული იქნება, იმერული თუ ქართლ-კახური...

მ.მ. – ეს, ალბათ, ბუნებრივი ნიჭია, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტმაც ბევრი მისცა...

თ.მ. – თუ გახსოვს, ამ კონცერტის მერე ეთერი უგამოცდოდ ჩარიცხეს უნივერსიტეტში. მე, საერთოდ, ამის წინააღმდეგი ვიყავი. ვთვლიდი, რომ განათლება მის ლექსს ბუნებრიობას დაუკარგავდა, მაგრამ შევცდი, არ გამართლდა ჩემი წინასწარი შიში – თავისი ლექსი არ „გაუფუჭებია“, თანაც მშვენივრად აითვისა ყველაფერი, არცთუ ურიგო ფოლკლორისტად ჩამოყალიბდა, დისერტაციაც დაიცვა... ახლა „გულქან რაზიკაშვილის ჩანაწერები“ გაიხსენე. სხვებსაც ამზადებს...

მ.მ. – შეიძლება, ერთი-ორი სიტყვა ვერ გაიგოს მკითხველმა, მაგრამ შეიგრძნობს... წყობა, სახეები – ეს ხომ ხალხური არ არის, თავისია, თათარაიძისაა.

თ.მ. – ეს ყველაფერი თუშური დიალექტის ბუნებიდან მოდის, ეთერის ლექსი ისეთივე წონადია, ლაკონური, მეტყველი და, ამავე დროს, ძალიან პირადული...

მ.მ. – მეც მგონია, რომ ენის სიღრმიდან მოდის... საკვირველი ლექსები აქვს...

თ.მ. – ჰო, ვაჟას პატრონი ეთერმაც გამაკვირვა. ჩვენს დროში დანოში, დიდოეთის საზღვართან მიკუნჭულ, თითქმის მიწის პირიდან წაშლილ სოფელში, საწყალი მეცხვარის ოჯახში იბადება ასეთი... ასეთი თვითნაბადი ნიჭის ადამიანი. ძალიან „იოლად“ ეწერება. აჰა, აი, თუნდაც ეს ლექსი, სულ პირველად რომ წაგვაკითხა – „ფარდაგ“:

*ჯარანა´ ფარდაგ გადავსჭერ საქსლოს,*
*ჲახლ ირმიანსა-ღ ლომიანს ვიწყებ.*
*შუაში კოხტად არყის ხეს ვუდგამ,*
*რომელიც ცისაკ ათას ხელს იწვდენს.*
*ირემ ეყუდებ ფეხეად ცდილობს,*
*მისწვდეს მწვანე არყს, რა´გვერმე მისწვდეს,*
*ლომიც აფოფრილ, თავის წილად მხეც*
*კეთილშობილ, ნაზ ირმისაკ იწევს.*
*ფარდაგის თავში ამომყავ მზეი-ღ*
*თავის უხვ სხივებს უყოფს ლომ-ირემს,*
*ავიწყებს ყველა´ შურიან ფიქრსა-ღ,*
*გუ´მაძღარ გულზე უამბობს იებს.*
*ი´მ ჩემ ფარდაგის ნადირი ნაზ ლოვინს –*
*ხასხასა´ ველზე მარცხვინა´ იებს –*
*უამბობს რა´გვერ გადავიწყ მტრობაჲ*
*ლომს ირმისადა-ღ არყისად ირემს“.*

ეს ისეთი შეკრული, აზრით დატვირთული, კომპაქტურობით, ინტენსივობითა და ლაკონურობით გამორჩეული ლექსია... თავიდანვე უდიდესი ოსტატობა ჰქონდა – თანდაყოლილი, ინტუიტიური შეგრძნება ლექსისა...

მ.მ. – აქ ზედმეტი არაფერია. არც სიტყვა, არც ინტონაცია. ზუსტად არის აგებული.

თ.მ. – ყველაფერი ისეა, როგორც ძველ, კლასიკურ ხელოვნებაში – იქ არაფერი ზედმეტი არ შეიძლებოდა და არც იყო – ყველაფერი მორგებული, მოწესრიგებული. წყობა თითქოს მონოტონურია, მოტივი – ერთმანეთის მსგავსი, მაგრამ ამ ჩარჩოებით შემოსაზღვრულ სივრცეში თავსდება მრავალფეროვანი სამყარო... ფიროსმანს ჰქონდა ეგეთი ოსტატობა, რომ ვერ მიხვდები, საიდან რა გაიგო, როგორ – ისეთი მონასმი აქვს, ისეთი თევზია, ხაზი თუ იმის ნაპირი, ან მეთევზეს რომ ლოქო უჭირავს... წარმოუდგენელი ოსტატობაა. სწორედ ეს აჩვენებს, რომ ამის სწავლა არ შეიძლება, ბუნების მოცემულია.

მ.მ. – ასევე ბუნების მოცემულია ეთერის ლექსებიც?

თ.მ. – მისი ლექსების გაცნობის შემდეგ სულ სხვა ადამიანი გავხდი. არც შემნელებია ინტერესი, არც მომმატებია. როგორც თავიდან დავინახე, ისევე ვხედავ და ეთერიც ისევე აგრძელებს, როგორც დაიწყო. ძნელი გასარჩევია, დროის მიხედვით რომელი ლექსი რომელს უსწრებს, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ ერთ ადგილზე დგას... აი, „გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი“ ჩემთვის სიურპრიზი იყო... მაგ წიგნს ვერ ვკითხულობ, გული მიჩუყდება. აქამდე მიყოლებით ბოლომდე ვერ წავიკითხე, რაღაც მემართება. დიდი ხნის წინ გულქანთან მეც მიცდია გამოლაპარაკება და ძალიან ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეს თუ გამორჩენილვარ...

მ.მ. – მეც დაახლოებით ეგრე დამემართა... მართლაც იშვიათი წიგნია, ისეთივე მოვლენაა ქართული კულტურისათვის, როგორიც ვახტანგ ჯავახაძის „უცნობი“.

ომ.მ. – ეთერ თათარაიძე სრულიად ლაღი, თავისუფალი აზროვნების ადამიანია, დიდი შეგრძნებით და, სხვათაშორის, სიბრძნითაც ხალხური სიბრძნის მატარებელია...

მ.მ. – ეთერის პოეზიამ შენში, როგორც მხატვარში, შეცვალა რამე?

ომ.მ. – როგორ გითხრა? ძალა შემმატა, ბევრი რამ მასწავლა კიდეც... აი, ასე გამამდიდრა, როგორც ადამიანი... გალაკტიონმა ძალიან ბევრი რამ მომცა, ყველაფერს ვერც ჩამოვთვლი. აი, თუნდაც ეს ჩემთვის უჩვეულო, იმერული, სხარტი აზროვნება. ისეთნაირად მოუხვევს და იმგვარად წარმოგიდგენს, ისეთი კუთხით შეხედავს, რომ... ყოველთვის მშურს. ვცდილობ, ეს მხარე განვავითარო – მოულოდნელი. მე დიდი განწყობის მხატვარი არა ვარ, მაგრამ განწყობილებებიც იქიდან მოდის. ჩემთვის გალაკტიონი არის – მასწავლებელი კი არა, უფრო მეტი – იმპულსის მომცემი. ფიროსმანისგანაც ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ ბევრს, ალბათ, ვერ შევწვდები... ხერხებს ვიყენებ...

მ.მ. – მაგალითად?

ომ.მ. – პირდაპირ არ ჩანს, ძალიან დაფარულია.

მ.მ. – რაკი „ცისკარში“ ვბეჭდავთ, ეგებ ეთერის ერთი ლექსი აგვეღო და „ახლოით განგვეჩხრიკა“. აი, თუნდაც „მაშუქა გვენთის შუას“...

ომ.მ. – შეიძლება ეგ საჭიროც იყოს. ეთერის ლექსის მუსიკალობასა და მომხიბვლელობას ბევრი გრძნობს, მაგრამ გარე თვალისათვის ბევრი რამ ბუნდოვანი უნდა რჩებოდეს. ეს ლექსი იმთავითვე სხვებში გამოვარჩიე და იმისთვის, რომ მის სიღრმეში ჩამეღწია, მეც დამჭირდა გარკვეული დრო და ძალისხმევა. და თუმცა ეთერის ამ ხასიათის ლექსებსაც ვიცნობდი, რეალიებიც ნაცნობია, ხნიერი თუში ქალების ფსიქოლოგიაც, მაინც დამჭირდა ავტორის „დაკითხვა“, ლექსი რომ ბოლომდე გამეგო.

მ.მ. – ეს რა „ჯოჯოხეთი“ გამოგივლია?!

ომ.მ. – (იცინის) კარგად მიმიხვდი... ეს ლექსი მართლაც სახუმაროა. ბერდიაცი სიამაყით იხსენებს სიჯეილეს. ახალგაზრდები გამომწვევად რაღაცას ეკითხებიან. არც კითხვები ჩანს, არც შეკითხვის მიმცემი – ორივე იგულისხმება. საუბარში ცდილობენ, წარსულ ცხოვრებაზე ძვირი წამოაცდენინონ. აქ თაობების მსოფლმხედველობრივი შეპირისპირებაც არის. პასუხებით უნდა მივხვდეთ, რითი იწვევენ...

მ.მ. – დავიწყოთ? „მაშუქა´ გვენთის შუას“. ოთახის შუაში ენთოთ?

ომ.მ. – არა, დარბაზზეა ლაპარაკი. ცენტრალურ, შუა ოთახზე. მაშუქაა, ხო იცი, რაც აშუქებს, ლამპა – რაც თუშეთში იმ დროისთვის სიახლე იყო. მოხუცი ლაპარაკობს, ამაყობს, იხსენებს სიჯეილეს... და მხოლოდ თავის თავს კი არა, დებსა და ახლო ნათესავებსაც გულისხმობს.

მ.მ. – ტრაბახია?

ომ.მ. – აბა, რა! მაშუქა გვენთის შუასო – „მისაღებ ოთახშიო“.

მ.მ. – „მეჯზე ხალიჩ-ფარდაგებ“.

ომ.მ. – ხალიჩა-ფარდაგები ეგოთ...

მ.მ. – „მეჯი“ მეხი არ ეგონოთ!

ომ.მ. – ტახტი, რაც კედლებს მიუყვება.

მ.მ. – კუთხესთანაც მოუხვევს, არა?

ომ.მ. – კი და ზედ აფარია გამორჩეული ხელით ნაქსოვი ხალიჩა-ფარდაგები.

მ.მ. – „ვარდისფრად ვინათიით, არა, ქა, რა´ ჯანდაგებ!“

ომ.მ. – როგორ თუ ჯანდაგები ვიყავითო, პასუხობს.

მ.მ. – დალმეჭილებიო?

ომ.მ. – არა, უფერულები და სუსტები იყავითო. და პასუხობენ – როგორ გეკადრება, ვარდებივით ვანათებდით, ვარდისფერები ვიყავითო.

მ.მ. – „კოდებ ქერით სამსვია´“ – კოდები გავსებულია ქერითო, ოღონდ „ჩავით ამსულ ჭანგა´ებ“... ეს ვერ გავიგე.

ომ.მ. – „ჩავე“ არის, მცენარეებს რომ შეაგროვებენ, გააშრობენ, მერე ალბობენ და შეჭამანდს ხარშავენ. „ჭანგა´ებ“ არის კლანჭები, მაგრამ ამ შემთხვევაში კაუჭები, რაზეც ჰკიდია გამშრალი მცენარის მარაგი... მოკლედ, ლაპარაკია იმათ სიუხვეზე, ამდენი რომ გვქონდაო და ამითი თამამები და ამაყები ვიყავითო, სამორცხვო რა გვქონდაო? „თავის სწორთზე ჭარბა´ებ“ – ჩვენს ტოლებზე კიდევ თამამები ვიყავითო. სითამამით ვაჭარბებდით, მორცხვები კი არ ვიყავითო.

მ.მ. – „ტახტებ მშრალ ჩალით ამსულ“ – ტახტები მშრალი ჩალით იყო სავსეო.

ომ.მ. – ესე იგი, რბილად ვიწექით და კარგად გვეძინაო.

მ.მ. – „ზედ ქლალისფერ ნაბდა´ებ“ – ეს გასაგებია.

ომ.მ. – ამ შემთხვევაში აღნიშნავს ხალისიანს. თვალში საცემს.

მ.მ. – „არა, ქა, რა´ უსაქმონ, ჭრელნაზდიან აბგა´ებ!“

ომ.მ. – სულ ვქსოვდითო. „აბგა´ებ“ – აბგები, რაშიც ძაფია, სავსე იყო ფერად-ფერადი ბაწრებითო. სანაზდე /ნაზდი ნართია/ ძაფებით სავსე გვქონდა, რა უსაქმურები ჩვენ ვიყავითო.

მ.მ. – „ჯაგთა ყოფა გაველილნ ვართ, ჯაგთა ცხოვრებ-ამბა´ებ“.

ომ.მ. – ასეთი ცხოვრება გვქონდა, ასეთი ცხოვრება გავიარეთო... ალბათ, ამ ბერდიაცს და მის უხილავ მოპაექრესაც ჰყავთ პროტოტიპები... საერთოდ, ეთერს აღქმის, დამახსოვრებისა და ხელოვნებად ქცევის უიშვიათესი უნარი აქვს.

მ.მ. – და ეს სულთპეპელა როა ზემოთ ლექსში, თვითონ მოიგონა?

ომ.მ. – სულთპეპელა პეპელას ნაირსახეობაა.

მ.მ. – აქაც თქვენი აზრი დასტურდება: ჯერ კონკრეტული და მერე ზოგადი.

ომ.მ. – თქვენობით ნუ მელაპარაკები. აკი შევთანხმდით.

მ.მ. – ჰო...არა... აღარ ვიტყვი...

ომ.მ. – აბა, შენ იცი!.. სხვათაშორის, თათარაიძის ფრაზები რომ არ თქვა თუშურად და თქვა ლიტერატურულ ქართულზე, ძალიან ბევრ რამეს დაკარგავს... ამ შემთხვევაში თუშური დიალექტის იდუ-

ბიბლიოთეკა

მალი მადლიც ქმნის ლექსის ფასეულობასა და განუმეორებლობას.

მ.მ. – ეთერის ლექსს რომ ვკითხულობ, მთაში გადავდივარ და მეც იქ ვარ. სოფლებს ვხედავ, ყორეებს, სათიბებს, ნისლებს, ხეობებს, მწვერვალ-ფრიალოებს, ყვავილ-ბალახებს... ვერ გამიგია, რა ხდება...

თ.მ. – განცდა ეგრე არის, კი, კი... საგნობრივია მისი ლექსი. სიტყვა ისე უზის, რომ ფერწერული დატვირთვა აქვს. გესმის? და ხმოვანებაა კიდევ, სიტყვის ხმოვანება... მერე რიტმიკა. ეს ფორმალური მხარეები ძალიან ძლიერი აქვს. შეიძლება ვიღაცას მოეჩვენოს, რომ რითმა მარტივი აქვს, მაგრამ მე ძალიან საინტერესო მგონია.

მ.მ. – თუშურ დიალექტზე ლექსები არ იწერებოდა, ეთერი ყამირს ტეხს, როგორც იტყვიან... მაინც რა არის ეთერის ლექსი შენთვის?

თ.მ. – რა არის, მიხო, იცი? დღე ისე არ გავა, მის ლექსებზე არ ვიფიქრო, სადა უნდა ვიყო, მუდამ თანმდევია ჩემთვის. ვერ წარმომიდგენია უიმათობა.

მ.მ. – ეს უკვე პიროვნების ხასიათიდან გამომდინარეობს.

თ.მ. – თათარაიძის მთელი სამყარო, ვთქვათ, თემატიკაც... თვითონ დამოკიდებულება საქმისადმი, თანამედროვეობასთან არ არის დაკავშირებული. ბევრი ასეთი პრინციპული თანხვედრა აღმოგვაჩნდა. და ამ დროს სულ სხვადასხვა გარემოდან ვართ წამოსული...

მ.მ. – შენი გარემო სხვანაირი იყო, მშობლები მხატვრები იყვნენ, ხომ?

თ.მ. – გარემო სხვადასხვაა, თუმცა ესეც პირობითია. ეს სრულებით არ უშლის ხელს ჩემი და ეთერის მსოფლმხედველობრივ სიახლოვეს.

მ.მ. – რატომ არ ჩანს ქალაქი შენს შემოქმედებაში?

თ.მ. – ქალაქი კი მიყვარს, მაგრამ ქალაქელი „ტიპი“ არ ვარ. ამიტომაც არა ვარ არც მოქალაქეთა კავშირის და არც საზოგადოება „თბილისელის“ წევრი /იცინის/. შეიძლება, ვხატო ისიც, ესეც. ამაში არ არის საქმე... ადამიანი მაინც რაღაცას ირჩევს, გარკვეულ თემატიკას. ვთქვათ, დიმა ერისთავი, შესანიშნავი მხატვარი – ის ქალაქის მხატვარია, მე კი მთისა თუ სოფლის... მთა მირჩევნია, ვთქვათ, ზღვას. თუმცა, ზღვაც მიყვარს და ბარიც. თუშეთი მაინც ჩემს თემად იქცა..

მ.მ. – აი, ახლა კი მივხვდი! შენ საკუთარ თუშეთზე ლაპარაკობ, იმ კონკრეტულ თუშეთზე კი არა!

თ.მ. – რაღაც ამგვარია, კი... რა ვიცი, გამოვიდა ჩვენი ლაპარაკი?.. არ ვიცი...

მ.მ. – ვნახოთ... კარგი რამეები თქვით.

თ.მ. – ხომ შევთანხმდით!.. იცოდე, ავდგები და წავალ! /იცინის/.

# მჭვრინავი

მ.მ. – ბარიდან ბევრი ვინმე ასულა თუშეთში და თენგიზ მირზაშვილს რა ისეთი განსხვავებული თვისება ჰქონდა, რამაც თუშებთან დააახლოვა?

ე.თ. – მე მაქვს პაწაწინა ჩანაწერები, სადაც მიყვება, როგორ ნახა ხისოში სტუმრად ასული ფშაველი კაცი, ლევან ბურდული, რომელსაც ფილტვები სტკიოდა და ჰაერზე ყოფნა სჭირდებოდა.. ლევანი და ილიკო ძმები იყვნენ, თუშებთან დაახლოებული ფშაველები. ილიკო დაინიშნა თუშის ქალზე, დანოელზე – სხვათა შორის, ჩემი სოფელია, – ასმათზე, რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. დედის ნატირალია – „ჲახლ ჩამოგივიდა შენი ილიკოჲ, ადექი-დ, გაჰყევი, გან გაგიჯავრდები“. დედა იყო წინააღმდეგი მათი შეუღლების და ქალმა მოიკლა თავი... აი, ამ ქალის ნანდაურის ძმას ხვდება თენგიზი, შესული თუშეთის პირველ სოფელში. არაჩვეულებრივი ვარიანტი ჩამაწერინა, რომელიც თხუთმეტი წლისამ მოისმინა ფანდურზე ამ ბურდულის მიერ დანამღერი. საკმაოდ მოზრდილი ლექსის უნიკალური ვარიანტი, რომელიც არც ერთ თუშს არ ახსოვს და თენგიზს ერთი მოსმენით დაუმახსოვრებია. იქ ისეთი არქაული სიტყვებია, რომ თუშებსაც გაუჭირდებათ მათი გახსენება... თენგიზ მირზაშვილი ღვთისგან გამოგზავნილი საჩუქარია. ერთხელ ვთქვი და გამეორების მეშინია, მიჯავრდება ხოლმე, თავის თავზე არაფერს მათქმევინებს...

მ.მ. – მე მითხარით, მე გათქმევინებთ!

ე.თ. – თენგიზი ხომ ის კაცია, ვინც გამოჩენის დღიდან გრძნობდა რეზო ინანიშვილს. ჩაკეტავდა ხოლმე და აიძულებდა, ეწერა... როცა ადამიანი სრულყოფილად აღიქვამს ინანიშვილს, მე კლასიკოსებზე აღარას ვამბობ... და გალაკტიონი! გალაკტიონის ყველა ნიუანსი იცის თენგიზმა. რაზეც წლობით სჭირდებათ ფიქრი, წამიერი გაელვებაა მისი გონებისათვის...

მ.მ. – თქვენთვის?

ე.თ. – ჩემზე რა უნდა გითხრა... სხვათა შორის, თენგიზს არ უყვარს თქვენობით ლაპარაკი, არც ბატონობით.

მ.მ. – მეც მიბრაზდება.

ე.თ. – მეუბნებოდა, შენ თავად ხარ ბატონიო და თავიდან ძალიან გამიჭირდა.

მ.მ. – ასეთ დღეში ვარ მეც. უკვე რამდენჯერ ველაპარაკე და არ მომმართო თქვენობით, მორჩება ჩვენი ურთიერთობაო, მემუქრება.

ე.თ. – თქვენობით რომ მიმართავ, შეგეკითხება – ვინ თქვენ? ბატონო – ვინ ბატონო? და თუ რამის თქმას აპირებდი, ყველაფერი თავდაყირა დაგიდგება... ახლა კი ისევ პირველსავე სიტყვასა ზედა მოვიდეთ – ის თუშეთი აღარ არის, თენგიზის სიჭაბუკეში და ჩემს ბალღობაში რომ იყო. აღარ არსებობს, ვეღარც იარსებებს.

მ.მ. – ტანსაცმელი, სახლები, ყველაფერი განსხვავებული იყო, არა?

ე.თ. – ტანსაცმელი განა გამორჩეული გვეცვა – ფლანელის, ჩითის ხალათები, კოპლებიანი ესეთი მოსარაფნო კაბები... მაგრამ იქ სამოსი არ იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი, მიხო, იქ სული იყო მთავარი. თენგიზი სწორედ მაშინ მოხვდა იქ, თუშეთი რომ თუშეთობდა. მაშინ სტუმარი ენატრებოდა თუშეთს, მაგრამ განა ყველანაირი სტუმარი? ნამდვილი სტუმარი ენატრებოდა, გულწრფელი და მართალი. მოტყუებულს რომ ტოვებდა თუშს ვინმე, იმის დანახვა არ უნდოდათ. უმასპინძლებდა, ზედ გადაყვებოდა, გადმოატარებდა კავკასიონს, გადააცილებდა და იმისი მოტყუება იქნებოდა? საერთოდ, სიხარბე რას ჰქვია, თენგიზმა არ იცის. თავის ნახატებს უსასრულოდ და სიყვარულით ჰფენს მთელ საქართველოში კი არა, მსოფლიოში; სადაც მიდის - ამერიკაა, საფრანგეთი თუ გერმანია, უამრავ ნახატს ჩუქნის. შეიძლება ერთდროულად გაჩუქოს ათი, სამი, ხუთი... ნამუშევარი.

მ.მ. - მეც ასე მომექცა, რისთვისაც დიდად მადლიერი ვარ მისი და თან შეფიქრიანებულიც - ვერ გამიგია, ეს კარგია თუ ცუდი? არ ენანება?

ე.ტ. - არ შეუძლია სხვანაირად!.. თუშებმა ზუსტად იციან, თენგიზი ვინ არის და იმიტომ ჩაიკრეს გულში.

მ.მ. - 1979 წლის აპრილი იწყება, 14 რიცხვი მოახლოვდა... შენმა დამ, ლელამ მიგიყვანა და დაინახე უცებ ქოჩორა კაცი...

ე.ტ. - მაშინ თენგიზი ძალიან მოხუცი მეგონა და იცი, რატომ? ბავშვობაში ნანახი მქონდა რვეული თუში სახალხო მთქმელის, კობე ხაპრიძისა, რომელიც თამარ ერისთავზე და თენგიზზე განათებულ-გაცისკროვნებული თვალებით იწყებდა ხოლმე საუბარს. მირზაშვილზე ამბობდა, რომ არის ერთი ეგეთი მხატვარი, თენგიზ მირზაშვილი, რომელიც თუშებისთვის არაჩვეულებრივად შინაური და უცნაური ადამიანია, ქალაქელი, მაგრამ „საკვირველ ქალაქელი“. კობე გადამიშლიდა რვეულს და მაჩვენებდა ცხენს, ლექსების რვეულში რომ იყო ჩახატული. მეუბნებოდა, ჩემი თხოვნით დახატა თენგიზმაო. 15-16 წლის ყოფილა, ეს რომ დაუხატავს, მერე გავიგე... ჰოდა, მე უკვე მოხუცი მგონია თენგიზი, ავდივარ ფილარმონიის კიბეზე - გაიარა ვიღაც ახალგაზრდა კაცმა და ლელა მეუბნება - აი, თენგიზ მირზაშვილიო.

მ.მ. - მაშინაც წვერიანი იყო?

ე.ტ. - ეგ აღარ მახსოვს. მე მგონი, არა. ულვაშითაც იყო ხოლმე... დაბნეული ვიყავი, ნამტირალევი. ძალით მოვყავდი ლელას, სუ არ მინდოდა მისვლა.

მ.მ. - გეშინოდა?

ე.ტ. - უბრალოდ, არ ვკითხულობდი მე ჩემს ლექსებს. იმ დღემდე არავისთვის წამეკითხა. არავინ იცოდა. მეშინოდა, მრცხვენოდა, მეგონა, რომ ვერავინ ვერ მიხვდებოდა ერთი წაკითხვით ჩემს ნაფიქრს...

მ.მ. - ადრევე დაიწყე წერა?

ე.ტ. - ბავშვობიდან სულ რაღაცას ვწერდი.

მ.მ. - ინახავდი?

ე.ტ. - როცა მცხეთის ქუჩაზე ვცხოვრობდით მე და ლელა, იქ ვმალავდი და მერე, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ლელა შინ არ იყო, სანაგვე ვედრო გავავსე დაკეცილი ფურცლებით და დავწვი...

მ.მ. - რომ გითხრა, კარგად მოქცეულხარ-მეთქი, დამიჯერებ?

ე.ტ. - ახლაც მენანება! ჩემი განცდები რო იყო, მერიდებოდა. მეგონა, სუყველა ჩამხედავდა სულში... ჰო, იქ, ფილარმონიაში ავედით და მართლა აღმოჩნდა, რომ ეს ის თენგიზია.

მ.მ. - „ფარდაგი“ წაიკითხე მაშინ, ხომ?

ე.ტ. - „ფარდაგი“, „კაპრაშა ფერითა-დ ნაფოტა ნაჭრელითი“, ეგ წავიკითხე; - „ჩამიფარ, ალბათ, პირბადეებ თებულომ, ქაჩუმ...“

მ.მ. - წაიკითხე და...

ე.ტ. - თენგიზმა მაშინვე დაუძახა ალექსი ჭინჭარაულს - ნახე, ბალღო, რა ლექსიაო! ეს იყო ჩემი ლექსის პირველი შეფასება. თან ფურცლავდა მანამდე... და მერე ერთად წაიკითხეს თენგიზმა, ალექსიმ და ვახუშტიმ... და იმ დღიდან ასე მოვდივარ...

მ.მ. - ის საღამო მეც ვნახე ტელევიზიით და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩიტი ქღურტულებს თუ მერცხალი ჭიკჭიკებსო... მაშინ ყველა სიტყვა ვერც გავიგე, მერე, „სიბრძნე ბალაჰვარისაში“ რომ ჩავიხედე - სხვათა შორის, იქ აღმოვაჩინე, ჩიტს „მჭვრინავი“ ჰქვია - კიდევ სხვა ძეგლებიც რომ ვიკითხე, - ვიეჭვე: იქნებ ჩვენც ასე ვლაპარაკობდით რამდენიმე საუკუნის წინათ. ეგებ თუშეთმა და, საერთოდ, მთამ შეინახა ის ენა?

ე.ტ. - მე გეუბნები, მიხეილ, რომ ის ჭიკჭიკი, რითაც ესე ძალიან მამკობ... რა სთქვი, ჩიტს რა ერქვაო?

მ.მ. - „მჭვრინავი“... არ იცით თუშებმა?

ე.ტ. - არა... მაგრამ ეგ მჭვრინავობა მაგ დიალექტის ბრალია, ჩემი კი არა. ამ დიალექტს აქვს ისეთი უცნაური, საკვირველი ნიუანსები, მეცხრე საუკუნის ხანმეტებს ინახავს..

მ.მ. - „მჭვრინავიც“ მეცხრე საუკუნის ძეგლიდან არის!

ე.ტ. - ჴარს ინახავს, იოტს, უ-ბრჯგუს, ვინს, ნახევარხმოვანს; ამაზე მეტი რა უნდა შეინახოს ერთმა პაწაწინა კუთხემ, ჰა?!..

მ.მ. - თენგიზმა ეს ყველა ნიუანსი იცის, ხომ?

ე.ტ. - იცის... შეიძლება, არავინ არ დამიჯეროს, მაგრამ თუ რამ დაბეჭდილა, ის ხო იცის ზეპირად; რაც არ დაბეჭდილა, ისიც. ხშირ-ხშირად მირეკავს, იქ, იმ ლექსში რომ ეს სიტყვაა, ზუსტად რას ნიშნავსო. დავიბნევი ხოლმე, მე ხო ჩემი ლექსები ზეპირად არ ვიცი...

მ.მ. - შენი ლექსები სულ თან დაჰყვება, ფიქრობს... აი, ჩვენთან, „ცისკარში“ მოიტანა, შევარჩიე, - მოვიდა, ამირია. კიდევ შევარჩიე- ისევ ამირია; ახლა კიდევ წაიღო და სულ სხვები მოიტანა - კალკაზე ამოღებული, თავისი ორნამენტებით გაფორმებული.

ე.ტ. - ყველა ჩემი წიგნი თენგიზის წყალობაა... რედაქტორიც ის არის და კორექტორიც, მხატვრობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. თუმცა, რატომ არ უნდა ვთქვათ, ყველა წიგნი მაგან დამიხატა... ძალიან ბევრ ვინმეს ვცემ პატივს და ვთვლი, რომ არიან დიდი მხატვრები, ღმერთმა დაიფაროს ეს ქვეყანა უმაგათოდ. მაგრამ, იცი, ისე ვარ მიჯაჭვული და იმდენად არის თენგიზი ამ ლექსის პატრონი, რომ ვერ დავიჯერებ, სხვამ უკეთესად იგრძნოს ეს ლექსი და დამიხატოს.

მ.მ. - რომ არ მოწონდეს, არც დახატავდა... მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი ლექსიც მეგულება, სადაც მირზაშვილის ქედნები გყავს ნახსენები, ანა თიბელაიძეს რომ უძლვენი, იმაზე გეუბნები.

*მეაც გამამგზავნებენ*
*ყვავილებით, ცრემლებით,*
*სამარის ქვას მიხატვენ,*
*მირზაშვილის ქედნებით.*
*უკვენ დაბრუნდებიან*
*წუთისოფლის ყვედრებით,*
*სამოთხეში შევჩინდებ*
*ჩემ სულწმინდა მგებრებით.*

მე ვერ ვკითხულობ კარგად...

ე.თ. – ეგ ლექსი ისე მოეწონა ანას, ისე მთხოვა – ვაიმეო, როგორ ზუსტად ჩემი სათქმელია მაგ ლექსშიო; როგორ მიყვარს თენგიზიო... ეს თუშის ქალია, ცნობილი, ულამაზესი და უჭკვიანესი თუშის ქალი, რომელიც, ისევე როგორც სხვაც ბევრი, შეყვარებულია თენგიზზე, როგორც ადამიანზე და მითხრა – „ვაიმეე, მეაცავ, სულ ვნატრობავ, მირზაშვილის ნახატითამ მომიქარგიანავ საფლავივ“. ჰოდა, შემემუდარა, თვალები მოეცრემლა და მითხრა – ოღონდ ეგ ლექსი მაჩუქეო... ძალიან მიყვარს ეს ქალი და ვაჩუქე. გულწრფელად უნდა გითხრა, გული მწყდება ხოლმე. ეგეთი არაფერი დამმართნია. და როცა ვკითხულობ, მაინც ჩემადვე ვკითხულობ. კიდევ მაქვს თენგიზისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი. აი, თუნდაც ეს:

*გაკვირვებით მიყურებენ შენ ყაყაჩონ,*
*შავ ბატკანა´ ნაღველნაჭარბ მხედავს,*
*ყვავილ გახყრი ეკლესიის წინათით ხეს,*
*ფთა მოსტეხი ქედანს.*
*ჩირთს დამლევი გავაგანიერა´ ცხენი-დ*
*ცხვა ვერც ვერას ხედავს,*
*გაწირული-დ ჩქამჩამარხულ სოფლის თავზე*
*შავ ჯანღ გძლოანს სჩჩავს...*
*ღიმნაფერებ შემომხედვენ შენ ყაყაჩონ,*
*ფთა ეკურნებ ქედანს.*

მ.მ. – კარგია! კარგადაც კითხულობ!.. ახლა თენგიზის ნახატებზე უნდა გათქმევინო...

ე.თ. – ეს რაღაც უკიდეგანო სამყაროა, აბა, როგორ გითხრა... როგორი დაქანცული და დატანჯულიც უნდა ამოვიდე მეცამეტე სართულზე, ამოვათავო ეს კიბე და შინ შემოვიდე, როგორც კი ვაღებ კარს – აეს მინდა ძალიან ზუსტად გამიგო, – და როგორც კი ჩამოვჯდები, ვერ გეტყვი, უცაბედად გადამივლის დაღლა, ისე ვარ, ჯოჯოხეთიდან რომ სამოთხეში შემოხვიდე. ხო ლატაკები ვართ, შენც ხო ხარ მოწმე, აქ არც ძვირფასი ავეჯია, არც არაფერი... მირზაშვილის ნახატების მეტი სხვა სიმდიდრე არა მაქვს და არც მჭირდება... ეს ის სამყაროა, რომელშიც საათობით შემიძლია ვიჯდე. ადრე ნაჩუქარი რამდენიმე ნახატი თენგიზმა გამოფენაზე წაიღო, პარიზში, და უკან ზოგი დამიბრუნა, ზოგი – აღარ. იქ რო სთხოვეს, მიაჩუქა. ხოდა, მე არ ვპატიობ დღემდე. რატო დამიკარგა ის ნახატები, უკვე მენატრება. ერთი ნახატი იყო, თუშურა ფარდაგები სანიაოზე გაფენილ, ყვითელი ჭარბობდა. შემოდგომაა უცნაური, მზიანი... რო გავხედავდი, ჩემი ბალღობის ერთი ფურცელი იყო, ერთი სურათი... აღარა მაქვს! გამიჩუქა! ახლა მპირდება, იმაზე კარგს დაგიხატავო!

მ.მ. – აღარ გაიმეორებს...

ე.თ. – სხვა რაღად მინდა!.. აი, როგორია... (იცინის). ერთხელ შემოვიდა ერთი სტუმარი და ეს თქვა – ეგეთი ნახატი მეც მაქვს, სამნი რო დგანანო... ოღონდ ცოტა უფრო შორს დგანანო!

მ.მ. – კაი ვინმე ყოფილა!.. ისე, მე რომ მირზაშვილის ნახატს ვუყურებ, თითქოს ვმშვიდდები. შენი ლექსიც ასევე მოქმედებს ჩემზე...

ე.თ. – ჩემი ლექსი არ ვიცი და თენგიზის ნახატი ეს არის სწორედ! აბა, მითხარი, რომელ ჯანმრთელ, ნორმალური განცდების მატარებელ ადამიანს აერევა მირზაშვილი ვინმეში? მე ხომ პრეტენზია არა მაქვს მხატვრობაში, მაგრამ თენგიზის უბრალო მონასმიც არ მეპარება. უბრალო ლაქაც რო იყოს, უკვე ვიცი, რომ თენგიზის გაკეთებულია... (იცინის) აი, ხო ხედავ, ვეჯიბრები – იმან ჩემი ლექსები იცის ზეპირად, მე – იმისი ნახატები!.. უბრალოდ, იცი, რომ ეს არის ჩუბჩიკა, ყველასთვის ძალიან ახლობელი, ძალიან ადვილი, ამ დროს ძალიან რთული და უცნაური, უძირო...

მ.მ. – მაგასთან არაფერი არ უნდა შეგეშალოს.

ე.თ. – რამდენადაც შეიძლება, რომ იახლობლო, იმდენად ძნელად იახლობლებ თენგიზთან. მე დამიჯერე, მიხო, მოტყუებას დაუპირებ და დაკარგული ჰყავხარ.

მ.მ. – მაშინვე მიხვდება... ყალბი ბრჭყვიალი და ზედმეტი, ცრუ სამკაულები არც ლექსში და ნახატში მოსწონს, არც კაცში.

ე.თ. – აი, შენ რომ ფიქრობ, ძალიან საიდუმლოდ წავიყალბეო... და შენ ხომ არ გგონია, ამას ცალკე და ვინმესთან იტყვის, იქვე გეუბნება, ვერ ითმენს... ბაზარში რომ შედის, ხილსა და ბოსტნეულსაც არ იყიდის, თუ ბუნებრივი, სუფთად მოყვანილი და მოწეული არ არის და მოგონილ ადამიანთან როგორღა უნდა იახლობლოს? შეიძლება, არ გაგრძნობინოს, მაგრამ მეორედ აღარ შეგხვდება, არ დაგიახლოვდება. არავითარ შემთხვევაში არ მიგიკარებს...

მ.მ. – მე რას ვფიქრობ, იცი? თენგიზს ერთი უბადლო თვისება აქვს, მაგასაც და შენს მეუღლეს, ჩემს მეგობარ ამირან არაბულსაც... მცნობია ერთიც და მეორეც. ხომ იცი მცნობი, ცხვარში რომ არის: აიყვანს ბატკანს და ხვდება, დედა რომელია, ზუსტად იმასთან მიჰყავს... და ესენიც ყველაფერს ფასეულს ცნობენ, ადამიანი იქნება, ნახატი, მოთხრობა, ფილმი თუ ლექსი... ყადრი იციან.

ე.თ. – ჩემგან ამირანზე საუბარი უხერხულია, არადა, მართლა ეგეთია. ვერც მე გავძლებდი სხვანაირ ადამიანთან. რატომ იცი? გინდა გითხრა? ოცი წელი ხდება, ერთად ვართ და ვერ ვიგონებ, ტყუილი ეთქვას...

მ.მ. – თვითონაც ასე აფასებს ამირანს, მაგრამ ჩემზე მაგას ვერ ვიტყვიო, – მითხრა.

ე.თ. – არ უნდა, რომ ვთქვა!

მ.მ. – მოდი, ახლა, ისიც ვთქვათ, ვის გაგონებს, ვისი ბიძაშვილია, ვისი შვილიშვილია...

ე.თ. – იცი, ვისი შვილიშვილია, საიდან მოდის

მთელი მისი სიალალე, სიმართლე, თავისუფლება?.. ჩემთვის მიფიქრია ხოლმე... საიდან მოდის და – ფიროსმანიდან. მე არ მეშინია ამის თქმისა იმიტომ, რომ... ოდესმე მეც ხომ აღარ ვიქნები ცოცხალი? ხომ მოვლენ თაობები და თუ სადმე ეს ჩვენი „ცისკარი" გადარჩება... ხო იდება სადმე?

მ.მ. – კი, ალბათ.

ე.თ. – ჰოდა, იმას თუ წაიკითხავენ, იტყვიან, არც ისეთი მტერი ყოფილა ეს ადამიანი, ამას რომ ამბობსო... რაც მაგან ფიროსმანისთვის გააკეთა... ეგ ცალკე წიგნად დასაწერია. თენგიზისთვის ცხოვრების ერთი ნაწილი კი არა, მაგის მთელი ცხოვრებაა ფიროსმანი. რაც მაგან მასალა მოკრიბა ფიროსმანზე მსოფლიოში, განა მარტო აქ; რამდენიმე ნახატი დააბრუნა და რა ჯაფა გამოიარა. საკვირველი ენერგია დაამადლა ღმერთმა... თენგიზს ხო არ შეუძლია, უაზროდ დაჯდეს და ტელევიზორს უყუროს... თუ სერიოზული გადაცემაა, უყურებს, როგორ არა. თენგიზს ხო არ შეუძლია, დაჯდეს, იყბედოს... ან თამაშობს, ან...

მ.მ. – რას თამაშობს?

ე.თ. – ჭადრაკს. ცოტა სხვა რამეებსაც.

მ.მ. – პოკერი, პრეფერანსი – ესენი უყვარს?

ე.თ. – შეუძლია ღამე გაათენოს (იცინის). ეს არ ჩაწერო, არ დაიჭირონ!

მ.მ. – ახლა მაგისთვის აღარ იჭერენ... მაშ, აზარტულიც არის, ხომ?

ე.თ. – ჭადრაკი უყვარს, შეუძლია, ორი ღამე გადაბმულად ითამაშოს.

მ.მ. – ქალბატონი მანანა როგორ ხვდება ამ ამბავს?

ე.თ. – შეჩვეულია უკვე... არაფერი არ გასდის თენგიზთან... სწორედ მანანას შეეძლო თანადგომა და მთელი ცხოვრება თენგიზთან მეგობრობა... როგორი იუმორი აქვს, მიხო, რომ იცოდე... ქვეშქვეშა. იტყვის და თან არ იმჩნევს. საათობით ვიცინით ხოლმე. შეუძლია ისეთი რაღაც თქვას, ვითომც არაფერიო, გაგაგიჟებს. მანანას ნიჭზე, იმის უჩვეულოდ ლამაზ აპლიკაციებზე, ყველაფრის აღქმაზე აღარაფერს ვამბობ...

მ.მ. – მათ შვილებსაც იცნობ?

ე.თ. – ვიცნობ... შვილები მერე მოვიდნენ – გია, ნატო; მოვიდა ირაკლი, გიას ვაჟი, რომელიც ახლა ამერიკაშია; გიორგი, ნატოს ვაჟი, ის გერმანიაშია, და ესენი ყველანი ნამდვილი მხატვრები და მუსიკოსები არიან.

მ.მ. – მირზაშვილებმა მხატვართა დინასტია შექმნეს. თენგიზის დედ-მამაც ხომ მხატვრები იყვნენ?

ე.თ. – ძია რეზო ძალიან მიყვარდა, ძია რეზოც და ქალბატონი სოფოც... თუშებსაც უყვარდათ რევაზ მირზაშვილი, სერგი მაკალათიას ექსპედიციას ახლდა იქ... გამორჩეული ფილმები აქვს „დახატული", რომელი ერთი ჩამოგითვალო: „ქაჯანა", „გიორგი სააკაძე", „მამლუქი", „ბაში-აჩუკი", „ვედრება", „ნატვრის ხე"...

მ.მ. – დედამისი?

ე.თ. – ძველი ფრესკებისა და მინიატურების ასლებს იღებდა... თენგიზი, ხო იცი, სად დაიბადა?

მ.მ. – სვანეთში ლავიბადეო.

ე.თ. – მესტიაში, ნიჟარაძეების სახლში.

მ.მ. – იმიტომ უყვარს მთა.

ე.თ. – ერთი ფოტოა, როცა სოფიოს მოჰყავს ცხენით სვანეთიდან. იმ ზამთარს ჩარჩა სოფიო, სწორედ სვანეთში მუშაობდა ფრესკებზე, ფეხმძიმედ იყო... აგვისტოში დიდთოვლობამ ჩაკეტა და იქ იმშობიარა თებერვალში, ექიმ გიორგი ნიჟარაძის სახლში... თენგიზი ვინ დაანათლა, გითხრა?

მ.მ. – არა, ვინ?

ე.თ. – ქემლატ დადეშქელიანმა, გიორგი ნიჟარაძის მეუღლემ; თენგიზი რქმევია იმის პაპას... და პარიზში რომ იყო მირზაშვილი წასული, იქ გაუცვნია ერთი ემიგრანტი – ნიკოლა დადეშქელიანი, რომელსაც თავისი წინაპრის, თენგიზ დადეშქელიანის სავიზიტო ბარათი უჩვენებია.. ჰო, იმას გეუბნებოდი, დედამისი რუსი ებრაელი იყო, გვარად ლემბერგი...

მ.მ. – ქართული იცოდა?

ე.თ. – როგორ არა, იცოდა. იცი, როგორი იყო?.. ქათქათა, როგორც მარმარილო... ცისფერი თვალები... რაღაც საკვირველი სისუფთავე...

მ.მ. – ლამაზი ქალი იყო?

ე.თ. – ვაიმე, რაღაც წარმოუდგენელი!.. ერთი ინტერვიუ წავიკითხე სოფიოსთან და იქ ამბობს, – მეო, საქართველოსთვის სუ რო არაფერი გამეკეთებინაო, თენგიზი გავუჩინეო.

მ.მ. – კარგად უთქვამს.

ე.თ. – თენგიზი დამიშლისო, იქაც ამბობს... ყველაზე მთავარი რა არი მის ხასიათში, იცი? – აბა, თქვი მაგის თანდასწრებით მაგისი ქება!

მ.მ. – არ გათქმევინებს, ვიცი... ამით დავამთავროთ?

ე.თ. – მოიცა... აი, ჩვენ ვითომ მწერლები ვართ...

მ.მ. – ჰო, ვითომ...

ე.თ. – რაღაცებს ვბლაჯავთ, ხომ?

მ.მ. – ვბლაჯავთ, ვბლაჯავთ.

ე.თ. – ჰოდა, აბა, შენ იცი, ისე დაბლაჯე, რომ მამლაყინწა და გუგულივით არ გამოგივიდეს, ერთმანეთს ხოტბას რომ ეუბნებიან...

მ.მ. – აი, ფინალიც ამას ჰქვია!

*1998 წლის დეკემბერი*



ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსი ჭინჭარაული

# სადღეისო და საშვილიშვილო საქმე

ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის დიდი ვალი ადევს: არც ერთი კლასიკოსის სრული აკადემიური გამოცემა არ გაგვაჩნია: ვგულისხმობ ისეთ გამოცემას, რომელშიაც ტექსტის დადგენისა (ხელნაწერთა ნაირნაირი იკითხვისები და სხვ), ნაბეჭდი ტექსტის ცთომილებებისა და კორექტურულ შეცდომათა გარდა, თანამედროვე მართლწერის დონეზე მოწესრიგებული იქნება პუნქტუაცია, კომპოზიტთა დაწერილობა... ერთისა და იმავე ავტორის ტექსტში (გურამიშვილი, ილია, ვაჟა, აკაკი...) კომპოზიტის კომპონენტები იბეჭდება ცალცალკეც, დეფისითაც და შერწყმულადაც (ძალიან ხშირად ასე იბეჭდება ერთი და იგივე კომპოზიტი). ტექსტის სიმფონიური ლექსიკონის შედგენისა და მის კომპიუტერიზაციისათვის ასეთი ტექსტი უვარგისია, სხვა უხერხულობებსაც რომ თავი გავანებოთ. დაუდგენელი ტექსტის ენობრივ-მხატვრული ანალიზი საიმედო ვერ იქნება.

ამ მხრივ შედარებით უკეთ არის მოვლილი „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი: მიუხედავად იმისა, რომ პოემის ავტოგრაფი არ მოგვეპოვება და მრავალრიცხოვანი ხელნაწერის იკითხვისების სათანადოდ შეჯერება და ტექსტის საბოლოოდ გამართვა ჯერ კიდევ დიდ შრომას მოითხოვს, ტექსტის დამდგენი კომისიის ბოლო (1988წ.) გამოცემაში კომპოზიტების დაწერილობა მოწესრიგებულია.

დღეისათვის ქართული მართლწერის საკითხები იმ დონეზეა შესწავლილ-დამუშავებული, რომ ამ თვალსაზრისით ავტოგრაფიანი თხზულების აკადემიურად დადგენილი ტექსტის გამოცემა მაინც არ უნდა გვიჭირდეს. მიუხედავად ამისა, არადამაკმაყოფილებლად არის გამოცემული თუნდაც ზემოაღნიშნული ოთხივე კლასიკოსის თხზულებები.

სასიხარულოა, რომ ყინული უკვე დაიძრა: ჩვენ ხელთა გვაქვს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის ქართული ენისა და მეტყველების კულტურის კათედრაზე 1992-1993 წლებში მომზადებული და 1996 წელს გამოცემული მშვენიერი წიგნი, რომელსაც აწერია: „ქართველი კლასიკოსები, II ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი სიმფონია-ლექსიკონითურთ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, სიმფონია-ლექსიკონი შეადგინეს და წინასიტყვაობა დაურთეს ავთანდილ არაბულმა, თეიმურაზ გვანცელაძემ და ამირან ლომთაძემ". ცნობისათვის: ავთანდილ არაბული და თეიმურაზ გვანცელაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები ბრძანდებიან, ამირან ლომთაძე კი აღნიშნული უცხო ენათა ინსტიტუტის ქართული ენისა და მეტყველების კულტურის კათედრის გამგე.

ანოტაციაში ნათქვამია: „წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ქართული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის აკადემიურად დადგენილი ტექსტებისა და შესაბამისი სიმფონია-ლექსიკონის ერთდროულად გამოქვეყნების პირველ ცდას. ამგვარი გამოცემის პოზიტიური მნიშვნელობა მხატვრულ-ტექსტოლოგიური და ენობრივი თვალსაზრისით დაწვრილებით არის დასაბუთებული წინასიტყვაობაში. ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა ამ გამოცემისათვის საგანგებოდ იქნა დადგენილი აკადემიური ტექსტი ყველა ადრეული გამოცემისა და არსებული ხელნაწერების შეჯერებით, ჩამოყალიბდა სიმფონია-ლექსიკონის შედგენის ახლებური პრინციპები ამგვარი გამოცემის სპეციფიკის გათვალისწინებით".

წიგნის წინასიტყვაობაში მკითხველი იხილავს სანიმუშოდ მოხმობილ სერიოზულ დამახინჯებათა ერთ ნაწილს, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად საჭირო და სასარგებლოა ეს გამოცემა. გულისხმიერად არის შედგენილი სიმფონია-ლექსიკონი, რომელშიაც მხოლოდ რიგითი მკითხველისათვის გაუგებარი სიტყვებია განმარტებული. ერთი ეტიმონიდან მომდინარე ძირები „შ.დ.რ"-თი ერთმანეთთან არის მიგზავნილი. ანბანური რიგის მიხედვით აქვეა შემოტანილი გეოგრაფიული და პირთა სახელები. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ, ჩვენი აზრით, ცალკე უნდა აღნუსხულიყო არამარტო ეს სახელები, არამედ, საზოგადოდ, ასეთი ლექსიკონიდან ცალკე უნდა გამოიყოს და განიმარტოს ის სიტყვები თუ სიტყვა ფორმები (მაჯამები და სხვ.) რომელნიც ახსნას მოითხოვენ. მათ საილუსტრაციო მასალაც უნდა დაერთოს (რა თქმა უნდა, სიმფონია-ლექსიკონში ისინი თავის ადგილზე დარჩებიან).

გაკეთებულია კარგი საქმე და გაკეთებულია გულისხმიერად, კეთილსინდისიერად, მეცნიერული პასუხისმგებლობის სრული შეგნებით. მაგრამ, ალბათ, ყოველი კარგი ნამუშაკევის გულდასმით და კეთილგანწყობილად გასინჯვისას რაღაც ნაკლი მაინც აღმოჩნდება. ჩვენც გაგვიჩნდა ამ წიგნის მიმართ ზოგი შენიშვნა, რომელთა გაზიარება გამომცემელთა და მკითხველთათვის საჭიროდ მიგვაჩნია. ამ შენიშვნათაგან ერთი ნაწილიც რომ აღმოჩნდეს გასაზიარებელი, წერილის ავტორი კმაყოფილი იქნება.

1. ტექსტის დადგენის თვალსაზრისით.

ა) პოეტი მიმართავს საყვარელს:

რადგან გარდმიწყდა იმედი შენის კვალადვე ნახვისა,

ვზი და ვსტირ, მაგრამ ვის ესმის ჩემის ახისა, ვაისა,

ამად ვხმობ დაუცხრომელად, თუმცა არ მესმის ჭმახვისა (3.12).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითმის შესაბამისად ბუნებრივი იქნებოდა მეორე სტრიქონის ასეთი დაბოლოება: „ჩემის ვაისა, ახისა". თუ, „ახისა, ვაისა" ავტოგრაფში დასტურდება, მე მას ავტორის მიერ გადაწერისას დაშვებულ შეცდომად მივიჩნევდი, თუ ავტოგრაფი არ შემოგვენახა, სიტყვათა გადასმა გადამწერს უნდა დაჰბრალდეს. ასეა თუ ისე, დიდი ცოდვა ალბათ არ იქნება კონიუქტურის დაშვება და რითმის გამართვა: ნახვისა, ახისა, ჩმახვისა.

ბ) მან მომწყლა უცილოდ, გარნა ვითარ მან!

აჰა, განცვიფრებამ მიპყრო ვითარმან (27, 10),

„გარნა" (-მაგრამ) გვაფიქრებინებს, რომ პირველ სტრიქონში რითმა (მაჯამა) სამშემადგენლიანია: „ვით არ მან". აზრი ასე უნდა გავიგოთ: ნამდვილად მან მომწყლა (-დამკოდა, დამჭრა), მაგრამ თავი ისე უჭირავს, თითქოს ის არ იყოს ბრალეული.

გ.) ალექსანდრე ალკივიადს ვიახელ ათენს აწყურით,

არკვეთი მშვილდად მან მომცა, გითხრობთ, მისმინეთ აწ ყურით,

არყის ისარი სახილვოდ თვალთამცა თქვენთა აწყურით,

ალალს აფსკისგან რაც სისხლი ვადინე იგი აწყურით (გვ. 39); ლექსიკონში გეოგრაფიულ სახელად (მართებულად!) შეტანილია პირველი სტრიქონის „აწყურით", მაგრამ მესამე და მეოთხე სტრიქონების, „აწყურით"-აც იმავე გეოგრაფიულ სახელად არის მიჩნეული (მეორე სტრიქონის აწ ყურით" თავ-თავის ადგილზეა - „აწ"-ზე და „ყურ"-ზე).

მესამე სტრიქონის „...სახილვოდ თვალთამცა თქვენთა აწყურით" ნიშნავს: ნეტავ თქვენი თვალებისთვის მოგაწყურებინათ (სახილველადო). სიტყვის ძირია „წყურ: (მწყურის). მეოთხე სტრიქონი ასე უნდა დაიბეჭდოს: „...რაც სისხლი ვადინე, იგი აწყუ რით?" ეს პოეტური ლიცენცია ნიშნავს: „რით აიწყვება" ან „რით აწყავ". ძირია წყ-ავ: (ავწყე, ასწყე,. აწყო).

დ) „წუნტოს ვახლდი, წიწად მხმობდნენ ბატონყმობით შესაფერად (44, 1). „წუნტო" და „წიწა" ლექსიკონის მიხედვით საკუთარი სახელებია. „წუნტო" არის საკუთარი სახელი, წიწად კი უნდა ნიშნავდეს: მოწიწებით, მოკრძალებით: „წიწად მხმობდნენ" - მოწიწებით მესაუბრებოდნენ (როგორც ბატონს შეეფერებაო). შდრ. „ვეფხისტყ." მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოაწიწა (206, 3. 1988 წ.)

ე) განშორებულვარ შენთანა შვებას,

თუმცა გონება შენთან ხომია (52,7).

ლექსიკონში ვკითხულობთ: „ხომი ხომლი(?)". შინაარსის მიხედვით ხომი//ხომლი აქ უადგილოა. როგორც ჩანს, აქ პოეტს უხმარია ნაწილაკ „ხოლმე"-ს ფონეტიკური ვარიანტი ხომე, რაც კახურ-ქიზიყურისათვისაც არის დამახასიათებელი. შინაარსი ასეთია: შენთან შვებას კი განვეშორე, მაგრამ გონებით, ფიქრით შენთან ვარ ხოლმეო.

ვ) შენ ხარ მზე მქონე სხივთა, ჩემთა მაცხოველეთ,

მე-ხე, რომელი ვჰხმე. თუ მათით არ მომზარო! (53, 22).

„მომზარო" კითხვის ნიშნით შეტანილია ზარ-ზე (საზარელი), მაგრამ იქ „მომზარო"-ს ადგილი ნამდვილად არ არის. ტექსტში საუბარია პოეტის მაცოცხლებელ მზის სხივებზე და „მათით" პოეტის „მომზარვა"-ზე. ჩანს, აქაც გვაქვს პოეტური ლიცენცია, - საუბარია მზის სხივებით „მომზეეებაზე", რომ პოეტის (ფიგურ. „ხე") არ გახმეს.

ზ) ჰკითხავს თვალებთა, თვალებთა: „გვიწყებთა თქვენთვის მვებთა საბრალოდ?" (57, 4).

„გვიწყებთა" ლექსიკონში შეტანილია წყ-ძირზე (დაიწყებს) კითხვის ნიშნით. ეს მნიშვნელობა კონტექსტს არ ესადაგება. სტრიქონის მეორე მუხლს ერთი მარცვალი აკლია და ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ავტოგრაფში გვქონდა „გვივიწყებთა" და გადაწერისას ან ავტორს ან გადამწერს ან ასოთამწყობს ორი ვი მარცვლიდან ერთ-ერთი გამოჰრჩა. შინაარსი ასეთია: (გული) ჰკითხავს სატრფოს თვალებს: გვივიწყებთ თქვენთვის საბრალოდ მვაებლებსო?

თ) ამას მემდურვ, კინამო,

დამყნოსეო კინამო,

სულსა გაძლევ სუნის წილ,

ოღონდ გული კი ნამო (59, 24, 25)

ეს არის ერთ-ერთი იმ ოთხი ოთხტაეპიანი სტროფიდან, რომელთაც ერთმანეთთან მხოლოდ ის აკავშირებს, რომ თითოეული მათგანის პირველი, მეორე და მეოთხე ტაეპი მაჯამით არის გაწყობილი. ლექსიკონში ვკითხულობთ: „კინამო ყვავილისა და ქალის სახელი: 592,4; 59, 25", ე. ი. პირველსა და მეორე სტრიქონში ნახმარი ორივე „კინამო" ერთდროულად „არის ყვავილისა და ქალის სახელი". კინამო ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: „დარიჩინი, ქანდა, корица (დ. ჩუბ.). არსაიდან ჩანს, რომ „კინამო" ქალის სახელიც იყოს. ამ სურნელოვანი ყვავილის სახელი პოეტს უბრალოდ მაჯამის გასამართავად აქვს მოხმობილი შდრ. ამ ოთხტაეპედთა ჯგუფში მესამე სტროფი: გაფ-რენილო, ვი. წამო, სხვამცა რაღა ვიწამო (60, 3, 4). ამას გარდა მაჯამაში ერთი და იმავე სიტყვის გამოყენება მნიშვნელობის უცვლელად არ არის საგულვებელი. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ მეორე სტრიქონის კინამო არის-და- ჩამოცილებული „კინადამო". ერთიც: „სულსა გაძლევ სუნის წილ" მხოლოდ ყვავილს შეიძლება უთხრა.

ი) მოდით, ძმანო, მო, ნახეთ,

ქმნილა გამხმრად მონა ხეთ,

გასჭრომია გონება,

გიშრის ტევრში მონახეთ (59, 29).

„მონა ცუდი, უქმი"-ო ვკითხულობთ ლექსიკონში, ასეთი გაგებით არა ჩანს თუ ვინ არის ის, ვინც ცუდ, უქმ ხედ ქმნილა. მონა მთის დიალექტებში ნიშნავს ცუდს, მაგრამ აქ მონა მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით (раб)არის ნახმარი ოღონდ კონტექსტში მონა ის ადამიანია, ვინც სიყვარულისაგან ხესავით ჩამომხმარა, ვისი გაჭრილი გონება და ფიქრი მისი შავთვალწარბწამწამა სატრფოს დასტრიალებს და ამ გიშრის ტევრში უნდა მონახოთ.

კ) გული საკვდად იმალვის,

ჭირი სად ვით იმალვის?!

კვლავ მწვიდა მზის სიახლე,

ან - სიშორე იმ ალვის (60, 7).

ლექსიკონში ორივე „იმალვის" „მალ-" (მალავს) ძირზეა შეტანილი. ვფიქრობთ, რომ პირველი სტრიქონის „იმალვის" მალება ზმნიდან არის გაკეთებული: გული სიკვდილს ჩქარობსო, სიკვდილისკენ ისწრაფისო. შდრ. ამავე წიგნიდან: რა მეხშირა შენთა ისართ მალება (45, 14).

ლ) ვინც მხელთავად მისად თავი იგულოს,

გულიც ჰკარგოს და ვერც იგი იგულოს,

გინა ოხვრით ბაგეც აღარ იგულოს

არ უსმინოს მან ეს ოხვრა და ეს ვა (62, 19-22).

მართალია, სამივე სარითმო სიტყვაში გულ-ძირი გვაქვს, მაგრამ შინაარსი სხვადასხვაა და ეს ლექსიკონში უნდა აისახოს. ჩვენ ეს სიტყვები ასე გვესმის:

1) იგულვოს, მიიჩნიოს, ჩათვალოს;

2) გულად, გული, ნაცვლად მიიღოს;

3) დახუროს, დაკეტოს (ბაგე, პირი). შდრ. ამავე წიგნში: ეღების კარი გაგაფხულისა, დროთა ცვალებით დანაგულისა (33,3).

მ) მახვილღებულად მოვიდა, მგაკვრულად მიგვცა გვემასა,

ყელსა შეგვაბა სარაზი მიმოძგონარედ მთვლემარსა (84, 15).

ლექსიკონში უკითხვისნიშნოდ სწერია: „მიმოძგონარე გაოგნებული“-ო ჩვენთვის ქართულში ძგონძირი უცნობია და გვგონია, რომ აქ მ და ძ გრაფემათა აღრევასთან გვაქვს საქმე. ისინი ხომ ძალიან ჰგავნან მოხაზულობით ერთმანეთს. დედანში უნდა გვქონოდა: „მიმომგონარედ მთვლემარსა“, ე. ი. მოგონებებში, ფიქრებში ჩათვლემილსო, „მიმოგონება (მიმოვიგონებ, მიმოვიგონე) მოვიხსენებ, ნელიად განვსჯი, განვსაზრავ... (დ. ჩუბინ.). აქედან არის ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმღეობა „მიმომგონარე“.

ნ) მაჯამით გაწყობილი სტროფის პირველი მუხლია: „...შენ უძლევნ ესე ისარი“, მეორისა - „...ეს იყოს, გინა ის არი“ და ამას მოსდევს სტრიქონები:

გლახ, გულო! ანდამაგისა მღუდე გარემო ისარი!

თვარ მოგწყლავს იგი უცილოდ, ოხრად დაგიშთეს ისარი (85, 19-22).

ძველ გამოცემებში იკითხებოდა: „...მღუდე გარემო ის არი! გამომცემლებმა დაბეჭდეს: „მღუდე გარემო ისარი!“ და აღნიშნეს, რომ „ისარი“ აქ ნიშნავს: შემოისარე, მესერი შემოივლე. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ მეოთხე სტრიქონის „ისარი“-ც „ისარ“-ზეა (стрела) შეტანილი ლექსიკონში. გამოდის, რომ პირველ და მეოთხე სტრიქონებს ერთი და იგივე სიტყვა აქვთ სარითმოდ, რაც უხერხულობას ქმნის. გვგონია, რომ მეოთხე სტრიქონის მეორე მუხლი ასე უნდა დაიბეჭდოს: „...ოხრად დაგიშთეს ის არი“. „არი“ აქ იგივეა, რაც „არე“. ამ სიტყვას რუსთაველიც აკვეცდა ე ხმოვანს: დააგდო ზღვარი არაბთა, სხვათი ზღვართა არე იარა (179, 2; 178, 2); „ვერ დაიტევდა მინდორი და არე მთათა ვარა“ (453, 3; 450, 3).

ო) „ეამი გვიროკს, იგი გვიძახს - შეუდექით სიბრძნის კვალთა! (97, 8).

„გვიროკს“ ლექსიკონში „როკვა“-ზეა შეტანილი. როკვა ცეკვაა და შინაარსი შეუფერებელია კონტექსტისათვის. უდავოდ უნდა იყოს „ეამი გვირეკს“ (იხ. ქვევლში „დარეკავ-ს“ და „დაურეკ-ს“ ზმნებთან იდიომები: „ეამი დარეკავს“ და „(რისამე ეამი დაურეკს), ოღონდ გაუგებარია საიდან გაჩნდა ამ ზმნაში ე-ს (რეკ) ადგილზე ო (როკ-)? ვითომ ავტორისეული ფორმაა? არა გვგონია...

პ) დია მაქვსო - უთხრა ჭმუნვით, - მპარავი ვარ ავი სამო (101, 30).

ლექსიკონში: სამო (სა(დ)მ(ე)ო?)“ არავითარი კითხვის ნიშანი საჭირო არ არის: სამე//სამ მოდის - სადმე-დან და ნიშნავს: ჩანს, ეტყობა, თურმე.

ქ) ღმერთს მიემართება: ეგრეთვე მზენი შენგან იშვდებიან (114,6). ლექსიკონში: „შვდ: იშვდებიან (?!)“. ვფიქრობთ, რომ შდობა (-შთობა მოაშთო) აქ გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი: იშვდებიან ნიშნავს იბინდებიან, ქრებიან. შდრ. იქვე: ანუ ზომად ყოველნი მნათნი სოფელნი წინაშე შენთა, - ვით ღამე წინაშე დღისა“ (114, 20).

რ) განცვიფრდა შმაგი გონება, ვსთქვი: „რა შევცოდე ასე, რა?“

სევდის ისარი მაწვია, მან გული ჩემი ასერა,

არ გამიკითხა მცირედი, სიკვდილს მოველი ასე რა (136,7).

„ასე“-ც და „რა“-ც ლექსიკონში თავთავის ადგილზეა შეტანილი. მესამე სტრიქონის „ასე რა“ ერთი სიტყვაა და ნიშნავს „აგერ, აი, აქ, აქვე. შდრ: ორმოცი დევი ელჩად გამოუგზავნია და ასერ ახლოს მოდიან“ („რუსუდანიანი“, 123, 37); „ასერ ფ. აი, (ძვ. ქ. აჰა ესერა), ასერ-ასერ ფშ. §. აი, აი? დახე, დახე“ (ა. შან., თხზ. I, ლექსიკონი).

ს) ალ. ჭავჭავაძეს აქვს თეჯნისი, რომლის სტროფთა ყოველი მეოთხე სტრიქონის სარითმო სიტყვაა საღებად, ოღონდ სხვადასხვა მნიშვნელობით.

1. მწვარის გულის კომლთა ოხვრით საღებად(- ამოსაღებად, 8, 26).

II. მისსა მჭვრეტსა ექმნას სული საღებად (-დასაღებად; 9,4. სულის დაღება არის: დამშვიდება, დაწყნარება. შდრ. „ვეფხისტყ“: „მაწყინე და გამარისხე, ვერ დავიღე დიდხან სული“, (816, 3; 8 14, 3).

III. და განაგდო თაგთირ ფერთა საღებად (-შესაღებად 9,8 თაგთირი//თაგდირი//თადგირი (შდრ. გვარი თადგირიძე - თავდგირიძე) რომელიღაცა ვარსკვლავია, რომელიც საგნებს, მცენარეებს თითქოს წითელ ფერს ადებს, ე. ი. ღებავს).

4. მოვედ, თაგთირ, ხშულის გულის საღებად (- გასაღებად, გასახსნელად, 9, 12). მაჯამურ სიტყვათა ერთმანეთის გვერდზე ახსნაა სასურველი, რომ ლექსის შინაარსი გასაგები გახდეს. ამას გარდა მესამე სტრიქონის „საღებად“ შეტანილია ღ-ებ (აიღებს) ძირზე და არა ღებ (შეღებავს) ძირზე.

2. ლექსიკისა და ლექსიკონის თვალსაზრისით:

ა) ამად ვხმობ დაუცხრომელად, თუმცა არ გესმის ჭმახვისა (3, 12).

ლექსიკონში განუმარტავად შეტანილია „ჭმახ“ და უწერია: „შდრ. ჭმუხ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ორი ძირი ერთმანეთის ვარიანტებად მიიჩნევა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ისინი სრულიად სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვებია. კერძოდ ჭმახვა რუსთველისეული „ჩმახვა-ს ფონეტიკური ვარიანტია(„რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია“, 1090, 4), ხოლო ორივე წმახ-ჭვას - ძირიდან მოდის და (გადატანით) არასასიამოვნო, მჟავე, გადამლაშებულ საუბარს ნიშნავს.

ბ) ეტნა დაიშრტე გულისა! ისმინე ჩემი რჩეული! (4,5)

ლექსიკონში „ეტნა“-ს პირობითი ნიშანი (ვარსკვლავი) უზის, რომელიც მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ან გეოგრაფიული სახელია ან ადამიანის საკუთარი სახელი. საჭირო კი იყო იმის თქმა, რომ ეტნა მოქმედი ვულკანია სიცილიაში, ხოლო ალ. ჭავჭავაძისეული გულის ეტნა გულის ვულკანია, გულის კოცონია...

გ) ერთმანერთისა დაუხვალობა.

სატრფოთ მოტაცვა, ფრენა, მალობა (10,20).

ლექსიკონში მალობა „მალავს“ ზმნის მასდარად არის მიჩნეული. არა! მალობა „მალობს“ ზმნის მასდარია და მის წინ მდგომი „ფრენა“-ს სინონიმია.

დ) რაყიფთ აქვსთ ჩხუბი, ბასრვა ბრჭალობა,

ერთმანერთისა დაუხვალობა (10, 19);

ეჰა, როგორმან დაუხვალმან, დამქროლა ქარმან.

შემგესლა ჩქარმან, შეუწყალმან, სახე საზარმან (28, 1);

სისხლის მწყურვალე სიკვდილი, ოჰ, სიაბამ შეუბრალია,

რავინდ ვინ ცხარად ევედრის, იგი მითც დაუხვალია (124, 17).

„დაუხვალი დაუცადებელი, მოუთმენელი“-ო. ამ კონტექსტების მიხედვით „დაუხვალი“ და „დაუხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ლობა“ ძალიან განსხვავდება მისი ამოსავალი მნიშვნელობისაგან („სახვალიოდ არ გადადება საქმისა“). აქ „დაუხვალი“ ნიშნავს: დაუნდობელი, შეუბრალებელი, შეუნანებელი...

ე) ყარამან გმირი ყაზაფარს მასწავლის ქამანდრობასა (43,8).

„ქამანდრობა“ განუმარტავად არის შეტანილი ლექსიკონში. თანამედროვე მკითხველისათვის ასეთი სიტყვების განმარტება საჭიროა.

ვ) „...ანუ მტყინარენი ეთერნი (114,18). „ეთერი“ ლექსიკონში საკუთარ სახელად არის მიჩნეული, რაც აშკარად მექანიკური შეცდომაა.

ზ) მას სთხოვდენ სულთა ბოროტთა ღვარძნილთ განზრახვათ შემუსვრას (169, 21)

„ღვარძნილი ღვარძლიანი, ღრძო“-ო, იკითხება ლექსიკონში. „ღვარძნილი“ გულარძნილი-სა და „ღვარჭნილი“-ს კონტამინაციით მიღებული ფორმა ჩანს და კონტექსტის მიხედვით იგი უნდა ნიშნავდეს ცუდს, მზაკვრულს. შდრ: „ნათესავი გულარძნილი გამოიტყუინ ბოროტსა“ (იგ. სოლ. 16, 28).

3. კომპოზიტთა დაწერილობისთვის.

ერთ-ერთი ნაკლი ამ გამოცემისა ის გახლავთ, რომ მოუწესრიგებელია კომპოზიტთა დაწერილობა.

ა) კომპოზიტი ცალკე სიტყვებად იბეჭდება: ბაგე ვარდი (72, 4, 8, 13, 18, 22, 27; 73, 4) შარავანდ მფენი (35, 12), ცნობა კარგული (21, 21) და სხვ. ასეთი კომპოზიტები შერწყმულად უნდა ვბეჭდოთ.

ბ) კომპოზიტი დეფისით იბეჭდება, მაგრამ ეს დეფისი ზედმეტია, შერწყმულად უნდა იბეჭდებოდეს: ღრუბელ-შემოსილი (22, 4); შდრ. სისხლშემოსილი (164. 8); ლახვარ-სმული (9.10); ისარ-სმული 147, 33; ცრემლ-შეუშრობელი (3.26), შდრ. სისხლშეუშრობელი (149,29); სიცოცხლე-დაუყოვნელი (21, 16); სიტყვალაქათი (12, 9); სიტყვა-წყნარი (4, 16); წარბ-შეხრილი (63,3); ტალახ-ბევრი (12, 8); თვალ-მშვენ, ბროლფიქალ-წყობილ (73-21), უნდა თვალმშვენბროლფიქალწყობილ და სხვ.

იმავე ინსტიტუტში მეცნიერთა იმავე შემადგენლობამ 1994-1996 წლებში მოამზადა და გამოსცა ამ სერიის მესამე ტომი (მეორე ტომად გრ. ორბელიანის შემოქმედება ივარაუდება) - „ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი სიმფონია-ლექსიკონითურთ, 1996 წ.“ ტექნიკური მიზეზების გამო ამ ტომს აკლია მეთაური წარწერა („ქართველი კლასიკოსები“. სამაგიეროდ ეს ტომი პირველს სჯობია იმით, რომ შემდგენელთ პირთა სახელების ინდექსი ახსნა - განმარტებებითურთ ცალკე გამოუტანიათ, თუმცა ასევე ახსნილ-განმარტებული ტოპონიმები რატომღაც ლექსიკონშივე ჩაუტოვებიათ.

ტექსტი ნ. ბარათაშვილისა აქაც დიდი გულისხმიერებით არის გაჩხრეკილ-დადგენილი, ლექსიკაც ჯეროვნად არის ამოკრებილი გამომცემელთა პრინციპებით დალაგებული.

ამ გამოცემის მიმართაც გვაქვს ზოგი შენიშვნა, მაგრამ ვიდრე მათზე შევჩერდებოდე, მკითხველს უნდა მოვახსენო შემდეგი: მიმაჩნია რა, რომ სწორედ ამ წესით უნდა გამოიცეს ყველა ჩვენი კლასიკოსის ნააზრევი, დასაწყისშივე უნდა შევიმუშაოთ სწორი და მკაცრი, პრინციპული თვალსაზრისი. ამიტომ ვეცადე ძალიან გამოწვლილვით გამესინჯა ჩემი უმცროსი კოლეგების ნაღვაწი და ყველაფერი კეთილგანწყობილი პირდაპირობით მეთქვა მათთვის. რაც მე ვერ ვთქვი ან ისე ვერ ვთქვი, როგორც ჯერ არს, ის სხვამ უნდა თქვას ახლავე, ამთავითვე, რათა ურთიერთშეთანხმებით ვაკეთოთ ეს ეროვნული საქმე და შთამომავლობას კარგი ტრადიცია დავუტოვოთ.

1. ტექსტის დადგენის თვალსაზრისით:

ა) ოთხტაეპედის რითმებია: მსტვინავი მტკინავი, (-მტკივანი), მლინავი და, მოულოდნელად, - მკონავი: „მწუხრსა აქეთ აქ ვზივარ ფურცლებზედა მკონავი!“ (3, 5). მართალია, ჩვენს დიდ პოეტს აქვს არაზუსტი რითმებიც, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, ხომ არ მოუვიდა გადამწერს შეცდომა და ხომ არ დაწერა „მკინავი-ს (-მკივანი) ნაცვლად „მკონავი“? შდრ. მომდევნო სტრიქონი: „...ამას ჰყეფდა ბულბული...“

ბ) ...რად შემიპყარ მე, გლახ გული, უმანკო და უზრუნველი? (4,22); ...და სევდა, გლახ, გულს დამეფარება (44,12); ...და მეც, გლახ, გული მსწრაფლ გამითენა შავ ბედისაგან დაღამებული (23,4). გლახ შორისდებულის ხმარება რომანტიკოსთა პოეზიაში ძალიან გახშირდა, - ეს „შორისდებული სავაებო“ ნ. ჩუბ.). გულის დარდსა და წუხილსაც კარგად გამოხატავს და სტრიქონშიაც (მისი ერთმარცვლიანობის გამო ადვილად მოსახმარია. ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში „გლახ“ 38-ჯერ არის ნახმარი და აქედან რვაჯერ წინ უძღვის სიტყვა „გულ-“ს რა ჰქმნას გლახ, გულმან, გლახ, გულმან შენგან წყლულმან... (57,2); სძგერს, გლახ გული, საყვარელო (70, 18); გლახ, გულო! ანდამატისა ზღუდე გარემო ისარი! (85,2; იხ. კიდევ: 62,8; 18,3; 18,6; 21,20; 23,18).

ამან შექმნა იმის პირობა, რომ „გლახ“ შორისდებულად კი არა, მსაზღვრელად აღქმულიყო და შექმნილიყო კომპოზიტი გლახგული, რომელიც დეფისით იბეჭდება, მაგრამ უდეფისოდ უნდა იბეჭდებოდეს. ქეგლში შორისდებული „გლახ“-ის ბუდეში იდიომებად არის შეტანილი გლახ-გული და გლახ-ბედი „გლახ-გული. საბრალო-უბედური გული. მაგრამ იმედი ცის ნიჭი რომ გამიელვებს გლახ-გულსა, თავი ტარიელ მგონია ოცნებით გარემოცულსა (აკაკი). რად შემიპყარ მე გლახ გული უმანკო და უცოდველი? (ნ. ბარათ.) რად ჰგოდებ, რატომ გიკვნესის გლახ-გული? (ს. შანშ.) (ქეგლ). პროფ. თ. სანიკიძის „აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონს“ თუ დავუჯერებთ, პოეტს მხოლოდ ორჯერ უხმარია შორისდებული „გლახ“: გლახ ჩემი ტვირთი გაიზიარო 1, 269, 14; აუძგე-რა გლახ-გული 5, 213, 2. როგორც ვხედავთ, მეორე შემთხვევაში აკაკის გლახგული კომპოზიტია. ამის გარდა აკაკის კიდევ 14 - ჯერ ჰქონია ნახმარი კომპოზიტი გლახ-გული (დეფისით!)

შავი - რუსთველთან უბედურსაც, საბრალოსაც ნიშნავს; „ქალმან შავმან ვერა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუშნა“ (532,4/ 579.4). (ზუალო) გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა (959,2/ 9758,2); აქედან: „მივე, მას წელთა შევარტყი, შავ-გული ვისთვის კვდებოდა“ (1177,4). ეს კომპოზიტი ქეგლში უდეფისოდ არის შეტანილი: „შავგული, ჩაგრული გული; უბედური; ტანჯული. გულო, შავგულო დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწები“ (1293, 4). კლასიკოსებთან კომპოზიტად აღიქმება არა მარტო გლახგული, არამედ გლახ ენა-ც. ეს ჩანს ამ კონტექსტიდან. გლახ ენამან წარმოსთქვა რა შურითა: „ეჰა, ღმერთო, ესრეთ მნათი ჰშუ რითა?!“ - მსწრაფლ აპოლონ მოიწია შურითა და განაგდო თაგთირ ფერთა საღებად (ალ. ჭავჭ. 9,5). ასე რომ გლახგული ყველა კლასიკოსთან შერწყმულ კომპოზიტად უნდა ვბეჭდოთ.

ბ) ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერი ვარ მე თასი.

სამღერალო ვარ ტურფა ხელთ და მოსალხენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართასი (46,2). რახან პოეტს მართას ხსენება უნდოდა, ვერავინ დამარწმუნებს, რომ იგი ხელიდან გაუშვებდა მზამზარეულ რითმას; ვარ თასი - მართასი. ავტოგრაფიც რომ მაჩვენონ, ვიტყვი, რომ თვითონ პოეტს გადაწერისას შეეშალა (მაგ. ღ. გურამიშვილთან ამის არაერთ მაგალითს ნახავთ!)

ღ/ როგორც ყველას გვახსოვს „ბედი ქართლისაში“ არის სტრიქონები, რომლებიც ასე იბეჭდება: ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს: „არაგვო, მაგ შენს გამწვანებულ(ს) მთებს!“ - და მერე თუნდა დაუგვიანდეს... (62,21). ორწერტილი წინა სტრიქონის ბოლოს, მეორე სტრიქონის ბრჭყალები, ძახილის ნიშანი და ტირე ამ სტრიქონის ბოლოს გვავარაუდებინებს: ალბათ პოეტი მგზავრს რომელიმე სიმღერის სიტყვებს ათქმევინებსო. მაგრამ ასეთი სიმღერა არ არსებობს, არცა ჰგავს ეს სტრიქონი სასიმღეროს. არსებობს სიმღერა: „არაგვო, უყარაულე ომში მიმავალს ლაშქარსა“. აი, ამ სიტყვების გავლენით რომელიღაც გამომცემელმა ზემომოყვანილი სიტყვები მგზავრს მიაწერა და სათანადო პუნქტუაციაც მოიშველია. სტრიქონებს უნდა ჩამოვაცილოთ ორწერტილიც, ბრჭყალებიც, ძახილის ნიშანიც, ტირეც და დაგვრჩება გამართული ავტორისეული სტრიქონები.

## 2. ლექსიკონისათვის:

ა) თვალბედითი იხ. თვალი, ბედი“ - ო. „ბედითი“ ნასესხები სიტყვაა და თავისი შინაარსი აქვს. „ბედი“ ამასთან მოსატანი არ არის.

ბ) სოსან-ი ყვავილოვანი მცენარე“-ო: იაც სოსნადა, ნარნარადა მდგარე ვარდის ახლოსა უკლებლობსა მარად (49,8). სოსნადა აქ ნიშნავს: ლურჯად.

გ) „სადარ“: ასადარებს (-„ეკარება“): მას შემდეგ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს“ (26, 16). გამოუცნობი ეტიმონის მქონე სიტყვაა. საბა წერს: „ასადარებს მცირედ კრთის“. ამ განმარტებას მხარს უჭერს იმერ. დიალექტი: „სადარობა გასაქანი. სადარობა არ მომცა ბოვშმა. არ გოუშობდა, არ მისცემდა სადარობას: (ქ. ძოწ). სიტყვა „გასაქანი“ შეიძლება ზუსტად ვერ ასახავდეს მნიშვნელობას. ალბათ „სადარობა“-ში განძრევა, გატოკებაც იგულისხმება. „ნეტარება არ ასადარებს“ უნდა ნიშნავდეს: არ აკრთობს, არ ატოკებს, არ ათრთოლებს.

ღ) ლექსიკონში იდიომებად არ არის შეტანილი: თვალს მოჰკრავს: მას აქეთ თვალი ველარ მოვჰკარი (10,27). ხმალს ხელს იკრავს: ხმალს ხელი იკრეს მამაპაპურად (60,11). თავს დაუკრავს: მამა ეგნატიმ თავი დაუკრა იმიერსოფლიდან (90, 27). ცივ ნიავს არ მიადენს (109,27).

ლექსიკონში „იხილე“-თი ერთმანეთთან მისაგზავნია: ტყვ(იტყვის) და ტყუვ - (ტყუის) ძირები, „მრისხანე“ და „რისხვიანი“. „დარჩენილი“ რჩევ-რჩივ - ბუდეში მოხვედრილა.

ზოგს რუსულს ან რუსულის გზით შემოსულ სიტყვას უწერია „რუს“, ზოგს კი - არა. არ უწერია, მაგ. სიტყვებს: ზალა, ვერსტი, მაღაზინი, პანციონი, პარუჩიკობა, სტანცი (-სტანიცა), ვტანცაობ...

## 3. კომპოზიტებისათვის.

ა) ორკომპონენტიანი კომპოზიტის შემადგენელი სიტყვები ცალ-ცალკე იბეჭდება: როს უბედურ მყოფს... (44,9). ვფიცავ (მე), არ არ ვეტრფო არ ოდეს ფერსა სხვას (45 9). ჩამატებული „მე“ საეჭვოდ გამოიყურება. უფრო სავარაუდოა, რომ გვქონდა „ვიფიცავ“. სადაცა ვერვის იკარებს სული (69,15). შდრ. „ვეფხისტყ.“ ...ვერვის ძალუც განკურნება (98,3. 1988 წ.)

ბ) ქვემოჩამოთვლილი კომპოზიტები შერწყმულად, უდეფისოდ უნდა დაიბეჭდოს: გარე-მოზღუდვა 55,2; გონება-მტაცი 44,10; გულ-ამღვრეული 39,18; გულთა მხილავი 22,14; 58,5; გულის-თქმა 6,23; 37,15; 68,2; გულის-სწორი 4,14; გულის-ტკივილი 22,4 გულ-მტკივნეული 67,20; დიდ-მშვენიერი 29,20; დიდ-სამ-ჯუხარო 23,4; დისკო-გადახრით 7.15; იდაყვ-დაყრდნობილ 12,8; კეკლუც-მოსილი 10,11,76,13; მამულის-შვილი 67,20; მრავალ-შტოვანი 41,3; ჟამ-ვითარებით 36,11; ჟამ-კეთილობა 63,20; სახელ-განთქმული 39,14; სიო-მობერვით 18,12; სულის-კვეთება 34, 5; ტკბილ-სახსოვარი 33,11; 70,6; ფერ-ნაკლულ 51,20; ღამის თევა 30,13; ყაბალახ-ჩაცმული 51,21; ძალ-უძს 25,3; 30,4; 36,5 ხელთ-ამპყრობელი 58,9.

ორივე კრებულს უძღვის ზაზა აბზიანიძის მაღალკვალიფიციურად და მიმზიდველად დაწერილი მოკლე-მოკლე ნარკვევი, პირველს - ალექსანდრე ჭავჭავაძე (ლიტერატურული პორტრეტი)“, მეორეს - ნიკოლოზ ბარათაშვილი (ლიტერატურული პორტრეტი)“.

ორივე კრებული დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში კარგ ქაღალდზე, მაგარი ყდით. სამწუხაროდ, ტირაჟი მხოლოდ ათას-ათასი ცალია.



# გურამ ბედოშვილი

## „ის, რაც სამშობლოდ მაკუთვნა ბედმა“

ანზორ აბულაშვილის პოეტური შემოქმედების თაობაზე ჩვენს პრესაში თუ პერიოდულ გამოცემებში არაერთი წერილი გამოქვეყნებულა, რაც იმის დასტურად მესახება, რომ აბულაშვილის პოეტური ხმა, მისეული ლექსის ღრმადეროვნული თემატიკა და პათოსი ჩვენს მკითხველ საზოგადოებრიობას გულგრილს არასოდეს ტოვებს.

დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ანზორ აბულაშვილი საქართველოს სახალხო პოეტია ამ სიტყვა-ცნების აბსოლუტური გაგებით. ეს ლიტონი განცხადება არ არის, რადგან პირადად მე არ მეგულება საქართველოს არც ერთი კუთხე, სადაც არ იცნობდნენ და სიყვარულით, განსაკუთრებული შთაგონებით არ კითხულობდნენ მის ლექსებს, კერძოდ კი ესოდენ გახმაურებულ „მახარობელს“ („წუხელის ბიჭი დაბადებულა“). ამ უკანასკნელს უჩვეულოდ მგრძნობიარე ეროვნული მუხტი ახლავს და ის, შეიძლება ითქვას, ისეთსავე ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, როგორც, ვთქვათ, დუტუ მეგრელის „მე პატარა ქართველი ვარ“, ანა კალანდაძის „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან“, მუხრან მაჭავარიანის „საბა“ და სხვა.

ანზორ აბულაშვილის პოეზიის ცხოველმყოფელ ძალას დიდი ხანია ვეზიარე და დღემდე ძალუმად განვიცდი. ბედმა ისე ინება, რომ ანზორი და მე ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდით (თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი მაშინ პუშკინის სახელობისა იყო), ერთიმეორე იქ გავიცანით, მაგრამ მეგობრებად ინსტიტუტში მოქმედმა სალიტერატურო წრემ გვაქცია. ჩვენი სალიტერატურო წრე, რომელსაც დიდად პატივდებული ქალბატონი ლუბა მეფარიშვილი ხელმძღვანელობდა, თვეში ორჯერ იკრიბებოდა. გულმოდგინედ ვამზადებდით ალმანახ „ბილიკს“, რომელიც, სამწუხაროდ, სურვილად და ოცნებად დაგვრჩა. მანამდე, სტუდქალაქში მცხოვრებს, ხშირად მესმოდა, აბულაშვილის „ნაღდი პოეტობის“ შესახებ, მაგრამ, ცოდვა გამხელილი სჯობს, ამგვარი ხმები გადაჭარბებული მეჩვენებოდა.

სალიტერატურო წრეზე მოსმენილმა მისმა პირველმავე ლექსებმა ჩემი „ურწმუნო თომობისაგან“ აღარაფერი დამიტოვა: ნამდვილ, ცოცხალ პოეტს პირველად ვუსმენდი. ანზორი ლექსებს, ჩვეულებისამებრ, მოწაფის თორმეტფურცლიან რვეულებში წერდა. წერდა საკმაოდ წვრილად, მარჯვნივ წახრილი, ერთიმეორეს წაბმულ ძნელად გასარჩევი ასოებით. საოცარი ის იყო, რომ პოეტის კითხვის მანერაც ზუსტად შეესატყვისებოდა მისეულ კალიგრაფიას: ლექსებს დაბალი, ალაგ დაუნაწევრებელი, მაგრამ ტონალურად აქცენტირებული, მღელვარებაშეფარული ხმით კითხულობდა. მისი ხმა სრულიად ქრებოდა, იხშობოდა, აუდიტორიაში ოდნავი ხმაურიც რომ ყოფილიყო. ამიტომაც ისე ნათლად დამამახსოვრდა ქალბატონ ლუბა მეფარიშვილის ის პოზა, ანზორის ლექსების კითხვის დროს რომ იქმნებოდა: იგი, მთლად სმენად ქცეული, შუბლზე სათვალეაწეული, მაღლა შემართული ხელით მისჩერებოდა ანზორს, აყურადებდა მის ნერვულად მთრთოლვარე ხმას და ჩუმად, ოდნავ გასაგონად გვაფრთხილებდა: ს-ს-ს!

კითხულობდა ანზორი თავის ლექსებს და ჩვენ, მის პირველ მსმენელთ, თვალწინ გვიცოცხლდებოდა კახეთის თვალუწვდენელი, ფერად-ფერადი სივრცეები, ცას მობმულ-მოკიდებული ამაყი და ოცნებასავით თეთრი მთები; ცოცხლდებოდა, მოძრაობდა მანამდე უხილავი, პოეტური თვალით განცდილი და ქაღალდზე გადმოტანილი სამყარო! მართალია, მის ლექსებში დროდადრო გაკრთებოდა ნაცნობი ხატი, რომელსაც ხან გალაკტიონთან მივყავდი („სულის გათბობა თოვლის სიცივით“), ხანაც გიორგი ლეონიძის სიტყვადარახტულ პოეზიასთან, მაგრამ აბულაშვილის ლექსებში უდავოდ ჭარბად ჩანდა მხოლოდ მისეული, ჭაბუკურ ვნებებში გამოტარებული ფიქრები, ფერები და განცდები...

ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება ის პირველი შინაგანი აღტაცება, უფრო გაოცება. მის მიერ წრეზე წაკითხულმა ლექსმა - („გზები“) - რომ დამიტოვა. ეს ლექსი პატრიოტული ექსტაზით იყო გაჯერებული (ოდნავ ზედმეტი დოზითაც კი!), მაგრამ ვგრძნობდი, სათქმელზე უფრო მეტად გვთრგუნავდა (კარგი აზრით!) ის პოეტურ-რიტმიკული ალიტერაცია, რომელიც მთლიანად რ და ჯ თანხმოვანთა მონაცვლეობაზე იყო აგებული:

შემოგაწვება გულს ჯავრად ციხე, დათხრილი
ბურჯამდე,
ბევრჯერ მოჯარდნენ უჯარმით და მიწას
ცეცხლით რუჯავდნენ.
ბევრჯერ ვაგელვეთ ლურჯაი და მტერი საფლავს
მივჯარეთ...
ერთხელ დაეცა უჯარმა და ერთხელ მართლაც
ვიჯავრეთ...

მცირე ექსკურსი ამ ლექსის შესახებ:

„გზები“ პირველად გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ დაბეჭდა 1961 წელს. იგი წაეკითხა ბატონ გიორგი ლეონიძეს და ლექსით ერთობ მოხიბლულს (მართლაც, არის აქ რაღაც გოგლასეული!) თავისი თანამშრომლისთვის, ვალიკო ყუშიტაშვილისთვის, ეთქვა, ამ ლექსის ავტორი მომიძებნეო. 1966 წ. ხელმეორედ დასტამბული „გზები“ გიორგი ლეონიძეს ეძღვნებოდა.

ანზორ აბულაშვილის ლექსებში ძირითადად წყნარი, უშფოთველი, ამასთან, რეალისტური ფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომინირებს. პოეტის თვალსაწიერი ვრცელია, მაგრამ იგი ყოველთვის ამქვეყნიური საფიქრალით, ტანჯვა-სიხარულით არის შემოსაზღვრული.

ამიტომაც არის, მის პოეზიას, მადლობა ღმერთს, დღითიდღე ახალ-ახალი, მიუკერძოებლად დამფასებელი მკითხველი რომ ემატება! ეს მატება კი იმით არის შეპირობებული, რომ ასევე დღენიადაგ ფართოვდება და მრავალფეროვნდება პოეტის თვალსაწიერი, გამომსახველობითი საშუალებანი; უფრო და უფრო მეტ მიზანმიმართულებას იძენს პოეტური თემატიკა, ყოველი მისეული ლექსის მოქალაქეობრივი პათოსი, აკი თვითონ პოეტიც ასე განსაზღვრავს ლექსის სადღეისო დანიშნულებას:

ლექსი მუდამ გაზაფხულის მახარობელს
უნდა ჰგავდეს,
მართლის გამცემ იუდასთვის სილის
გაწნას უნდა ჰგავდეს...
მაგრამ მაინც უპირველეს - მეამბოხეს
უნდა ჰგავდეს
და ბორკილის დაცამლეწის რკინის გული
უფეთქავდეს!

სიცრუისა და ლიქნის, ღვთისმაგინებლობისა და ცრუპატრიოტობის ეპოქაში დაჭრილი, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩენილი *სული* პოეტისა, ბუნებრივია, ვერ შეგუებია დღევანდელ საზოგადოებაში გაფოფინებულ უზნეობას, რაც ყველაზე ნათლად ყალბ ეროვნულ პათეტოლოგიაში იჩენს თავს:

ჩვენს გარშემო ვინაც მღერის, როდი
ემღერება ყველას,
შველაც ყველას არ სჭირდება, ვინც კი
იხვეწება შველას...
ყველას ოქროდ ვერ მივიჩნევთ, რაც კი
ოქროსფერად ელავს,
ყველას არც კრწანისი ახსოვს, ვინაც
სატევარსა ფერავს...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ანზორ აბულაშვილის, როგორც პოეტისა და მოქალაქის ჩუმი, უპრეტენზიო, მაგრამ თავისი არსით უკიდეგანო სიყვარული ყველაფერ იმისადმი, რასაც ქართული ჰქვია.

ალბათ, ძნელია უფრო მეტი სიწრფელით, მეტი გამომსახველობითი ფერებით გადმოსცეს პოეტმა სამშობლო-ქვეყნის მარადიული სიყვარულის განცდა, როგორც ამას ანზორ აბულაშვილის ერთ ლექსში ვხვდებით. პოეტის თქმით, სამშობლოს მისთვის მიუცია ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი სახელები, რომელთაც *„დედა“, „ძმა“ და „შვილი“* ჰქვია. სწორედ ამ სახელებშია განივთებული ადამიანის მოქალაქეობრივი მრწამსი, მთელი მისი არსებობის მიზანი:

„დედაა ჩემი, ძმაცა და შვილიც ის, რაც სამშობ-
ლოდ მაკუთვნა ბედმა...“

ან:

რა დაგვავიწყებს, რაც იყო დღემდე, ცრემლსა
და წარსულს, დამცხრალ გრიგალებს...
აბა, რა ჰქვია სამშობლოს მეტი მამის სამარის
სიგრძე-სიგანეს!

პოეტს სისხლხორცეულად სწამს, რომ სამყაროში არ არსებობს სიკეთის მომსპობი ძალა; არ შეიძლება, დედამიწაზე იდგეს მარადიული სიბნელე-უმეცრება; არ შეიძლება, ცრემლი ღიმილზე ბატონობდეს, თრგუნავდეს. ამ რუსთაველისეულ შეგონებას პოეტი სრულიად ახლებური ფორმით აწვდის მკითხველს:

მაგრამ ყველაზე უკუნი ღამეც მზის
წაუშლელი მაინც არ არის,
სწორედ ამიტომ ცრემლის მდინარე
ბავშვის ღიმილზე მეტი არ არის,
რაც უნდა დიდი იყოს ქვეყანა,
საქართველოზე მეტი არ არის!

ანზორ აბულაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში ჯერჯერობით მაინც ყველაზე გამორჩეული ადგილი, ზემოთაც ვთქვით, მის „მახარობელს“ უნდა მივაკუთვნოთ. მართალია, ეს ლექსი, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით იკითხება, მაგრამ ღრმად მწამს, რომ იგი იწერებოდა ყოველ ცისმარე დღეს, სტრიქონ-სტრიქონ, მისხალ-მისხალ; იწერებოდა პოეტის თვალსაწიერის შემოქმედებითი ზრდის, სრულყოფის პროცესთან ერთად, „წუხელის ბიჭი დაბადებულა“ ერთგვარი შეჯამებაა პოეტის მიერ ათეულობით ნაფიქრ-განცდილისა. ეს ლექსი სხვა არაფერია, თუ არა ქართული სულის უკვდავების საგალობელი! დავითი, გიორგი, თამარი, შოთა, ცოტნე, ქეთევანი... ის შთამაგონებელი, გულისგულში სატარებელი სახელებია, რომლებიც შთამომავლობას სულიერად ზრდის და ამაღლებს, ვისი სახელებიც ერს, ქვეყანას წაქცევასა და გადაგვარებას უკრძალავს! „მახარობელში“ ქართველთა სახელოვანი მეფეებისა და წმინდანწამებულთა სახელები, ქრონოლოგიური აღრევის მიუხედავად, ერთ თანავარსკვლავედშია წარმოდგენილი, ამასთან, გახაზულია მათთა საქმეთა მარადიულობა, უკვდავება: იბადებიან მეფე-ლეგენდათა ახალი მოსახელენი, ახალი საქართველოს ღვიძლი შვილები, მაშ, ქრისტიანული საქართველოს ცხრათვალა მზე კვლავ ზენიტზე ბრწყინავს!

...თვალწინ დამიდგება ელექტრონით აბდღვრიალებული თეატრის ავანსცენა. ხავერდის მძიმე ფარდის წინ დგას გოლიათური აღნაგობის თეთრი მხცით შეფუთქილი მსახიობი-დეკლამატორი, რომლის მძლავრი, შთაგონებული ხმა იმედის მომგვრელ ტალღად ეფინება მსმენელით სავსე დარბაზს:

წუხელ ცის კარი ცხრავე გაალო ყველა
გმირმა და თავდადებულმა:
დაბადებულა თურმე ვახტანგი, წუხელ
თევდორე დაბადებულა,
საქართველოს ცა, ისეც მაღალი, უფრორე
მეტად ამაღლებულა!
წუხელის გოგოც დაბადებულა, ცის ნამი,
ცისფრად ნაკამკამარი,
ისეთი გოგო დაბადებულა, დაურქმევიათ
თურმე თამარი!
...და გიხაროდენ! ქართველთა შორის
ღვიძლ ძმათა ხიდი კვლავ გადებულა
და ერთიანი, ნანატრი დროის ქართლი
ხელახლა დაბადებულა!..

ანზორ აბულაშვილი შეგნებულად არ მიჰყვება ისტორიზმის, ანუ ქრონოლოგიურობის პრინციპს. ამას, ფაქტობრივად, მნიშვნელობა არც აქვს, რადგან ყოველი ქართველი მეფე-წმინდანის საქმე და სახელი ის სულიერი დუღაბია, რომელზედაც დღევანდელი თავისუფალი საქართველოა დაშენებული.

ანზორ აბულაშვილის პოეზიის შესახებ შეიძლება დაუსრულებლად წერა. ის კი, რისი თქმაც ამ წერილში მოვახერხე, მისი შემოქმედების ერთი რიგითი მკითხველის გულწრფელი აღტაცების უმცირესი გამოხატულებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისანა ბაბლოვანი

## მე-20 საუკუნის ქართული მხატვრული საბავშვო პროზა

მე-20 საუკუნის საბავშვო მწერლობამ ნაყოფიერად გააგრძელა წინამორბედების ტრადიციული საქმიანობა როგორც თემატიკის, ასევე ჟანრობრივი თვალსაზრისით, მაგრამ ამავე დროს განავითარა იგი - შეავსო აქტუალური თემატიკით, გაამრავალფეროვნა ჟანრობრივად, გაამდიდრა გამომსახველობითი ფორმებით. მწერლობამ განავრცო და გააღრმავა შემოქმედებითი მასშტაბები, ღრმად გააზრებული მიზანმიმართულება მისცა ნორჩი თაობის ჰარმონიული აღზრდის ეროვნულ საქმეს. საბავშვო ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი კრიტერიუმების გათვალისწინებით შეიქმნა მაღალმხატვრული ნაწარმოებები როგორც პროზაში, ასევე პოეზიასა და დრამატურგიაში.

მე-20 საუკუნის საბავშვო მწერლობაში გრძელდება მუშაობა ტრადიციულ თემებზე, რომელთაგან ეპიზოდურად მოჩანს საოჯახო შრომითი აღზრდა და ინტენსიურად - პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, ბუნება და სხვა.

უახლესი მწერლობის შესახებ ვასო ბაიაძე წერს: „საბავშვო ლიტერატურის წარმატებანი საყოველთაოდ არის ცნობილი. იგი ძლიერია, უპირველეს ყოვლისა, თავისი იდეურობით, კეთილშობილური ჰუმანიზმით, სიცოცხლისმოყვარული ოპტიმიზმით, ჯანსაღი სააღმზრდელო მიზნებით“.

თანამედროვე მწერლობა გამოირჩევა თემატიკის მრავალფეროვნებით: საქართველოს ვრცელი ისტორია მაღალმხატვრულ ფორმებში უამბო ირაკლი აბაშიძემ ნორჩ თაობას მშვენიერ პოემაში „რას გადაურჩა თბილისი“; ვრცელი ქვეყნისა და მისი პოლიტიკური სიძლიერის პატრიოტული ჰიმნი შექმნა მურმან ლებანიძემ ლექსში „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“; ერის სასიქადულო მამულიშვილების მცდელობა საქართველოს ძლიერებისა და თავისუფლების მოსაპოვებლად სანიმუშოდ ასახა მუხრან მაჭავარიანმა ლექსში „საბა“.

ერის გმირული წარსული, მისი შემოქმედი ხალხი გააცოცხლეს როსტომ ელანიძემ საყმაწვილო მოთხრობებში: „ზეზვა გაფრინდაული“, „პატარა კახი“, „ვარძია“. რ. ჩაჩანიძემ ფანტასტიკურ საყმაწვილო მოთხრობაში „ჩაძირული კუნძული“. მან საქართველოს კულტურისა და ყოფის ძირები დაძებნა შორეულ ატლანტაში, ქართველი ვაჟი - გივი ოცხელი, შეაჭიდა ოკეანის გიგანტს - რვაფეხას და დაამარცხებინა იგი.

გურამის საინტერესო სახე შექმნა ქეთევან ქუჩუკაშვილმა საყმაწვილო მოთხრობაში „თბილი პური“.

შემოქმედებითი ფანტაზიის არაჩვეულებრივ დონეს მიაღწია ოტია იოსელიანმა მეცნიერულ-ფანტასტიკურ ქმნილებაში „დაჩის ზღაპრები“.

ნაყოფიერია ქეთევან ჭილაშვილის შემოქმედება, რომელსაც ყველა ასაკის მკითხველი ემადლიერება.

აღნიშნულმა უახლესი ქართული საბავშვო მწერლობა მოაქცია ახალ ჭრილში, რომლის წყალუხვ მდინარეს ბევრი შენაკადი ასაზრდოებს და, ღრმად უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ეროვნულ ნიადაგზე საყმაწვილო მწერლობა თავისუფალ საქართველოში ლაღად გაშლის ფრთებს ახალი სიმაღლეების მისაღწევად.

რაც შეეხება საბავშვო ლიტერატურის კრიტიკული შეფასების საკითხს, გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით მეოცე საუკუნემ ვერ გააგრძელა წინა ეპოქის შესაშური ტრადიციები: საბავშვო ლიტერატურის სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, კიტა აბაშიძე, ივანე გომართელი, ლუარსაბ ბოცვაძე, გრიგოლ ყიფშიძე და სხვები.

მე-20 საუკუნის საბავშვო ლიტერატურის მიმართ, სამწუხაროდ, კრიტიკას აქვს ინდიფერენტული დამოკიდებულება, რაც მომაკვდინებელია მწერლობისათვის, რადგან გულწრფელი შეფასება-თანადგომა უსათუოდ სჭირდება შემოქმედს ეპოქის პრობლემების წამოწევის, სწორი მიმართულების მიცემის, აქტუალური თემატიკის შერჩევის, მოტივაციის მოაზრებისათვის.

თანამედროვე საბავშვო მწერლობას დიდ ყურადღებას უთმობს ვასო ბაიაძე, რომელმაც 1986 წლის 6 ივნისის „ლიტერატურულ საქართველოს“ ფურცლებზე ნათლად გამოკვეთა გასაკეთებელი საქმე და ფართო მკითხველ საზოგადოებას გააცნო ვრცელი სია იმ პირთა, რომელთაც, მისი აზრით, ხელეწიფებათ საყმაწვილო ლიტერატურისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშვილიშვილო სამსახურის გაწევა. სამწუხაროდ, ვ. ბაიაძის გამოწვევას შედეგი არ მოჰყოლია, ამიტომ შემწის მოლოდინში თვითონ ეწევა ამ მძიმე ტვირთს. საინტერესოა მისი თვალსაზრისი ნინო ნაკაშიძის, იოსებ გრიშაშვილის, გ. შატბერაშვილის საბავშვო ნაწარმოებებზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია თანამედროვე საბავშვო კრიტიკის მდგომარეობაზე მისი დასკვნა: „ჩვენთან, საქართველოში, უკანასკნელ დროს რატომღაც ისე აეწყო საქმე, რომ კრიტიკული აზრის თითქმის არც ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი არ გამოთქვამს თავის შეხედულებას ცალკეულ საბავშვო ნაწარმოებთა ან საყმაწვილო მწერლობის რაიმე პრობლემის გამო“.

საბავშვო მწერლობის კრიტიკის სიღარიბის ფონზე მეტად ღირებულია ვლ. ჯიბუტის წიგნი „თანამედროვე ქართველი საბავშვო მწერლები“, რომელშიც მართებულადაა შეფასებული მწერალთა ერთი ჯგუფის (ნ. ნაკაშიძე, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი, ა. ხახუტაშვილი, გ. ქუჩიშვილი, მ. ალექსიძე ი. სიხარულიძე, გ. ნახუცრიშვილი, მ. მრევლიშვილი) საყმაწვილო ნაწარმოებები.

მე-20 საუკუნის საბავშვო ლიტერატურის მეცნიერული გამოკვლევისა და გაანალიზების თვალსაზრისით კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა - თითზე ჩამოსათვლელი თუ დარჩა ამ სფეროში მომუშავე ლიტერატურისმცოდნეები (პროფ. ზ. ბოცვაძე, პროფ. არჩ. ჩაჩიბაია), ამიტომ ღირებულია ისიც, რომ 1988 წელს ჟურნალ „ჯეჯილში“ დაისტამბა რამდენიმე წერილი თანამედრვე საბავშვო მწერლობაზე.

მეცხრამეტე საუკუნის ეროვნული და სოციალური საკითხები პრობლემურია მე-20 საუკუნის დასაწყისისათვისაც.

საქართველოს მდგომარეობით გაპირობებული ეროვნული საკითხი ისტორიულად პრობლემური თემაა როგორც სადიდო, ისე საბავშვო მწერლობისათვის, ამიტომ მე-20 საუკუნის დასაწყისში გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო, საბავშვო მწერლობაში უნდა წამოწეულიყო ეროვნული საკითხი, რომელიც წინა ეპოქების უმთავრესი სატკივარი იყო და ასე იმემკვიდრა იგი ჩვენმა საუკუნემაც.

საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარების შესახებ ლეო ქიაჩელი აღნიშნავს: „ყოველნაირ სახალხო საქმეს“ და მათ შორის საბავშვო მწერლობასაც, უჭირდა, რადგან „უმძაფრეს დევნას განიცდიდა“ (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, №50, 1952 წ.).

როგორც ცნობილია, რუსეთის კოლონიურ მარწუხებში მყოფი საქართველო თანდათან კარგავდა ეროვნულ თვითმყოფადობას. აკაკის აზრით, მაშინდელი სწავლა-აღზრდის სისტემა ბავშვის გონების გახსნის საშუალება კი არ იყო - დახშობის, დაჩლუნგების. ასეთი ვითარების ნაყოფია ლევანა, ნინო ნაკაშიძის საბავშვო მოთხრობის გმირი, რომლის შესახებ საინტერესოა გ. თავზიშვილის აზრი: „ბავშვებს სულიერად ამახინჯებს მოუწესრიგებელი სოციალური გარემო და აღზრდის საკითხისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ოფიციალური საზოგადოებრივი წრეების მხრივ“. (ნ. ნაკაშიძის მოთხრობები და პიესები „სახელგამი“ 1950 წ., გვ. 9, გ. თავზიშვილი, წინასიტყვაობა).

„საწყალი ლევანა“ მწერლის გამოსარჩლებაა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი, სულიერად დეპრესირებული ბავშვისა, რომელიც გაუცხოვდა თავის თანამედროვე უგულო საზოგადოებაში, რადგან ვერ იპოვა თანამდგომი.

კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის საყმაწვილო ნაწარმოებები ნორჩ მკითხველს უქმნის სევდიან განწყობილებას (ეკ. გაბაშვილი, ირ. ევდოშვილი), რადგან ეროვნულმა და სოციალურმა მძიმე ვითარებამ ბავშვს წაართვა ბედნიერების საფუძველი, შეუზღუდა აღზრდა-განათლების ნორმალური პირობები, მოუსპო მოზარდს ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობა. მაგრამ დიდმა მამულიშვილებმა: ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, იაკობმა, რ. ერისთავმა, ეკ. გაბაშვილმა დასძლიეს ხელოვნური წინაღობები და დიდი ძალისხმევით სწორ გზაზე დააყენეს ქართული საბავშვო მწერლობა, რომელსაც შემდეგაც გამოუჩნდნენ გულისხმიერი ქომაგები და სახელოვნად გააგრძელეს წინამორბედებისაგან დაკვალიანებული შემოქმედებითი გზა.

„გონების დახშობად“ აკაკი გულისხმობს მშობლიურის ნაცვლად მცირე ასაკიდან ბავშვის უცხო ენაზე სწავლების მცდარ, გაუმართლებელ მეთოდს, რომელიც დაკანონებული იყო მეფის რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების სკოლებსა და სახელმწიფო მმართველობაში. ერის დისკრიმინაციის ამ უხამსი ფორმის შესახებ აკაკი გარკვევით წერს: „ყოველგვარი ძუძუმწოვარისათვის მხოლოდ დედის რძეა უკვდავების წყაროსავით მარგი და სანამ მარტო მით არ მოიზრდება და არ შეიმაგრებს აგებულებას, სხვა გარეშე რამ საზრდო მისთვის, უდროვოდ მიწოდებული, მავნებელი წაქი და წათხია!“ (აკ. წერეთელი. „კრებული“ №12, გვ. 40).

ილიასა და აკაკის იდეებზე აღზრდილი მწერალი ქალი ნ. ნაკაშიძე ნათლად ხედავდა, რომ მის თანამედროვეობაში ამ კუთხით არაფერი შეცვლილა. მეოცე საუკუნის უპირველესი პრობლემა ისევ ეროვნული უკულმართობა იყო, ამიტომ საბავშვო მოთხრობაში „პასუხად პატარა მეხრეს“, რომელიც 1908 წელსაა შემქნილი, მწვავე ეროვნული პრობლემაა გაშუქებული: მაღალი წრის ოჯახის შვილი პატარა გოგონა, თინა, სოფლელ ვაჟს, ილიკოს, წერს ბარათს, სადაც იკვეთება მისი სავალალო მდგომარეობა, რომელიც მასაც არ მოსწონს: „უკვე ვიცი ათასამდის ანგარიში, რუსული, ფრანგული, ინგლისური ლაპარაკი და წერა-კითხვა, გეოგრაფია და სხვა... თუმცა უნდა გამოგიტყდე, - რომ ქართული წერა-კითხვა მეც სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველპუროდ ვიცი“.

მწერალი ვითარების კონსტანტირებით გულისტკივილით შთააგონებს ნორჩ მკითხველს იმ რეალურ, შეურაცხმყოფელ ჭეშმარიტებას, რომ ქართულს არა მარტო სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა დაკარგული, განდევნილი იყო ქართული ოჯახებიდანაც: „აჰ, ღმერთო ჩემო, კიდევ ქართული! კიდევ ქართულად ლაპარაკობენ და წერენ!“... – აღშფოთებულია დედა შვილის საქციელით, რადგან მისი აზრით, „ქართულის სწავლას ყოველთვის მოესწრება შემდეგშიც და ახლა კი საზიანოა გამოთქმისათვის“.

გადაგვარებული ქართველი დედის ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია უცხო ტომის ქალის, თინას გამდლის, გაკვირვებაც: „რად გინდა ეს ქართული ლაპარაკი, თქვენისთანა მდიდარს, დიდი კაცის შვილს“ (იგივე წყ., გვ. 333) – მიმართავს თინას.

ნინო ნაკაშიძე ცდილობს, მომავალ თაობას გაუღვიძოს მშობლიური ენის შესწავლის სურვილი და სიყვარული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილი უდიდესი გულისტკივილით აღნიშნავდა შემაძრწუნებელი, ობიექტური რეალობის შესახებ: ყმაწვილებს უფროსები ქართული ენის სიყვარულის მაგალითს არ უჩვენებენ-ო („ბუნების კარი“, 1868 წ. გვ. 6).

ცნობილია, გარდა მწერლობისა, ნ. ნაკაშიძე ეროვნული საქმეების მოსაგვარებლად პრაქტიკულადაც ბევრს აკეთებდა, რაც ნათლად იკვეთება ჟურნალ „ნაკადულში“ მისი მოღვაწეობის პერიოდის ერთი საქველმოქმედო საქმის მოგვარებით: ქართველ ბავშვთა მშობლების ერთმა ჯგუფმა, რაღა თქმა უნდა, ნინოს შთაგონებითა და თაოსნობით, ქართული ბაღის გახსნის ნებართვის თაობაზე განცხადებით მიმართა მეფის რუსეთის განათლების მინისტრს, რომელმაც მას ასეთი პასუხი გასცა: „რუსეთის იმპერიაში მშობლიური ენა რუსული ენაა და საბავშვო ბაღიც შეიძლება გახსნათ რუსულ ენაზე“-ო (ნ. ნაკაშიძე, რჩეული, ტ. III, 1953 წ. გვ. 254).

ბუნებრივია, ბაღის გახსნის მესვეურებმა ყურად არ იღეს დამპყრობელი, ბიუროკრატი მოხელის უტიფარი განცხადება და „მშობლების წრემ მაინც გახსნა ნებადაურთველად ქართული საბავშვო ბაღი. (იქვე) – უამბობს მკითხველს ნინო ნაკაშიძე, რომელიც მომავალი თაობებისაგანაც მოითხოვს ეროვნული თავისუფლების აღდგენისა და ქვეყნის გაძლიერებისათვის აქტიურ მოქმედებას.

როგორც აკაკის, – იაკობსაც ყმაწვილის აღზრდა-განათლება მხოლოდ მშობლიურ ენაზე მიაჩნდა შესაძლებლად, რადგან, მისი ღრმა რწმენით: დედაენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“ (იაკ. გოგებაშვილი, თხზ., ტ. II, ინსტ. გამომც. თბ. 1954 წ. გვ. 208).

ქართული საბავშვო ბაღის გახსნის იდეა ი. გოგებაშვილმა დიდი სიხარულით გაიზიარა და ნივთიერი ხელშეწყობაც აღუთქვა ნ. ნაკაშიძეს, რომელმაც იაკობი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ინახულა. მათ შორის გაიმართა გულისტკივილიანი საუბარი: „ძალიან ავად ვარ, სწორედ ახლა ტკივილების შემოტევა მაქვს, შენი ნახვა მინდოდა. მინდოდა საბავშვო ბაღის შესახებ კიდევ მოგელაპარაკებოდი. ბევრი რამ მაქვს საბავშვო ბაღის შესახებ სალაპარაკო, მაგრამ მგონი, ველარ შევძლო. არამც და არამც ამ საქმეს ხელი არ შეუშვათ დედებმა და უპატრონეთ. ქალებს ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ ბავშვების აღზრდის საქმეში. ჩემი მცირე დახმარება ისევ ისე იქნება, სანამ ჩემი „დედაენა იარსებებს“ (ნ. ნაკაშიძე, რჩეული, ტ. III, 1963 წ., გვ. 255).

სავალალოა, რომ თანამედროვე საბავშვო მწერლობა კრიტიკის მიერ იგნორირებულია, რაც თვალშისაცემია მკვლევარისათვის და არა მარტო მისთვის. ნორჩი თაობის სულიერ ფორმირებაზე ზრუნვის, თვალსაჩინო მაგალითი ხომ ასე უხვად მოგვცეს წინა საუკუნის დიდმა ქართველმა მოღვაწეებმა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ამირან ნიკოლეიშვილი

## თეატრალური და მუსიკალური ხელოვნება აფხაზეთში

### (1918 წ. მაისი და 1921 წ. თებერვალი)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში ქართულმა თეატრმა დიდი როლი შეასრულა აფხაზეთში ეროვნული სულისა და ცნობიერების აღდგენა-განმტკიცების საქმეში. ამიტომ არცაა გასაკვირი ის გამორჩეული ყურადღება, რასაც ამ საქმისადმი იქაური ქართველთა ეროვნული საბჭო იჩენდა. 1918 წლისათვის სოხუმში პროფესიული ქართული თეატრალური დასი არ არსებობდა. იქ მხოლოდ ადგილობრივი სცენის მოყვარეებისა და თბილისელი და ყვირილელი (ზესტაფონელი) გვარდიელებისაგან შემდგარი დასი თუ აჩვენებდა იშვიათად წარმოდგენებს. ასე იყო მაგალითად ალოიზის თეატრში, როცა იქ „სოფლის გმირები“ აჩვენეს.[1] ძირფესვიანად შეიცვალა ვითარება 1919 წ. როცა სოხუმში ქართული დასი ჩამოყალიბდა. დასი ქართულმა ეროვნულმა საბჭომ შექმნა და იგი ინახავდა კიდეც მას (საბჭოს ჰქონდა ხელოვნების სექცია). სეზონის მეთაურად თბილისიდან ი. ბარველი მიიწვიეს. ასევე მიიწვიეს სოხუმში თბილისელი მსახიობი ნატალია ჯავახიშვილიც. საბჭოს განზრახული ჰქონდა წარმოდგენების რეგულარული გამართვა, ხოლო სეზონის ბოლოს საზეიმო წარმოდგენის დადგმა, რომელიც ნ. ჩხეიძეს მიეძღვნებოდა, დასმა სეზონი 20 ოქტომბერს პ. ირეთელის „ბედნიერი დღით“ გახსნა.[2] უნდა ითქვას, რომ სეზონი სოხუმში კარგად წარიმართა და წარმოდგენები ალოიზის თეატრში ყოველ კვირას იმართებოდა. დასში ორი პროფესიონალი მსახიობიც (ნ. ჯავახიშვილი და ვ. ჯიქია) იყო დასაქმებული. სწორედ მათი მონაწილეობით დაიდგა აქ ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, გ. შარვაშიძის „მომაკვდავენი სურათნი“ და ა. შ.[3] ეროვნული საბჭო ცდილობდა სოხუმში სამუშაოდ დამატებით კიდევ მიეწვია ხუთი მსახიობი, მაგრამ იმ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდა.[4]

1919 წ. სოხუმში მეორე თეატრალური დასიც მოქმედებდა, რომელმაც სეზონი 2 ნოემბერს გახსნა იგივე ალოიზის თეატრში შ. დადიანის პიესით „შენი ჭირიმე“. წარმოდგენის დაწყებამდე მაყურებელს თეატრის როლსა და დანიშნულებაზე ესაუბრა ა. წუწუნავა.[5]

1919 წ. სოხუმში რომ ორი ქართული თეატრალური დასი არსებობდა, ამას ადასტურებს გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილი ზ. ჩხიკვაძის წერილიც „მგზავრის შთაბეჭდილებანი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სოხუმში ორი კარგი კერძო თეატრი იყო. ზ. ჩხიკვაძე 23 აპრილს ალოიზის თეატრში თვითონ დასწრებია კიდეც „შურისძიებას“ და განსაკუთრებით მოსწონებია მსახიობი ქალი ბ. ჯაიანი, რომელსაც დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა. წარმოდგენის დაწყებამდე ჯერ კონცერტი გამართულა, ხოლო შემდეგ მოხსენებით ს. ქვარიანი გამოსულა.[6]

აფხაზეთის ქართველობა თეატრალურ წარმოდგენებს სხვათა დადგმებითაც ნახულობდა. მაგალითად, 1919 წ. აგუძერაში წარმოდგენა გამართულა მასწავლებელ სოფიო ჩიხლაძის მეთაურობით,[7] ხოლო გაგრის ფრონტზე შექმნილა სცენისმოყვარეთა წრე (იგი 1920 წ. თბილისში გადავიდა).[8] ასეთივე წრე შექმნილა სოხუმის ჯარისკაცთა სახალხო უნივერსიტეტშიც. საგანგებო თეატრალური შენობა სცენით 1919 წ. მოეწყო სოჩის ფრონტზეც, რომელშიც წარმოდგენებს ხშირად მართავდა ადგილობრივი მოყვარულების დრამატული დასი.[9]

1919 წ. სოხუმსა და გუდაუთას მთავრობის მიერ გამოყოფილი საგანგებო ვაგონით თბილისიდანაც ეწვია მოგზაური დრამატული დასი ნ. ჩხეიძის, ც. ამირეჯიბის, ი. ზარდალიშვილის, ვ. არაბიძის, ნ. ვვარაძის და სხვათა შემადგენლობით. დასმა მაყურებელს წარმოუდგინა „არსენა“, ს. ჭანტურიშვილის „ბურუსი“, ფოსის „დამნაშავეა“ და ენგელის „ზღვასთან“.[10] მათ სპექტაკლ არსენას“ ორი წარმოდგენა მარტში სოჭის ფრონტზეც გამართეს. წარმოდგენებმა, რომლებსაც აფხაზებიც ესწრებოდნენ, მაყურებელთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს.[11]

დროებითი სათეატრო დარბაზი მოწყობილი იყო გაგრის სასტუმროშიც, სადაც 1919 წ. 15 ივნისს გაიმართა ჯერ ლიტერატურული საღამო და ცეკვები, მერე მოხსენებით გამოვიდა გვარდიის სარდალი ვ. ჯუღელი და ბოლოს კი აჩვენეს ა. ცაგარლის „ჭკუისა მჭირს“ (რეჟისორი ა. ძაძამია). საღამოზე თბილისიდან ჩამოსული მომღერალ მუშათა გუნდიც გამოვიდა.[12]

ქართული თეატრალური საქმიანობა 1920

წ. სოხუმში გაუარესდა. დასი დაიშალა და ქართული წარმოდგენებიც იშვიათი მოვლენა გახდა. ერთადერთი თეატრალური ჯგუფი, რომელიც ამ წელს იქ ჩავიდა, ეს იყო ჯავახიშვილის დასი, რომელმაც ქართულად „არშინ მალალან“ და „აშუღი ყარიბი“ აჩვენა.[13]

1920 წ. პროფკავშირები შეეცადა სოხუმში, ბინიტ ოღლის ჩამორთმეულ სახლში გაეხსნა მუშათა სასახლე სცენით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო იმჟამად ეს ვერ მოხერხდა.[14]

უნდა გავიხსენოთ 1919, 1920 და 1921 წლებში სოხუმში მსახიობის დღის ფართოდ აღნიშვნაც, რასაც სხვა ღონისძიებებთან ერთად აუცილებლად საგანგებო წარმოდგენებიც ეძღვნებოდა.

სოხუმში ქართული დასის გარდა რუსული დასიც არსებობდა. მაგალითად, 1918 წ. იქ მოქმედებდა არტისტული საზოგადოება, რომელიც და ზახაროვმა და დ. ორლოვმა დააარსეს.[15] წარმოდგენები იმართებოდა მომდევნო წლებშიც, ხოლო 1920 წ. რუსული წარმოდგენები კვირაში 1-2 ჯერ მაინც ეწყობოდა.

რაც შეეხება აფხაზურ დასს, ასეთი რამ 1918-21 წლებში არ არსებობდა. მართალია, ა. არღუნი წიგნში „აფხაზური თეატრის ისტორია“[16] წერს, თითქოსდა „აფხაზური სახელმწიფო თეატრის წინამორბედს წარმოადგენდა დ. გულიას მიერ შექმნილი მოძრავი დასი და 1918 წლიდან დაწყებული ომამდელ წლებამდე, აფხაზური თეატრი სწრაფი ზრდის სტადიაზე იყო“. მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. სწორია გ. მეგრელაძე, როცა იგი ა. არღუნს ამ სიცრუეში ამხელს.[17] მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ 1918 წ. 26 მაისიდან, 1921 წ. 25 თებერვლამდე, არსად არ მოიპოვება ცნობა იმის თაობაზე, რომ არსებობდა არათუ აფხაზური დასი, არამედ უბრალო სცენის მოყვარეთა წრეც კი.

1918-21 წლები საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა აფხაზეთში მუსიკალური კულტურის აღმავლობისათვის. განსაკუთრებული როლი ამ საქმეში შეასრულა 1918 წ. დაარსებულმა სოხუმის ქართულმა ეროვნულმა საბჭომ, რომელიც სხვა მხრივაც გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით, თუმცა კი მთავრობა ნაკლებად ეხმარებოდა მას.[18]

1919 წ. 23 აპრილს საქართველოს სამუსიკო საზოგადოებამ სოხუმის ქართველთა ეროვნული საბჭოს თხოვნით იქ მიავლინა ცნობილი მუსიკათმცოდნე ზ. ჩხიკვაძე და დაავალა მას დახმარებოდა ადგილობრივ ქართველებს სამუსიკო საზოგადოების ფილიალის ჩამოყალიბებაში. ფილიალის დამფუძნებელ კრებაზე მოხსენებით ნ. თავდგირიძე გამოვიდა. აირჩიეს ახლად შექმნილი ქართულ-აფხაზური სამუსიკო საზოგადოების გამგეობა ა. ინალიფას (თავმჯდომარე), ნ. თავდგირიძის (ამხანაგი), ე. ემხვარის, ძ. ლოლუას, ი. რამიშვილის და ბ. იოსელიანის (წევრები) შემადგენლობით.[19] კრებაზე იყო მცდელობა, გაეხსნათ სამუსიკო სასწავლებელიც, მაგრამ იმჯერად ეს ვერ მოხერხდა. 1919 წ. სოხუმში მეორედაც ჩავიდნენ ზ. ჩხიკვაძე და კ. ფოცხვერაშვილი სასწავლებლის გასახსნელად, მაგრამ ცდა ამჯერადაც წარუმატებლად დასრულდა.

აფხაზეთში მუსიკალურ სფეროში განსაკუთრებით ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა ძ. ლოლუა, რომელიც აგროვებდა, შეისწავლიდა და თავისი გუნდით პოპულარიზაციას უწევდა ადგილობრივ ხალხურ სიმღერებს. გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებულ წერილში იგი სხვებსაც მოუწოდებდა ხალხური სიმღერებისა და გალობის აღდგენის, ნოტებზე გადატანისა და მოვლისაკენ.[20]

1919 წ. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა მოხსენება ძ. ლოლუას გუნდის შესახებ, რომელშიც დასაბუთებული იყო გუნდისათვის ფინანსური დახმარების აუცილებლობა და მიზანშეწონილად მიიჩნევდა მისთვის 15000 მ. გამოყოფას. გუნდი ძირითადად სოხუმისა და სოჭის ოლქებში მოქმედებდა, აგროვებდა აფხაზურსა და მეგრულ სიმღერებს, გადაჰქონდა ისინი ნოტებზე და მთელს საქართველოში მოგზაურობით ხალხს აცნობდა მათ. იგი შეძლებისდაგვარად აცნობდა აფხაზთა ძველსა და თანამედროვე სამუსიკო კულტურას. ამ გარემოებას კი უეჭველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი ხელს უწყობდა აფხაზებში ეროვნული შემეცნების განმტკიცებას და ამასთან აფხაზეთის დედასაქართველოსთან დაახლოებას. ამ საქმეს ძ. ლოლუა დაუცხრომლად ემსახურებოდა. მას განზრახული ჰქონდა თავისი გუნდით (რომელიც 80 კაცისაგან შესდგება) მოეწყო ახალი მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. განსაკუთრებით სამაჰმადიანო საქართველოში“.[21]

სამინისტრო სწორედ ამ მოგზაურობისათვის ითხოვდა თანხას მთავრობისაგან. თხოვნას მხარს პარლამენტის ხელოვნების კომისიაც უჭერდა და მოხსენების საფუძველზე მან კომისიის წევრ რ. არსენიძეს დაავალა გამოენახა მუდმივი წყარო მსახიობთა დასახმარებლად.[22]

მალე ძ. ლოლუა ქართულმა ეროვნულმა საბჭომაც დანიშნა ოლქში ხალხური სიმღერების ხელმძღვანელად. მან შექმნა 80 კაციანი გუნდი, დაიწყო მომღერლების მომზადება და პრაქტიკულად განახორციელა ამ გუნდის მთელს საქართველოში მოგზაურობა, რომელიც ქართულ, მეგრულ და აფხაზურ სიმღერებს აცნობდა საზოგადოებას.[23] მაგალითად, 1919 წ. თბილისში მან ოთხი კონცერტი გამართა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ გუნდმა წარმოადგინა კომპოზიცია „დაჭრილი აფხაზი“, რითაც დიდად შეუწყო ხელი აფხაზური სიმღერის პოპულარიზაციას.[24]

1920 წ. თებერვალში ძ. ლოლუას გუნდს გამოუყვეს ვაგონი დასავლეთ საქართველოში კონცერტების გასამართავად. სხვა სიმღერებს შორის გუნდმა საგასტროლოდ ახალი კომპოზიცია „აფხაზური სოფელიც“ მოამზადა.[25]

ძ. ლოლუა კონცერტებს უფრო ხშირად თვით აფხაზეთში ატარებდა. ასე მაგალითად, გუნდი გამოდიოდა ალოიზის თეატრში, აგუძერაში, გაგრაში და ა. შ.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სოხუმსა და გაგრაში 1919 წ. სექტემბერში ქართული კაპელის სტუმრობაც, როელსაც დ. არაყიშვილი მეთაურობდა. 7, 8 და 9 სექტემბერს კაპელა გაგრის ფრონტსაც ეწვია. მიუხედავად დიდი სირთულეებისა, გუნდმა მაინც მიაღწია მებრძოლებამდე. მაგალითად, პილენკოვოში ჯარისკაცებმა შვიდ ვერსზე გადაიტანეს პიანინო, მოაწყვეს ესტრადა, გადახურეს სცენა, აიყვანეს კედლები და ა. შ. მომღერლები არ შეუშინდნენ იმასაც, რომ დაზიანებული ნავი ქარიშხალმა 30 ვერსით გაიტაცა ზღვაში.

აფხაზეთის საზოგადოება კმაყოფილი დარჩა კაპელას სტუმრობით.[26] სულ კაპელამ რვა უფასო კონცერტი გამართა აფხაზეთში და მან ყველგან დიდი მოწონება დაიმსახურა. 2. სექტემბერს კი სოხუმში მთელს გუნდს ჯ. შერვაშიძემ დიდი ბანკეტი გადაუხადა და იგი 10 000 მ. დაასაჩუქრა. ბანკეტს მთელი აფხაზი ინტელიგენცია ესწრებოდა, სადაც სიტყვით ვ. ემხვარიც გამოვიდა.[27]

კაპელას კონცერტი სოხუმში სტუმრად მყოფ იტალიელ სტუმრებსაც მოეწონათ, რაც მათ იმითაც გამოხატეს, რომ მომღერლები იტალიურმა კონსორციუმმა „მაქს პოდლია შუქმა“ 10 000 მ. დაასაჩუქრა.[28]

1919 წ. შემოდგომაზე აფხაზეთში მ. კავსაძის მომღერალთა გუნდიც ჩავიდა, რომელსაც ასეთივე წარმატება ხვდა წილად.[29]

საყურადღებოა ერთი გარემოებაც - აფხაზურ-მეგრული სიმღერების შეკრებაზე გენიალური ზ. ფალიაშვილიც ზრუნავდა, როცა იგი 1919 წ. სოხუმში სამკურნალოდ იმყოფებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გაზ. „ერთობა“, 1918 წ. №144
2. გაზ. „საქართველო“, 1919 წ. №220
3. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ. №11
4. იქვე
5. იქვე 1919 წ. №13
6. გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. №522
7. იქვე
8. ჟურნ. თეატრი და ცხოვრება, 1920 წ. №15
9. გაზ. „ერთობა“ 1919 წ. №281
10. იქვე, №68, 72
11. იქვე, №138
12. იქვე, 1920 წ. №218
13. იქვე №217
14. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. №126
15. ა. არღუნი, „აფხაზური თეატრის ისტორია“, სოხუმი, „ალაშარა“, 1976 წ.
16. გაზ. „წიგნის სამყარო“, 1993 წ. №3.
17. გაზ. „საქართველო“, 1919 წ. 211
18. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1919 წ. №101
19. გაზ. „სახალხო საქმე“ 1919 წ. №641
20. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1919 წ. №230
21. იქვე.
22. გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. №500
23. იქვე №635, 638
24. იქვე 1920 წ. №737
25. გაზ. „ერთობა“ 1919 წ. №235
26. იქვე, №221, 224
27. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. №201
28. გაზ. „სახალხო საქმე“, 1919წ. №622
29. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. №40



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე ბრეგაძე



## ენობრივი ნიშნის არსი

1. ენობრივი ნიშნის რაობის დადგენა და განსაზღვრა, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ენათმეცნიერებისა. შეიძლება ითქვას, ეს პრობლემა ლინგვისტიკის აქილევსის ქუსლია.

ენობრივი ნიშნის დეფინიციას ნელ-ნელა მივყავართ თავად ენის არსის განსაზღვრამდე, ენის გენეზისის პრობლემამდე, ვინაიდან ენობრივი ნიშნის რაობის დადგენა მჭიდროდ უკავშირდება სახელდების, ანუ სამყაროს ენობრივი „ათვისების", სამყაროს „გაენოვნების" პრობლემას, რაც თავის მხრივ ენის წარმოშობის საკითხებსაც მოიცავს.

რატომ დაერქვა ამა თუ იმ საგანს მაინცდამაინც ეს სახელი და არა სხვა? როგორია თავად სახელის ბუნება? როგორია ენის როლი სახელდების, ე. ი. სამყაროს „გაენოვნების" პროცესებში და ა. შ. და ა. შ. ცნობილია, ეს კითხვები და პრობლემები უხსოვარი დროიდან აწვალებს კაცთა მოდგმას. გავიხსენოთ ბიბლიური შესაქმე:

„და და-ვე-ჰბადა უფალმან ღმერთმან ყოველი მხეცი ველისაჲ, ყოველი მფრინველი ცისაჲ და მოიყვანნა იგინი ადამისა ხილვად და ყოველთა მშვინვიერთა ცხოველთა, რომელიცა უწოდა ადამ, იგი არს სახელი მათი, რაჲძი უწოდოს მათ" (დაბ. 2.19).

მოვიგონოთ ასევე ანტიკურ ხანაში აღმოცენებული ცნობილი ფჲუსეისა და თესეის თეორიები.

2. ენობრივი ნიშნის კვლევისას წამოიჭრება შემდეგი პრობლემები: ენობრივი ნიშანი ცნების (აღსანიშნი) და აკუსტიკური ხატის (აღმნიშვნელი) მთლიანობაა თუ ერთ-ერთ მათგანს მოიცავს?

ენობრივი ნიშანი ფსიქიკური ოდენობაა თუ ენობრივი?

ენობრივი ნიშანი სიტყვაა თუ სახელწოდება? ე. ი. იგი ობიექტურ რეალობაში მოცემული საგნისა და მოვლენის „მექანიკური" ასახვა, ფოტოგრაფირებაა (ანუ სახელწოდებაა), თუ თვალსაზრისი საგნებსა და მოვლენებზე (ანუ სიტყვა). აქედან გამომდინარე, როგორ მიმართებას შეიცავს ენობრივი ნიშანი: ბგერითი ფორმა+შინაარსი+საგნები თუ ბგერითი ფორმა+საგანი?

და ბოლოს, ენობრივი ნიშანი ნებისმიერია, ანუ პირობითია, არამოტივირებულია თუ პირიქით - არანებისმიერია, ანუ მოტივირებული და განპირობებული?

ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ უკანასკნელი პრობლემის გადაჭრა უკავშირდება ენობრივი ნიშნის სწორ დეფინიციას, რაც ამასთანავე მოგვცემს საშუალებას, ამოვხსნათ სხვა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები და ჩავწვდეთ ამგვარად ენობრივი ნიშნის არსს. ხოლო ენობრივი ნიშნის განსაზღვრა თავის მხრივ ენის არსს მიგვაახლებს.

3. საზოგადოდ, ენობრივი ნიშნის განსაზღვრამ დიდი ინტერესი აღძრა ენათმეცნიერებაში და ფერდინანდ დე სოსიურის დროიდან მოყოლებული თითქმის არ არსებობს ლინგვისტი ან ლინგვისტური მოძღვრება, ამ საკითხს რომ არ შეხებოდეს. ენობრივი ნიშნის პრობლემებთან დაკავშირებით 1959 წ. ქ. ერფურტში მოწვეულიც კი იქნა საერთაშორისო სიმპოზიუმი (5. 49).

ენათმეცნიერებაში პირველმა ფ. დე სოსიურმა მოგვცა ენობრივი ნიშნის დეფინიცია და იგი განსაზღვრა, როგორც ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი, ა რ ა მ ო ტ ი ვ ი რ ე ბ უ ლ ი (ხაზი ჩვენია - კ. ბ.) ოდენობა. ნიშნის ამგვარ დეფინიციას შემდგომ პერიოდში თითქმის ყოველი ლინგვისტი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა (ე. ბენვენისტი, ე. ლერხი, ე. პიშონი /5. 14/), აღიარებდა, რომ ენობრივი ნიშანი ნებისმიერია, ანუ არამოტივირებულია, პირობითია. სოსიურისეული ნიშნის ეს განსაზღვრება აქსიომატურად და ყველასათვის მისაღებად იქცა.*

შვეიცარიელი ენათმეცნიერები ა. სეშე, შ. ბალი (ისინი) სოსიურის მოწაფეები და მისი „ზოგადი ლინგვისტიკის კურსის" გამომცემელნი იყვნენ) და ა. ფრაი სოსიურისეულ ნიშნის ნებისმიერობას უჭერენ მხარს სტატიაში „ნიშნის ნებისმიერობისათვის" /5. 21/. თავის მხრივ, ეს სტატია 1941 წ. ჟენევის ლინგვისტური საზოგადოების კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ასახავს /5./ იქვე, ინგლისელი ენათმეცნიერი ა. გარდინერი და ამერიკელი ა. ნერინგიც ნიშნის ნებისმიერობას უჭერენ მხარს (5. იქვე).

ჩვენის მხრივ კი ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ფ. დე სოსიურის ენობრივი ნიშნის დეფინიცია წინააღმდეგობრივია და ნიშნის გაგება, როგორც ნებისმიერი და არამოტივირებული ოდენობისა, ჩვენთვის მიუღებელია: ჩვენი აზრით, ენობრივი ნიშანი ა რ ა ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი (ხაზი ჩვენია - კ. ბ.) ოდენობაა. მაგრამ აქვე მივუთითებთ, რომ ჩვენთვის მიუღებელია ნიშნის არანებისმიერობა ე. ბენვენისტისეული გაგებით. მისი მსჯელობა ნიშნის არანებისმიერობაზე არათანმიმდევრულია და წინააღმდეგობრივი. და, რაც მთავარია, არც ფ. დე სოსიურს და არც ე. ბენვენისტს ენობრივი ნიშანი არ განუხილავთ ენის ენერგეისტული თეორიის თვალსაზრისით, ისინი ნიშანში ვერ პოულობდნენ საკუთრივ ენას, ენის მოღვაწეობას, მათთვის ენა არ არის გონი (Geist). ამიტომაცაა, რომ მათ ენობრივ ნიშნის დეფინიციაში არ არის გონითი, გაისტური საფანელი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, ვიმეორებთ, ენა მათთვის მდგომარეობაა, „რეგისტრირებული ადამიანთა ტვინებში". ენერგეისტული ენის თეორიაში კი ენა პროცესია, ენერგეაა და არა სტატიკური

---

*ზემოთ ხსენებულ ერფურტის საერთაშორისო სიმპოზიუმზე სწორად დადგინდა რომ ენობრივი ნიშანი ნებისმიერია (5. 50).

სიდიდე - ერგონი (2.75). აქ ჩვენ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ენის ფუნდამენტურ დეფინიციას მივადექით - „ენა ენერგეაა და არა ერგონი“ (ენის ჰუმბოლდტისეული დეფინიცია ჩვენი თვალსაზრისის ფუძეა). ამიტომაცაა სოსიურისეული და ბენვენისტისეული ენობრივი ნიშნის განსაზღვრება ფსიქოლოგიური და ცხადი ხდება, რომ მათთვის ნიშანი ენობრივი ოდენობა კი არ არის, არამედ ფსიქიკური.

ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ როგორც ფ. დე სოსიურის, ისე ე. ე. ბენვენისტის ენობრივი ნიშნის დეფინიციებს* და შევეცდებით ნიშნის ჩვენეული განსაზღვრების მოცემას.

4. ვიდრე სოსიური თავის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსში“ ენობრივ ნიშანს განიხილავდა და მის დეფინიციას გადმოსცემდა, თავდაპირველად გააკრიტიკა (სამართლიანად) თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ენა თავისი არსით ნომენკლატურაა, რომ ენა არის სია სიტყვებისა, რომელიც იმავე რაოდენობის საგნებს შეესატყვისება: მაგ., „ცხენი“, „ხე“, და ა. შ. (4. 98/:

„ამგვარი თვალსაზრისი მრავალმხრივ შეიძლება გავაკრიტიკოთ. ამ თვალსაზრისის მიხედვით გამოდის, რომ არსებობს მზა ცნებები, რომლებიც წინ უსწრებენ სიტყვებს. ეს შეხედულება არაფერს გვეუბნება, თუ როგორია სახელდების ბუნება - ბგერითი თუ ფსიქიკური, რამდენადაც სიტყვა ხე (arbor) შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი, ისე მეორე თვალთახედვით. საბოლოო ჯამში ეს თვალსაზრისი (ენის ნომენკლატურად გაგება - კ. ბ.) გვაფიქრებინებს, რომ კავშირი საგანსა და სახელწოდებას შორის სავსებით მარტივია, ამგვარი მიდგომა კი ჭეშმარიტებისაგან ძალიან შორს დგას“ (4. 99).

ამ შემთხვევაში სოსიურს სწორად ესმის ენის არსი - ენა არ არის ნომენკლატურა. მაგრამ აქვე მივუთითებთ, რომ სოსიურმა არ გააღრმავა თვალსაზრისი სახელდების ბუნებაზე. იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმის მითითებით, სახელწოდება - ვთქვათ „ხე“ - შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბგერითი, ისე ფსიქიკური ოდენობაო. ამ შემთხვევაში სოსიურმა არ დაუშვა სამწევრა მიმართება: ბგერითი ფორმა + შინაარსი + საგნები, რამაც თავისებური კვალი დაამჩნია ენობრივი ნიშნის სწორ დეფინიციას. **

ამდენად, სოსიურის მიხედვით ენობრივი ნიშანი არის არა საგნისა და სახელწოდების კავშირი, არამედ ცნებისა და აკუსტიკური ხატისა. *** ეს უკანასკნელი მატერიალური ბგერა კი არ არის, არამედ ბგერის ფსიქიკური ანაბეჭდი, რომელსაც ჩვენი გრძნობის ორგანოებით ვიღებთ.“ (4.99).

ცნებაც და აკუსტიკური ხატიც ორივე ფსიქიკური ოდენობაა:

„მაშასადამე, ენობრივი ნიშანი ორმხრივი ფსიქიკური ოდენობაა, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ავსახოთ“ (4. იქვე).




ენობრივი ნიშანი დაუშლელია, ერთი მთლიანობაა, კავშირი აღსანიშნავსა (ცნება) და აღმნიშვნელს (აკუსტიკური ხატი) შორის განუყოფელია, ისინი ურთიერთს გულისხმობენ (4.. იქვე)*




ენობრივი ნიშნის, ასე ვთქვათ, სტრუქტურის განხილვის შემდეგ სოსიური უკვე გადადის მისი ბუნების დეფინიციაზე და აი აქ წამოაყენებს იგი ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის თეზისს - „კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ნებისმიერია“ (4. 100). და რამდენადაც ნიშანი განუყოფელი მთლიანობაა, რომელიც გარკვეული აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ასოციაციის შედეგადაა მიღებული (იქვე), სოსიური ასკვნის:

„დის“ ცნება არავითარი შინაგანი აუცილებლობით არ უკავშირდება ბგერათა თანმიმდევრობას s-oe:-r, რომელიც ფრანგულში „დის“ ცნების აღსანიშნავადაა განკუთვნილი. იგი ნებისმიერი სხვა ბგერებით შეიძლებოდა აღნიშნულიყო. ამის დასტური ხომ ენათა შორის სხვადასხვაობა დანაირგვარ ენათა არსებობაა: აღსანიშნი „ხარი“ ერთ ენობრივ სივრცეში აღინიშნება აღმნიშვნელით b-oe:-f (ფრანგ. boef), ხოლო სხვა ენობრივ სივრცეში აღმნიშვნელით o-c-s (გერმ. ochs)“

---

* ამ მეცნიერთა ენობრივი ნიშნის თეორიები ჩვენ გასაგები მიზეზების გამო ვაქციეთ განხილვის საგნად: უპირველესად სოსიურისა, ვინაიდან მან პირველმა მოგვცა ნიშნის დეფინიცია და მისი თეორია აქსიომატურად და თითქმის ყველა შემდგომი ლინგვისტისათვის მისაღებად იქცა, შემდეგ კი - ე. ბენვენისტისა, ვინაიდან - პირველი იგი გამოვიდა სოსიურისეული ენობრივი ნიშნის თეორიის წინააღმდეგ და განსაზღვრა ნიშანი, როგორც არანებისმიერი ოდენობა, (სხვა საკითხია, რამდენად დამაჯერებლად და მართებულად გადაჭრა მან ნიშნის არანებისმიერობის პრობლემა, რაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ,ბენვენისტმა ვერ მოახერხა). მომავალში ჩვენ სხვა ლინგვისტთა და ლინგვისტურ მოძღვრებათა ენობრივი ნიშნის თეორიებსაც განვიხილავთ.

** ამ მიმართებაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი ენობრივ ნიშნებთან კავშირში. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სწორედ შინაარსის პლანის ვერდანახვა შემთხვევითი არცაა, რადგან სოსიურისათვის ენა არის გონი (Giest).

*** ქვემოთ ჩვენ „ცნებასა“ და „აკუსტიკურ ხატს“ შევცვლით ასევე სოსიურისეული ტერმინებით, შესაბამისად - „აღსანიშნი“ და „აღმნიშვნელი“, ვინაიდან თავად ავტორმა ეს უკანასკნელი ამჯობინა ტერმინებს „ცნება“ და „აკუსტიკური ხატი“ (4. 100).

* ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ თავად ავტორის მიერ მოხმობილი ენობრივი ნიშნისა და წყლის შენაერთის ანალოგია „მართებული იქნებოდა იგი ენობრივი ნიშანი კ. ბ.) ქიმიურ შენაერთთან შეგვედარებინა, მაგალითად წყალთან, რომელიც შედგება წყალბადისა და ჟანგბადისაგან. ცალ-ცალკე აღებული არც ერთი ამ ელემენტთაგანი არ შეიცავს წყლის თვისებას“ (4. 135).

(4. 101).*

ამგვარად, სოსიური წამოაყენებს მთავარ არგუმენტს ნიშნის ნებისმიერობის სასარგებლოდ: ნიშანი პირობითია, რადგან ერთსა და იმავე აღსანიშნს სხვადასხვა ენაში სხვადასხვა აღმნიშვნელი აქვს. გამოდის, რომ ენათა ნაირგვარობა ნიშნის ნებისმიერობის შედეგია.

4. 1.. „ზოგადი ლინგვისტიკის კურსში“ სოსიური ენობრივი ნიშნისათვის დამახასიათებელ ორ თვისებაზეც მიუთითებს: ეს არის ნიშნის უცვლელობა და ცვალებადობა (4. 104, 107).

საინტერესოა, რატომ შემოიტანა სოსიურმა ეს ურთიერთგამომრიცხავი ცნებები. ცხადია, თუკი ნიშნის ცვალებად ბუნებაზეა საუბარი, ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ნიშნის პირობითობას, ვინაიდან, ნიშანი რომ ნებისმიერი არ ყოფილიყო, მაშინ ის არ შეიცვლებოდა. მაგრამ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნიშნის უცვლელობის დაშვებით სოსიურმა ენობრივი ნიშნის არანებისმიერობას დაუჭირა მხარი, რადგან, თუკი ნიშანი უცვლელია, მაშინ ის არანებისმიერია. მაგრამ ნიშნის უცვლელობის თეზისით სოსიური მის ნებისმიერობასა და არამოტივირებულობას ამტკიცებს (4. 106).

სოსიურის მოწაფეები შ. ბალი და ა. სეშე „ზოგადი ლინგვისტიკის კურსის“ კომენტარებში, რომელიც თავად შეადგინეს, ნიშნის ცვალებადობა-უცვლელობასთან დაკავშირებით შემდეგს წერენ:

„უსამართლობა იქნებოდა სოსიურისათვის ალოგიკურობასა და პარადოქსულობაში დაგვედო ბრალი, რადგან იგი ენას ორ ურთიერთგამომრიცხავ თვისებას მიაწერს. ამ ორი ანტონიმური ტერმინის შეპირისპირებით მას სურდა ხაზი გაესვა იმ ჭეშმარიტებისათვის, რომ ენა თავისთავად იცვლება, ხოლო მოლაპარაკეთ მისი შეცვლა არ შეუძლიათ. ასე ვთქვათ, ენა ხელშეუხებელია (intangible), მაგრამ არა უცვლელი (inalte'rable)“ (4. 272).

ჩვენი მხრივ კი აღვნიშნავთ, რომ ნიშანი ცვალებადია თუ უცვლელი, ეს არანაირ ზეგავლენას არ ახდენს ნიშნის არანებისმიერობაზე, რადგან ცვალებადობასა და უცვლელობას ენის ენერგეისტული, მსოფლხედითი ძალმოსილება განაპირობებს, რაც ენობრივი ნიშნის არანებისმიერობისა და მოტივირებულობის განმსაზღვრელია.

ნიშნის ცვალებადობა-უცვლელობაზე მსჯელობისას სოსიურს შემოაქვს ენობრივი კოლექტივის ცნება და ირკვევა, რომ „თუკი გამოხატულ ცნებასთან (აღსანიშნთან - კ. ბ.) მიმართებაში აღმნიშვნელი თავისუფალია (ნებისმიერია - კ. ბ.), მაშინ ენობრივი კოლექტივისათვის აღმნიშვნელის შერჩევა არ არის თავისუფალი, იგი ენობრივ კოლექტივზე თავს მოხვეულია“ (4. 104).

ამდენად, სოსიურისათვის ნიშნის უცვლელობის საფუძველი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ენობრივ კოლექტივს არ შეუძლია ენაში რაიმე შეცვალოს, „იგი იღებს ენას ისეთს, როგორიც ის არის“ (იქვე).

მაგრამ აქ ჩნდება უკვე შემდეგი პრობლემა: თუკი ერთი მხრივ აღმნიშვნელი ნებისმიერია აღსანიშნთან მიმართებაში, რატომ არ შეიძლება იგი ენობრივი კოლექტივისთვისაც ნებისმიერი იყოს? რა იწვევს იმას, რომ ენობრივი ნიშანი ამ უკანასკნელისათვის თავსმოხვეულია და, ამდენად, ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში არანებისმიერია? ამ კითხვაზე სოსიურს ამომწურავი პასუხი არ გაუცია. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ენობრივ კოლექტივზე ენობრივი ნიშანი (და საერთოდ ენა) თავსმოხვეულია დედაენობრივი მსოფლმხედვის [Weltansicht] ძალით, ენობრივი კოლექტივი დედაენის ტყვეა. ამიტომაც არ არის ნიშანი ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში ნებისმიერი და ამიტომაც ვერ მოეპყრობა იგი ნიშანს თავისუფლად.

მივუბრუნდეთ ენობრივი ნიშნის ცვალებადობა-უცვლელობის პრობლემას. ენობრივი ნიშანი სოსიურის მიხედვით უცვლელია, რადგან ენა წარსული ეპოქის მემკვიდრეობაა: „რაც უნდა შორს წავიდეთ, ყოველი ეპოქა ენას წინარე ეპოქის მემკვიდრეობად მიიჩნევს“ (4. 104). სოსიური მიუთითებს, რომ საგნებს ოდესღაც სახელები დაერქვათ რაღაც აქტის შედეგად, „რომლის ძალითაც საგნებს მიენიჭათ სახელები, ე. ი. ამ აქტის ძალით მოხდა შეთანხმება და გარკვეული ცნებები (აღსანიშნები - კ. ბ.) მიესადაგა გარკვეულ აკუსტიკურ ხატებს (აღმნიშვნელებს - კ. ბ.). თუმცა ეს აქტი არსად და არასოდეს დაუფიქსირებია ვინმეს“ (4. იქვე).

აქ სოსიური სახელდების პრობლემას მიადგა და გვერდი აუარა მას, ვინაიდან გამოაცხადა, იგი რაღაც „აქტად“. ჩვენი აზრით, სწორედ ამ „აქტში“ მდგომარეობს ენობრივი ნიშნის უცვლელობა და არანებისმიერობა და არა ენის მემკვიდრეობად მიღებაში. ამ აქტის ძალით არის ენა თავსმოხვეული ენობრივ კოლექტივზე. იგი სახელდების პროცესშია ჩართული და ამ პროცესს ენერგეისტული, გონითი ხასიათი აქვს, რასაც ვ. ფონ ჰუმბოლდტი სინამდვილის აზრებად გარდაქმნის აქტს უწოდებს „Act der Verwandlung der Welt in Gedanken“ (6. VII. 41). - ან კიდევ - „სამ-ყაროს გარდაქმნა გონის საკუთრებად“. „Umschaffen der Welt im Eigentum des Geistes“) აი, აქ, ამ პროცესში იღებს ენობრივი ნიშნის არანებისმიერობა სათავეს.

4. 2. ნიშნის ცვალებადობის მიზეზად სოსიური დროის ფაქტორს ასახელებს, ვინაიდან „ნიშანი შეიძლება იცვლებოდეს, რადგან მისი არსებობა უწყვეტია“ (4. 107), უწყვეტად არსებობა კი დროშია განფენილი. კონკრეტულად რაში მჟღავნდება ნიშნის დროში ცვალებადობა? ამ შემთხვევაში ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ხდება მიმართებათა გადაწევა (108), ე. ი. შეიძლება შეიცვალოს აღსანიშნიცა და აღმნიშვნელიც, ან ერთი და იმავე აღსანიშნისათვის გვქონდეს სხვადასხვა აღმნიშვნელი, ანდა სხვადასხვა აღსანიშნისათვის გვქონდეს ერთი და იგივე აღმნიშვნელი. ამასთან დაკავშირებით სოსიურს მოჰყავს შემდეგი

---------------

* აქ უკვე წინააღმდეგობაში ვარდება ავტორი, რაზეც ბენევენისტმა სამართლიანად მიუთითა: თუკი ნიშანი განუყოფელი მთლიანობაა, თუკი აღმნიშვნელი და აღსანიშნი შესისხლხორცებულნი არიან ერთმანეთთან, როგორღაა ენობრივი ნიშანი ნებისმიერი? ნიშნის მთლიანობის ძალით როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ „დის“ ცნება (აღსანიშნი) არანაირი შინაგანი აუცილებლობით არ არის დაკავშირებული ბგერათმიმდევრობასთან s-oe:r (აღმნიშვნელი)?

გარდა ამისა, ძნელდება იმის გარკვევაც, სოსიურის მიერ მოხმობილი სიტყვები „ბგერათა თანმიმდევრობა“ - „ბგერის ფსიქიკურ ანაბეჭდს“ გულისხმობს თუ ფიზიკურ, მატერიალურ ბგერას? სოსიური ამაზე არაფერს ამბობს. მაგრამ თუკი ენობრივი ნიშანი განუყოფელი მთლიანობაა - და ეს ასეა - და მისი შემადგენელი ორივე ელემენტი ფსიქიკური ოლენობაა, აღმნიშვნელისადმი ამგვარი თავისუფალი მოპყრობა თავისთავად ეწინააღმდეგება ნიშნის მთლიანობის გაგებას. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება ენობრივი ნიშანი კვლავ შევადაროთ ქიმიურ შენაერთს - წყალს: თუკი წყლის შემადგენელ რომელიმე ელემენტს (ჟანგბადს ან წყალბადს) სხვა ელემენტით შევცვლით, მაშინ წყლის შენაერთი აღარ გვექნება. ასევეა ენობრივ ნიშანთანაც - თუკი აღმნიშვნელი s-oe:r სხვა ბგერათა თანამიმდევრობით შევცვალეთ, მაშინ ხომ თავად „დის“ ცნება გაქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითები:

მოკვლის ცნება (აღსანიშნი) - nesāre კლასიკურ ლათინურში /4. იქვე/,

ეს აღსანიშნი ფრანგულში შეიცვალა აღსანიშნით - „წყალში დახრჩობა“ (noyer) (იქვე).

აქ, როგორც ვხედავთ, შეიცვალა როგორც ცნება, ისე აკუსტიკური ხატი, „ცნების კავშირი ნიშანთან (აღმნიშვნელთან, აკუსტიკურ ხატთან - კ. ბ.) შესუსტდა და მათი ურთიერთმიმართება შეიცვალა“ (იქვე).

შემდეგ ავტორი, იმავე კლასიკური ლათინურის necāre-ს ადარებს ხალხური ლათინურის nesāre (IV-V -ს. ს.), რაც ნიშნავს „წყალში დახრჩობას“, ამ შემთხვევაში აღსანიშნები არის სხვადასხვა - კლასიკურ ლათინურში „მოკვლა“, ხალხურ ლათინურში „წყალში დახრჩობა“, „აღმნიშვნელები კი ორივე აღსანიშნთან მიმართებაში ერთი და იგივეა - nesāre (იქვე).

სოსიურს მაგალითი მოჰყავს გერმანული ენიდანაც. ძველ გერმანულში Dritteil („მესამედი“) თანამედროვე გერმანულში Drittel-ად იქცა. ამ შემთხვევაში ცნება იგივე დარჩა, თუმცა აღმნიშვნელმა სახე იცვალა Drittel აღარ შეიცავს Te:l-ს („ნაწილი“) ამდენად იგი მარტივ სიტყვად იქცა. გარდა ამისა, გვაქვს გრამატიკული ცვლილებაც: Drittel უკვე არსებითი სახელია (იქვე).

ამგვარად დროის ფაქტორი გადამწყვეტია, როდესაც საუბარია ნიშნის ცვალებადობაზე: „დრო ყველაფერს ცვლის და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ვივარაუდოთ, რომ ენა ამ საყოველთაო წესში გამონაკლისია“ (4. 109).

მართალია, ენობრივი ნიშანი განიცდის ცვალებადობას, მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ დროითი ფაქტორით არ არის განპირობებული და სრულებით არ მიუთითებს ნიშნის ნებისმიერობაზე. ცვალებადობას, ჩვენი აზრით, ენის ენერგეისტული ბუნება იწვევს. როგორც ვნახეთ, კლასიკურ ლათინურში სიტყვა (ნიშანი) necāre აღნიშნავდა „მოკვლას“, ხოლო ხალხურ ლათინურში - „წყალში დახრჩობას“. მაგრამ აქ აღსანიშნის დროში ცვალებადობას შემდეგი გარემოება უდევს საფუძვლად: კლასიკური და ხალხური ლათინურის თითქოსდა ერთი და იგივე სიტყვა ორი სხვადასხვა სიბრტყეა ენობრივი ველით განმტკიცებული. IV-V სს. necāre-ში „წყალში დახრჩობის“ ცნება იმიტომ ამოტივტივდა, რომ „სიტყვის მეორე მხარეს სიცარიელე კი არ არის, არამედ შინაარსია და განუყრელია იგი ბგერითი ფორმისაგან“ (1.73.); ანუ, სიტყვა (ნიშანი) necāre -ს ცვალებადობას დრო კი არ განსაზღვრავს, არამედ ენის შინაარსობრივი ასპექტი. აქ უკვე ნიშნის ნებისმიერობაზე მსჯელობა გამორიცხულია. კლასიკურ ლათინურში ნიშანმა შემთხვევით არ განიცადა ცვლილება, არამედ შინაარსის ძალით და როგორც ცვლილებამდე იყო სიტყვა necāre არანებისმიერი, ხალხურ ლათინურშიც არანებისმიერია; თითქოსდა მოხდა ერთი ენობრივი ნიშნის ლიკვიდაცია და მივიღეთ არსებითად ახალი, სრულიად განსხვავებული რამ. ყოველივე ამის მიზეზი ენის შინაფორმაში მიმდინარე პროცესებია, რასაც ვ. ფონ ჰუმბოლდტი წარმოქმნას („Erzeugung“) უწოდებს.

5.

ბენვენისტი იზიარებს ენობრივი ნიშნის სოსიურისეულ დეფინიციას: „ნიშანი ცნებისა (აღსანიშნი) და აკუსტიკკური ხატის (აღმნიშვნელი) მთლიანობაა (3. 91), ჯამია გარკვეული აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ასოციაციისა“ (4.100). მაშასადამე, ბენვენისტისათვის ისევე, როგორც სოსიურისათვის ენობრივი ნიშანი ფსიქიკური ოდენობაა „რომ ენობრივი ნიშნის ორივე მხარე ფსიქიკურია და ჩვენს ტვინში ასოციაციურად არიან დაკავშირებულნი. ჩვენ განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს ამ გარემოებას“ (4. 99).

„ენობრივი ნიშანი ამგვარად ორმხრივი ფსიქიკური ოდენობაა. ორივე ეს ელემენტი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთს გულისხმობენ“ (4. იქვე). მაგრამ, სოსიურისაგან განსხვავებით, მისთვის პრინციპულად მიუღებელია ენობრივი ნიშნის მოაზრება, როგორც ნებისმიერი, პირობითი ოდენობისა:

„კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არ არის ნებისმიერი. პირიქით, მათი კავშირი აუცილებლობით არის განპირობებული“(3. 92)

ვიდრე უშუალოდ ნიშნის არანებისმიერობასთან დაკავშირებულ მსჯელობაზე გადავიდოდეს, ე. ბენვენისტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ნიშნის სოსიურისეული დეფინიცია წინააღმდეგობრივია, (3. 91). როგორც ზემოთ ვნახეთ, სოსიურმა მიუთითა, და სამართლიანადაც რომ „ენობრივი ნიშანი არის არა საგნისა და სახელწოდების კავშირი, არამედ ცნებისა და აკუსტიკური ხატისა“(4. 99). ამით მან ენის ნომენკლატურული და სუბსტანციური ხასიათი გამორიცხა და უკუაგდო. ამგვარად ენობრივი ნიშნის რეალურ სამყაროზე მიმართება - ბუნებრივი კავშირი გამოირიცხა, ანუ საგანი არ იჭრება ნიშანში. ამასთან დაკავშირებით ბენვენისტი მიუთითებს, რომ მიუხედავად ნიშანის ობიექტურ რეალობასთან კავშირის გამორიცხვისა და მისდამი არმიმართების მტკიცებისა, სოსიურმა თავი მაინც ვერ დააღწია მას:

„ცხადია, რომ ამ მსჯელობაში შეუმჩნევლად შემოდის შეცდომა, რადგან სოსიური (შემდგომ - კ. ბ.) გაუცნობიერებლად და გაუაზრებლად ეპყრობა მესამე ტერმინს, რომელსაც თავდაპირველი მსჯელობა არ შეიცავდა. ეს მესამე ტერმინია თავად საგანი, რეალობა. მართალია, სოსიური ამტკიცებს, რომ „დის“ ცნება არ არის დაკავშირებული აღმნიშვნელთან s-oe:-r, იგი (აღმნიშვნელი - კ. ბ.) მაინც მოიაზრებს ამ ცნების რ ე ა ლ უ რ ო ბ ა ს (ხაზი ავტორისაა - კ. ბ.). როდესაც სოსიური საუბრობს b-oe:-f, (ფრანგ. „ხარი“) და o-k-s (გერმ. „ხარი“) სხვადასხვაობაზე, იგი მისდა საწინააღმდეგოდ იმ ფაქტს ეყრდნობა, რომ ორივე ეს სიტყვა ერთი და იმავე რ ე ა ლ უ რ ს ა გ ა ნ ს (ხაზი ავტორისაა - კ. ბ.) ეუძნება. აი აქ, დეფინიციიდან თავიდანვე გამორიცხული ს ა გ ა ნ ი (ხაზი ავტორისაა - კ. ბ.) იჭრება ნიშნის განსაზღვრებაში და სოსიურის დებულებაში იწვევს გამუდმებულ წინააღმდეგობას“ (3. 91).

ამგვარად ბენვენისტი მიუთითებს, რომ ენობრივი ნიშანი საგანს ზუსტად არ შეესაბამება. ეს სოსიურს ძალაუნებურად მოუვიდა და მან ამგვარად ენობრივი ნიშანი ნომენკლატურად გადააქცია, მისი ფორმალური ხასიათი გამორიცხა და ნიშნის სუბსტანციურობა დაადასტურა. ნიშანი კი ფორმაში ვლინდება და არა სუბსტანციაში.

„პრინციპში ხომ ცხადია, რომ ენა ფ ო რ მ ა ა (ხაზი ავტორისაა კ. ბ.) და არა ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ა (ხაზი ავტორისაა - კ. ბ.). ამიტომ უნდა განვაცხადოთ, - სოსიური ამაზე ხომ პირდაპირ მიუთითებდა, რომ ლინგვისტიკა მეცნიერებაა ფორმათა შესახებ - რომ „ნიშნის გაგებისას აუცილებელია გამოვრიცხოთ „დის“ და „ხარის“ სუბსტანცია“ (3. 91).

მაშასადამე, სოსიური თავის თავს ეწინააღმდეგება, რადგან იგი მსჯელობისას თავისივე პოსტულატის - ენა ფორმაა (4.145) - წინააღმდეგ გამოვიდა, ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა, მის გარეთ გაიტანა და ობიექტურ რეალობაზე დააფუძნა, რაც აკი თავადვე გამორიცხა (იხ. ზემოთ გვ. 130).

ამდენად, როდესაც სოსიურმა ენობრივი ნიშანი საგანს დაუკავშირა, ენა სუბსტანციად გადააქცია და ენობრივი ნიშნის პირობითობა სუბსტანციაზე კი არა, ფორმაზე გაავრცელა. ამგვარად, მივადექით ნიშნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისმიერობის სფეროს. ბენვენისტის მიხედვით კი ნიშანი იმ შემთხვევაშია პირობითი, ანუ ნებისმიერი, თუკი იგი მიმართულია საგანზე (მაშინ ნიშანი სახელწოდებაა). ამდენად, b-oe:-f-სა და j-r-s-ის დაკავშირება ერთსა და იმავე აღსანიშნთან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ნებისმიერი, თუ საქო!ნელს „ხარი“ - მოვიაზრებთ მისი კონკრეტული და სუბსტანციური თვისებებით“ (3.91).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი ბენვენისტი ადგენს, რომ ენობრივი ნიშნის სოსიურისეული განსაზღვრის წესსა და ნიშნის ბუნებას შორის, - რომელსაც იგი ნიშანს მიაწერს (ნებისმიერობა) - წინააღმდეგობაა (3. იქვე).

ჩვენი მხრივ კი დავუმატებთ, რომ კვლავ და კვლავ დგება შემდეგი საკითხი: ენობრივი ნიშანი, სიტყვაა თუ სახელწოდება, ანუ რომელ განზომილებას შეიცავს ნიშანი: - ბგერითი ფორმა + შინაარსი + საგნები, თუ ბგერითი ფორმა + საგანი? თუ ნიშანი სიტყვაა - და, ჩვენი აზრით, ესა ასეა - მაშინ ობიექტურ რეალობაზე ნიშნის უშუალო მიმართება გამორიცხულია და იგი შეიცავს სამწევრა განზომილებას: ბგერითი ფორმა + შინაარსი + საგნები. ამ შემთხვევაში ენობრივი ნიშნისა და საერთოდ ენის ნომენკლატურული და სუბსტანციური გაგება გამორიცხულია. მაგრამ, თუ ენობრივ ნიშანს, სახელწოდებად მივიჩნევთ, მაშინ მასზე უშუალო მიმართება ექნება ობიექტურ რეალობას და იგი იქნება ორწევრა განზომილების შემცველი: ბგერითი ფორმა + საგანი. აქ უკვე ენისა და ენობრივი ნიშნის ნომენკლატურულ და სუბსტანციურ ხასიათთან გვაქვს საქმე, რაც ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია. ხოლო ფ. დე სოსიურის მსჯელობა ნიშანს სახელწოდებად გადააქცევს და არა სიტყვად.

მივუბრუნდეთ ე. ბენვენისტისეულ ნიშნის დეფინიციას. იგი ნიშნის შემდეგ განსაზღვრებას გვაძლევს: „კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის იმდ-ტომაა მოტივირებული და არანებისმიერი, რომ „ხარის“ ცნება (აღსანიშნი) ჩემს ცნობიერებაში აუცილებლად გაიგივებულია და თანხვდება ბგერათკომპლექსს (აღმნიშვნელი) „b-oe-f“, სხვაგვარად შეუძლებელიც არის. ისინი ერთად და ერთდროულად არიან აღბეჭდილნი ჩემს ცნობიერებაში, ერთად და ერთდროულად წარმოიქმნებიან ჩემს წარმოდგენაში ნებისმიერ გარემოებაში. აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ეს თანაარსებობა იმდენად მჭიდროა, რომ „ხარის“ ცნება თითქოსდა სული და გულია აკუსტიკური ხატისა „b-oe:f“ - (3. 92); აღმნიშვნელი - ეს იდეის (ცნების - კ. ბ.) ბგერითი თარგმანებაა, ხოლო აღსანიშნი - ეს აღმნიშვნელის აზრობრივი ეკვივალენტი. მათი ამგვარი არსებობა განაპირობებს ნიშნის სტრუქტურულ მთლიანობას“(3. 93).

ამგვარად ბენვენისტისათვის ენობრივი ნიშანი დაუშლელი ორგანული მთლიანობაა, სადაც ერთი შემადგენელი ნაწილი მეორესთან განუყოფლადაა დაკავშირებული განცდის ძალით. აღსანიშნი და აღმნიშვნელი ერთმანეთს ავსებენ და აქედან გამომდინარე ნიშანი არამც და არამც არ იქნება ნებისმიერი და არამოტივირებული. ე. ი. არანებისმიერობას თავად ნიშნის ბუნება განაპირობებს.

ნიშნის, როგორც სტრუქტურულად მთლიან ოდენობასთან დაკავშირებით ბენვენისტს სოსიურისეული ენის ფურცელთან შედარება მოჰყავს (იქვე), როცა „აზრი - ფურცლის წინა მხარეა, ხოლო ბგერა - მეორე, და რომ ისე ვერ გავჭრით ფურცლის წინა მხარეს, მას მეორე მხარეც რომ არ მიჰყვეს. ასევეა ენაშიც: შეუძლებელია ბგერა დააშორო აზრს, ან აზრი მოწყვიტო ბგერას“ (4. 145).

მაგრამ ბენვენისტის ნიშნის დეფინიციასთან აქ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ, რომ იგი არათანმიმდევრულია და ბოლომდე საჭიროებს განმარტებას. მართალია, ბენვენისტმა საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა ენობრივი ნიშნის დაუშლელობა და მთლიანობა, მაგრამ არასწორია, ყოველივე ამის (და საერთოდ, ნიშნის არანებისმიერობის) მიზეზად ადამიანის განცდის დასახვა. ამ შემთხვევაში განცდა კი არ არის გადამწყვეტი, არამედ ის, რაც იწვევს ამ განცდას, ნიშნის არანებისმიერობასა და აქედან გამომდინარე მთლიანობას. ჩვენი აზრით, ყოველივე ამის მიზეზი ენის ენერგეისტული ბუნებაა, ანუ ენის შინაარსეული პლანია, რაც ბენვენისტს არ მიუღია მხედველობაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ენა მისთვის არ არის გონითი, გაისტური მოცემულობა, ენერგეა.

5.1. როდესაც ბენვენისტი ენობრივი ნიშნის პირობითობაზე მსჯელობისას აღნიშნავდა, რომ პირობითობა არ არის ნიშნის ორგანიზაციის ფაქტორი (3. 94), და რომ პირობითობის სფერო გასატანია ნიშნის რადგან, ეს საკითხი ეხება ენობრივი ნიშნის საგანთან ურთიერთობას საზღვრებს გარეთ (3.93). იგი ფჯუსეისა და თესეის, ანუ სახელდების პრობლემას შეეხო, რაც ფილოსოფიურ და არაენათმეცნიერულ პრობლემად დასახა.

„სინამდვილეში ეს პრობლემა სხვა არაფერია, თუ არა ლინგვისტურ ენაზე გადმოტანილი ფილოსოფიური პრობლემა - გონების მიმართება სინამდვილისადმი. ერთ მშვენიერ დღეს ლინგვისტმა შეიძლება წარმატებითაც შეისწავლოს ეს პრობლემა, მაგრამ ამჯერად უმჯობესია მას გვერდი ავუაროთ“(3. 93).

ბენვენისტი ამ შემთხვევაშიც არათანმიმდევრობას ამჟღავნებს და მისი დებულება არ არის სწორი. როგორც ზემოთ ვნახეთ, ენობრივი ნიშნის არანებისმიერობა რომ დაემტკიცებინა, იგი განუყოფელ მთლიანობად მოიაზრა და ობიექტურ რეალობაში მოცემული საგნისადმი მიმართება გამორიცხა. მას უკანასკნელი გარემოება - ნიშანზე საგნის მიმართება - არც აინტერესებს: ენობრივ ნიშანში „უნდა განვიხილოთ მხოლოდ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მიმართება“ (3. 93).

ამრიგად, რომ ყოფილიყო ნიშნის საგნისადმი მიმართება, მაშინ, ავტორის აზრით, პირობითობა გვექნებოდა, რითაც ნიშნის სწორ დეფინიციას ვერ მივიღებდით. არანებისმიერობა, ეს ენობრივი ნიშნის ბუნებაა, ხოლო „ნებისმიერობის სფერო გადის ნიშნის გარეთ“. ამდენად, პირობითობის დაშვებას, ბენვენისტის აზრით მივყავართ სახელდების პრობლემასთან, ეს კი არ არის ლინგვისტიკის ამოცანა. მაშასადამე, ავტორმა ნიშნის არანებისმიერობის დამტკიცების მიზნით ენათმენციერების სფეროდან გამორიცხა სახელდების პრობლემა. ჩვენი აზრით კი, სახელდება არა მარტო ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანესი კვლევის სფეროა, არამედ ენობრივი ნიშნის სრული დეფინიციისას მას გვერდს ვერ ავუვულით. ვფიქრობთ, ენობრივი ნიშნისათვის სახელდებითი ასპექტის მიწერა კი არ გამორიცხავს ნიშნის არანებისმიერობას, არამედ კიდევ უფრო განამტკიცებს ამ თვალსაზრისს. როდესაც ჩვენ მივუთითეთ, სიტყვა (ენობრივი ნიშანი) არის მთლიანობა ბგერითი - ფორმა+შინაარსი+საგნები - ეს ნიშნავს, რომ ენობრივი ნიშანი მთლიანად არანებისმიერია, ე. ი. როგორც თავის შიგნით, შინაგანი აგებულებით, ისე საგნისადმი მიმართების შემთხვევაშიც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ობიექტურ რეალობაში არსებულ საგანზეა მიმართება - ე. ი. ნიშანში იჭრება საგანი და ჩვენი მსჯელობა არათანმიმდევრულია. მაგრამ მივუთითებთ, რომ ამ სამწევრა განზომილებაში ობიექტურ საგანზე მიმართება მის „ფოტოგრაფიულ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასახვას, ნომენკლატურულ მიდგომას კი არ ნიშნავს, არამედ ნიშანში (ე. ი. ბგერითი ფორმა+შინაარსი+საგნები) მოცემული შინაარსის პლანის, შინაფორმის ძალით იქმნება თვალსაზრისი საგანზე, თვალსაზრისი ენით განმტკიცებული, რასაც ვ. ფონ ჰუმბოლდტი, „სამყაროს გარაქმნას“ („Umschaffen der welt“) უწოდებს. მაშასადამე, როგორც ნიშნის შიგნით, ისე საგნისადმი მიმართების დროსაც ენის (გონის) მოღვაწეობაა საცნაური და, რა თქმა უნდა, ენობრივი ნიშნის, როგორც სახელწოდების (და ენის როგორც ნომენკლატურის) გაგება გამორიცხულია. ასე რომ, სახელდება ეს არის სამყაროს გაენოვნება, სამყაროს ენობრივად ათვისება, როცა საგანზე, მოვლენაზე იქმნება ენის თვალსაზრისი.

6. როგორც ზემოთ აღინიშნა, სოსიურისათვის ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის მთავარი არგუმენტია ის, რომ ერთი და იგივე აღმნიშვნელი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა აღმნიშვნელით აღინიშნება: მაგალითად, „ხარის“ ცნების აღსანიშნავად ფრანგულში არის b-oe:-f, ხოლო გერმანულში o-k-s (4. 101).* გამოდის, რომ ენათა შორის სხვაღასხვაობა ბგერითი ყოფილა და არა შინაარსობრივი. ამგვარი მსჯელობა გამორიცხავს ენობრივ მსოფლხედვას. გამოდის, რომ ყოველ ენას აქვს მზამზარეული სახელწოდებები, რომლებიც გარკვეულ ცნებებსა თუ საგნებს „მიემაგრება“. აქ სოსიური თავს ვერ აღწევს ენის ნომენკლატურულ გაგებას. საკითხავია, აღნიშნავენ კია სხვადასხვა ენის „ერთი და იგივე“ აღმნიშვნელები ერთსა და იმავე ცნებას, აღსანიშნს? უნდა ითქვას, ისიც, რომ ენათა მრავალგვარობის ფაქტს სოსიური თავისი მსჯელობით ძალიან მარტივად ხსნის: გამოდის, რომ ენათა ნაირგვარობა ნიშნის ნებისმიერობის შედეგია. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ეს ასე არ არის.

ამგვარად, სოსიურის დებულების მიხედვით ლოგიკურია გაკეთდეს დასკვნა, რომ ენობრივი ნიშანი შეიცავს მიმართებას - ბგერითი ფორმა+საგანი, და რომ ის სახელწოდებაა და არა სიტყვა. მაგრამ ნიშნის არსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოიცავს მიმართებას ბგერითი ფორმა+შინაარსი+საგნები; იგი ენობრივი ოდენობაა, ხოლო როგორც ვ. ფონ ჰუმბოლდტი აღნიშნავს „ენა არის ისეთი ნამდვილი რეალობა, რომელიც საგნებსა და ადამიანებს შორის არის ჩასმული“ (6. VII. 176); ენა „არ არის ეკვივალენტი საგნისა, არამედ თვალსაზრისი მის შესახებ“ (6. IV. 28).

ამდენად, ენა სამყაროს „ათვისების“ პროცესშია ჩართული, ადამიანი მისი საშუალებით იქმნის თვალსაზრისს სამყაროზე, ხოლო ყოველი ენა სუბსტანციას გარდაქმნის ცნებად („Umschaffen der Welt“...) ოღონდ ეს ცნებები (აღსანიშნები) ყველა ენას საკუთარი აქვს და არა საერთო, ერთი და იგივე.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ავიღოთ „დეიდის“ ცნება გერმანულსა და ქართულში. აღმოჩნდება, რომ გერმანულში აღმნიშვნელი „tante“ ზუსტად კი არ „ფარავს“ აღსანიშნს, როგორც ქართული „დეიდა“, არამედ სხვა აღსანიშნსაც გულისხმობს „დეიდისაგან“ განსხვავებით. გერმანული ენა აღმნიშვნელში „Tante“ დებს მამიდის ცნებასაც. ქართულში კი აღმნიშვნელი „დეიდა“ არ ვრცელდება სხვა აღსანიშნზე - „მამიდაზე“. თავის მხრივ ქართულში „მამიდის“ ცნების აღსანიშნავად გვაქვს ცალკე აღმნიშვნელი „მამიდა“. გერმანულში კი არა. ამგვარად, სხვადასხვა ენაში თითქოსდა ერთი და იგივე „აღმნიშვნელები („Tante“, „დეიდა“) ერთი და იმავე აღსანიშნზე კი არ მიუთითებენ და ზუსტად კი არ ფარავენ მას, არამედ თურმე შესაძლებელია, რომ აღსანიშნის სფერო გაფართოვდეს, ე.ი. ერთ ენაში აღმნიშვნელი უფრო ფართო აღსანიშნის სფეროს გულისხმობდეს, ხოლო მეორე ენაში აღმნიშვნელის აღსანიშნი სფერო ვიწრო იყოს. ასე რომ „Tante“ და „დეიდა“ ერთმანეთის მიმართ „ერთი ერთზე“ არ არის და მათი განსხვავება მარტო ბგერითი არ ყოფილა, არამედ შინაარსობრივი.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. დანიურში გერმანულისაგან განსხვავაებით „ხისა“ და „შეშის“ ცნებას აღნიშნავს ერთი და იგივე აღსანიშნი - „trae“, გერმანულში კი თითოეულ ამ ცნებათაგანს საკუთარი აღმნიშვნელი აქვს, შესაბამისად „Baum“ და „Holz“. ამ შემთხვევაშიც, აღმნიშვნელი „trae“ აღსანიშნის ფართო სფეროს მოიცავს - „ხე“ და „შეშა“. როგორც ვხედავთ, დანიურისა და გერმანულის აღმნიშვნელები ამჯერადაც არ არის „ერთი ერთზე“, სხვაობა აქაც შინაარსობრივია, ანუ განსხვავებულია საგანთხედვის წესი.

ახლა განვიხილოთ ის სიტყვები (აღმნიშვნელები), რომლებიც სხვადასხვა ფორმის, - ვთქვათ მრგვალი, ოვალური, ბრტყელი საგნების მიმართ ითქმის*. ქართულში ოვალურ და მრგვალ საგნებზე იტყვიან „მსხვილი“: „მსხვილი მარცვალი, კვერცხი, მილი, ჯოხი და ა. შ. ბრტყელ საგნებს კი ქართული ენა აღნიშნავს აღმნიშვნელით „სქელი“. მაგ. სქელი ფიცარი.

ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ სხვა ენებში, მაგალითად, რუსულში. ეს ენა სიგრძითი განზომილების მრგვალ და ბრტყელ საგნებს ერთ აღმნიშვნელს მიაწერს: толстая доска და толстая труба. ამდენად, რუსულისათვის, ქართულისაგან განსხვავებით, დაფაც და მილიც „სქელია“.

ცხადია, რომ აღმნიშვნელი „სქელი“ თუ ქართულში საგანთა ერთი კლასის აღსანიშნავად გამოგვადგება, სხვა კლასისათვის არა და, ამდენად, საჭიროა შემოვიდეს სხვა აღმნიშვნელი - „მსხვილი“; რუსულში აღმნიშვნელი толстый აერთიანებს საგანთა სხვადასხვა კლასს - როგორც მრგვალს, ისე ბრტყელს. ასე რომ ქართულ „სქელსა და რუსულ „толстый“-ს შორის ტოლობის ნიშანს ვერ დავსვამთ.

შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ გერმანული ენიდან. გერმანულისათვის დათვიცა და ფუტკარიც ერთსა და იმავე ხმას გამოსცემენ - „brummt“, მაშინ, როცა ქართულში დათვი „ბურდღუნებს“, ხოლო ფუტკარი „ბზუის“. ამ შემთხვევაშიც არ არის თანხვედრა ქართულ და გერმანულ აღმნიშვნელებს შორის.

ამგვარი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება, ჩვენ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილით დავკმაყოფილდებით.

ამგვარად, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ნიშნის ნებისმიერობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ენობრივი ნიშანი დედაენობრივი მსოფლხედვით (muttersprachliche Waltansicht) არის მოტივირებული. ნიშანთა (ენათა) სხვადასხვაობაც მხოლოდ ბგერითი კი არ არის, არამელ აქ შინაარსობრივ დანაწევრებასთან, ანუ საგანთხედვის განსხვავებულ წესთან გვაქვს საქმე; ე. ი. ყოველი ენა სხვადასხვა თვალსაზრისია სამყაროზე - ყოველი ადამიანი საკუთარი დედაენიდან ხედავს მას. ყოველივე აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამთ იმ გარემოებას, რომ ენობრივი ნიშნის ყოველგვარ ნებისმი-

- - - -

*საინტერესოა, რომ შემდეგ სოსიური ამასთან დაკავშირებით დიამეტრალურად განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებს:

„სიტყვები რომ წინასწარ მოცემულ ცნებებს გამოხატავდნენ, მაშინ სხვადასხვა ენის ყოველ სიტყვას შორის ზუსტი აზრობრივი შესაბამისობა იქნებოდა (4.149).

- - - -

*ნიმუშები აღებულია პროფ. გ. რამიშვილის წიგნიდან „ენათა შინაარსობრივი სხვაობა“, გვ. 87, 109, 124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერობაზე მსჯელობა მიუღებლად მიგვაჩნია, ნიშანი არანებისმიერია, მოტივირებულია.

ამ თვალსაზრისით ერთი მაგალითი მოვიყვანოთ თვად სოსიურის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსიდან“, როდესაც იგი ნიშნის ღირებულების საკითხს განიხილავს. აქვე შევნიშნავთ, რომ ღირებულების ცნების შემოტანით სოსიურს ნიშნის ნებისმიერობის დასაბუთება სურდა (4. 145), მაგრამ ნიშნის ღირებულებაზე მსჯელობისას თავისივე დებულების - ნიშნის ნებისმიერობის წინააღმდეგ გამოვიდა.

ენის სისტემაში ნიშნის ღირებულებას სოსიური ერთი ენის ენობრივი ნიშნის მეორე ენის ენობრივ ნიშანთან მიმართებაში ადგენს (4. 148) და მის მიერ მოხმობილი მაგალითი სწორედ ნიშნის არანებისმიერობაზე მიუთითებს. სოსიური აღნიშნავს, რომ ფრანგულში სიტყვა (აღმნიშვნელი) mouton ნიშნავს „ცხვარსა“ და „ცხვრის ხორცს“, მაშინ, როცა ინგლისურში ცხვრისა და ცხვრის ხორცის ცნებებს (აღსანიშნებს) სხვადასხვა აღმნიშვნელი შეესატყვისება - შესაბამისად - sheep და mutton[4. 148 ] ამგვარად, აღმნიშვნელ mouton-ის ღირებულება სხვაა, ხოლო sheep-ისა სხვა (4. იქვე).

მართალია, „ცხვრის“ ცნებას ინგლისურსა და ფრანგულში სხვადასხვა აღმნიშვნელი აქვს - sheep და mouton, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საბაბს ვამტკიცოთ, რომ sheep და mouton ერთმანეთის ადეკვატურნი არიან (რაზეც თვად ავტორმა ასე კარგად მიუთითა), რომ თითქოს ისინი „ერთი ერთზე“ იყვნენ და რომ ყოველივე აქედან ნიშნის ნებისმიერობა გამომდინარეობდეს. როგორც ზემოთ მოხმობილი მაგალითიდან ჩანს, ფრანგულში აღმნიშვნელ mouton-ის აღსანიშნი სფერო ფართოა, ის მხოლოდ „ცხვრის“ ცნებით კი არ შემოიფარგლება, არამედ „ცხვრის ხორცის“ ცნებასაც მოიცავს. sheep-ის აღსანიშნი სფერო კი ვიწროა და იგი მხოლოდ „ცხვრის“ ცნებას გულისხმობს, ხოლო „ცხვრის ხორცის“ ცნების აღსანიშნავად ინგლისურ ენას ცალკე აღმნიშვნელი შემოჰყავს - motton.

ამგვარად, თითქოსდა ერთი და იგივე mouton (ფრანგ.) და sheep (ინგლ.) არ შეესატყვისებიან ზუსტად ერთმანეთს და ერთი და იმავე აღსანიშნს (ცნებას) არ მოიცავენ. ამ შემთხვევაში კვლავ ძალაშია სამეული - ბგერითი ფორმა+შინაარსი+საგნები, - ხოლო მიმართება ბგერითი ფორმა+საგანი აბსოლუტურად გამორიცხულია. აქ კვლავ და კვლავ ენის მსოფლმხედვითი ძალა მოქმედებს, რაც სოსიურს მხედველობიდან გამორჩა, როდესაც იგი ნიშნის ნებისმიერობას ამტკიცებდა, (და ამგვარად ნიშანი დაიყვანა მიმართებაზე - ფორმა+საგანი, ანუ ნიშანი აქცია სახელწოდებად). და როდესაც ღირებულების ცნება შემოიტანა, ამით ამან არაცნობიერად სწორედ ნიშნის შინაარსეულ, მსოფლხედვით ასპექტს გაუსვა ხაზი. თავის საწინააღმდეგოდ სოსიურმა ღირებულების ცნების შემოტანით ნიშნის ნებისმიერობა კი არ დაადასტურა, არამედ არანებისმიერობა და მოტივირებულობა.

მაშასადამე, მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ენობრივი ნიშანი უბრალოდ სახელწოდება კი არ არის, არამედ სიტყვაა სამწევრა განზომილების შემცველი: ბგერითი ფორმა+შინაარსი+საგნები. აქ უკვე თვად ენის რაობის საკითხს ვუახლოვდებით, ვინაიდან ენობრივი ნიშანი ენობრივი ოდენობაა და ირკვევა, რომ ენა შუამავალია („Vermittler“) ადამიანსა და საგნებს შორის, რომ ყოველი ენა თავისებური თვალსაზრისია სინამდვილეზე და რომ ყოველი ერის (ენის) წარმომადგენლისათვის სამყარო ლედაენობრივად არის აღქმულ-გარდაქმნილი („Umschaffen der Welt“). ამიტომაც, ყოველთვის აქსიომატური იქნება ჰუმბოლდტის დებულება, დაახლოებით ორასი წლის წინ წამოყენებული:

„მათი (ენათა-კ.ბ.) სხვადასხვაობა ნიშნებსა და ბგერებში კი არ მდგომარეობს, არამედ მსოფლხედვათა სხვადასხვაობაში“ („Ihre Verschiedenheit ist nicht eine von Schallen und Zeichen, sondern eine Verschidenheit der W e l t a n s i c h t e n (ხაზი ჩვენია-კ. ბ.) selbst“)(6, IV. 28)

7. როგორც ვნახეთ, არც ფ. დე სოსიურს და არც ე. ბენვენისტს ენობრივი ნიშნის დეფინიციისას არ გამოუყვიათ მასში შინაარსობრივი ასპექტი. მათთვის ნიშანი მხოლოდ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მთლიანობით ამოიწურება, იგი ადამიანის ფსიქიკაშია ჩადებული; ადამიანი ნიშანს განიცდის, როგორც აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მთლიანობას. ნიშნისადმი ამგვარი მიდგომა მასში ენის, ანუ გაისტის მონაწილეობას გამორიცხავს.

სოსიურს სურდა ნიშანი ობიექტური რეალობისაგან გამოეყო და სუბსტანციურობისა და ნომენკლატურული მიდგომისაგან დაეცვა იგი, თანაც ფსიქოლოგიური მიმართებით მოინდომა ამ პრობლემის გადაჭრა; გარდა ამისა, როდესაც ნიშნის ნებისმიერობის თეზისი წამოაყენა, მისდა უნებურად ობიექტური რეალობის მოცემულობებს დაეყრდნო, რაზეც სამართლიანად მიუთითა ბენვენისტმა. სოსიურის ნიშნის დეფინიციის არათანმიმდევრულობა და არამართებულობა სწორედ ნებისმიერობის დაშვებამ გამოიწვია, რამაც ნიშანში შინაარსობრივი ასპექტის გამორიცხვა და დაუნახაობა განაპირობა, ხოლო ნებისმიერობისა და არამოტივირებულობის მტკიცებას ენობრივი ნიშნის არასწორ განსაზღვრებისაკენ მივყავართ.

ე. ბენვენისტი კი სხვა უკიდურესობაში აღმოჩნდა. ნიშნის არანებისმიერობა რომ დაემტკიცებინა და სოსიურის წინააღმდეგობა დაეძლია, ნიშანი აბსოლუტურად მოწყვიტა რეალობას და ნიშნის შინაგან აგებულებაზე გაამახვილა ყურადღება, იგი გამოაცხადა მთლიანობად, რომელსაც ასეთად განიცდის ადამიანი. მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა, რომ ნიშნის რეალობისაგან იზოლირებით ვერ დამტკიცდებოდა ნიშნის არანებისმიერობა. სინამდვილეში, ნიშანი კი არ უნდა განვიხილოთ, ვითარცა „ნიშანი თავისთავად“, როგორც ეს ბენვენისტს მოუვიდა; ენობრივი ნიშანი მიმართულია ობიექტზე, მაგრამ აქ პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია ეს მიმართება. ბენვენისტი ვერ ჩასწვდა მის არსს, ერთმნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ ობიექტურ რეალობაზე მიმართება ნიშანს სუბსტანციად და ნომენკლატურად გადააქცევდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ენობრივი ნიშნისა და რეალობის მიმართებისას საგანი კი არ იჭრება ნიშნის სფეროში, აქ ნომენკლატურასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ნიშანში მოცემულია თვალსაზრისი ამა თუ იმ ობიექტზე, ამ თვალსაზრისს კი ენის შინაარსობრივი პლანი, შინა ფორმა, გაისტი წარმოქმნის; სწორედ ენის ეს ასპექტი ვერ მოიაზრა ბენვენისტმა ნიშნის რეალობაზე მიმართებისას, რამაც აიძულა იგი არა მართებულად დაესაბუთებინა ნიშნის არანებისმიერობა.

როგორც ითქვა, სოსიურმა (ისევე როგორც ბენვენისტმა) ენობრივი ნიშანი ფსიქიკის სფეროს დაუკავშირა, მაგრამ არ განმარტა, ნიშანი როგორ ჩნდება ფსიქიკაში, რისი ძალით ხდება იგი ფსიქიკის კუთვნილება. აქ კვლავ და კვლავ საცნაურია ენობრივი ნიშნისა და ობიექტური რეალობის ურთიერთმიმართების პრობლემა. აიშლება კითხვები: საგანი შემოდის თუ არა ნიშანში? იდეა (წარმოდგენა საგანზე) უსწრებს საგანს თუ ობიექტია იდეის მიზეზი, ანუ ენობრივი ნიშანი წარმოქმნის საგანს თუ საგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშანს? ეს უკვე ენისა და აზროვნების, შემეცნების პრობლემაა. ამასთან დაკავშირებით ვ. ფონ ჰუმბოლდტი აღნიშნავს:

„სუბიექტური აქტივობა ქმნის აზროვნებაში ობიექტს. წარმოდგენის (აღქმის) არცერთი სახეობა არ შეიძლება ჩაითვალოს უკვე წინასწარმოცემული საგნის მარტივ რეცეპტულ ჭვრეტად. შეგრძნებათა მოქმედება სინთეზურად უკავშირდება გონის შინაგან მოქმედებას და ამ კავშირიდან აღმოცენებული წარმოდგენა, რომელიც სუბიექტური ძალის საპირისპიროდ უკვე ობიექტურია, ასე ახლებურად აღქმული, კვლავ სუბიექტურად გადაიქცევა. მაგრამ ამისათვის აუცილებელია ენა. გონითი სწრაფვა სწორედ ენაში იკაფავს გზას ბაგეების გზით და უბრუნებს თავის წარმონაქმნს (სიტყვას) თავისსავე ყურს. წარმოდგენა ნამდვილ ობიექტურობას იძენს და, ამავე დროს თავის სუბიექტურობასაც არ კარგავს. ეს შესაძლებელია მხოლოდ ენის მეშვეობით. ამ სუბიექტთან დაბრუნებული ობიექტურის მუდმივი გარდაქცევის გარეშე, რომელიც ენის თანამონაწილეობით ხორციელდება, თუნდაც იგი უხმოდ მიმდინარეობდეს, შეუძლებელია ცნების ჩამოყალიბება და ამდენად ყოველგვარი ნამდვილი აზროვნება“ (1. 18).

როგორც ვხედავთ, შემეცნების პროცესში ადამიანსა და საგანს (ობიექტურ რეალობას) შორის Geist-ი, ანუ ენაა „ჩადგმული“. აზროვნება, საგნის (სამყაროს) თარგმანება, ათვისება ენით ხდება. ამიტომ ადამიანის ფსიქიკაში საგანი ენით გარდაქმნილი შემოდის - ენა ხომ ადამიანისა და სამყაროს შუამავალია („Vermittler“). ამგვარად წარმოიქმნება (Erzeugung) ცნება - იდეა - წარმოდგენა საგანზე. ამიტომაც, როცა საუბარია ენობრივ ნიშანზე, იგი ენით, ანუ გონით (Geist) არის განსაზღვრული და ენის ძალით ხდება ადამიანური ფსიქიკის საკუთრება. ასე რომ, ცნება (აღსანიშნი) აკუსტიკურ ხატს (აღმნიშვნელს) ჩვენს ტვინში ასოციაციის გზით კი არ უკავშირდება, როგორც ამას სოსიური მიუთითებდა (4. 99), არამედ გაისტის, იგივე ენის აქტივობის შედეგად .

„ენა თვითონ არის ინტელექტუალური (ე. ი. გაისტური - კ. ბ.) აქტივობის მქონე („ენერგეია“), ჩართული ცნების აგების გენეზისურ პროცესში, სინამდვილის ფაქტის ცნობიერების ფაქტად გარდამქმნელი“ (1.19).

ამგვარად მიღებული ენობრივი ნიშანი კი შეიცავს არა მარტო აღსანიშნსა (ცნება) და აღმნიშვნელს (აკუსტიკური ხატი), არამედ შინაარსსაც. როგორც ენაა ადამიანისა და სამყაროს შუამავალი, ისე შინაარსის პლანია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის შუამავალი. აი, ამ სამი პლანის მთლიანობაა ენობრივი ნიშანი, იგი მთლიანად ენის (გონი) კუთვნილებაა. სწორედ ეს კონტექსტი უნდა ვიგულისხმოთ, როცა საუბარია ენობრივი ნიშნის ობიექტური რეალობისადმი მიმართებაზე და, აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ეს მიმართება სამყაროს ფოტოგრაფიული ასახვა, ე. ი. სამყაროს ზუსტი ასლი კი არ არის, არამედ თვალსაზრისია მასზე. ამიტომაც არის, რომ „მათი (ენათა - კ. ბ.) სხვადასხვაობა ნიშნებსა და ბგერებში კი არ მდგომარეობს, არამედ მსფოლხედვათა (Weltansichten) სხვადასხვაობაში“.

ამიტომ ყოველი ენა, საკუთარი მსოფლხედვის ძალით, სამყაროზე სხვადასხვა თვალსაზრისია.

ამგვარად, ვერც სოსიურმა და ვერც ბენვენისტმა ვერ განსაზღვრეს, ენობრივ ნიშანში საიდან, როგორ ჩნდება საგანზე წარმოდგენა; ვერ განსაზღვრეს, რეალურად როგორი ბუნებისაა ენობრივი ნიშნის ობიექტზე მიმართება. ამ შემთხვევაში მათ ნიშანში ვერ ამოიცნეს შინაარსობრივი პლანი, ენის შინაფორმა, რაც წარმოქმნის სწორედ თვალსაზრისს ობიექტზე, საგანთხედვის წესს, რაც საგანს ცნების (აღსანიშნის) კუთვნილებად გადააქცევს, ეს კი ენითაა განპირობებული. ამ თვალსაზრისით აბსოლუტურად მართებულად მიუთითებს პროფ. გურამ რამიშვილი, რომ „სინთეზში“ (აღსანიშნისა და აღმნიშვნელის - კ. ბ.) აზრითისა და ბგერითის მონაწილეობის ფაქტი კი არ არის მთავარი, არამედ დომინანტის საკითხი ენობრივი სეგმენტის აღმოცენების დროს: სეგმენტაციის მომენტში უპირატესობას შინაარსობრივ კრიტერიუმს ვანიჭებთ... სიტყვისა (ე. ი. ენობრივი ნიშნის - კ. ბ.) და საგნის ურთიერთობა რთულია. არც სიტყვაა ბგერითი ფორმა და არც საგანია შეგრძნებათა მარტივი ჯამი. სიტყვა საგნებს, საგანთა კლასს მოიცავს (ეს კლასი ყოველ ენას თავისი აქვს) (ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ენობრივი მსოფლხედვა - კ. ბ.)... ენის გრძნობა არ გვიკარნახებს მათ შორის (სიტყვასა და საგანს - კ. ბ.)... გენეზისური ბუნების კავშირს, იგი დედაენისმიერია... საგანი ასე შემოდის, ხოლო შინაარსეულის ჩამაგრება ხდება ბგერითი ფორმით (2. 77, 78).

ამგვარად, ვიღებთ სამპლანიან განზომილებას:

ბგერითი ფორმა+შინაარსი+საგნები;

ანუ ენობრივი ნიშანი არის აღმნიშვნელი+შინაარსი+აღსანიშნი.

დიახ, შინაარსის პლანის გაუთვალისწინებლობა გაუგებარს ხდის თუ საიდან, როგორ ჩნდება ასოციაციურად ადამიანის ფსიქიკაში აღსანიშნი და აღმნიშვნელი. ენის შინაარსეული ასპექტი საცნაურყოფს, რომ ასოციაცია ენის, ანუ გონის აქტივობის შედეგია, ენის წარმომქმნელი ძალის შედეგია. გავიხსენოთ - ენა ხომ წარმოქმნაა (dir Erzeugung) და არა წარმონაქმნი (das Erzeugte). აქვე კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ საგანი კი არ იჭრება ენობრივ ნიშანში, არამედ ენა ნიშანში საგანზე თვალსაზრისს წარმოქმნის. ამიტომ, ჩვენი აზრით, ენობრივი ნიშანი საბოლოოდ შემდეგ სახეს მიიღებს:

აღმნიშვნელი+შინაარსი.

ამგვარად, ენობრივი ნიშანი ჩვენს ფსიქიკაში ენის, ანუ გონის (Geist) ძალით მკვიდრდება, გონის მოქმედების ძალით არის იგი არანებისმიერი და მოტივირებული, ვინაიდან „ენას ვერ ჩავთვლით სიტყვათა აგრეგატად. ყოველი ენა სისტემაა, რომლის წიაღშიც გონი ბგერას აზრთან ამთლიანებს“ (ვ. ფონ ჰუმბოლდტი) (6. VII. 220).

## ლიტერატურა:

1.. გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა, თბილისი, 1995.

2. გ. რამიშვილი. შესავალი ენის ანთროპოლოგიაში. ფერდინანდ დე სოსიური; თბილისი, 1996.

3. Э. бенвенист, Общая лингвистика, перевод с Французкого, Москва,. 1974.

4. Ф. де Соссюр. Труды по языкознанию. Курс общей лингвистики; Перевод с Французкого, Москва, 1977.

5. თინ. შარაძენიძე, თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბილისი, 1972.

6. Wilhelm von Humboldt, Gesamelte Schriften in 17 Bänden, Berlin, 1903 [68].

Omega
ომეგა

დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY








წიგნების მხატვრობა
თენგიზ
მირზაშვილისა


















66/5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 ლარი



ნომერში გამოყენებულია თენგიზ მირზაშვილის ნამუშევართა რეპროდუქციები

